This article discusses the current problems of digital transformation of the education system. The analysis of the main psychological and pedagogical conditions and features of the implementation of digital education is made. The psychological aspects of the development of education in the context of digital transformation are revealed. The features of the influence of digital education on the consciousness, thinking and cognitive processes of students are shown. It is argued that modern life in the conditions of an information explosion has changed the inner world, the environment and lifestyle, as well as the process of communication and building relationships between people.

## ВВЕДЕНИЕ

В XXI-м столетии мировое сообщество перешло на новую ступень своего развития, став информационным, в связи с быстрым развитием цифровых технологий и внедрением их во все аспекты жизни человека, включая образование. Особенность так называемого информационализма заключается в механизмах генерирования знаний, процессах обработки информации и символической коммуникации.

При постоянно меняющихся условиях жизни общества, экономическом и социальном кризисе, становятся актуальными проблемы гуманитаризации образования, возвышения роли духовно-нравственного воспитания и общечеловеческих ценностей, приобщения людей к гармоничному личностному развитию и межкультурной коммуникации, а также формирования социально значимых компетенций в веке инновационных технологий.

Рассматривая понятие цифровизации, под ним понимаются информационно-коммуникативные технологии, оперативные системы и прикладные программы, онлайн платформы и сетевая инфраструктура. В данный момент актуально явление цифровой трансформации, при изучении которой стоит учесть не только сферу информационных технологий, но и более обобщенное определение.

Цифровая трансформация – завершенное преобразование, предполагающее пересмотр стратегий, подходов, методов, форм, операций, продуктов, целей человека как носителя определенной профессии, в результате которого он становится мобильным, высокоэффективным и конкурентоспособным специалистом в современном быстроизменяющемся мире.

Цифровая трансформация затронула все сферы жизни общества: политическую, экономическую, социальную и культурную. Ввиду стремительного совершенствования ИТ, постоянного роста научных знаний и наполнения базы данных, важную роль в формировании цифровой компетентности играет получение качественного и разностороннего образования, которое напрямую влияет на способность и желание человека работать с источниками информации, сотрудничать с ее носителями, критически подходить к анализу данных и использовать их для решения проблем личностного и общественного характера.

С точки зрения Сергиенко С. В., мы живем в условиях информационного взрыва, изменившего наш окружающий мир и образ жизни, процесс коммуникации и построения отношений [1]. Как считает П.Р. Васильев, происходящие сегодня «социально-политические трансформации с ключевым словом «цифровая» создают новую реальность, новую этику и новый взгляд на человека». Сегодня цифровая трансформация является тенденцией развития системы образования [2].

Передовое поколение предпочитает новые, более эффективные методы и технологии обучения, используемые образовательными центрами, которые гибче и быстрее реагирующие на потребности пользователей, традиционным образовательным организациям. Стремительно развивается виртуальное образовательное пространство, в которое вошли несколько миллиардов пользователей.

Образование – интегрирующий фактор, обеспечивающий успешность перехода в цифровую эпоху. Современное информационное общество, многие представители которого фокусируют внимание на создании и применении информационных ресурсов, в первую очередь, новых знаний, выдвигает новые требования к психологической готовности личности.

## МЕТОДОЛОГИЯ

Научный подход к изучению проблемы сводится к методологическим принципам современной педагогической психологии, такие как создание условий для осознания личностью обучаемого ценности приобретаемых знаний, формируемых навыков и компетенций, осмысленного получения образования в контексте цифровизации образования [3].

Основополагающие принципы, рассматриваемые в данном исследовании, следующие:

1. Принцип единства сознания и деятельности, сформулированный С.Л.Рубинштейном;
2. Принцип системного детерминизма, предложенный Б.Ф. Ломовым.

По определению С. Л. Рубинштейна, деятельность является единством внешнего и внутреннего. Сознание и психика считаются внутренней характеристикой деятельности, а свойство деятельности — протекать в форме внешне наблюдаемого поведения — можно рассматривать как характеристику самой психики. Сознание формируется и развивается именно в процессе деятельности, в то же время оказывая влияние на процесс и особенности осуществления деятельности [4].

В ходе развития психических функций, сознания человека, у него формируется индивидуальное отражение реальности. Учитывая это в психолого-педагогической деятельности, можно понять, как лучше направить обучающегося на путь становления разносторонне развитой, высокоинтеллектуальной и конкурентоспособной личностью путем трансформации сознания.

Принцип детерминизма предполагает необходимость изучения взаимосвязи психических явлений и порождающих их факторов. Психика человека характеризуется тем, что, изменяя окружающую действительность своей предметной деятельностью, ее субъект меняется сам. В итоге, благодаря этой деятельности человек создает продукты материальной и духовной культуры, а также совершенствуется внутренне, занимаясь личностным развитием.

Исследуя особенности цифровой трансформации образования и психологические аспекты развития личности в информационной среде, мы имеем возможность выявить причинно-следственные связи реального состояния образования в настоящее время.

Метод изучения психологических аспектов цифрового образования - теоретический анализ педагогических и психологических исследований по данной проблеме с целью выявления и описания преимуществ и недостатков цифровизации взаимодействия субъектов учебно-воспитательного процесса.

Согласно совремнным ученым, «новые возможности, открывающиеся в сфере обучения и образования, несомненны и очевидны. Однако полученные приобретения сочетаются со значительными потерями» [5]. Обобщение результатов этой и других подобных работ дает возможность выделить и охарактеризовать позитивные и негативные психологические последствия внедрения технологий цифрового образования в практику.

К основным положительным эффектам цифрового образования можно отнести:

1) что стираются пространственно-временные ограничения в получении необходимой учебно-познавательной информации, а также в плане получения самого образования. Общемировая доступность образования, стирает границы между народами, дают возможность обучающейся молодежи общаться и коммуницировать с представителями других этнических культур, что развивает межкультурное взаимодействие [5];

2) вседоступность цифрового образования, позволяет легко входить в глобальную систему информационных сетей, таким образом решая проблемы информационного и образовательного неравенства, предоставления широких возможностей для самоактуализации личности вне зависимости от социального положения и материальных условий, местности проживания;

3) индивидуализация и персонализация обучения, способствует выбору обучающимися собственной образовательной траектории, где обучающийся сам определяет временные условия изучения дисциплины и ход ее освоения. Возможность асинхронности взаимодействия между преподавателем и студентом, которая позволяет обучающемуся выбрать наиболее удобное время для изучения материала и выполнения заданий [6].

Поэтому при грамотном учете всех достоинств и недостатков цифрового образования, педагоги и психологи, а также другие специалисты, работающие в сфере образования смогут воздействовать на развитие гармоничной личности современной молодежи и формирование у них важных профессиональных компетенций.

## РЕЗУЛЬТАТЫ

В результате применения цифровых технологий в учебно-воспитательном процессе мы можем достигнуть изменения в сознании обучающегося, типе мышления, определяющий специфику поиска, анализа и переработки информации, осмысления значимости той или иной информации обучающимся.

Применение информационно-коммуникативных технологий в образовании влияет на развитие

новых качеств личности, а также познавательных процессов.

В результате анализа основных психолого-педагогических условий и особенностей реализации цифрового образования раскрыты психологические аспекты развития образования в условиях цифровой трансформации. Показаны особенности влияния цифрового образования на сознание, мышление и познавательные процессы обучающихся. В качестве основных результатов цифрового образования можно отметить, трансформацию во внутреннем мире, образа жизни, поведении личности, а также в особенностях коммуникации и построения межличностных отношений.

**ЗАКЛЮЧЕНИЕ**

Таким образом, цифровое образование прочно вошло в наш 21-век. Во всех сферах общества наблюдается трансформация и цифровизация основных видов деятельности человека. Так и в сфере образования данная тенденция повлекла за собой множество изменений в особенностях организации учебно-воспитательного процесса (формах, методах, средствах, технологиях). Факторы успешной самореализации и социализации в цифровом веке отличаются от прежних, в связи с этим изменилась парадигма современного образования и произошла интеграция передовых технологий в образовательный процесс.

**СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ:**

1. Сергиенко С. В. Дидактические аспекты цифрового профессионального образования и обучения. - М., 2020. 27 с.
2. Васильев П.Р. Содержание принципа единства сознания и деятельности // Молодой ученый. — 2018. — № 13 (121). — С. 326-329.
3. Солнцева Т. В. Цифровое общество через призму наследия С. Л. Рубинштейна // Цифровое общество в культурно-исто рической парадигме. М., 2018. С. 132–136.
4. Воронцова В.Ю. Психолого-педагогические основы электронного обучения // Сибирский педагогический журнал. 2018. № 4. С. 95–99.
5. Яницкий М. С. Образование в постмодернистском обществе: проблемы и перспективы // Сибирский педагогический журнал. - 2015. № 7. С. 65–75.
6. Власенко Н.В. Система образования в цифровую эпоху. – СПб., 2018. 136 с.

# TNCs IN THE WORLD INDUSTRY: NEW DEVELOPMENT TRENDS

***Tetiana Herasymenko***
*Candidate of Geological Sciences, Associate Professor,*
*Dnipro University of Technology, Dnipro, Ukraine*

**ABSTRACT**

The article analyzes the dynamics of international trade and GDP, based on the slowdown in the growth of international investment flows of goods and capital. The analysis of the activities of foreign non-financial transnational corporations in the nationalization and reshoring development trends was carried out. An industry analysis of TNCs from the TOP-100 revealed a decrease in the share of mining and manufacturing industries in developed countries and a general trend of expanding business in the information and communication industries. The author emphasizes the slowdown in globalization processes and the decrease in the overall profitability of foreign affiliates. The author comes to the conclusion that the downward trend in commodity trade flows and shifts in global investment as a result of the influence of industry 5.0 makes TNCs look for new directions of development.

* * * *

Since the 1970s, the dominant process of the world economy has been the globalization of the world economy, understood as the formation of a single planetary economy. Among the features of globalization give out the growing volume of investment, which was mainly directed from developed countries to developing ones.

But for developed economies, participation in the process of globalization has resulted, first of all, in the withdrawal of manufacturing enterprises from them, a reduction in the number of employed people in the manufacturing sector and, as a result, the emergence of a whole range of social problems.

The economic slowdown was observed in the group of developed countries in the euroarea and in the group of developing economies countries. The last retained their leadership in GDP growth rates (on average 6.5% versus 3% for developed economies countries in 2015–2021 [1]), as well as in the dynamics of import and export of foreign direct investment (FDI). Similarly, the volume of international production of foreign affiliates of TNCs is still increasing, but its growth rates have decreased in recent years (table 1).

**Table 1**

**Internationalization trend all over the world [2]**

| Index | 1990 | 2005-2007 (pre-crisis average) | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | Index 2018/ 2017 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| FDI inward stock | 2196 | 14607 | 25665 | 27663 | 33162 | 32784 | 98,9 | 36377 | 41354 |
| FDI outward stock | 2255 | 15316 | 25514 | 26826 | 32851 | 31219 | 95,0 | 34351 | 39247 |
| FDI inows | 205 | 1425 | 1921 | 1868 | 1647 | 1437 | 87,2 | 1530 | 999 |
| Rate of return on inward FDI | 5,4 | 8,8 | 6,8 | 7,0 | 6,3 | 6,9 | | 6,2 | 4,7 |
| Total assets of foreign affiliates | 7305 | 70643 | 94781 | 98758 | 114441 | 110220 | 96,3 | | |
| Sales of foreign affiliates | 7615 | 28444 | 27559 | 29057 | 30866 | 33203 | 107,6 | | |
| Value-added (product) of foreign affiliates | 1588 | 6783 | 6457 | 6950 | 8244 | 8254 | 100,1 | | |
| Employment by foreign affiliates (thousands) | 30861 | 68057 | 69683 | 71157 | 82 600 | 85504 | 103,5 | | |
| GDP | 23627 | 52546 | 74407 | 75463 | 80834 | 85893 | 106,3 | 87345 | 84538 |

Average annual revenue growth rate (6.4%), value added (8.7%) and employment (7.2%) of foreign affiliates over the five years (2015-2018) was lower than the corresponding figures for the same period prior to 2010 (ac-

cordingly 9.7%, 10.7% and 7.6%). The volume of sales, value added and employment of foreign affiliates of TNCs in 2018 increased by 7.6%, 0.1% and 3.5%, accordingly. The number of people employed at foreign affiliates reached 85.5 million people.

Returns on FDI in foreign affiliates in host countries continued to fall, declining to 4.7% in 2020 (table 1). This contributed to the slowdown in the international movement of capital. The global inflow of FDI from 2005 to 2007 increased from 1,000 to 1,900 billion dollars (on average during the crisis amounted to 1,425 billion dollars), during the crisis of 2007 it decreased to 1,100 billion dollars, in 2015 it rose to 1,921 billion dollars, having reached the pre-crisis level, then there is a gradual decrease in 2016 to 1,868 billion dollars, in 2018 to the level of 1,437 billion dollars, in 2019 to 1,530 billion dollars, and in 2020 to the level of 2005, $999 billion.

The considered trend of slowing economic dynamics was also reflected in the growth rates of TNCs, which is confirmed by table 2. In 2020, the top 100 TNCs weakened their positions in international activities compared to 2019, increasing international assets on 2.5%, and national on 5.3% and international sales declined at a rapid rate of 8.7% compared with national sales of 7.4% (table 2). The share of foreign employees in the total decreased on 2.8%, while employment in the national market increased by 0.6%, following the reshoring trend. From 2018 to 2020, the share of sales and foreign assets decreased from 58% and 60% to 54% and 56%, respectively [2].

**Table 2**

**Development trend of the 100 largest non-financial TNCs [2]**

| Index | 100 largest MNEs, global | | | | | 100 largest MNEs from developing and transition economies | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2018 | 2019 | 2018–2019 (%) | 2020 | 2019–2020 (%) | 2018 | 2019 | 2018–2019 (%) |
| 1. Assets (Billions of dollars) | | | | | | | | |
| Foreign | 9334 | 9403 | 0,7 | 9639 | 2,5 | 2593 | 2700 | 4,1 |
| Domestic | 6711 | 7869 | 17,3 | 8286 | 5,3 | 5691 | 6021 | 5,8 |
| Total | 16045 | 17272 | 7,7 | 17924 | 3,8 | 8284 | 8720 | 5,3 |
| Foreign as share of total (%) | 58 | 54 | | 54 | | 31 | 31 | |
| 2. Sales (Billions of dollars) | | | | | | | | |
| Foreign | 5937 | 5843 | -1,6 | 5335 | -8,7 | 2614 | 2476 | -5,3 |
| Domestic | 3899 | 4491 | 15,2 | 4158 | -7,4 | 3047 | 3370 | 10,6 |
| Total | 9836 | 10333 | 5,1 | 9493 | -8,1 | 5661 | 5846 | 6,3 |
| Foreign as share of total (%) | 60 | 57 | | 56 | | 46 | 42 | |
| 3. Employment (Thousands) | | | | | | | | |
| Foreign | 9544 | 9339 | -2,1 | 9076 | -2,8 | 4931 | 4532 | -8,1 |
| Domestic | 8571 | 10431 | 21,7 | 10495 | 0,6 | 8231 | 9238 | 12,2 |
| Total | 18115 | 19770 | 9,1 | 19571 | -1 | 13162 | 13770 | 4,6 |
| Foreign as share of total (%) | 53 | 47 | | 46 | | 37 | 33 | |

The growth rates of both the world economy and the economies of most countries are declining. With the simultaneous decentralization of the world space, digital integration continues to accelerate. Scientists talk about a new model of globalization, i.e. as a result of 3D printing, the Internet of things, cloud computing, biochemistry and biomechanics, they are actively penetrating into the basic industries – mechanical engineering, instrumentation, energy, construction, chemistry. All this shows the transition of the leading countries to the trend of import substitution and the revival of the basic sectors of the national industry on a new technological basis. In the top 100 TNCs in developing economies, the rate of globalization for 2018-2019 have not changed (the share of foreign assets remains at the same level of 31% (table 2)), large national conglomerates dominate there.

As for developed countries, companies there in 2020 expanded their business in the automotive and technology industries. Automotive TNCs increased their foreign assets by an average of 15% as they invested significant sums in new product development by cooperating with technology companies.

Table 3 shows the dynamics of the share of foreign investment projects in 2019-2020 year in the Top 100 TNCs by industries, which confirms that globalization has most affected the information and communication industry. The structure of global companies has changed significantly over the past five years. Extractive industries significantly reduce their positions in the rating.

**Table 3**

**Announced greenfield projects, by sector and selected industries [2]**

| Industry | 2019 | | 2020 | | Growth rate | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | Billions of dollars | % | Billions of dollars | % | Billions of dollars | % |
| Energy and gas supply | 113 | 19,2 | 99 | 22,9 | 87,6 | 3,8 |
| Information and communication | 66 | 11,2 | 81 | 18,8 | 122,7 | 7,6 |
| Electronics and electrical equipment | 53 | 9,0 | 46 | 10,6 | 86,8 | 1,7 |
| Chemicals | 47 | 8,0 | 40 | 9,3 | 85,1 | 1,3 |
| Construction | 66 | 11,2 | 35 | 8,1 | 53,0 | -3,1 |
| Automotive | 62 | 10,5 | 33 | 7,6 | 53,2 | -2,9 |
| Coke and refined petroleum | 94 | 15,9 | 30 | 6,9 | 31,9 | -9,0 |
| Transportation and storage | 43 | 7,3 | 26 | 6,0 | 60,5 | -1,3 |
| Trade | 22 | 3,7 | 23 | 5,3 | 104,5 | 1,6 |
| Finance and insurance | 24 | 4,1 | 19 | 4,4 | 79,2 | 0,3 |
| **Top 10 industries in value terms** | **590** | **100,0** | **432** | **100,0** | **73,2** | |

The value of announced greenfield investment projects fell to $564 billion in 2020 (table 2), the lowest level ever recorded. The geographical focus of foreign investors shifted to developed economies. Consequently, developing countries faced an unprecedented downturn in greenfield FDI projects. The importance of the primary sector continued to wane. The aggregate value of announced greenfield projects in the sector halved to $11 billion, representing less than 2 per cent of the total.

Greenfield project announcements in manufacturing industries registered a 41 per cent decline to $237 billion. In developing economies, where such investments are most important for industrial development, the decline mirrored the global trend, with a 42 per cent fall to $129 billion. Manufacturing projects remained concentrated in Asia ($101 billion) (figure 1).




**Figure 1. Developing economies: announced FDI greenfield projects in manufacturing by value (Billions of dollars and per cent) [2]**

The number of new projects almost halved in the automotive and chemical industries as well. However, despite the decline worldwide, several large-scale investments in basic chemicals projects contributed to a minor increase in the value of projects in developing countries. The downward pressure on the value of announced investments in manufacturing was mitigated in part by significant projects in semiconductors and batteries for transport equipment.

Note: Natural resources-related industries include (i) coke, petroleum products and nuclear fuel; (ii) metals and metal products; (iii) non-metallic mineral products; and (iv) wood and wood products. Lower-skill industries include (i) food, beverages and tobacco and (ii) textiles, clothing and leather; higher-skill industries include all other manufacturing industries.

Natural in the world economy is the emergence of a new process – the return of part of the production to developed countries. The issues of creating national industrial production returned to the agenda again. The problem of national economic security has become aggravated, for the solution of which in modern conditions it is already insufficient to ensure one factor – the openness of world markets for goods, services, and capital.

It is obvious that ensuring the reverse process of transferring production from regions with cheap labor and reducing the value chains formed by TNCs will take a long time as a result of the unpreparedness of many countries for the resource rearmament of the manufacturing industry. Currently, TNCs in developed countries, in the conditions of competition with developing countries, a decrease in the overall flow of international capital flows and income received from the activities of foreign affiliates, move their activities closer to the parent company and leave foreign markets. Developing countries are building up national capitalism, especially in the financial sector, while attracting foreign companies in an effort to acquire intellectual property rights and provide employment for their citizens.

**REFERENCES:**


1. Gross domestic product (GDP). – Available at: https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=PDBI_I4
2. World investment report 2021. Investing in sustainable recovery. – Available at: https://unctad.org/system/files/official-document/wir2017_en.pdf

# სექცია 1. ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები და თანამედროვე გლობალური გამოწვევებით განპირობებული ტრანსფორმაციები

## კონფერენცია-ფორუმი-სიმპოზიუმი-კონგრესი: ჩატარების მეთოდები და მეცნიერული შედეგები

*ალექსანდრე სიჭინავა*
*სტუ-ს პროფესორი*

*იაშა (კოკა) კუტუბიძე*
*სტუ-ს პროფესორი*

*დალი სეხნიაშვილი*
*სტუ-ს პროფესორი*

### რეზიუმე

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს მსგავსება და სხვაობა კონფერენციას-ფორუმს- სიმპოზიუმსა და კონგრესს შორის. მათ შორის მსგავსებაა ადამიანებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბება მეცნიერების, პოლიტიკის, სპორტის, კულტურის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით. წარმოაჩინოს ჩატარების მეთოდები და მეთოდოლოგია. დაგროვილი სამეცნიერო და სხვა სახის ინფორმაციების ურთიერთგაცვლა მეცნიერების, პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით. ოთხივე, კონფერენცია-ფორუმი-სიმპოზიუმი-კონგრესი, მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე, ერთმანეთს ემსგავსებიან, მაგრამ განსხვავებაც დიდია, თუნდაც განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე (დავოსის ეკონომიკური ფორუმი) და მონაწილეთა პოლიტიკოსებისა (ცნობილი პოლიტიკოსები) და მილიარდელების მონაწილეობით, სადაც განიხილება გლობალური პრობლემები (გლობალური ეკონომიკური, სოციალური, გლობალური დათბობის და სხვა პრობლემები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონფერენციები და ფორუმები ამის ნათელი დადასტურებაა. 10 წლის განმავლობაში ჩვენს ღონისძიებებს ეწვია 150-უცხოელი მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. დეპარტამენტის ინიციატივით გაფორმდა 50-ზე მეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკური პროფილის უნივერსიტეტებთან. ვფიქრობთ, რომ მომავალში ჩვენი ფორუმი უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ.

**საკვანძო სიტყვები:** კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი, კონგრესი, ადამიანებს შორის ურთიერთობები, ფორუმებზე ხელშეკრულებების გაფორმება, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

## CONFERENCE-FORUM-SYMPOSIUM-CONGRESS: CONDUCTING METHODS AND SCIENTIFIC RESULTS

**Alexander Sichinava**
Professor of GTU;
**Yasha (Koka) Kutubidze**
Professor of GTU;
**Dali Sekhniashvili**
Professor of GTU

### RESUME

The aim of the paper is to analyze the similarities and differences between conference-forum-symposium and congress. The similarity between them is the formation of relations between people in science, politics, sports, culture, art and other directions. To present the methods and methodology of conducting. Mutual exchange of accumulated scientific and other types of information with the participation of scientists, politicians and public figures. All four, conference-forum-symposium-congress, are similar to each other based on the principles of work, but there are also big differences, even depending on the issues discussed (Davos Economic Forum) and political participants (famous politicians) and billionaires, where global problems are discussed (global economic, social , global warming and other problems.

Conferences and forums held by us are a clear confirmation of this. During 10 years, 150 foreigners from different universities of the world visited our events. At the initiative of the department, more than 50 memorandums of mutual cooperation were signed, both within the country and with universities of various economic profiles around the world. We think to take our forum to a higher level in the future.

**Key words:** conference, forum, symposium, congress, relations between people, conclusion of agreements at forums, World Economic Forum.

* * * *

კონფერენცია არის ადამიანებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალება. თანამედროვე სამყარო ეს არის უდიდესი საინფორმაციო არენა. წლიდან წლამდე ინფორმაციის მოცულობა იზრდება. განსაკუთრებით თითოეული ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში და ოფისებში ყოველწუთიერად ათასჯერ იზრდება ინფორმაცია. ეს პროცესი დაიწყო საუკუნეების წინ და ეხლა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. გამომდინარე აქედან, ადამიანებს ეძლევა საშუალება დააგროვონ გამოცდილება ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით. შესაძლებელია ერთი და იგივე იდეა მოუვიდეთ თავში ადამიანებს სხვდასხვა დროს და ისინი იმუშავებენ დამოუკიდებლად და არ ეცოდინებათ, რომ პრობლემა უკვე გადაწყვეტილია და შესწავლილია. ასეთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ადამიანებმა მუდმივად გაცვალონ ინფორმაციები და თავიანთი კვლევის შედეგები. სწორედ ასეთ მიზანს ემსახურება და ტარდება კონფერენციები.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, სხვადასხვა სახელმწიფოების ან მთავრობების წარმომადგენლები აწყობდნენ შეკრებებს, რომელსაც უწოდებდნენ კონფერენციას. კონფერენციებზე იკრიბებოდნენ კერძო პირებიც რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. ინფორმაციის გადაცემის ასეთი მეთოდი გამოიყენებოდა ძველ საბერძნეთში. არსებობს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ პირველად კონფერენცია ჩატარდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 416 წელს. პოპულარული ადამიანები ათენიდან აწყობდნენ ნადიმებს თავიანთი ახლო მეგობრებისათვის, რომლის დროსაც თითოეული მონადიმე თავის ფილოსოფიურ აზრს გამოთქვამდა „ეროტზე“- სიყვარულის ძველბერძნულ ღმერთზე. უბრალო მოკვდავებს არ ქონდათ შესაძლებლობა აზრის გამოთქმისა და ფილოსოფოსობის შესაძლებლობა. ამიტომ ძველად კონფერენციებში და შეკრებებში მონაწილეობას ღებულობდნენ მდიდრები და ცნობილი ადამიანები, რომლებიც იყვნენ ფილოსოფოსები და მეცნიერები.

თითოეულ კონფერენციას აქვს საკუთარი მიზანი, რომელიც განსაზღვრავს შეკრების თემას, თუმცა ყოველი ასეთი შეკრებას აქვს თავისი ხასიათი რომელიც კონფერენციის თემებს აერთიანებს, ესენია: ა) კონფერენციის თემების გაძღოლა და განხილვა ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით; ბ) დაგროვილი ინფორმაციების გაცვლა იდეების მიხედვით. ახალი ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების მოძიება და ერთობლივი გადაწყვეტა მეცნიერული თანამშრომლობის გზით, იმ ორგანიზაციების მონაწილეობით რომლებიც კონფერენციაზეა წარმოდგენილი; გ) კონფერენციაში მონაწილეთა მოხსენებების პრეზენტაცია და მიღწევების დემონსტრაცია; დ) კონფერენციაში მონაწილე ორგანიზაციებისა და მონაწილე ადამიანების ურთიერთგაცნობა შემდგომი ერთობლივი კვლევების ჩატარების მიზნით.

არსებობს კონფერენციების სხვადასხვა სახეები, ისინი დამოკიდებულია შერჩეულ კრიტერიუმებზე. მაგალითად, სამეცნიერო-თეორიული, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური კონფერენცია, ბიზნეს -კონფერენცია, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. ჩატარების ტერიტორიის მიხედვით გვხვდება: ლოკალური; ეროვნული -უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით; საერთაშორისო. ასევე გამოყოფენ კონფერენციებს თემატიკის მიხედვით, როგორიცაა: თემატური ანუ ვიწრო მიმართულებით; მრავალმიზნობრივს.

გარდა ამ სახეებისა გამოყოფენ კონფერენციის ფორმებს. ესენია: ა)დასწრებული კონფერენცია, როდესაც ყველა მონაწილე მიდის კონფერენციის ჩატარების ადგილზე ჩადის და ღებულობს მონაწილეობას კონფერენციის მუშაობაში; ბ)დაუსწრებელი-როდესაც მონაწილეები არ ჩამოდიან და აგზავნიან სტატიებს საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე; გ) ინტერნეტ კონფერენცია, რომელიც ეწყობა რომელიმე პლატფორმის მეშვეობით.

კონფერენციის სახეებს შორის ყველაზე პოპულარულია სამეცნიერო კონფერენციები. მათი მიზანია: ა) შეკრიბონ მეცნიერები, რომლებიც მუშაობენ მსგავს პრობლემებზე, ატარებენ კვლევებს და ერთმანეთს აცნობენ თავიანთი მიღწევებს; ბ) სურვილის შემთხვევაში მიღწევები შეიძლება გამოიცეს კრებულის სახით.

საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს ფორუმის არსი. ფორუმი ისტორიულად ესაა ადგილი, სადაც შეიძლება შეიკრიბოს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც „მთელი სამყაროს“ ამბებს განიხილავენ. ფორუმი(ლათ-Forum ) - ძველ რომაულში ეს არის მოედანი-საზოგადოებრივი სივრცე, ბაზრის ტერიტორია, სადაც დუღდა ქალაქური ცხოვრება, იდებოდა ხელშეკრულებები, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ცნობილია რომის ფორუმი, იმპერატორის ფორუმი და სხვა. თანამედროვე პირობებში კატეგორია ფორუმი გამოიყენება აკადემიური კონფერენციებისა და შეკრებების გასამართავად. ხელშეკრულების დადება არის უფლება, რომელიც საშუალებას აძლევს პირებს აირჩიონ ის პირები, კომპანიები, რომელთანაც სურთ ხელშეკრულების დადება და დადონ ასეთი ხელშეკრულება ნებისმიერი ფორმითა და პირობით, რომელზეც მხარეები თავად შეთანხმდებიან (კანონის ფარგლებში). ხელშეკრულებების მიზნებიდან გამომდინარე, პირებს საშუალება აქვთ მათი კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე შეთანხმდნენ საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებზე, ასევე მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ის ღონისძიებები, რაც

მოჰყვება ხელშეკრულების მთლიან ან ნაწილობრივ შეუსრულებლობას. აღსანიშნავია, რომ ყველა სადავო ხელშეკრულების ბედი არ უნდა წყდებოდეს სასამართლოებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო რამდენიმე ათწლეულში მოძლიერდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, მათ შორის დამოუკიდებელი საარბიტრაჟო ტრიბუნალები, რომლებიც თავად იღებენ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ დავებზე, კერძო სამართლის შესაბამისად. ნეგატიურ მოცემულობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხელშეკრულების თავისუფლება არის თავისუფლება მთავრობის ჩარევისა და სამართლიანობის დადგენილ ფასეულობათაგან. მიჩნეულია, რომ ცნება „ხელშეკრულების თავისუფლება" იურიდიულ ტერმინოლოგიაში შემოიტანა და დაამკვიდრა სერ ჯორჯ ჯესელმა (რომელიც იყო მოსამართლე და დიდი ბრიტანეთის სასამართლო ხელისუფლების პირველი პირი 1875 წელს).

50 წელზე მეტია შვეიცარიის ქალაქ დავოსში ტარდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. ტრადიციულად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი არის პლათფორმა საერთაშორისო დისკუსიების და მოლაპარაკებებისათვის.

შვეიცარიის საკურორტო ქალაქ დავოსში იკრიბებიან მსოფლიო ლიდერები, ბიზნესმენები, მეცნიერებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ყოველწლიური შეხვედრისთვის. დავოსი შვეიცარიის სათხილამურო კურორტია ალპებში, სადაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ყოველწლიურად იმართება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum) - საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა. ფორუმი მსოფლიოს 50 ქვეყნის ათასამდე მსხვილ კომპანიასა და ორგანიზაციას აერთიანებს. ფორუმის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელია ჟენევის უნივერსიტეტის ბიზნეს–ადმინისტრირების პროფესორი კლაუს შვაბი გახლავთ. ორგანიზაციის შტაბ-ბინა ჟენევაში მდებარეობს. მიაქციეთ ყურადღება ფორუმის ორგანიზებას შვეიცარიის უნივერსიტეტი აკეთებს და ხელმძღვანელობს მას.

ტრადიციულად, ფორუმის მონაწილეები განიხილავენ ეკონომიკურ საკითხებს. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, იგი გახდა მნიშვნელოვანი პლატფორმა გლობალური პრობლემებისა და გამოწვევების გასაშუქებლად.

მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიდერებთან ერთად, დავოსის ფორუმს მუდამ სტუმრობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ევროკავშირის მაღალი რანგის ფიგურები. დავოსის ეკონომიკურ ფორუმს იყენებენ, როგორც შესაძლებლობას, ჩაატარონ შეხვედრები ამა თუ იმ ქვეყნის ლიდერებთან ინვესტიციების განხორციელებისა და ბიზნეს-გარიგებების გაკეთების მიზნით. მაღალი დონის პლატფორმაზე ხშირად გამოდიან მსოფლიო დონის პოლიტიკოსები და მილიარდერები, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ გლობალურ პრობლემების დაფინანსებაზე.

ინტერნეტ ფორუმი (ვებ–ფორუმი), იგივე გზავნილების დაფა - ვებ–პროგრამების კლასი საიტის მომხმარებელთა ურთიერთობის ორგანიზებისათვის. ტერმინი „ფორუმი" ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვის არსს. ეს არის სადისკუსიო საიტი, სადაც მომხმარებლები ერთმანეთს ესაუბრებიან გზავნილების სახით. ფორუმის მუშაობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლები (ფორუმის სტუმრები) ტოვებენ საკუთარ თემებს პოსტინგის გზით მისი შემდგომი განხილვისათვის და მასში შეტყობინებების განთავსებისათვის. ყოველი ცალკე აღებული თემა ფაქტობრივად წარმოადგენს სტუმართა თემატურ წიგნს. მომხმარებლებს შეუძლიათ წარმოდგენილი თემის კომენტირება, კითხვების დასმა თემის გარშემო და პასუხების მიღება, აგრეთვე, თავადვე უპასუხონ თემაში დასმულ სხვა მომხმარებელთა შეკითხვებს, მისცენ მათ რჩევები. თემის შიგნით, შესაძლოა, აგრეთვე, გაიმართოს კენჭისყრა (ხმის მიცემის პროცედურა).

გზავნილები დახარისხებულია ამა თუ იმ სადისკუსიო თემის მიხედვით და ფორუმის მონაცემთა ბაზაში სამუდამოდ ინახება. სხვადასხვა შემთხვევაში, ხდება ისე, რომ ფორუმის ან მისი განყოფილების ზედამხედველი ანუ <u>მოდერატორი</u> თვალს ადევნებს გზავნილებს და აქვეყნებს მათ მხოლოდ გადამოწმების შემდეგ. შენახული თემები შემდგომში, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს, როგორც მონაწილეების, ასევე ინტერნეტის ნებისმიერი მომხმარებლისთავის, რომელიც ეწვევა ფორუმს.

ფორუმის თემატიკა მრავალფეროვანია(ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა) და მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს.

სიმპოზიუმი - (ლათ. Symposium) - ეს არის კონცეფცია, რომელიც ბერძნული ენიდან მოდის. ტერმინი ნიშნავს გაცნობს, სადაც ანალიზდება კონკრეტული თემა. თათბირი ხმაურით, ნადიმობა ხმაურით, სამეცნიერო შეხვედრები მრავალფეროვან თემებზე, რა თქმა უნდა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კატეგორიას ხშირად იყენებდნენ პლატონი და ქსენოფონტე. ყველაზე ხშირად სიმპოზიუმები იმართებოდა ცნობილი ადამიანებისა და სახელმწიფო ელიტარული მოღვაწეებისათვის. თანამედროვე პირობებში კატეგორია ფორუმი გამოიყენება აკადემიური კონფერენციებისა და შეკრებების გასამართავად.

სიმპოზიუმი შეიძლება ჩატარდეს კონფერენციის ან სემინარის სახით . სიმპოზიუმზე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იკრიბებიან რათა განიხილონ და გაანალიზონ თანამედროვე თემები .

მისი მიზანია თითოეულმა მონაწილემ მიიღოს მონაწილეობა დებატებში და გამოთქვას საკუთარი თვალსაზრისი. სიმპოზიუმები იმართება სხვადასხვა დარგში.ესენია: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, მედიცინაში, სპორტში, ხელოვნებაში და სხვა.

სიმპოზიუმის ორგანიზების პირველი ნაბიჯი არის სპეციალისტთა ჯგუფის შეგროვება, რომლებსაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა განსახილველი საკითხების განსაზღვრასა და განვითარებაში.

კონგრესი - (ლათ.Congressus) ნიშნავს შეკრებას, ურთიერთობებს. კონგრესი შეკრების უფრო მაღალი ფორმაა, რომელიც ტარდება ფართო მასშტაბით, როგორც წესი საერთაშორისო მასშტაბით. კონგრესი-აშშ-ი არის პარლამენტის კანონმდებელი ორგანო, ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნების მართველი ორგანოა. ხანდახან ვხვდებით პოლიტიკურ პარტიებს კონგრესის სახელწოდებით (იემენში, ლივიაში, ესპანეთში, მექსიკაში, პარაგვაიში, გვატემალაში, პერუში, აშშ-ში, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინეტალური კონგრესი, მეორე კონტინენტალური კონგრესი, კონფედერაციის კონგრესი, ფილიპინების კონგრესი, არგენტინის კონგრესი, ბრაზილიის, ჩილის, ეკვადორის და სხვა).

არსებობს მეცნიერული და ფილოსოფიური კონგრესები. ესენია: ფილოსოფოსთა მსოფლიო კონგრესი, პოლიტეკონომთა კონგრესი, მათემატიკოსთა მსოფლიო კონგრესი, გეოგრაფთა მსოფლიო კონგრესი და სხვა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოთხივე ფორმის კონფერენცია-ფორუმი-სიმპოზიუმი-კონგრესი მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე ერთმანეთს ემსგავსებიან, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც დიდია. მაგალითად დავოსის ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობენ მილიარდერებიც და პოლიტიკოსებიც, სადაც განიხილება გლობალური პრობლემები.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ.თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი.თბ.,2012 წ.
2. ასათიანი რ.ეკონომიკსი-Economics:განმარტებითი ლექსიკონი.თბ., 2003 წ.
3. ჩიქავა ლ.ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია.თბ., 2001 წ.
4. Болшой Энциклопедический словар. М., 2002 წ.

# ეკონომიკის პარადოქსებიდან თანამედროვე ეკონომიკის მეცნიერების კრიზისამდე

***შოთა ლომინაშვილი***
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

***მიხეილ თოქმაზიშვილი***
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში ახსნილია ეკონომკიის კვლევის ამოცანები, მისი წინააღმდეგობრივი ბუნება და მეთოდოლოგიური შეზღუდულობა, რომელიც ეკონომიკის მეცნიერების თანამდროვე კრიზისის პირობა გახდა. აღნიშნულია, რომ ეკონომიკის თეორიები ემყარება ეკონომიკური მოვლენებისა და ადამიანების ქცევათა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების ახსნას, სადაც მიზეზების მრავალფეროვნებისა და ქცევების განუსაზღვრელობის პირობებში მოსალოდნელი შედეგების სპექტრი მხოლოდ ევრისტიკული ხასიათისაა. აღნიშნულია, რომ ეკონომიკის კვლევებში, ძირითადი პრობლემების გამოყოფა, სხვადასხვა თეორიულ მოძღვრებებში განსხვავებულია, ხოლო ყოველი მათგანის ძირითადი პრობლემა კი მრავალწახნაგოვანია. თეორიების აბსტრაქტული ხასიათი კვლევებს მხოლოდ იდეალური კონსტრუქციების ხასიათს აძლევს. მიკრო და მაკრო ეკონომიკური პარადოქსები კი მეთოდოლოგიურად ქმნის თეორიების პრაგმატული გამოყენების სირთულეებს, რაც საბოლოო ჯამში ვლინდება ეკონომიკის მეცნიერების კრიზისში და შეზღუდულობაში, წინასწარ განჭვრიტოს მოსალოდნელი შედეგი.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკის კვლევა, მეთოდოლოგია, ეკონომიკის პარადოქსები, მეცნიერების კრიზისი.

**FROM THE PARADOXES OF ECONOMICS TO THE CRISIS OF MODERN ECONOMIC SCIENCE**

**Shota Lominashvili**
Doctor of Economic Sciences,
Akaki Tsereteli State University
**Mikheil Tokmazishvili**
Doctor of Economic Sciences,
Akaki Tsereteli State University

**RESUME**

The article explains the tasks of economic research, its contradictory nature and methodological limitations, which became the precondition of the contemporary crisis of economic science. It is noted that economic theories are based on the explanation of the cause-and-effect relationship of the economic events and people's behavior, where for the indeterminacy of behavior diversity range of expected results are heuristic. It is noted that in economic studies, the separation of the main problems is different in various theoretical doctrines, and the main problem of each of them is multidimensional. The abstract character of the theories gives researches the character of only ideal constructions. Micro and macro economic paradoxes methodologically create difficulties in the pragmatic application of theories, which ultimately reveals in the crisis and limitation of economic science to predict expected results in advance.

**Keywords:** economic research, methodology, paradoxes of economics, crisis of science.

* * * *

XXI საუკუნის დასაწყისში მიმდინარე გლობალურმა ფინანსურმა რყევამ გამოავლინა ეკონომიკის მეცნიერების კრიზისული მდგომარეობა, შემდგომ კი ეს მოსაზრება ეკონომისტებს შორის კიდევ უფრო გააღრმავა პოსტპანდემიის პერიოდში ღრმა ინფლაციურმა მოვლენებმა, რომლის წინასწარი განჭვრეტა, ისევე როგორც გლობალური კრიზისისა, არ ხდებოდა და იგი მსჯელობის საგანი გახდა მხოლოდ მისი წარმოშობის შემდეგ.

ეკონომიკის მეცნიერების კრიზისული მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ იგი „დამაკმაყოფილებლად ვერ ასახავს ეკონომიკურ სინამდვილეს და ეკონომიკურ მეცნიერებას, უკეთეს შემთხვაში, უკვე მომხდარი ეკონომიკური მოვლენის ინტერპრეტაცია თუ ძალუძს". [1]

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეკონომიკის მეცნიერების კრიზისი ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან იწყება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში რეალური ეკონომიკური ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ეკონომიკის მეცნიერების მდგომარეობა გაუარესდა. ეკონომიკის თეორიის თითქმის ყველა მიმართულება ან დეგრადირებულია ან გასული საუ-

1 პაპავა ვ.. (2018), ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2018, # 6, გვ 10-11, https://www.researchgate.net/publication/329880693_ekonomikuri_metsnierebis_krizisi_da_akhali_paradigmis_dziebisatvis

კუნის დასაწყისის დონეზეა.[2] დღეს ეკონომიკის მეცნიერება ემყარება ნეოკლასიკურ, მონეტარულ, რაციონალური მოლოდინისა და ქცევით თეორიებს, ასევე სხვა ეკონომიკური სკოლების პოზიციებს. მართალია, გასული საუკუნე იყო ეკონომიკის მეცნირებებში მრავალფეროვანი სკოლების ფორმირების და განვითარების ეტაპი, მაგრამ ეს თეორიები ერთმანეთისაგან იზოლირებული და არაკომპლექსური აღმოჩნდა, რაც ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხდება იმის აღიარებაც, რომ ახალ თეორიებს, რომლებმაც მართალია გაამდიდრეს ეკონომიკის თეორიები, არ ძალუძთ შეცვალონ კლასიკურ ან ნეოკლასიკური თეორიები.[3]

მართალია ეკონოიკურ მეცნიერებაში კვლევის მეთოდოლოგია გამდიდრდა ეკონომეტრიკული, მათემატიკური პროგრამირებითა და თამაშთა თეორიის გამოყენებით, მაგრამ მრავალგანზომილებიან ეკონომიკაში დაშვებების გამოყენება და აბსტრაგირება, სხვადასხვა ფაქტორისაგან, არარეალისტურს ხდის მოდელებს. იქმნება განვითარების მრავალი შესაძლო სცენარი, მაგრამ ქვეყნების ეკონომიკების განვითარება ყოველთვის არ შეესაბამება მეცნიერულ წარმოსახვას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის მეცნიერება ვერ იყენებს ყველა იმ მეთოდოლოგიას, რომელიც მის პოტენციალს გაზრდის.[4]

ეკონომიკის მეცნიერებას ორი ამოცანა აქვს: 1. ახსნას მოვლენები და გააკეთოს დაშვებები, რომელიც გაამარტივებს რეალობის წარმოსახვას. ამ ამოცანაზე დაკისრებული კვლევის ბუნება აბსტრაქტულია და ზოგჯერ არარეალურიც, მაგრამ მიახლოებული რეალობასთან. 2. გამოიყენოს ძველი და შექმნას ახალი თეორია, რომელიც იქნება გამოყენებადი და პრაგმატული. ორივე ამოცანა ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ თუ პირველი ამოცანა არ გახდება მეორე ამოცანის განხორციელების საფუძველი და კვლევა მხოლოდ ეკონომიკური მოვლენების ახსნითა და თეორიული აბსტრაქციებით იქნება შემოფარგლული, მაშინ ეკონომიკის მეცნიერების შედეგების პოლიტიკურ ენაზე „თარგმნა“ შეუძლებელი იქნება.

ეკონომიკაში საუკეთესო სცენარის, მოდელის ან განვითრების მიმართულების არჩევანი არის თვითონ პრობლემა, რადგან მის არჩევას სჭირდება ისეთი ფორმულირება, სადაც გადაწყვეტილების მიღების მეთოდები ალტერნატიულია, მაგრამ საუკეთესო მეთოდის შესახებ ცოდნა აპრიორულად უნდა ჩამოყალიბდეს. [5]

თუ დავუშვებთ, რომ ეკონომიკაში მუდმივი არაფერია, მუდმივად განუხრელი ზრდა შეუძლებელია და ციკლები გარდუვალია, მაშინ ძნელია ეკონომიკურ მეცნიერებას დავაკისროთ აბსოლუტური რეალობის ფუნქცია, მაგრამ ეკონომიკა არ იქნება მეცნიერება, თუ რეალურობას დაშორდა.

ეკონომიკური კვლევების შეზღუდულ ბუნებას რამდენიმე ასპექტი გაჩნია: 1. როდესაც როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში მომავალი ცნობილია ან მინიმუმალურად არის ცნობილი. ასეთ თეორებად შეიძლება წარმოვიდგინოთ კლასიკური და კეინსური თეორიები; 2. მოკლევადიან პერსპექტივაში, მომავალი ბოლომდე არ არის ცნობილი იმის გამო, რომ გარკვეული შეზღუდვები არსებობს ინფორმაციის დამუშავებასა და გამოთვლაში. ძირითადად ეს ეხება ავსტრიული სკოლის თეორიას, რაციონალური მოლოდინების , ქცევების და არჩევანის თეორიებს. 3. ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი მომავალში გამოვლინდება განხორციელებული ცნობილი საქმიანობების შედეგად. ამ პოსტულატის გამოყენების მაგალითებია კეინსის თეორია, მონეტარული თეორია და ინსტიტუციონალისტური თეორია. [6]

ყველა ეს თეორია ემყარება ეკონომიკური მოვლენებისა და ადამიანების ქცევების მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, სადაც მიზეზების მრავალფეროვნებისა და ქცევების განუსაზღვრელობის პირობებში მოსალოდნელი შედეგების სპექტრი მხოლოდ ევრისტიკული ხასიათისაა.

ეკონომიკის მეცნიერების რეალობასთან შეუთავსებლობა და პრაგმატული ფუნქციის შესრულება ხსირად აისხნება აბსტრაქციის ბუნებით, რომელიც კვლევებს მხოლოდ თეორიული კონსტრუქციების ხასიათს აძლევს.

აბსტრაქცია ეკონომიკურ მეცნერებაში ბევრ რამეს ცვლის და ხშირად არარეალისტურს ხდის თეორიულ დებულებებს. ეკონომიკის თეორია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რეალობას. მაგრამ აბსტრაქტული თეორია ყოველთვის ვერ ასახავს რეალობას. მაგალითად, ვალრასის წონასწორიობის თეორიაში დაშვებულია, რომ მოთხოვნა-მიწოდება წონასწორობაშია, ხოლო ფასების კი მუდმივია. ქცევით ეკონომიკაში იმის დაშვება, რომ ფასები არ

2 Давар Э. (2015), КРИЗИС ЭКОНОМИЧЕСКОЙ НАУКИ: ПРИЧИНЫ И ВЫХОД, TERRA ECONOMICUS,I

3 Давар Э., (2015), КРИЗИС ЭКОНОМИЧЕСКОЙ НАУКИ: ПРИЧИНЫ И ВЫХОД, TERRA ECONOMICUS, 2015б Том 13 №2, გვ. 74-75.

4 Leiashvily P., (2021), Macroeconomic Order from Microeconomic Chaos, American Research Journal of Humanities and Social Sciences Volume 7, Issue 1, January 2021, გვ.1, https://mpra.ub.uni-muenchen.de/106791/1/MPRA_paper_106791.pdf

5 ეს ცნობილია როგორც მრავალგანზომილებიანი გადაწყვეტილება მიღების თეორია (Multi-criteria decision analysis (MCDA), multi-criteria decision making (MCDM). „თამაშთა თეორიაში“ საუკეთესოს არჩევანი განუსაზღვრელობის პირობებში შესაძლებელია ალტერნატიული სცენარების მინიმუმადე დაყვანით და არა ერთდერთი სწორი გადაწყვეტილების განსაზღვრით.

6 Paul Davidson (1996), Reality and Economic Theory, Journal of Post Keynesian Economics , Summer, 1996, Vol. 18, No. 4 (Summer, 1996), pp. 485. Published by: Taylor & Francis, Ltd. Stable URL: https://www.jstor.org/stable/4538504https://www.jstor.org/stable/pdf/4538504.pdf?refreqid=excelsior%3Af7ca24aee4d434593541f5776f574252&ab_segments=&origin=

იცვლება, სრულად ეწინააღმდეგება რეალობას. რეალურ ეკონომიკაში ვალრასის თეორია არ მოქმედებს.[7] ასევე დასკვნა, რომლის თანახმად, სრულიად ღია ბაზარმა შეიძლება შექმნას ნულოვანი მოგება, რამდენადაც ფირმების თავისუფალი შესვლით ბაზრებზე მოგება ნულამდე დადის,[8] პრაქტიკულად არ მართლდება. აბსოლუტურად ღია ან ჩეკეტილია ბაზარი კი არარეალურია.

ეკონომიკურ მეცნიერებაში მრავალი პარადოქსია, რომელიც ქმნის თეორიების გამოყენების სირთულეებს. პარადოქსი როგორც აბსურდი, დაშვება, წინააღმდეგობების გამოვლენაა, რომელიც ლოგიკურად არ მოიაზრება, გამოხატავს შეუძლებელ სიტუაციას, რომელიც არსებობს, არის რწმენის საწინააღმდეგო მოვლენა და განსაზღვრავს რეალურ ფაქტებს, რომელებიც შეუთავსებელია ერთმანეთთან, ერთდროულად არსებულია და ურთიერთგამომრიცხავი ქმედებაა.

პარადოქსების საფუძველი თვით ეკონომიკის და ადამიანის ეკონომიკური ქცევების ბუნებაა. მერკანტილიზმის ამოსავალი პირობა იყო გაცვლა. იგი მოთხოვნა-მიწოდების კანონზე არის დამყარებული, ისევე როგორც კლასიკური თეორია, რომლის ამოსავალი წერტილი წარმოებაა. თანამედროვე რეალობა კი სრულიად სხვა პირობებს აყენებს: ეკონომიკის ამოსავალი კატეგორია ხდება მოხმარება. საზოგადოება მოიხმარს პროდუქტს, რომლის ტოლფასი ღირებულებაც მას არ აქვს შექმნილი, რადგან სულ უფრო მეტად იზრდება კრედიტების წილი მშპში. პროდუქციის ფასი უფრო მეტია, ვიდრე ის ფასი, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო იმ შემთხვევაში, რომ ყოველ ეკონომიკურ სუბიექტს ჯერ შეექმნა ღირებულება და მერე გაეცვალა იმ პროდუქტში, რომელსაც მოიხმარს პირადად ან წარმოებაში.

ეკონომიკის თეორიაში წონასწორობისა და სრული დასაქმების არსებობაზეა დაფუძნებული მსოფლიოს უნივერსიტეტების სახელმძღვანელოები, ხოლო რეალურად კი წარმოიშვება უწონასწორობა, როდესაც მოხმარებული პროდუქციის ღირებულება აღემატება წარმოებული პროდუქციის ღირებულებას კრედიტის სიდიდით, ხოლო მომხმარებელთა აგრეგირებული შემოსავლები კი გამოშვებულ ღირებულებაზე ნაკლებია.

ღირებულება ყოველთვის არ იყიდება და მას არ აქვს გაცვლითი ფორმა. ამას ადასტურებს ე.წ. კენეტ ეროუს პარადოქსი, რომლის თანახმად, ინფორმაციას არ აქვს ღირებულება თუ მომხმარებელმა არ იცის რა არის იგი, მაგრამ ინფორმაციის გაგების შემდეგ მას უკვე აღარ აქვს ღირებულება.[9] ინფორმაციის შეძენა ხდება ხარჯების გარეშე. როდესაც მეწარმე უხსნის მომხმარებელს საქონლის ტექნოლოგიას, იგი გადასცემს მას ინფორმაციულ ფასეულობებს, რომელიც არ იცვლება ფულში და არ არის კომპენსირებული. ფასები არ შეიცავენ ინფორმაციას და თუ ვინმე მოიწადინებს ინფორმაციის მიღებას, ამას იგი აკეთებს კომპენსაციის გარეშე. ანუ გაცვლა არ არის ღირებულების მონეტარული გამოვლენის ფორმა. ამის შესაბამისად ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე გამოშვებული ფულის რაოდენობა. ეს კი სწორედ ასაბუთებს იმას, რომ მოხმარება აღემატება გამოშვებას.

კლასიკურ მაკროეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთსა და ფასებს შორის ურთიერთობა და ღირებულების პარადოქსი, ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია როგორც ალმასის და წყლის პარადოქსი. იგი გამოხატავს ღირებულების აღიარების წინააღმეგობებს: კერძოდ, წყალი უფრო მეტად სასიცოცხლოდ სასარგებლოა ადამიანისთვის, ვიდრე ალმასი, მაგრამ ალმასებს ბაზარზე უფრო მაღალი ფასი ადევს. (ა. სმიტი). შესაძლებელია საგანს ჰქონდეს მაღალი სახმარი ღირებულება, მაგრამ მისი საცვლელი ფასი იყოს დაბალი და პირიქით. მოთხოვნა-მიწოდების ეს პარადოქსი მარჟინალიზმმა ზღვრულ სარგებლიანობას დაუკავშირა: რაც უფრო იზრდება რაოდენობა, მით უფრო მცირდება მისი სარგებლიანობა. ეს თეზისი კი წინააღმდეგობაშია მოთხოვნა-მიწოდების კლასიკურ თეორიასთან.

ეკონომიკის თეორიაში არსებობს სხვა ურთიერთგამომრიცხავი წინააღმდეგობებიც.[10] მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე დახლართულია, საპროცენტი განაკვეთისა და ფასების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მათ შორის არსებობს როგორც პოზიტიური კორელაცია, ასევე ნეგატიური დამოკიდებულება.[11]

ყველა ქვეყანაში ფულის ზრდა წინ უსწრებს ეკონომიკის ზრდას. შესაბამისად თუ გავითვალოსწინებთ, რომ მოთხოვნა წინ უსწრებს წარმოებას, მაშინ ფულის ზრდას უსასრულო ხასიათი უნდა ჰქონდეს. ფულის რაოდენობრივი თეორია ამტკიცებს, რომ ფულის დაბალი ზრდა იწვევს ფასების ნელ ზრდას, მაგრამ ფულის დაბალი მიწოდება ნელა ზრდის სასესხო კაპიტალს, და ზრდის საპროცენტო განაკვეთს. თუ ეს მართალია, მაშინ ფულის დაბალი მიწოდება უნდა იწვევდეს ფასების შემცირებას და

7 დემურ გიორხელიძე, თანამედროვე (უმაღლესი) მაკეროეკონომიკა, გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2020, გვ.89. https://gruni.edu.ge/uploads/files/News/2020/12/demuri_giorkhelidze.pdf

8 Cameron K. Murray (2013), Free entry assumption means zero prices, https://www.fresheconomicthinking.com/2013/12/free-entry-assumption-means-zero-prices.html

9 Samuli Leppälä (2013), Arrow's paradox and markets for nonproprietary information, Cardiff economics Working Paper No. E2013/2 February 2013, გვ 5, https://orca.cardiff.ac.uk/id/eprint/77948/1/e2013_2.pdf

10 ზოგეერთი წინააღმდეგობა, რომელიც გახდა ეკონომიკური კრიზისების წარმოშობის მეთოდოლოგიური საფუძველი, ახსნილია ნაშრომში: თოქმაზიშვილი მ. (2018), გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2018, # 5, გვ.17-22. https://www.eugb.ge/uploads/content/N5/5-02.pdf

11 Gibson,s Paradox, DBpedia, https://dbpedia.org/page/Gibson%27s_paradox

საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რაც ეწინააღმდეგება პირველ თეზისს.

ეკონომიკის მეცნიერებაში კეინსის ე.წ. „დაზოგვის პარადოქსი" („გადარჩენის პარადოქსი") არის დისკუსიის საგანი. დანაზოგების ზრდა იწვევს საერთო მოთხოვნის შემცირებას და ამით მცირდება მთლიანი გამოშვება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკას. ანუ, რაც მეტად ისწრაფვის საზოგადოება განვითარებისკენ, მით უფრო ნაკლებად ვითარდება იგი. ეს პარადოქსი დაკავშირებულია სამ ალოგიკურ კონსტრუქციასთან: ა). "ვალის პარადოქსის" თანახმად, დანაზოგები ზრდა მიმართულია არა დანაზოგების შექმნისაკენ, არამედ ვალების გადახდისკენ. ბ). „დასაქმების პარადოქსის" თანახმად დასაქმების შემცირება რეცესიის დროს ამცირებს აგრეგირებულ ხელფასებს, რაც თავის მხრივ, იწვევს დასაქმების სურვილის შემცირებას. რეცესიის დროს დასაქმება ამცირებს ხელფასებს, ამცირებს ფასებს და იწვევს დეფლაციური მოლოდინის გაჩენას, რაც თავის მხრივ, აძლიერებს დანაზოგების კეთებას, ამცირებს მოთხოვნას და დასაქმებას. გ). „ფლექსიბილობის პარადოქსის" თანახმად, ხელფასისა და ფასების მოქნილობა „ლიკვიდობის ხაფანგის" არსებობის პირობებში, ხელს არ უწყობს რეცესიებისგან გამოსვლას, არამედ რეალურად მას ამწვავებს. როდესაც სარგებლის განაკვეთის შემცირების დროს უპირატესობა ეძლევა ნაღდი ფულის გამოტანას, და ვალის დეფლაციის შოკის დროს, იზრდება დეფლაციაც და ვალიც, დასაქმება და ხელფასების მოქნილობა იწვევს ხელფასების და დასაქმების შემცირებას.

პარადოქსების გარკვეული სპექტრი დამახასიათებელია რაციონალური ქცევების თეორიებისათვისაც. ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში არისტოტელემ დასვა საკითხი ჰიპოთეზური სიტუაციის შესახებ, როდესაც ადამიანი, რომელიც მშიერიცაა და მწყურვალიც და მდებარეობს საჭმელსა და სასმელს შორის, იგი უძრავი ხდება იქ, სადაც არის, რადგან მას არ შეუძლია რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს - საჭმელი თუ წყალი.[12]

ეკონომიკის სახელმძღვანელოში სტუდენტეს პირველივე მეცადინეობაზე ასწავლიან, რომ ადამიანი ღებულობს რაციონალურ გადაწყვეტლებას, თუმცა რაციონალურობა ირაციონალურობასთან ერთად არის დამახასიათებელი თანამედროვე საზოგადოებისთვის. ეს წინააღმდეგობა კარგად ვლინდება საფონდო ბირჟებზე აგენტების საქმიანობაში, როდესაც ერთი აგენტის მიერ რაციონალური გადაწყვეტილების მიღება არ მეორდება მეორეს მიერ იგივე გადაწყვეტილებით მიღებულ შედეგებში.

რაციონალური ქცევებისათის დამახასიათებელი წინააღმდეგობებს ქმნის საუკეთესო არჩევანის მიმბაძველობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების ბუნება.

როდესაც ბაზრის სუბიექტებს აქვთ სრული ინფორმაცია, მაგრამ იძულებული არიან მიიღონ ირაციონალური გადაწყვეტილებები, მაგალითად, აუქციონზე ყოველი შემდგომი ბიჯი არის ბირჟაზე მოთამაშის დანაკარგის ზრდა და გულისხმობს გასაყიდი საგნის ღირებულების შემცირებას. შესაბამისად სუბიექტების ქმედება საუკეთესო არჩევანის განხორციელებისას განსხვავდება მათ მიერ სარგებლის მოლოდინის აღქმისაგან, ადამიანები ერთმანეთის მიმბაძველობით აკეთებენ საუკეთესო არჩევანს. მათი რაციონალური გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ოპონენტი (ჟან ტიროლის „არაკორპორაციულ თამაშთა თეორია"), თუმცა როდესაც ამით ერთი ნახულობს სარგებელს, სხვები იგივე ქცევით კარგავენ მას.

რაციონალური გადაყვეტილებები ხანმოკლე პერიოდებზეა გათვლილი და რაციონალურად მოაზროვნე არ თამაშობს სპეკულაციურად, თუმცა ასეთი მიოპიური გადაწყვეტილებები ქმნის ფასების ბუშტს და საბოლოდ კი წარმოშობს საფინანსო კრიზისებს.

ამასთან დაკავშირებით ცნობილია ე.წ. „აბილენის პარადოქსი", რომლის თანახმად, ადამიანებს შეუძლიათ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელსაც არ იზიარებენ, მაგრამ ფიქრობენ, რომ სხვა ადამიანებს სურთ ამის გაკეთება, რის შედეგადაც ყველა გადაწყვეტს გააკეთოს ის, რაც მათ ნამდვილად არ სურთ, მაგრამ ჰგონიათ, რომ ყველას სხვას უნდოდა ეს არჩევანი. საბოლოოდ ყოველი წევრი იმედგაცრუებულია და ერთმანეთს აბრალებს მიღებულ შედეგს.[13] ეკონომიკურ ენაზე ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ეკონომიკური პოსტულატების პოლიტიკური არჩევანის პრობლემა, რაც ქვეყნების განვითარებას ინერციის სახეს აძლევს.

თანამედროვე ეკონომიკის ზრდა აძლიერებს რესურსების გამოყენებაზე მოთხოვნას. შესაბამისად რესურსების უსასრულო მოთხოვნა ანგრევს ეკოსისტემას, ამიტომ დადგა რესურსების ბუნებაში შეზღუდულობის გავრცელების საკითხი და ეკონომიკის თეორიაში ეკონომიკურთან ერთად სოციალური და გარემოს უსაფრთხო განვითარების პრობლემების კვლევის აუცილებლობა. ამან კიდევ უფრო მეტად გააფართოვა ეკონომიკის მეცნიერების სფერო, ასევე, წმინდა ეკონომიკურ ანალიზთან ერთად შეტანილი მორალურ-ინსტიტუციონალური თემებიც, როგორიცაა საწარმოების სოციალური პასუხისმგებლობის მართვა. წარმოშვა ახალი პარადიქსიც - გარემოს დაცვის ღონიზიებები ქმნის ღირებულებას, მაგრამ იგი უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე.

წინააღმდეგობრივმა და გადაუწყვეტელმა ალო-

12 შემდგომ მე-15 საუკუნის ფარნგი ფილოსოფოსმა ბურიდანმა შექმნა ე.წ. „ვირის პარადოქსი", (იხ. Michael Hauskeller (2010), Why Buridan's Ass Doesn't Starve, Philosophy Now,
https://philosophynow.org/issues/81/Why_Buridans_Ass_Doesnt_Starve)

13 Jason Gordon, (2022), What is the Abilene Paradox? The Business Professor,
https://thebusinessprofessor.com/en_US/management-leadership-organizational-behavior/abilene-paradox-definition

გიკურმა თეორიებმა პრაქტიკული ასახვა ჰპოვა 2009-10 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისში. ეკონომიკის მეცნიერებაში სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ალტერნატივების არსებობა, უშვებდა კრიზისების შესაძლებლობასაც და უძლურიც იყო წინასწარ განეჭვრიტა კრიზისი.

XXI საუკუნეში ქვეყნები მარადიულ სტაგნაციაში აღმოჩნდა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ნელა მიმდინარეობს. ძველი ტრადიციული მონეტარული მეთოდებით - ინფლაციითა და გაცვლითი კურსის ცვლილებებით - მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის აღდგენა და მდგრადი განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა, ხოლო კეინსური მეთოდებით, მიწოდებაზე საბიუჯეტო ინტერვენციებით სტიმულირების ზრდა კი ლიმიტირებული რჩება.

შესაბამისად გამოვლინდა მაკროეკონომიკის მითები, რომლის თანახმადაც, ფულის ზრდა ასტიმულირებს ეკონომიკას, შეიძლება ინფლაციის მოთოკვა (მიზნობრივი ინფლაციით), საპროცენტო განაკვეთების მანიპულაცია (პოლიტიკის განაკვეთი) აბალანსებს ეკონომიკას, ინფლაციას, გაცვლით კურსს და გაცვლითი კურსის გაზრდა (ვალუტის გაუფასურება) აძლიერებს ექსპორტზე ორიენტაციას.

ეკონომიკის მეცნიერების წინაშე დადგა ახალი გამოწვევებიც. ძველი დილემა - სოციალური ეკონომიკა თუ ეკონომიკის ზრდა, იცვლება ახალი მოთხოვნებით. კერძოდ, მშპ მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის საკმარისი ცხოვრების დონის ზრდისათვის. შესაბამისად, ეკონომიკის ზრდა სრულად არ არის დაკავშირებული წარმოებულ შემოსავლებთან და არ შეიძლება აიხსნას ასევე მხოლოდ მდგრადობის მაჩვენებლებით, ეკონომიკის ზრდა სოციალურად ინკლუზიური უნდა იყოს. ეკონომიკის პრობლემების გადაჭრაში კი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ე.წ. „გამომგონებლის პარადოქსი": „უმჯობესია ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა, ვიდრე მრავალი მცირე პრობლემის გადაწყვეტა, რადგან ძირითადი პრობლემების გადაჭრა გადაფარავს დანარჩენს". ეს ძირითადი პრობლემა კი ისეთივე მრავალწახნაგოვანია, როგორც ყველა დანარჩენი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. პაპავა ვ.. (2018), ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2018, # 6, გვ 10-11, https://www.researchgate.net/publication/329880693_ekonomikuri_metsnierebis_krizisi_da_akhali_paradigmis_dziebisatvis

2. Давар Э. (2015), КРИЗИС ЭКОНОМИЧЕСКОЙ НАУКИ: ПРИЧИНЫ И ВЫХОД, TERRA ECONOMICUS,IДавар Э., (2015), КРИЗИС ЭКОНОМИЧЕСКОЙ НАУКИ: ПРИЧИНЫ И ВЫХОД, TERRA ECONOMICUS, 2015б Том 13 №2, გვ. 74-75.

3. Leiashvily P., (2021), Macroeconomic Order from Microeconomic Chaos, American Research Journal of Humanities and Social Sciences Volume 7, Issue 1, January 2021, გვ.1, https://mpra.ub.uni-muenchen.de/106791/1/MPRA_paper_106791.pdf

4. ეს ცნობილია როგორც მრავალგანზომილებიანი გადაწყვეტილება მიღების თეორია (Multi-criteria decision analysis (MCDA), multi-criteria decision making (MCDM). „თამაშთა თეორიაში" საუკეთესოს არჩევანი განუსაზღვრელობის პირობებში შესაძლებელია ალტერნატიული სცენარების მინიმუმადე დაყვანით და არა ერთდერთი სწორი გადაწყვეტილების განსაზღვრით.

5. Paul Davidson (1996), Reality and Economic Theory, Journal of Post Keynesian Economics , Summer, 1996, Vol. 18, No. 4 (Summer, 1996), pp. 485. Published by: Taylor & Francis, Ltd. Stable URL: https://www.jstor.org/stable/4538504https://www.jstor.org/stable/pdf/4538504.pdf?refreqid=excelsior%3Af7ca24aee4d434593541f5776f574252&ab_segments=&origin=

6. დემურ გიორხელიძე, თანამედროვე (უმაღლესი) მაკეროეკონომიკა, გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2020, გვ.89. https://gruni.edu.ge/uploads/files/News/2020/12/demuri_giorkhelidze.pdf

7. Cameron K. Murray (2013), Free entry assumption means zero prices, https://www.fresheconomicthinking.com/2013/12/free-entry-assumption-means-zero-prices.html

8. Samuli Leppälä (2013), Arrow's paradox and markets for nonproprietary information, Cardiff economics Working Paper No. E2013/2 February 2013, გვ 5, https://orca.cardiff.ac.uk/id/eprint/77948/1/e2013_2.pdf

9. ზოგეერთი წინააღმდეგობა, რომელიც გახდა ეკონომიკური კრიზისების წარმოშობის მეთოდოლოგიური საფუძველი, ახსნილია ნაშრომში: თოქმაზიშვილი მ. (2018), გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2018, # 5, გვ.17-22. https://www.eugb.ge/uploads/content/N5/5-02.pdf

10. Gibson,s Paradox, DBpedia, https://dbpedia.org/page/Gibson%27s_paradox

11. შემდგომ მე-15 საუკუნის ფარნგი ფილოსოფოსმა ბურიდანმა შექმნა ე.წ. „ვირის პარადოქსი", (იხ. Michael Hauskeller (2010), Why Buridan's Ass Doesn't Starve, Philosophy Now,

12. https://philosophynow.org/issues/81/Why_Buridans_Ass_Doesnt_Starve)

13. Jason Gordon, (2022), What is the Abilene Paradox? The Business Professor,

14. https://thebusinessprofessor.com/en_US/management-leadership-organizational-behavior/abilene-paradox-definition

# სოლიდარული ეკონომიკა (მძლავრი ალტერნატიული იარაღი სამართლიანობის და მშვიდობის უზრუნველსაყოფად)

*სიმონ (ამირან) თავართქილაძე*
*ევროპის ინივერსიტეტის პროფესორი*

*სოფიო მეტრეველი*
*ევროპის ინივერსიტეტის პროფესორი*

## SOLIDARITY ECONOMY (A POWERFUL ALTERNATIVE WEAPON TO ENSURE JUSTICE AND PEACE)

**Simon (Amiran) Tavartkiladze**
professor of European University
**Sofia Metreveli**
professor of European University

**RESUME**

On February 24, Russia invaded Ukraine. In order to declare support to Ukraine, the world imposed economic sanctions on Russia.

The economic sanctions have highlighted completely new political behaviors as an alternative to "open war" and the signs of human solidarity.

In the assessment of the war itself, a whole range of dimensions were revealed - millions of soldiers, tens of thousands of tanks, military helicopters, millions of refugees , hundreds of destroyed cities, villages.

Vrious economic values are used - the supply of weapons, financial and humanitarian aid, the reception of refugees, the imposition of economic sanctions and others. All international economic organizations joined the sanctions against Russia. The business - largest part of the transnational companies left Russia.

The modern values and justice of the society of the civilized world as a powerful tool was presented.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური სანქციები; სოლიდარული ღირებულებები; ახალი პოლიტიკური-ეკონომიკური ქცევა;

* * * *

დრომ და მსოფლიოში განვითარებულმა მიმდინარე მოვლენებმა სრულიად ახალი რეალობა შექმნა. რუსეთის მხრიდან უკრაინის ტერიტორის ნაწილის ანექსიამ, ომმა, ენერგო რესურსული იარაღით მთელი ევროპის დაშანტაჟების ქმედებებმა და მუქარამ ატომური იარაღის შესაძლო გამოყენებაზე და სხვა, მძიმე ვითარება, ურთულესი სიტუაცია და სრულიად ახალი წინააღმდეგობრივი განზომილებები გამოაჩინა.

**მათ შორის სრულიად სხვა სივრცითი მასშტაბის, სხვა შემადგენელითა და ძალითა წარმოჩინდა ეკონომიკური სოლიდარობის მძლავრი იარაღი.** სოლიდარობა არა მხოლოდ წარსულში (საქართველოს და სხვა მაგალითზე) გავრცელებული პრაქტიკით - ომის დაგმობის და წუხილის დეკლარირებული, არამედ, როგორც ქმედითი, რეალური, ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.

**დავიწყოთ ომით, მისი შეფასებით.** რა არის რუსეთ- უკრაინის ომი ? რუსეთის მხრიდან ურცხვად გაცხადებული „სპეციალური სამხედრო ოპერაცია" თუ გეოპოლიტიკური, რეგიონალური მასტაბის სამხედრო მოქმედებათა არეალი-ლოკალური ომი?

**დავინახავთ რომ სახეზეა „მსოფლიო ომის" ყველა ნიშანი და მახასიათებელი.** ომი მიმდინარეობს ევროპაში ყველაზე დიდ სახელმწიფოებს რუსეთსა და უკრაინას შორის, უშუალოდ საომარი მოქმედებების ხაზი ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული, მონაწილეობს ყველა სახის სამხედრო შენაერთი, მილიონობით ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკის კრებსითი არსენალი.

უკვე სახეზეა ათეულ ათასობით ომში დაღუპული, დასახიჩრებული, 10 მილიონამდე ლტოლვილი ადამიანი, ასობით დანგრეული ქალაქი და სოფელი. კიევის ეკონომიკის სკოლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაანგრიეს ან დააზიანეს 338 საწარმო, 511 ადმინისტრაციული შენობა, 18 აეროპორტი, 764 სკოლა და საბავშვო ბაღი, 634 კულტურული დაწესებულება, 27 სავაჭრო ცენტრი და ნავთობის 28 ბაზა .დანგრეულია 140 ათასი საცხოვრებელი სახლი.

**ბუნებრივია ომი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ომში ჩართული სახელმწიფოების ეკონომიკაზე, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზეც. ომმა ახალი მსოფლიო ეკონომიკური განზომილების სირთულეები წარმოაჩინა. ერთი შეხედვით, რა შუაშია ეკონომიკა? მაგრამ რეალობაში ეკონომიკა წარმოადგენს იმ გამზომილებას, რომელიც ომის თავშიც, ომის შუაშიც და ომის შედეგების შემდგომაც ერთერთი ძირითადია. ცალსახად გამოჩნდა რუსეთის განზრახვა დამატებითი ეკონომიკური რესურსების ხელში ჩაგდების მიზანი.** რუსი ეროვნების მოსახლეობის დაცვის საბაბით დაეუფლებინა უკრაინის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ცენტრები. დონბასის

ქვანახშირისა და მეტალურგიული წარმოების პოტენციალი, მარიოპული - უდიდესი აზოვსტალის" მეტალურგიულ კომბინატით, ლუგანსკის ოლქი, აქ არსებული დიზელის ლოკომოტივის ქარხანა, ზაპოროჟიე - ევროპაში ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგურით, ხერსონი - დნეპრისა და შავი ზღვის მნიშვნელოვანი პორტი, ასევე მთავარი გემთმშენებელი საწარმო. ყირიმი - სტრატეგიული ნახევარკუნძული, მნიშვნელოვანი ქალაქებით სიმფეროპოლი და სევასტოპოლი და სხვა.

გავიხსენოთ ისიც, რომ 2008 წელს, რუსეთ - საქართველოს ომის შედეგი - ეკონომიკური რესურსების ხელში ჩაგდების მიზანი. ახალი ოკუპირებული ტერიტორიები, საქართველოს ხელისუფლების იძულება რუსული ბიზნესისათვის დაეთმო სტრატეგიული ეკონომიკური მნიშვნელობის ენერგო ობიექტები ( 16 ჰესი, მე-9 და მე-10 ენერგობლოკი, მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კლ. ხაზები) მსხვილი მადანმომპოვებელი კომპანიები (მადნეული, კვარციტი) და სხვა მსხვილი ობიექტები.

**ამ ომს, გარკვეულწილად, უკვე გააჩნია „მსოფლიო ომის" ყველა ნიშანი და მახასიათებელი.** გარეგნული მდგომარეობით ომი მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარეობს, რეალურად მასში სხვადასხვა ფორმატის ეკონომიკური ღირებულებით - იარაღის მიწოდება, ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება, ლტოლვილების მიღება, ყოვლისმომცველი ეკონომიკური სანქციების დაწესება და სხვა ამა თუ იმ პირდაპირ ან არაპირდაპირ ქმედებებში სხვადსხვა მაკროეკონომიკური პარამეტრებით, ყველა კონტინენტის სახელმწიფოთა უმრავლესობაა ჩართული.

წარსულში ეკონომიკური სანქციების თეორიულ პრაქტიკული არსის შესწავლისას, საინტერესოა სხვადსხვა მოსაზრებები თუ რამდენად ეფექტიანი და რა შედეგის მომტანი იქნება ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება ომის პირობებში. ცნობილი ბრიტანელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინზი მიიჩნევდა, რომ სანქციები და ეკონომიკური სასჯელის სხვა ფორმები არაეფექტურობის და მოულოდნელი (არასასურველი) შედეგების გამოწვევის რისკს შეიცავდნენ. კეინზი აგრესიის მსხვერპლთა დახმარების პროგრამას უჭერდა მხარს. იყო პერიოდი, როცა „ერთა ლიგა" განიხილავდა აგრესიის მსხვერპლთა დასახმარებლად განკუთვნილი ფონდის შექმნის იდეას

უცხოელ მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით, მაგ, რობერტ ფეიფი ნაშრომში „რატომ არ მუშაობს ეკონომიკური სანქციები". (Pape, R. A. (1997). Why Economic Sanctions Do Not Work. International Security გვ. 90-136), განმარტავს რომ ეკონომიკური სანქციები სამხედრო ძალისგან დამოუკიდებლად სასურველ შედეგს ვერ აღწევს. მაშინ, როდესაც, პრინსტონის უნივერსიტეტის მკვლევარი დეივიდ ბოლდვინი მიიჩნევს, რომ ომის დროს ეკონომიკური შეზღუდვებისა და იძულების ფორმების გამოყენება მნიშვნელოვანიც არის და ეფექტიანიც (Baldwin, D. A. (1985). Economic Statecraft. Princeton University Press. 1985, გვ. 3-28). ხოლო ჯეიმს ბურლონი, კანადურ ჟურნალში - განვითარების კვლევები, . „ეკონომიკური სანქციები: ინსტიტუციური ფაქტორი." (Burlone, J.-L. B. (2002). Economic Sanctions: The Institutional Factor.) განვითარებულია მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია სანქციების ქვეშ მყოფი ქვეყნის ინსტიტუციური ფაქტორების გაანალიზება. მათ შორის თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის პრინციპების განვითარებისა და განვრცობის დონე.

ეკონომიკური სანქციების ბუნების და შემადგენლობის და შედეგზე ორიენტულობის შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი კვლევა პეტერსონის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის (ვაშინგტონი) მკვლევარებს გ.ჰაფბაუერს, ჯ.სკოტს, კ.ელიოტის და ბ.ოეგის ეკუთვნის. გაჩნდა ფუნდამენტალური ნაშრომი - „ეკონომიკური სანქციების ხელახალი განხილვა". შესწავლილია XX საუკუნის მანძილზე ( 1915 წლიდან 2000 წლამდე) ყველა ეკონომიკური სანქციების 200-ზე მეტ შემთხვევა. აღნიშნულია, რომ სანქციათა 1/3 იყო ძირითადში წარმატებულია, ხოლო სხვა შემთხვევებში მიზნების ნაწილობრივი მიღწევა მოხერხდა. ავტორები აყალიბებენ დასკვნას, რომ სანქციების დამწესებელი ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სანქციების შედეგი იქნება წარმატებული. (Hufbauer and others, 2007, გვ. 121-142).

საინტერესოა სრულიად ახალი, იელის უნივერსიტეტის 2022 წლის გამოცემის, ნიკოლას მალდერის წიგნი „ეკონომიკური იარაღი: სანქციების როლი თანამედროვე ომში". სადაც აღნიშნულია, „ ეკონომიკური სანქციები ზუსტი იარაღი არ არის. არც მათი გამოყენების შედეგია გარანტირებული. მართალია, ზოგჯერ ალტერნატივა არ არსებობს, მაგრამ ისინი ვერასდროს შეიძენენ ისეთ მნიშვნელობას, რომელიც უსაფრთხოების გარანტიებს აქვს."

ვეთანხმებით ყველა იმ ავტორს, რომ **სანქციების ეფექტურობა დამოკიდებულია სანქციების დამწესებელთა რაოდენობაზე, ქვეყნებზე რომელთაც წონადი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, სართაშორისო ორგანიზაციებზე, რომელთაც საერთაშორისო სამართლის ძალით მოქმედება შეუძლია და ბოლოს მსოფლიო საზოგადოებრივ განწყობაზე, სამართლიანობის შეფასებაზე, სანქციის დამწესებელი ქვეყნების ბიზნესის, მოსახლეობის, მთლიანად საზოგადოების - პოლიტიკურ-ეკონომიკურ ქცევაზე.**

ეს მოვლენები თანამედროვე ღირებულებებზე

დაფუძნებულ ეკონომიკური ქცევის და სრულიად ასალი სოლიდარობის (სანქციებისა და დახმარების პროგრამების) ეფექტურობის პირველი გამოცდაა, რომლებიც ამჟამად საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაა ხელმისაწვდომი

მთლიანობაში, მკვლევრების უმრავლესობა სანქციების ეფექტურობაზე მოქმედ დადებით და უარყოფით ძირითად ფაქტორებად გამოყოფენ, ესენია:

**სანქციების რაოდენობა -** რუსეთი მსოფლიო ისტორიაში პირველი ქვეყანაა დაწესებული სანქციების რაოდენობით, იგი ბევრად აჭარბებს ყველაზე სანქცირებული ქვეყანების - ჩრდილოეთ კორეის და ირანის წინააღმდეგ წლების განმავლობაში განხორციელებული სანქციების ჯამს. 6 ათასი სანქცია, მხოლოდ პირველ 16 დღეში და უკვე სანქციების მე-8 პაკეტი თანამეგობრობის ქვეყნებიდან.

**სანქციების დამწესებელთა რაოდენობა -** უკრაინას სოლიდარობა გამოუცხადა, განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნების აფსოლუტურმა უმრავლესობამ, სანქციების გამოცხადებას შეუერთდა ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიოს სპორტის ფედერაციები, კულტურის კავშირები და სხვა.

უაღრესად საყურადღებოა, რომ უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადა სოლიდარურ ღირებულებაზე დამყარებულმა ბიზნესმა, რუსეთში, ან თანამშრომლობაში მყოფი ტრანსნაციონალური კომპანიების, უდიდესმა ნაწილმა. გააზრებულად დაარღვია, საკუთარი ბიზნესის საზიანოდ, ერთი შეხედვით, მარტივი და მუდმივმომქმედი ეკონომიკური ფორმულა „მოგების მიღების მიზნით" წარმოებული საქმიანობა.

მათ შორის მნიშვნელოვანია მაღალ ტექნოლოგიური ბრენდების ეკონომიკური ქცევა. „ეფლმა" (Apple) შეაჩერა გაყიდვა რუსეთში.„გუგლმა" (Google) დაბლოკა რუსულ მაუწყებლებთან RT-ისა და „სპუტნიკთან" დაკავშირებული მობილური აპლიკაციები.„მაიკროსოფტმა" (Microsoft) განაცხადა, რომ წაშლის RT-ის მობილური აპლიკაციებს Windows App Store-დან და აკრძალავს რეკლამას რუსეთის მედიაში. ლეპტოპების მწარმოებელი „დელი" (Dell Technologies) აჩერებს პროდუქციის გაყიდვებს რუსეთში.

საქმიანობა დაუყონებლივ შეაჩერეს Adidas, Netflix, Puma, Samsung, Zara, Massimo Dutti, Bershka, Oysho, Pull & Bear, Stradivarius, H&M და Mango-ს მაღაზიებმა. რუსეთში 850 რესტორანი დახურა McDonald's. თავის საქმიანობას რუსეთში აჩერებს Coca-Cola და Pepsico, ბაზარს ტოვებენ ამერიკული ჯინსების ბრენდი Levi's-იც. რუსეთში ექსპორტს აჩერებს ყველა მსოფლიო ავტომწარმოებელი Ferrari და LAMBORGHINI, BMW. და Volvo, General Motors-ი და Mitsubishi Motors-ი. და სხვა.

აშშ-მ, ევროკავშირმა, ბრიტანეთმა, კანადამ და სხვ ქვეყნებმა მყისიერად მიიღეს გადაწყვეტილება და პრაქტიკულად მთლიანად ჩაიკეტა საჰაერო სივრცე რუსული ავიაკომპანიებისათვის.

მილიარდობით დოლარის ზარალის მიუხედავად საკუთარი ოპერაციები შეაჩერა ენერგოკომპანიებმა Shell-ი, BP-ი, Exxon Mobil-ი, Equinor-ი. და სხვა.

**საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა** - ომის დაწყებიდან ერთ კვირაში, 2 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც უკრაინაში რუსეთის აგრესიას გმობს. რაც ბოლო 40 წლის განმავლობაში გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ამ ტიპის პირველი რეზოლუციაა. რომელსაც მხარი დაუჭირა 141-მა ქვეყანამ, 35-მა კი თავი შეიკავა. წინააღმდეგ წავიდა მხოლოდ 5, რუსეთთან ერთად, მხარი არ დაუჭირა ჩრდილოეთ კორეამ, სირიამ და ბელარუსმა.

**სპორტი ღირებულებების გარეშე სპორტი არ არის -** მცდარი აღმოჩნდა უსუსური მტკიცება, როგორიცაა, მაგალითად, - „სპორტს და პოლიტიკას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ". შეიძლება ასეც უნდა იყოს, მაგრამ მსოფლიო სოლიდარული აღმოჩნდა მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მიმართ.

**რუსეთი მოწყვეტილია მსოფლიო კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების საერთაშორისო ღონისძიებიდან.** მათ შორის გაუქმდა მსოფლიოში აღიარებული დიდი თეატრის საბალეტო დასის გასტროლები ლასკალას თეატრში. შეწყდა ყველა საზღვარგარეთული ტურნე რუსეთიდან და რუსეთში, ადრე დაგეგმილ კონცერტებზე უარი თქვა მსოფლიოში ცნობილმა ინგლისური როკ-ჯგუფმა ფინქ ფლოიდმა. გავრცელდა მათი განცხადება : „ხალხს, ვისაც არც საკუთარი და არც სხვა ადამიანების სიცოცხლის და თავისუფლების ფასი არ ესმის, ალბათ არც თავისუფალი მუსიკა დასჭირდებათ".

**სანქციების სამიზნე ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები -** რუსეთი მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სანქცირებული ქვეყანა გახდა. დაზარალდა ქვეყნის იმპორტისა და ექსპორტის ნახევარი. ინფლაცია პირველივე თვეში 17%-ზეა და კვლავ იზრდება, ხოლო 2022 წელს ეროვნული წარმოება -30%-მდე შემცირდება. რუსეთის მხოლოდ SWIFT-დან გაშვება ქვეყნის ეკონომიკას 5%-ით შეამცირებდა.

**სანქციების სამიზნე ქვეყნის სავაჭრო დამოკიდებულება -** იმპორტირებული კომპონენტების წილი რუსეთის დამამუშავებელ ინდუსტრიაში 46%-ს აღწევს, ზოგიერთ ინდუსტრიაში კი ნახევარს აღემატება. იმპორტირებული მედიკამენტების წილმა 2021 წელს 67% შეადგინა. რუსული წამლებისთვისაც ნედლეულის 80-85%, საიდანაც რუსული მედი-

კამენტები მზადდება, იმპორტირებულია. იგივეა სხვა სფეროებშიც. იმპორტი ავტონაწილების ბაზარზე 95%-ია; სათამაშოები - 92%; ფეხსაცმელი - 87%; სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა - 86%; ტანსაცმელი - 82%; სუნამოები, კოსმეტიკა - 57%

**სანქციების დამწესებელი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი -** მხოლოდ აშშ-ის ეკონომიკა ცამეტჯერ დიდია რუსეთისაზე, ხოლო გლობალური დასავლეთის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის ნახევარზე მეტია და ის რუსეთს 27-ჯერ აჭარბებს.

**სანქციების ხანგრძლივობა -** სანქციები გაგრძელდება და უმძიმეს გავლენას მოახდენს რუსეთის ეკონომიკაზე და მათ, რეალურად, ომის გაგრძელების რესურსი არც ექნებათ. სანქციები დროის განგრძნობის შესატყვისად თავისი უარყოფითი შედეგით აუცილებლად მასების სიღარიბეს გამოიწვევს. მათ გავლენას რუსეთის თითოეული მოქალაქე იგრძნობს. ხოლო ომის შემდგომი შედეგი საუკეთესო შემთხვევაში იქნება ნაკლები ინვესტიცია, ნაკლები საერთაშორისო ვაჭრობა, რუსეთი ნაკლებად იქნება ჩართული გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში.

**წარმოჩინდა ღირებულებებზე დამყარებული ეკონომიკური სოლიდარობის მძლავრი იარაღი -** რუსეთ უკრაინის ომში, რომ ერთ მხარეს არის დემოკრატიული, თავისუფალი და ქრისტიანული ქვეყნების სამყარო და მეორე მხარეს, ავტოკრატიული, ერთპარტიული, იუდაიზმის, ისლამის, ბუდიზმის და სხვა რელიგიური მიმდინარეობის ქვეყნების საკუთარ ეკონომიკურ სარგებელზე გაცხადებული ძალზე მყიფე კავშირი. ამ ომით რუსეთი დაუპირისპირდა არა მხოლოდ უკრაინას, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროს( ლუკაშენკოს ბელარუსის გარდა).

**წარმოჩინდა საზოგადოების, მოსახლეობის ახალი ეკონომიკური ქცევა - სოლიდარობა.**

დღეს მსოფლიოში სოციალური პრობლემატიკა მზარდი აქტუალობით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით ითქმის სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, სადაც სოციალური განზომილება ყველაზე მაღალ რეგისტრშია აყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო განვითარების ერთნაირ დონეზე არ იმყოფება და არც იდენტური სოციალური სისტემები გააჩნია, მათთვის საერთოა ევროპული ღირებულებები, რომელთა შორისაც სოციალურ ფასეულობებს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია;

სწორედ ამას უშლის ხელს ნებისმიერი ომი და უკრაინის მოსახლეობა დგას უამრავი და ურთულესი პრობლემის წინაშე. ყოველივემ კი თავისთავად განაპირობა ევროპის ქვეყნებში დღეს არსებული სოციალური სოლიდარობის კიდევ უფრო წარმოჩენა, რაც ნიშნავს მდიდარი ქვეყნების მხრიდან უფრო ღარიბი ქვეყნებისთვის დახმარებას, რომლის საბოლოო მიზანიც მოსახლეობის გადარჩენაა. თუმცა, ომი ის ერთადერთი შემთხვევაა, სადაც სოციალური სოლიდარობა ფორმას იცვლის და ომში ჩართული (დაზარალებული) ქვეყნისთვის დახმარების აღმოჩენას ცდილობს არა მარტო მდიდარი, არამედ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ნებისმიერი ცივილიზირებული ღირებულებების მქონე ქვეყანა . ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველო, რომლმაც უკრაინას არა მარტო სახელმწიფო სახსრებით, არამედ თითოეული მოქალაქის მიერ გაღებული მცირე ბენეფიტით გაუწია დახმარება.

**სოლიდარობა წარმოადგენს უმაღლეს მორალურ პრინციპს, უმაღლეს ღირებულებას, რომელიც აღიარებულია საზოგადოების ყველა წევრის მიერ.**

ადამიანის ომისკენ მიდრეკილებისა და მისი მშვიდობიანი ბუნების შეპირისპირებისას, გაცილებით უკეთესი იქნება, არა მხოლოდ მეცნიერული სიზუსტისთვის, არამედ ასევე სოციალურ შედეგთა გამოც, თუ გავითალისწინებთ ადამიანის ბუნების შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურის თეოდორ გაიზელის (იგივე დოქტორ სუსის/ Dr Seuss) სიტყვებს: "თავში გვაქვს ტვინი, ფეხსაცმელში ფეხები. შეგვიძლია, იმ მიმართულებით წავიდეთ, საითაც მოვისურვებთ."

**შემთხვევითი არ არის, რომ ევროპაში უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებიდან ათასობით საზოგადოებრივი თუ საქველმოქმედო ორგანიზაცია, მოხალისეთა ჯგუფები, დახმარების ფონდი და სხვა ადამიანთა გაერთიანება შეიქმნა. არავის დაუვალებია, არც სახელმწიფო ჩარეულა, მაგრამ იმძლავრა სამართლიანობისა და სოლიდარობის განცდამ.**

**სოლიდარობა სხვა არაფერია თუ არა თანადგომა, დახმარება, გაზიარება.** როგორც მატერიალური სიკეთის გაზიარება, ასევე შესაძლოა ზედმეტად მგრძნობიარე, გრძნობებს აყოლილი, სენტიმენტალური მოქმედება, ეს არის უნარი იგრძნო და დააფასო სამართლიანობა და ღირებულებები.

სოლიდარობა არის ცივილიზირებული სამყაროს ადამიანის განათლება, მენტალობა, უნარი - თუ როგორ უნდა მოიქცეს თავისუფალი ადამიანი. ჩვენ ვხედავთ საზოგადოებრივ განწყობას, მოძრაობას - საკუთარი კეთილდღეობის საზიაანოდ მოუწოდებენ ხელისუფლებას რუსულ ენერგომატარებლებზე საერთოდ უარის თქმის თაობაზე.

**"სოლიდარობა არ არის ზედაპირული განცდა, ეს არის მტკიცე და მუდმივი გადაწყვეტილება, რომ ისწრაფვის საერთო სიკეთისკენ, ანუ ყველას და ყველას სიკეთისკენ, რათა ყველას პასუხისმგებლობა გქონდეს ყველას" იოანე პავლე II.**

თავის მხრივ, ეკონომიკური მეცნიერება განსაკუთრებულადაა დაკავშირებული ღირებულებებთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განსხვავებით, მისი თეორიული დასკვნები სწორედ ადამიანების და საზოგადოების საბოლოო გადა-

წყვეტილებებით განისაზღვრება. ეკონომიკის 10 პრინციპიდან ერთერთი -„რაციონალური ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას ზღვრულ ანალიზს იყენებს“. ადამიანი - ეკონომიკური სუბიექტი, რომელსაც სჯერა რომ ადამიანი მაქსიმალური მოგებისაკენ არის მიმართული homo oeconomicus, მივა სხვა შეფასებამდე, ვიდრე ის სუბიექტი, რომელიც ადამიანს სოციალურ და კომპლექსურ არსებად აღიქვამს და ღირებულებებზე დამყარებული ზღვრული ანალიზს იყენებს.

**დღეს შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზირებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა სოლიდარობის ქოლგის ქვეშ გაერთიანდა და ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი მექანიზმი მოთხოვნა - მიწოდება, სოლიდარული მოთხოვნის და სოლიდარული მიწოდების პოლიტიკად ჩამოყალიბდა. დასავლეთის კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებას და საბაზრო კონკურენციას, მოგების მიზანს ემსახურება გარკვეული სახეცვლილება განიცადა - ფასეულობათა ღირებულებების და ადამიანური სოლიდარობის ნიშანი შეიძინა.**

**საბოლოოდ, სოლიდარული ეკონომიკური სანქციებმა და უკვე მიღებულმა შედეგმა გამოიკვეთა სრულიად ახალი ის პოლიტიკური ქცევები, როგორც „ღია ომის“ - ალტერნატივა და ფასეულობათა ღირებულებების - ადამიანური სოლიდარობის ნიშანი.**

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი . 2010, გვ. 13-14
2. Pape, R. A. 1997. Why Economic Sanctions Do Not Work. International Security გვ. 90-136
3. Baldwin, D. A. 1985. Economic Statecraft. Princeton University Press. 1985, გვ. 3-28.
4. Burlone, J.-L. B. 2002. Economic Sanctions: The Institutional Factor.
5. Hufbauer and others, 2007, Peterson Institute of International Economics, გვ. 121-142.
6. N Mulder, N. 2022, “Economic Weapons: The Role of Sanctions in Modern Warfare”, Yale University
7. https://www.facebook.com/-კიევის ეკონომიკის სკოლა, 2022, რადიო თავისუფლების „ეხო კავკაზა“
8. https://europetime.eu › Tags, 2022-01-27
9. EPRC.ge, John Maynard Keynes

# მიგრაციული პროცესების გლობალური გამოწვევები

*ნაზი ჭიკაიძე*
*სტუ-ს პროფესორი*

**რეზიუმე**

გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეულია. მიგრაცია განიხილება, როგორც გლობალიზაციის მთავარი კომპონენტი, იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემაა, რადგან იგი არა მხოლოდ სოციალური, არამედ მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემაც არის და არაერთ სირთულეს ქმნის მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში. მიგრაცია ყოველთვის იყო ადამიანთა პროგრესის და დინამიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. საერთაშორისო მიგრაციაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის ეკონომიკური უპირატესობა ჭარბობს, რომელიც ყველაზე გრძელი და მდგრადი ტენდენციით ხასიათდება. მიგრაციის პოტენციალის გამოყენება სხვადასხვა სექტორში და სხვადასხვა უწყებების მიერ კოორდინირებულ და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, როგორც გლობალურ,ასევე ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც გაამარტივებს კოორდინაციას და ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების დადებითი ეფექტების გაზრდას.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია; ცირკულარული მიგრაცია; შრომითი მიგრაცია; ინტელექტუალური მიგრაცია.

**RESUME**

The high level of globalization is considered a contributing factor to the country's economic and political development. Migration is considered as the main component of globalization, it is one of the most important global problems, because it is not only a social, but also a serious economic and political problem and creates many difficulties in many countries of the world. Migration has always been one of the most important drivers of human progress and dynamics. International migration is influenced by many factors, among which economic advantage prevails, which is characterized by the longest and most sustainable trend. Utilizing the potential of migration in different sectors and by different agencies requires a coordinated and complex approach, both at the global, as well as at the national and local levels. Accordingly, it is important to have such an institutional arrangement that will facilitate coordination and help increase the positive effects of migration processes.

**Keywords:** globalization; circular migration; labor migration; Intelligent migration.

## შესავალი

თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაცია გახდა დაუძლეველი და შეუქცევადი პროცესი, რომელიც მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს და ქმნის მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების გლობალურ სისტემას. გლობალიზაციის პროცესებმა, გლობალურ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებში სწრაფ ცვლილებებთან ერთად, ხელი შეუწყო მიგრაციული პროცესების მკვეთრ ინტენსიფიკაციას და გამოიწვია კაცობრიობის მიგრაციის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყება. მიგრაცია მრავალგანზომილებიანი მოვლენაა, რომელიც ეკონომიკის, სოციოლოგიის, სამართლისა და დემოგრაფიის თვალსაზრისით განიხილება. განხორციელების ფორმებით მიგრაცია შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან იძულებითი, ხოლო დროითი განზომილებით – მუდმივი ან დროებითი. განვითარებადი სამყაროდან განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, როგორც წესი, ეკონომიკური ხასიათისაა და თუმცა დროებით მიგრაციად ითვლება, ხშირ შემთხვევაში მიგრანტთა ნაწილი უკან აღარ ბრუნდება და ლეგალური თუ არალეგალური ფორმებით ცდილობს ამ ქვეყნებში დარჩენას.

## ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო მიგრაცია გადაიქცა უმნიშვნელოვანეს გლობალურ მოვლენად, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე, საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების სტრუქტურის ტრანსფორმაციაზე, შრომითი მიგრაციის გაზრდაზე, დემოგრაფიულ ვითარებაზე და რაც მეტად მნიშვნელოვანია ინტელექტუალურ მიგრაციაზე. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საერთაშორისო მიგრანტების რეგიონულ განაწილებაში. თუ საერთაშორისო მიგრანტების უმეტესი ნაწილი 57.2% იმყოფებოდა განვითარებად რეგიონებში, ახლა საერთაშორისო მიგრანტთა 60%-ზე მეტი მსოფლიოს განვითარებულ რეგიონებშია, ყველაზე მეტი ევროპაში, შემდეგ მოდის აზია და ჩრდილოეთ ამერიკა. ზოგიერთი ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკის მიზნებმა, სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარებამ, მსოფლიო შრომის ბაზრის გლობალიზაციამ მოითხოვა მიგრაციული ქცევის უფრო მეტი მოქნილობა, რაც დროებითი შრომითი მიგრაციის განვითარებაში გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მიგრანტების უდიდესი ნაწილი დასაქმების, განათლების და ოჯახის გაერთიანების გამო მიგრირებს. შრომის ბაზარი, ისევე როგორც განათლების სექტორი, გლობალური გახდა და ადამიანებს, დასაქმებისა და სწავლის უკეთესი პირო-

ბების გათვალისწინებით, დროებითი თუ მუდმივი მიგრაციის შესახებ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ. ამ გლობალური მიგრაციული პროცესების მიღმა არც საქართველო დარჩენილა. საქართველოს შემთხვევაშიც ლეგალურ მიგრაციას (როგორც ემიგრაციას, ასევე იმიგრაციას) ზემოთ დასახელებული სამი ძირითადი მიზეზი აქვს, თუმცა უმთავრესი მაინც შრომითი მიგრაციაა[1]

საერთაშორისო მიგრაციის განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ტენდენციაა უკანონო იმიგრაციის სტაბილური ზრდა. მიუხედავად რესტრუქტურიზებული საიმიგრაციო პოლიტიკის გააქტიურებისა და სპეციალური კანონების მიღებისა, რომლებიც მიმართულია უკანონო მიგრაციასთან ბრძოლაში, მისი მასშტაბები არა მხოლოდ შემცირდა, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

არალეგალური ემიგრაციის ზრდა სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული. მკაცრი კონტროლი ემიგრაციაში და იაფი შრომის მოთხოვნილების ზრდა მუშაკთა უკანონო მიგრაციის სტიმულირებას უწყობს ხელს. მრავალი ქვეყნის უკანონო იმიგრაცია გახდა თანამედროვე რეალობის დამახასიათებელი ფენომენი. აღსანიშნავია ისიც, რომ XXI საუკუნის დასაწყისში აქტუალური გახდა საერთაშორისო ტერორიზმისა და დანაშაულის ზრდის ნეგატიური მოვლენები. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო წლებში არალეგალურმა ემიგრაციამ ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო განვითარებული ქვეყნების ლიდერების, საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, IOM, ევროკავშირი, ევროპის საბჭო და ა.შ.), სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწეებისა და მეცნიერების მხრიდან. ამას თან დაერთო იძულებითი მიგრაციის გეოგრაფიის ზრდა და გაფართოება. იძულებითი მიგრაცია არის მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობების ერთობლიობა, რომლებიც ბუნებით იძულებულნი არიან გდაადგილდნენ მათი კონტროლის მიღმა არსებული მიზეზების გამო (პოლიტიკური და ეროვნული დევნა, ბუნებრივი კატასტროფები, სამრეწველო უბედური შემთხვევები, გარემოზე კატასტროფები, სამხედრო ოპერაციები და ა.შ.)

საერთაშორისო მიგრაციის მზარდი მნიშვნელობა მსოფლიოს დემოგრაფიულ განვითარებაში - კაცობრიობის ისტორიის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, მსოფლიოს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მოსახლეობის ცვლილებას განაპირობებს, რაც ძირითადად მოსახლეობის ბუნებრივ ზრდაზე ახდენს გავლენას. განვითარებულ ქვეყნებში ეს არის მოსახლეობის ზრდის მთავარი (და ზოგიერთ შემთხვევაში ერთადერთი) განმსაზღვრელი, ხოლო განვითარებად ქვეყნებში იგი ხელს უწყობს მოსახლეობის ზრდის ტემპის შემცირებას და დემოგრაფიულ შემცირებას. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მთლიანი ზრდის დაახლოებით 77% განპირობებულია მიგრაციის ზრდით. საერთაშორისო მიგრაცია უზრუნველყოფს არა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების მთლიანი მოსახლეობის ზრდას, არამედ ხელს უწყობს მისი სტრუქტურის ცვლილებას, რაც ასაკობრივ სტრუქტურაში მკვიდრი მოსახლეობის დაბერებაში გამოვლინდება.

ბოლო წლებში ევროკავშირმა გადაწყვიტა, რომ გაატაროს ერთიანი გლობალური პოლიტიკა აღნიშნული ფაქტორების მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ კავშირი ცდილობს, თავი ერთად მოუყაროს და ერთობლივად გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, როგორიცაა არარეგულარული მიგრაცია, საზღვარგარეთის ქვეყნების განვითარება, მაღალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნის დარეგულირება, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა.

მიგრაცია რეალურად ცვლის მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურას, განვითარებადი ქვეყნების საუკეთესო ტალანტების გასვლა მსოფლიოში „ტვინების გადინების" სახელითაა ცნობილი, ეს პროცესები ქმნის მსოფლიო შრომით ბაზარზე მაღალკვალიფიციურ ადამიანურ კაპიტალს. რათქმაუნდა ამ ყველაფერს აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები.

განათლებული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არა მხოლოდ ზრდასრული მოსახლეობაა არამედ ის სტუდენტები რომლებიც ამჟამად იღებენ განათლებას და როგორც მოგვეხსენება მათი მოქმედების არეალი ასევე სცდება მშობლიური ქვეყნების საზღვრებს. შესაბამისად სტუდენტების საზღვარგარეთ გამგზავრების მიზეზებია:

- სუსტად განვითარებული ეროვნული განათლების მიცემის შესაძლებლობა;
- სტიპენდიის ან ფინანსური დახმარების ნაკლები ხელმისაწვდომობა;
- სკოლების, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- უმაღლესი განათლების მქონე სტუდენტებისთვის შეზღუდული შესაძლებლობები.

მთელი რიგი მიზეზების გამო სტუდენტები აღარ ბრუნდებიან სამშობლოში:

ანალოგიურად არსებობს ფაქტორები რომლებიც განაპირობებს შრომითი მიგრაციას და მიმღები ქვეყნები იზიდავენ ინტელექტუალურ სამუშაო ძალას.

ეს პრობლემა საქართველოშიც მწვავედ დგას, რომელიც ორი მიმართულებით გამოვლინდება:

1. საგრძნობლად იზრდება ქვეყნიდან უცხოეთში წამსვლელთა რიცხვი, რომლებიც, ძირითადად, მაღალანაზღაურებად სამუშაოს ეძებენ; მათ უმრავლესობას კვალიფიკაციის შეცვლაც კი უწევს და ძირითადად, ძალზე მძიმე სამუშაოს ასრულებენ.

2. საპირისპიროდ გაიზარდა საქართველოში აფრიკის, აზიის და განსაკუთრებით ჩინეთიდან მიგრანტთა რაოდენობა, რომლებიც დაბალკვალიფიციური სამუშაოთი არიან დაკავებულები; ეს პროცესი, ისევე როგორც ევროპის ზოგიერთ ქვეყანას, გარ-

კვეულ საშიშროებას უქმნის ქართულ სახელმწიფოსაც დემოგრაფიული სიტუაციის თვალსაზრისით. ალბათ, საჭიროა ამ ორივე პროცესზე გარკვეული სახელმწიფოებრივი კონტროლი დაწესდეს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი მონაცემებით, 2021 წელს საქართველო 99974-მა ადამიანმა დატოვა. წინა წლის მონაცემებთან შედარებით ემიგრანტების რიცხვი 34,5%-ით არის გაზრდილი და 17,8%-ით შემცირდა იმიგრანტების რიცხვიც.

შრომითი მიგრაციის პრობლემები, მისი მიზეზები და შედეგები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოსათვისაც. ოჯახთა უმრავლესობა უკვე წლებია „ემიგრანტების მხრებზე დგას''. უმუშევრობა რომ ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ამას საქართველოში გადმორიცხული თანხებიც მოწმობენ,

2022 წლის აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 334,3 მლნ აშს დოლარი (927.4 მლნ ლარი) შეადგინა,რაც 63,1 % -ით (129.4 მლნ აშს დოლარით)მეტია 2021 წლის აგვისტოს მაჩვენებელზე. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 97.8% იმ 25 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებზე მოდის, საიდანაც გზავნილების მოცულობა აგვისტოში თითოეულზე 1 მლნ აშს დოლარის აღემატებოდა. იმავე 25 ქვეყანაზე გასული წლის აგვისტოში მთელი ფულადი გზავნილების 93.0% მოდიოდა.[2]

საქართველოში დემოგრაფიული ფაქტორებისა და გარე მიგრაციის ზეგავლენით სამუშაო ძალის რაოდენობრივი პარამეტრები საგრძნობლად გაუარესდა. მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაბალი დონე და გარე შრომითი მიგრაციის დიდი მასშტაბები გარკვეულ „შეღავათს" აძლევს შრომის ბაზარს, თუმცა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი გადაუჭრელ პრობლემებს აწყდება და წლების განმავლობაში ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას. ერთობლივი სამუშაო ძალის რაოდენობრივ პარამეტრების გაუარესებას თან ახლავს სამუშაო ძალის სტუქტურის დეფორმირებაც. ქვეყანა ინტენსიური გარე მიგრაციის გამო კარგავს ახალგაზრდა, მობილურ, ინიციატივიან ადამიანებს, ვინც აქტიურ შრომით საქმიანობას სხვადასხვა ქვეყანაში ეწევა და ბუნებრივია, ეკონომიკურ დოვლათსაც იქ ქმნის.

ევროკავშირისთვის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებიდან ე.წ. „ტვინის გადინების" პრაქტიკისთვის ხელის შეშლა. ერთის მხრივ, ევროპისთვის უკეთესია თუ იქ ჩასული მიგრანტები მაღალკვალიფიციური პირები იქნებიან, მეორეს მხრივ კი, ქვეყანა, რომელიც კარგავს საუკეთესო ნაწილს მოსახლეობისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოახერხებს სწრაფად განავითაროს საკუთარი ეკონომიკა, რაც მომავალში კიდევ უფრო გაზრდის მიგრანტთა რიცხვს ევროპაში.

„ტვინთა გადინების" ერთ-ერთი დადებითი მხარე ემიგრანტების მიერ მიღებული ინფორმაციის განვითარებად ქვეყნებში გავრცელებაა. ინოვაციების გავრცელებაც სწორედ ინფორმაციის გაცვლით ხდება. შეიძლება ითქვას, რომ გარდა ინფორმაციისა, ინოვაციები და ეკონომიკური განვითარების მოტივაცია არის ტვინთა გადინების ერთ-ერთი პოზიტიური მხარე. მიუხედავად იმისა, რომ განათლებულ ადამიანებს არ ეძლევათ საშუალება პროფესიულად განვითარდნენ თავიანთ ქვეყანაში და შექმნან შესაბამისი ინოვაციები, უცხოეთში შეძენილი შესაძლებლობებით და/ან ნაცნობებით შესაძლებელია ადგილობრივი ეკონომიკის წახალისება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა. უცხოეთიდან ემიგრანტების მიერ ფულის გამოგზავნა არის ტვინთა გადინების ერთ-ერთი დადებითი ასპექტი, რომელიც პოზიტიურია თვითონ განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისათვის. გზავნილების სიდიდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან განსხვავებით, მზარდია. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით ის 550 მილიარდ დოლარს აღწევს.

რაც შეეხება უარყოფით ეფექტებს, ინტელექტუალი მიგრანტების მიერ ქვეყნის დატოვების შედეგად ფერხდება სამამულო ქვეყნებში ინოვაციების განვითარება და ერუდირებული მიგრანტების მიერ შემუშავებული ინოვაციები ვერ ახდენენ ზეგავლენას სამშობლოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ტვინთა გადინების შედეგად, იკარგება როგორც პოტენციური გადასახადების გადამხდელი ადამიანები, ასევე განათლებაში ჩადებული ინვესტიციებიც. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა, ქვეყანაში მცირდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ საზოგადოებისთვის ხარისხიანი სამედიცინო და საგანმანათლებლო სამუშაოების შესრულება. ტვინთა გადინებას უფრო მეტი უარყოფითი ეფექტი აქვს გრძელვადიან პერსპექტივაში, ფერხდება ინოვაციების განვითარება, მცირდება ადამიანური კაპიტალი და ჩქარდება „ერის დაბერების'' პროცესი.

ქართული ინტელექტუალური მიგრაციის ტენდენციები შეესაბამება საერთაშორისო ტვინთა გადინების ტენდენციებს. ემიგრაციის ძირითადი სურვილი გამოწვეულია ეკონომიკური ინტერესებით და რაც უფრო ნაკლები შემოსავალი აქვთ მოქალაქეებს მით უფრო დიდი სურვილი აქვთ წასვლის. თუმცა, არის გარკვეული თავისებურებები, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს და მათი ემიგრაციის სურვილს უნიკალურს ხდის, როგორიცაა სხვადასხვა რეგიონული თუ გენდერული განსხვავებები.

მიიჩნევა, რომ აღნიშნულ პრაქტიკასთან ბრძოლის ერთ-ერთი გზა არის ცირკულარული მიგრაცია. ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარება ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული თანამშრომლობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. როგორც ლეგალური მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, სწორად მართული ცირკულარული მიგრაცია სარგებლის მომტანია, როგორც

მიგრანტებისთვის, ასევე მიმღები და გამგზავნი ქვეყნისთვისაც. კერძოდ, ის წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას არალეგალური მიგრაციის შემცირებისათვის და ასევე ხელს უწყობს მიგრანტის გამგზავნ თუ მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარებას საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია[3].

ზოგიერთი ოფიციალური პირი ევროკავშირში და მის წევრ ქვეყნებში ფიქრობს, რომ ცირკულარული მიგრაცია მრავალი პრობლემის მოგვარებას შეძლებს. კერძოდ: სამუშაო ადგილები შეივსება ევროპაში, შემდეგ კი მიგრანტები დაბრუნდებიან საკუთარ სამშობლოში ფინანსებით. თუმცა ძნელად დასაჯერებელია, რომ ღარიბი ეკონომიკის ქვეყნიდან წასული პირი, რომელმაც ევროპაში უკეთესი პირობები იხილა და დასაქმდა, ისევ მოისურვებს უკან, განვითარებად ქვეყანაში დაბრუნებას. ამიტომ, მბრუნავ მიგრაციასთან დაკავშირებით პოლიტიკის განხორციელებისას სიფრთხილეა საჭირო.

ისევე როგორც ევროკავშირში, საქართველოს შრომის ბაზარზე მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) დარგის პროფესიონალების მწვავე დეფიციტია. საქართველოს სამუშაო ძალის უდიდეს ნაწილს კვალიფიკაცია გააჩნია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, რაზეც ყველაზე დაბალი მოთხოვნაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ქართული შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ევროკავშირში არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების გარკვეული შესაძლებლობები, რომ ხელოსნები, სასტუმრო/რესტორნების ინდუსტრიის მუშაკები და მძღოლები ცირკულარული მიგრაციის ყველაზე მაღალი პოტენციალით ხასიათდებიან. ICT სფეროს სპეციალისტები, ექიმებთან ერთად მაღალკვალიფიციური მუშაკების ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებიც სახელმწიფო ხელშეწყობის გარეშეც მოახერხებენ საზღვარგარეთ დასაქმებას. იმ პროფესიების გათვალისწინებით, რომლებიც ყველაზე პრიორიტეტულად ჩაითვალა ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარებისათვის, საქართველოსთან თანამშრომლობის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ქვეყნებია: ავსტრია, გერმანია, ბელგია, იტალია, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, პოლონეთი, მალტა და ხორვატია.[4]

## დასკვნა

ნებისმიერი ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა ემყარება საერთაშორისო საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების -გაერთიანებული ერების ორგანიზაციების კონვენციებს, წესდებებს, რეზოლუციებსა და სხვა დოკუმენტებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, ევროპაში უსაფრთხოებისა დათანამშრომლობის ორგანიზაცია და სხვ. გაეროს მოსახლეობის კომისია სუბსიდირებს ეროვნული მიგრაციის პროგრამებს. მიგრაციის პოლიტიკის სფეროში საერთაშორისო ნორმებს შეუძლია მიმართოს ყველა ქვეყანას ან ცალმხრივად გამოიყენოს სპეციალური ხელშეკრულებებით გაერთიანებული ქვეყნების ჯგუფი [მაგალითად, ევროპის ქვეყნების შენგენის შეთანხმება, აშშ-სა, კანადასა და მექსიკას შორის შეთანხმება (NAFTA), რომელიც უზრუნველყოფს შრომითი გადაადგილების თავისუფლებას].

მიგრაციული მპროცესების მართვა დღესაც საქართველოს უმწვავეს პრობლემად რჩება, რადგან გატარებული პოლიტიკა სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც მიგრაციულ პროცესებს თან სდევს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მეტი დრო დაეთმოს მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებას, გაანალიზებასა და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ ნაკლოვანებების საბოლოოდ აღმოფხვრას.

მიგრაციის პოლიტიკა აგვარებს არა მხოლოდ მიგრაციის პრობლემებს, არამედ ეკონომიკის განვითარების ამოცანებს, ადამიანის უფლებების პატივისცემას, ოჯახის გაერთიანებას, ქვეყნის ეთნიკურ მრავალფეროვნებას, კულტურულ ჰომოგენურობას და ა.შ. მრავალ ქვეყანაში მიგრაციის პოლიტიკის ზომები მოიცავს მიგრაციასთან დაკავშირებული სხვა მიდგომებით განსაზღვრულ უამრავ მიდგომას, როგორიცაა ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ბუნება, დასაქმების პრობლემები და სამუშაო ასაკის მოსახლეობის დინამიკა, შრომის ბაზრის მდგომარეობა და ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბება გეოპოლიტიკური ინტერესებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია თბ.2020; გვ.22
2. https://nbg.gov.ge/statistics/interactive გადამოწმდა 24.10.2022
3. ქართული სამუშაო ძალის ევროკავშირის ქვეყნებში ცირკულარული მიგრაციის პოტენციალის კვლევა https://www.icmpd.org/fileadmin/1_2018/Publications_2018/Case_Study_GR_IT_ES_Final.pdf
4. საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ ძალაში შესულია -01/11/2015. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806

# საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე

***ელენე მენაბდე-ჯობაძე***
*სტუ-ს ასოც. პროფესორი*

***ნანა ნიკოლეიშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**IMPACT OF TAX POLICY ON THE DEVELOPMENT OF ENTREPRENEURSHIP**

**Elene Menabde-Jobadze**
associate profesor of GTU

**Nana Nikoleishvili**
Phd student of GTU

**ABSTRACT**

Promotion of entrepreneurial activity has a great place in the development of the economy. Taxes that each entrepreneur pays have an impact on the promotion or development of small and medium-sized businesses. The article presents the positive aspects that can be achieved by tax incentives and subsequently its impact on the development of the economy. The disadvantages that may come with these steps are also very important. Ways of their avoidance and prevention are discussed. Short-term acute issues are shown.

Promotion of entrepreneurial activity is of great importance for such an economically developing country as Georgia. It is necessary to encourage them with tax policy. The state should try to create a competitive environment, imported products should not oppress local production. Healthy competition always creates an incentive to strive for better opportunity. The state should give local entrepreneurs as much as possible grace periods or any financial benefits so that they can be more productive.

During the preparation of the article, it became clear that entrepreneurs did not have complete information in this regard. When any news is introduced for a specific category, first of all, it should be planned to distribute information flows to specific individuals. Because the user and evaluator of the innovation is the entrepreneur. As a result of the research, it was revealed:

- Lack of access to tax-related information for entrepreneurs in Georgia;
- Gaps in preferential tax programs;
- Advantages and disadvantages of programs and reforms developed by the state are investigated.

**საკვანძო სიტყვები:** ეკომიკური განვითარება, მეწარმეობა, საგადასახადო პოლიტიკა.

* * * *

მცირე და საშუალო მეწარმეობას უდიდესი ადგილი უჭირავს ეკონომიკაში. გადასახადები, რომლებსაც თითოეული მეწარმე იხდის, გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებასა თუ განვითარებაზე. სტატიაში წარმოჩენილია ის დადებითი მხარეები, რომლებიც მიიღწევა საგადასახადო შეღავათებით და შემდგომში მისი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე. ასევე ხაზგასმულია უარყოფითი მხარეები, რომლებიც შეიძლება მოყვეს ამ ნაბიჯებს. განხილულია მათი თავიდან არიდების და პრევენციის გზები.

სტატიაში ნაჩვენებია მოკლევადიან პერიოდში არსებული მწვავე საკითხები. კერძოდ: საგადასახადო შეღავათები იწვევს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სიმწირეს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მისი დეფიციტი გადაიფარება მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მიღებული შემოსავლებით.

ეკონომისტებისთვის ნორმალური მოვლენაა მოკლე და გრძელვადიან პერიოდში შედეგების არსებული სხვაობები. რაიმე პროექტისა თუ პროგრამის შედეგიანობა ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოჩენილი მოკლევადიან პერიოდში, მას სჭირდება დრო რომ მივიღოთ ის შედეგი, რისი მოლოდინიც აქვს ექსპერტებს. შედეგი ზოგჯერ ამართლებს მოლოდინებს, ზოგჯერ კი არა. სწორედ ამ მიზეზით, პირველ რიგში, საგადასახადო პოლიტიკა, საგდასახადო შეღავათები უნდა შეირჩეს დიდი დაგეგმვის, ანალიზის შედეგად. თუ მოკლევადიან პერიოდში საგდასახადო პოლიტიკით გამოწვეული დეფიციტი, ბიუჯეტში ვერ გადაიფარა შემოსული თანხების მასებით, წარმოიქმნება ბიუჯეტის დეფიციტი. ის დარგები, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან, ფინანსური სახსრების გარეშე რჩება. ეს ფაქტი კი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დარგების წინსვლას და განვითარებას აფერხებს, რაც უდავოდ კრიზისულ სიტუაციას ქმნის.

სწორად შერჩეული საგადასახადო პოლიტიკა კი პირიქით, ზრდის წარმოებას, განავითარებს მცირე და საშუალო ბიზნესს, ქმნის მეწარმეებისთვის სტიმულებს: დაიწყონ წარმოება, გაზარდონ წარმოების მოცულობა, გაზარდონ დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა.

მეწარმეობის განვითარება და ზოგადად ის ბარიერები რაც არსებობს ამ კუთხით ერთმანეთის

პირდაპირპროპორციულია. რაც უფრო გაიზრდება ბიზნესისთვის ბარიერები, რომლის ერთ-ერთი მაგალითიცაა საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც არ არის ორიენტირებული ბიზნესის წასახალისებლად, მით უფრო შემცირდება სტიმულები ბიზნესმენებისთვის დაიწყონ კონკრეტული საქმე ან უბრალოდ გაზარდონ წარმოება. ბიზნესი თავის მხრივ, ისედაც ასოცირდება რისკებთან და ამას დამატებული კიდევ საგადასახადო ბარიერები უფრო მეტად ამცირებს სტიმულებს. ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ, სწორედ ეს არის ამოსავალი იმისა, რომ შევქმნათ სხვადასხვა სტიმული იმისთვის, რომ ამ სტიმულებს მოყვეს შესაბამისი რეაგირება. სტიმულები ბევრნაირი არსებობს: ინფორმაციული ნაკადების გაზრდა, წარმატებული მეწარმეების ისტორიების გაზიარება, სამართლებრივი გარემო, დაცულობის შეგრძნება, საგადასახადო შეღავათები და სხვ.

მცირე და საშუალო მეწარმეობა, ისეთი ეკონომიკური განვითარების ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, პრიორიტეტი უნდა იყოს. საგადასახადო პოლიტიკით მათი წახალისება კი ერთმნიშვნელოვნად აუცილებელი. საქართველოს ბიუჯეტის უდიდესი წილი, სოციალურ დახმარებებზეა მიმართული, რაც მეტყველებს უდიდეს პრობლემაზე, უმუშევრობაზე. უმუშევარ მოსახლეობას არ აქვს წვდომა ამა თუ იმ საჭირო რესურსებსა და მომსახურებაზე, მათ შორის განათლებაზე. განათლების უქონლობა კი თავის მხრივ ქვეყნისთვის გრძელვადიან პრობლემას ქმნის. ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა შვილებს განათლება მისცენ, მათ შორის პროფესიული განათლება, ახალგაზრდები პროფესიის გარეშე რჩებიან. შესაბამისად, მათ არ ექნებათ საკუთარი საქმე და სამომავლოდ, როგორც მათი მშობლებლები, ვერ შეძლებენ თვითრეალიზებას, რაც სახელმწიფოსთვის გრძელვადიანი პრობლემატური საკითხი იქნება. ასეთი ოჯახების სიმრავლე კი მეტყველებს ამ საკითხის მწვავე ხასიათზე და მისი გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობაზე.

ერთ-ერთ გზად ამ კუთხით, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება შეიძლება მივიჩნიოთ. დღეისათვის უამრავი ადამიანია ჩართული ამ საქმიანობაში, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული ადამიანების დასაქმებას, წარმოების ზრდას, ექსპორტირებული პროდუქციის ზრდას, ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებას თანამემაულეების მიერ წარმოებული პროდუქციით, იმპორტის შემცირებას. სახელმწიფო უნდა ეცადოს შექმნას კონკურენტული გარემო, იმპორტირებულმა პროდუქციამ არ უნდა დაჩაგროს ადგილობრივი წარმოება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომხარებელს არ მივცეთ არჩევანის საშუალება, პირიქით, რაც უფრო მეტად იქნება არჩევანის საშუალება, ეს შექმნის ჯანსაღ კონკურენციას, შექმნის სტიმულებს, რომ მეტად განავითარონ თავიანთი პროდუქცია თუ მომსახურება. ჯანსაღი კონკურენცია ყოველთვის ქმნის სუკეთესობისკენ სწრაფვის ტიმულებს. ეს აუცილებელია ნებისმიერ სფეროში, მათ შორის ეკონომიკაში. სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს ისეთი ნაბიჯები, რაც ადგილობრივ მეწარმეებს მაქსიმალურად მისცემს საშეღავათო პერიოდებს ან რაიმე ფინანსურ შეღავათებს, რათა მათაც შეძლონ კონკურენციის გაწევა, წარმოების გაზრდა.

საქართველოში წლების მანძილზე სხვადასხვა პროექტი განხორციელდა ამ კუთხით, მაგრამ შედეგისთვის აუცილებელია კიდევ უფრო მეტი წამახალისებელი ღონისძიება დაიგეგმოს. ჩატარდეს კვლევები და გამოიკვეთოს ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების საჭიროებები, მათი კმაყოფილების დონე უკვე არსებული პროექტების მიმართ და რეკომენდაციები. საკითხი აქტუალურია და საჭიროებს უფრო მეტ კვლევას, საზოგადოების კიდევ უფრო მეტად ინფორმირებულობას და ფინანსურ წახალისებას.

სტატიის მომზადების საწყის ეტაპზე, გვქონდა მოლოდინი, რომ მცირე და საშუალო მეწარმეებს ექნებოდათ სრულყოფილი ინფორმაცია, არსებული საგადასახადო შეღავათების შესახებ, მაგრამ უშუალოდ გამოკითხვის პროცესშიც კი შესამჩნევი იყო, რომ მათ არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია ამ კუთხით. მათ უმეტესად იცოდნენ პროექტების დასახელებები, მაგრამ არ იცოდნენ, თუ რას ემსახურებოდა ეს საშეღავათო პროქტები ან/და როგორ შეეძლოთ მათით სარგებლობა.

თვალსაჩინოა, რომ როდესაც რაიმე სიახლე ინერგება კონკრეტული კატეგორიისთვის, პირველ რიგში, რაც უნდა დაიგეგმოს ეს სწორედ ინფორმაციული ნაკადების გავრცელებაა კონკრეტულ პირებამდე. რადგან სიახლის მოსარგებლე და შემფასებელი სწორედ მეწარმეა. არა მხოლოდ უკვე დაგეგმილ პროექტზე, არამედ უშუალოდ დაგეგმვის პროცესშიც თუ ჩაერთვებიან მეწარმეები და საკუთარ ინტერესებს გამოხატავენ, ეს უფრო შედეგიანი იქნება, განსაკუთრებით ისინი, ვინც უკვე ისარგებლა, დაასაქმა მეტი ადამიანი და გაზარა წარმოება.

კვლევის შედეგად გამოვლენილია:

- საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეების საგადასახადო კუთხით ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობა;
- წარმოჩენილია საშეღავათო საგადასახადო პროგრამებში არსებული ხარვეზები;
- გამოკვლეულია სახელმწიფოს მხრიდან შემუშავებულ პროგრამებში რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის შედეგებით, მეწარმეები დადებითად აფასებდნენ იმ ცვლილელებს, რაც წლების მანძილზე განხორციელდა საგადასახადო კუთხით, მაგრამ გასათვალისწინებელია ის პრობლემებიც, რასაც ისინი ამ ეტაპისთვის წარმოაჩენენ.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი ისურვებდა გადასახადების კუთხით ინფორმაციული ნაკადე-

ბის უფრო მეტად ზრდას, უფრო მეტ საშეღავათო პროგრამას, რაც ნაკლებ ბარიერებს შეუქმნის მეწარმეებს, გადასახადების საშეღავათო პერიოდების ზრდა და ა.შ.

ზოგადად ეკონომიკისთვის საგადასახადო ბარიერები აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას. მაგალითისთვის თუ რომელიმე ქვეყანა გაზრდის იმპორტის გადასახადს, ამის საპასუხოდ სხვა ქვეყნებმაც შესაძლებელია იგივე პოლიტიკა წარმართონ და ეს შეაფერხებს ექსპორტსაც ამ ქვეყნისთვის. რაც უფრო მეტად ლიბერალური საგადასახადო სისტემა ექნება ქვეყანას, მით უფრო მეტად იქნება საზოგადოების მხრიდანაც მზაობა თავი არ აარიდოს გადასახადებს, სიმარტივე კი დაეხმარება რაც შეიძლება ნაკლები ჯარიმები გადაიხადონ.

ქვეყანამ უნდა შეძლოს, საგადასახადო სისტემის მიმართ, სწორი ხედვის ჩამოაყალიბება. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, არაა მარტივი, დამოკიდებულია შესაბამისი ორგანოების კომპეტენტურობაზე, საზოგადოების ცნობიერების დონეზე, იმაზე თუ რამდენად აქვთ ნდობა შესაბამისი ორგანოების მიმართ, პროცესების გამჭირვალობაზე, ისტორიულ ფონზე, წარსულ გამოცდილებებზე და იმ გრძელვადიან ხედვებზე, რასაც შესაბამისი სტრუქტურები აყალიბებენ.

ამ კომპლექსური ერთიანობის ფონზე მიიღწევა შედეგი, რასაც ეწოდება ეფექტური საგადასახადო სისტემა, რაც თავის მხრივ შედეგად გვაძლევს ძლიერ ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობას. იზრდება ადამიანების მზადყოფნა გადაიხადონ და თავი არ აარიდონ გადასახადებს, რაც ბიუჯეტის მობილიზებას ახდენს საჭირო ფულადი სახსრებით, ამ მობილიზებული ფულადი სახსრებით კი ფინანსდება ისეთი სფეროები, როგორიცაა თუნდაც ჯანდაცვა, განათლება, თავდაცვა და ა.შ.

დასკვნის სახით: სახელმწიფოს მხრიდან შესაქმნელია პროექტები, რომლებიც მორგებული იქნება უშუალოდ მეწარმეებზე, მათ ინტერესებზე და სურვილებზე. მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. აუცილებელია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა დასაგეგმ პროექტებზე, მონაწილეობის პირობებზე, მოსალოდნელ სარგებელზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ქორჩილავა რ., საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი, 2018, 222 გვ.
2. Glossary of business statistics, Methodology for business statistics, European Communities, Luxembourg, DIW Berlin, 2019.
3. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/91/sakhelmtsifo-finansebis-statistika უკანასმნელად გადამოწმებულია - 21.06.2022
4. https://old.rs.ge/6361 უკანასკმნელად გადამოწმებულია - 21.06.2022
5. http://www.conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=266&title უკანასკმნელად გადამოწმებულია - 21.06.2022

# ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები

*აკაკი გვარუციძე*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

*ჯონი ბარიშვილი*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სამეცნიერო სტატიაში განხილულია ინოვაციური ინფრასტრუქტურის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები. აღნიშნულია, რომ ინოვაციური პროცესების ორგანიზაციულ ფორმაში იგულისხმება საწარმოთა კომპლექსი, ცალკე საწარმო ან მისი ქვედანაყოფი, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული იერარქიული ორგსტრუქტურით და ინოვაციური პროცესების მართვის მექანიზმის შესაბამისი სპეციფიკით. საქართველოში ინოვაციური პროცესების ორგანიზაციული ფორმები წარმოდგენილია მოძველებული ინსტიტუციური სტრუქტურების – სამეცნიერო–საწარმოო გაერთიანებების, სამეცნიერო კვლევითი და საკონსტრუქტორო – საპროექტო ორგანიზაციების სახით, რომელთა როლი და საქმიანობა ქვეყანაში უმნიშვნელოა. ინოვაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის ჩვენ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმართულებით საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილების გაცნობას და დანერგვას. ამ საწარმოთა შექმნამ მთელ რიგ ქვეყნებში საფუძველი ჩაუყარა ინოვაციათა ფართო მასშტაბით გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური, ვენჩურული, საპროექტო, პროგრესული, ინკუბატორი, ტექნოლოგიური

**INNOVATIVE ECONOMY MODERN ORGANIZATIONAL FORMS**

**Akaki Gvarutsidze**
Associate Professor of GTU
**Johnny Barishvili**
Phd student of GTU

**RESUME**

The scientific article discusses modern organizational forms of innovative infrastructure. It is noted that the organizational form of innovative processes means a complex of enterprises, a separate enterprise or its subdivision, which are characterized by a certain hierarchical organizational structure and the specifics of the management mechanism of innovative processes. In Georgia, the organizational forms of innovative processes are presented in the form of outdated institutional structures - scientific-industrial unions, scientific research and construction-project organizations, whose role and activity in the country is insignificant. In order to perfect the innovative infrastructure in our country, it is very important to get to know and implement the experience gained in developed countries abroad in this direction. The creation of these enterprises laid the foundation for the large-scale use of innovations in a number of countries.

**Keywords:** innovative, venture, project, progressive, incubator, technological

* * * *

ინოვაციები ეკონომიკისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ლოკომოტივად გვევლინება, რომელთა შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გარეშე საზოგადოებრივი პროგრესი შეუძლებელია. დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ რეჟიმში გადაყვანის მდიდარი გამოცდილება არსებობს, რომელთა შესწავლა და გამოყენება საქართველოს მეურნეობრივ სისტემაში უაღრესად სასარგებლო იქნება. ამისათვის კი საჭიროა ისეთი სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინოვაციური პროცესების განვითარებასა და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ინოვაციური პროცესების ორგანიზაციულ ფორმაში იგულისხმება საწარმოთა კომპლექსი, ცალკე საწარმო ან მისი ქვედანაყოფი, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული იერარქიული ორგსტრუქტურით და ინოვაციური პროცესების მართვის მექანიზმის შესაბამისი სპეციფიკით. ამ ფორმათა საბოლოო მიზანია ინოვაციათა პრაქტიკული რეალიზაცია. ასეთ ორგანიზაციულ ფორმას ზოგადად ინოვაციურ საწარმოს უწოდებენ. საწარმოთა ეს ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან: საკუთრების ფორმებით, ინოვაციების სპეციფიკაციით, მასშტაბურობით, მართვის დონით, ტერიტორიული განლაგებით, იერარქიული კავშირების ფორმით და სხვა. მათი ფორმირება ხდება ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ფაქტორების ზეგავლენით, კერძოდ ბუნებრივი რესურსების (მინერალური, მიწის, წყლის, ტყის და რეკრეაციული რე-

სურსების) სამეცნიერო–ტექნოლოგიური პოტენციალის, სამეწარმეო საქმიანობის, ტრადიციების და სხვათა გათვალისწინებით. ამიტომ ცალკეულ ქვეყანაში ამ ფორმებს გააჩნიათ გარკვეული–ეროვნული კონფიგურაცია, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო–ტექნოლოგიური განვითარების პროდუქტებს მრავალი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად.

ინოვაციების რეალიზაციის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები ძირითადად იქმნება თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში, რომლებმაც მსოფლიოს განვითარებულ და რიგ განვითარებად ქვეყნებში ჰპოვეს ფართო გავრცელება. თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის არა რაღაც განცალკევებული გაუცხოვებული გეოგრაფიული ტერიტორია, არამედ ეროვნული ეკონომიკის სივრცის განუყოფელი ნაწილი, სადაც მოქმედებს შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსხვავებული სისტემა, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილში არ გამოიყენება. [1]

საქართველოში ინოვაციური პროცესების ორგანიზაციული ფორმები წარმოდგენილია მოძველებული ინსტიტუციური სტრუქტურების –სამეცნიერო –საწარმოო გაერთიანებების, სამეცნიერო–კვლევითი და საკონსტიტუციო –საპროექტო ორგანიზაციების სახით, რომელთა როლი და საქმიანობა ქვეყანაში უმნიშვნელოა.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმართულებმით საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების გაცნობიერებასა და ჩვენს ქვეყანაში დანერგვას. ამ მხრივ აღსანიშნავია საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული ისეთი ორგანიზაციული ფორმები, როგორიცაა: სამეცნიერო–საკვლევი პარკები (აშშ), ტექნოლოგიათა ინკუბატორები (ისრაელი), ტექნოლოგიური პარკები (გერმანია), ტექნოპოლისები (იაპონია), ვენჩურული ფირმები და სხვა. ისინი წარმოადგენენ მეცნიერების წარმოებასთან შერწყმის ახალ, ეფექტურ ფორმებს და ხელს უწყობენ ქვეყანაში ეკონომიკის ალმავლებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ინოვაციური ეკონომიკის პირობებში სულ უფრო ფართო ხასიათს იძენს ე.წ. „ტექნოპარკების", ანუ მეცნიერული–წარმოებრივი ტერიტორიული კომპლექსების წარმოქმნა და ფუნქციონირება. მარტივად თუ ვიტყვით, ტექნიკური არის მეცნიერებადტევადი პროდუქციის დამუშავებისა და წარმოების ცენტრი. აქვთ რა მჭიდრო კავშირი სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან, მეცნიერებადტევადი მეწარმოების განვითარების მიზნით, ისინი ყოველნაირად ცდილობენ თავიანთ სამოქმედო რეგიონში შექმნან ინოვაციური გარემო. იგულისხმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, მეცნიერული ცოდნის, გამოგონების, ნოუჰაუსა და მაღალი ტექნოლოგიების სწრაფად ათვისებისათვის. მატერიალურ–ტექნიკური, ფინანსური, სერვისული, ინფორმაციული და სოციოლოგიურ–კულტურული ბაზის შექმნა. მიდიან რა დიდ რისკზე ისინი აფინანსებენ პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებებს.

ტექნოპარკის დამფუძნებლად, როგორც წესი, ერთდროულად გამოდიან უნივერსიტეტები, სამეცნიერო ცენტრები, სამრეწველო საწარმოები, საფინანსო ორგანზაციები და ხელისუფლების ორგანიზაციები. მისი არსებობისა და ფუნქციონირების ძირითად ნიშან–თვისებებს შორის აღსანიშნავია ის, რომ აქვთ იურიდიული პირის სტატუსი, უძრავი ქონება, განვითარებული ბიზნეს–ინკუბატორი, ხანგრძლივი ვადით არენდით აღებული ფართი, სათანადო სერვისი, რომელსაც ძალუძს კლიენტი ფირმების მრვალფეროვანი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჰყავს მენეჯერთა მაღალკვალიფიცური კადრები, რეგიონში წარმოადგენს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის სოციალურ–ეკონომიკურ გაფორმებაზე.

ტექნოპარკები, ადაპტირების პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მცირე ზომის დამწყებ ინოვაციურ ფირმებს პირველი ნაბიჯების გადადგმაში, ინტელექტუალური პროდუქტისათვის საქონლური ფორმის მიცემაში, ახალი ტექნოლოგიების, საწარმოსა და მომსახურების წარმოებასა და რეალიზაციაში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის სამუშაო ადგილების შექმნაში, ინვესტიციების მოზიდვაში და სხვა.

სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის განვითარება ხელს უწყობს ტერიტორიული სამეცნიერო საწარმოთა აგლომერაციების და კომპლექსების გაჩენას, რომლებიც სამეცნიერო ტექნოპარკების ფორმას იძენს, მათი საქმიანობა თეორიულ–ფუნდამენტური ან გამოყენებითი ხასიათის კვლევა–ძიებით შემოიფარგლება. ასეთი პარკები როგორც წესი, მეცნიერებატევად ფირმებს უქმნიან ხელსაყრელ პირობებს მეცნიერულ–კვლევა–ძიების ნაყოფიერად წარმართვისათვის. მიდიან რა დიდ რისკზე ისინი აფინანსებენ პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებებს, ფუნქციონირების თავისებურებანი ახასიათებთ სპეციალიზებულ და მრვალპროფილიან სამეცნიერო–ტექნოპარკებს.

ამჟამად აშშ–ში გამოიყოფა სამი ტიპის „სამეცნიერო პარკი".

– „სამეცნიერო პარკები" ამ სიტყვის ვიწრო გაგებით.

– „კვლევითი პარკები", იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ მათ ჩარჩოებში სიახლე-

1 ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე, „საინოვაციო მენეჯმენტი". თბ. 2009წ

ები მუშავდება, მხოლოდ ტექნიკური ასოციაციის სტადიამდე.

– „ინკუბატორები", რომლის ჩარჩოებში უნივერსიტეტები, თავშესაფარს აძლევენ კომპანიებს, სთავაზობენ რა მათ შედარებით ზომიერ გადასახადს მიწაზე, ნაგებობაზე, ლაბორატორიულ მოწყობილობებსა და მომსახურებაზე.

უდიდესი ტექნოპარკი აშშ–ში არის სტენფორდის სამეცნიერო პარკი. იგი მდებარეობს კალიფორნიაში, სტენფორდის კუთვნილ მიწაზე, რომელიც 51 წლიანი ვადით გადაცემულია „მაღალტექნოლოგიური კომპანიებისათვის". ეს კომპანიები თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან.

სიდიდის მიხედვით შემდეგი ტექნოპარკი არის „პარკი სამკუთხედი" ჩრდილოეთ კაროლინაში, ფილადელფიაში უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრი პენსილვანიის შტატში (სამი უმსხვილესი და რიგი შედარებით მცირე უნივერსიტეტები და კოლეჯები, დაახლოებით 40 კვლევითი ცენტრი, კერძო საუნივერსიტეტო, ფედერალური და მაღალტექნოლოგიურ კომპანიათა საწარმონი, დაახლოებით 30 საბანკო და კომერციული დაწესებულება 20 ათასი დასაქმებული).

რეგიონული აგლომერაციის ან „სამეცნიერო პარკის" მაგალითს ამ სიტყვის ფართო გაგებით წარმოადგენს ცნობილი „სილიკონის ველი". ეს ზონა 3 მილიონიანი ქალაქის კვლევითი ლაბორატორიების და მრეწველობის საკვანძო დარგების საწარმოთა ჩათვლით უნიკალურია კონცენტრაციის თვალსაზრისით. დღესდღეობით იქ იწარმოება ამერიკული ელექტრონიკის, ინფორმატიკის და ტელეკავშირის სფეროში მოქმედი კალიფორნიული კომპანიის 40% და ამ დარგის ამერიკული კომპანიათა საერთო რიცხვის 16%.

სამეცნიერო ტექნოპარკების ძირითად ამოცანებს შორის აღსანიშნავია: ისეთი ორიგინალური მეცნიერული იდეების შემუშავება, რომელთაც ძალუძთ პროგრესული ხასიათის რადიკალური ცვლილებების შეტანა ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის უმაღლესი სასწავლებლიდან და მეცნიერულ–კვლევითი ინსტიტუტებიდან მეურნეობრივ პრაქტიკაში გადატანის დაჩქარება.

ტექნოპარკის ერთ–ერთი ძირითადი ტიპია ტექნოპოლისი, რომლის კომპეტენციაში შედის რეგიონული თავისებურებათა გათვალისწინებით, თავის სამოქმედო ზონაში ხელსაყრელი პირობების შექმნა მეცნიერმკვლევართათვის, ასევე საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა და ა.შ. მათ ფუნქციონირებაში მონაწილეობენ ძირითადად მსხვილი კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ფირმის საქმიანობის შესწავლითა და განვითარებით. აღნიშნული ფორმა განსაკუთრებით გავრცელდა იაპონიაში. სპეციალისტების აზრით „ტექნოპოლირების" შექმნის პროექტი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული მიმართულებაა იაპონური მთავრობის ექვსმიზნიანი პროგრამის ისპონიის მიერ ეკოლოგიური ლიდერის პოზიციების დასაპყრობად. ხანგრძლივვადიანი მიზანია იაპონიის გადაქცევა „იმიტატორიდან" და „რაციონალიზატორიდან" ტექნოლოგიათა შემოქმედად.

ამჟამად მიმდინარეობს მეცნიერების აქტიური ტრანსნაციონალიზაცია. იაპონური კორპორაციები სამეცნიერო–კვლევით ცენტრებს ხსნიან პლანეტის სხვადასხვა წერტილში. ამასთან ახალი ცენტრების წარმოშობის სისწრაფე ძალზე დიდია –დაახლოებით ერთი ცენტრი კვირაში.

ტექნოპოლირების განუყოფელ ელემენტებს წარმოადგენენ ვენჩურული ფირმები და აქციონერული კომერციული ბანკები. ვენჩურული ფირმები წარმოადგენენ მცირე ინოვაციურ საწარმოებს და მათ ქმნიან მეცნიერები, ინჟინრები, გამომგონებლები, რომლებსაც აქვთ მსხვილ კომპანიებში სამეცნიერო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში მუშაობის გამოცდილება და სურთ საკუთარი საქმის დაფუძნება, თავიანთი სამეცნიერო, საინჟინრო იდეების პრაქტიკული განხორციელება. ხშირად ასეთ ფირმებს პირველ ხანებში ფინანსირებას უკეთებენ მსხვილი კომპანიები, რომლებიც ენდობიან დამოუკიდებელ ვენჩურულ ფირმებს, საკმაოდ რისკიანი სიახლის შემუშავებას. ინოვაციის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მსხვილი კომპანია იღებს სამეცნიერო–ტექნიკურ ინფორმაციას, დოკუმენტაციას და მისი გამოყენებით მნიშვნელოვან მოგებას. ამიტომ ყველა მსხვილი კორპორაცია თანამშრომლობს ფირმებთან.

ვენჩურული ფირმების საქმიანობამ ყველაზე ადრე იჩინა თავი აშშ–ში, შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და იაპონიაში. აშშ–ში სპეციალურად იქმნება რეგიონული ვენჩურული ფონდები ძირითადად შტატების, უნივერსიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებით, აგრეთვე ნებაყოფილობითი შემოწირულობების საფუძველზე. ვენჩურულ ფინანსირებაში ჩართულია მცირე ინოვაციური ბიზნესი, მაღალი პოტენციალის მქონე მცირე ზომის მეცნიერებატევადი ფირმები. 2018 წლისთვის მარტო აშშ–ში ფუნქციონირებდა 1000–ზე მეტი ვენჩურული ფირმა, ხოლო ვენჩურული კაპიტალის ბაზრის საერთო მოცულობამ 26 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

ყურადღსაღებია ისრაელის სახელმწიფოში დანერგილი ე.წ. „ინკუბატორების" ანუ „სათბურების" დაფუძნების მეთოდი მცირე ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის. ეს არის ფირმები, რომლებიც წარმოადგენენ მცირე კვლევით კოლექტივებს და გააჩნიათ აუცილებელი ინფრასტრუქტურა, საკვლევი და საცდელ–დანერგვითი

დანადგარები ინოვაციური პროექტის მინიმალური დანახარჯებით განხორციელებისათვის. ამ საქმეში ერთის მხრივ იყენებენ მეცნიერებისა და სპეციალისტების ცოდნას და გამოცდილებას ქვეყნის ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ინფრასქტუქტურის განმტკიცებაში, მეორე მხრივ, ახდენენ მათ ინტეგრაციას სამეცნიერო–ტექნიკურ სფეროში. იგი შედის ქვეყნის ეროვნულ პროგრამაში და ხორციელდება ისრაელის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მთავარი მეცნიერის განყოფილების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით.

ბიზნეს–ინკუბატორი წარმოადგენს რა ტექნოპარკის ნაირსახეობას, არსებითად მის ფუნქციებს ასრულებს და მთელი საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში ეხმარება ფირმებს წინასასტარტო პრობლემების გადაჭრაში. საინკუბატორო პერიოდის გასვლის შემდეგ ფირმა–კლიენტი ტოვებს ინკუბატორს და იწყებს დამოუკიდებელ საქმიანობას.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები წარმოადგენენ მეცნიერების წარმოებასთან შერწყმის ახალ ეფექტურ ფორმას და ხელს უწყობენ ქვეყნებში ეკონომიკის აღმავლობას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი. 2009
2. გვაჯაია ლ. ვენჩურული ბიზნესის განვითარება ინოვაციების რეალიზაციის დაჩქარების გზაა. ჟურნალი „ბიზნეს–ინჟინერინგი". №3, 2014
3. გვარუციძე ა., ინოვაციების კლასიფიკაციის სრულყოფა და ორგანიზაციული ფორმები. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" №1. 2012
4. ვაშაკიძე ზ., სილაგაძე ლ., თავისუფალი ეკონომიკური ზონები. თბილისი. 2008
5. Кокурон Д., Инновационная деятельность. М. 2014

# საშუალო ხელფასზე მოქმედი ფაქტორების რეგრესიულ-კორელაციური ანალიზი

***ტარიელ კიკვაძე***
*სტუ-ს პროფესორი*

***მაია შევარდენიძე***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატიაში გაანალიზებულია საშუალო ხელფასზე მოქმედი ფაქტორები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საშუალო ხელფასზე მოქმედი ფაქტორებიდან გამოყოფენ საწარმოო, სოციალურ, საბაზრო და ინსტიტუციონალურ ფაქტორებს. აღნიშნული ფაქტორები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ერთობლიობაში განაპირობებენ ხელფასის სიდიდეს, წარმოების დანახარჯებს, საზოგადოებისა და მისი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლების კეთილდღეობას.

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ექვემდებარება ესა თუ ის ფაქტორი ფორმალიზაციას, რეგრესიულ-კორელაციური ანალიზისათვის შერჩეული იქნა საშუალო ხელფასზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები: დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. კორელაციური ანალიზის საფუძველზე შედგენილია როგორც მრავლობითი, ისე წყვილური წრფივი რეგრესიის განტოლებები. გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** საშუალო თვიური ხელფასი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, დასაქმებულები და უმუშევრები, მთლიანი შიდა პროდუქტი, რეგრესიულ-კორეალაციური ანალიზი.

**REGRESSION-CORRELATION ANALYSIS OF FACTORS AFFECTING THE AVERAGE WAGE**

**Tariel Kikvadze**
Professors of GTU
**Maia Shevardenidze**
PhD student of GTU

**SUMMARY**

The article analyzes the factors affecting the average wage. In a market economy, among the factors affecting the average wage, production, social, market and institutional ones are commonly considered. These factors are interconnected and together determine the amount of wages, production costs, the welfare of society and representatives of its various social groups.

Taking into account the extent to which different types of economic parameters is subject to formalization, the following factors possibly affecting the monthly average wage were selected for regression-correlation analysis: the number of employees and unemployees, the consumer price index and the volume of gross domestic product.

Based on the correlation analysis, both multiple and simple linear regression equations are compiled and appropriate conclusions are made.

**Keywords:** monthly average wage, consumer price index, employees and unemployees, gross domestic product, regression-correlation analysis

* * * *

ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ხელფასის მაღალ დონეს განაპირობებს ტექნიკური პროგრესი და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები. ხელფასის დონეზე ასევე მოქმედებს სოციალური ფაქტორებიც. მოსახლეობის სოციალური დაცვა დაკავშირებულია საარსებო მინიმუმის განსაზღვრასთან, რომელსაც, თავის მხრივ განაპირობებს სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საარსებო მინიმუმის გაზრდა და სამომხმარებლო კალათის სტრუქტურის გაფართოება ხელს უწყობს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობისა და სახელფასო განაკვეთის ზრდას.

ხელფასის დონეზე გავლენას ახდენს აგრეთვე შრომითი მობილობის პირობებიც, კერძოდ, ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების გადაადგილება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ამაღლებს მათ კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე და გამომუშავების სიდიდეს. შრომითი მობილობები გამოწვეულია შეუსაბამობით შრომითი რესურსების განაწილებასა და მუშახელის თუ წარმოების მოთხოვნებს შორის.

საბაზრო ფაქტორების გავლენა ხელფასზე გულისხმობს შრომის ბაზრის განვითარების დონეს. შრომის ბაზარი საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. იგი საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნეს გამოყენებული მომუშავეთა შრომითი პოტენციალი, ქმნის კონკურენტულ გარემოს სამუშაო ადგილისთვის ბრძოლაში და ხელს უწყობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. შრომის ბაზარი ასევე ზრდის პერსონალების მობილობას რაც განაპირობებს დასაქმების ფორმების მრავალფეროვნებას. დასაქმების მა-

ღალი დონის მიღწევა სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ქმნის რა დამატებით სამუშაო ადგილებს, ეკონომიკური სისტემა მიზნად ისახავს საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობის გაზრდას და ამით მოსახლეობის მატერიალური მოთხოვნილობების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

ინსტიტუციონალური ფაქტორები დაკავშირებულია ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვისა და რეგულირების სხვადასხვა სფეროებთან. ისინი განსაზღვრავენ მოცულობას, მიმართულებასა და ეკონომიკური რეგულირების მეთოდებს ხელფასის ორგანიზაციის პროცესში.

მოყვანილი ფაქტორები ერთობლიობაში გავლენას ახდენს ნომინალური და რეალური ხელფასის დონეებზე, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპსა და წარმოების დანახარჯებს შორის თანაფარდობაზე. ასევე, ქმნის საფუძველს ხელფასის სიდიდის დიფერენცირებისათვის სხვადასხვა სფეროებსა და დარგებში. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ექვემდებარება ესა თუ ის ფაქტორი ფორმალიზაციას, რეგრესიულ-კორელაციური ანალიზისათვის ჩვენს მიერ შერჩეული იქნა საშუალო ხელფასზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები: დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. შესაბამისი თორმეტი წლის სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

| | 2010წ. | 2011წ. | 2012წ. | 2013წ. | 2014წ. | 2015წ. | 2016წ. | 2017წ. | 2018წ. | 2019წ. | 2020წ. | 2021წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასაქმებული (ათასი კაცი) | 1,167.6 | 1,183.0 | 1,212.2 | 1,197.8 | 1,255.0 | 1,308.5 | 1,294.5 | 1,286.9 | 1,296.2 | 1,295.9 | 1,241.8 | 1,217.4 |
| უმუშევარი (ათასი კაცი) | 436.2 | 441.6 | 442.5 | 429.7 | 374.0 | 367.2 | 359.2 | 354.5 | 309.0 | 276.9 | 281.9 | 316.2 |
| სამომხ.ფასების ინდექსი | 107,1 | 108,5 | 99,1 | 99,5 | 103,1 | 104,0 | 102,1 | 106,0 | 102,6 | 104,9 | 105,0 | 109,6 |
| მშპ მლნ. ლარი | 21,822 | 25,479 | 27,227 | 28,593 | 31,124 | 33,935 | 35,836 | 40,762 | 44,599 | 49,253 | 49,267 | 60,232 |
| საშ. თვიური ხელფასი(ლარი) | 597.6 | 636.0 | 712.5 | 773.1 | 818.0 | 900.4 | 940.0 | 999.1 | 1 068.3 | 1 129.5 | 1 191.0 | 1 357.4 |

რეგრესიულ-კორელაციური ანალიზის ჩასატარებლად მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოვიყენებთ მრავლობითი წრფივი რეგრესიის მოდელს. მრავლობითი წრფივი რეგრესიის განტოლებას აქვს შემდეგი სახე: $y+ b_0+b_1x_1+b_2x_2+\cdots+b_nx_n$

როგორც მარტივ წრფივ რეგრესიაში, მოდელის $b_n$ პარამეტრები გამოითვლება უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით. მრავლობითი წრფივი რეგრესიის უპირატესობა მარტივთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ მოდელში რამდენიმე ამხსნელი ცვლადის გამოყენების საშუალება იძლევა გაიზარდოს რეზულტატური ცვლადის ახსნილი ვარიაციის (დისპერსიის) ხვედრითი წილი და ამით გაუმჯობესდეს მოდელის შესაბამისობის ხარისხი მონაცემებთან. ამგვარად, მოდელში ყოველი ახალი ცვლადის დამატებისას დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა იზრდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს შეიძლება გამოვლინდეს ისეთი არასასურველი სტატისტიკური მოვლენა, როგორიცაა მულტიკოლინეარობა. ამიტომ შერჩეული უნდა იქნეს ისეთი მოდელი, რომელშიც ცვლადების მინიმალურმა ნაკრებმა უზრუნველყოს რეზულტატური ცვლადის ახსნილი დისპერსიის მაქსიმალური ხვედრითი წილი. ამ მიზნით იყენებენ შესაბამის ინფორმაციულ კრიტერიუმებს.

რეზულტატური ცვლადის დინამიკაზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი:



გრაფიკიდან ჩანს, რომ განსახილველ პერიოდში შეინიშნება საშუალო ხელფასის ზრდის გარკვეული ტენდენცია ეროვნულ ვალუტაში, თუმცა აშშ დოლარებში იგი თითქმის ერთიდაიგივე დონეზე რჩება. ეს გარემოება ამყარებს მოსაზრებას, რომ ანალიზის პროცესში სასურველია ინფლაციის მაჩვენებლის ჩართვა სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეშვეობით.

კორელაციური ანალიზის ჩატარების მიზნით შევადგინოთ კორელაციური მატრიცა ყველა ცლადის (მათ შორის რეზულტატური ცლადის) გათვალისწინებით:

| | დასაქმებული (ათასი კაცი) | უმუშევარი (ათასი კაცი) | სამომხ. ფასების ინდექსი | მშპ (მლნ. ლარი) | საშუალო თვიური ხელფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| დასაქმებული (ათასი კაცი) | 1 | | | | |
| უმუშევარი(ათასი კაცი) | -0.6547724 | 1 | | | |
| სამომხ. ფასების ინდექსი | -0.1976519 | -0.219619448 | 1 | | |
| მშპ (მლნ. ლარი) | 0.43539933 | -0.893473204 | 0.344494225 | 1 | |
| საშუალო თვიური ხელფასი (ლარი) | 0.49658722 | -0.907592962 | 0.274418696 | 0.99129621 | 1 |

მატრიციდან ჩანს უარყოფითი კორელაციის მაღალი მნიშვნელობები უმუშევრობისა და მშპ-ს მაჩვენებლებს შორის (-0,89), ასევე უმუშევრობასა და საშუალო თვიურ ხელფასს შორის (-0,91), ხოლო საშუალო ხელფასის მაჩვენებელსა და მშპ-ს შორის კორელაციის კოეფიციენტის ძალზე მაღალი დადებითი მნიშვნელობა (0,99), რაც სავსებით ლოგიკურია. ქვემო ცხრილში კი მოყვანილია კორელაციის მატრიცის მნიშვნელობები მხოლოდ ამხსნელი ცვლადებისათვის:

| | დასაქმებული (ათასი კაცი) | უმუშევარი (ათასი კაცი) | სამომხ. ფასების ინდექსი | მშპ (მლნ. ლარი) | საშუალო თვიური ხელფასი(ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| დასაქმებული (ათასი კაცი) | 1 | | | | |
| უმუშევარი (ათასი კაცი) | -0.65477239 | 1 | | | |
| სამომხ. ფასების ინდექსი | -0.19765186 | -0.2196194 | 1 | | |
| მშპ (მლნ. ლარი) | 0.43539933 | -0.8934732 | 0.34449423 | 1 | |
| საშ. თვიური ხელფასი (ლარი) | 0.496587217 | -0.907593 | 0.2744187 | 0.9912962 | 1 |

როგორც ვხედავთ, აქაც დაახლოებით იგივე სურათია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ უმუშევრობის მაჩვენებელსა და მშპ-ს შორის მაღალი კორელაციის გამო რეგრესიის განტოლებაში ჩართული უნდა იყოს ერთ-ერთი მათგანი. მოვიყვანოთ საშუალო თვიური ხელფასის მრავლობითი წრფივი რეგრესიის კომპიუტერული გათვლების შედეგები ყველა ამხსნელი ცვლადის მნიშვნელობათა გათვალისწინებით:

| *Regression Statistics* | |
|---|---|
| Multiple R | 0.994993055 |
| R Square | 0.990011179 |
| Adjusted R Square | 0.984303282 |
| Standard Error | 29.18124819 |
| Observations | 12 |

ANOVA

| | *df* | *SS* | *MS* | *F* | *Significance F* |
|---|---|---|---|---|---|
| Regression | 4 | 590787.9724 | 147696.9931 | 173.4458548 | 4.44759E-07 |
| Residual | 7 | 5960.816723 | 851.5452461 | | |
| Total | 11 | 596748.7892 | | | |

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* | *Lower 95%* | *Upper 95%* |
|---|---|---|---|---|---|---|
| Intercept | 329.3214076 | 672.5979584 | 0.48962594 | 0.639368677 | -1261.120036 | 1919.762852 |
| დასაქმებული(ათასი კაცი) | 0.239046758 | 0.279701706 | 0.854648909 | 0.421029673 | -0.422342679 | 0.900436194 |
| უმუშევარი(ათასი კაცი) | -0.065755244 | 0.424720373 | -0.154820085 | 0.881332657 | -1.070059338 | 0.93854885 |
| სამომხ. ფასების ინდექსი | -3.873405524 | 3.170167785 | -1.221829817 | 0.261316838 | -11.36966115 | 3.622850101 |
| მშპ მლნ. ლარი | 0.019485079 | 0.001905504 | 10.22568006 | 1.84638E-05 | 0.014979277 | 0.023990881 |

როგორც ვხედავთ, რეგრესიის სტატისტიკური შეფასებები (t-სტატისტიკა, P-მნიშვნელობა, ნდობის ინტერვალების საზღვრები) არადამაკმაყოფილებელია. თუმცა, რეგრესია მთლიანობაში სტატისტიკურად

ნიშნადია, რაზედაც მიგვანიშნებს R-ის, $R^2$-ისა და კორექტირებული $R^2$-ის, ასევე F-ის (ნაწილობრივ) მაღალი მნიშვნელობები.

ქვემოთ წარმოდგენილია საშუალო თვიური ხელფასის წყვილური წრფივი რეგრესიის კომპიტერული გათვლების შედეგები მშპ-ს, როგორც ამხსნელი ცვლადის მნიშვნელობათა გათვალისწინებით:

| Regression Statistics | |
|---|---|
| Multiple R | 0.991296209 |
| R Square | 0.982668175 |
| Adjusted R Square | 0.980934992 |
| Standard Error | 32.1601395 |
| Observations | 12 |

ANOVA

| | *df* | *SS* | *MS* | *F* | *Significance F* |
|---|---|---|---|---|---|
| Regression | 1 | 586406.0434 | 586406.0434 | 566.9732768 | 3.87688E-10 |
| Residual | 10 | 10342.74572 | 1034.274572 | | |
| Total | 11 | 596748.7892 | | | |

| | *Coefficients* | *Standard Error* | *t Stat* | *P-value* | *Lower 95%* | *Upper 95%* |
|---|---|---|---|---|---|---|
| Intercept | 184.9133447 | 32.51514329 | 5.686991535 | 0.000201888 | 112.4650906 | 257.3615987 |
| მშპ მლნ. ლარი | 0.019869145 | 0.000834445 | 23.81120066 | 3.87688E-10 | 0.018009885 | 0.021728405 |

აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, რეგრესიის ყველა შეფასება სტატისტიკურად ნიშნადი აღმოჩნდა.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში წარმოდგენილი მოდელები ატარებს ღია ხასიათს იმ თვალსაზრისით, რომ მათი ადეკვატურობის ხარისხი გაიზრდება ერთის მხრივ სტატისტიკური მონაცემების მოცულობის გაზრდით და რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფით და მეორეც, მოდელებში ფაქტორთა ოპტიმალური ნაკრების ჩართვით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ცერცვაძე მ. ხელფასი და მასზე მოქმედი ფაქტორები თანამედროვე შრომის ბაზრის პირობებში. თბილისი, ეკონომიკა და ბიზნესი. 2012. 45გვ.
2. კიკვაძე ტ. ბერიძე თ. ეკონომეტრიკის საფუძვლები, თბილისი, სტუ. 2011. 194 გვ.
3. Armstrong P. Cormish M. Equai Pay and Job Evaluation: The Ontario Experience. Oxford, 1992.
4. https://www.geostat.ge/ka

# უმუშევრობა საქართველოში

*ნატო ჩიკვილაძე*
*სტუ-ს პროფესორი*

*მანანა დიდმანიძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

## UNEMPLOYMENT IN GEORGIA

**Nato Chikviladze**
professor of GTU
**Manana Didmanidze**
doctorant of GTU

**RESUME**

Unemployment remains one of the country's major challenges. The high level of unemployment dramatically reduces the income of the population as well as the state budget. The biggest negative result of unemployment is the decline in the output of products and services. Potential production of goods and services is lost without any trace. The main indicator of poverty in Georgia is the high level of unemployment. By virtue of the sharpest shortage of specialists for the enterprises of various branches of economy the authoritative center of preparation of specialists in marketing is necessary; By preparation of specialists it is necessary to strengthen attention to mastering by concrete methods, procedures and technologies of marketing activity. At the same time in the curriculum and curriculums it is necessary to consider all complex of modern requirements to the specialist in marketing (not being limited only functional knowledge), including formation of personal qualities and reception of the expanded circle of knowledge. The main indicators of unemployment are: the number of unemployed; duration of unemployment; unemployment rate; the sex-age structure of unemployed; professional-qualified structure of unemployed; territorial structure of unemployed. The formation of the natural level of unemployment can be affected by many factors, such as economic growth rates, demographic development trends, the emigration-immigration situation of the country, changes in the structure of the labor force, etc. Since the above figures are different in different countries, it is not surprising that every country has a different natural level of unemployment.

**Key Words:** Unemployment; Labor safety; Labor migration; Improving management; Dumping.

* * * *

უმუშევრობის პრობლემა მთელ მსოფლიოში კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რჩება. რა თქმა უნდა, საქართველოც არის იმ ქვეყნებს შორის, სადაც ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას.

საქართველო არის პოსტ-საბჭოური ქვეყანა, რომელმაც გამოიარა ძალიან მძიმე გარდამავალი პერიოდი. დავიწყოთ იქიდან, რომ ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ნებისმიერ საზოგადოებაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. თუმცა, ამ პრობლემებს ჩვენს ქვეყანაში დაემატა შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რომლის მაქსიმალურად გამწვავებასაც ცდილობდნენ გარე ძალები. მათ ეს აშკარად გამოუვიდათ და შედეგად ქვეყანაში წარმოიშვა არა ერთი სოციალურ- ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემა, რომელთა აღმოფხვრასა და მოგვარებას დღესაც ცდილობს საქართველო. ამ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის უმუშევრობა, რომელმაც, ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, უკვე რამდენიმე წელია გადაასწრო ოკუპაციის პრობლემას (რომელიც წესით, რა თქმა უნდა, ნომერ პირველი უნდა იყოს).

„მასობრივი ქრონიკული უმუშევრობა მწვავე სოციალური პრობლემაა. იგი აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.“ უმუშევრობა, ჩვენს ქვეყანაში რამოდენიმე პრობლემას განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს. მათ შორისაა სოციალური უთანასწორობის პრობლემა.

უმუშევრობა არა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას იწვევს, მათ შორისაა: მუშაკთა დეკვალიფიკაცია, სიღარიბის ზრდა, ადამიანთა ფსიქიკის შერყევა, მორალის დაცემა, თვითმკვლელობა, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ქორწინებისა და შობადობის შემცირება, განქორწინებულთა რიცხვისა და გარდაცვლილთა რაოდენობის ზრდა.

იმისთვის, რომ ვებრძოლოთ უმუშევრობას, პირველ რიგში, უნდა გავაანალიზოთ მისი გამომწვევი მიზეზები. „უმუშევრობის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს: ეკონომიკის ტრანსფორმაცია, ეკონომიკური დაქვეითება, ეკონომიკური რეფორმების დროს დაშვებული შეცდომები, ინოვაციის განხორციელება, კორუფციის მაღალი დონე, არასრულყოფილი ინსტიტუციების არსებობა, რთული პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაცია და ა.შ“.

მას შემდეგ, რაც გავაანალიზებთ უმუშევრობის წარმოშობის მიზეზებს, უნდა დავიწყოთ მისი აღმოფხვრის გზებზე მუშაობა. პირველ რიგში, საჭიროა ეკონომიკური და საბიუჯეტო პრიორიტეტების სწორად დასახვა. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებები: დასაქმების შეზღუ-

დული შესაძლებლობები (სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა), რაც საქართველოს ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით არის განპირობებული; მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი; მოქმედების შეზღუდული არეალი; ნაკლები ელასტიურობა; სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა; ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი; უმუშევრებში ახალგაზრდების მაღალი წილი; არაფორმალური დასაქმების დიდი წილი.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, უმუშევრობამ ქრონიკული ხასიათი შეიძინა და მისი დაძლევა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება გახდა. იგი მჭიდროდაა გადაჯაჭვული საბიუჯეტო- საგადასახო პოლიტიკასთან და ეკონომიკის სტრუქტურულ ძვრებთან.

საქართველოში უმუშევრობას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: მცირე ეკონომიკა და სამუშაო ძალის არასასურველი კვალიფიკაცია. დღეისათვის ფიზიკურად არ არსებობს იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენი მუშაობის მსურველიც არის. საშუალო და უმაღლესი განათლების დაბალი ხარისხის გამო საქართველოში პრობლემაა მაღალკვალიფიციური კადრების მოძიებაც. უმუშევართა უმრავლესობას სამწუხაროდ არა აქვს ის კვალიფიკაცია და ცოდნა, რაც ხშირად ამა თუ იმ ვაკანსიის დასაკავებლადაა საჭირო. შესაბამისად, საქართველოში არის დღევანდელ მოთხოვნებთან მიმართებით იმ არაკვალიფიციური კადრების სიჭარბე, რომლებიც ემიგრირებაზე არიან ორიენტირებულნი და რადგან განვითარებულ ქვეყნებში იაფ, არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნაა, თანახმა არიან იქ დაიწყონ მუშაობა. ემიგრანტები ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებისთვის იაფი სამუშაო ძალაა, მაგრამ ქართველებისთვის იქ მიღებული შრომის ანაზღაურება იმდენად მაღალია, რომ არა მარტო საკუთარი თავის, არამედ საქართველოში დარჩენილი ოჯახის შენახვაც შეუძლიათ.

იმისთვის, რომ უმუშევრობის დონე არ გაიზარდოს, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება:

❖ მართვის გაუმჯობესება - იგულისხმება, რომ აღმოიფხვრას სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელ-მუშაკთა შეცვლისას, ძველი თანამშრომლების მასობრივად დათხოვნისა და პირადი ერთგულების ნიშნით დაკომპლექტებული „საკუთარი გუნდით" მოსვლის მანკიერი პრაქტიკა.

❖ დასაქმებულთათვის კანონით მინიჭებული უფლებების დაცვა - ამ მიმართულებით აუცილებელია გავაძლიეროთ პროფკავშირები. შრომის კოდექსის დარღვევაზე სწრაფად და ობიექტურად უნდა რეაგირებდეს აღმასრულებელი ხელისუფლება.

❖ ანტიდემპინგური კანონის შემუშავება - დემპინგი ემსახურება ადგილობრივ მწარმოებელთა ჩაძირვას, იგი მკვეთრად აზარალებს მცირე ბიზნესს და შესაბამისად ზრდის უმუშევრობის დონეს. აუცილებელია, სახელმწიფო აქტიურად ებრძოდეს დემპინგურ ფასებს, რათა მაქსიმალურად დაიცვას მწარმოებელი.

❖ შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის სისტემის სრულყოფა - დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, და არა ერთი საერთაშორისო დოკუმენტით. შრომის უფლება თავის თავში მოიაზრებს დასაქმებულთა უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს შრომის მაქსიმალურად უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო და დაცულ იქნეს შრომის კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებები.

❖ შრომითი მიგრაციის მოწესრიგება - მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, უნდა შეიქმნას სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო საემიგრაციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. მისი მიზნებია: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა; არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა; დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა; მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

ბოლო პერიოდში ასევე უნდა აღინიშნოს უმუშევრობაზე მოქმედი კიდევ ერთი ფაქტორი - პანდემია. პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა უმუშევრობის მაჩვენებელზე. ვფიქრობთ, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებები, როგორც ქვეყნის შიდა რეგულაციებსათვის, (რომელის შედეგებიც შეიძლება მრავალვარიანტული იყოს), ასევე საგარეო ურთიერთობებისათვის გავლენას ახდენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე,

ამ საკითხთან დაკავშირები ასევე ვფიქრობთ, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში, პანდემია უარყოფითად აისახა უმუშევრობის მაჩვენებელზე. გაჩერდა მსოფლიო ეკონომიკა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობის კეთილდღეობას. ჩვენთვის მნშვნელოვანია ეკონომიკური მხარის ანალიზი, რადგანაც ვთვლით, რომ მსოფლიოს ქვეყნებს შორის სხვადასხვა ინტეგრაციული თუ სახელშეკრულებო ურთიერთობები ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკას და მის სუბიექტებს აყენებს სხვადასხვა მდგომარეობაში, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მათი საწარმოო შესაძლებლობების გაზრდა, ასევე მათი შემცირებაც. ეს კი სხვადასხვანაირად აისახება ეკონომიკური ციკლის გამოვლინებასა და ეკონომიკურ ზრდაზე მოცემულ ქვეყანაში.

COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა მანამდე არნახული გამოწვევების წინაშე დააყენა. შემთხვევითი არ არის, რომ პანდემიით პროვოცირებულ კრიზისს ბოლო ასი წლის ყველაზე მასშტაბურ ეკონომიკურ კრიზისებს ადარებენ - 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიას" და 2008-2009 წლების „დიდი რეცესიას". „დიდმა ლოკდაუნმა" (Gopinath,

2020), საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სინქრონულად შეასუსტა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში, მკვეთრად შეამცირა შინამეურნეობათა მოხმარება, განსაკუთრებით დააზიანა მომსახურების სექტორი, დიდი დარტყმა მიაყენა შრომის ბაზარს და საერთაშორისო ვაჭრობას (IMF, 2020). შედეგად, მასობრივად დაიკარგა სამუშაო ადგილები და დაიშრიტა შინამეურნეობების რეგულარული შემოსავლის წყაროები, რამაც სილარიბის დონის მკვეთრი ზრდის რეალური საფრთხე წარმოქმნა. ცხადია, საქართველო ვერ დარჩებოდა აღნიშნული მოვლენების მიღმა, მით უმეტეს, რომ პანდემიური კრიზისით განსაკუთრებით დაზიანდა მომსახურების სექტორი, მათ შორის, ტურისტული ინდუსტრია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის 74% შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ დაწესებული ანტიპანდემიური შეზღუდვების ფონზე დაავადების გავრცელების მასშტაბი თავდაპირველად საკმაოდ მცირე იყო, ქვეყნის ეკონომიკას მაინც დიდი ზიანი მიადგა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელების პრევენციის მიზნით შემოღებული შეზღუდვების, მათ შორის, იძულებითი შიდა იზოლაციის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თუნდაც ნაწილობრივ განეიტრალების მიზნით, მთავრობებმა, მათ შორის, საქართველოს მთავრობამ, დაიწყო გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა ეფექტიანობის შეფასება, პანდემიის მასშტაბების თითქმის განუწყვეტელი ზრდის პირობებში, ერთობ რთული აღმოჩნდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. ჟურნალი: „ეკონომისტი“, 2017, ტომი XIII, #2, 13-21.
2. პაიჭაძე ნ. უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი IX, N1, 2016.
3. http://geoeconomics.ge/?p=13645
4. Cyclical Unemployment – Definition, Causes and Cure - https://goo.gl/5URKTs
5. World Employment And Social Outlook, Trends 2015. International Labour Office(ILO), Geneva 2015.

# ტექნოლოგიური პროგრესის ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური შედეგები


***დემნა კვარაცხელია***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*



**რ ე ზ ი უ მ ე**

ტექნოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პარალელურად გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ყველა სახის რესურსებზე კაცობრიობის მოთხოვნილებანი, რაც ბუნებისადმი არამართლზომიერი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზია. ბუნებრივი რესურსების არარაციონალური ექსპლუატაცია იწვევს მათ ამოწურვას. ამასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კვალდაკვალ სწრაფად იზრდება გარე გარემოს დაბინძურების მასშტაბები. ყოველივე ეს კი განაპირობებს ეკონომიკური და ეკოლოგიური კატასტროფების რისკების ზრდას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თანამედროვე კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე. ამის მიზეზი ისაა, რომ იგი განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდასა და მათი მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთან, იგი დედამიწის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. ამიტომ, დაუშვებელია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ცალმხრივი შეფასება. აუცილებელია მის ეკოლოგიურ-ჰუმანიტარულ დანახარჯებს შეუდარდეს მისგან გამომდინარე ეკონომიკური სარგებელი.



**საკვანძო სიტყვები:** ტექნოლოგიური პროგრესი, გარემოს დაბინძურება, ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური კრიზისი.


## HUMANITARIAN-ECOLOGICAL RESULTS OF TECHNOLOGICAL PROGRESS


**Demna Kvaratskhelia**
Associate Professor of GTU



**RESUME**

With intensification of technological-economic progress the Mankind's demands on all kinds of kinds of recourses has been increasing with geometric progression that is the basic reason for wrong attitude to the nature. Irrational exploitation of natural resources causes their exhausting. At the same time with intensification of scientific-technical progress the scales of pollution of the surrounding area have been rapidly increasing. All above-mentioned stipulates increasing of risks of economic and ecological catastrophes.

In spite of the above-mentioned development of contemporary Mankind is hardly to imagine without scientific-technical progress. The reason of it is that it stipulates increasing of actual income of the population and meeting their increasing demands. At the same time it is the supporting factor for meeting the demands of the increasing population of the earth. Following from this point of view it is almost impossible to evaluate the scientific-technological progress from just one side. It is highly required to compare the ecological-humanitarian expenses to the economic benefit following from them.



**Key words:** technological progress, environmental pollution, humanitarian-ecological crisis.


* * * *

ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს კაცობრიობის საყოფაცხოვრებო-მატერიალური პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას, სამუშაო პროცესების ავტომატიზაცია-რობოტიზაციასა და შესაბამისად, შრომის ხასიათის ხარისხობრივ ცვლილებას, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებასა და არააღდგენითი რესურსების გამოყენებიდან აღდგენითი რესურსების გამოყენებაზე ეტაპობრივ გადასვლას. ამასთან, რეალობაა ისიც, რომ ტექნოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პარალელურად გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ყველა სახის რესურსებზე კაცობრიობის მოთხოვნილებანი. ადამიანის ხარბი ბუნება და მიმდინარე მოთხოვნილებების პრიორიტეტულობა გარემომცველი ბუნებისადმი უმართებულო დამოკიდებულების ძირითადი მიზეზია. ბუნებრივი რესურსების არამართლზომიერი, მასშტაბური ექსპლუატაცია იწვევს მათ სწრაფ ამოწურვას, ხოლო თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამო ტექნოლოგიებით პროდუქციის წარმოება განაპირობებს გარემოს დაბინძურებას, რასაც აუცილებლად მოჰყვება ეკონომიკური და ეკოლოგიური კატასტროფა. რესურსების უმრავლესობა, მაგ. წყლისა და მიწის რესურსები, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავს დედამიწის სასიცოცხლო სივრცის წონასწორობას და მის კვლავწარმოების უნარს, სულ უფრო ნაკლებად ექვემდებარება განახლებას, რაც დაკავშირებულია მათ ტოტალურ ექსპლუატაციასთან და მათი განახლების მიზნით აუცილებელი დანახარჯების მკვეთრ ზრდასთან. მათ ეფექტიან განახლებას პრაქტიკულად გამორიცხავს გარემოს დაბინძურებით განპირობებული გლობალური დათბობაც.

კაცობრიობის ტექნოლოგიური მიღწევები წარმოადგენს იმ გავრცელებული ცრურწმენის საფუძველს, თითქოსდა ადამიანს ხელეწიფება ბუნების ძალების დამორჩილება და საკუთარი ინტერესების შესაბამისად მათი მართვა. ეს თეზისი საფუძველშივე მცდარი და დამღუპველია, ვინაიდან ადამიანს აგდებს ამპარტავნებაში და მასში იწვევს მეტისმეტ თვითდაჯერებასა და საკუთარი ძალებისადმი ბრმა რწმენას, რაც განაპირობებს დედაბუნებისადმი მომხმარებლურ, მტაცებლურ დამოკიდებულებას და ეკოლოგიური კატასტროფისაკენ მიაქანებს მიწიერ ცივილიზაციას.

ადამიანმა, მიუხედავად მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული განვითარებისა, ძალიან ცოტა რამ იცის სამყაროს შინაგანი მამოძრავებელი ძალებისა და მათი ურთიერთკავშირის შესახებ. მისი ცოდნა ზედაპირულია და ძირითად წარმოადგენს სამყაროში მიმდინარე პროცესების შედეგებზე რეაგირებას, რის გამოც ბუნების დამორჩილებისკენ მიმართული თითქმის ყველა მისი მცდელობა, საბოლოო ანგარიშით, მარცხისთვისაა განწირული. მიზნის მიღწევის შემთხვევაშიც წარმოიქმნება უარყოფითი ეფექტებისა და დადებითი უკუკავშირების მთელი წყება, რომლებიც იწვევენ სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგებას, ეკოლოგიურ კატასტროფებსა და ადამიანის სულიერი სამყაროს გადაგვარება-გაუხეშებას.

ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებული ტემპების შედეგად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მსოფლიო ეკონომიკაში, ერთის მხრივ აღინიშნება მდგრადი ეკონომიკური ზრდა, მეორეს მხრივ კი სახეზეა ბიოსფეროს გლობალური დაჭუჭყიანება, გლობალური დათბობა და საარსებო გარემოს ტოტალური ნგრევა. იცვლება გარემოს აბიოტური ფაქტორები (კლიმატი, წყლისა და ნიადაგის ქიმიური თვისებები, რელიეფი, მცენარეული საფარი და ა. შ.). ეკოლოგიური პირობების გაუარესება კი არღვევს ბიოსფეროს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას: წყლისა და ქიმიური (ბიოგენური) ელემენტების ბუნებრივ წრებრუნვას, რომელიც აუცილებელია სასიცოცხლო სივრცის ნორმალური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის, მისი ცხოველმყოფელობის შენარჩუნებისათვის.

გარემოს გლობალური დაბინძურება იწვევს კლიმატის შეცვლას. იგი ზემოქმედებს ატმოსფეროზე, ნალექების წარმოშობაზე, იწვევს ტემპერატურის ცვლილებას. გარემომცველი გარემოსადმი ადამიანის არამართლზომიერი დამოკიდებულება ბუნების აღდგენითი უნარის დაქვეითების ძირითადი მიზეზიცაა. თავისი შედეგებით (ეკონომიკური, ეკოლოგიური და ა.შ.) კაცობრიობისათვის განსაკუთრებული ზიანის მომტანია არააღდგენითი რესურსების ტოტალური ექსპლუატაცია. არა ნაკლებ საშიშია ანალოგიური დამოკიდებულება აღდგენითი რესურსებისადმი, ვინაიდან ასეთ დამოკიდებულებას შეუძლია გარემო პირობების (გარემოს აბიოტური ფაქტორების) გლობალური ცვლილების გამოწვევა, რის შედეგადაც მოსალოდნელია აღდგენითი რესურსების კვლავწარმოებისათვის აუცილებელი პირობების გაუარესება და მათი გადასვლა არააღდგენითი რესურსების ჯგუფში.

გარემომცველ გარემოზე დაბინძურების მსგავსი ნეგატიური ზემოქმედება, საბოლოო ანგარიშით, მნიშვნელოვნად ამცირებს და აუფერულებს ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური ზრდის დადებით შედეგებს, უფრო მეტიც გრძელვადიან პერსპექტივაში იგი აუცილებლად შეამცირებს პროდუქციის გამოშვებას (მაგალითად, სათბური აირების მზარდი ემისიისა და შესაბამისად, გლობალური დათბობის პროცესის შეუქცევადი განვითარების შემთხვევაში, რაც განაპირობებს კლიმატის ანთროპოგენულ ცვლილებებს - შესაბამისი ნეგატიური შედეგებით). დ. რომერის თანახმად, მართალია, ეკონომისტები ვერ თანხმდებიან ეკონომიკურ ზრდაზე დაბინძურების გავლენის მასშტაბებზე, თუმცა პრობლემის არსებობასა და სერიოზულობას ყველა აღიარებს, მით უფრო შედარებით გრძელვადიანი პერიოდისათვის [1, გვ.: 43-45]

ადამიანის ტოტალურ ჩარევამდე ბუნების აღდგენითი უნარის დაქვეითება დაკავშირებული იყო მხოლოდ ისეთ ბუნებრივ კატაკლიზმებთან, როგორიცაა ხანგრძლივი გვალვები, დამანგრეველი მიწისძვრები, წყალდიდობები, გლობალური აცივება და ა. შ. ასეთი ხასიათის მოვლენები, ასწლეულებში და ათასწლეულებში ერთხელ ხდებოდა და მათ ძირითადად ლოკალური ხასიათი ჰქონდათ, მთელი დედამიწის მასშტაბით კი იშვიათობას წარმოადგენდნენ და მილიონობით წლების განმავლობაში არ მეორდებოდნენ. დღეისთვის კი, ადამიანის ჩარევის შედეგად, გეომეტრიული პროგრესიით მიმდინარეობს ბიოსფეროს გლობალური დაბინძურება, ატმოსფეროს მავნე ნივთიერებებით გაჯერება, ბიომრავალფეროვნებისა და ჟანგბადის რაოდენობის შემცირება, რაც ხელს უშლის ბუნების, როგორც მთლიანობის, აღდგენით პროცესს და ამცირებს სასიცოცხლო სივრცეს.

თანამედროვე სამრეწველო წარმოება და სატრანსპორტო საშუალებები დიდი რაოდენობით შთანთქავენ ჟანგბადს და გამოყოფენ მავნე ნივთიერებებს. დამაბინძურებელი ფაქტორები მცენარის ზრდა-განვითარებას მკვეთრად ამცირებს. ფოტოსინთეზის ინტენსივობა ინდუსტრიულ რაიონებში გაცილებით დაბალია, ვიდრე ბუნებრივ ეკოსისტემებში. ჟანგბადის რაოდენობის შემცირების პარალელურად, სათბურის ეფექტის უნარის მქონე გაზების ატმოსფეროში გაფრქვევა დედამიწაზე ტემპერატურის გლობალური ზრდის მიზეზია. გარემოს გამაჭუჭყიანებელ მრავალ ფაქტორს გენეტიკური აქტიურობა აღმოაჩნდა. გარემოში მუტაგენების გავრცელება მუტაციის სიხშირის გაზრდას იწვევს. წარმოქმნილი მუტაციები მეტწილად რეცესიული და საზიანოა (იზრდება გენეტიკური ტვირთი), იგი

არღვევს ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებული ორგანიზმის ერთიან გენეტიკურ სისტემას. საფრთხე ემუქრება როგორც ადამიანის ამჟამინდელ და მომდევნო თაობებს, ისე მთელ ბიოსფეროს [2, გვ.: 103-104].

გარემოს დაბინძურება ბუნებაზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ახდენს გრძელვადიან ნეგატიურ ზემოქმედებას. მისი მიზეზით ჩნდება ახალ-ახალი სნეულებანი, ვირუსული და ინფექციური დაავადებანი, რომლებსაც გააჩნიათ სწრაფი გავრცელების უნარი. მათ საწინააღმდეგოდ აუცილებელი ხდება ახალ-ახალი ძლიერმოქმედი წამლების გამოგონება, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ ადამიანის ჯანმრთელი ორგანოების დაავადმყოფებას. ამასთან, მთელი რიგი ვირუსები ავლენენ მათ საწინააღმდეგო პრეპარატებთან შეგუებისა და მუტაციის უნარს, რაც თავის მხრივ წარმოშობს ახალ პრეპარატებზე მოთხოვნილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გარემო პირობების არსებითი ცვლილებისას, ადამიანთა მოდგმის სიცოცხლისუნარიანობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადაპტაციის ადექვატური უნარის გამოვლენა, რაც მოითხოვს სათანადო ძალისხმევასა და დანახარჯებს. ადაპტაციის პროცესში ადამიანი იყენებს საკუთარ სულიერ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალებსა და უნარს, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოეს მიღწევებს, რაც თავის მხრივ წარმოშობს ახალ პრობლემებს და აჩქარებს გარემო პირობების შემდგომ ცვლილებას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით შეცვლილ გარემოსთან შეგუების მიზნით სულ ახალ-ახალ ტექნოლოგიებზე მოთხოვნილებების ზრდა და მათი სულ უფრო მზარდი გამოყენება შეიცავს სასიკვდილო საფრთხეს ცოცხალი ორგანიზმებისათვის, მ. შ. ადამიანთა მოდგმისათვის. ამიტომ, დღევანდელი კაცობრიობის ნომერ პირველი ამოცანაა სასიცოცხლო სივრცის ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნება.

საქართველოშიც შეუქცევადი ხასიათი შეიძინა ეკოსისტემის განადგურების პროცესმა (დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც აღნიშნული პროცესი გამოწვეულია ინდუსტრიული განვითარებით, საქართველოში მისი ძირითადი მიზეზია მძიმე ეკონომიკური ვითარება, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს სათანადო ტექნოლოგიებისა და პროცედურების მინიმალურ დონეზე დასანერგად აუცილებელი სახსრების მობილიზაციას, მით უფრო რომ ქვეყანაში ნათლად არ არის განსაზღვრული ადექვატური პრიორიტეტები), რაც წარმოქმნის დაბრკოლებებს ცოცხალი ორგანიზმების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში, ნივთიერებათა გადაცემისას. აღნიშნული პროცესი იწვევს ცოცხალი ორგანიზმების მრავალი სახეობის და პოპულაციის განადგურებას და ჩვენი მრავალფეროვანი ბუნების გაღარიბებას, რაც აუნაზღაურებელ დანაკლისს და დიდ უბედურებას წარმოადგენს, ვინაიდან იგი ცვლის ბუნებაში ოდიდგანვე ჩამოყალიბებულ ბალანსს. „ცოცხალი ორგანიზმები წარმოადგენენ ბიოსფეროს აქტიურ კომპონენტს, ცხოველმყოფელობის აუცილებელ პირობას" [2, გვ.: 99]. თითოეულ მათგანს განსაზღვრული ფუნქცია აკისრია, ანუ ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერადაა განაწილებული, რაც მიზნად ისახავს სასიცოცხლო სივრცის შენარჩუნებას. მაგალითად, ერთგვარი სანიტრების როლს ასრულებენ ყვავყორნები, რომლებიც ბუნებას იცავენ მკვდარი ცხოველების გახრწნილი გვამებით დაბინძურებისაგან. პატარა ჩიტები, მაგალითად ბეღურები იკვებებიან მარცვლოვან კულტურებში გავრცელებული ჭიებით, ხოლო მტაცებელი ფრინველები - მიმინო, ქორი და ა.შ. ძირითადად ნადირობენ მინდვრის თაგვებზე, რომლებიც აგრეთვე ზიანს აყენებენ მარცვლოვანი კულტურების მოსავალს.

საქართველოში ტყეების ტოტალური გაჩეხვა წყალდიდობების, მეწყერების, მიწის ეროზიის, ნიადაგის ჩამორეცხვისა და გამოშრობის, წყაროების დაშრობისა და მდინარეებში წყლის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. დროთა ვითარებაში აღნიშნული პროცესი აუცილებლად გამოიწვევს ბუნებრივად ჩამოყალიბებული გარემო პირობების არსებით შეცვლას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს, როგორც ეროვნულ მეურნეობას, აგრეთვე ჩვენი ერის ეთნოფსიქოლოგიას.

ცალკეული ადამიანისა და მთლიანად მთელი ერის ხასიათის ფორმირებაში, სულიერ-რელიგიური და სოციო-კულტურული ხასიათის ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო და ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ზ. კაკაბაძის თანახმად, ბუნებრივ გარემოთა თავისებურებები და სხვადასხვაობა განსაზღვრავს ეროვნულ კულტურათა თავისებურებებსა და სხვადასხვაობას, მათ თვითმყოფადობას [3, გვ. 216-217]. ამიტომაც, დედაბუნებისადმი მტაცებლური დამოკიდებულება მისი მოსალოდნელი შედეგებით, აუნაზღაურებელი ზიანის მომტანია ჩვენი ერის ეთნოფსიქოლოგიისათვის.

სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება ეჭვქვეშ აყენებს ადამიანის ფიზიკურ არსებობას. ამასთან, იგი იწვევს ადამიანის ზნეობრივ დეგრადაციას, მასში მდარე გემოვნების ჩამოყალიბებას, მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ ლტოლვას.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება "ადგილს" არ ტოვებს ადამიანებს შორის თბილი, კეთილმოსურნე დამოკიდებულებისათვის, რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მკაცრი კონკურენცია ადამიანს აიძულებს საქმიან, "საბრძოლო" ფორმაში მუდმივ მზადყოფნას. იგი უზარმაზარ ენერგიას ხარჯავს და მთელ შემოქმედებით-ინტელექტუალურ ძალებს წარმა-

რთავს იმ საშუალებების შესაქმნელად, რომლებიც სოციალური იერარქიის კიბეზე მაღალი საფეხურის დაკავების შესაძლებლობას მისცემენ. კორნად ლორენცის თანახმად, კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან, რაც გამოწვეულია თანამოძმეებზე გამარჯვების მძაფრი სურვილით, აუცილებლად გამოიწვევს მიწიერი ცივილიზაციის განადგურებას [4, გვ.: 44-45]. ასეთი შეჯიბრი განაპირობებს ურთიერთობათა გაციებას, სხვა ადამიანის ბედისადმი უსულგულო, ზერელე დამოკიდებულებას, კომპენსაციის სახით კი არატრადიციული, ზნეობრივად გაუმართლებელი ურთიერთობების ფართოდ გავრცელებას, რაც "ღვთის ხატად და მსგავსად" შექმნილი ადამიანის სრული დაცემაა. "ყველა ის სიკეთე, რაც ადამიანს ეძლევა მის მიერ გარემომცველი ბუნების ღრმა წვდომის მეშვეობით, ტექნოლოგიის წინსვლა, რაც თითქოს მოწოდებულია ადამიანს ტანჯვა შეუმსუბუქოს, ავბედითად და პარადოქსულად სწორედ კაცობრიობის დასაღუპავად იღწვის. იგი მას სწორედ იმით ემუქრება, რაც ცოცხალ სისტემებს ჩვეულებრივ არ ემართებათ, კერძოდ - საკუთარ თავში ჩახრჩობით. ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ამ აპოკალიპსურ პროცესში ადამიანის ყველაზე მაღალი და კეთილშობილი თვისებები და უნარი, სწორედ ის, რაც სამართლიანად მიგვაჩნია სპეციფიკურ ადამიანურ თვისებებად და ესოდენ ვაფასებთ, ყველა ნიშნის მიხედვით პირველნი ნადგურდებიან" [4., გვ.21].

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება და მძაფრი კონკურენცია განაპირობებს ადამიანის ცხოვრების ტემპის დაჩქარებას და მისი ინტენსივობის გაძლიერებას, რაც იწვევს ადამიანის სულიერი ძალების გამოფიტვას, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების გაუბრალოებას. იგი წარმოშობს იმედგაცრუებათა უწყვეტ ჯაჭვს და გარშემო მყოფთადმი ზერელე, გულცივ დამოკიდებულებას. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების თანამედროვე პირობებში არნახულ დონეს აღწევს სივრცეში დაშორებული სოციალური კონტაქტების შესაძლებლობები, რაც ამცირებს გულღია, უშუალო ადამიანური ურთიერთობების მოთხოვნილებებს, ვინაიდან სივრცეში დაშორებული კონტაქტებით კმაყოფილ თანამედროვე ადამიანს უჩნდება მოყვასისაგან გაქცევისა და საკუთარ თავში ჩაკეტვის სურვილი. ასეთი ადამიანი, ერთი შეხედვით სოციალურად აქტიურია - შრომობს, თანამშრომლობს სხვა ადამიანებთან, აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ მისი ურთიერთობები ზედაპირული ხასიათისაა და უფრო მოვალეობის გრძნობითაა ნაკარნახევი, ვიდრე შინაგანი მოთხოვნილებით. ამის შედეგია ინდიფერენტული დამოკიდებულება მოყვასის თავს დამტყდარი უბედურებისადმი, გასაჭირში ჩავარდნილისთვის გვერდის ავლა და დახმარებაზე უარის თქმა, ანუ იმ სიტუაციებში ჩაურევლობა, რომლებიც მას არ შეეხებიან, მაგრამ მის სინდისს და თავმოყვარეობას ლახავენ.

ამავე დროს, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი ფეხის აწყობა, ადამიანს სულ უფრო ნაკლებ დროს უტოვებს საკუთარ თავში ჩაღრმავებისათვის, საკუთარი ჭეშმარიტი მოთხოვნილებების გააზრებისათვის, რის გამოც მან ადრინდელი ეპოქების ადამიანთან შედარებით ბევრად ნაკლები იცის ადამიანის ჭეშმარიტი არსების, დანიშნულებისა და სულიერი სამყაროს შესახებ.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრება დაიქვემდებარა მატერიალიზმმა და საერთოდ მატერიალურმა პირობებმა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების შედეგად, ადამიანს წესით მეტი დრო უნდა დარჩენოდა სულიერი მოღვაწეობისათვის, საკუთარ თავთან ჩაღრმავებისათვის და ზნეობრივი სრულყოფისათვის. სინამდვილეში კი პირიქით ხდება. სამომხმარებლო დანიშნულების საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდა, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება და დღევანდელი ცხოვრების ინტენსიური ტემპი, ადამიანს სულ უფრო ღრმად ითრევს მზარდი სამეურნეო საქმიანობის ორომტრიალში, რის შედეგადაც იგი მიჯაჭვული ხდება მატერიალურ ფაქტორებზე და სულ უფრო მეტად შორდება ღვთაებრივ საწყისებს, რაც აგრეთვე იწვევს "ღვთის ხატად და მსგავსად" გაჩენილი ადამიანის გადაგვარებას და გაუცხოებას. ე. ი. ადამიანი კარგავს თავის არსობრივ, ღვთაებრივ დანიშნულებას და მატერიალური კეთილდღეობის ყურმოჭრილი მონა ხდება. იგი მისი გაუმჯობესების მიზნით მიმართავს ნებისმიერ საშუალებას. პარადოქსია, მაგრამ მწარე რეალობაა, რომ "ადამიანის სული ემონება მის მიერ შექმნილ მატერიალურ ნივთებს", რომელთა მოსაპოვებლად იგი ხშირად ყველაფერზე თანახმაა, მ. შ. ისეთ მოქმედებებზეც, რომლებიც ჩირქს სცხებენ ადამიანის სახელს, ავტორიტეტსა და არსობრივ დანიშნულებას.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, თანამედროვე კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე. ამის მიზეზი ისაა, რომ იგი განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდას, მათი ეკონომიკური მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებასა და მათი მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთან, იგი დედამიწის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. ამიტომ, დაუშვებელია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ცალმხრივი შეფასება. აუცილებელია მის ეკოლოგიურ-ჰუმანიტარულ დანახარჯებს შეუდარდეს მისგან გამომდინარე ეკონომიკური სარგებელი. აღნიშნული შედარების შედეგების საფუძველზე თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეიმუშავოს და უნდა განახორციე-

ლოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფითი ეფექტების შერბილებისა და აღმოფხვრის ღონისძიებები. ამასთან, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის უარყოფითი ეფექტების აღმოფხვრა-შერბილება მოითხოვს გლობალურ მიდგომას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყველა სახელმწიფომ, განვითარებულმა, თუ განვითარებადმა, დიდმა თუ პატარამ უნდა გააცნობიეროს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების გაფეტიშება და დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, თუ რეგიონში ბუნებისადმი მტაცებლური დამოკიდებულება და ეკოსისტემის ბალანსის დარღვევა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიწვევს უარყოფით შედეგებს მთელი დედამიწის მოსახლეობისათვის.

ტექნოლოგიურ პროგრესს შეუძლია წარმოების მიერ გარემოს დაბინძურების პრევენცია და/ან აღმოფხვრა ადექვატური ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვით, რაც რა თქმა უნდა, დამატებით კოლოსალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რასაც ადასტურებს დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნებისმიერ შემთხვევაში, დანარჩენ ქვეყნებსაც, საბოლოო ანგარიშით, ამ გზით მოუწევთ სიარული, რათა თავიდან აიცილონ გარემოს დაბინძურებით გამოწვეული გარდაუვალი ეკოლოგიური კატასტროფა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. David Romer, Advanced Macroeconomics, Fourth Edition, Universitu of California, Berkeley, 2012.
2. ცარციძე მ., ცაგარელი ს., შათირიშვილი ა.. ბიოლოგიის შესავალი. თბ. 1999წ.
3. კაკაბაძე ზ., ფილოსოფიური საუბრები. თბ., 1988 წ.
4. ლორენცი კ., ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა. თბ. 1992წ.

# ეკონომიკური კრიზისების პრევენცია

*თეა ბიძინაშვილი*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

*პაატა მემიაძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ეკონომიკური კრიზისი ეს ის პროცესია რომლის აღმოსაფხვრელად სახელმწო მზად უნდა იყოს ნებისმიერ დროს თუ ასე არაა მაშინ ემზადებოდეს და ქმნიდეს წინა პირობას დროული რეაგირებისთვის. კრიზისი არის ჯანსაღი ეკონომიკის თანმდევი პროცე როცა ეკონომიკა აღწევს პიკს ამ მომნტში შესაძლებელია იფეთქოს და სწორედ ამ დროს უნდა შეხვდეს ქვეყანა ყოველმხრივ მომზადებული. სწორედ ამიტომ უნდა ვიცოდეთ შესაძლებელია ეკონომიკური კრიზისის მართვა თუ პირიქით უნდა ველოდოთ მის დამანგრეველ შედეგებს და ყველაფერი ამის შემდგომ დასტაბილურდება?! საინტერესოა რამდენ ახდენს გავლენას პოლიტიკური საზოგადოება ამ ყველაფრზე. პირები რომელთა ხელშია სადავეები და ძლიერი იარაღი უჭირავთ ხელში. როგორი უნდა იყოს მათი მოქმედება და რამდენად გრძნობენ ისინი ეკონომიკის გასაჭირს, სწორედ ეს ყველაფერი იძლევა საშუალებას ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. დღეს გლობალიზაცია იძლევა საშუალებას ჩვენი სახელმწიფოს გასაჭირი გავუზიაროთ სხვებს და მივიღოთ მათგან შესაბამისი პასუხები.

**ABSTRACT**

Economic crisis is a process that the government should be ready to eliminate at any time, if not, prepare and create the preconditions for a timely response. Crisis is a process of a healthy economy. When the economy reaches its peak, it is possible to explode at this moment, and it is at this time that the country should be prepared in every way. That is why we need to know whether it is possible to manage the economic crisis or, on the contrary, we should wait for its devastating consequences and everything will stabilize after that?! It is interesting how much influence the political society has on all this. Those who hold the reins and powerful weapons in their hands. What should be their action and how much they feel the distress of the economy, all this gives the opportunity to take preventive measures against the economic crisis. Today, globalization makes it possible to share the plight of our state with others and receive appropriate responses from them.

* * * *

შეიძლება თუ არა კრიზისის თავიდან აცილება?! როგორც ცნობილია ეკონომიკური კრიზისების მოლოდინი მუდმივად არსებობს. შესაბამისად, მათი პროგნოზირება შესაძლებელია და ამ მიზნებისათვის მრავალ ქვეყანაში სპეციალური სამსახურებიც არის შექმნილი. ცნობილია ის ეკონომიკური ინდიკატორებიც, რომლებზე დაკვირვება იძლევა კრიზისის მოსალოდნელობის პროგნოზირების საშუალებას. განვითარებულ საბაზრო მაკროეკონომიკურ სისტემებში შექმნილია სპეციალური სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება კრიზისების თავიდან აცილების ღონისძიებები. არც ის უნდა დაგვავიწყდეს „ეკონომიკური განვითარების ძირითად წამყვან ძალას წარმოადგენს ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი სწრაფვა ძალაუფლებისაკენ".[1]

კრიზისის თავიდან აცილება შეიძლება, თუ კრიზისების პოლიტიკური მდგენელის მართვა იქნება შესაძლებელი. ამ უკანასკნელის მართვისათვის კი უმთავრესია - უარი ითქვას ხელისუფლების დაკომპლექტების გუნდურ პრინციპზე. მაგრამ სამწუხაროდ, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, ხელისუფლების დაკომლექტება გუნდური პრინციპით ხდება, რაც თავისთავად არ არის დემოკრატიული. მეტიც, იგი ანტიდემოკრატიულია. ამის მიუხედავად, ხელისუფლების გუნდური პრინციპით დაკომპლექტების გამართლება იმ მოტივით ხდება, რომ ის ვინც პასუხისმგებლობას იღებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მასვე უნდა ჰქონდეს მთავრობის (და არა მარტო მთავრობის, არამედ პრაქტიკულად ხელისუფლების ყველა შტოს) დაკომპლექტების უფლება. რას ვღებულობთ შედეგად? „ ნაპოლეონის სინდრომი" ანუ მონური მორჩილება, რომლის გარეგნული მომხიბვლელობის ქვეშ ქვეყნის ინტერესები ითელება. პლატონის სიტყვები რომ მოვიშველიოთ „სახელმწიფოში წარმოიქმნა სრული თავისუფლება, გულახდილობა და შესაძლებლობა: გააკეთო ის, რაც გსურს". საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწისთვის სახელმწიფოს უზენაესობა, მისი ინტერესები უნდა იყოს უმთავრესი დანიშნულება, ის ქვეყნის კეთილდღეობისათვის უნდა იღვწოდეს.

1 მოვსესიანი ა. გ. ოგნივცევი ს. ბ. მსოფლიო ეკონომიკა ტომი I (თარგმნილი რუსულიდან შ. ვეშაპიძის მიერ) თბ., 2003 გვ. 89

რა ხდება რეალურ სამყაროში? „თუ უმაღლესი ხელისუფალი მართლაც ჭკვიანია, რისი ალბათობაც არც თუ ისე მაღალია, მაშინ დემოკრატიის საჭიროება არ არის და მისი გუნდის წევრებს მხოლოდ კარგი შემსრულებლობა მოეთხოვებათ, რისი საუკეთესო მაგალითიც ნაპოლეონ ბონაპარტეს გუნდი გახლავთ (აქედან „ნაპოლეონის სინდრომი"), ხოლო უახლოესი წარსულიდან იოსებ სტალინის გუნდი. „თუ უმაღლესი ხელისუფალი ჩვეულებრივი, ორდინალური ჭკუისაა, თუ მას იმდენი ჭკუა მაინც აქვს, რომ ჭკვიანი ხალხი შემოიკრიბოს გარშემო, რისი ალბათობაც ძალზე ცოტაა, მაშინ ქვეყანას, შეიძლება ითქვას, გაუმართლა. მაგრამ თუ მას ჰგონია, რომ ის ჭკვიანია და გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს, მისი გუნდის წევრები კორუფციის ჭაობში იფლობიან და, თუ ეს დიდ ქვეყანაში ხდება, იწყება მსოფლიო საფინანსო კრიზისის ეკონომიკურში გადაზრდის პროვოცირება. ხოლო თუ ეს პატარა ქვეყნებში ხდება - მაშინ უფრო პოლიტიკურ კრიზისს აქვს ადგილი, ცალკეულ, ძალზე იშვიათ შემთხვევებში, შესაძლოა მსოფლიო მასშტაბისაც".[2]

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ყველა ხელისუფალნი „ნაპოლეონის სინდრომით" იყვნენ დაავადებულები, რეალურად კრიზისის თავიდან აცილება საალბათოა. ისტორიას ახსოვს მაგალითი იმისა, თუ სახელმწიფოს გამოუჩნდა ჭკვიანი ხელისუფალი და მან მოინდომა ჭკვიანი ხალხის შემოკრება, მარტივად რომ ვთქვათ, ეს „მონდომება" სიცოცხლის ფასად უჯდება. ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა პრეზიდენტმა ჯ. ფ. კენედმა 1963 წლის 18 ივლისს კონგრესს მოახსენა, რომ ფიქრობდა ცხოვრებაში გაეტარებინა რიგი ღონისძიებებისა ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტის ჩარჩოში მოქცევისათვის. კენედი აპირებდა აემაღლებინა სამრეწველო საქონლის ექსპორტის დონე და დაედო პროცენტული გადასახადი ამერიკელ მოქალაქეთა მთელს საკუთრებაზე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. 15 პროცენტამდე გადასახადი უნდა შემოსულიყო ყოველწლიურად კაპიტალიდან, რომელიც ინვესტირებული იყო საზღვარგარეთ. ეს კი ძალიან აღიზიანებდა საერთაშორისო ბანკირებს. შთამბეჭდავი და მავანთათვის გამაღიზიანებელი იყო ჯ. კენედის სიტყვები: თავისუფალი საზოგადოება, რომელსაც არ შეუძლია დაეხმაროს თავის ღარიბ უმრავლესობას, მას არ შესწევს უნარი გადაარჩინოს მდიდარი უმცირესობა. ადვილი მისახვედრია, რომ კენედის შეეძლო ქცეულიყო იმ ადამიანად, რომელიც საჭირო იყო, როგორც ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენელი. 1963 წლის 22 ნოემბერს კენედი დალასში მოკლეს. მოკლა საკუთარმა მძღოლმა, რომელიც „თავდასხმიდან სამი კვირის შემდეგ გარდაიცვალა სწრაფმოქმედი კიბოთი, რომელიც მას ჩაუნერგეს".[3]

მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკი იქმნება იმისათვის, რათა ხელში აიღონ მთელი ეკონომიკა პლანეტის მასშტაბით. ცალკეული სახელმწიფოების დაუჯერებლად დიდი ყოველწლიური საწევრო შესატანი აღწევს მილიარდებს. „როგორც კი რომელიმე სახელმწიფოს საწევროს შეტანისას გაუჩნდება რაიმე პრობლემა, ეს მაშინვე იგრძნობა ამ ქვეყნის მშრომელ და უღარიბეს მოსახლეობაში"[4] .

იმის გამო, რომ ეკონომიკური კრიზისების დროს უამრავი კომპანია დახურვის საფრთხის წინაშეა, მთავრობები მათი სტიმულირების პრაქტიკას იყენებენ, მაგალითად, კომპანიებს აძლევენ სამთავრობო გარანტიებს ბანკებში წარსადგენად. სახელმწიფო ბიუჯეტის იმედად მყოფი ბანკები კი თავისუფლად გასცემენ კრედიტებს და, რაც ყველაზე უარესია, ხშირ შემთხვევაში სიცოცხლის უუნარო კომპანიებზე. ამ პრაქტიკით მთავრობების ეკონომიკის ზომბირებას უწყობენ ხელს იმის ნაცვლად რომ ეკონომიკა ტოქსიკური ნარჩენებისაგან გაათავისუფლონ, მათ არსებობას ბიუჯეტში გადამხდელების ხარჯზე ახანგრძლივებენ. ამის ნათელი მაგალითია ობამას მთავრობის 789 მილიარდ დოლარიანი ეკონომიკის სტიმულირების გეგმა და გერმანიის მთავრობის მიერ მსხვილი ავტომწარმოებლებისთვის გამოყოფილი მილიონები.

რა მოიტანა დახარჯულმა მილიარდებმა? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს მთავრობები პრაქტიკულად კეინსიანური პოლიტიკის მიმდევრები არიან, ხოლო კეინსის თეორიის ამოსავალი დასაქმების ზრდა იყო, გამოდის, რომ ამ მილიარდებს ჯერჯერობით დიდი არაფერი მოუტანია. როგორც „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის" ექსპერტები აცხადებენ, მსოფლიოში უმუშევრობა კვლავ რეკორდულად მაღალ დონეზეა.

ამის ფონზე „საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც 2020 წლისთვის ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება იგეგმება. მაგალითად, 2009 წელს თუ ქვეყანაში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 5811,7 ლარს შეადგენს, 2020 წელს ის 13 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო, უმუშევრობა კი 15%-დან 12%-მდე უნდა შემცირებულიყო".

2 აქუბარდია თ. ეკონომიკური კრიზისის ფინანსური და პოლიტიკური მდგენელი, თბ., 2009 გვ. 47
3 დობროლუბოვი ნ. XX საუკუნის ფარული ორგანიზაციები, „666" („სატანის ახალი აღთქმა", თბილისი 2001 გვ. 10
4 დობროლუბოვი ნ. XX საუკუნის ფარული ორგანიზაციები, „666" („სატანის ახალი აღთქმა", თბილისი 2001 გვ. 115

ფინანსური გლობალიზაცია იცავს ქვეყნებს ფინანსური კრიზისებისაგან და საშუალებას აძლევს მათ პრობლემის დროს სხვა სახელმწიფოების დახმარებით ისარგებლონ. თუმცა, ფინანსური გლობალიზაციის დადებით მხარეებთან ერთად, მის უარყოფით თვისებებზეც საუბრობენ. ფინანსური ბაზრების ასეთი ინტენსიური და მჭიდრო კავშირის პირობებში არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული ე. წ. „ დომინოს პრინციპისგან", ანუ როდესაც ერთ ქვეყანაში შექმნილი ფინანსური პრობლემები ყველა მის პარტნიორზე ვრცელდება. თუმცა დღეს უკვე აქაც წარმოიშვა რიგი პრობლემები, პანდემიის პერიოდმა აჩვენა, რომ როცა პრობლემის წინაშე დგება ყველა ქვეყანა იქ სხვის დასახმარებლად აღარ სცალია არც ძლიერ წამყვან ქვეყნებს და მითუმეტეს არც სუსტი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს. მთელი მსოფლიო დადგა კრიზისის წინაშე და ყველა ცდილობდა საკუთარი ეკონომიკის გაჯანსაღებას, არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნების დასახმარებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მოვსესიანი ა. გ. ოგნივცევი ს. ბ. მსოფლიო ეკონომიკა ტომი I (თარგმნილი რუსულიდან შ. ვეშაპიძის მიერ) თბ., 2003 გვ. 89.
2. პაპავა ვ. "საქართველოს ეკონომიკა", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015.
3. დობროლუბოვი ნ. XX საუკუნის ფარული ორგანიზაციები, „666" („სატანის ახალი აღთქმა", თბილისი 2001 გვ. 10
4. უეილი, დევიდ ნ. - ეკონომიკური ზრდა // თბილ. უნივერსიტეტის გამმომცემლობა, 2016.

# საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

***ნატო გეგენავა***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

***მარინა ბაღათურია***
*სტუ-ს ასისტენტ პროფესორი*

***მანანა ბერუაშვილი***
*სტუ-ს ასისტენტ პროფესორი*

**რეზიუმე**

დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და ამავდროულად პრობლემური საკითხი არის შრომითი მიგრაცია. ეს პრობლემა ქვეყანაში დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან არსებობს და დღემდე რჩება დიდ გამოწვევად. შრომითი მიგრაცია საქართველოში წარმოშობს ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პრობლემებს. ის ასევე დიდ გავლენას ახდენს მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. მიგრაცია არის რთული გლობალურ-დემოგრაფიული პროცესი, რომელიც წარმოადგენს ცივილიზებული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს და თანამედროვეობის გამოწვევას, ეფუძნება ადამიანთა უფლებას, თავისუფლად აირჩიონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი და განახორციელონ შრომითი საქმიანობა.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა ფიზიკური გადარჩენისათვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძებნა. დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა, სამუშაო ძალის დაბალი ფასი, შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების არარსებობა და არასტაბილური ვითარება იყო ის მიზეზები, რამაც უბიძგა საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს სამუშაო მოეძებნა საზღვარგარეთ. ერთის მხრივ, შრომითი მიგრაცია განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი, ვინაიდან ქვეყნიდან გადის მნიშვნელოვანი სამუშაო ძალა, თუმცა ამ პროცესს დადებითი ეფექტიც აქვს, მას განიხილავენ, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის სტრატეგიას, რაზედაც მეტყველებს ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები. აღნიშნული ფულადი დახმარებები საქართველოში ბევრი ოჯახის არსებობის წყარო და საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ასევე ქვეყნის ეკონომიკაზეც დადებით გავლენას ახდენს.

**საკვანძო სიტყვები:** შრომითი მიგრაცია, არალეგალური მიგრაცია, ტვინების გადინება, პიროვნული უსაფრთხოება

**ABSTRACT**

One of the most pressing and at the same time problematic issues today is labor migration. This problem has existed in the country since the first years of independence and remains a serious challenge to this day. Labor migration in Georgia causes economic and demographic problems, it also has a huge impact on its security and stability. Migration is a complex global-demographic process, which is an integral part of civilized society and a challenge of modernity, based on the right of people to freely choose their place of residence and work.

The deteriorating economic situation has forced a significant part of the population to seek employment abroad for employment for physical survival. Lack of employment opportunities, low labor costs, lack of conditions for the normal functioning of the labor market and unstable situation were the reasons that pushed the most active part of the Georgian population to find work abroad. On the one hand, labor migration is considered as an obstacle to the economic development of the country, as a significant labor force leaves the country, but this process also has a positive effect, it is considered as a strategy to save the country's economy, as evidenced by remittances. These financial aids are a source of income for many families in Georgia, which helps to improve their economic situation and also has a positive impact on the country's economy.

* * * *

განვითარებულ სამყაროში უამრავი პრობლემა და გამოწვევაა. ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია მიგრაცია. სამუშაო ძალის მიგრაცია არის თანამედროვე მსოფლიოს უმწვავესი პრობლემა. სხვადასხვა პრობლემებმა მოსახლეობის ნაწილი აიძულა , გამოსავალი ეპოვათ ქვეყნის სამუდამოდ ან დროებით დატოვებაში. სამუშაო ადგილის მცირე რაოდენობა, დაბალი ანაზღაურება, აღნიშნულ შემთხვევაში, მოქალაქე იღებს გადაწყვეტილებას მიგრირების შესახებ. მიგრაციაზე სხვა ფაქტორებიც ახდენენ გავლენას ესენია: ეკონომიკური კრიზისი, დემოგრაფიული ცვლილება, ქვეყნებს შორის შრომის ანაზღაურების მკვეთრი განსხვავება. მიგრაციის რაიმე მწყობრი თეორია ჯერ ვერ ჩამოყალიბდა. ყველაზე დამღუპველია განვითარებადი ქვეყნებიდან მა-

ღალი ხელფასისა და მუშაობის უკეთესი პირობების საძიებლად განვითარებულ ქვეყნებში კვალიფიციური მუშახელის - მეცნიერების მიგრაცია, რამაც მიიღო სახელწოდება "ტვინების გადინება". მასობრივი მიგრაციის, განსაკუთრებით, შრომითი მიგრაციის მიზეზები მრავალგვარია. განასხვავებენ მიგრაციის შემდეგ სახეობებს: მუდმივ მიგრაციას, დროებით მიგრაციას და სეზონურს. ემიგრანტი - ერთი ქვეყნიდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად წასული პირი, რომლის არყოფნა აღემატება წარმოშობის ქვეყანაში 12 თვეს. იმიგრანტი - პირი, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ უცხოვრია 12 თვეზე მეტ ხანს (განურჩევლად მოქალაქეობისა), გარდა იმ პირისა და მისი ოჯახის წევრებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში. მიგრაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, პროფესიულ მომზადებაზე, გამოცდილებაზე, კვალიფიკაციაზე. მიგრაცია ახსნილია, როგორც მიგრანტთა რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების დანახარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. მოსახლეობის გადასახლებისგან განსხვავებით, შრომითი მიგრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საერთაშორისო მიგრანტებს ადგილობრივ ქვეყანაში, გამგზავრებამდე, საშუალო შემოსავალის მიღების შესაძლებლობა აქვთ. ხშირ შემთხვევაში, მიგრანტები არ განეკუთვნებიან ულარიბეს მოქალაქეთა რიცხვს. ღარიბი ქვეყნების მოსახლეობას, რომელთაც დაბალი შემოსავალი აქვს, არ აქვს შესაძლებლობა, როგორც ფინანსური, ასევე ინფორმაციული თვალსაზრისით, რომ ჩაებან ფართომასშტაბიან საერთაშორისო მიგრაციაში. საერთაშორისო მიგრანტთა უმრავლესობა, საშუალო ფენის წარმომადგენელია.

მილიონობით ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას მიგრირების შესახებ, რათა თავიანთ ოჯახის წევრებს შეუქმნან უკეთესი საცხოვრებელი პირობები. მიგრაციის წილი სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში საკმაოდ დიდია. დიდია სამუშაო ძალის მიგრაციის როლი მსოფლიოს ქვეყნების განვითარებაში, მიუხედავად მოცემული ქვეყნების ნეგატიური განწყობისა. მსოფლიო ქვეყნებს შორის საზღვრების გახსნით იზრდება საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის გადაადგილება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს დასაქმებაზე. ამ დროს შრომითი მიგრაციის მასშტაბები იზრდება. განვითარებული ქვეყნების პენსიონერთათვისაც მომგებიანია მიგრანტთა რაოდენობის ზრდა, მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განვითარებად ქვეყნებს კი, სადაც მოსახლეობის სიჭარბეა, ემიგრაცია ათავისუფლებს ქვეყანას ჭარბი მოსახლეობისგან, ერთგვარი ამოსუნთქვის ეფექტს უქმნის. მიგრანტები თავიანთი ოჯახის წევრებისთვის, ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ.

გაჩნდა ახალი სახელმწიფო საზღვრები და თანდათან გაიზარდა ამ საზღვრების გადამკვეთთა რიცხვიც, რომელმაც გაზარდა საერთაშრისო მიგრანტთა რაოდენობა. განვითარებად ქვეყნებში დღეს, ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია. მიგრაციის პრობლემა აწუხებს მთელს მსოფლიოს. საქართველოდან ემიგრაციაში წასული მოქალაქეების ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ შრომითი მიგრაცია, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელია უმუშევრობა, რომელიც დღემდე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის.

ადამიანის უსაფრთხოების შეფასების მთავარი კრიტერიუმი მისი ცხოვრების ხარისხია. პირის უსაფრთხოება დაცულია, თუ მას აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, ხელი მიუწვდება შრომის ბაზარსა და საზოგადოების სხვა წევრებისთვის ხელმისაწვდომ სოციალურ საშუალებებზე და შეუძლია იცხოვროს მშვიდობიან გარემოში. ადამიანის უსაფრთხოების ცნება გაერომ ჩამოაყალიბა და გამოყო უსაფრთხოების შვიდი ძირითადი სფერო. ეკონომიკური უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, ჯანდაცვა, ეპიდემიური დაავადებებისგან დაცვა, გარემოს უსაფრთხოება, პიროვნული უსაფრთხოება, საზოგადოების უსაფრთხოება, პოლიტიკური უსაფრთხოება. ქვეყნები, სადაც არასტაბილურობაა და კონფლიქტი მძვინვარებს, ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი მოსახლეობის უფლებათა სათანადო დაცვას, რაც ხშირად იძულებითი მიგრაციის მიზეზი ხდება.

არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმი სახელმწიფოებს შორის მათ ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფ პირთა რეადმისიის თაობაზე შეთანხმებებია (ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი). საქართველოს რეადმისიის შეთანხმებები გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, დანიასთან, ისლანდიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, ასევე უკრაინასთან, მოლდოვასთან და ბელარუსთან. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული რეადმისიის შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს რეადმისიის შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმების პროცესი. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დაინერგა „რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა",რომელიც დადებითად შეფასდა ევროკომისიის მიერ და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს რეკომენდაცია მიეცათ სისტემაში ჩასართავად. რეადმისიის სისტემის გამოყენებით, საქართველოს და ევროკავშირის შენგენის წევრი ქვეყნების

შესაბამისი სამსახურები მნიშვნელოვნად ზოგავენ როგორც ადამიანურ, ასევე ადმინისტრაციულ და ფინანსურ რესურსებს. გარკვეულწილად ადგილი აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობებს ან საქართველოში კანონიერი გზით შემოსვლის შემდეგ საქართველოში ლეგალურად ყოფნის წესების დარღვევას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ეფექტიანი სასაზღვრო უსაფრთხოების და სასაზღვრო კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა, რაც დიდ წილად გულისხმობს გამართულ სასაზღვრო ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ აღჭურვილობასა და შესაბამისად მომზადებულ კადრებს; ასევე, ეფექტიან თანამშრომლობას შიდაუწყებრივ, უწყებათაშორის და საერთაშორისო დონეზე. მიგრანტთა მიზიდულობის ცენტრებია არა ქვეყნები მთლიანად, არამედ მსხვილი მეგაპოლისები. ერთ–ერთი ფაქტორი, რომელიც მიგრაციული სისტემის ფუნქციონირებას ხელს უწყობს, არის საზღვარგარეთ შრომითი მოწყობის კომერციული სტრუქტურები. ისინი შუამავლობენ დამსაქმებლებსა და პოტენციურ შრომით მიგრანტებს შორის. საშუამავლო ფირმები თვითონ იღებენ სამუშაოს მძებნელთაგან თანხას საზღვარგარეთ შრომითი მოწყობისთვის. ბევრი იქაური ფირმა მხოლოდ შუამავლების მეშვეობით იღებს მუშახელს. შუამავლები ცდილობენ, მათ ხარისხიანი სამუშაო ძალა მიაწოდონ. აღნიშნული სააგენტოები იმ ქვეყნებშია უფრო ბევრი, სადაც პოტენციური ემიგრაცია მაღალია. ამ სააგენტოებს აქვთ სახელმწიფო ლიცენზიები. ხშირად სააგენტოები სპეციალდებიან ბაზრის რომელიმე სექტორზე. ჩვენთან ემიგრაცია უმეტესად არალეგალურია, ფირმებისთვის დამახასიათებელია მრავალი კანონდარღვევა, ტრეფიკინგული ქმედება.

ამგვარად, მსოფლიო შრომის ბაზარში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა, რომელიც საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მეშვეობით ხდება, უკვე ნორმა გახდა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნებისათვის. მრავალ ქვეყანათა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ხდება როგორც შრომით მიგრანტთა მიმღები, ისე გამგზავნი. ამჟამად, ქალები „დამოუკიდებელ" შრომით მიგრანტთა 50%–ია. ეს მსოფლიო ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებითაცაა განპირობებული.

## დასკვნა

შრომითი მიგრაცია ის პრობლემაა, რომელიც საქართველოს გასული საუკუნის 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან თან სდევს. ქართველების პირველი ნაკადი სამუშაოდ მეზობელ, თურქეთსა და საბერძნეთში წავიდა. მცირე პერიოდში პატარა საქართველოს მოქალაქეები მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის შრომის ბაზარზე გამოჩნდნენ. მიგრაცია დღეისთვის უკვე აღარ წარმოადგენს უცხო მოვლენას და შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი გარდაუვალია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზაციას უნარ-ჩვევებით,განათლებით ,სამუშაო გამოცდილებითა თუ სხვა ფაქტორებით,რის შედეგადაც ქვეყნიდან ხდება ინტელექტის გადინება. მიგრაცია გარდაუვალია ისეთი განვითარებადი და ეკონომიკური თვალსაზრისით შეუმდგარი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სადაც ადამიანთა უმრავლესობა ვერ რეალიზდება, ვერ ახერხებს დასაქმებას სასურველი პროფესიით, პირობებით და ანაზღაურებით. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქვეყნიდან ხდება ინტელექტის გადინება, იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომელთაც სურთ, რომ იყვნენ წარმატებულნი და აქვთ ამის რესურსი და საშუალება, სწავლას აუცილებლად საზღვრგარეთ აგრძელებენ, რადგან მეტი პერსპექტივა აქვთ განვითარების და ხშირ შემთხვევაში სამშობლოში აღარ ბრუნდებიან, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ერთ-ერთ უარყოფით მხარედ მიგრაციისა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკასთან. ქვეყანა არ უნდა კარგავდეს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც მომავლის შეცვლა უკეთესობისკენ შეუძლიათ და უნდა ჰქონდეს იმის რესურსი, რომ თავად უზრუნველყოს მათი რეალიზება.

შრომით ემიგრაციას ახლავს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. პოზიტიური შედეგები გამოიხატება შემდეგ ფაქტორებში: ფულადი გზავნილების დიდი მოცულობა და მის ხარჯზე სამშობლოში დარჩენილი ოჯახების შემოსავლების ზრდა, სიღარიბის შემცირებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას უწყობს ხელს; შრომითი ემიგრანტების ფულადი სახსრების ინვესტირებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ეროვნული ვალუტის გამყარება, სავალუტო რეზერვების სტაბილურობის ხელშეწყობა; ქვეყანაში უმუშევრობისა და არასრული დასაქმების მასშტაბების შემცირება; ემიგრანტთა დაბრუნების შემთხვევაში, მათ მიერ უცხოეთში მუშაობისას დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების, ახალი საწარმოო და ორგანიზაციული უნარების სამშობლოში გადმოტანა და თავისი ქვეყნის ადამიანური კაპიტალის გაზრდა; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად საჭირო პოტენციალის გაზრდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://pubhtml5.com/cwgv/xweh - ბოლოს გადამოწმებულ იქნა 05.10.2022

2. ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის კვლევის სტრატეგიის შესახებ. თსუ. მიგრაციის კვლევის ცენტრი. კრებული: მიგრაცია – 7. თბილისი,. გვ. 127- 145. 2015

3. https://www.worldbank.org/en/topic/migrationremittancesdiasporaissues/brief/migration-remittances-data - ბოლოს გადამოწმებულ იქნა 05.10.2022

# ქართული აგრარული ეკონომიკის რესურსული პოტენციალი

***მაია ბენია***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

***თენგიზ ლაჭყეპიანი***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

**აბსტრაქტი**

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების DCFTA ფარგლებში ევროკავშირმა განახორციელა არაერთი რეფორმა ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით, დაეხმარა აგრარულ სექტორს ENPARD პროგრამის მეშვეობით. საქართველოში სოფლის მეურნეობა ერთერთ ყველაზე პრიორიტეტულ დარგადაა გამოცხადებული, მისი სტიმულირების მიზნით არაერთი პროექტი განხორციელდა ინვესტიციების მოსაზიდად, წარმოების გასაზრდელად, საექსპორტო პოტენციალის გასაფართოებლად. მაინც ვერ ახერხებს ეს დარგი ჯეროვნად განვითარებას, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ცალკეული აგრარული დარგების განვითარება არ ასტიმულირებს ეკონომიკას რომ საექსპორტო პოტენციალი გაიზარდოს, შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს სისტემური გარდაქმნები. ფერმერთა უნარ-ჩვევების დაბალი დონე, კოოპერაციული კულტურის დეფიციტი, ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის არქონა, მიწების დეფრაგმენტაცია, ლაბორატორიების სიმცირე და გაუმართაობა - ეს ყოველივე კომპლექსურად დასაძლევია და მეტი მხარდაჭერაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ასევ გულისხმობს, საბანკო სექტორთან და კერძო ბიზნესთან სისტემურ გრძელვადიან კოორდინირებულ თანამშრომლობას.

**საძიებო სიტყვები:** ევროკავშირთან ჰარმონიზაცია, აგრარული ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, ინვესტირება, ექსპორტი.

**ABSTRACT**

Within the framework of the Deep and Comprehensive Free Trade Agreement DCFTA, the European Union has implemented a number of reforms for the sustainable development of the economy, supporting the agricultural sector through the ENPARD program. In Georgia, agriculture is declared as one of the most priority sectors, in order to stimulate it, a number of projects were implemented to attract investments, increase production, and expand export potential. Still, this field is not able to fully develop, it is still facing many challenges. The development of individual agricultural sectors does not stimulate the economy to increase the export potential, therefore it is necessary to carry out systemic transformations. Low level of skills of farmers, lack of cooperative culture, lack of access to technologies, defragmentation of lands, shortage and failure of laboratories - all these are complex to overcome and more support is needed from the state, which also implies systematic long-term coordinated cooperation with the banking sector and private business.

**Key words:** harmonization with the European Union, agrarian industry, agriculture, investment, export.

* * * *

საქართველო 1992 წლიდან ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის რეჟიმში სარგებლობს საყოველთაო პრეფერენციების სისტემით. აღმოსავლეთ პარტნიორობის საფეხურზე გადასვლამ უფრო გააფართოვა ნულოვანი ტარიფით ევროკავშირის ბაზარზე გასატანი ეროვნული ნაწარმის ნუსხა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების DCFTA ფარგლებში ევროკავშირმა განახორციელა არაერთი რეფორმა ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით, დაეხმარა აგრარულ სექტორს ENPARD პროგრამის მეშვეობით, საიდანაც 179,5 მილიონი ევრო უკვე ათვისებულია მუნიციპალიტეტების მიერ. 2013 წლიდან საქართველოში სოფლის მეურნეობა ერთერთ ყველაზე პრიორიტეტულ დარგადაა გამოცხადებული, მისი სტიმულირების მიზნით არაერთი პროექტი განხორციელდა ინვესტიციების მოსაზიდად, წარმოების გასაზრდელად, საექსპორტო პოტენციალის გასაფართოებლად. მაინც ვერ ახერხებს ეს დარგი ჯეროვნად განვითარებას, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ინფრასტრუქტურის სფეროს გაუმართავობა - სადრენაჟე, საირიგაციო, საკანალიზაციო სისტემები, ვერ მოხერხდა მათი სისტემური რეაბილიტაცია; ფერმერთა უნარ-ჩვევების დაბალი დონე, კოოპერაციული კულტურის დეფიციტი, ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის არქონა, მიწების დეფრაგმენტაცია, ლაბორატორიების სიმცირე და გაუმართაობა. ეს ყოველივე კომპლექსურად დასაძლევია და მეტი მხარდაჭერაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ასევ გულისხმობს, საბანკო სექტორთან და კერძო ბიზნესთან სისტემურ გრძელვადიან კოორდინირებულ თანამშრომლობას. მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია დეკარბონიზაციის დაკრედიტება ბანკების მხრიდან უმცირესი საპროცენტო განაკვეთებით, რომლიც დაეხმარება ფერმერებს გლობალური ხედვის განვითარებაში და გრძელვადიან პერსპექტივაში დაანახებს სარგებელს. სამწუხაროდ ეს კომპონენტი ჩვენს ქვეყანას არ აქვს. სურსათის უვნებლობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა,

მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა, ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება, სასოფლო სამეოურნელო ტექნიკის განახლება და ხელმისაწვდომობა.

სახელმწიფოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია დიდწილადაა ჰარმონიზებული ევროკავშირის ENPARD - ის ამოცანებან, რომლის მიზნებია:

სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდისათვის და სოფლის მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობით;

სურსათის უსაფრთხოებისათის ხელსწყობა ხელმისაწვდომი სურსათის უფრო მდგრადი მიწოდების მეშვეობით, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების ამაღლებით საექსპორტო ბაზრდიან მეტი სარგებლის მისაღებად;

სოფლის მეურნეობისა და სოფლის ადმინისტრირების გაუმჯობესება ინსტიტუციური და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარებით, აგრარული სტრატეგიის შექმნისა და მართვის გათვლით;

2014 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, მეურნეობების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის 14% მრავალწლოვან ნარგავებს უკავია, 38% - სათიბებსა და საძოვრებს, ხოლო თითქმის ნახევარი სახნავი მიწაა. თუმცა, მეურნეობების მესამედი მათ საკუთრებაში არსებულ სახნავ მიწას არ ამუშავებს - რაც ჯამში 112 ათას ჰექტარს აღემატება. ანუ, მეურნეობების საკუთრებაში არსებული სახნავი მიწის 30% არ მუშავდება. სოფლის მეურნეობაში ჩართული მეურნეობების მიერ მიწის დიდი ნაწილის დაუმუშავებლად დატოვების, ნათესი ფართობების და პირუტყვის სულადობის შემცირების მიუხედავად, სოფლის მეურნეობა მცირე ტემპით მაინც ვითარდება. ქვეყანაში შემოდის თანამედროვე ტექნოლოგიები და ცოდნა, სახელმწიფო თუ დონორული პროექტების მხარდაჭერით ვითარდება ახალი მიმართულებები, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები კი დამატებით ასტიმულირებს მიწოდებათა ჯაჭვის განვითარებას. შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების მოცულობა ნელ-ნელა მატულობს.2019 წელს სოფლის მეურნეობამ 4.7 მლრდ. ლარის პროდუქცია გამოუშვა, ხოლო სოფლის,სატყეო და თევზის მეურნეობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 3.1 მლრდ. ლარიშეადგინა, რაც მთლიანად ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების 7.2% იყო. თუმცა, გამოშვების მოცულობის მატების მიუხედავად, სექტორის წილი მშპ-ში კლებადია. ანუ, სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი მთლიანი ეკონომიკის ზრდის ტემპს ჩამორჩება. მიწების დანაწევრება, დაბალი მექანიზაცია, სასოფლო პროდუქციის მაღალი თვითღირებულება, შესაბამისი ცოდნის არქონა თუ მოძველებული ინფრასტრუქტურა სექტორის ზრდას აფერხებს და მნიშვნელოვნად ამცირებს პროდუქტიულობას. ამას გარდა, მავნებლებისა და სხვადასხვა ორგანიზმების მიმართ დაბალი რეზისტენტობის მქონე ჯიშები, გაუმართავი საირიგაციო და სადრენაჟო სისტემები, კლიმატური პირობების მიმართ მაღალი მგრძნობელობა, ცოდნისა და გამოცდილების დაბალი დონე, ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად მოქმედებს სექტორის მწარმოებლურობაზე და ხელს უშლის სტაბილურ ზრდას. სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდის ტემპი მნიშვნელოვანი მერყეობით ხასიათდება. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობა როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწა ფრაგმენტირებულია. შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ძალიან მცირე ზომისაა საიმისოდ, რომ მეურნეობა მომგებიანი იყოს. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მცირე მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება მაღალია, რასაც იწვევს სათანადო ცოდნის ნაკლებობა და წარმოების პროცესის, მოსავლის აღების თუ შეფუთვის არც ისე მაღალი სტანდარტის ტექნოლოგიები. მცირე ზომის მიწის მფლობელისთვის არარენტაბელურია ტექნიკისა და სხვადასხვა მანქანა-დანადგარების შეძენა, ეს კი პირდაპირ აისახება მწარმოებლურობაზე და პროდუქციის ხარისხზე. ამასთან, წარმოების შეზღუდული მასშტაბიდან გამომდინარე, რთულია სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა. ეს ყველაფერი მცირე მეურნეობას არაკონკურენტულს ხდის როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე. ინდუსტრიული მეურნეობების განვითარება ტრადიციული წარმოების წინაშე არსებული ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის გზას წარმოადგენს. მსხვილ ფერმერულ მეურნეობას არ აქვს მცირემიწიანობასთან დაკავშირებული სირთულეები, ტექნიკასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, ხოლო ევროპისა თუ სხვა საექპორტო ბაზრებზე შესვლა შედარებით ნაკლებ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული.

მცირემიწიანობას რაც შეეხება უნდა ითქვას, რომ 2014 წლის აღწერის თანახმად, მეურნეობების 77% ერთ ჰა-ზე ნაკლები ზომის მიწას ფლობს, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ დაყოფილია მცირე ნაწილებად. შესაბამისად, მეურნეობებს სხვადასხვა ადგილზე განთავსებული მიწის ნაკვეთების ეფექტურად გამოყენება ურთულდებათ. მსგავსი დანაწევრება ხელისშემშლელია მასშტაბის ეფექტით სარგებლობისა და ერთი სახის პროდუქტის წარმოებაზე სპეციალიზაციისათვის. შინამეურნეობები ჩართული არიან სოფლის მეურნეობაში სპეციფიკური ცოდნისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გარეშე. უმეტეს შემთხვევებში, თვითკმარ და ნახევრად-თვითკმარ მეურნეობებში დასაქმებული მოსახლეობა არ იცნობს ფერმერულ პრაქტიკას თესლის ხარისხის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად,იშვიათად იყენებს მაღალი ადაპ-

ტაციის უნარის მქონე ჯიშებს თუ სერტიფიცირებულ სათესლე მასალას, ასევე, ხელი არ მიუწვდება ნარგავების თუ პირუტყვის მოვლის თანამედროვე, ეფექტიან ტექნოლოგიებზე. შედეგად, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია არის ადგილობრივი და, მით უმეტეს, უცხოური ბაზრისათვის მიუღებელი. სასოფლო საქმიანობაში ჩართული შინამეურნეობები პროდუქციას უმეტესად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებენ და პროდუქციის გაყიდვიდან მცირე შემოსავალს იღებენ. 2014 წლის აღწერის თანახმად, მეურნეობის 78% პროდუქციას ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებდა. ხოლო 2019 წელს, ერთი შინამეურნეობის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან წლიურად მიღებულმა საშუალო შემოსავალმა 1700 ლარიც კი ვერ შეადგინა, რაც სოფლად მაცხოვრებელთა შინამეურნეობის საშუალო წლიური შემოსავლის 15%-ზე ნაკლებია. მიწის დეფრაგმენტაცია, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის სრულყოფილი აღრიცხვა და პრივატიზება, შედეგად კი მსხვილი ფერმერული მეურნეობების შექმნა, მასშტაბიდან უკუგების ეფექტით სარგებლობის შესაძლებლობას გააჩენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსხვილ მეურნეობებს თუ კოოპერატივებს განვითარების შედარებით მეტი პოტენციალი აქვთ ვიდრე მცირე, თვითკმარ და ნახევრად-თვითკმარ მეურნეობებს. შესაბამისი ცოდნა თუ კვალიფიციური მუშახელი, ხარისხიან აგროქიმიკატებსა და ნერგებზე ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და ა.შ. ეს არის ფაქტორები, რომელთა ერთობლიობა განაპირობებს მათ უპირატესობას. ტექნოლოგიებსა და ტექნიკაზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი დეფიციტია როგორც ტექნოლოგიების ასევე ტექნიკის გავრცელების მხრივ:

2014 წ სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელი მეურნეობების მხოლოდ 4.7% ფლობს მუშა მდგომარეობაში მყოფ ტრაქტორს (ჩვეულებრივს და ხელის ტრაქტორს). მეურნეობის მექანიზაციის დაბალი დონე კი პირდაპირ აისახება წარმოების პროდუქტიულობაზე. საქართველოში ძალიან ნელი ტემპით შემოდის ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკური სიახლეები. ქვეყანაში თითქმის არ არის თანამდეროვე ჯიშები და სათესლე მასალა. ფერმერები არ იცნობენ უახლეს მიღწევებს, იყენებენ ძველ ჯიშებს, რომლთა ნაწილი უკვე აღარ არის ბაზარზემოთხოვნადი. წარმოების პროდუქტიულობის გასაზრდელად და ნაწარმის რეალიზაციის გასამარტივებლად აუცილებელია ახალი, მოთხოვნადი და პროდუქტიული ჯიშებისა და ნერგების შემოტანა/გავრცელება. პროდუქტის სასაქონლო სახის შესანარჩუნებლად და საექსპორტო ბაზრებისათვის მიმზიდველი პროდუქტის მოსამზადებლად საჭიროა სპეციალური ტექნოლოგიებით პროდუქტის დამუშავება, დახარისხება და შეფუთვა. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, სასოფლო ტექნიკის შესყიდვა და წარმოების მეტ-ნაკლებად ავტომატიზება არც თუ ისე მცირე კაპიტალურ დანახარჯს მოითხოვს, რაც მცირე მეურნეობებისთვის არარენტაბელურია. მსხვილი ფერმერული მეურნეობების ფინანსური სიძლიერე ამარტივებს თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას. მათთვის უფრო მომგებიანია მეურნეობის ავტომატიზება და მიწის დასამუშავებლად თუ მოსავლის ასაღებად საჭირო მოწყობილობების საზღვარგარეთ შესყიდვაც არ წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას. შესაბამისად, მსხვილი მეურნეობები ახერხებენ მასშტაბის ეფექტიანობის სარგებლის მიღებას, კულტივირების ახალი ტექნოლოგიების ათვისებას და მეურნეობის უკეთესი პრაქტიკის დანერგვას, რაც განაპირობებს მათ კონკურენტულ უპირატესობას მცირე თუ მიკრო მეურნეობებთან შედარებით. ინფრასტრუქტურა მაინც გამოწვევად რჩება სოფლის მეურნეობა, სხვა დარგებთან შედარებით, არც თუ ისე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ხასიათდება. ბოლო ათი წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობაში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 1.5%-ზე მეტი არ განთავსებულა. 2010-2019 წლებში საშუალო წლიურმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ სექტორში 11.6 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. სამუშაო ძალის განვითარებასთან ერთად, ინფრასტრუქტურის მოწყობა-გამართვა ინვესტიციების სტიმულირების ერთ-ერთი ეფექტური გზა იქნება. მაგ.: დღესდღეობით ინვესტორს მნიშვნელოვანი ძალისხმევა და ფინანსები სჭირდება იმისათვის, რომ საქართველოს მელიორაციის სარწყავ სისტემას თუ ცენტრალურ გზას დაუკავშირდეს. ელექტროენერგია, გზები, საირიგაციო არხები _ ზოგადად, მოწესრიგებული კომუნიკაცია დარგს უფრო მიმზიდველს ხდის,რადგან გამართულ ინფრასტრუქტურას საჭიროებს ყველა, არსებული და ახალი მეწარმე, სერვისის მიმწოდებლი და შუამავალი რგოლი. გამართული ინფრასტრუქტურა ამცირებს მეურნეობის გამართვისა და საქმიანობისათვის საჭირო როგორც კაპიტალურ, ასევე საოპერაციო ხარჯებს,ამარტივებს დამხმარე სერვისებსა და ბაზრებზე წვდომას და, შედეგად, ზრდის პროექტებისრენტაბელურობას. რაც, საბოლოოდ, სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობაში აისახება.

სარწყავ-საირიგაციო და დრენაჟის სისტემები წლების მანძილზე წესრიგდებოდა სხვადასხვა რეგიონში. ამან არაერთ ფერმერს მისცა საშუალება გაემარტივებინა მორწყვის პროცესი.წლების განმავლობაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად საგრძნობლად არის გაზრდილი წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული მიწების ფართობი 2012 წელს მათი რაოდენობა 60 ათას ჰექტრზე ნაკლები იყო, ხოლო 2019 წელს ჯამურად თითქმის 170 ათასი ჰექტარი შეადგინა. სამელიორაციო სისტემის ქსელის გაფართოების და

რეაბილიტაციის მიუხედავად, ირიგაცია და დრენაჟი მაინც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე ორჯერ მეტი მტკნარიზე დაპირული წყალი მოდის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მდიდარია წყლის რესურსებით ,როგორც სასმელი, ასევე საირიგაციო, არაერთი მეურნეობა უჩივის სარწყავი წყლის დეფიციტს. კონკრეტულ რეგიონებში ფერმები, ნალექისა და წყლის დებეტის სიმცირის გამო საკმარისი მოცულობის წყალს ვერ ღებულობენ. წყალი ქსელში რამდენიმე თვის განმავლობაში, გრაფიკით მიეწოდება და ხშირად სწორედ მაშინ არ არის საკმარისი სისტემაში მისაწოდებლად, როცა ნალექი ცოტაა და მეურნეობებს სარწყავი წყლის საჭიროება უდგებათ. სოფლის მეურნეობისთვის

სასიცოცხლო მნიშვნელობისაა წყლის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფა. წყლის დანაკლისი პირდაპირ აისახება მოსავლის ხარისხსა და რაოდენობაზე, ასუსტებს ნარგავებს და ამცირებს მავნებლებისა თუ სხვადასხვა დაავადებების მიმართ მდგრადობას. სამწუხაროდ, სამელიორაციო სისტემა ვერ ახერხებს წყლის მოთხოვნის შესაბამისად მიწოდებას და ვერც წინასწარ გასცემს მიწოდებაზე გარანტიას. ამიტომ, მეურნეობები ცდილობენ გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სარწყავი წყლის სხვა, ალტერნატიულ გზით მოძიებას, რათა არ იყვნენ „საქართველოს მელიორაციის" ნაკლებად სტაბილური მიწოდების სისტემაზე დამოკიდებული.

დარგის ექსპერტების შეფასებით, დღესდღეობით, არცერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვი არ არის განვითარებული მაღალ დონეზე. თუმცა, სხვა პროდუქტებთან შედარებით, ღირებულებათა ჯაჭვი შედარებით დახვეწილია იმ სექტორებში, რომლებიც უფრო მეტად ორიენტირდება ექსპორტზე. ესენია: თხილი, მინერალური და მტკნარი სასმელი წყლები და ღვინო. ღირებულებათა ჯაჭვის მოწესრიგების და განვითარების გარეშე კი პროდუქტის ექსპორტირება ძალიან რთულია და მნიშვნელოვნად მეტ ფინანსურ დანახარჯს მოითხოვს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ხელმოწერის და საექსპორტო ბაზრებზე წვდომის გამარტივების მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი კვლავ დსთ-ის ქვეყნებზეა

კონცენტრირებული. ამ კონცენტრაციას განაპირობებს აღნიშნულ ბაზრებზე შედარებით მარტივი წვდომა (ევროპულ ბაზრებთან შედარებით დაბალი სტანდარტები, უფრო ადვილი ტრანსპორტირება, ნაკლები ენობრივი ბარიერი და ა.შ.), აღნიშნულ ქვეყნებში ქართული პროდუქციის ცნობადობა და ისტორიულად ჩამოყალიბებული მოხმარების ჩვევები. თუმცა რუსეთი, და ზოგადად დსთ, როგორც ძირითადი საექსპორტო ბაზარი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკის მატარებელია. რისკის გარდა, მსგავსი კონცენტრაცია სექტორის სისუსტეებზე მეტყველებს.

მწარმოებელთა დიდ ნაწილს ახალ ბაზრებზე შესაღწევად: არ აქვთ კონკურენტული ფასი და შესაბამისი ხარისხი; ვერ უზრუნველყოფენ უსაფრთხოების სტანდარტებსა და ნორმებთან შესაბამისობას; ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის ჰომოგენურობას და მოთხოვნილ რაოდენობას.

ქართული ღვინო ნელ-ნელა აფართოებს მომხმარებელთა წრეს სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნული წარმატება დიდი შრომის შედეგია და მის შესანარჩუნებლად სიფრთხილეა საჭირო. მიუხედავად ამისა, 2019 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ საექსპორტო პროდუქციის ინსპექტირების მიზნით მხოლოდ 750-მდე ნიმუში აიღო, მაშინ როცა ქვეყნიდან 94 მლნ. ბოთლის ექსპორტი განხორციელდა 53 ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ღვინის ექსპორტის მოცულობა წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება, ხოლო სააგენტოს გაძლიერება და დამატებით აღჭურვა იგივე ტემპით არ ხდება. შედეგად, საექსპორტო ღვინის გაზრდილი ნაკადის საკმარისი კონტროლი ველარ ხორციელდება. საექპორტო პროდუქციის სათანადო კონტროლი კი აუცილებელია საექსპორტო

ბაზრებზე მოპოვებული ნდობის შესანარჩუნებლად და გასაზრდელად. აგრარული მეურნეობის გამართული საქმიანობისათვის აუცილებელია სხვადასხვა ტიპის კვლევებსა

და ანალიზებზე წვდომა. ლაბორატორიები ფუნქციონირებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სფერო უკეთ არის განვითარებული, ვიდრე დარგისათვის აუცილებელი სხვა სერვისები. თუმცა, კერძო სექტორი ამ მიმართულების გაუმჯობესების საჭიროებას მაინც ხედავს. ისინი ადგილობრივ ლაბორატორიებს მხოლოდ ზოგიერთი საბაზისო ტესტის შესასრულებლად მიმართავენ (მაგ.: ნიადაგის შესამოწმებლად), ხოლო, როცა შედარებით კომპლექსური ან რთული ანალიზია საჭირო (მაგ.: ნერგის დაზიანების მიზეზის დადგენა; კვლევა კონკრეტულ მავნებლებზე), ნიმუშებს საზღვარგარეთ აგზავნიან. სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის ლაბორატორიები სახელდება არა იმიტომ, რომ ქვეყანაში მათი დეფიციტია, არამედ იმის გამო, რომ საქართველოში არსებული ლაბორატორიები ვერ სთავაზობენ ფერმერებს სრული სპექტრის კვლევებს. ხშირად კი, სწორედ ის კომპონენტები, რომელთა შემოწმებაც ადგილობრივად ვერ ხერხდება, გადამწყვეტია პროდუქტის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დასადგენად და, ასევე, საექსპორტო ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაც. შეზღუდული ლაბორატორიული შესაძლებლობები აპარატურის სიძვირით და ასევე, კვლევისათვისსაჭირო რეაქტივების მაღალი ფასით აიხსნება. ადგილობ-

რივ ბაზარზე კვლევებზე მწირი მოთხოვნის ფონზე, ასეთი ტექნოლოგიის დანერგვა ლაბორატორიეებისთვის ფინანსურად წამგებიანია. ცხადია, უფრო ფართო სპექტრის ლაბორატორიული კვლევის ტექნოლოგიების დანერგვა მიმზიდველი და სარგებლიანი გახდება მოთხოვნის ზრდის პარალელურად. ჯერჯერობით კი, კომპანიებს ნიმუშების საზღვარგარეთ არსებულ ლაბორატორიებში გაგზავნა უწევთ, რაც მეტ დროით და ფინანსურ რესურსს საჭიროებს, ვიდრე საქართველოში შემოწმებას დასჭირდებოდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელი არაერთი ფაქტორი გვაქვს წინ, თუმცა, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ადამიანურ რესურსები ითვლება. კვალიფიციური კადრების დეფიციტი, აგრონომები, დარგისექსპერტები, ტექნოლოგები თუ სხვა, მაღალი დონის სპეციალისტები ქვეყანაში ძალიან ცოტაა.

ამას გარდა, რთულია მასშტაბური აგრო-პროექტების მენეჯერების, სპეც-ტექნიკის ოპერატორების, ტექნიკოსების თუ დამხმარე სპეციალისტების მოძიება. ადგილობრივ ბაზარზე მაღალი კვალიფიკაციის თუ თანამედროვე განათლების მქონე კადრების ნაკლებობის გამო, კომპანიები იძულებული ხდებიან უცხოეთიდან მოიწვინ და ეს ძალიან ძვირია. თუმცა, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული პრობლემა კვალიფიციური სპეციალისტების მმწვავე ნაკლებობით არ შემოიფარგლება. სოფლის მეურნეობაში ჩართული კომპანიები სირთულეს აწყდებიან არაკვალიფიციური მუშახელის მოძიების პროცესშიც. ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროექტები ურბანული ზონებიდან მოშორებითაა განთავსებული. ასეთ ზონებში მაცხოვრებელთა შორის განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე. ამიტომაც, რეგიონებში ბევრი სოციალურად დაუცველი ოჯახია. ასეთი ოჯახის წევრებისთვის დროებითი/სეზონური დასაქმება (რაც ძირითადად ახასიათებს სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მემცენარეობის სფეროს პროექტებს) ნაკლებად მიმზიდველია, რადგან ეს რისკის ქვეშ აყენებსმათ სოციალურ სტატუსს. ამიტომ, მოსახლეობას უწევს არჩევანის გაკეთება: სეზონურ შემოსავალსა და სახელმწიფოს მიერ გაცემულ სოციალურ დახმარებას შორის. ხშირად სოციალური შემწეობის მიმღებებს არ სურთ დროებითი შემოსავლის სანაცვლოდ შინამეურნეობის საარსებო მინიმუმის მიმღებთა სიიდან ამოვარდნა (რაც დაკავშირებულია როგორც ფინანსური შემწეობის, ასევე სხვა დამატებითი სარგებლის გაუქმებასთან). ცხადია, ასეთ პირებს ურჩევნიათ შრომის არაფორმალური გზით ანაზღაურება. თუმცა, დასაქმების ეს ფორმა კანონით დაუშვებელი და კომპანიებისთვის მიუღებელია. შესაბამისად, რთულდება ფერმის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო დროებითი (დამატებითი) პერსონალის მოძიება. ავტომატიზაციის გზით და ცოცხალი სამუშაო ძალის საჭიროების მინიმუმამდე დაყვანით ცდილობენ. თუმცა, მეურნეობის ავტომატიზაცია, თავის მხრივ, სხვა სირთულეს უკავშირდება. ტექნიკის შესაძენად და თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად საჭირო მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯების გარდა, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა საჭიროებს ოპერატორებს და სხვა მომსახურე პერსონალს, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, არც თუ ისე ადვილი მოსაძიებელია საქართველოს შრომის ბაზარზე.

სოფლის მეურნეობა ამინდისა და სტიქიური მოვლენების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე სექტორია. შესაბამისად, არასასურველი ამინდი და სხვადასხვა კლიმატური მოვლენა აზარალებს მეურნეობას და ამცირებს მის მიერ მისაღებ შემოსავალს. ამ ტიპის რისკების დამოუკიდებლად თავიდან არიდება ძალიან რთულია, თუ არა შეუძლებელი. სწორედ ამიტომ, აგრარულ ბიზნესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რისკების დაზღვევას.საქართველოში, სუბსიდირების მექანიზმის არსებობის მიუხედავად, აგრარული სექტორის დასაზღვევად ქვეყანაში არსებული შეთავაზებები შეზღუდული სპექტრისაა. საქართველო მცირე მასშტაბის ქვეყანაა, სასოფლო კულტურების ფართო სპექტრით და განსხვავებული კლიმატური ზონებით. თითოეული რეგიონი, ზონა თუ კულტურა სპეციფიური რისკით ხასიათდება. აგროსექტორის განვითარებისთვის კი აუცილებელი პირობაა მეწარმეთათვის ზემოაღნიშნული კლიმატური თუ სხვა რისკის დაზღვევის შესაძლებლობის არსებობა. საქართველოში, ეს შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია. დღესდღეობით არსებული სისტემა ეფუძნება ცალკეული რისკების დაზღვევას სეტყვის, ქარიშხლის, წყალდიდობის და ა.შ. კონკრეტული კულტურების მწარმოებლებისათვის ეს სისტემა მოსახერხებელია. მაგ.: მანდარინის და ყურძნისთვის (საშემოდგომო ყინვებისაგან დაზღვევა). თუმცა, შეთავაზებები ვერ ერგება ბევრი მეურნეობის საჭიროებას. ცალკეული რეგიონების და კლიმატური ზონების სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილი სადაზღვეო პროდუქტის შექმნის პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია ნერგის დაზღვევა. გასულ წლებში განიხილებოდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნერგის დაზღვევის დამატება, თუმცა ეს ცვლილება ჯერჯერობით არ განხორციელებულა. ამჟამად არსებული პროგრამა მხოლოდ მოსავლის დაზღვევას ითვალისწინებს, რაც სისტემის გარეთ ტოვებს მათ, ვინც მრავალწლოვან კულტურებს აშენებს და პირველ მოსავალს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიიღებს. სახელმწიფო, როგორც განვითარების ხელშემწყობი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ძალიან ბევრი ფაქტორი თავად ბაზრის მიერ რეგულირდება. სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს _ კარგად უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს ნებისმიერი ნაბიჯი, რათა, იქნება ეს რეგულაცია

თუ სუბსიდია, იყოს ეფექტური და სარგებლიანი. აგრომეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის დასახელდა სხვადასხვა დამხმარე სერვისების განუვითარებლობა. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი მათგანი, თავის მხრივ, მეურნეობების მხრიდან არსებული მწირი მოთხოვნის გამო ვერ ვითარდება. ანუ, ერთი ვერ ვითარდება მეორეს გარეშე. ასეთ სიტუაციაში, შესაძლებელია, გამართლებული იყოს სახელმწიფოს ჩარევა. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემური საკითხების გადაჭრის პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობა შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით: სასოფლო-სამეურნეო მიწა. მიწის დეფრაგმენტაციის ხელშეყობა სახელწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზაციის გზით. არსებული მიწის ფონდის აღრიცხვის შედეგად გამოუყენებელი მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება და მათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ირიგაცია და დრენაჟი. ქსელის გაფართოების პარალელურად, აუცილებელია სისტემაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. ლაბორატორიული შესაძლებლობების გაფართოება მეწარმეთა საჭიროებების გათვალისწინებით. საექსპორტო ბაზარზე გასატანი პროდუქციის ხარისხის აქტიური კონტროლი. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოდიფიცირება და კლიმატური ზონების თუ რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინება უფრო მეტად მოარგებს სადაზღვევო შეთავაზებას მეურნეობათა საჭიროებებს.

კადრების მომზადება საწარმოთა საჭიროებების გათვალისწინებით და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის გაფართოება. დამხმარე მუშახელის ხელმისაწვდომობა. სოციალური შემწეობის მიმღებთა სეზონური დასაქმების სტიმულირება.

## გამოყენებული წყაროები:


1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027. დეკემბერი 2019 წელი.
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020. 2015 წელი.
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ღვინის ეროვნული სააგენტო. „ანგარიში 2019“. 2020 წელი.
4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.დადგენილება N2. 1 თებერვალი, 2011წელი.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019“, თბილისი, 2020 წელი.

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო კლიმატი თანამედროვე ეტაპზე

***ნინო ბენდიანიშვილი***
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

**რეზიუმე**

გარდამავალ პერიოდში, უცხოური ინვესტიციები სულ უფრო და უფრო ხშირად განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და მოდერნიზაციის წყარო, შემოსავლის ზრდისა და დასაქმების საშუალება. ქვეყნებმა განახორციელეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლიბერალიზაციის რეჟიმები და სხვადასხვა პოლიტიკა ინვესტიციების მოსაზიდად.

განხილვის საგანია, თუ როგორ უნდა გატარდეს შესაბამისი საშინაო პოლიტიკა, რათა უცხოური ინვესტიციებით მიღებული სარგებელი მაქსიმალურად გამოიყენონ ქვეყნებმა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო სარგებელი განვითარებადი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია. მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკა და განვითარების საბაზისო დონე კი მორგებული უნდა იყოს თანამედროვე პირობებს რომ შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო.

კვლევების სიჭარბე აჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იწვევს ტექნოლოგიების გავრცელებას, ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის ფორმირებას, ასევე საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას, უფრო კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექმნას და აძლიერებს საწარმოს განვითარებას. ამის საფუძველზე ხდება მაღალი ეკონომიკური ზრდა, რომელიც სიღარიბის დაძლევის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია განვითარებად ქვეყნებში. უფრო მეტიც, მკაცრად ეკონომიკური სარგებლის მიღმა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება დაეხმაროს გარემოს გაუმჯობესებას და სოციალური პირობები შეიქმნას მასპინძელ ქვეყანაში, მაგალითად, „უფრო სუფთა“ ტექნოლოგიების გადაცემით და სოციალურად პასუხისმგებელი კორპორატიული პოლიტიკის უზრუნველყოფით.

## FOREIGN DIRECT INVESTMENTS AND INVESTMENT CLIMATE AT THE MODERN STAGE

**Nino Bendianishvili**
Associate professor of GTU

**RESUME**

In the transition period, foreign investment is increasingly seen as a source of economic development and modernization, a means of income growth and employment. Countries have implemented FDI liberalization regimes and various policies to attract investment.

It is a matter of discussion how appropriate domestic policies should be implemented so that countries can maximize the benefits of foreign investment.

The overall benefits of FDI for developing countries are significant. The host country's policy and basic level of development should be adjusted to modern conditions to create a favorable investment environment.

A plethora of studies show that FDI leads to technology diffusion, promotes human capital formation, as well as international trade integration, creates a more competitive business environment, and enhances enterprise development. Based on this, high economic growth takes place, which is the most powerful tool for overcoming poverty in developing countries. Moreover, beyond strictly economic benefits, FDI can help improve the environment and social conditions in the host country, for example by transferring "cleaner" technologies and ensuring socially responsible corporate policies.

**Keywords:** Foreign direct investment, investment motivations, investment climate, investment environment.

**საკვანძო სიტყვები:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინვესტიციების მოტივაციები, საინვესტიციო კლიმატი, საინვესტიციო გარემო.

* * * *

ემპირიული კვლევების უმეტესობა ასკვნის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორის პროდუქტიულობით შემოსავლის ზრდას მასპინძელ ქვეყნებში. ისინი (FDI) არის გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდისა და ინდუსტრიალიზაციის მთავარი მასტიმულირებელი ძალა.[1]

ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკაში, როგორც ჩანს, პირდაპირი უცხოურ ინვესტიციას აქვს გარკვეულწილად მცირე გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, რაც მიეკუთვნება "ზღურბლის გარე ფაქტორების" არსებობას. როგორც ჩანს, განვითარებად ქვეყნებს გარკვეული პერიოდი სჭირდებათ, რომ მიაღწიონ განათლების, ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის განვითარების დონეს, სანამ შეძლებენ უცხოური სარგებლის მიღებას. არასრულყოფილმა და განუვითარებელმა ფინანსურმა ბაზრებმა ასევე შესაძლოა ხელი შეუშალოს ქვეყანას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სრული სარგებლის მიღებისგან. სუსტი ფინან-

1 http://geoeconomics.ge/?p=13638

სური შუამავლობის შემთხვევა შიდა საწარმოებთან დაკავშირებით ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მრავალეროვნული საწარმოებისა (MNES). ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური რესურსების სიმცირე, რაც ხელს უშლის მათ უცხოური ყოფნით წარმოქმნილი ბიზნეს შესაძლებლობების ხელში ჩაგდებას. უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში და ფინანსურ სექტორებში კი ეხმარება მათ ამ ყოველივეს უზრუნველყოფაში.

ეკონომიკური ლიტერატურა ტექნოლოგიის ტრანსფერებს განსაზღვრავს ყველაზე მნიშვნელოვან არხად, რომლის მეშვეობითაც შეიძლება უცხოური კორპორატიული რესურსები აწარმოოს პოზიტიური გარეგანი ეფექტების საშუალებით მასპინძელ განვითარებად ეკონომიკაში.

MNES არის განვითარებული მსოფლიოს კორპორატიული კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. ისინი ზოგადად ფლობენ უფრო მაღალ ტექნოლოგიის დონეს, ვიდრე ხელმისაწვდომია განვითარებად ქვეყნებში, ამიტომ მათ აქვთ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადამტანების წარმოქმნის პოტენციალი. თუმცა, რამდენად და რამდენად უწყობს ხელს MNE-ები ასეთ გავრცელებას განსხვავდება კონტექსტის და სექტორების მიხედვით.

უნდა ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნების ადამიანურ კაპიტალზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ზეგავლენა, როგორც ჩანს, ირიბია და არ ხდება ძირითადად ძალისხმევის შედეგად. საინვესტიციო მოტივაციები გამომდინარეობს მთავრობის პოლიტიკიდან, რომელიც ცდილობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გაძლიერებული ადამიანური კაპიტალის მეშვეობით.

მას შემდეგ, რაც ინდივიდები დასაქმდებიან MNE-ში, შვილობილი კომპანიების მეშვეობით მათი ადამიანური კაპიტალი შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს ტრენინგითა და სამსახურში მიღებული პრაქტიკით. ამ შვილობილ კომპანიებს ასევე შეიძლება ჰქონდეთ დადებითი გავლენა ადამიანური კაპიტალის გაზრდაზე სხვა საწარმოებში რომლებთანაც ისინი ავითარებენ კავშირებს, მათ შორის მომწოდებლებთან. ასეთ გაუმჯობესებას შეიძლება ჰქონდეს შემდგომი ეფექტი, როდესაც მუშახელი სხვა ფირმებში გადადის და ზოგიერთი თანამშრომელი ხდება მეწარმე. ამრიგად, ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედების ემპირიული მტკიცებულება მასპინძელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით. მიუხედავად ამისა, კონსენსუსი ჩნდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მჭიდრო კავშირშია ვაჭრობასთან. განიხილება უფრო ფართო კონტექსტში, ვიდრე ინვესტიციის პირდაპირი გავლენა იმპორტთან და ექსპორტთან. განვითარებადი ქვეყნებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი სარგებელი მდგომარეობს მის გრძელვადიან წვლილში მასპინძლის ინტეგრაციაში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში 1 152.8 მილიონი აშშ დოლარი ინვესტიცია შემოვიდა.[2] მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და ეკონომიკის წინსვლას.[3]

ეს პროცესები უფრო მჭიდროდ ფიგურირებს მსოფლიო ეკონომიკაში. ამ პროცესში მონაწილეობს როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი. ანუ ვაჭრობა და ინვესტიციები სულ უფრო მეტად არის აღიარებული, როგორც ურთიერთგამაძლიერებელი არხები ტრანსსასაზღვრო საქმიანობისთვის. თუმცა, მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებას სჭირდება საგარეო ვაჭრობაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოკლე და საშუალოვადიანი ზემოქმედების გათვალისწინება.

## დასკვნა

მთავარი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ, არის ის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური სარგებელი რეალურია, მაგრამ ისინი ავტომატურად არ გროვდება. იმისთვის, რომ მიიღოთ მაქსიმალური სარგებელი უცხოური კორპორატიული ყოფნით ჯანსაღი ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანესია, რაც წაახალისებს როგორც შიდა, ისე უცხოურ ინვესტიციებს, უზრუნველყოფს ინოვაციების სტიმულს და აუმჯობესებს უნარებს და ხელს უწყობს კონკურენტუნარიან კორპორატიულ კლიმატს.

ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სრულ სარგებელს, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ეს არის განათლებისა და ჯანდაცვის დონე, მასპინძელი ქვეყნის ტექნოლოგიური დონე. ასევე, საწარმოების ვაჭრობისადმი არასაკმარისი გახსნილობა, სუსტი კონკურენცია და არაადეკვატური მარეგულირებელი ჩარჩოები.

საბოლოო ეკონომიკური ეფექტი პირდაპირი

2 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

3 ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის (პირველადი ვარიანტი), თბილისი 2017.

https://www.mof.ge/images/File/BDD/2018-2021/pirveladi_BDD_2018-2021_05.07.2017.pdf

უცხოური ინვესტიციების შესახებ ეკონომიკებზე, რომლებსაც დაფინანსების მცირე რესურსი აქვთ, გადამწყვეტად დამოკიდებულია მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების სექტორში ბევრი განვითარებადი ქვეყანა შეიძლება იყოს დასახვეწი და შესაბამისად, ვერ ხერხდებოდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მოპოვების დიდი ნაკადების მოზიდვა, უხვად ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებში შეიძლება სასარგებლოდ განვითარდეს უცხოური ინვესტორების დახმარებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პანდემიით გამოწვეული მწვავე ეკონომიკურ შოკებთან დაკავშირებული კრიზისების მართვის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები.[4]

4 https://conferenceconomics.tsu.ge

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. http://geoeconomics.ge/?p=13638 [უკანასკნელად გადამოწმდა 20.09.2022]
2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi [უკანასკნელად გადამოწმდა 22.09.2022]
3. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის (პირველადი ვარიანტი), თბილისი 2017.
4. https://www.mof.ge/images/File/BDD/2018-2021/pirveladi_BDD_2018-2021_05.07.2017.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 23.09.2022]
5. https://conferenceconomics.tsu.ge [უკანასკნელად გადამოწმდა 24.09.2022]

# ეკონომიკა და თავდაცვის ხარჯები

*თორნიკე წიკლაური*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში აქტუალური გახდა სხვადასხვა ქვეყნის თავდაცვის ხარჯებისა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ხელახლა გაანალიზება, ასევე მიმდინარე პროცესებმა მსოფლიო საზოგადოება კიდევ ერთხელ გამოაფხიზლა და დაარწმუნა, რომ თანამედროვე ომი, ეს არის ომი: ეკონომიკის, ენერგეტიკის, ღირებულებებისა და მომავლის წინააღმდეგ. ეს პროცესი გახდა მოტივატორი სახელმწიფოებისთვის, თანამედროვე თავდაცვითი შესაძლებლობებისთვის გაეზარდათ თავდაცვის ეკონომიკური დანახარჯები. კაცობრიობის განვითარების მაღალი ტემპის და ჰუმანური საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეის მიუხედავად სახელმწიფოები რწმუნდებიან, რომ თანამედროვე მოცემულობით: არსებული საფრთხეების, რესურსების არათანაბარი გადანაწილების და გავლენის სფეროების დაყოფის გათვალისწინებით აუცილებელია ქვეყნების მზარდი გადაიარაღება, რომელსაც არ აქვს საზღვრები და თავისმხრივ ეჭქვეშ აყენებს მშვიდობიანი მომავლის იდეას. მძიმე ისტორიული გამოცდილება და მიმდინარე პროცესები არის მთავარი არგუმენტი სახელმწიფოების მიერ ეკონომიკური რესურსების მიმართვისა იარაღის წარმოების ზრდისკენ, მაშინ როდესაც აღნიშნული რესურსების გამოყენება სხვა გლობალური პრობლემებისთვის ბევრად უკეთესს გახდიდა კაცობრიობას. მრავალი ქვეყნის მსგავსად საქართველო თავისი ადგილმდებარეობით, საფრთხეების გათვალისწინებით, ტერიტორიული პრობლემებით, არსებული ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევებით ერთ-ერთი უპირველესია, რომელიც საჭიროებს თავდაცვაზე ეკონომიკური დანახარჯების მნიშვნელოვნად ზრდას, რამეთუ არ აქვს სხვა ალტერნატივა არსებულ ვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები:** შესაძლებლობები, ეკონომიკური რისკები, ხარჯები, უსაფრთხოების გამოწვევები.

**ECONOMY AND DEFENSE SPENDING**

**Tornike Tsiklauri**
Phd student of GTU

**ABSTRACT**

In the conditions of the Russia-Ukraine war, it became relevant to re-analyze the defense costs of different countries and their economic capabilities, and the current processes have once again awakened the world community and convinced that the modern war is a war: against economy, energy, values and the future. This process has become a motivator for the states to increase the economic costs of defense for modern defense capabilities. Despite the high pace of human development and the idea of peaceful coexistence of a humane society, the states are convinced that in view of the current situation: existing threats, uneven distribution of resources and division of spheres of influence, it is necessary to increase the rearmament of countries, which has no borders and in turn challenges the idea of a peaceful future. Heavy historical experience and current processes are the main argument for states to direct economic resources to increase the production of weapons, while the use of said resources for other global problems would make humanity much better. Like many countries, Georgia, with its location, taking into account threats, territorial problems, existing economic and security challenges, is one of the first countries that needs a significant increase in economic costs on defense, because it has no other alternative in the current situation.

**Keywords:** opportunities, economic risks, costs, security challenges.

* * * *

დღეის მდგომარეობით ქართული საზოგადოება არ არის კონსოლიდირებული ერთი იდეის ირგვლივ, რომელსაც თავდაცვის დაფინანსების გაზრდას ისახავს მიზნად. თუმცა დაფინანსების გაზრდის შემთხვევაშიც შეუძლებელია ეფექტური თავდაცვის განხორციელება ერის კონსოლიდირების გარეშე. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თავდაცვის ხარჯების ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ნაწილობრივ აფერხებს მოკლევადიან პერიოდში, რაც არ არის აზრს მოკლებული, რადგან დაფინანსების გაზრდა შესაძლოა გადასახადების ზრდის ხარჯზე იყოს, ან მოაკლდეს ეკონომიკური ზრდის წამახალისებელ სექტორებს, მაგალითად გზებს, ხიდებს, წყალსადენებს და ა.შ. თუმცა, თავდაცვაზე დახარჯულ ფულსაც აქვს ეკონომიკაზე დადებითი ეფექტი, კერძოდ გრძელ ვადაში გამართული და განვითარებული თავდაცვის სისტემა სამხედროებს ისეთ უნარებსაც აძლევს, რომლებსაც სამოქალაქო სფეროში შეიძლება ჰქონდეს მრავალი გამოყენება. შესაბამისად, გრძელ ვადაში გამართულმა თავდაცვის სისტემამ, თეორიულად შესაძლებელია დადებითი გავლენა მოახდინოს შრომის ბაზარზე უფრო განათლებული და დისციპლინირებული სამუშაო ძალის შექმნით. ამის კარგი მაგალითია აპლიკაცია Viber, რომელიც ისრაელის

თავდაცვის ძალებიდან გამოსულმა ორმა მეგობარმა შექმნა, რომლებიც სწორედ IT ტექნოლოგიების მიმართულებით ასრულებდნენ თავიანთ სამხედრო სამსახურს. გარდა ამისა, ეკონომიკაში შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ რა არის თავდაცვის ეკონომიკური სარგებელი, რადგან ურთულესია განისაზღვროს ის დანაკარგი, რომელიც შეიძლება საზოგადოებას მიადგეს თავდაცვის არ არსებობის პირობებში. ამიტომ, ქვეყნების უდიდეს უმრავლესობას ყავს შეიარაღებული ძალები, რომელთა შენახვაზე და გაძლიერებაზე ქვეყნები განსხვავებული რაოდენობით თანხებს ხარჯავენ, იმის მიხედვით თუ რა არის პრიორიტეტული. მაგალითად, ნატოს წევრ ქვეყნებს შორის არსებობს შეთანხმება მშპ-ს 2%-ის დახარჯვაზე თავდაცვაში. როგორია თავდაცვის ხარჯების რეალური სურათი მსოფლიოში მშპ-სთან მიმართებაში (იხ. ცხრილი 1.1)

ბას, ინჟინერიას, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ და არაერთ სხვა მეცნიერებას მოიცავს. თავდაცვითი ხარჯების გაწევისას დიდია კორუფციული რისკიც, რადგან ხარჯების დიდი ნაწილი ხშირ შემთხვევაში არ არის საჯარო. გარდა ამისა, ასეთ ხარჯების კონტროლი რთულია, რადგან მათი მიზნობრიობის შეფასება მაღალი დონის სპეციფიკურ ცოდნას საჭიროებს. შედეგად, თუ არ არსებობს თავდაცვისა და მათი ხარჯების მონიტორინგის ძლიერი ინსტიტუციები, კორუფციამ შესაძლოა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა მნიშვნელოვნად დააზარალოს. შედეგად რა თანხმები იხარჯება თავდაცვაში, მიგვანიშნებს ქვეყნების მოსალოდლენ სიძლიერეზე ერთმანეთთან მიმართებაში, თუმცა ეს არ არის თავდაცვისუნარიანობის შეფასების იდეალური მაჩვენებელი. დამატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა მაჩვენებლებიც, როგორიც არის თავდაცვის ძალე-




მსოფლიოში ყველაზე მეტს 734.3 მილიარდ დოლარს თავდაცვაზე ხარჯავს აშშ, რაც მისი მშპ-ს 3.43%-ს შეადგებნს. მშპ-სთან მიმართებაში ბევრს ხარჯავს აგრესორი რუსეთიც, რომელიც 65.2 მილიარდი დოლარით მშპ-ს 3.83%-ს ხარჯავს შეიარაღებულ ძალებზე. განვითარებულ ქვეყნებს შორის თავდაცვის ყველაზე მაღალი ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში აქვს ისრაელს 5.19%-ით, რომელიც 20.5 მილიარდ დოლარამდე ხარჯავს თავდაცვაზე. მშპ-სთან მიმართებაში საკმაოდ ბევრს ხარჯავდა თავდაცვაზე საომარ მდგომარეობაში მყოფი უკრაინაც, რომელიც მშპ-ს 3.52%-ს (5.4 მილიარდი დოლარი) გამოყოფდა ამ სფეროზე. საქართველოს თავდაცვითი ხარჯები 2%-იან ზღვარს მცირედით ჩამორჩება (1.75 %) და მხოლოდ 311 მილიონ აშშ დოლარს გაიღებს ამ სფეროზე. ეკონომიკური ინდიკატორები ხშირ შემთხვევაში საკმარისი არ არის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სათანადოდ შესაფასებლად. თანამედროვე თავდაცვის სფერო კომპლექსურია, მისი დაგეგმარება და მართვა რთულ სამხედრო მეცნიერებას, მათემატიკურ მოდელირე-

ბის პერსონალის რაოდენობა, მათი წილი შრომის უნარიან მოსახლეობასთან მიმართებაში, თუმცა ეს ეკონომიკური ინდიკატორებიც შესაძლოა არასაკმარისი იყოს რეალური სიძლიერის შესაფასებლად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება მცირდება. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით მასზე 12 მლნ-ით ნაკლები 918 მლნ იქნება გამოყოფილი. მშპ-სთან მიმართ კი კიდევ უფრო მეტად 1.4%-მდე კლებულობს, რაც 18 წლიანი მინიმუმია. რეგიონში ისედაც ყველაზე დაბალბიუჯეტიანი არმია ნეგატიურ სტატუსკვოს მომავალ წელსაც შეინარჩუნებს. 2020 წელს ყარაბაღის მეორე დიდ ომში გამარჯვებულმა აზერბაიჯანმა თავდაცვაზე მშპ-ის 5.4% დახარჯა, დამარცხებულმა სომხეთმა 4.9%, ბირთვულმა რუსეთმა 4.3%, ნატოს წევრმა თურქეთმა 2.8%, საქართველომ კი მხოლოდ 1.8%. 2020 წელს რუსეთმა თავდაცვაზე $60 მლრდ დახარჯა, რაც საქართველოს მთლიან ბიუჯეტზე 10-ჯერ მეტია და მასთან გატოლება წარმოუდგენელია. უფრო მეტიც რიცხვებში გამოხატული დანახარჯებით კონკურენციაში შესვლა ზა-

ქოსთანაც გაჭირდება, მაგრამ რთული ასახსნელია რატომ მცირდება ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში. სომხეთი, რომლის ეკონომიკაც საქართველოზე პატარაა, თავდაცვაზე 2.5-ჯერ მეტს ხარჯავს. ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის მიხედვით, დაფინანსების შემცირება საერთაშორისო მისიების შეკვეცას უკავშირდება, რაზეც 33 მლნ-ის ნაცვლად 2 მლნ ლარი დაიხარჯება. ავღანეთი შეერთებულმა შტატებმაც დატოვა და შესაბამისად იქ გაისად აღარც ქართველი ჯარისკაცები იმსახურებენ. თანამედროვე მსოფლიოში ფულს დროითი ღირებულება გააჩნია და 2021 წლის 1 ლარი, 2020 წლის 1 ლარს არ უდრის, ისევე როგორც 2021 წლის 1 დოლარი 2020 წლის 1 დოლარს არ უდრის და უფრო ნაკლებია. ოფიციალურად აღიარებული ინფლაციითაც კი 2021 წლის 930 მლნ ლარი 2020 წლის 812 მლნ ლარის ტოლია. 2020 წელს კი თავდაცვის ბიუჯეტი 842 მლნ ლარს შეადგენდა. 2022 წელს ინფლაცია 5%-მდეც რომ შემცირდეს, რისი ალბათობაც დაბალია, 918 მლნ ლარი მსყიდველუნარიანობით წლევანდელ 872 მლნ ლარს და 2020 წლის 765 მლნ ლარს გაუტოლდება. 2003 წელს ისედაც მწირი ბიუჯეტიდან თავდაცვაზე მშპ-ის 1% იყო გამოყოფილი, 2004 წელს ის 1.4%-მდე გაიზარდა, 2005 წელს 3.3%-მდე, 2006 წელს 5.2%-მდე, 2007 წელს რეკორდულ - 9.2%-მდე. ამის შემდეგ კლება იწყება. 2008 წელს 8.5%-მდე, 2009 წელს 5.6%-მდე, 2010 წელს 3.7%-მდე, 2011 წელს 3.1%-მდე. 2011 უკანსკნელი წელი იყო, როდესაც თავდაცვის დაფინანსებას ეკონომიკის 3%-ზე მეტი მოხმარდა. 2018 წელს უკვე 2%-ს ჩამოსცდა. 1.5%-ზე ნაკლები კი 2004 წლის შემდეგ აღარ ყოფილა. (იხ. ცხრილი 1.2)

ეკონომიკა და თავდაცვისუნარიანობა მჭიდროდ დაკავშირებული სფეროებია, შეუძლებელია თავდაცვის განვითარება ეკონომიკური დანახარჯების გარეშე და პირიქით, შეუძლებელია ეკონომიკის ხანგძლივი განვითარება არასტაბილურ და არასამშვიდობო გარემოში, განსაკუთრებით ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, ადგილმდებარეობის და უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით.

მთავარი კითხვა ისაა, თუ რა არის სამხედრო დანახარჯების ადექვატური ოდენობა, იმის გათვალისწინებით, რომ საჭირო დონეზე ზემოთ დახარჯული ყოველი დამატებითი ლარი არის დანაკარგი სახელმწიფო ხარჯებისთვის ნებისმიერი სხვა მიზნით. თავდაცვისთვის დახარჯული ყოველი ლარი არის ლარი, რომელიც არ იხარჯება სხვა საჯარო სერვისებზე. დემოკრატიულ ქვეყანაში ეს საკითხი განიხილება საჯაროდ არჩეული ოფიციალური პირების მიერ და იცვლება წლიდან წლამდე. ბოლო წლების განმავლობაში, სამხედრო ხარჯები საქა-

**ცხრილი 1.2 თავდაცვის ბიუჯეტი**

| წელი | მშპ | თავდაცვის ბიუჯეტი | მშპ % |
|---|---|---|---|
| 2004 | 9 824 300 000 | 172 177 721 | 1,8% |
| 2005 | 11 620 900 000 | 366 765 145 | 3,2% |
| 2006 | 13 789 900 000 | 684 039 590 | 5,0% |
| 2007 | 16 993 800 000 | 1 494 535 313 | 8,8% |
| 2008 | 19 074 900 000 | 1 547 183 106 | 8,1% |
| 2009 | 17 986 000 000 | 869 015 694 | 4,8% |
| 2010 | 20 743 400 000 | 728 007 459 | 3,5% |
| 2011 | 24 344 000 000 | 728 427 012 | 3,0% |
| 2012 | 26 308 500 000 | 728 500 000 | 2,8% |
| 2013 | 28 863 100 000 | 660 000 000 | 2,3% |
| 2014 | 32 430 600 000 | 720 000 000 | 2,2% |
| 2015 | 36 095 200 000 | 770 000 000 | 2,1% |
| 2016 | 40 174 000 000 | 880 000 000 | 2,2% |
| 2021 | 60 200 000 000 | 990 000 000 | 1.6% |
| 2022 | | 962 000 000 | ? |

რთველოში, როგორც მთლიანი ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებელი, მცირდება საზღვარგარეთ სამხედრო ჩართულობის შემცირების გამო, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე.

ადამ სმიტმა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და თავისუფალი ბაზრის „ეკონომიკის მამამ:, საზოგადოების დაცვა განსაზღვრა, როგორც მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია და გონივრული გადასახადის გამართლება, ხოლო მთავრობა მოქმედებს საზოგადოების სახელით, რათა უზრუნველყოს, რომ სამხედროებს შეეძლოთ ერის დაცვა. პრაქტიკაში, ერის დაცვა ვრცელდება ერის სტრატეგიული ინტერესების დაცვაზე.

ერთის მხრივ მნიშვნელოვანი ეკონომიკიდან რამდენს ვხარჯავთ თავდაცვისთვის და მეორეს მხრივ როგორ ვხარჯავთ, თუ აქცენტი კეთდება არმიის მრავალრიცხოვნობაზე, ნაცვლად თანამედროვე თავდაცვითი შესაძლებლობების დანერგვაზე და ტოტალური თავდაცვის განხორციელებაზე, ასეთ შემთხვევაში თავდაცვითი მიზნები ვერ იქნება მიღწეული და ეკონომიკას დავაზარალებთ გრძელვადიან პერიოდში, ხოლო თუ პირიქითაა, იქმნება სტაბილური გარემო ეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად რაც გამოიწვევს თავდაცვის ეკონომიკური დანახარჯების უკუეფექტს და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბერიძე თ. „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა―. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტ.10 გამომცემლობა „სიახლე―. გვ.115–122;

2. პაპავა ვ. "საქართველოს ეკონომიკა", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015

3. უეილი, დევიდ ნ. - ეკონომიკური ზრდა // თბილ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

4. ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის ეპოქაში - #5(17), 2001 http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=3365

5. BRYAN ROONEY, GRANT JOHNSON, MIRANDA PRIEBE, How Does Defense Spending Affect Economic Growth

6. Economics of defense https://en.wikipedia.org/wiki/Economics_of_defense 2,%20ekonomik%20defense.pdf

7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge .

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტო https://mod.gov.ge/ge/public/page/5

9. საქართველოს ეკონომიკის და მდგარდი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/

10. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https://www.mof.ge/

# პანდემიის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე

***ანა გიორგაშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

მსოფლიო ეკონომიკა ძალიან ხშირად გამხდარა თანამედროვე გლობალური გამოწვევების მსხვერპლი. უნდა ითქვას, რომ ხშირია მოვლენები, რომელსაც სავალალო შედეგის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის სიმყარეზე. არის დაცემები, რასაც საკმაოდ სწრაფად მოჰყვება აღზევების ხანა. ეკონომიკური კრიზისების თუ სხვა მსგავსი საფრთხების თავიდან აცილების და გამკლავების გამოცდილება, მსოფლიოს აქვს, თუმცა პანდემიამ, იგი ურთულესი, ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა.

2019 წელს ჩინეთში გამოჩენილმა ვირუსმა, გავლენა იქონია არა მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე, არამედ ეკონომიკის სტაბილურობასა და სიმყარეზე. მიუხედავად იმის, რომ მსოფლიომ, ბოლო ათასწლეულში, საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია, ისეთ სფეროებში, როგორიცაა მედიცინა, ტექნოლოგიები, ჯანდაცვა თუ სხვა, იგი მაინც მოუმზადებლად შეხვდა არსებულ გამოწვევას.

შეუძლებელია საუბარი იმაზე თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია პანდემიას ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე. თუმცა, ერთი ცხადია, რომ იგი ემყარება ვირუსის გავრცელების ტენდენციას და ქვეყნის განვითარების დონეს. აღნიშნულმა პრობლემამ ცხადყო, რომ ქვეყნების ეკონომიკის გარკვეულწილად გადარჩენა, განვითარებულმა ტექნოლოგიებმა უზრუნველყო. რამაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციების დანერგვა ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცესია.

**PANDEMIC INFLUENCE ON ECONOMIC DEVELOPMENT**

**Ana Giorgashvili**
PHD student of GTU

**ABSTRACT**

The world economy has too often been the victim of today's global challenges. There are frequent events that can have a disastrous effect on the stability of the economy. There are downs followed by ups rather quickly. The world has the experience of avoiding and dealing with economic crises or other similar threats, but the pandemic has put it in front of a new and more difficult challenge.

The virus that appeared in China in 2019 affected not only the welfare and health of society, but also the stability and strength of the economy. Although the world has achieved quite a lot in the last millennium, in areas such as medicine, technology, healthcare and others, it still faced the current challenge unprepared.

It is impossible to talk about the impact of the pandemic on the economy of any country. However, it is clear that it is based on the trend of the spread of the virus and the level of development of the country. The mentioned problem made it clear that the economy of the countries was saved to a certain extent by developed technologies. Which once again emphasized the fact that technological progress and introduction of innovations is the most important and vitally necessary process in the country.

**ძირითადი ნაწილი**

მსოფლიო ეკონომიკა ძალიან ხშირად ექცევა ფინანსური კრიზისებისა თუ სხვა გლობალური პროცესების გავლენის ქვეშ. 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მსოფლიო ეკონომიკა საკმაოდ დიდი წნეხის ქვეშ აღმოაჩინა. ეს მსოფლიოსთვის ძალიან მძიმე პერიოდი იყო, იმ თვალსაზრისით, რომ მოხდა სრული ფინანსური პარალიზება. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: საკრედიტო ბაზრები გაიყინა, უმუშევრობა რეკორდულად გაიზარდა, კაპიტალის ბაზარი შემცირდა იმდენად, რომ შეიძლება ითქვას სრულებით აღარ არსებობდა, მთლიანმა შიდა პროდუქტმა საგრძნობლად იკლო. ეს იყო იმ პერიოდის - გამოცდა მსოფლიოსთვის, თუმცა ამ ეტაპამდე მისასვლელად რამოდენიმე წელი გახდა საჭირო. მისგან განსხვავებით, პანდემიამ, რომელიც უეცრად გამოჩნდა საზოგადოების ცხოვრებაში, სწრაფი დარტყმა მიაყენა საზოგადოების განვითარების ყველა სფეროს. მისმა მოულოდნელობამ განაპირობა, მოუმზადებლად შეხვედრა და საჭირო სწრაფი, თუმცა არა ყოველთვის სწორი გადაწყვეტილების მიღება.

პანდემიის გავლენის წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია. იგი დამოკიდებულია ერთი მხრივ, პანდემიის გავრცელების ტენდენციაზე, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის განვითარების დონესა და რისკებთან ბრძოლის მის გამოცდილებაზე. თუ გადავხედავთ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ კვლევებს, იგი განსხვავებულია. არაერთგვაროვნადაა შეფასებული ის გავლენა, რომელიც შესაძლოა ქვეყნის ეკონომიკამ მიიღოს პანდემიისგან.

საყურადღებოა, აზიის განვითარების ბანკის მიერ მოცემული დასკვნა. ბანკის ანგარიშში ვეცნობით სამ პოტენციურ ფაქტს, რომელიც ასახავს პანდემიისგან მოსალოდნელ შედეგს. რამდენად მძაფრია პანდემიის დარტყმა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაზე ? გასაკვირი არაა, რომ პასუხი ემყარება

**დიაგრამა 1. ინფლაციის დინამიკა, 2021 წელი**




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სწორედ ქვეყნის მზაობას, თუ რამდენადაა მზად სწრაფად მოახდინოს საფრთხის ლოკალიზება. აზიის ბანკი ასახელებს ზიანის ციფრებსაც, რომელიც 77 $ მილიარდიდან (0,08 % მშპ) 347 მილიარდამდე (0,04 მშპ) მერყეობს.[1]

გაეროს შემოთვაზებული ანალიზის მიხედვით, ის ზიანი, რომელიც პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკას მიაყენა, ტრილიონობით დოლარია. თუმცა ეს რიცხვი მზარდია, რადგან გვაქვს ეკონომიკის ზრდის მინიმუმ 2,5 %_იანი შემცირება და ექსპორტიორი ქვეყნების საკმაოდ დიდი ჩამორჩენა. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ღარიბი ქვეყნისთვის ეკონომიკისთვის, ეს პანდემია მთავარი შემაფერხებელი აღმოჩნდა.[2]

საქართველო საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებმა, მანაც მწვავედ განიცადა COVID -19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკის რეცესია. პანდემიამ საწყის ეტაპზევე მოახერხა ინფლაციის ზრდის გამოწვევა. ეს ერთი მხრივ, განაპირობა იმან, რომ ტურისტული სექტორის ვარდანზე. მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა მრავალი წელია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტურიზმზე. ხოლო მეორე მხრივ, სამომხმარებლო პროდუქციის მიწოდების არხების შემცირებამ. უმკაცრესმა შეზღუდვებმა მოახერხა ძალიან ბევრი დარგის დაზარალება. 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის გეგმით, დეფიციტი 1,31 მლრდ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 25%-ია. ამ ფონზე, განსაკუთრებით ის დარგები აღმოჩნდა ცუდ მდგომარეობაში, რომელიც საკმაო ზრდის ტემპით ხასიათდებოდა.[3] აღნიშნული დარგები ქვეყნის ეკონომიკის განმსაზღვრელი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები არიან. მაგალითად ტურიზმი, სექტორის შეჩერებამ მნიშნელოვანი დარტყმა მიაყენა შრომით ბაზარსა თუ ლარის სტაბილურობას. როგორც აღვნიშნეთ, ტურიზმი საქართველოსთვის მთავარი დასაყრდენი სექტორია უკვე მრავალი წელია, შესაბამისად უარყოფითი გავლენა, რომელიც მისმა კლებამ მოუტანა ქვეყანას საკმაოდ მძაფრი აღმოჩნდა. მაღალი ეკონომიკური დესტაბილიზაცია, ამავდროულად გამოიწვია შრომის ბაზრის გაუმართავმა სტრუქტურამ. იმის გათვალისწინებით, რომ თვითასაქმებულთა წილი ბაზარზე საკმაოდ დიდია, პანდემიამ მოახერხა და ქვეყნის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი უმუშევრად დატოვა. ეს ქვეყანაში, სადაც ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა, უფრო მეტად გაუსაძლისი გახდა მოსახლეობის ცხოვრება. შემცირდა საზოგადოების კეთილდღეობის დონე (იხ. დიაგრამა 1).

დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი 10,9 %-ია. შემცირებულია ასევე, უმუშევართა რიცხვი, რომელიც ამ დროის მონაცემებით - 20,6 %_ია. დარგები, რომელთაც განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღეს და ქვეყნის ეკონომიკის ძირეული ცვლილება გამოიწვიეს შემდეგია :

- ტურიზმის გლობალური სენტიმენტების გაუარესება;
- გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება;
- რეგიონული რისკების ზრდა
- გაზრდილი გლობალური ვალი;
- გლობალური მომხმარებლის ქცევის ცვლილება.

დღეისათვის აღინიშნება მდგომარეობის მნიშვნელოვანი გამოსწორება. განსაკუთრებით ეს ეხება ტურიზმის სექტორს. ზაფხულის პერიოდში ტურისტების რეკორდულმა რაოდენობამ, საგრძნობლად შეცვალა ტურისტული მდგომარეობის მაჩვენებელი. ეს პოზიტიური მახასიათებელი დადებითი გავლენის მომტანი აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკისთვის. თუმცა ცალკე განხილვის საგანს წარმაოდგენს მიზეზი თუ რამ განაპირობა ტურისტების რაოდენობის ზრდა. ტურისტების ძირითადი რაოდენობა შემოსული იყო რუსეთიდან, ასევე თურქეთსა და სომხეთიდან. აღნიშნული საჭიროებს ცალკეულ ანალიზს და მიდგომებს, იყო თუ არა გამართლებული ამ გზით ტურიზმის სექტორის გაუმჯობესებაზე (იხ. დიაგრამა 2).

1 https://www.adb.org/sites/default/files/publication/571536/adb-brief-128-economic-impact-covid19-developing-asia.pdf

2 “The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O

3 https://www.geostat.ge/ka

პანდემიის მიერ გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დანაზოგებზე. ყველა ქვეყანა იძულებული გახდა შეემცირებინა ბუფერები და გაეზარდა ვალი. კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ერთ მესამედს შეზღუდული ან საერთოდ არ არსებული ფისკალური სივრცე აქვს, რაც საჭიროა განგრძობადი კრიზისის გასამკლავებლად. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვნად ამცირებს მომდევნო წლებში გლობალური მოთხოვნის აღდგენის პერსპექტივას. მოსალოდნელია ფისკალური სივრცის აღდგენისთვის საჭირო კონსოლიდაცია, რაც ერთგვარი მუხრუჭია ეკონომიკისთვის, აღდგენის გზაზე.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანას საკმაოდ ბევრი შოკის გადატანა მოუწია რეგიონიდან. პანდემიამდე დამძიმებული მდგომარეობა გასაკვირი არაა, რომ განსაკუთრებით დამძიმდა პანდემიის პერიოდში და პოლიტიკური რისკები განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩინდა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

მიუხედავად იმის, რომ ეკონომიკა ძალიან დაზიანდა პანდემიის გამო, შეუძლებელია არ აღინიშნოს დადებითი შედეგებიც. ეს არის შესაძლებლობები და გამოწვევები, რომელიც პანდემიას ახლავს. ეს დამოკიდებულია ანტიკრიზისულ გეგმაზე, რომელსაც ქვეყნის მმართველი გუნდი იღებს. სრულიად შესაძლებელია, ქვეყნის ეკონომიკამ განვითარების ახალი იმპულსი შეიძინოს. პანდემიით გამოწვეული კრიზისი, ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას, უკეთესი პირობით მოახდინოს ვალების რესტრუქტურიზაცია ან თუნდაც, ნავთობის ფასის შემცირება, გახდეს ბერკეტი, რისი საშუალებითაც მოხდება ლარის კურსის დასტაბილურება.

საყურადღებოა რისკები, რომელსაც რეგიონიდან ვიღებთ და ეკონომიკის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. აუცილებელია ეკონომიკის მოწყვლადობის კონტროლი, რაც უმთავრესია ეკონომიკური სირთულეების შესამცირებლად. გასათვალისწინებელია მოცემული საკითხი, ვინაიდან ასეთი ტიპის რისკების რეალიზაცია აფუჭებს ინვესტორების განწყობას რეგიონის მიმართ, რაც ამცირებს ეკონომიკურ ზრდას.

რაც შეეხება ტექნოლოგიების როლს, პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის წარმატებაში ტექნოლოგიური პროცესი. სასწავლო თუ სამუშაო პროცესების ციფრულად წარმართვამ ქვეყანა უფრო მეტად ჩართო ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარების საქმეში. საგულისხმოა, რომ გაიზარდა ინვესტიცები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, რასაც მხოლოდ დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის.

**დიაგრამა 2. საეთაშორისო მოგზაურთა კლასიფიკაცია**

| საერთაშორისო მოგზაურობის კლასიფიკაცია | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიზიტის ტიპი | 2019: 8 თვე | 2020: 8 თვე | 2021: 8 თვე | 2022: 8 თვე | ცვლილება 2019/2022 % | ცვლილება 2020/2022 % | ცვლილება 2021/2022 % | წილი% |
| საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები | 6 320 516 | 1 544 098 | 1 054 329 | 3 256 370 | -48,5% | 110,9% | 208,9% | 100,0% |
| საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები | 5 198 531 | 1 318 587 | 961 572 | 2 779 651 | -46,5% | 110,8% | 189,1% | 85,4% |
| ტურისტული ვიზიტი | 3 451 272 | 919 391 | 883 131 | 2 251 978 | -34,7% | 144,9% | 155,0% | 81,0% |
| ერთდღიანი ვიზიტი | 1 747 259 | 399 196 | 78 441 | 527 673 | -69,8% | 32,2% | 572,7% | 19,0% |
| სხვა (არატურისტული) | 1 121 985 | 225 511 | 92 757 | 476 719 | -57,5% | 111,4% | 413,9% | 14,6% |

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://www.mof.ge/images/File/2022-biujeti/01-10-2021/danartebi/scenarebis%20analizi.pdf - ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკური სცენარების ანალიზი;
2. https://www.geostat.ge/media/47900/QuarterlyBull_2022_II_Geo.pdf - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვარტალური ბიულეტინი 2022 წწ;
3. https://gnta.ge/ge/ - ტურიზმის ეროვნული სამსახურის კვარტალური ანგარიში
4. https://www.adb.org/sites/default/files/publication/571536/adb-brief-128-economic-impact-covid19-developing-asia.pdf
5. “The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O
6. https://www.geostat.ge/ka

# პანდემიის ზეგავლენა ქვეყნის ფისკალურ პარამეტრებზე და სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით განხორციელებული ცვლილებები

*ირინე ჯავახაძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია პანდემიის ზეგავლენა ფისკალურ პარამეტრებზე. ასევე განხილულია მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით განსაზღვრული გარკვეული ღონისძიებები, უცხოური ინვესტიციებით და მიზნობრივი გრანტების ფარგლებში მიღებული თანხები, მათი გადანაწილება ერთის მხრივ, მოქალაქეების ჯანმრთელობის და სიცოცხლის, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის გადასარჩენად. ასევე, სტატიაში განხილულია უფრო დეტალურად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების დროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დამატებული ასიგნებები.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო ბიუჯეტი, პანდემია, ფისკალური პარამეტრები.

## THE IMPACT OF THE PANDEMIC ON THE FISCAL PARAMETERS OF THE COUNTRY AND THE CHANGES IMPLEMENTED IN THE LINE OF THE STATE BUDGET

**Irine Javakhadze**
PhD student at GTU

**RESUME**

In the presented article, there is discussed, some of the fiscal parameters. Certain measures determined by the government's anti-crisis plan, funds received through foreign investments and targeted grants are also discussed. Their distribution, on the one hand, the health and life of citizens, and on the other hand, to save the country's economy.

Also, the article discusses in more detail the allocations added to the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia during the amendment of the State Budget Law.

**Keywords:** State budget, pandemic, fiscal parameters.

* * * *

პანდემიის დაწყების შემდეგ მსოფლიომ, მათ შორის საქართველომ, დაიწყო ბრძოლა, ერთი მხრივ, მოქალაქეების ჯანმრთელობის და სიცოცხლის, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის გადასარჩენად. სირთულეებთან ბრძოლა, რომელიც პანდემიით იყო გამოწვეული მოითხოვდა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს, რაც სხვა ქვეყნების[1] მსგავსად გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოსთვისაც. პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, აუცილებელი იყო ვირუსის შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელება და დამატებითი სამედიცინო რესურსის მობილიზება, მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერა, ბიზნესის გადარჩენა და ეკონომიკის ხელშეწყობა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ 2020 წელს პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა, ხოლო ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები. დაიგეგმა დამატებით 5.6 მილიარდი ლარის მობილიზება, ხოლო უშუალოდ პანდემიასთან საბრძოლველად გასატარებელი ღონისძიებებისათვის განისაზღვრა 3.4 მილიარდი ლარი. საზღვარგარეთიდან მიღებული ფინანსური დახმარებების გარდა, დამატებით თანხები მოძიებულ იქნა შიდა წყაროებიდან. 2020 წელს საშინაო ვალი გაიზარდა 2 მილიარდი ლარით, ამასთან 2021 წელს საშინაო ვალის ზრდას ადგილი არ ქონია. პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში ასევე შეიქმნა StopCov ფონდი, სადაც სახელმწიფოსთან სოლიდარული თანამშრომლობის ფარგლებში ნებისმიერ პირს შეეძლო პანდემიასთან ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანა. StopCov ფონდში ჩაირიცხა 138.4 მლნ ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2020 წელს და 2021 წლის პირველ კვარტალში რეგისტრირებულ მიზნობრივი გრანტებს შორის, ყველაზე მეტი გამოყოფილი იყო სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის.

პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სულ 594.4 მლნ ლარი დაიხარჯა. კერძოდ, 2020 წელს გაწეული 417.8 მლნ ლარიდან ყველაზე დიდი თანხა (156.7 ლარი) მოხმარდა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების შესყიდვას და საკარანტინო მომსახურების ანაზღაურებას. ხოლო

1 Fiscal Effects of COVID Alan Auerbach, 19. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2020/09/Auerbach-et-al-conference-draft.pdf

დანარჩენი თანხა დაიხარჯა შემდეგი მიმართულებით: მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება 77.8 მლნ ლარი, სამედიცინო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა - 68.7 მლნ ლარი და Covid-19-ის ვაქცინაზე ხელმისაწვდომობა - 16.7 მლნ ლარი.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებისათვის პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში მიიმართა 1.13 მილიარდი ლარი. ამ თანხიდან ყველაზე მეტი მოხმარდა მოსახლეობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას 469.6 მლნ ლარი. უმუშევრად დარჩენილი პირების ფინანსურ დახმარებაზე სულ დაიხარჯა 317.7 მლნ ლარი, საიდანაც 206.5 მლნ ლარი მიემართა დაქირავებით დასაქმებულთათვის, ხოლო 111.2 მლნ ლარი თვითდასაქმებულთათვის. პანდემიის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებაზე დაიხარჯა 14.8 მლნ ლარი. 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერად სოციალურ დახმარებაზე დაიხარჯა 187.8 მლნ ლარი, სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულად დახმარებაზე - 101.1 მლნ ლარი, ხოლო შშმ პირების ფულად დახმარებაზე - 39.5 მლნ ლარი. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ, 2020 წლიას მარტის, აპრილის და მაისის თვეებში 200 კილოვატ/საათზე ნაკლების მოცულობის ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება შესაბამისი თვეების ელექტროენერგიის, წყლის და დასუფთავების გადასახადზე. ასევე, 200 კუბურ მეტრზე ნაკლები ბუნებრივი გაზის მოხმარების შემთხვევაში, სუბსიდირება გაიცემოდა ბუნებრივი გაზის გადასახადზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამა გავრცელდა სოციალური მდგომარეობის განურჩევლად, თითოეულ აბონენტზე, რომელიც აკმაყოფილებდა მოხმარებული ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის დათქმულ ოდენობას. თუმცა, პროგრამის ბენეფიციარებს მიეცათ უფლება უარი ეთქვა სუბსიდირებაზე, ამ მიზნით შექმნილი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. იმავე წლის ნოემბრიდან მსგავსი პირობებით კვლავ განახლდა კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამა, რომელიც გავრცელდა მომდევნო 4 თვეზე (2020 ნოემბერი-დეკემბერი, 2021 იანვარი-თებერვალი).

დასაქმების მიმართულებით ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, დაქირავებით დასაქმებული პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური 6 თვის განმავლობაში დახმარების სახით მიიღეს 200 ლარი (თითოეულ თვეს), ხოლო სხვადასხვა კატეგორიის თვიდასაქმებულები მიიღებდნენ ერთ- ჯერად დახმარებას, 300 ლარს.

786.9 მლნ ლარი შეადგინა ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში შემუშავებული ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების 1 წლის ხარჯმა მათ შორის, ყველაზე მეტი რესურსი (492.6 მილიონი ლარი) მოხმარდა საგადასახადო შეღავათებს, საიდანაც საშემოსავლო გადასახადზე დაწესებულმა შეღავათმა შეადგინა - 443.9 მილიონი ლარი. ხოლო, ტურიზმის სექტორისთვის დაწესებულმა საგადასახადო შეღავათმა - 48.7 მილიონი ლარი. ასევე, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერამ 169.7 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა (104.3 მილიონი ლარი) რთველის ხელშეწყობას მოხმარდა.

რაც შეეხება, ეკონომიკის ხელშეწყობის დამატებით პაკეტებზე მიმართულ რესურსებს 1.6 მილიარდი ლარიდან 594 მლნ ლარი კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ზრდას მოხმარდა, ხოლო 1.04 მილიარდი ლარი საგადასახადო ზედმეტობის (დღგის) დაბრუნებას. ფიზიკურ პირებს კომერციულ ბანკებში სესხის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ. დამატებით, კიდევ 3 თვიანი საშეღავათო პერიოდით ისარგებლეს პირებმა, რომელთა შემოსავალზეც პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა.

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს, სახელმწიფო ბიუჯეტის მსგავსად, სარეზერვო ფონდები გათვალისწინებულია ასევე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთა ბიუჯეტებში. სარეზერვო ფონდების მიზანია წლის განმავლობაში წარმოქმნილი ისეთი ხარჯების დაფარვა, რომელთა გათვალისწინებაც ობიექტური გარემოებების გამო შეუძ- ლებელია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. მაგალითად, სტიქიური უბედურებები, ეპი- დემიები, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფები. შესაბამისად, 2020 წელს კოვიდ-19 ვირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობა, წარმოშობდა სარეზერვო ფონდებიდან ვირუსთან ბრძოლისთვის გარკვეული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროებას.

აქვე მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ორჯერ (ივლისში და დეკემბერში) განხორციელდა ცვლილები, თუმცა არცერთ ვერტიკალურ პროგრამას ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით არ შემცირებია ასიგნებები და მთლიანად **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ივლისის** კანონის ცვლილების დროს დაემატა 600 მლნ ლარი[2], მათ შორის გათვალისწინებული იყო:

◆ COVID-19-ის მართვასთან (სამედიცინო დაწესებულებების მობილიზება, მკურნალობის ხარჯები, ტესტირება და კვლევები, ვაქცინაცია და სხვა) დაკავშირებით ბიუჯეტის გაზრდა 446 მლნ ლარით, მათ შორის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ფარგლებში არსებული გეგმის მიხედვით მოსახლეობის 60%-ის აცრისთვის საჭირო ვაქცინების შესყიდვის ხარჯებისათვის გათვალისწინებული იყო 150.0 მლნ ლარზე მეტი;

2 საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი https://mof.ge/5353

◆ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისათვის სამინისტროს ბიუჯეტის ასიგნებები გაიზარდა 44 მლნ ლარით;

◆ 2021 წლის 1 ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების 50 ლარიდან 100 ლარამდე ზრდასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება" პროგრამის ასიგნება იზრდება 75 მლნ ლარით. ამასთან, ბავშვების დახმარების ფარგლებში სოციალური ქულა ნაცვლად 100 000-ისა განისაზღვრა 120 000-ით;

◆ „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა" პროგრამის ფარგლებშიც განხოციელდა მატება 35.0 მლნ ლარით და განისაზღვრა 96,8 მლნ ლარის ოდენობით, რაც ითვალისწინებდა დევნილთა და ეკომიგრანტთა სახლების შესყიდვას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

ხოლო, **დეკემბრის** ცვლილების დროს სამინისტროს დაემატა კიდევ 376 მლნ ლარი, აღნიშნული ზრდა მთლიანად წარმოადგენდა პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას, რაც მოიცავდა საწოლების მობილიზებას, ინფიცირებულთა მკურნალობას, ტესტირების ხარჯებს და პანდემიის მართვაში ჩართული სამედიცინო პერსონალის დანამატების ანაზღაურებას, ასევე ვაქცინაციის მოცვის გაზრდისთვის წამახალისებელი პროგრამის დაფინანსებას (60 წლის და მეტი ასაკის პირთა ანაზღაურება ვაქცინაციის შემთხვევაში) აღსანიშნავია, რომ დამატებით გამოყოფილი თანხიდან 250,0 მლნ ლარამდე იყო უკვე შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ ამ მეტად მძიმე და არაპროგნოზირებადი გამოწვევის მიუხედავად შესამჩნევია დადებითი ტენდენციები. 2022 წელს კვლავ გაგრძელდა მაღალი ეკონომიკური ზრდა. აგვისტოში ეკონომიკურმა ზრდამ 10,5% შეადგინა, ხოლო 9 თვის მონაცემებით რეალური ეკონომიკური ზრდა კვლავ ორნიშნა მაჩვენებლით არის და 10,2%-ს შეადგენს. მაღალი ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე, შეტანილ იქნა ცვლილება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში, რომლის მიხედვითაც რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 8,5%, ხოლო ნომინალური მშპ-ს პროგნოზი შეადგენს 72,2 მლრდ ლარს. მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა დაგეგმილთან შედარებით 700,0 მლნ ლარზე მეტით შემცირებული ვალის აღება, შედეგად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 3,2%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი ჩამოცდა მშპ-ს 40%-ს.

აღნიშნული მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ 2 წლიან პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია, რამაც შესაძლებელი გახადა ვალის მაჩვენებლის პანდემიამდელ დონეზე შემცირება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Fiscal Effects of COVID Alan Auerbach, 19 . chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2020/09/Auerbach-et-al-conference-draft.pdf

2. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის (https://mof.ge/5439)

3. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" და „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონები

# სახელმწიფო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

***იური კოჩარიანი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სახელმწიფო ვალი ქვეყნის ფინანსური მართვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სახელმწიფო ვალის მდგრადობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე. სახელმწიფო ვალი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე დიდ ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებისგან. მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელებს ჰქონდეთ გააზრებული თუ, რა გავლენას ახდენს სახელმწიფო ვალი თავისი მოცულობით და შინაარსით ქვეყნის ეკონომიკაზე და მის არასწორად დაგეგმარებას და მართვას, რამდენად მძიმე შედეგებამდე შეუძლია მიიყვანოს ქვეყნის ეკონომიკა.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო ვალი, ეკონომიკური ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტი, ფისკალური პოლიტიკა.

## IMPACT OF PUBLIC DEBT ON ECONOMIC GROWTH

**Iuri Kocharian**
PhD student of GTU

**RESUME**

State debt is one of the most important components of the country's financial management. The sustainability of the state debt has a significant impact on the sustainable development of the country's economy. Due to its specificity, the state debt requires a lot of attention from the state policy makers. It is important for the policy makers to understand the impact of the public debt on the country's economy in terms of its volume and content and how its wrong planning and management can lead to severe consequences for the country's economy.

**Keywords:** public debt, economic growth, gross domestic product, fiscal policy.

* * * *

გლობალური პანდემიის შედეგად გამოწვეულმა კრიზისმა, გამოიწვია გლობალური ვალის ყველაზე მაღალი წლიური ზრდა მინიმუმ ნახევარი საუკუნის განმავლობაში და ამ პიკს მოჰყვა ვალის ზრდის ათწლეულის ყველაზე ყველაზე დიდი, სწრაფი და ფართო ტალღა 1970-იანი წლების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ქვეყნებისთვის, მათი დაბალი განაკვეთების გათვალისწინებით, ვალების მომსახურება მართვადი ჩანს, იგივეს თქმა რთულია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

პანდემიის პირველ წელს მსოფლიო ვალი 29 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შეადგენდა მსოფლიო მშპ-ს 262 %-ს. ვალის ზრდა მოიცავდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ვალს, როგორც შიდა, ისე საგარეო. განვითარებადი ქვეყნების ვალი მათი მშპ-ის 206%-ს აღწევდა, ხოლო განვითარებული მშპ-ს 300%-ს.[1]

სწორედ აღნიშნულმა მოვლენამ ეკონომისტთა წრეებში ვალის, როგორც ეკონომიკური ცვლადის ხელახლა გააზრების წინაშე დააყენა. ვალის გავლენის გააზრება მაკროეკონომიკურ ცვლადებზე არის პოლიტიკის შემქნელების და ეკონომისტების მთავარი კითხვა, რომელსაც აქვს ხანგრძლივი ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ რეალურ მშპ-ზე ვალის ზრდის გავლენის გააზრება აუცილებელია სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასებისთვის, მცირე კონსენსუსი არსებობს მის მიმართულებასა და მასშტაბებზე.

2010 წლის მსოფლიო ბანკმა განახორციელა კვლევა, რომელიც, ეფუძნება 101 ქვეყნის, როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების, (75 განვითარებადი და 26 განვითარებული) მონაცემებს, რომელიც შედგება ყოველწლიური დაკვირვებებისგან 1980-2008 წლებში. კვლევის ფარგლებში ძირითად ცვლადებს წარმოადგენს სახელმწიფო ვალი, მშპ-ს ზრდა და კონტროლის სხვა ცვლადების ნაკრები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე.

სახელმწიფო ვალი იზომება, როგორც მთლიანი სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან. ვალის ზრდის ურთიერთობის განხილვისას, ვალი ხელისუფლების ყველა დონეზე მნიშვნელოვანია, რადგან ის გავლენას ახდენს მთავრობის უნარზე, ჩაერთოს პოტენციურად ზრდის გამაძლიერებელ კონტრციკლურ პოლიტიკაში.

ანალიზის ძირითადი შედეგები, ეფუძნება ჰანსენის ბარიერის უმცირეს კვადრატების რეგრესიის მოდელს. კვლევაში ასევე გამოყენებულ იქნა კომბინირებულ უმცირეს კვადრატების რეგრესია.

ზღვრული LS რეგრესიის მოდელის სპეციფიკაცია შემდეგია:

$$Y_i = \beta_{0,1} 1_{\{X_i \le \lambda\}} + \beta_{0,2} 1_{\{X_i > \lambda\}} + \beta_{1,1} X_i 1_{\{X_i \le \lambda\}} + \beta_{1,2} X_i 1_{\{X_i > \lambda\}} + \beta_{2,1} W_i 1_{\{X_i \le \lambda\}} + \beta_{2,2} W_i 1_{\{X_i > \lambda\}} + u_i$$

სადაც 1 წარმოადგენს ინდიკატორის ფუნქციას, რომელიც იღებს ერთის მნიშვნელობას, როდესაც ხდება შიდა მოვლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნულს. Y არის გრძელვადიანი საშუალო რეალური ზრდის

1 Волкова. O (2021). Рекорды глобального долга: решения и риски. მოპოვებულია ვებ-გვერდიდან https://econs.online/articles/ekonomika/rekordy-globalnogo-dolga-resheniya-i-riski/?fbclid=IwAR0hUyU93HoVn3rgZsZPHmDrqxtLnSxIHzKQbUIaakQIBz1JUQaXp5Fr3d4

ტემპი, ხოლო X არის გრძელვადიანი საშუალო სახელმწიფო ვალის მშპ-ის თანაფარდობა. W წარმოადგენს საკონტროლო ცვლადებს. "i" - ქვეყნის ინდექსი. უცნობი ზღვრული მნიშვნელობა λ, ისევე როგორც კოეფიციენტები $\beta_{0,1}$ - $\beta_{2,2}$- მდე შეფასებულია ჰანსენის LS ბარიერის მეთოდის გამოყენებით. განტოლება შეიძლება გადაიწეროს ორ განტოლებად, სადაც პირველი წარმოადგენს ზღურლბს ქვემოთ რეჟიმს, ხოლო მეორე წარმოადგენს ზღვრულ რეჟიმს:

$$Y_i = \beta_{0,1} + \beta_{1,1}X_i + \beta_{2,1}W_i + u_i, \quad if \quad X_i \leq \lambda$$

$$Y_i = \beta_{0,2} + \beta_{1,2}X_i + \beta_{2,2}W_i + u_i, \quad if \quad X_i > \lambda$$

აღნიშნული კვლევით შემოწმდა ზღურბლის გრძელვადიანი საშუალო სახელმწიფო ვალის მშპ-ის თანაფარდობასა (1980–2008) და გრძელვადიან საშუალო ზრდას შორის. ნულოვანი ჰიპოთეზა არის ის, რომ დახრილობის კოეფიციენტები და კვეთები იდენტურია ორ რეჟიმში. განტოლებაში ეს ნიშნავს, ლაგრანგის მოდელის გამოყენებით (Hansen 1996), შემოწმება შემდეგი ნულოვანი ჰიპოთეზა:

$$H_0 : \beta_{0,1} = \beta_{0,2}, \beta_{1,1} = \beta_{1,2}, \beta_{2,1} = \beta_{2,2}$$

მსოფლიო ბანკის აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ თუ ვალის მშპ-ს თანაფარდობა 77%-ს აღემატება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ეს ანელებს ეკონომიკურ ზრდას. ამ დონის ზემოთ ვალის ყოველი პროცენტული პუნქტი ქვეყანას ეკონომიკური ზრდის 0,017 პროცენტული პუნქტი უჯდება.[1]

სახელწიფო ვალი თავი სტრუქტურით ძირითადად ექვემდებარება ფისკალურ პერსპექტივებს, რომელიც ძირითადად რთულად საპროგნოზოა და ექვემდებარება დიდ გაურკვევლობას, თავისი მოცულობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალი განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში და მნიშვნელოვანია მოხდეს მისი მდგრადობის ანალიზის სწორი შეფასება.

სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი განიხილება სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებზე მუშაობის ძირითად ელემენტად. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაკრედიტების გადაწყვეტილებებში და ეხმარებიან კრიტიკული კითხვების შეფასებაში, ასევე უზრუნველყოფენ ფონდის პროგრამების შემუშავებას, კერძოდ, ეხმარებიან დაფინანსების დროისა და ზომის განსაზღვრაში, ასევე პოლიტიკის არჩევაში. ამ მომავალზე ორიენტირებული შეფასებებისთვის, მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ იმოქმედებს სახელმწიფო ვალის ცვლილებები რეალურ მშპ-ზე მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში.[2]

ეს თემა ძირითადად დაკავშირებულია ლიტერატურის იმ მნიშვნელოვან ნაწილთან, რომელიც თეორიულად და ემპირიულად აფასებს სახელმწიფო ვალის მოულოდნელი ზრდის გავლენას რეალურ მშპ-ზე. თეორიული ნაშრომები აჩვენებენ, რომ თუ ქვეყანას უკვე აქვს ვალის მაღალი დონე, ვალის გადაჭარბება ხელს უშლის ქვეყანას შეუფერხებლად გამოსცეს დამატებითი დავალიანება დეფოლტის შიშის გამო, რაც უარყოფითად იმოქმედებს შემდგომ ზრდაზე. ვალის მაღალი დონე უარყოფითად აისახება ზრდაზე, ცვლის მოლოდინებს ან იწვევს გაურკვევლობას და ცვლის სუვერენული სარგებელის სპრედებს. სახელმწიფო ვალის ზრდა იყენებს ეროვნული დანაზოგების ნაწილს, რომელიც განკუთვნილია მომავალი თაობებისთვის. შედეგად მიღებული დანაზოგების შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რაც ამცირებს ინვესტიციების სტიმულს და დაბალი ინვესტიცია იწვევს კაპიტალის დაბალ დაგროვებას, რაც ამცირებს ეკონომიკურ ზრდას. შედეგად, სახელმწიფო ვალი ზოგადად უარყოფით გავლენას ახდენს გრძელვადიან ზრდაზე ენდოგენური ზრდის მოდელებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ვალსა და ეკონომიკურ ზრდას შორის მკაფიო კავშირის პოვნა კვლავაც იპყრობს მკვლევართა და პრაქტიკოსთა ყურადღებას, სხვადასხვა კვლევის შედეგებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა აღმოაჩინა დადებითი მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ვალსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, სხვებმა იპოვეს საპირისპირო მიზეზობრივი კავშირი. მაგალითად, კლასიკური ეკონომიკური თეორეტიკოსები ვარაუდობენ, რომ ვალით დაფინანსებული სახელმწიფო ხარჯები სრულად არ აანაზღაურებს კერძო ინვესტიციების ჩამორთმევის უარყოფით გავლენას, რაც იწვევს ეკონომიკურ ვარდნას. ამგვარად, სახელმწიფო სესხები შიდა ბაზარზე იწვევს ლიკვიდურობის კრიზისს და საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რაც ხელს უშლის კერძო ინვესტიციებს. მეორეს მხრივ, კეინზიელი თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ვალის მიერ დაფინანსებულ სახელმწიფო ხარჯებს აქვს ჩამორთმევის ეფექტი, რაც წარმოქმნის პოზიტიურ მულტიპლიკატორულ ეფექტს ეროვნულ გამომუშავებაზე ან შემოსავალზე.

ამრიგად, მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელებმა სახელმწიფო ვალის შედეგად წარმოქმნილი კეთილდღეობის მაქსიმიზაციის მიზნით, იყენებდნენ კრიტიკულ ლიტერატურას და ისტორიულ ფაქტებს, რაც დაეხმარება ქვეყანას სახელმწიფო ვალის შედეგად წარმოქმნილი რისკების მინიმიზაციაში და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Caner M., Grennes T. & Koehler-Geib F. (2010). Finding the tipping point – when sovereigh debt turns bad.

2. Soures C., Kawai. R & Wang M. (2022). Public Debt and Real GDP: Revisiting the impact.

3. Hilton S. K (2021). *Asian Journal of Economics and Banking.* Public debt and economic growth: contemporary evidence from a developing economy

4. Волкова. О (2021). Рекорды глобального долга: решения и риски.

1 Caner M., Grennes T. & Koehler-Geib F. (2010). Finding the tipping point – when sovereigh debt turns bad. Pp 1-5.

2 Soures C., Kawai. R & Wang M. (2022). Public Debt and Real GDP : Revisiting the impact. Pp 4-5.

# ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები და არსებული მდგომარეობა საქართველოში

***ანუკი ტოგონიძე***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ციფრულმა ტექნოლოგიებმა 21-ე საუკუნეში შეცვალეს მუშაობის/ბიზნესის კეთების სტილი მსოფლიოში. საინფორმაციო ტექნოლოგიები (ICT) რომელიც მოიცავს ყველა ციფრულ ტექნოლოგიას, ეხმარება ინდივიდებს, ბიზნესებს ინფორმაციის გამოყენებაში. ის არის ციფრული ინოვაციების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა და მოიცავს ყველა ელექტრონულ პროდუქტს, რომელიც ეხება ინფორმაციას ციფრული ფორმით. ციფრული ტრანსფორმაციის დროს ფოკუსირებული უნდა ვიყოთ არა პროცესებზე არამედ იმ საჭიროებებზე და მოთხოვნებზე რომელსაც ემსახურება ესა თუ ის პროცესი. აქედან გამომდინარე საინტერესოა საქართველოში არსებული მდგომარეობა, ციფრული ტრანსფორმაციის რა ძირითადი მიმართულებები გამოიკვეთა და რა ეტაპზე იმყოფებიან.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული ტექნოლოგიები, ფინტექი.

**RESUME**

Digital technologies have changed the way we work/ do business around the world in the 21st century. Information Technology (ICT), which combines all digital technologies, individual, business use. It is one of the driving forces of digital innovation and includes information about all electronic products related to digital change. During digital transformation, we should focus not on procedures, but on what is needed and the demand served by this or that process. Therefore, it is interesting to know the current situation in Georgia, which main directions of digital and what stage they are.

**Keywords:** digital transformation, digital technologies, Fintech.

**ძირითადი ტექსტი**

21-ე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით შეიცვალა მუშაობის სტილი მსოფლიოში. საინფორმაციო ტექნოლოგიები (ICT) რომელიც მოიცავს ყველა ციფრულ ტექნოლოგიას, ეხმარება ინდივიდებს, ბიზნესებს ინფორმაციის გამოყენებაში. ICT წყალობით ბიზნესი ხდება მეტად ეფექტური, ეფექტიანი და ოპერატიულად პასუხობს მომხმარებელთა საჭიროებებს. საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით შექმნილმა ინოვაციებმა მოახდინეს ბიზნესის ტრანსფორმაცია, შეიცვალა საწარმოო პროცესები, მარკეტინგი, მომსახურება, კონტროლის ფუნქციები თუ სხვა. IDC –ის პროგნოზით, ტექნოლოგიები და ელ-სერვისები, რომელი განაპირობებს ციფრულ ტრანსფორმაციას 2020 წლისთვის მიაღწევდა 1.97 ტრილიონს. ასევე ტრანსფორმაციის ხარჯები 2017-2020 წლებში სტაბილურად 16.7 %-ს შეადგენდა.[1] ციფრულმა ტექნოლოგიებმა მოახერხეს ციფრული ეკონომიკის დარგობრივი დაყოფა. დღეისათვის შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი მიმართულებები საქართველოში, სადაც ტექნოლოგიებმა შეაღწიეს და შეცვალეს მუშაობის სტილი, გაადვილეს პროცესები, შეამცირეს ხარჯები და ჩაანაცვლეს ადამიანები.

ტექნოლოგიები დახარისხდა ამგვარი მიმართულებებით: **აგრარული ტექნოლოგიები, ჯანდაცვის ტექნოლოგიები, ფინანსური ტექნოლოგიები, სამართლის ტექნოლოგიები, განათლების ტექნოლოგიები, კულტურის ტექნოლოგიები.**

ფინანსური ტექნოლოგიები რეგიონში, პოსტ საბჭოთა ქვეყნებთან შედარებით მოწინავეა საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ესტონეთს. ფინანსური მომსახურების სფერო ერთ-ერთი განვითარებული და სწრაფად ტრანსფორმირებადი სფეროა, რომელიც წარმატებით ნერგავს ახალ ციფრულ ტექნოლოგიებს. ბლოკჩეინზე დაფუძნებული ტექნოლოგია ფინტექი გარდამტეხი აღმოჩნდა ამ მიმართულებით. მისი დამახასიათებელია: სისწრაფე, სიმარტივე და მოქნილობა. მისი ბაზარი მოიცავს დაკრედიტებას, ვაჭრობას, საფინანსო სფეროს ელკომერციას, საფინანსო სფეროს ონლაინ მიწოდების ქსელის მართვას. სპეციალისტების. ინვესტიციების რაოდენობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ფინტექი წარმოადგენს ეკონომიკაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად მზარდ სექტორს. [2]

საქართველოშიც აქტიურად დაიწყეს დანერგვა აღნიშნული ტექნოლოგიის და ამ მიმართულებით საქართველოს ბანკია მოწინავე, რომელიც აქტიურად ნერგავს ფინტექ ტექნოლოგიას. ღია ბანკინგი (open banking) მსოფლიოს წამყვანი ბანკებისა და საფინანსო სექტორის მონაწილეთა ერთობლივი ინიციატივაა, რომლის მიზანია საბანკო მომსახურების პროცესში ფინტექ სტარტაპების ჩართვის ხელშეწყობა და ამ გზით მომხმარებლებისთვის მომსახურების მრავალფეროვანი არჩევანის შექმნა. ღია ბანკინგის კონცეფციის დასანერგად საქართველოს ბანკი ქმნის ფინტექ პროგრამას, რო-

1 https://enterprisersproject.com/what-is-digital-transformation
2 https://www.statista.com/statistics/719385/investments-into-fintech-companies-globally/

მელიც მოიცავს: ფინტექ ქომუნითის განვითარება, API სერვისები და სტარტაპების მხარდაჭერა.

აქვე საინტერესოა საქართველოში დაარსებული ფინტექ სტარტაპი coinswap.ge, რომელსაც coinswap.mx-ისგან განსხვავებით სადაც ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობა არაა საჭირო და ყველაფერი ბლოკჩეინზეა, აქ საბანკო სფეროს გამოყენება საჭირო ხდება. ამ შემთხვევაში ნახევარი საქმიანობა ბლოკჩეინზე ხორციელდება და ნახევარი ბანკში. ასევე ხელოვნური ინტელექტი ფინანსურ სექტორში ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი გახდა, შესაბამისად საქართველოც მისდევს ამ ტენდენციას. საქართველოში გამორჩეული ტექნოლოგია გახლავთ Ti Bot - საბანკო ბოტი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს ტრანზაქციების განხორციელებას, ინფორმაციის მიღებას ანგარიშზე არსებული ბალანსის შესახებ, TBC ბანკის ფილიალის და ტერმინალის მდებარეობის შესახებ. B Bot - სადაზღვეო ბოტი - რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შეიძინონ სადაზღვეო პოლისი დისტანციურად, ბი ბოტს იყენებს TBC დაზღვევა. Bruno - შედარებით ახალი ტექნოლოგიაა, რომელიც ინერგება რომ მოხდეს ქართული საუბრის ამოცნობა და გაანალიზება. რაც შეეხება კრიპტოვალუტას ქართულ ბაზარზე - ბლოკჩეინ ტექნოლოგიები საქართველოში ფართოდ გავრცელდა. საქართველო მსოფლიო ბანკის მონაცემებით ითვლება მესამე კრიპტოვალუტის მომპოვებელ ქვეყნად. კრიპტოვალუტის მოპოვებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ელექტროენერგიის ხარჯვაზეც.

21-ე საუკუნიდან იწყება ასევე სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური რევოლუცია. იგი გულისხმობს, ისეთი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორიცაა: ნივთების ინტერნეტი, ხელოვნური ინტელექტი, „დიდი მონაცემები", და სხვ ინოვაციური ტექნოლოგიები. ეს ყველაფერი კი თავისთავად მიმართულია შრომის ნაყოფიერების და მოსავლიანობის გაზრდაზე, წარმოების ხარჯების შემცირებასა და ამასთანავე პროცესში ჩართული პირების შემცირებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აგრარულ სექტორში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას რიგი პრობლემები შეიძლება აფერხებდეს, როგორიცაა: სუსტად განვითარებული IT ინფრასტრუქტურა და ქსელური დაფარვა სოფლებში; ახალგაზრდა თაობის ქალაქად მასობრივი მიგრაცია; კომპიუტერული უნარების შედარებით დაბალი დონე; ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა.[3]

საქართველოშიც აქტიურად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სექტორის ციფრულ ტრანსფორმაცია და ხელშეწყობა. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით 2021-2022 წლებში ანხორციელებს პროექტს რომელიც მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: (I) სოფლის მეურნეობაში არსებული ციფრული ტექნოლოგიების იდენტიფიცირება და აღნიშნული მიმართულებით, ასოციაციის წევრი ფერმერების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გამოვლენა; (II) 150 სერვისის მიმწოდებლის პროფილის ციფრულ რუქაზე განთავსება და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა; ციფრული პლატფორმების შესახებ, ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონიდან შერჩეული 200 ფერმერისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის ტრენინგის ჩატარება; (III) კვლევის დოკუმენტის პუბლიკაცია, სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკების შესახებ, რომელიც მოიცავს კონკრეტული ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად მიღებული ფინანსური სარგებლის ანალიზს და ასევე, ასახავს ქვეყნის მასშტაბით გამოყენებული ციფრული ტექნოლოგიებისა და პლატფორმების ნუსხას.[4]

აქვე აღსანიშნავია ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით 2017 წელს შექმნილი მობილური აპლიკაცია „აგრონავტი", რომლის დახმარებით ფერმერებს შეუძლიათ თავიანთი წარმოებული პროდუქციის ახალ ბაზრებზე გატანა. საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანია GFDC აქტიურად თანამშრომლობს საქართელოს ფერმერთა ასოციაციასთან. აპლიკაციაში ხელმისაწვდომია: ყოველდღიური აგროდაიჯესტი, ინფორმაცია აგრო პროდუქტების ფასების ცვლილების შესახებ, სოფლის მეურნეობის სფეროში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა, ფერმერზე მორგებული ლოკალური ამინდის პროგნოზი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოტანილი იჯარით გასაცემი მიწის აუქციონები, 60-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების ციკლი და ა.შ.

რაც შეეხება სამართლისა და განათლების მიმართულებით, პირველი ესაა ელექტონული მმართველობის დანერგვა, თუმცა არსებობს რიგი მიზეზები. პირველი მიზეზია ქვეყნის ინტერნეტიზაციის, თუმცა დაახლობით 60% დაფარულია და თანდათან აღმოიფხვრება ეს პრობლემაც. ინტერნეტის განსავითარებლად საქართველოში ილონ მასკის დაარსებულმა კომპანიამ "SpaceX"-ის Starlink-მა გადაწყვიტა პრაქტიკული საქმიანობის დაწყება. „SpaceX" საქართველოში Starlink-ის თანამგზავრული სისტემებით მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებას მიაწოდებს. Starlink მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სატელიტური ფართოზოლოვანი ინტერნეტ სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს დაბალი დაყოვნების მქონე, მაღალსიჩქარიან, ფართოზოლოვან ინტერნეტს მთელს მსოფლიოში, მათ შორის ისეთ

3 Трендов, Н. М., Варас, С., Цзэн, М. (2019). Цифровые технологии на службе сельского хозяйства и сельских районов. Справочный документ. Продовольственная и сельскохозяйственная организация Объединенных Наций, Рим. С. 3.

4 https://cutt.ly/wMkLyo7

ადგილებში, სადაც ინტერნეტი საიმედოობის, უხარისხოა ან კიდევ ფაქტიურად მიუწვდომელი. აქვე აღსანიშნავია სტარტაპები რომლებიც, იურიდიულ ტექნოლოგიებს ნერგავს მათ შორის საიბერ ლოიალის და აშ., რომლის დროსაც ტექნოლოგიას ექნება შესაძლებლობა სტანდარტული სამომხმარებლო სტილის ხელშეკრულებები შექმნას, ანუ შექმნას თქვენთვის სასურველი კონტრაქტი. ასევე კანონშემოქმედებითი პროცესია მნიშვნელოვანი და საინტერესო. გარდა ამისა საინტერესოა სამართლის ტექნოლოგიები დოქტრინის თავლსაზრისით, თეორიის თვალსაზრისით. რადგან მსოფლიოში იქმნება ახალი სამართლის დარგები რომელიც დღემდე არ არსებობდა: მაგ: საბანკო სამართალი, რომელიც მეოცე საუკუნიდან გაჩნდა. ასევე შემოდის ტექნოლოგიების სამართალი, რომელიც შიგნით იყოფა ბევრ სამართლის დარგად.

**განათლების ტექნოლოგიებით,** იცვლება თვით ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის მექანიზმები. განათლების ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებებია: 1. ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. ციფრული სასწავლო-მეთოდური მასალების შექმნა; 3. სასწავლო პროცესის პერსონალურ ორგანიზაციაზე გადასვლა. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას პედაგოგის როლი არსებითად იცვლება. იგი ჭეშმარიტი ცოდნის მიღების არა ერთადერთ, არამედ, მნიშვნელოვან, მაგრამ ერთ-ერთ ვალიდურ წყაროდ გვევლინება. განათლების სისტემაში ციფრული ტექნოლოგიებია: მოსწავლის (სტუდენტის) და მასწავლებლის (პროფესორის) ერთობლივი ექსპერიმენტული კვლევის ტექნოლოგია, რითაც რეალიზდება ძიებითი მიდგომა და მიიღწევა შემეცნებითი ციკლი: „ფაქტები – მოდელი – კვლევა – ექსპერიმენტი – ფაქტები—; „ინფორმატიზაციის მცირე საშუალებები— (ელექტრონული ლექსიკონები, გრაფიკული კალკულატორები, ინტერაქტიური გამოკითხვისა და ცოდნის შემოწმების საშუალებები); ინტერაქტიური ელექტრონული კონტენტი (რითაც ინტერაქტიური კავშირები მყარდება, მაგ., ეკრანზე ობიექტის მანიპულირება, ნავიგაცია, უკუკავშირი, იმიტაციური მოდელირება); მულტიმედიური სასწავლო კონტენტი. ინფორმაციის მრავალი სახეობის (ტექსტური, გრაფიკული, ხმოვანი, ვიდეო) სინთეზი, რითაც მათი სტრუქტურირება, ინტეგრირება და წარდგენა შეიძლება. სწავლების ციფრულ მოდელში სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება ხელოვნური ინტელექტის ჩართულობა. გარდა ამისა, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შემსწავლელის ინდივიდუალური კოგნიტური თავისებურებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად შეადგინოს სასწავლო მოდულები ან ბლოკები, შეარჩიოს საკონტროლო კითხვები ან ტესტები ანუ პედაგოგის მსგავსად ააგოს სწავლების ადაპტიური პროგრამები. სწავლების ინტელექტუალური შემსწავლელი სისტემები (ITS – Intelligent Tutoring Systems) 2015 წლიდან არსებობს. მათი დახმარებით სასწავლო პროცესი ყოველ შემსწავლელზე ინდივიდუალურად წარიმართება ანუ გათვალისწინებულია თითოეულის ფაქტობრივი ცოდნა შესასწავლ სფეროში. შესაბამისად, ათვისებული სასწავლო მასალაც ავტომატურად კონტროლდება.

კულტურის ტექნოლოგიები მოიცავს ციფრული დარგების სხვადასხვა მიმართულებებს, ერთ-ერთი ახალი მიმართულებაა ციფრული ტურიზმი. „ესაა ტურიზმთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ინფორმაციის (კულტურული არტეფაქტების, მუზეუმების, გამოფენების, ბუნების, სამზარეულოს...) როგორც „ნედლეულის", ციფრულ სერვისად ისე წარმოჩენა, რომელიც ადამიანში აღძრავს დადებით ემოციებს.[5] ვირტუალური ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია ციფრული ტექნოლოგიებზე, განსაკუთრებით ინტერნეტსა და ვირტუალურ რეალობაზე. განსკუთრებით აქტუალური გახდა ეს ყველაფერი პანდემიის შემდგომ. ინტერნეტმა, გარდა ურთიერთობის, სიჩქარისა და უსაზღვრო ხელმისაწვდომობისა, შექმნა ინოვაციური და პარადოქსული მოვლენის გაჩენის საშუალება ტურიზმში, როგორიცაა "ვირტუალური ტურიზმი", "ვირტუალური ექსკურსიები", 3D ექსკურსიები, 3D პანორამები, 3D ტურები. მობილური აპლიკაციაბი, როგორიცაა London Pass – ლონდონის „ინტერაქტიური გზამკვლევი", ინფორმაციას აწვდის სხვადასხვა შემოთავაზებასა და ფასდაკლებაზე რესტორნებსა თუ კინოთეატრებში; France Billet – ინფორმაცია საფრანგეთში მიმდინარე ღონისძიებებზე. მეორე და მნიშვნელოვანი ცვლილება არის მუზეუმების მიმართულებით. კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენაში ახალი ტექნოლოგიების ჩართვა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოიზიდონ მეტი დამთვარიელებელი ასევე გაახალგაზრდავონ მნახველთა ასაკი; ახალმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყონ კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და კვლევას. იტალიაში ატიურად მიმდინარეობს აღნიშნული და საქართველოც აქტიურად ნერგავს მსგავს პროცესებს.

**ციფრულ ჯანდაცვაში** აქტიური გამოყენება აქვს ხელოვნურ ინტელექტს და რობოტებს. მათი როლი სულ უფრო და უფრო აქტულიური ხდება. კარდიოქირურგიული რობოტები, სარეაბილიტაციო რობოტები, რობოტიზებული სადიაგნოსტიკო სისტემები და სხვა. BCG-ის შეფასებით, 2022 წელს სამედიცინო რობოტოტექნიკის მსოფლიო ბაზარი $8 მილიარდს მიაღწევს, მათ შორის ავტომატიზებული დიაგნოსტიკა _ $1.3, რისკების შეფასებისა და სათანადო მკურნალობის დამუშავების კი _ $2,8 მილიარდს. ასევე ჯანდაცვის სისტემაში ვრცელდება **Grid-ტექნოლოგიები**[6]. Grid-მედიცინა ვირ-

5 ჯოლია მონოგრაფია 3 , გვ126
6 http://www.modernpublishing.ge/view_post.php?id=3&pub=2&year=2008

ტუალური სივრცეა, სადაც ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი სამედიცინო ინფორმაცია. ამ ტექნოლოგიის დახმარებით შესაძლებელია: სწრაფი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა; ადამიანის ორგანიზმის სრულყოფილი კვლევა; მომსახურების ღირებულების შემცირება და დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა, კვლევებისა და მკურნალობის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევა.

**საქართველოს მთავრობა მუშაობს იმისათვის, რომ გახდეს ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) ასოცირებული წევრი ახლო მომავალში. CERN** -ი მხარს უჭერს სხვადასხვა ერთობლივი პროექტების განხორციელებას, როგორიცაა ატლასის დეტექტორის კვანძების დამზადების შესაძლებლობა, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროექტებისა და გრიდის (კომპიუტერული ქსელის) კლასტერის განვითარებას საქართველოში. ასევე, ქართველ მეცნიერთა და მასწავლერბელთა სტაჟირება ბირთვული კვლევების ევროპის ცენტრში, აუტისტი ბავშვებისთვის ადრონიდული თერაპიის პროექტების შემუშავება და სხვ.[7]

## დასკვნა

როგორც ვნახეთ, საქართველოც აქტიურად ცდილობს დიჯიტალიზაციის პროცესში აქტიურ ჩართვას და ზემოთ აღნიშნული მიმართულებების განვითარებას. მართალია ჩვენ ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე ვართ, მაგრამ თითოეული მიმართულებით შეიმჩნევე გარკვეული ცვლილებები, რაც სასიკეთოდ აისახება სამომავლოდ ქვეყნის განვითარებაზე. ქვეყნის ინტერნეტიზაცია მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის განსავითარებლად და დასანერგად, რაშიც ასევე დაგვეხმარება SpaceX. თითოეული სტარტაპი კი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ზემოთ აღნიშნული მიმართულებების განვითარეაბაში.

7 https://edu.aris.ge/news/stu-si-grid-cloud-teqnologiebis-saertasoriso-konferencia-gaixsna.html

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://enterprisersproject.com/what-is-digital-transformation
2. https://www.statista.com/statistics/719385/investments-into-fintech-companies-globally/
3. https://cutt.ly/wMkLyo7
4. http://www.modernpublishing.ge/view_post.php?id=3&pub=2&year=2008
5. http://www.association.ge/bank-projects-detail/10/ghia-bankingi/
6. https://cutt.ly/rMkLhqJ
7. https://www.statista.com/statistics/719385/investments-into-fintech-companies-globally/
8. Трендов, Н. М., Варас, С., Цзэн, М. (2019). Цифровые технологии на службе сельского хозяйства и сельских районов. Справочный документ. Продовольственная и сельскохозяйственная организация Объединенных Наций, Рим. С. 3.

# ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში

*გიორგი მოცრაძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**ანოტაცია**

თანამედროვე სამყაროში ციფრული ტექნოლოგიები ინტეგრირებული ეკონომიკის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. მისი წილი ეკონომიკის განვითარებაში და სტაბილურობის შენარჩუნებაში მართლაც ძალიან დიდია.

კვლევის საგანს წარმოადგენდა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოში. კვლევის ობიექტია მომხმარებლები ონლაინ-სივრცეში. ძირითადი მიზანი კვლევის შედეგების გაანალიზებით გამოვავლინოთ განვითარების ტენდენციები და ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით. მიზნების მისაღწევად დავსახეთ რამდენიმე ამოცანა: ციფრული ტექნოლოგიების არსისა და მნიშვნელობის განხილვა; მისი სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობის გამოვლენა და განხილვა; ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობის გამოვლენა ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, ტენდენციებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განხილვა.

**ANNOTATION**

In the modern world, digital technologies are an important opportunity for an integrated economy. Its share in the development of the economy and maintenance of stability is really very big.

The subject of the study was the socio-economic effectiveness of the introduction of digital technologies in Georgia. The object of research is users in the online space. The main goal is to identify development trends and formulate recommendations for the implementation of digital technologies by analyzing the research results. To achieve the goals, we set several tasks: discussion of the essence and importance of digital technologies; revealing and discussing its socio-economic efficiency; Revealing the importance of digital technologies for the development of the Georgian economy, revealing and discussing trends and possibilities.

## ციფრული ტექნოლოგიების წარმოშობა

ორ კომპიუტერულ მოწყობილობას შორის პირველი კავშირი 1969 წლის 29 ოქტომბერს შედგა. ისინი ერთმანეთს 600 კილომეტრით იყვნენ დაშორებულნი: 1) ქ. ლოს-ანჯელესში კალიფორნიის კვლევით ისტიტუტში; 2) სტენდფორდის კვლევით ინსტიტუტში. პროცესს ჩარლ კლაინი და ბილ დიუვალი აკვირდებოდნენ. პირველი ცდის შედეგად მხოლოდ სამი სიმბოლოს გადაგზავნა მოხერხდა და ქსელმა ფუნქციონირება შეწყვიტა. სიტყვა „ლოგონ" უნდა ყოფილიყო სისტემაში შესვლის ბრძანება, საათნახევრის შემდეგ ისევ შეძლეს სისტემაში შესვლა და ახალი ცდის ჩატერება, რაც წარმატებით დასრულდა. სწორედ ამ თარიღს უკავშირდება პირველი ქსელური კომუნიკაცია, რაც დასაბამი გახდა სრულიად ახალი ეპოქის შექმნის.

საინტერესო ციფრები დაფიქსირდა სტატისტიკურ მაჩვენებელზე: ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობამ, სულ რაღაც 5 წელიწადში 50 მლნ მიაღწია.

ქართული ინტერნეტის შექმნაში პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს დევნილი ეროვნული ხელისუფლების ემიგრაციამ ფინეთიდან, ხოლო პირველი ქართული ვებ-გვერდი იგივე, რაც „ვებ-საითი", 1996 წლის დასაწყისში შექმნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელმა ევროპაში რენო სირაძემ. ეს იყო „დედაენა", ხოლო პირველი ქართული ვებ-საითი, რაც უნიკოდზე იყო დაფუძნებული იყო - „შავლეგო".

თანამედროვე სამყაროში ციფრულმა ტექნოლოგიებმა წაშალა საზღვრები და ბარიერები ადამიანებს შორის. იმაზე ფიქრი, თუ რა შეცვალა თანამედროვე სამყაროში ციფრულმა ტექნოლოგიებმა ყველაზე თვალსაჩინოდ შეიძლება გამოვყოთ საზღვრების გაქრობა. მისი ათვისების ტემპები ძალიან მაღალია, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას. დღევანდელი ეკონომიკების გამოწვევად მაკროეკონომიკურ გარემოში შეიძლება ითქვას ცალსახაა და გამოიხატება იმით, რომ ქვეყნები ან შეძლებენ ციფრული ეკონომიკის რელსებზე გადასვლას ან ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია. ბილ გეითსმა, რომელმაც რევოლუციური წვლილი შეიტანა ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაში, თქვა: „ბაზრებზე დარჩებიან ბიზნესები, რომლებიც გამოიყენებენ ინტერნეტს ან ისინი ვინც გავლენ ბაზრიდან". მისი აზრით, რომელსაც სრულიად ვეთანხმები, თანამედროვე ეპოქაში შეუძლებელია შექმნა დიდ მასშტაბებზე გათვლილი ბიზნესი, რომელიც არ იქნება ლოკალური და არ გამოიყენო ინტერნეტი. ასეთი რამე შეუძლებელია, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოს წარმატებული ქვეყნები თავიანთი წარმატებული ეკონომიკებით, აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. მათი ეკონომიკური განვითარების ტემპები გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშვალებას, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ყველაზე მეტად ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მარკეტინგული მოქმედებები გაამარტივა და მისმა განვითარებამ მთელი სამყარო ახალ ციფრულ ერას მოარგო. შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ტერმინი „ციფრული მარკეტინგი", რომლის მიზანია ინტერნეტის გამოყენებით, მომხმარებელთან კომუნიკაცია, ახალ მომხმარებელთან ურთიერთობის ჩამოყალიბება და კლიენტებად ქცევა და, რაც ყველაზე მთავარია, მთელი ამ მოქმედების შედეგად მიღებული ურთიერთობების შენარჩუნება და გაღრმავება.

ციფრული არხების გამოყენების ძირითად მიზნად შესაძლოა მივიჩნიოთ, ბრენდების შექმნა, ჩამოყალიბება და პოპულარიზაცია.

ციფრული ტექნოლოგიები არის ნებისმიერი საქმიანობა, რომელშიც გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც ათვისების თვალსაზრისით მკაფიოდ შესამჩნევია თანამედროვე სამყაროში.

თუ თანამედროვე მარკეტერი ვერ ერკვევა ციფრულ ტექნოლოგიებში (ციფრულ მარკეტინგში) და მის მთავარ მიმართულებებში და დროს ჩამორჩენილია, იგი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება, ისეთი მარტივი პრობლემის გადაჭრისას, როგორიცაა ინტეგრირებული მარკეტინგული კამპანიის დაგეგმარებისას ციფრული მარკეტინგის კონკრეტული როლის განსაზღვრა.

ფუნდამენტი, რომელზედაც დგას ციფრული მარკეტინგი მდგომარეობს იმაში, რომ მომსახურება მაქსიმალურად ორიენტირბული იქნეს მომხმარებელზე. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა ევოლუციამ ახალი შესაძლებლობები გააჩინა რეკლამირების მიმართულებით. ტერმინი „ციფრული მარკეტინგი" შეიძლება განვმარტოთ, როგორც მომხმარებელზე ზემოქმედება ონლაინ-რეჟიმში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური.
2. investing.com ვაჭრობის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზი.
3. IDF-ის ბლოკჩეინის კონგრესი.
4. ბენდუქიძე კ. მთლიანი შიდა პროდუქტის მოსაწყენი გათვლები და გასაკეთებელი არჩევანი
5. ბეტინა უორბურგის პრეზენტაცია: როგორ შეცვლის რადიკალურად „ბლოკჩეინი" ეკონომიკას. https://www.ted.com/talks/bettina_warburg_how_the_blockchain_will_radically_transform_the_economy/transcript?language=ka#t-315057
6. ნ.კრიპტო ვალუტა და ახალი ციფრული ეკონომიკა
7. შენგელია ქ., ჯიქია ა. ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები.

# ციფრული ფული - მსოფლიო მომავალი და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

*ქეთევან გიორგიძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**აბსტრაქტი**

ჩვენ, სწრაფად ცვალებადი სამყაროს ნაწილი ვართ, ვცხოვრობთ გარემოში, როდესაც ფეხი უნდა ავუწყოთ ტექნოლოგიურ სიახლეებს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 21-ე საუკუნე სწრაფად განვითარებადი ინოვაციების პერიოდია და მსოფლიო ეკონომიკა ძალიან ხშირად გამხდარა თანამედროვე გლობალური გამოწვევების მსხვერპლი. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ერთ-ერთი გამოწვევაა ფინანსური და ციფრული სამყაროსი. 90–იანი წლებიდან ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად ჩნდება ციფრული ვალუტები, რომელთა მეშვეობითაც ვირტუალურ საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების გაცვლაა შესაძლებელი. ახალი ტიპის ვირტუალური ვალუტის ე.წ კრიპტოგრაფიული ვალუტის (როგორიცაა, bitcoin) გაჩენამ 2009 წელს და მისი პოპულარობის ზრდამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა არამარტო ცენტრალური ბანკები, არამედ ადამიანებიც-არჩევანისა და რისკის. ბიტკოინი ციფრული ვალუტის სახეობაა, რომელიც ელექტრონულად იქმნება და ელექტრონულად ინახება. ტრადიციული ვალუტებისგან განსხვავებით, რომლებსაც ბეჭდავენ, ბიტკოინს აწარმოებენ ფიზიკური პირები ან ბიზნესები სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, რომლებიც, თავის მხრივ, მათემატიკური ამოცანების/ალგორითმების ამოსახსნელად შეიქმნა. ინტენსიური კვლევის საგანი გახდა კრიპტო ვალუტის დეცენტრალიზებული სტრუქტურა და გადახდების განხორციელებისა და შენახვის თავისებურებები.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული ფული, კრიპტოვალუტა, ელექტრონული საფულე, კრიპტოვალუტის განვითარების პერსპექტივები, კრიპტოვალუტის მაინინგი საქართველოში.

**ABSTRACT**

We, being part of a rapidly changing world, live in an environment where we have to keep up with technological innovations. We can safely say that the 21st century is a period of rapidly developing innovations, and the world economy has very often become a victim of modern global challenges. The development of digital technologies is one of the challenges of the financial and digital world. Since the 90s, along with the sharp increase in the number of Internet users, digital currencies have appeared, through which goods and services can be exchanged in the virtual community. The emergence of a new type of virtual currency, the so-called cryptographic currency (such as bitcoin), in 2009 and its rise in popularity put not only central banks in front of new challenges, but also people - of choice and risk. Bitcoin is a type of digital currency that is created and stored electronically. Unlike traditional currencies that are printed, Bitcoin is produced by individuals or businesses using special computer programs, which in turn are designed to solve mathematical problems/algorithms. The decentralized structure of crypto currencies and the features of making and storing payments have become the subject of intensive research.

**Keywords:** electronic money, cryptocurrency, electronic wallet, cryptocurrency development prospects, cryptocurrency mining in Georgia.

**ძირითადი ნაწილი**

ციფრული ვალუტები ფულის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის თანამდროვე ეტაპია. ელექტრონული ფული წარმოადგენს ფულის ნაირსახეობას, როდესაც ფულადი თანხების გაგზავნა ანგარიშების მიხედვით ბანკებში ხორციელდება ავტომატურად კომპიუტერული სისტემების მიერ მიმდინარე ანგარიშების მფლობელების უშუალო განკარგულებით.დღესდღეობით ფულად მიმოქცევაში გავრცელებულია საკრედიტო ბარათები. საკრედიტო ბარათები არა ფული, არამედ ინსტრუმენტია ფულის გადასარიცხად და მოკლევადიანი სესხის მისაღებად კომერციულ ბანკში ან სხვა საფინანსო დაწესებულებაში. მეცნიერები პროგნოზირებენ, რომ მომავალში ელექტრონული ფული (e-money) შეცვლის არა მხოლოდ ტრადიციულ ნაღდ ფულს და ჩეკებს, არამედ საკრედიტო ბარათებსაც. მოცემულ მომენტში ელექტრონული ფული გამოიყენება ძირითადად ინტერნეტის ქსელში. არსებობს პრინციპული განსხვავება ელექტრონულ ფულსა და ჩვეულებრივ უნაღდო ფულად საშუალებებს შორის. კერძოდ, ელექტრონული ფული არ არის ჩვეულებრივი ფულის შემცვლელი, არამედ წარმოადგენს საგადასახადო საშუალებებს, რომლებიც ემიტირებულია ეროვნული ბანკების ან სხვა კომერციული ორგანიზაციების მიერ, როცა ჩვეულებრივი ფული (ნაღდი ან უნაღდო) ემიტირებულია ამა თუ იმ ქვეყნის ცენტრალური სახელმწიფო ბანკის მიერ. როგორც წესი ელექტრონული ფულის ემისია სახელმწიფოს მიერ არ ლიცენზირდება და არ კონტროლდება, მაგრამ ამ სფეროში საკანონმდებლო ბაზის შემუშავება წარმო-

ებს მრავალ ქვეყანაში[1]. 2001 წელს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკმა გამოაქვეყნა მოხსენება “ელექტრონული ფულის განვითარების მიმოხილვა”, სადაც აღნიშნული იყო: ელექტრონული ფული განისაზღვრება, როგორც შენახული ღირებულება ან წინასწარ გადახდილი პროდუქტი (prepaid product), რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს განახორციელოს გადახდები მცირე თანხებით და ამ მიზნებისთვის გამოიყენოს ან სმარტ ბარათი (ბარათებზე ან ელექტრონულ საფულეზე დაფუძნებული 8 პროდუქტები) ან ინტერნეტის მსგავსი კომპიუტერული ქსელები (სქემები, რომლებიც დაფუძნებულია ქსელებზე[2] ან პროგრამულ უზრუნველყოფაზე) გამოყოფენ ელექტრონული ფულის ორ ძირითად ფორმას: სმარტ–ბარათები (smartcards) და ქსელური ფული (network money). მონაცემები “ფულად სახსრებზე” ან მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ღირებულება, რომლებიც განკუთვნილია მრავალჯერადი მოხმარებისათვის ინახება მომხმარებლის კუთვნილ ელექტრონულ მოწყობილებაზე. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ფული წარმოადგენს ბარათებზე რეალიზებულ პროდუქტს, მაშინ ღირებულება, როგორც წესი ინახება მიკროპროცესორულ ჩიპზე, რომელიც განლაგებულია პლასტიკურ ბარათზე - სმარტ ბარათზე. ელექტრონული ფულის მეორე სახეობა წარმოადგენს ე. წ. ქსელურ პროდუქტს, რომელიც ღირებულების შესანახად იყენებს სტანდარტულ პერსონალურ კომპიუტერზე ინსტალირებულ სპეციალიზირებულ პროგრამულ უზრუველყოფას. მოწყობილობაზე ღირებულების გადარიცხვა (ჩატვირთვა) ბანკომატის მეშვეობით ნაღდი ფულის მიღების ანალოგიურია. ქსელური ფული წარმოადგენს ელექტრონულ ჩიპს, პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც უზრუნველყოფს სახსრების გადაგზავნას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით, მათ შორის ინტერნეტითაც. ასეთი ფულის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ისინი უფრო იაფია მომსახურებაში, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი გაყალბება ან მოპარვა. ვიხილოთ ბიტკოინისა (დიაგრამა 1) და სხვა მისი მსგავსი ქოინების(დიაგრამა 2) ღირებულების ცვლილება დიაგრამის სახით, ვიხილავთ, რომ მიუხედავათ ღირებულების ცვლილებისა, მაინც არ კარგავს აქტუალობას და ფასს.

ელექტრონული ფული წარმოდგენს ფულადი სახსრების ექვივალენტურ ღირებულებას, რომელიც მისი გამომშვების მიერ შენახულია ელექტრონულად. ელექტრონული ფულის გამოყენება შესაძლებელია საქონლის/მომსახურების შესაძენად ასევე ფულადი სახსრების გადასარიცხად. ელექტრონული ფული შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ვალუტაში.

საქართველოში ფუნქციონირებს ელექტრონული ფულის რამდენიმე პროვაიდერი, რომლებიც თავის მომხმარებლებს საშუალებას აძლევენ მათი ელექტრონული ფულის ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში განახორციელონ გადახდები ინტერნეტ სივრცეში, სხვადასხვა მომსახურების და პროდუქციის შესაძენად ან გადარიცხონ თანხა სხვა მომხმარებლის ელექტრონული ფულის ანგარიშზე.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერები მომხმარებელს ელექტრონული ფულის გამოყენების მიზნით ასევე სთავაზობენ მობილურ აპლიკაციებს, წინასწარი გადახდის ბარათებს, რომლებიც დაკავ-




1 2011 წლის 26 იანვრის საქართველოს მთავრობის დადგენილება N49 „ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ

2 https://www.emoney.ge/index.php/main/welcome უკანასკნელად გადამოწმებულია 26.09.2022

COINS | FORUM | NEWS

Featured | Enjoy trading 200+ crypto pairs and earn 10USDT when you deposit 100USD worth of crypto! Trade now on OKX!

Crypto is volatile and unregulated. Capital at risk. Taxes may apply.

| # | Coin | Price | Direct Vol | Total Vol | Top Tier Vol | Market Cap | | Last 7 Days | 24h |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Bitcoin BTC | $ 18,876.03 | $ 1.46 B | $ 14.19 B | $ 14.18 B | $ 361.69 B | B | | -1.13% |
| 2 | Ethereum ETH | $ 1,296.73 | $ 1.40 B | $ 6.41 B | $ 6.40 B | $ 158.89 B | B+ | | -2.04% |
| 3 | XRP XRP | $ 0.4624 | $ 208.15 M | $ 1.50 B | $ 1.49 B | $ 46.24 B | C+ | | -9.99% |
| 4 | Tether USDT | $ 1.000 | $ 212.72 M | $ 741.43 M | $ 721.27 M | $ 67.95 B | | | 0.00% |
| 5 | BUSD BUSD | $ 1.000 | $ 831.30 k | $ 655.14 M | $ 655.14 M | $ 21.04 B | | | 0.00% |
| 6 | Solana SOL | $ 32.44 | $ 93.03 M | $ 397.55 M | $ 397.55 M | $ 17.18 B | D | | -3.45% |
| 7 | Terra LUNA | $ 2.744 | $ 3.50 M | $ 371.60 M | $ 371.60 M | $ 2.82 B | E+ | | 13.95% |
| 8 | Cosmos ATOM | $ 14.13 | $ 41.53 M | $ 347.27 M | $ 346.34 M | $ 4.38 B | C+ | | 1.15% |
| 9 | Binance Coin BNB | $ 272.15 | $ 26.61 M | $ 259.45 M | $ 259.44 M | $ 44.44 B | C | | -1.70% |
| 10 | Cardano ADA | $ 0.4394 | $ 37.22 M | $ 259.59 M | $ 258.96 M | $ 14.77 B | B- | | -4.29% |

შირებულია ელექტრონული საფულის ანგარიშთან. წინასწარი გადახდის ბარათებზე შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები მისი გამოყენების არეალის, მიზნობრიობის, ელექტრონულ საფულეზე შესანახი თანხის ლიმიტის, ფულადი სახსრების გადარიცხვების ლიმიტის სახით.[3]

## დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად წამოჭრილი სისუსტეებისა, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მისი როგორც ვირტუალური ვალუტის სიცოცხლისუნარიანობას და წარმოშობს გარკვეულ რისკებს ცენტრალური ბანკების ამოცანებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე ეს რისკები არ უქმნიან შესამჩნევ საფრთხეს ცენტრალური ბანკების ამოცანების განხორციელებას, მათი გამოყენების ზრდის შემთხვევაში აუცილებელი იქნება მათი რეგულირება სხვა ვალუტებისა და ელექტრონული ფულის მსგავსად. მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს ერთობლივი მიდგომა ვირტუალური ვალუტების რეგულირებასთან დაკავშირებით. თუმცა, მსოფლიოს ცენტრალური ბანკები აგრძელებენ თანამშრომლობას ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. გარდა ამისა ამერიკისა და ევროპის ქვეყნებმა უკვე მიიღეს მიმოქცევაში, მაგალითად, კოლორადოში არჩევნების დააფინანსებლად გამოიყენებენ, ხოლო ნორვეგიაში ცენტრალური ბანკი მის მიმოქცევაში მიღებას აპირებს. საქართველოც მიმზიდველად გამოიყურება ელექტრონული ვალუტისთვის და როგორც ვხედავთ მყარად აპირებს გავცელებას, მით უფრო რომ დღითიდღე იზრდება მისი ღირებულება.

3 https://cutt.ly/yMkX8t1 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 26.09.2022

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. 2011 წლის 26 იანვრის საქართველოს მთავრობის დადგენილება N49 „ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ
2. ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (bitcoin-ის მაგალითზე)- საქართველოს ეროვნული ბანკი
3. https://cutt.ly/yMkX8t1
4. https://www.cryptocompare.com/coins/btc/overview/USD
5. https://cointelegraph.com/tags/bitcoin
6. https://www.investopedia.com/terms/b/bitcoin.asp
7. http://bitcoin.emoney.ge/ka/page/11/
8. https://www.emoney.ge/index.php/main/welcome
9. https://www.binance.com/en

# შრომის მწარმოებლურობასა და ინოვაციებზე „კოვიდ 19"-ის ზემოქმედების თავისებურებები

***გურამ ლომაია***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

თანამედროვე პირობებში, ეკონომიკური საქმიანობის მდგრადობის/სრულყოფის პროცესს, ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდა და ინოვაციური კულტურის დანერგვა. მათი განვითარება უპირატესია ნებისმიერი ქვეყნისთვის თუ ორგანიზაციისთვის, რა დროსაც საჭიროა ჩამოყალიბებული სისტემური მეთოდების ზედმიწევნით განხორციელება.

შრომის მწარმოებლურობას და ინოვაციებს მსოფლიოსთვის ყველაზე რთული გამოწვევის **„კორონავირუსის"** გამკლავების პროცესში, წამყვანი ადგილი უკავია. ვინაიდან, მათი საშუალებით ხდება მყისიერი რეაგირება არსებულ კრიზისზე. რა დროსაც, პრობლემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გამოიყენება ნოვატორული მიდგომები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა კონკრეტული მიზანი.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო პრინციპებზე აგებული ორგანიზაციებისთვის, შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციის სისტემების დანერგვა უპირატესია. ვინაიდან, მათი საშუალებით ხდება არამარტო **„კორონავირუსისგან"** შექმნილ დაბრკოლებებთან ბრძოლა, არამედ თანამედროვე გამოწვევებთან ადაპტირება.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის მწარმოებლურობა, „ესპანური გრიპი", „კოვიდ 19", რეაქტიული და პროაქტიული ინოვაცია, „დელტა", ლამბადა", „ებოლა", „ეფლი", „მაიკროსოფტი", „ტესლა", აბიგეილ სელენი, ილონ მასკი.

## ON LABOR PRODUCTIVITY AND INNOVATIONS, FEATURES OF THE IMPACT OF „COVID 19"

**Guram Lomaia**
PHD student of

**RESUME**

in modern conditions, the process of sustainability/improvement of economic activity, It promotes the growth of labor productivity and the introduction of an innovative culture. Their development is advantageous for any country or organization, At what time it is necessary to thoroughly implement the established systematic methods.

Productivity and Innovation World's Toughest Challenge Coping with the **„corona Virus"** File, takes the leading place. Because, by means of them, an immediate response to the existing crisis is made. at which time, depending on the specificity of the problem, innovative approaches are used, by means of which a specific goal is achieved.

It should be noted that for organizations built on market leaders, Implementation of labor productivity and innovation systems is preferred. Because, by means of them, it is possible to fight not only the obstacles created by **„corona virus"**, but adapting to modern challenges.

**Keywords:** labor productivity, „Spanish flu", „Covid-19", reactive and proactive innovation, Delta, Lambda, Bola, Apple, Microsoft, Tesla, Abigail Selene, Elon Musk.

## ძირითადი ტექსტი

პანდემია ახალი კრიზისია, რომლის მსგავსი 1918 წლის **„ესპანური გრიპის"** შემდეგ არ მომხდარა. ამასთან, იგი გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, რომ განვიხილოთ სხვადასხვა ორგანიზაციული ფენომენი.

**„COVID-19"** ვირუსის პანდემია მოიცავს მრავალ დონეებს, რომელმაც დაარღვია მსოფლიო საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრება. ვირუსმა გადარჩენის საფრთხე შეუქმნა სხვადასხვა სუბიექტებს, ფიზიკურ პირებს და ორგანიზაციებს. 2021 წლის 23 მარტის მდგომარეობით, **„Covid"-19-ის 123 მილიონი** შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო მათ შორის სიკვდილიანობამ შეადგინა **2,7 მილიონზე** მეტი.

საყურადღებოა, **„გლობალური ბაზრის შემსწავლელი ორგანიზაციის"** 2020 წლის დეკემბრის კვლევები, რომელზე დაყრდნობითაც **610-მდე** ინდუსტრია იყო გაკოტრების საფრთხის წინაშე. თუმცა, ამავე მონაცემებით, ყველა საქმიანობის სფეროსთვის **„Covid-19"** ვირუსის პანდემია დამანგრეველი არ ყოფილა. მაგალითისთვის, მძლავრმა სავაჭრო კომპანიების უმეტესობამ, მოგება მიიღო შრომის მწარმოებლუობის ზრდით და ინოვაციური პროცესების დანერგვა-სრულყოფით. [3., გვ.,: 45]

საგულისხმოა, რომ **„COVID-19"-მა** დიდი გავლენა მოახდინა ადამიანთა ჯანმრთელობასა და საარსებო წყაროებზე მთელს მსოფლიოში, რამაც დიდი გავლენა მოახდინა შრომის მწარმოებლურობაზე. აქვე, მნიშვნელოვანია, რომ ვირუსმა შექმნა ნაყოფიერი ნიადაგი ახალი გადაწყვეტილებებისა და მიდგომების შემუშავებისთვის. 2020 წელს, **აშ-ში** ჩატარებული გლობალური კვლევისა და განვითარების ყველაზე ყოვლისმომცველი ანალიზის მიხედვით, ინოვაციებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინვესტიციები უპრეცედენტო იყო.

კერძოდ, საინოვაციო რესურსებისთვის მობილიზებული ფინანსური სახსრების რაოდენობამ პირველ შვიდ თვეში **9 მილიარდი აშშ** დოლარი შედაგინა. შედარებისთვის, 2014-დან 2018 წლამდე **„ებოლას“** ვირუსის კვლევისთვის გაცემული მთლიანი გლობალური დაფინანსება იყო **1,9 მილიარდ აშშ დოლარი.**

შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციური პროცესების ბუნება სფეციფიკურია, რომლებიც გამოვლინდა **„COVID-19“-ის** ეპიდემიის დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში. კერძოდ, **აშშ-ს** სურსათისა და წამლების ადმინისტრაციამ **(FDA)** დაამტკიცა თითქმის **100 „COVID-19“** ტესტი, ხოლო 2014 წელს, ამავე ორგანიზაციამ, **„ებოლას“** ვისუსის პირველი აფეთქების დროს დაამტკიცა ერთი ტესტი. ამასთან, **„COVID-19“** ვირუსის პირველ ვაქცინას დასჭირდა **25 თვე.**

პანდემიიდან გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, შრომის მწარმოებლურობის როლი უპირატესი იყო, ვინაიდან ინოვაციების შესახებ, ჩამოყალიბდა ორი ძირითადი კატეგორია: **1. რეაქტიული -** საფრთხეზე ორიენტირებული ინოვაციები, მათი მიზანი იყო სტაგნაციის შეკავება და შესაბამისი რეაგირება; **2. პროაქტიული -** შესაძლებლობებზე ორიენტირებული ინოვაციები, რომლებმაც უზრუნველყო გარემოდაცვითი საჭიროებების კაპიტალიზაციის და ზრდის შესაძლებლობები. ამასთან მიმართებაში, მკაფიოდ გაესვა ხაზი ადამიანის ფიზიკურ დამოკიდებულებას ინოვაციური პროცესების სრულყოფის სფეროში. [1., გვ.,: 127]

**„COVID-19“** ვირუსთან ბრძოლის პროცესში, რა თქმა უნდა ყურადღება გამახვილდა კრიზისზე, როგორც შრომის მწარმოებლურობაზე და ინოვაციებზე მოქმედ ფაქტორზე. რა დროსაც ამავე მიმართულებებით, გამოიკვეთა სამი ძირითადი გარემოება, რომელთა განუსაზღვრელობაც წარმოქმნიდა პრობლემებს. კერძოდ:

1. **შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციების მამოძრავებელი ფაქტორები (გულისხმობდა შესაბამისი სტიმულაციური ელემენტების ნაკრების არსებობას);**
2. **შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციის იდეის, განხორციელების პროცესი (მისი მიზანი იყო კონკურენტულ გარემოში ახალი იდეის სტრუქტურიზება/სისრულეში მოყვანა);**
3. **შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციის შედეგები (განსაზღვრავდა მიღწეული მიზნების სრულყოფის ხარისხს).**

აღსანიშნავია, რომ **„COVID-19“** პანდემიის პირობებში შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციის განვითარების საჭიროება მეტად გამოიკვეთა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე გარემოსთვის. რა დროსაც, ყურადღება გამახვილდა ფინანსური, ინტელექტუალური და სხვა სახის რესურსების სწორად წარმართვაზე. ვინაიდან, აღნიშნული ელემენტების ქაოტურობა შედეგზე ორიენტირს ვერ განაპირობებდა. [4., გვ.,: 35]

**„COVID-19“** პანდემიის დროს, შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციების განვითარების დღის წესრიგის შესრულება პერსპექტიული მოვლენა იყო, თუმცა შერეულიც. რასთან დაკავშირებითაც, რიგმა ინიციატივებმა და პროგრამებმა უზრუნველყვეს მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-სოციალური პროცესების სისტემატიზაცია, რაც გამოიხატა შემდეგში: **ღარიბეს ქვეყნებში შემცირდა ვაქცინებისა და მედიკამენტების ღირებულება; მობილური ფულისა და მიკრო საფინანსოების გამოყენებით, მოხდა მცირე ბიზნესის განვითარება; არასრულფასოვანი კვების და სანიტარული პირობების დასაძლევად, ჩატარდა ჯანსაღ საზოგადოებაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება; ფულადი გზავნილების ინვესტირებით, გაძლიერდა სურსათის უსაფრთხოება; კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ, მდგრადობის გასაზრდელად გატარდა სადაზღვეო პროცესის სისტემატიზაცია.** [2., გვ.,: 195]

**„COVID-19“** ვირუსის პანდემიისას ყურადღება გამახვილდა შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციური მიმართულებების მთელ სპექტრზე. ვინაიდან, ამ მოვლენამ დიდი ზემოქმედება მოახდინა როგორც ეკონომიკაზე, ასევე საზოგადოებების სოცალურად დაუცველ ჯგუფებზე. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ძირითადი თეორიული ინოვაციური თავისებურებები, რომლებმაც შრომის მწარმოებლურობის საშუალებით გამოვლენა ჰპოვეს: **ძირითადი ინოვაციები - ამით ხელმძღვანელობდნენ მოქალაქეები და თემები, ურთიერთდახმარებისა და სოციალური სოლიდარობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად; ორგანიზაციული ინოვაციები - იგი განხორციელდა საჯარო, კერძო და არაკომერციულ სექტორებში, როლის მიზანიც იყო გლობალური ჩაკეტვის პირობებში, ონლაინ სამუშაო პრაქტიკის მზარდი გამოყენება.** [5., გვ.,: 14]

შროომის მწარმოებლურობის და ინოვაციური პროცესების საჭიროება, რომელიც გამოწვეული იყო **„COVID-19“-ით** მოითხოვდა სიტუაციურ მიდგომებს. ვინაიდან, მომაკვდინებელი ვირუსის შიში სამუშაო ჯგუფებში ამაღლებდა სტრესის ფაქტორებს, რაც თავის მხრივ აფერხებდა რთული სამუშაოსადმი დამოკიდებულებას. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია მსხვილი, ინოვაციურ სფეროში მოქმედი კომპანიების მიერ გადადგმული ნაბიჯები.

კომპანია **„ეფლმა“** 2021 წლის მიწურულს გადაწყვიტა, რომ თანამშრომლები საოფისე სამუშაო გარემოში დაებრუნებინა 2022 წლის იანვრისათვის, რაც გამოწვეული იყო **„COVID-19“ ვირუსის „დელტა“ და „ლამბადა“** შტამების გავრცელებით. ამასთან, საყურადღებოა, რომ **„ეფლმა“** თანამშრომლების ინტერების გათვალისწინებით, ორგანიზაციული მიზნებთან ერთად, გვერდზე გადადო ინოვაციური პროდუქტის მომხმარებლისთვის შემოთავაზების თარილიც. ამავე მიზეზით, 2022 წელს, გასულ პერიოდთან შედარებით, შემცირდა **„ეფლის“** სერვისებიდან **(რეკლამა, ვიდეო, დაზღვევა)**

შემოსავალი. აღნიშნული სტრატეგიით კომპანიამ აქცენტი გააკეთა შრომის მწარმოებლურური ძალების სტაბილურობის თავისებურებებზე და არა კრიზისის პერიოდში შემოსავლების ზრდაზე. გარდა ამისა, **„ეფლის“** გათვლებით, მის სერვისებზე, მომხმარებლები შეზღუდვების და სახლში ყოფნის პირობებში ფოკუსირებას მეტად მოახდენდნენ, რაც რეალურად ასეც მოხდა. [7., გვ.,: 8]

კომპანია **„მაიკროსოფტი“** თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანის შემდეგ, წააწყდა სიახლეების განვითარების მიმართულებით პრობლემებს. კომპანიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ თანამშრომლების **22%-ს** სახლში პირობებში არ ჰქონდათ სამუშაოსთვის გამოყოფილი ადგილი, რაც თავის მხრივ პრობლემას შრომის მწარმოებლური ძალების განვითარების კუთხით. ამასთან დაკავშირებით, კომპანია **„მაიკროსოფტის“ დირექტორის მოადგილემ - აბიგეილ სელენმა** განაცხადა, რომ - **„ინოვაცია, მოითხოვს რთული გუნდის არსებობას, რომლის მართვაც დისტანციურად ძალიან რთულია“.** გარდა ამისა, კომპანიის კვლევით, დისტანციურ სამუშაოზე გადასვლამ გაანადგურა კრეატიული კაპიტალი, ენერგია, ინოვაცია და იდეების თავისუფალი ნაკადი. აქვე, საყურადღებოა, რომ ძალიან მკაფიო იყო ზარალის ოდენობა მატება და მოგების შემცირება. [6., გვ.,: 38]

ავტომწარმოებელი კომპანია **„ტესლას“** გაყიდვები 2022 წლის აპრილიდან-ივნისამდე დაეცა ყველაზე დაბალ კვარტალურ დონემდე, რაც გამოიწვია მიწოდების ჯაჭვის პრობლემებმა, ანუ შრომის მწარმოებლური ძალების დაქვეითებამ. კერძოდ, პანდემიის შეზღუდვებმა ჩინეთში შეაფერხა კომპანიის ელექტრო მანქანების წარმოება. გარდა ამისა, გაყიდვების წილის შემცირება გამწვეული იყო არასათანადო, ინოვაციური რეკლამირებით. თუმცა, აღნიშნული პრობლემა მეტ წილად გადაწყვიტა, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის - **ილონ მასკმის, მიერ** სოციალური ქსელის **„ტვიტერის“** უმსხვილეს აქციონერად გახდომამ. [8., გვ.,: 67]

### დასკვნა

მსოფლიოს ქვეყნებზე, თუ ცალკეულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **„კორონავირუსის“** პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციების განვითარების პროცესზე. თუმცა, ამავე დროს, ახალმა გამოწვევებმა შექმნა კრიზისის დაძლევის თანამედროვე მექანიზმები. რა დროსაც, ხაზი გაესვა ნოვატორული იდეების გენერეირების და სისრულეში მოყვანის მნიშვნელობას.

გარდა ამისა, **„კორონავირუსის“** დროს, შრომის მწარმოებლურობის და ინოვაციების განვითარების სფეროში, საერთოს ნაცვლად ყურადღება გამახვილდა კერძო მიდგომებზე. ამის საშუალებით, კრიზისთან გამკლავების პროცესში, შეიქმნა სტრუქტურული მექანიზმი, რომელმაც განაპირობა გარკვეული შედეგიანობა.

აღსანიშნავია, რომ **„კორონავირუსის“** პანდემიისას გამოიკვეთა შრომის მწარმოებლურობას და ინოვაციებს შორის არსებული ურთიერთკავშირი. რა დროსაც, ჩამოყალიბდა ძირითადი ხედვა, რომლის მიხედვითაც შრომის მწარმოებლურობის ზრდა განაპირობებდა ინოვაციური პროცესების განვითარებას და პირიქით.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1) Marte C.W. Solheim - „Innovation, Space, and Diversity“ (2017);
2) Ismail Albaidhani - „PROJECT RELATIONSHIP TO INNOVATION AND ITS IMPACT“ (2019);
3) THOMAS DOTZEL - „ESSAYS ON SERVICE INNOVATION“ (2009);
4) world health organization - „COVID-19 Research and Innovation“ (2022);
5) Magdalena Gorzelany-Dziadkowiec - „COVID-19: Business Innovation Challenges“ (2021);
6) Caroline Paunov and Sandra Planes-Satorra - „Science, technology and innovation in the time of COVID-19“ (2021);
7) Jordan Bar Am, Laura Furstenthal, Felicitas Jorge, and Erik Roth „Innovation in a crisis: Why it is more critical than ever“ (2021);
8) Maya Hammad - „Innovations in the COVID-19 social protection responses and beyond“ (2021).

# სექცია 2. ეროვნული ეკონომიკის დარგების განვითარების ძირითადი მიმართულებები

## ინფორმაციული ტექნოლოგიები, როგორც საერთაშორისო კომპანიების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორი

*ირინე მამალაძე*
*სტუ-ს პროფესორი*

**რეზიუმე**

თანამედროვე ეტაპზე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შეუძლია რადიკალურად შეცვალოს სხვადასხვა ინსტიტუტების და მთლიანად სახელმწიფოს ფუნქციონირება. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია იწვევს ეკონომიკის ტრადიციული სექტორების გაუმჯობესებას, ახალი ინდუსტრიების, სერვისებისა და პროდუქტების განვითარებას, ასევე საზოგადოების მუდმივად მზარდი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ასეთი ტექნოლოგიები არის ინსტრუმენტი ბიზნესის მართვის ახალი მეთოდების შესაქმნელად და მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად, რომელიც იძლევა მაღალი ხარისხის შედეგებს როგორც კომპანიის დონეზე, ასევე მთლიანად საბაზრო ეკონომიკის დონეზე.

ბოლო რამდენიმე ათწლეული ხასიათდება მონაცემთა დამუშავების სისტემების სწრაფი განვითარებით პრაქტიკულად საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ინფორმაცია გახდა საზოგადოების სტრატეგიული რესურსი, რამაც გამოიწვია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარდაუვალი გავრცელება. ამჟამად, კონკურენტულ საბაზრო გარემოში, ყველა კომპანიას უნდა შეეძლოს სწრაფად მოერგოს ეკონომიკურად მუდმივად ცვალებად საბაზრო პირობებს, გარე ფაქტორებს, ახალ სერვისებსა და ტექნოლოგიებს.

**საკვანძო სიტყვები:** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სტრატეგიული რესურსი, ალგორითმები, განვითარების სტრატეგია, კიბერნეტიკური მიდგომა, აღწერით-ნორმატიული მიდგომა.

**RESUME**

At the modern stage, information and communication technologies can radically change the functioning of various institutions and the state as a whole. The integration of information and communication technologies leads to the improvement of traditional sectors of the economy, the development of new industries, services and products, as well as the satisfaction of the constantly growing needs of society. Such technologies are a tool for creating new methods of business management and increasing its effectiveness, which provide high-quality results both at the company level and at the level of the market economy as a whole.

The last few decades have been characterized by the rapid development of data processing systems in practically all areas of society's life. Information has become a strategic resource of society, which has led to the inevitable spread of information and communication technologies. Currently, in a competitive market environment, every company must be able to quickly adapt to the ever-changing economic market conditions, external factors, new services and technologies.

**Key words:** information and communication technologies, strategic resource, algorithms, development strategy, cybernetic approach, descriptive-normative approach.

**ძირითადი ტექსტი**

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში შეუძლებელია კომპანიის შექმნა, მუშაობა და მისი ეფექტიანობის გაზრდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ბოლო რამდენიმე ათწლეული ხასიათდება მონაცემთა დამუშავების სისტემების სწრაფი განვითარებით პრაქტიკულად საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ინფორმაცია გახდა საზოგადოების სტრატეგიული რესურსი, რამაც გამოიწვია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარდაუვალი გავრცელება. ამჟამად, კონკურენტულ საბაზრო გარემოში, ყველა კომპანიას უნდა შეეძლოს სწრაფად მოერგოს ეკონომიკურად მუდმივად ცვალებად საბაზრო პირობებს, გარე ფაქტორებს, ახალ სერვისებსა და ტექნოლოგიებს.

თანამედროვე ეტაპზე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შეუძლია რადიკალურად შეცვალოს სხვადასხვა ინსტიტუტების და მთლიანად სახელმწიფოს ფუნქციონირება. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია იწვევს ეკონომიკის ტრადიციული სექტორების გაუმჯობესებას, ახალი ინდუსტრიების, სერვისებისა და პროდუქტების განვითარებას, ასევე საზოგადოების მუდმივად მზარდი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

საინფორმაციო ეკონომიკის გავლენა კომპანიის მენეჯმენტის სისტემაზე, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მკვეთრად გაზრდილი ინფორმაციის ნაკადით და კონკურენტულ გარემოში მმართველობითი გადაწყვეტილებების დაჩქარებული რე-

ჟიმში მიღების აუცილებლობით. მმართველობითი ტექნოლოგიების გაუმჯობესება მჭიდრო არის დაკავშირებული მართვის საშუალებების ფორმირებასთან, დანერგვასა და გამოყენებასთან, რომლებიც წარმოადგენენ ინსტრუმენტების, ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექს. ასეთი საშუალებების როლს ასრულებენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის მართვის სისტემას მუდმივად მზარდი ინფორმაციული რესურსებით, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგი, პროდუქტისა და მომსახურების ხარისხი, მართვა, ანტიკრიზისული მართვა, ფინანსური. ანგარიშგება და ა.შ.

ამ შემთხვევაში, ცვლილებები განსაზღვრავს არა მხოლოდ ინფორმაციის მოცულობას, ფორმებსა და მდებარეობას, არამედ მის შინაარსს თანამედროვე ეკონომიკაში კომპანიის მართვის ფუნქციებისა და ამოცანების ტრანსფორმაციის გამო. მართვის მთავარი ამოცანაა, კომპანიის მენეჯერების კომპეტენციის საშუალებით, მართვის სისტემების ეფექტურობის ამაღლება, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების სიჩქარის და არასტანდარტული მართვის პროცესების განხორციელებისადმი ნდობის გაზრდა. საინფორმაციო ეკონომიკის პირობებში საგრძნობლად იზრდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი. ინფრასტრუქტურის ელემენტად წოდებული ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები ხდება ელექტრონული ბიზნესის წარმართვის მთავარი საშუალება. საინფორმაციო საქმიანობის წარმართვის ტრადიციულ მოდელებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს ინფრასტრუქტურას, ადმინისტრაციულ მხარდაჭერასთან და ფინანსური აღრიცხვა ერთად.(თ. სტურუა 2012)

კომპანიის მართვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემის შექმნისა და გაუმჯობესების პროცესის საფუძველია ურთიერთობა ობიექტსა და სუბიექტს შორის. მართვის ობიექტი არის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემა, რომელიც გამოიყენება საინფორმაციო სერვისების გარე და შიდა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს ცვალებადი ფაქტორების გათვალისწინებით. მართვის სუბიექტია ორგანიზაციის მართვის სისტემა, საინფორმაციო მენეჯერის სახით. აუცილებელია მართვის ობიექტის გაანალიზება გარკვეული ასპექტით, რაც განპირობებულია მეთოდოლოგიური მიდგომის სავალდებულო გამოყენებით, მთლიანად სისტემის თეორიული შემეცნებისათვის.. მეთოდოლოგიური მიდგომა არის რეალობის დანახვის გზა მეცნიერული კატეგორიების პრიზმაში, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სამეცნიერო მეთოდების ერთობლიობა. თანამედროვე მეცნიერება ფართოდ იყენებს ისეთ მიდგომებს, როგორიცაა:

- სისტემური მიდგომა. ეს მიდგომა ეფუძნება სამეცნიერო კატეგორიას „სისტემა“;
- საინფორმაციო მიდგომა. ეფუძნება კატეგორიას „ინფორმაცია“ ;
- სტრატეგიული მიდგომა. კატეგორია „სტრატეგია“;
- სამოქმედო მიდგომა. ეს მიდგომა ეფუძნება „აქტივობის“ კატეგორიას;
- ალბათურ-სტატისტიკური მიდგომა. სამეცნიერო კატეგორია „შესაძლებლობა“;
- კიბერნეტიკური მიდგომა. კატეგორია „უკუკავშირი“;
- აღწერით-ნორმატიული მიდგომა. კატეგორია “ნორმატივი” და ა.შ.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფორმირება და დანერგვა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტზე ორიენტირებულ, სტრატეგიულ, საინფორმაციო და სისტემურ მიდგომებს. როგორც წესი, ლიტერატურაში ინფორმაციის ნაკადების დასადგენად განიხილება ობიექტზე ორიენტირებული და სისტემური ინფორმაციული მიდგომა, რათა ჩამოყალიბდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემა. (V. Zwass 2018)

ამოცანებს, რომელთა გადაჭრა ხდება სისტემატური მიდგომის დახმარებით, მოიცავს: საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებისთვის იდეალური ალგორითმების არჩევას; იდეალური საინფორმაციო-საკომუნიკაციო სტრუქტურის შერჩევას; გარე გარემოს ზემოქმედების აღრიცხვას; ელემენტებსა და ქვესისტემებს შორის ურთიერთქმედების შენარჩუნებას; საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის საერთო სტრუქტურის ჩამოყალიბებას. სისტემური მიდგომა, როგორც მეცნიერება, ვითარდება შემდეგი ორი მიმართულებით:

1. ტერმინალური ან მიზეზობრივ-შედეგობრივი მიდგომა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფენომენოლოგიური. აღნიშნული მიდგომა დაკავშირებულია ნებისმიერი სისტემების, როგორც სტიმულების აღწერილობასთან, ანუ რეაქციაში ზოგიერთ შემავალ ზემოქმედებასთან (გამომავალი სიდიდეები).

2. რთული მიზანმიმართული სისტემის თეორია. ამ მიდგომით, სისტემების აღწერა ხდება ფუნქციის შესრულების ან გარკვეული მიზნის მიღწევის მომენტიდან.

ინფორმაციული მიდგომა ითვლება ყველაზე რთულ და ფართოდ გავრცელებულად. ამ მიდგომის მთავარი განსხვავება სხვებისგან არის ის, რომ იგი იყენებს სხვადასხვა და მრავალრიცხოვან მეცნიერებებს, სამეცნიერო დისციპლინებს, სწავლებებს, თეორიებს, რომელთა საგანია ინფორმაციული აქტივობა, საინფორმაციო პროცესები, ინფორმაცია, ანუ ამ მიდგომის პრობლემატიკა. ასეთ კონცეპტუალურ საფუძვლებს აქვთ სხვადასხვა სტატუსი და განვითარების სხვადასხვა ხარისხი, ასევე მიეკუთვნებიან სხვადასხვა სამეცნიერო კომ-

პლექსს (მათემატიკურს, ტექნიკურს, სოციალურს), ასევე გააჩნიათ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალდონიანი სისტემის ჩამოყალიბების ტენდენცია. (თ. მანჯაფარაშვილი 2018)

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემა საინფორმაციო სერვისების განხორციელებისას ახდენს საინფორმაციო რესურსების გარდაქმნას პროდუქტებად. ამ სისტემის აღწერა ეფუძნება კომპიუტერული მეცნიერების, ინფორმატიზაციისა და ინფორმაციის ცნებებს.

"კომპიუტერული მეცნიერების" განმარტება სფეროების მიხედვით გამოიყენება მეცნიერული ცნობიერების სფეროში, როგორც სამეცნიერო დისციპლინა და პრაქტიკული ცნობიერების სფეროში, როგორც სოციალური რეალობის ერთობლიობა. სამეცნიერო ცნობიერების სფერო იყენებს ინფორმაციულ მიდგომას, როგორც კვლევის ინსტრუმენტს კონკრეტული მეცნიერების მეთოდოლოგიურ მარაგში (მაგალითად, ეკონომიკა) და როგორც სამეცნიერო დისციპლინების შემუშავების საშუალება, რომელიც იყენებს ინფორმაციას, როგორც კვლევის საგანს. პრაქტიკული ცნობიერების სფერო იყენებს ინფორმაციულ მიდგომას როგორც სოციალური წარმოების, ისე სოციალური ცხოვრების ფენომენების გასაგებად. ეს სფერო მოქმედებს შემდეგი ცნებებით: კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმატიზაცია, ინფორმაცია და ა.შ.

საინფორმაციო აქტივობა გონებრივი მუშაობის განუყოფელი ნაწილია, რომელიც შედგება ინფორმაციის აღქმისგან, შენახვისგან, დამუშავებისა და გაცემისგან. ასეთი აქტივობები მიზანმიმართულია. საინფორმაციო საქმიანობის მიზნებია:

- ადამიანების ქცევის მართვა;
- სხვებთან კომუნიკაცია ნასწავლის შესახებ;
- ახალი ცოდნის მიღება.

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია, თუ სუბიექტი ეწევა კომუნიკაციურ ან შემეცნებით აქტივობებს. ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საინფორმაციო აქტივობა მოიცავს კომუნიკაციისა და შემეცნებითი აქტივობის განმარტებებს. მაშასადამე, საინფორმაციო აქტივობა გონებრივი მუშაობისადმი ინფორმაციული მიდგომის შედეგია.

სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განუსაზღვრელობის ზრდა, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ტემპის ამაღლება, ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს პარამეტრების ცვლილების სიჩქარის ზრდა მოითხოვს ერთმანეთზე და ორგანიზაციაზე ზემოქმედების ხასიათის მოდიფიკაციას, ასევე ასეთი პროგნოზირებისა და გავლენის მოდელების ფორმირებას გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ყოველივე ზემოთქმული დროთა განმავლობაში იწვევს სტრატეგიული მიდგომის მნიშვნელობის ზრდას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემის ფორმირებაში.

ორგანიზაციის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემის განვითარების სტრატეგიების ფორმირების პრინციპების შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისის დეტალური განხილვის საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს თვისებების შემდეგი ნაკრები:

- იერარქია. ცალკეული კომპონენტები განიხილება, როგორც სისტემა;
- გარე გარემოსა და განვითარების სტრატეგიას შორის ურთიერთკავშირი;
- ფოკუსირება მდგრად კონკურენტუნარიანობაზე;
- ინფორმაციულ რესურსების მომხმარებლების მაქსიმალური კმაყოფილება;
- ორიენტაცია სამიზნე აუდიტორიაზე, შერჩევითობა;
- სტრუქტურირებულობა.
- ეს მიდგომა ითვალისწინებს ინფორმაციულ-კომუნიკაციური სისტემის სასიცოცხლო ციკლის კონცეპტუალური ფაზის თითოეული ეტაპის შესრულებას. ეს ეტაპებია: (N. Roztocki 2019)
- მისიის განსაზღვრა.
- მიზნის დასახვა.
- მაკრო და მიკროგარემოს ანალიზი.
- სტრატეგიის ფორმირება
- განვითარებადი სტრატეგიის ეფექტურობის შეფასება.
- მენეჯმენტის პრინციპებისა და მეთოდების ფორმირება.
- ფუნქციური მართვის სისტემების შექმნა.
- კონტროლის სისტემების შექმნა.
- განხორციელებული სტრატეგიის ეფექტიანობის გაანგარიშება.
- სტრატეგიის კორექტირება.

კომპანიის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემის შექმნისა და გაუმჯობესების სტრატეგიის მთავარი მიზანია ორგანიზაციისა და მართვის განყოფილებების ინფორმაციული მხარდაჭერა მდგრადი კონკურენტუნარიანობის მიღწევის მიზნით და მთლიანობაში კომპანიის მაღალი ეფექტიანობა, გარემო ფაქტორების გათვალისწინებით.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემის განვითარების სტრატეგიის შექმნის პრინციპებია:

- კოლექტივის მხარდაჭერა;
- პარამეტრების გაზომვა (კონტროლის მიზნით);
- ოპტიმალურობა (არჩევნის შედეგების შეფასების კრიტერიუმები);
- მოქნილობა (ცვლილებების მსუბუქად განხორციელება);
- რეალიზმი;
- მიზნების თანმიმდევრულობა და თავსებადობა;
- დასაბუთებულობა რესურსების მხრივ;

● ფორმირებისა და განვითარების მეთოდების კომპლექსურობა;

● მიზნების შეთანხმებულობა.

შესაბამისად, სისტემატური მიდგომის საფუძველზე შესაძლოს განხორციელდეს საკომუნიკაციო პროცესის მოდელის ფორმალიზება, რომელიც საფუძვლად უდევს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემას სიმრავლეების თეორიის ენაზე. შესაძლებელია სისტემური შაბლონების გამოვლენა, რომლებიც თან ახლავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემის გაუმჯობესების პროცესს.

როგორც დავინახეთ სტრატეგიული მიდგომის საფუძველზე ჩამოყალიბდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფორმირების სტრატეგიების ფორმირების მეთოდები, განისაზღვრა სისტემის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები, ფუნქციები, მიზნები და მისია.

## დასკვნა

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში შეუძლებელია კომპანიის შექმნა, მუშაობა და მისი ეფექტიანობის გაზრდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ბოლო რამდენიმე ათწლეული ხასიათდება მონაცემთა დამუშავების სისტემების სწრაფი განვითარებით პრაქტიკულად საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ინფორმაცია გახდა საზოგადოების სტრატეგიული რესურსი, რამაც გამოიწვია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარდაუვალი გავრცელება. ამჟამად, კონკურენტულ საბაზრო გარემოში, ყველა კომპანიას უნდა შეეძლოს სწრაფად მოერგოს ეკონომიკურად მუდმივად ცვალებად საბაზრო პირობებს, გარე ფაქტორებს, ახალ სერვისებსა და ტექნოლოგიებს.

IT მართვის კონცეფცია მრავალი ორგანიზაციის დღის წესრიგში იკავებს მნიშვნელოვან ადგილს, განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. კერძოდ, ინფორმაციული სისტემების ცენტრალიზების გათვალისწინებით ორგანიზაციული რისკების მართვასა და ღირებულების შექმნაში. კორპორაციული ინფორმაციული სისტემების მართვაში კომპანიები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია განახორციელონ, რისთვისაც ხშირად იყენებენ ზოგადად მიღებულ, საუკეთესო პრაქტიკებს, მაგალითად როგორიც არის COBIT.

ამ დროისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომპანიებს შეუძლიათ ყველა ინდუსტრიის ერთ სისტემაში გაერთიანება და მისი მართვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით. ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ის, ვინც ფლობს ინფორმაციას, ფლობს მთელ მსოფლიოს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტურუა თ. საინფორმაციო სისტემების დაპროექტება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ. 2012. გვ. 6-7. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3935/1/SainformacioSistemebisDaproeqteba.pdf

2. Roztocki N. The role of information and communication technologies in socioeconomic development: towards a multi-dimensional framework. 29 Apr 2019. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/02681102.2019.1596654

3. Zwass V. Information systems in the economy and society. 2018. https://www.britannica.com/topic/information-system/Information-systems-in-the-economy-and-society

4. MSG. Types of Information Systems - Components and Classification of Information Systems. 2022. https://www.managementstudyguide.com/types-of-information-systems.htm

# სოფლის მეურნეობის თავისებურებების გათვალისწინება აგრობიზნესში

***დალი სილაგაძე***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

**CONSIDERING THE PECULIARITIES OF AGRICULTURE IN AGRIBUSINESS**

**Dali Silagadze**
associate professor,
Akaki Tsereteli State University

**ABSTRACT**

Business in agriculture and food industry and its rationalization is dialectically connected with other branches of the economy (industry, transport, communication and others). As we have seen, the development of agribusiness is affected by the peculiarities of agriculture, therefore it is necessary to take into account these factors and to study and properly manage the economic and technological environment of agribusiness.

Thus, the business organization in the business organizational structures of the direction of agriculture and food industry requires a solution that is quite specific and taking into account many interrelated factor, which should rely on highly qualified management. The selection of effective mechanisms of agribusiness management will lead to the use of the resource potential of this field with the maximum return, Determines favorable markets for the sale of manufactured products, will contribute to improving the knowledge and skills of employees, perfecting the organization's monetary-credit and financial-banking relations, It ensures economic integration and orientation towards sustainable development in general.

**Key words:** agriculture, peculiarities, business, agribusiness.

* * * *

სოფლის მეურნეობის დარგი, ყველა დანარჩენი ფორმის ბიზნესური სტრუქტურების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია, რამეთუ მხოლოდ აქ იქმნება სასურსათო პროდუქტები, პირდაპირი თუ გადამუშავებული სახით გამოსაყენებლად, ურომლისოდაც ფიზიოლოგიურად წარმოუდგენელია ადამიანის სიცოცხლე და საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, როგორც სოფლის მეურნეობა ქმნის ძირითად მატერიალურ-ფიზიოლოგიურ ბაზას სხვა სფეროს ბიზნესისათვის, ისე ეს სფეროებიც დაინტერესებული არიან სოფლის მეურნეობის განვითარებით, რისთვისაც ურთიერთმისაღები ინტეგრაციის პირობებით ამარაგებენ მას: მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (საწვავით, ქიმიის პროდუქტებით და ა.შ.), სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით (ნავთობი, გაზი, ელექტროენერგია და ა.შ.), სამშენებლო მასალებით (ცემენტი, აგური და ა.შ.), ხე-ტყით, ტრანსპორტით, მოწყობილობებით, კომპიუტერებით და სხვ.

ამრიგად, სხვადასხვა სფეროს ბიზნესური საქმიანობა გადაჯაჭვული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგაპირობებულია. ამასთან, ამოსავალი კრიტერიუმი თითოეული ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურისათვის არის ურთიერთმისაღები პირობები და სტაბილურად მზარდი მოგების მიღება.

სწორედ ამ კრიტერიუმების გამო ირღვევა ხშირად დასაშვები და საჭირო პროპორციები ამ სტრუქტურებს შორის, რისი რეგულირებისა და რაციონალიზაციის საფუძველსაც იძლევა თითოეული სფეროს ბიზნესის სწორი ორგანიზაცია ისეთი, რომელიც მაქსიმალურად და აწონილ-დაწონილად გაითვალისწინებს ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ-ტრადიციულ, სტრატეგიულ პირობებს, პოზიციებს, სპეციფიკას, მოთხოვნებს და აუცილებლობებს.

სოფლის მეურნეობას თავისი სპეციფიკური ნიშნები და თავისებურებები გააჩნია.

რაში მდგომარეობს ეს თავისებურებები და როგორ უნდა იქნას ისინი გათვალისწინებული აგრობიზნესის და შეწონასწორებული განვითარებისათვის.

პირველი - ძირითადი თავისებურება ის არის, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული მიწისა და ბუნებრივი გარემოს გამოყენებასთან. ამასთან, მიწის რესურსები შეზღუდულია, თუმცა ნაყოფიერების ამაღლების თითქმის მუდმივად მზარდი პოტე-ნციალი გააჩნია. მიწა, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება, როგორც წარმოების ძირითადი და შეუცვლელი საშუალება, ეკონომიკის სხვა დარგებში კი როგორც მხოლოდ საწარმოთა გაადგილების ბაზა (ტერიტორიული თვალსაზრისით).

ეს გარემოება, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იქნას აგრობიზნესის ორგანიზაციის საკითხების კომპლექსურ გადაწყვეტისას.

მიწის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოთა და დარგების რაციონალური გაადგილებისათვის. ძირითადი სპეციფიკა ამ შემთხვევაში ის არის, რომ თუ სასოფლო-სამე-

ურნეო წარმოება ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე უნდა გაადგილდეს, სხვა დარგების საწარმოთა გაადგილებისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილია ნაკლებად ნაყოფიერი (ან თითქმის უნაყოფო) და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწის ნაკვეთები. ეს საკითხები დიდ ყურადღებას მოითხოვს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დიდ შესაძლებლობას სახავს მიწების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. იგი, ჯერ ერთი, აძლიერებს და აფართოებს ინტენსიფიკაციის ფაქტორების გამოყენებას, რაც მიმართული უნდა იყოს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, მეორე–აჩქარებს ნიადაგდაცვითი და ნიადაგაღდგენითი (რეკულტივაციის გზით) ღონისძიებების გატარებას, და მესამე–საშუალებას იძლევა ახალი, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებით სასოფლო-სა-მეურნეო საწარმოები გავაადგილოთ რთული კონფიგურაციისა და სოფლის მეურნეობისათვის ძნელად ასათვისებელ ნაკვეთებზე, შესატყვისი სატრანსპორტო საშუალებების მო-რგებული გამოყენებით.

მეორე–დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოების პროცესის სირთულე და მრავალწახნაგოვანება. ეს სირთულე გაპირობებულია იმით, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება დამოკიდებულია მრავალმხრივი ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორისა და პირობის ზემოქმედებაზე, რომელიც არა მარტო ზონალურ და რეგიონულ, არამედ ხში-რად თვით ცალკეული საწარმოს ფარგლებშიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულია და ამდენად, არ შეიძლება არსებობდეს სოფლის მეურნეობის გაძღოლის ისეთი ერთიანი სისტემა, რომელიც ყველა რეგიონსა და საწარმოს გა-მოადგებოდა.

პროდუქცია გამოიყენება როგორც სურსათი, როგორც ნედლეული და როგორც საშუალება, ამასთან ზოგჯერ განსხვავებული დანიშნულებითაც. მაგ. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის გარკვეული (უდიდესი) ნაწილი მოიხმარება როგორც სასურსათო პროდუქტი, სხვა ნაწილი კი, როგორც ნედლეული მრეწველობისათვის: ყურძენი – ღვინის მრეწველობისათვის, ჩაი – ჩაის მრეწველობისათვის, ხილი და ბოსტნეული – საკონსერვო მრეწველობისათვის, თამბაქო–თამბაქოს მრეწველობისათვის, მატყლი და აბრეშუმის პარკი – მსუბუქი მრეწველობისათვის, ტუნგი–ტუნგის ზეთის დასამზადებლად (შემდეგ კი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, გემთმშენებლობაში და სხვ.), მეცხოველეობის პროდუქტები– ხორცისა და რძის მრეწველობაში და სხვ.

სოფლის მეურნეობაში წარმოებული ერთიდაიგივე პროდუქცია ზოგჯერ სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება: ყურძენი გამოიყენება, როგორც სასურსათო პროდუქტი და როგორც ნედლეული მრეწველობისათვის; ასევე ითქმის ხილზე, ციტრუსებზე, რძეზე და სხვ. თესლი გამო-იყენება ერთის მხრივ იმავე კულტურის გასამრავლებლად, მეორეს მხრივ მრეწველობის შესაბამის დარგში (პურ-ფუნთუშეულისა თუ სხვათა საწარმოებლად), მესამეც, როგორც უშუალო სასურსათო პროდუქტი. სოფლის მეურნეობის გარდა არც ერთ სხვა დარგს არ ახასიათებს ის თავისებურება, რომ მიღებული მზა პროდუქცია (თესლი, პირუტყვი) გამოიყენებოდეს შემდეგ ციკლში ისეთივე მზა პროდუქტის მისაღებად.

შეიძლება განსხვავებული დანიშნულებით გამოიყენებოდეს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ სხვა დარგების პროდუქციაც; მაგ. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ნიადაგის გასანოყიერებელი საშუალება და როგორც პირუტყვის საკვების გამამდიდრებელი საშუალება- საკვები დანამატის სახით (ცილების დეფიციტის შესავსებად).

ეს დამახასიათებელი თავისებურებები ზედმიწევნით გათვალისწინებას მოითხოვს.

მესამე - სოფლის მეურნეობასა და რამდენადმე მასთან დაკავშირებული მრეწველობის (კვების) დარგებს ახასიათებს სეზონურობა; სოფლის მეურნეობაში წარმოების პერიოდი და სამუშაო პერიოდი ერთმანეთს არ ემთხვევა. შრომა იხარჯება წლის განმავლობაში, ხოლო პროდუქცია მიიღება პერიოდულად, ანდა მხოლოდ წლის ბოლოს. ეს გარემოება იწვევს სხვადასხვა დარგისა და კულტურის ურთიერთშეთანაწყობის აუცილებლობას, რათა რამდენადმე შერბილდეს სეზონურობა და წლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად დინამიურად განაწილდეს სამუშაო პერიოდი, მრავალდარგოვანი წარმოების ციკლის შესაბამისად.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ინტეგრაცია ანუ ინტეგრირებული ბიზნესური სტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირება საშუალებას იძლევა რეგულირებული გავხადოთ ეს პროცესები და გამოთანაბრებულად გამოვიყენოთ სამუშაო ძალა მთელი წლის გან-მავლობაში.

შეიძლება განსხვავებული დანიშნულებით გამოიყენებოდეს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ სხვა დარგების პროდუქციაც; მაგ. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ნიადაგის გასანოყიერებელი საშუალება და როგორც პირუტყვის საკვების გამამდიდრებელი საშუალება- საკვები დანამატის სახით (ცილების დეფიციტის შესავსებად).

ეს დამახასიათებელი თავისებურებები ზედმიწევნით გათვალისწინებას მოითხოვს.

მესამე - სოფლის მეურნეობასა და რამდენადმე მასთან დაკავშირებული მრეწველობის (კვების) დარგებს ახასიათებს სეზონურობა; სოფლის მეურნეობაში წარმოების პერიოდი და სამუშაო პერიოდი ერთმანეთს არ ემთხვევა. შრომა იხარჯება წლის განმავლობაში, ხოლო პროდუქცია მიიღება პერიოდულად, ანდა მხოლოდ წლის ბოლოს. ეს გარემოება იწვევს სხვადასხვა დარგისა და კულტურის ურთიე-

რთშეთანაწყობის აუცილებლობას, რათა რამდენადმე შერბილდეს სეზონურობა და წლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად დინამიურად განაწილდეს სამუშაო პერიოდი, მრავალდარგოვანი წარმოების ციკლის შესაბამისად.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ინტეგრაცია ანუ ინტეგრირებული ბიზნესური სტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირება საშუალებას იძლევა რეგულირებული გავხადოთ ეს პროცესები და გამოთანაბრებულად გამოვიყენოთ სამუშაო ძალა მთელი წლის გან-მავლობაში.

მეოთხე–სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკური, არამედ ბიოლოგიური კანონებიც. სოფლის მეურნეობის წარმოების რითმი მნიშვნელოვანწილად რეგულირდება ბუნებრივ-ბიოლოგიური კანონებით. ბიოლოგიურ პროცესებს (მცენარეთა და ცხო-ველთა განვითარება) გარკვეული ციკლი ახასიათებს, ხასიათდებიან გარკვეული ხანგრძლივობით, დროის მიხედვით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და დარგების ურთიერთრეგულირებული ფუნქციონირება საშუალებას იძლევა დადებითად და აქტიურად ზევიმოქმედოთ ამ ბუნებრივ ციკლებზე, დავაჩქაროთ ან შევანელოთ (მეწლეობა ხეხილში და სხვა) იგი. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროპორციულმა (ურთიერთმისაღები პირობები) განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური და ბიოლოგიური კანონების გონივრულ გამოყენებას.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ინტეგრაცია ანუ ინტეგრირებული ბიზნესური სტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირება საშუალებას იძლევა რეგულირებული გავხადოთ ეს პროცესები და გამოთანაბრებულად გამოვიყენოთ სამუშაო ძალა მთელი წლის გან-მავლობაში.

მეოთხე–სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკური, არამედ ბიოლო¬გიური კანონებიც. სოფლის მეურნეობის წარმოების რითმი მნიშვნელოვანწილად რეგულირდება ბუნებრივ-ბიოლოგიური კანონებით. ბიოლოგიურ პროცესებს (მცენარეთა და ცხო-ველთა განვითარება) გარკვეული ციკლი ახასიათებს, ხასიათდებიან გარკვეული ხანგრძლივობით, დროის მიხედვით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და დარგების ურთიერთრეგულირებული ფუნქციონირება საშუალებას იძლევა დადებითად და აქტიურად ზევიმოქმედოთ ამ ბუნებრივ ციკლებზე, დავაჩქაროთ ან შევანელოთ (მეწლეობა ხეხილში და სხვა) იგი. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროპორციულმა (ურთიერთმისაღები პირობები) განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური და ბიოლოგიური კანონების გონივრულ გამოყენებას.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ინტეგრაცია ანუ ინტეგრირებული ბიზნესური სტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირება საშუალებას იძლევა რეგულირებული გავხადოთ ეს პროცესები და გამოთანაბრებულად გამოვიყენოთ სამუშაო ძალა მთელი წლის გან-მავლობაში.

მეხუთე– სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი თავისებურება უკავშირდება ტექნოლოგიური პროცესების ხასიათს. სოფლის მეურნეობაში თუ პროდუქტი იქმნება თვით წარმოების პროცესში, მრეწველობის დარგებში შრომის საგანი, ტექნოლოგიური პროცესების ზემოქმედების შედეგად თანდათან გარდაიქმნება მზა-პროდუქციად. ასე, რომ წარმოების პროცესი მხოლოდ პირველდაწყებითი მასალის თვისებების შეცვლას იწვევს.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მატერიალურ დაბანდებათა ბრუნვის ციკლი სოფლის მეურნეობაში რამდენადმე ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მრეწველობაში.

მეექვსე– ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა ის, რომ სოფლის მეურნეობაში, განსხვავებით ყველა სხვა დარგისაგან, ხდება ენერგიის აკუმულირება (დაგროვება), რომელიც სურსათის სახით გადაეცემა ადამიანს, საკვების სახით კი ცხოველს. სხვა დარგებში ენერგია მხოლოდ იხარჯება ან გარდაიქმნება ერთი სახიდან მეორეში.

მეშვიდე– სოფლის მეურნეობას სხვა დარგებისაგან განსხვავებით იზოლირებული ფუნქციონირება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე არ შეუძლია. იგი აუცილებლად მოითხოვს ფუნქციონურ კავშირს მრეწველობის დარგებთან, ამასთან, იმის გამო, რომ თავისი პროდუქციის გამოყენება მხოლოდ ნააწილობრივ შეუძლია (თესლი, სარგავი მასალა, კვერცხი და ა.შ.), მის ძირითად ნაწილს აწოდებს გადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც პროდუქტს საბოლოო სახეს აძლევს და უზრუნველყოფს მის რეალიზაციას.

ამდენად, ბიზნესის ორგანიზაციაა სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში და მისი რაციონალიზაცია დიალექტიკურად უკავშირდება ეკონომიკის სხვა დარგებს (მრეწველობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას და სხვა). როგორც ვნახეთ აგრობიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის თავისებურებები, ამიტომ აუცილებელია ამ ფაქტორების გათვალისწინება და აგრობიზნესის ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემოს შესწავლა და სწორად მართვა.

სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის მიმართულების ბიზნესურმა ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა,) ჩამოთვლილის გარდა, ბიზნესის ორგანიზაციის დროს ყურადღება უნდა დაუთმონ:

1. წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სოფლის მეურნეობაში (იხმარება ასე: აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ღონისძიებები), ისე კვების მრეწველობაში და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბიზნესის წარმატებები ამ სფეროებში უპირატესად სწორედ ტექნოლოგიის სრულყოფით მიიღწევა, რამაც საშუალება მისცა ფირმებს გამოეშვათ მაღალკალო-

რიული, მაღალი სასურსათო ღირებულების, ახალი სახის პროდუქტები და მათი ხელოვნური შემცვლელები.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გენეტიკისა და სელექციის მიღწევების დროული დანერგვა, ბიოტექნოლოგიის, უნარჩენო და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების გამოყენება, დაპროგრამებული მოსავლის მიღება და ა.შ.

2. გარანტირებული ბაზრების შერჩევასა და შენარჩუნებას, მომხმარებლებთან მჭიდრო და სტაბილური კონტაქტების დამყარებას, ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დღეს განვითარებული ქვეყნების სასურსათო ბაზარი საკმაოდ მაღალ დონეზეა გაჯერებული და ბიზნესმენმა თუ არ იღონა იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქცია შექმნას და იქონიოს მყარი ბაზარი, იგი დიდ დანაკარგებს ნახავს. ამ ფაქტორის გამო ზოგჯერ საჭირო ხდება გარკვეული მასშტაბით იქნეს შემცირებული ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება და შემდგომ დარეგულირდეს მისი წარმოების მასშტაბები. ამ ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტორის გამო შეიძლება პერიოდულად იცვლებოდეს როგორც თვით სასო-ფლო-სამეურნეო სავარგულების, მ.შ. ნათესების, აგრეთვე ნახირის სტრუქტურა, ტერიტორიის, რესურსების (მატერიალური, შრომითი) გამოყენების ორგანიზაციის მიმართულებები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხასიათი და სხვა საწარმოო კომპონენტების ორგანიზაციის პირობები და გამოყენების მოდიფიკაცია.

3. წარმოების მოდერნიზაციის, პროფილის შესაძლო შეცვლის, წარმოების ტემპებისა და მასშტაბების რეგულირების, ინტეგრირების და სხვა ანალოგიურ საკითხებს.

4. შრომის რეგიონთაშორის და სახელმწიფოთა შორის დანაწილების მოთხოვნებს და ამის შესაბამისად: ერთის მხრივ ფირმის (საწარმოს) სპეციალიზაციის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და ამაღლებას და მეორეს მხრივ საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და გაფართოებას;

5. წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ოპტიმიზაციას და მისი უკუგების ამაღლებისათვის არსებითი ფაქტორების გამოყენების რეგულირებას;

6. რესურსების (მატერიალური, შრომითი, ფინანსური) ეფექტური გამოყენების კონკრეტული მექანიზმების დამუშავებასა და მიზნობრივ ამოქმედებას, ბიზნესის სტრატეგიის შესაბამისად.

ამრიგად, ბიზნესის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მიმართულების ბიზნესურ ორგანიზაციულ სტრუქტურებში საკმაოდ სპეციფიკური და მრავალი ურთიერთ-დაკავშირებული ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვეტას მოითხოვს, რაც მაღალკვალიფიციურ მენეჯმენტს უნდა ეყრდნობოდეს. აგრობიზნესის მართვის ეფექტიანი მექანიზმების შერჩევა გამოიწვევს ამ სფეროს რესურსული პოტენციალის მაქსიმალური უკუგებით გამოყენებას, განსაზღვრავს ხელსაყრელ ბაზრებს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის, ხელს შეუწყობს დასქმებულთა ცოდნისა და უნარ ჩვევების გაუმჯობესებას, ორგანიზაციის ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბანკო ურთიერთობების სრულყოფას, უზრუნველყოფს ეკონომიკური ინტეგრაციას და ზოგადად მუდმივ განვითარებაზე ორიენტაციას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ.კოღუაშვილი. გ. ზიზზიბაძე- სოფლის მეურნეობის ეკონომიკა თბ. 2010
2. ომარ ქეშელაშვილი - დარგობრივი ბიზნესის ორგანიზაცია თბ. 2018
3. ომარ ქეშელაშვილი - ბიზნესური ეკონომიკა თბ. 2010
4. მენეჯმენტის ძირითადი საკითხები და აგრობიზნესის მენეჯმენტის თავისებურებები, https://cutt.ly/SMkMJM4

# იმერეთის რეგიონის ფერმერული მეურნეობების ძირითადი მიმართულებების ანალიზი და მათი განვითარების პერსპექტივა

***მედეა ლომინაშვილი-ფრუიძე***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

***ალექსანდრე სულაძე***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრი*

**FUNDAMENTAL ANALYSIS OF IMERETI'S AGRICULTURE AND PERSPECTIVE OF THEIR GROWTH**

**Medea Lominashvili-Pruidze**
Associate Professor of
Akaki Tsereteli State University of Georgia
**Alexander Sultsadze**
Bachelor of Akaki Tsereteli State University

**RESUME**

As one of the most important field, greengrocery has an essential place in the growth of production potential in the region of Imereti and it stimulates family and farmer economy improvement. Imereti as an agrozone is a perspective region for producing greens and exporting potential. In the Tskaltubo municipality of Imereti there is roughly 5000 functional green-houses. Which produce vegetables, are responsible for storing and production of greens and stimulation of internal market sales. At this point in time, small amounts of greens are exported, which surely facilitates in the growth of farming. It is true that Imereti is on the third place in the agricultural production share, but the region is the leader in greens-producing with 63% share of total producing. Considering all this, it is substantial that Imereti's economic growth's one of the priorities could be considered agriculture. Withstanding the fields importance and development perspective, it is important to analyze the economic activity of this field's entrepreneurs and take their perspectives and needs in the consideration

**საკვანძო სიტყვები:** იმერეთის რეგიონი, სოფლის მეურნეობის მემცენარეობის დარგი, მწვანილის წარმოება, ფერმერული მეურნეობების განვითარება, რეალიზაციის სტიმულირება.

* * * *

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული პროდუქციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 12.65-ანი ზრდით გამოიხატა და საქსტატის მონაცემებით მთლიან მშპ-ში 8.3%-ს შეადგენა. საქართველოს რეგიონების მიხედვით სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციით ლიდერობს კახეთი, მართალია რეგიონებს შორის იმერეთის რეგიონი მე-3 ადგილზეა, მაგრამ მწვანილის წარმოების მხრივ ლიდერობს და 2016-2019 წლების მონაცემებით საქართველოში წარმოებული ბოსტნეულის 6%-ში იმერეთის რეგიონში წარმოებულ მწვანილს საშუალოდ 63% ეკუთვნოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით იმერეთის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, ერთ-ერთ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის აგრარული სექტორი შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად მნიშვნელოვანია დარგის განვითარების შესაძლებლობების, ამ სექტორში დასაქმებული მეწარმეების ეკონომიკური აქტივობის შესწავლა, მათი საჭიროებების და პერსპექტივების შეფასება.

იმერეთის რეგიონის, მარტო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 5000-მდე სასათბურე მეურნეობა ფუნქციონირებს. რომლებიც აწარმოებენ ბოსტნეულს, ახდენენ მწვანილის პირველად წარმოებას, შენახვას, შიდა ბაზარზე გაყიდვების სტიმულირებას. ამ ეტაპზე მწვანილის მცირე რაოდენობა გაიტანება ექსპორტზე, რაც იმერეთის რეგიონში ფერმერული მეურნეობების გაფართოება-განვითარების ხელშემწყობია.

2015-2019 წლებში მსოფლიოს მასშტაბით მწვალის იმპორტის წლიური ღირებულების 5%-ანი მზარდი ტენდენცია გამოვლინდა. უკანასკნელ წლებში ევროკავშირის მწვანილის ბაზარზე მზარდი მოთხოვნა დაფიქსირდა, რაც კულინარიისადმი, ნატურალური, ჯანსაღი პროდუქტებისადმი და შესაბამისად ევროპის სარესტორნო ბიზნესში მწვანილზე გაზრდილი მოთხოვნით აიხსნება. „სავაჭრო რუკა 2021"-ის მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით ევროკავშირისთვის ტოპ 10 მიმწოდებლები 2012-2019 წლებში იყვნენ: იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, კენია, ინდოეთი, მაროკო და ტაილანდი. საქართველოსაც აქვს გარკვეული წილი მწვანილის მსოფლიო ექსპორტში. საქართველო ექსპორტის მოცულობის მიხედვით 34-ე, ხოლო, ექსპორტის ღირებულების მიხედვით 43-ე ადგილზეა. მართალია საქართველო არ არის ტოპ წამყვან ექსორტიორთა შორის, მაგრამ ბოლო წლებში საქართველო მწვანილის წარმოების

და ექსპორტის მზარდი ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2019-2020 პანდემიური პერიოდის კლებადი მაჩვენებლისა), 2012-2020 წლებში, ყოველწლიურად ევროკავშირის ქვეყნენებზე საშუალოდ ქართული მწვანილის ექსპორტის 6% მოდიოდა, რაც დაახლოებით 8 ტონას შეადგენს[1].

ამ სექტორის განვითარებისთვის გასაღების ბაზრის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია . რამაც დღის წესრიგში დააყენა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და წარმოებული პროდუქციის ევროკავშირის ხარიხსობრივ სტანდარტებთან დაახლოების აუცილებლობა.

ევროკავშირთან მწვანილის ექსპორტის სტიმულირება, როგორც ალტერნატიულ ბაზარზე რუსეთის შემდეგ, არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, განსაკუთრებით კი იმერეთის რეგიონისთვის. 2016 წელს საქართველოდან მწვანილის კლებადი ექსპორტის დაფიქსირების შემდეგ, ქართველი მეწარმეები ცდილობდნენ საშუალო საექპორტო მაჩვენებლის შენარჩუნებას და შეიძლინა მზარდი ტენდენცია. COVID-19 პანდემის დროს ადგილი ქონდა მწვანილის ბრუნვის შეფერხებას, სადისტრიბუციო არხების გაჩერების გამო, რაც დროებითი მოვლენა იყო. 2020 წელს საქართველოდან მწვანილის ექსპორტი 11.33%-ით შემცირება წინა 2019 წელთან შედერებით. პანდემიის წლებში ექსპორტის მსგავსად საქართველოში, მათ შორის იმერეთის რეგიონშიც, მწვანილის წარმოება შემცირდა. მთლიანად საქართველოში წარმოებული მწვანილის კლებამ მოცულობის მიხედვით შეადგინა 21.37%, იმერეთის რეგიონის მიხედვით 11.32%. უარყოფითი მაჩვენებელი პანდემიური მდგომარეობით იყო განპირობებული და უკვე 2021 წელს 2020 წელთან მიმართებით ადგილი ქონდა ქვეყნის მასშტაბით წარმოების გაზრდას. კერძოდ, იმერეთის რეგიონში მწვანილის წაროება 42,55% გაიზრდა, და 15.69%-ით გადაუსწრო ამავე წლებში მთლიანად საქართველოს მასშტაბით მწვანილის წარმოების გაზრდილ მაჩვენებელს. მონაცემები ცხადყობს, რომ იმერეთის რეგიონს გააჩნია მწვანილის წარმოების და მასზე არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის პოტენციალი. საწარმოო პოტენციალის გაზრდის სტიმულირებისთვის საჭიროა რეგიონის ფერმერების მხარდაჭერა და ხელშეწყობა, რომელთა წინაშეც არის მრავალი გამოწვევა და სირთულე.

მართალია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სასათბურე მეურნეობების განვითარებას ხელს უწყობს მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, მოკლე ზამთარი და ცხელი ზაფხული, მხოლოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არ არის საკმარისი დარგის განვითარებისთვის. მეწარმეები აწყდებიან წარმოებული მწვანილის სერთიფიცირების, საერთაშორისო სტანდარტებით პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებთან, პროდუქციის შენახვასთან დაკავშირებულ სირთულეებს. არსებული პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი ფერმერების მიერ წარმოებული მწვანილის ექსპორტს.

დარგის მნიშვნელობიდან გამომდინარე არის ინვესტორების გარკვეული დაინტერესებაც. 2019 წელს "იმერეთის აგროზონის" სასათბურე მეურნეობების ფარგლებში ჰოლანდიური და ქართულ-გერმანული საკონსულტაციო კომპანიების გაერთიანების საფუძველზე, ქართულ-ჰოლანდიური კონსორციუმის ფარგლებში საერთო ჯამში მოზიდულ იქნა 150 მლნ. ევროს ოდენობის ინვესტიცია.[2] "იმერეთის აგროზონის" სასათბურე კლასტერი ორიენტურებულია წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე და მიზნად ისახავს შეიქმნას მრავალფუნქციური სივრცე სათბურებიდან დაწყებული, სამაცივრე და გადამამუშავებელი მეურნეობით დამთავრებული. რაც ხელს შეუწყობს რეგიონის აგროპოტენციალის მაქსიმალურ ამოქმედებას, ქართული მწვანილის ხარისხის და მოსავლიანობის გაუმჯობესებას. პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილია 220 ჰა მიწის ნაკვეთი წყალტუბოსა და ბაღდათში.

"იმერეთის აგროზონა"-ის საქმიანობის ფარგლებში მეწარმეთა მხარდაჭერა და მათთვის კონსულტაციების გაწევა მოიზარება, მაგრამ ის ახლა ჩამოყალიბების ფაზაშია და ამ ეტაპზე ვერ გაუწევს მხარდაჭერას დღეისათვის იმერეთის რეგიონში მემწვანილეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებს. რადგან უმეტესი ფერმერების მიერ წარმოებული მწვანილი ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის საექსპორტო მოთხოვნებს, არ აქვთ საექსპორტო პროდუქციისთვის საჭირო სერთიფიკატი და საჭიროებენ პერმანენტურ დახმარებას. 2006 წლიდან ადგილობრივ ფერმერებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს იმერეთში მწვანილის მწარმოებელი კომპანია „ჰერბია'. კომპანია თანამშროლობს ამ დარგში დასაქმებულ მეწარმეებთან, ეხმარება მათ პროდუქციის სტიმულირებაში.

„ჰერბია" 2006 წელს დაარსდა, ის პირველი კომპანია იყო საქართველოში, რომელმაც მიიღო გლობალური GAP სერთიფიკატი მწვანილის წარმოებისთვის. კომპანიამ გახსნა საკონსოლიდაციო ცენტრი სოფელ ტყაჩირში (იმერეთში), 2008 წელს 3 ჰექტარზე გამართა სასათმურე მეურნობა წყალტუბოში, 2009 წელს ჰერბია ასევე გახდა პირ-

1 გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია UNDO, გლობალური ხარისხისა და სტანდარტების პროგრამის GQSP პროგრამის კოორდინირების ფარგლებში ფარგლებში ჩატარებული კვლევა, „საქართველოს ხილისა და შესაბამისობის შეფასების გაძლიერება ღირებულებათა ჯაჭვის კვლევაში" 2021წ. გვ. 105-106. წყაროს გაცნობის თარიღი: 09.09.2022წ.

2 https://cutt.ly/FMk0M4N. 20.09.22წ.

ველი Global Gap[3] ის სერთიფიკატის მქონე კომპანია საქართველოში. 2013 წელს, გახდა პირველი კომპანია საქართველოში რომელმაც დანერგა დაფასოებული მწვანილის გაყიდვის პრაქტიკა ლოკალურ მარკეტებში. შპს „ჰერბიამ" სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში შექმნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობა. პროექტის ღირებულებამ 3,000,000 ლარი შეადგინა, საიდანაც 592,000 ლარი არის გრანტი, ხოლო 1,050,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. „ჰერბიას" აქვს საკუთარი სამაცივრო სატვირთო მანქანები და სადისტრიბუციო მომსახურება, მწვანილი და ბოსტნეული მოჰყავს სასუქის გამოყენების გარეშე. კომპანია ახორციელებს წარმოებული პროდუქციის დაფასოებას და შემდეგ დისტრიბუციას საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო ქსელში. კომპანიში დასაქმებულია დაახლოებით 150 ადამიანი.[4]

ამჟამად კომპანიის სათბური წყალტუბოს რაიონში 10 ჰექტარზეა განთავსებული, აქედან 5 ჰექტარი ისრაელის და ჰოლანდიური ტექნოლოგიების გამოყენებით აღჭურვილია სათბურებით დახურული გრუნტისთვის და მოყავთ მწვანილი და ბოსტნეული. დანარჩენი 5 ჰექტარი გამოიყენება ღია გრუნტის სახით. მოზრდილ კულტურებს შორისაა: იისფერი რეჰანი, cilantro (ქინძი), ოხრახუში, ნიახური, კამა, სალათის ფოთოლი, პომიდორი, ტკბილი წიწაკა, ცხარე წითელი წიწაკა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ჰერბია მწვანილთან ერთად სხვა ბოსტნეულსაც აწარმოებს, მისი საქმიანობა ორიენტირებულია მწვანილის წარმოება-რეალიზაციის პროცესზე, რადგან აქვს მწვანილის სრულად ინტეგრირებული ღირებულებათა ჯაჭვი: საკუთარი წარმოება, შეგროვება, დახარისხების, შეფუთვის და ტრანსპორტირების სერვისი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჰერბია ამარაგებს ადგილობრივი სუპერმარკეტების 95%.

კომპანია „ჰერბია"-ს მიზანი იყო საექსპორტო ბაზარზე ორიენტაცია, მას არ აღმოაჩნდა საკმარისი რესურსი, რათა ევროპის ბაზარზე მარტოს მოეკიდებინა ფეხი. ასევე, ბოლო წლებში ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციაზე მოთხოვნის მკვეთრად გაზრდის გამო "ჰერბია"-ს უჭირდა შეკვეთების დროული უზრუნველყოფა. ეს გარემოებები გახდა კომპანიის და ფერმერების თანამშრომლობის განმსაზღვრელი, ადგილობრივი ფერმერებიდან მწვანილის შესყიდვის თვალსაზრისით. წარმოებული მწვანილის ნაწილში, მართალია საექსპორტო ბაზრის მხოლოდ 5% მოდის ჰერბიას წილზე, მაგრამ იმერეთის რეგიონის მწვანილეობის სტიმულირებაში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და მეწარმეების მოტივაციისთვის.

რადგან, „ჰერბია" ქართული მწვანილის მიმწოდებელია ევროპის ბაზარზე და საექსპორტო მწვანილის დიდ ნაწილს ადგილობრივი ფერმერებისგან ყიდულობს შესაბამისად იზრდება ფერმერების დაინტერესება აწარმოონ ევროპული ხარისხის და სტანდარტის შესაბამისი პროდუქცია. "იმერეთის აგროზონის" მსგავსად, როგორც „საქართველოს მწვანე მწარმოებელთა ასოციაცია"-ის წევრი კომპანია "ჰერბია" ფერმერებს რეგულარულად უტარებთ ტრენინგებს, „ჰერბია" არის ასოცოაციის 13 დამფუძნებელთა შორის. ასოციაციის წევრობა მნიშვნელოვანია ჰერბიასთვის, რომ იყოს მუდმივად განვითარებადი. თავის მხრივ საკუთარი გამოცდიების გაზიარებით ის ეხმარება კომპანიასთან პარტნიორულ ურთიერთბებში მყოფ ადგიობრივ ფერმერებს განვითარებაში და პროდუქციის რეალიზაციის სტიმულირებაში.

2018-2020 წლებში კომპანიის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები ყოველწლიურად იზრდებოდა, პანდემიის წლებშიც, როდესაც საქართველოში დაფიქსირდა მწვანილის კლებადი წარმოება, ჰერბია აგრძელებდა გაყიდვების სტიმულირებას და მზარდ წარმოებას. ჰერბიას სასათბურე მეურნეობაში სამუშაო პროცესი გაორმაგებულად მიმდინარეობდა, რაც მნიშვნელოვანი იყო რეგიონისთვის პანდემიის პირობებში (იხ. ცხრილი 1).

კერძოდ, ცხრილი N1-ის მიხედვით 2018 წელს კომპანიის ამონაგები შეადგენდა 2 370 075 ლარს, მაგრამ 2019 წელს ის თითქმის გაორმაგდა და შეადგინა 4 692 280 ლარი. ზრდას ასევე ადგილი ქონდა 2020 წელსაც და 22.5% შეადგინა 2019 წელთან შედარებით. მწარმოებლურობის ზრდის პარალელურად, მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ დაფიქსირდა 4,53%-ით პროდუქციის თვითღირებულების გაზრდა, რაც შეიძლება კომპანიისთვის დამაზიანებლად არ ჩავთვალოთ, ამაზე წლების მანძილზე წმინდა მოგების მზარდი მაჩვენებლები მეტყველებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2019 წელს პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები გაორმაგდა წინა წელთან შედარებით, საინტერესოა ამ წლების უფრო დეტალური ანალიზი, კომპანიის გაყიდვების და მოგების დინამიკური სურათის შესაქმნელად. კერძოდ,

3 Global Gap (Good agricultural practices) - სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო სტანდარტია. სტანდარტი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო და აკვაპროდუქტის წარმოების სრულ ციკლს - ადგილის შერჩევიდან და ნიადაგის დამუშავებიდან დაწყებული, პროდუქტის დამზადებით, დაფასოებით და შეფუთვით დამთავრებული. https://www.herbia.ge/?lang_id=ge; ჰერბია(ვებგვერდი); 12.12.2021

4 https://cutt.ly/bMk08EB;იმერეთის მწვანილის საექსპორტო კომპანიის ბიზნეს გეგმა; 19.12.2021

**„ჰერბიას“ მიერ საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები 2018-2020 წლებში.**
**ცხრილი N1**

| წლები | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|
| ამონაგები, ლარი | 2 370 075 | 4 692 280 | 5 748 178 |
| თვითღრებულება, ლარი | 1 506 147 | 2 506 644 | 2 620 086 |
| **საერთო მოგება, ლარი** | **863 928** | **2 185 636** | **3 128 092** |
| სხვა შემოსავლები, ლარი | 301 334 | 401 228 | 180 238 |
| სხვა ხარჯები - (დასაქმებულთა ანაზღაურება /ცვეთა და ამორტიზაცია / იჯარის ხარჯი და სხვა), ლარი | 451 673 | 1 106 947 | 1 585 220 |
| **საოპერაციო მოგება, ლარი** | **713 589** | **1 479 918** | **1 542 872** |
| ფინანსური ხარჯი, ლარი | 11 829 | 48 095 | 52 371 |
| **მოგება დაბეგვრამდე, ლარი** | **701 760** | **1 431 823** | **1 490 501** |
| მოგების გადასახადი, ლარი | 45 310 | 105 882 | 71 131 |
| **წმინდა მოგება, ლარი** | **656 450** | **1 325 941** | **1 419 370** |

**წყარო: მეწარმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.**

N1 და N2 დიაგრამის მიხედვით 2019 წელს ჰერბიას ამონაგებში ლიდერობს მწვანილი და შეადგენს 35%-ს, რაც წინა 2018 წელთან შედარებით 7%-იანი ზრდაა.

მწვანილის რეალიზაციიდან მიღებულმა ამონაგებმა 2019 წელს შეადგინა 1 642 298 ლარი. 2019 წელს მწვანილზე მოთხოვნის გაზრდა დიდწილად გამოწვეული იყო ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საექსპორტო ქვეყანაში (ბულგარეთში) მწვანილზე გაზრდილი მოთხოვნით. რაც შეეხება მწვანე ხახვს, მისმა რეალიზაციამ წინა წელთან შედარებით მოიმატა 555 894 ლარით (78%ით). მიუხედავად იმისა რომ მწვანე ხახვის ხვედრითი წილი შემცირდა წინა წელთან შედარებით გაყიდვების ზრდა და შესაბამისად ამონაგების გაორმაგება მეტწილად, მწვანილის გარდა, მწვანე ხახვის რეალიზაციის ზრდასთანაც არის დაკავშირებული. და ეს ზრდა უკავშირდება როგორც ადგილობრივ ბაზარს, ასევე საექსპორტო ბაზარსაც. მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ ამ ეტაპზე ადგილობრივ ფერმერებთან პარტნიორობის მიუხედავად მაინც ვერ ხერხდება როგორც ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე პროდუქციაზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

“ჰერბია”-ს შესაძლებლობის გათვალისწინებით შეიძლება თამამად ეწოდოს სტრატეგიულად განვითარებადი და მზარდი პოტენციალის მქონე კომპანია. იმერეთის რეგიონში ოპერირებად ფერმერებთან პარტნიორული ქსელის გაფართოება ზრდის შიდა და გარე ბაზარზე მწვანილზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

აქვე თუ გავითვალისიწინებთ ჰერბიას პროდუქციაზე არსებულ მზარდ მოთხოვნას შიდა და გარე ბაზარზე, რომლის დაკმაყოფილებასაც კომპანია მხოლოდ პარტნიორული რესურსებით შეძლებს, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისი როლი რეგიონში სოფლის მეურნეობის მემ-

**პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები 2018 წელს**
**დიაგრამა N1**




**პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები 2019 წელს**
**დიაგრამა N2**



წვანილეობის დარგის განვითარებაში. იმერეთში წარმოებული პროდუქციის ადგილობრივ სუპერმარკეტებში პოპულარიზაციის გზით ჰერბია ეხმარება რეგიონის მეწარმეებს, მას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს რეგიონში მწვანილის მწარმოებელი ფერმერების საქმიანობის მასშტაბები და მათი პროდუქციის ხარისხის სტანდარტის დაკმაყოფილების პირობებში, მოახდინოს ექსპორტის მასშტაბების გაზრდაც. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ადგილობრივი ბაზრის დიდი ნაწილი უჭირავს, მისი პროდუქცია ყველგან არ არის ხელმისაწვდომი. პროდუქციის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ დიდ სუპერმარკეტებში.

იმერეთის რეგიონს, როგორც აგროზონას, მწვანილის წარმოების და მზარდი საექსპორტო პოტენციალის მქონე რეგიონად ჩამოყალიბების რეალური პოტენციალი აქვს. სადაც მნიშვნელოვანია კომპანია "ჰერბია"-ს და "იმერეთის აგროზონის" როლი, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონის სანარმოო სიმძლავრეების კიდევ უფრო გაზრდას, ფერმერული მეურნეობების სწორად განვითარებას, ასევე, წარმოებაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა მომავალში დანახარჯების მინიმიზაციის შესაძლებლობასაც მისცემს ფერმერებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1.გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია UNDO, გლობალური ხარისხისა და სტანდარტების პროგრამის GQSP პროგრამის კოორდინირების ფარგლებში ფარგლებში ჩატარებული კვლევა, „საქართველოს ხილისა და შესაბამისობის შეფასების გაძლიერება ღირებულებათა ჯაჭვის კვლევაში" 2021წ. გვ. 105-106. წყაროს გაცნობის თარიღი: 09.09.2022წ.

https://hub.unido.org/sites/default/files/publications/GE_GEORGIA_GQSP_Final.pdf

2.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური „ საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021 წლიური ანგარიში", გვ. 73. წყაროს გაცნობის თარიღი: 09.09.2022წ;

https://www.geostat.ge/media/46404/soflis_meurneoba_2021.pdf

3.http://www.economy.ge/uploads/gidg/mcvanilis_eksporti.pdf?fbclid=IwAR2JJGCyjcve_FsWSVknMuB3R4bwHrLONbI6HoV00_cvWjMgtpHL7DX8SKE;იმერეთის მწვანილის საექსპორტო კომპანიის ბიზნეს გეგმა; 19.12.2021წ;

4.Global Gap (Good agricultural practices) - სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო სტანდარტია. სტანდარტი მოიცავს სასოფლო--სამეურნეო და აკვაპროდუქტის წარმოების სრულ ციკლს - ადგილის შერჩევიდან და ნიადაგის დამუშავებიდან დაწყებული, პროდუქტის დამზადებით, დაფასოებით და შეფუთვით დამთავრებული. https://www.herbia.ge/?lang_id=ge; ჰერბია(ვებგვერდი); 12.12.2021;

5.Shota Lominashvili, Naira Virsaladze, Irine Tchanturidze, "Supplying of Products (Herbs) on the EU Market, Imereti Agrozone, Export Opportunities". European Journal of Sustainable Development. Arches/Vol 8No 3. 2019. 146p.

6.https://www.herbia.ge/; 12.12.2021;

7.https://bm.ge/ka/article/imeretis-agrozonis-proeqtis-farglebshi-150-mln-evros-investiciis-ganxorcielebas-prognozireben/62710/

# პერსონალის მოტივაცია, როგორც ბიზნესის წარმატების საფუძველი

***ნუნუ ქიქოძე***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

## STAFF MOTIVATION AS THE BASIS OF BUSINESS SUCCESS

**Nunu Kikodze**
Akaki Tsereteli State University,
Associate Professor

**ANNOTATION**

Sustainable business development, among other things, it considers the effective use of the personal motivation system. A motivated employees give their best to the organization and they remain loyal to the organization. The motivation system in the organization should have the following features: the highest performance should be reasonably rewarded and properly recognized.

Achieving the main goals and the successful implementation of plans for any company largely depends on motivated employees and their enthusiastic performance of duties. A well- constructed motivation system is an important element for every company, especially for Georgian companies, which face a number of serious financial problems in the conditions of globalization of the world economy. For Georgian companies, Staff motivation will allow to optimize costs and ensure the increase of the efficiency of employees. As a result of the research, it was revealed that the motivation system in Georgian Business companies need to be improved. It is essential that Heads of Georgian companies should study the experience of foreign companies, because a motivated employee is a necessary condition for the success of any business company.

**Key words:** Business, Company, Motivation, Motivation System, Bonus, Premium.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი, კომპანია, მოტივაცია, მოტივაციის სისტემა, ბონუსი, პრემია.

* * * *

მოტივაცია არის გონების მდგომარეობა.მაღალი მოტივაცია იწვევს მაღალ ზნეობას და უფრო დიდ წარმოებას. მოტივირებული თანამშრომელი მაქსიმუმს აძლევს ორგანიზაციას და ის რჩება ორგანიზაციის ერთგული.ორგანიზაციაში მოტივაციის სისტემას უნდა ჰქონდეს შემდეგი თავისებურებები: უმაღლესი შესრულება უნდა იყოს გონივრულად დაჯილდოებული და სათანადოდ უნდა იყოს აღიარებული. თუ შესრულება არ არის თანმიმდევრულად ადეკვატური, მაშინ სისტემამ უნდა უზრუნველყოს ჯარიმების დებულებები. თანამშრომლებს უნდა მოექცნენ სამართლიანად, მათ წინაშე არსებული საჩივრები და დაბრკოლებები სამართლიანად და მყისიერად უნდა განიხილებოდეს.

ინდივიდუალური თანამშრომლის მიზნები უნდა იყოს ჰარმონიზებული კომპანიის მიზნებთან.მოტივაციური სისტემა უნდა შეიცვალოს სიტუაციისა და ორგანიზაციის მიხედვით. სამუშაოები უნდა შეიცვალოს ან რესტრუქტურიზდეს სიტუაციის მოთხოვნის შესაბამისად. მენეჯმენტის მიდგომა უნდა იყოს მონაწილეობითი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული უნდა იყოს ყველა დაქვემდებარებული და თანამშრომელი.მოტივაციის სისტემა უნდა მოიცავდეს როგორც ფულად,ისე არაფულად ჯილდოს."მოტივაცია მოახდინეთ თქვენი თანამშრომლების მოტივაციისთვის"-ეს უნდა იყოს მენეჯერული მიდგომა. მენეჯერებმა უნდა დაადგინონ მოტივატორები თითოეული თანამშრომლისთვის.

ბიზნესის მდგრადი განვითარება ამჟამად მოიცავს, სხვა საკითხებთან ერთად, პერსონალის მოტივაციის სისტემის ეფექტურად გამოყენებას.

ბევრმა მეცნიერმა დაამტკიცა, პერსონალის მოტივაციის საჭიროება ორგანიზაციაში, მაგრამ ერთიანი, უნივერსალური მიდგომა, რომელიც ნებისმიერ საწარმოში გამოიყენება არ არსებობს მოტივაციის მიზნები შეიძლება დაიყოს ობიექტის მიხედვით: თანამშრომლის მიერ დასახული მიზნები და მიზნები, რომელიც ორგანიზაციის მიერ არის დადგენილი.თუ ამ უკანასკნელს გავითვალისწინებთ, მოტივაციის მთავარი მიზანი არის იმ პირობების შექმნა, რომელიც თანამშრომელს უბიძგებს ქმედებებისკენ, მაქსიმალური ეფექტისათვის. საწარმოს თანამშრომლის თვალსაზრისით მოტივაციის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მათი პირადი საჭიროებები. შესაბმისად, პერსონალის მოტივაციის სისტემაში თითოეულ მხარეს აქვს პირადი მიზნების მიღწევის ინტერესი. უცხოური გამოცდილება საკმაოდ საინტერესო პუნქტია პერსონალის მოტივაციის შესწავლაში. დღესდღეობით, ევროპული სტანდარტების გამოყენების აქტიური პროცესის ფარგლებში, ბევრი შიდა ორგანიზაცია ხშირად ქმნის საფუძველს პერსონალის მოტივაციის სისტემის განვითარებისათვის გამოიყენონ წარმატებული უცხოური გამოცდილება.

როგორ მოვახდინოთ თანამშრომლების მოტივაცია? - ამის შესახებ კომპანია GOOGLE-მა ჩაატარა გამოკითხვა და ასეთი შედეგი მიიღო. პერსონალის

უპირატესობებია: მოქნილი სამუშაო საათები, სამუშაო და ოჯახური გარემოს შეთავაზება,ტრენინგები,რომელიც ეხმარება პიროვნებას ნიჭის განვითარებაში.სახლიდან მუშაობის გამოცდილება, სრული თუ ნაწილობრივი, ასევე იყო ერთ-ერთი უპირატესობა. კომპანია GOOGLE არის 40%-ით უფრო პროდუქტიული, ვიდრე საშუალო კომპანია და არა იმიტომ,რომ ის ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური თანამშრომლების დაქირავებაზე, არამედ მისი მოტივაციის სტრატეგიის გამო. აქ შეგვიძლია ვიპოვოთ ნაცნობი მოტივატორები. როგორიცაა: შერიგების ხელშეწყობა, გამჭირვალობა, წვლილის შეტანა მუშაკების მუდმივ გაუმჯობესებაში ტრენინგების საშუალებით და ა.შ.

მაგალითად: ფინანსური დახმარება იმ თანამშრომლებისათვის, რომლებსაც სურთ შვილად აყვანა; მათთვის მაღალი ხარისხის გასტრონომიული შეთავაზების გაკეტება კომპანიის სასადილოებში; გარდაცვლილი თანამშრომლის მეუღლის ხელფასის 50%-ით უზრუნველყოფა მისი გარდაცვალების შემდეგ 10 წლის განმავლობაში. ბევრი კომპანია დღეს GOOGLE-დან იღებს იდეებს,როგორი დამოკიდებულება ჰქონდეთ პერსონალთან.

GOOGLE-ში მუდმივად არიან მოწოდებულნი თანამშრომლების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, გამოკითხვის სისტემებისა და კონსულტანტების მეშვეობით. უზრუნველყოფენ საუკეთესო მენეჯერების დაჯილდოებას და ამავე დროს უზრუნველყოფენ საჭირო მხარდაჭრასა და მითითებებს თანამშრომლებისათვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ, მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად. მსგავს სიტუაციაში თანამშრომლებისთვის სხვადასხვა სახის ვირტუალური ტრენინგის ან ფსიქოლოგიურ სერვისებზე წვდომის შეთავაზებას აკეთებენ.Google-ში თანამშრომლებს შეუძლიათ მისვლა,როცა სურთ. კომპანია მოწოდებულია მოდუნებული,კრეატიული და სახალისო სამუშაო გარემოსთვის, რასაც ფსიქოლოგიური სარგებელი მოაქვს თანამშრომლებისთვის. ბევრი კომპანია დღეს GOOGLE-დან იღებს იდეებს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდეთ პერსონალთან.[1]

როგორ აძლევს მოტივაციის ძალას Facebook თავის თანამშრომლებს? Google-ისგან განსხვავებით Facebook არც ისე სრულყოფილია.მისი ბევრი თანამშრომელი ხაზს უსვამს სამუშაოს და თავისუფალი დროის ვერ დაბალანსებას,რას მათთვის არაკომფორტულია.ასეთმა სამუშაომ, საშუალოვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს სტრესისა და შფოთვის ნიშნები,რაც მხოლოდ შეამცირებს მათ მოტივაციასა და პროდუქტიულობას.თუმცა Facebook ბევრ სტიმულს სტავაზობს თავის თანამშრომლებს.მარკ ცუკერბერგის Facebook-ის ყველაზე ღირებული უპირატესობა ჭკვიანი ადამიანების გარემოცვაა,კარგი სამუშაო გარემო და უფასო საკვების შეთავაზება. ასევე Facebook-ის კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს: ვიდეო თამაშებს, ახალბედა მშობლებს 4000 დოლარს, ელექტრო ავტომობილების უფასო პარკინგი და დამუხტვის ან ქიმწმენდის მომსახურებას. გარდა ამისა, Facebook მეცნიერებს სთავაზობს უფასო საცხოვრებელს და მათ კომფორტულად გადაადგილებას.[2]

Mars Iberia ზედიზედ ორი წელია შეირჩა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო კომპანია სამუშაოდ ესპანეთში და ეს სულაც არ არის შემთხვევითი. მთელი რიგი მიზნებისა და სხვადასხვა პრიზების მეშვეობით Mars-მა წაახალისა კონკურენტუნარიანობა და გუნდური სულისკვეთება. Mars-მა ურჩია სხვა კომპანიებს,რომ თანამშრომლის მოტიაციისთვის არ არის საჭირო დიდი ბიუჯეტი, არის პატარა ზომები, რომელთა განხორციელება მარტივია.მაგალიად: უნდა გამოავლინოთ,თითოეული თანამშრომლის ძლიერი მხარე და მათ შეთავაზოთ ისეთი ამოცანების გადაწყვეტა,რომელი საქმეც მათ მოწონთ. მათი პროდუქტიულობა გაიზრდება თუ ისინი იმ საქმეს დაუთმობენ დროს,რომელიც მოწონთ.მოქნილი განრიგი:მიეცით თანამშრომლებს გეგმები და უფლება მართონ სამუშაო დრო ისე,როგორც მათ სურთ,თუ მათ ჰყავთ ბავშვები ან აქვთ სამეცადინო,ან უბრალოდ გადაუდებელი საქმე აქვთ გასაკეთებელი, ისინი ამ შეთავაზებას აუცილებლად დააფასებენ.თქვენი თანამშრომლებისთვის ავტონომიის მინიჭება, რა თქმა უნდა, მათ მოტივაციას გაზრდის,თუმცა შესაძლოა,მათ ასევე შეცდომები დაუშვან. შეეცადეთ, მშვიდად მიუდგეთ ამ საკითხს და დაეხმარეთ მათ შეცდომების შეძლებისდაგვარად დაკორექტირებაში. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ნებისმიერ დროს ყველაზე მეტად დაგეხმარებათ არის ჯგუფური მუშაობა. იმუშავეთ შთაგონებით: გააძლიერეთ თქვენი თანამშრომლების კრეატიულობა, შემოგთავაზონ იდეები. მათ ნიჭზე ფსონი შთააგონებთ მათ, იყვნენ უფრო პროდუქტიულები. მაგალითად: მათ შეუძლიათ შემოგთავაზონ ახალი გზები, ახლა, პანდემიის დროს, როდესაც გუნდის დიდი ნაწილი სახლიდან მუშაობს. [3]

აღნიშნულ კომპანიებში დანერგილი მოტივაციის სტრატეგიები, გამართელბულია. მათ ჰყავთ პერსონალი, რომლის 90%კმაყოფილია თავის სამსახურით. თითოეულმა კომპანიამ რომელთაც სურთ ჰყავდეთ მოტივირებული პერსონალი, უნდა მიბაძონ და მაგალითები უნდა აიღონ წარმატებული კომპანიებისგან, თუმცა ასევე აუცილებელია, საკუთარი სტრატეგიული გეგმაც შეიმუშაონ.

ნებისმიერი კომპანიისთვის დასახული მიზნების მიღწევა და გეგმების მჭიდრო წარმატებით განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია მოტივირე-

1 Tutorialspoint.com, "Motivation in the Business World"
2 MAKUSHKIN, Sergey A., "Company's personnel motivation", 2019, Revista ESPACIOS
3 Researchleap.com, "Theories of Motivation and Their Application in Organizations: A Risk Analysis"

ბულ თანამშრომლებზე და მათ მიერ მოვალეობების ენთუზიაზმით შესრულებაზე. კარგად აგებული მოტივაციის სისტემა არის მნიშვნელოვანი ელემენტი ყველა კომპანიისთვის, განსაკუთრებით ქართული კომპანიებისთვის, რომლებიც აწყდებიან უამრავ სერიოზულ ფინანსურ პრობლემას მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. ქართულ ბიზნესკომპანიებს პერსონალის მოტივაცია საშუალებას მისცემს განახორციელონ ხარჯების ოპტიმიზაცია და უზრუნველყონ თანამშრომლელთა შრომის ეფექტიანობის ამაღლება.

საქართველოში ბიზნესკომპანიებში იყენებენ ძირითადად იყენებენ პერსონალის მოტივაციის სამ ტიპს. ესენია:

- პრემიები, რომლებიც არის სუბიექტური.
- პირდაპირი მატერიალური მოტივაციის სისტემა
- შრომის ანაზღაურების პირდაპირი დამოკიდებულება შრომის შედეგებზე.[4]

პრემიები, რომლებიც არის სუბექტური - ეს გულიხსმობს იმ განყოფილებების" მუშაობის" დაფასებას, რომლებიც პირდაპირ გავლენას სრულებით არ ახდენს კომპანიის მოგების წილზე. არსი არის ის, რომ თანამშრომლებს ერიცხებათ პრემიები თუ მათ არ აქვთ შეცდომა, ასრულებენ სამუშაოს მაღალი ხარისხით და მათი სამუშაო სრულდება დროულად.

პირდაპირი მატერიალური მოტივაციის სისტემა - ეს გულისხმობს ხელფასის საბაზრო განაკვეთს და ბონუსს. სწორედ, ცვლადი ნაწილი, ბონუსი უზრუნველყოფს ერთ-ერთ მოტივაციის ინსტრუმენტს კომპანიებში.

რაც შეეხება შრომის ანაზღურების პირდაპირ დამოკიდებულებას შრომის შედეგებზე, ეს არის მოტივციის ერთ-ერთი ტიპი, რომელსაც ქართულ კომპანიებში იყენებენ. რაც გულისხმობს ხელფასის გამომუშავებას. ზოგიერთ ქართულ ბიზნესკომპანიაში გავრცელებული მიდგომაა: "იმუშავე ბევრი-მიიღე მეტი".

კვლევა განხორციელდა შპს "ალტაში" მომუშავე ადმინისტრაციასთან. "ალტა" იმპორტირებულ ელექტროტექნიკას ყიდის, როგორც საცალო და საბითუმო ქსელში, ასევე კორპორატიულ მომხმარებლებზეც. პროდუქციის ძირითადი ხაზი არის: სმარტფონები, ლეპტოპები და ტელევიზორები. თუმცა მათ ასევე აქვთ: მაცივარი,სარეცხი მანქანა,კონდიციონერი,გაზქურა და სხვა საყოფაცხოვრებლო ტექნიკა.

ასევე გამოკითხული იქნა „ტრეიდინგის" თანამშრომლები. "შარმ ტრეიდინგი" არის წამყვანი სადისტრიბუციო კომპანია საქართველოში. მინიჭებული აქვს მსოფლიოში წამყვანი ბრენდების დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება. ესენია: Henkel, Schwarzkof, Unilever და სხვა. ამ კომპანიის ფილიალები ფუნქციონირებს საქართველოს ყველა დიდ ქალაქში.

კიდევ ერთი ჩემი გამოკითხვის საინტერესო ობიექტი იყო „ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი". დღეს ის ერთ-ერთი ლიდერი საგანმანათლებლო ქსელია საქართველოში.

კვლევის პროცესში გამოკითხული იქნა 80 რესპოდენტი. გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტთა სქესობრივი ბალანსი თითქმის თანაბარი იყო. (დიაგრამა 2.1). მათ შორის ძირითადად აქტიურობდნენ 22-38 წლამდე ადამიანები, თუმცა უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ სხვა ასაკობრივი ჯგუფებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. (დიაგრამა 2.2)




**დიაგრამა 2.1. გენდერული ბალანსი**




**დიაგრამა 2.2. ასაკობრივი ჯგუფები**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი,რომლესაც ჩემი კითხვა ეხებოდა ეს იყო კმაყოფილები არიან თუ არა რესპოდენტები საკუთარი სამსახურით? გამოკითხულთა 50% პროცენტმა მიპასუხა, რომ არ იყო კმაყოფილი საკუთარი სამსახურით. 35% კმაყოფილია სამსახურით, ხოლო დანარჩენ 15%-მა ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა. (იხ.დიგრამა 2.3)




**დიაგრამა 2.3. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი სამსახურით?**

4 Chokheli E., The Peculiarities of the Employee Behavior Management in Multinational Companies (the Case of Georgia), 2014

შემდეგი კითხვა ეხებოდა მოტივატორებს,თუ რამ გამოიწვია მათი იმ ორგანიზაციაში მუშაობა. რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა, 55%-მა, განაცხადა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მაღალანაზრაურებადი სამსახური, 35% ფიქრობს კარიერულ ზრდა-განვითარებაზე, დანარჩენი 10% მუშაობს,რათა კარგი კოლექტივი ჰყავთ. (იხ.დიაგრამა 2.4)




**დიაგრამა 2.4 რა ფაქტორმა გამოიწვია ორგანიზაციაში მუშაობა?**

საინტერესო პასუხები მივიღე კითხვაზე რა გზა იქნებოდა ეფექტიანი თქვენი მოტივაციის ასამაღლებლად. გამოკითხულთა 40%-ს მოტივაციის ასამაღლებლად სჭირდება ფულადი წახალისება. 31,25%-ს სჭირდება მოქნილი სამუშაო გრაფიკი ან დასვენების დღეების დამატება,17,5%-ს პერსონალური საჩუქრები, 7,5%-ს დისტანციურად მუშაობა, 3,75%-ს მიაჩნია, რომ მათი მოტივაციის ასამაღლებლად დასჯაა საჭირო. (იხ.დიაგრამა 2.5)




**დიაგრამა 2.5 რა გზა იქნებოდა ეფექტიანი თქვენი მოტივაციის ასამაღლებლად.**

საინტერესოა სტატისტიკა იმის შესახებ თუ რა ღონისძიებებს მიმართავს კომპანია თანამშრომელთა წახალისებისთვის. გამოკითხულთა 42.5% აღნიშნავს,რომ კომპანია წამახალისებლად იყენებს ფულად ბონუსებს. 37.5% აღნიშნავს, რომ კომპანია წამახალისებლად იყენებს სიტყვიერ შექებას. 13.75% ამბობს, რომ მათი მოტივაციის ასამაღლებლად კომპანია უზრუნველყოფს მათი კარიერული განვითარების დაფინანსებას. დანარჩენი, 6.25%, აღნიშნავს რომ კომპანია მათ მამოტივირებლად იყენებს დაამტებითი შვებულების დღეებს. (იხ. დიაგრამა 2.6.)




**დიაგრამა 2.6. კომპანიების მიერ გამოყენებული მამოტივირებლები**

საკმაოდ მნიშვნელოვანი კითხვა იყო რამდენად კმაყოფილები არიან ხელფასით. რესპოდენტთა 33,75% აღნიშნა რომ მათი ამჟამინდელი ხელფასით ძალიან კმაყოფილი არიან, 52,5%-თვის მათი ხელფასი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, დანარჩენი 13,75%-არის ის ნაწილი, ვისთვისაც ხელფასი არადამაკმაყოფილებელია. (იხ.დიაგრამა 2.7)




**დიაგრამა 2.7. რამდენად კმაყოფილები ხართ ხელფასით?**

კიდევ ერთი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში - მიმდინარეობს თუ არა თქვენ ორგანიზაციაში სწავლების, ტრენინგის, გადამზადების კურსები და რამდენად ხართ ჩართული მასში? გამოკითხულთა 58,75%-მა თქვა, რომ მათთთვის არავის უცნობებია მსგავსი აქტივობებების შესახებ, თუმცა აუცილებლად ჩაერთვებოდნენ. 28,75%-მა აღნიშნა,რომ მათ ორგანიზაციაში ტარდება ტრენინგები,12,5%ამბობს,რომ მათ ორგანიზაცია ჰპირდებათ მსგავსი




**დიაგრამა 2.8: მიმდინარეობს თუ არა თქვენს ორგანიზაციაში სწავლების, ტრენინგის, გადამზადების კურსები და რამდენად ხართ ჩართული მასში?**

ტრენინგების ჩატარებას მომდევნო წელს. (იხ.დიაგრამა 2.8)

კვლევის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი, რომ ქართულ ბიზნესკომპანიებში მოტივაციის სისტემა საკმაოდ დასახვეწია. მნიშვნელოვანია, ქართული კომპანიების ხელმძღვანელებმა შეისწავლონ უცხოეთის კომპანიების გამოცდილება. ეს დაეხმარებათ, რომ მათი ბიზნესკომპანიები იყვნენ კონკურენტუნარიანები,როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

დღეს, სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში, ნებისმიერი ბიზნესკომპანიის წარმატება

დამოკიდებულია თანამშრომელთა ვალდებულებების გაზრდაზე,რაც თავის მხრივ გულისხმობს იმას,რომ თანამშრომლებს შესაბამისი მოტივაციაც უნდა შეუქმნან კომპანიებმა.

თუ ბიზნესს სურს გაიზარდოს და იყოს წარმატებული, მაშინ მათ უნდა მოძებნონ გზები და გამოიყენონ თანამშრომლების ძალისხმევა. ამრიგად თანამშრომელთა მოტივაცია იქცევა

ურთიერთობის და ბიზნესკომპანიების წარმატების მთავარ საკითხად. ქართულ ბიზნესკომპანიებში მოტივაცია აქვთ იმ თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ

უმაღლეს მენეჯერულ პოზიციებზე. თანამშრომლები, რომლებიც გრძნობენ, რომ მათ აქვთ მაღალი ავტონომია სამუშაო ადგილზე უფრო მოტივირებულნი და ერთგულები არიან სამუშაოს მიმართ. ქართულ ბიზნესკომპანიებში მოტივაციის სისტემის განვითარების ბევრი შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს. ესენია:

- კომპანიები იშვიათად იყენებენ რაიმე ინსტრუმენტს თანამშრომლეთა სტიმულირებისათვის.
- დაბალი ანაზღაურება.
- არაეფექტური კომუნიკაცია თანამშრომლებთან.
- გამჭირვალობის ნაკლებობა.
- ავტონომიისა და მრავალფეროვნების ნაკლებობა.
- თითქმის არცერთ ქართულ ბიზნესკომპანიას არ აქვს ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი და ფსიქოლოგიურად მშვიდი გარემო თანამშრომლებისათვის.
- ორგანიზაციული გარემო-სამუშაო დიზაინი, ანაზღაურება და მართვის სტილი არის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც უნდა გამოიწვიო თანამშრომელთა კმაყოფილება და მოტივაცია. 95%ბიზნესკომპანიებისა საერთოდ არ ითვალისწინებს ორგანიზაციულ გარემოს.
- იშვიათია სიტყვიერი, მატერიალური და ფულადი ჯილდოები და სხვა.
- ქართული კომპანიების უმრავლესობა არ იყენებს ან იყენებს მოძველებული მოტივაციის მეთოდებს თანამშრომლების სტიმულირებისათვის, მაშინ როცა მსოფლიოში არის კომპანიები, რომლებიც იყენებენ ორგანულ და ინოვაციურ ტექნიკებს თანამშრომლეთა მოტივაციის გასაზრდელად.[5]

საქართველოში მოტივაციის სისტემის განვითარებას ასევე ხელს უშლის ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელების მიდგომებიც. ისინი ფიქრობენ,რომ თანამშრომლისთვის

- ფიზიოლოგიური საჭიროებები;
- უსაფრთხოების საჭიროებები;
- პატივისცემის მოთხოვნა;

5 "მოტივაციის გავლენა შრომის ეფექტიანობაზე, დასაქმებულთა მოტივაციის ზრდის საშუალებები", გვანცა ილურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

● სიყვარულის საჭიროება;

ეს არის მეორეხარისხოვანი. მათთვის „მსახურის"უპირველესი მოთხოვნაა თვითაქტუალიზაცია და შემდეგ სხვა დანარჩენი.

გარდა ამისა, კომპანიები იშვიათად ცდილობენ ლიდერ თანამშომლებს შესთავაზონ სასწავლო პროგრამები, კონფერენციები. კომპანიებში თანამშრომლების უმეტესობა არ არის ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. მხოლოდ რამდენიმე, მაღალ პოზიციაზე არსებული თანამშრომლები აწოდებენ ხელმძღვანელებს იდეებს. ეს კი ბიზნესკომპანიას გარკვეულწილად უკარგავს წარმატების შანსს. კიდევ ერთი დემოტივატორი ქართულ ბიზნესკომპანიებში არის სამუშაო გრაფიკი. თანამშრომლებს ხშირად უწევთ ზეგანაკვეთურად მუშაობა მატერიალური და/ან არამატერიალური წახალისები გარეშე.

ცნობილი ფრანგი მწერლის დე მოტევილის (1621-1681) მიხედვით: "ჩვენი ბედნიერების ჭეშმარიტი გზაა გვიყვარს ჩვენი საქმე და ვპოულობთ მასში ჩვენს სიამოვნებას." ქართულ ბიზნესკომპანიებს ალბათ, წაკითხული აქვთ დე მოტევილის ეს ფრაზა და სწორედ, ამ მიზეზის გამო ეძებენ კომპანიებში თანამშრომლებს, რომლებიც გატაცებულნი არიან თავიანი საქმით. ისინი ითხოვენ მაღალი დონის თვიტმოტივაციას სამუშაოს განმცხადებლისაგან. თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ თანამშრომელს მაღალი მოტივაცია აქვს დასაქმებიდან სამი თვის განმავლობაში. და მაშინ, თუ არ არსებობს მასტიმულირებელი საშუალებები ორგანიზაციის მიერ განლაგებული, მოტივაცია მცირდება.

ამრიგად, მოტივირებული თანამშრომელი აუცილებელი პირობაა ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებისათვის. ამისათვის საქართველოს ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელებმა საჭიროა, გაითვალისწინონ უცხოური წარმატებული კომპანიების მაგალითები, მიიღონ მთელი რიგი ღონისძიებები ეფექტური სისტემის შესაქმნელად და უზრუნველსაყოფად, რომელიც გავლენას ახდენს თანამშრომლების ინდივუდუალურ შესრულებაზე, შესაბამისად, სათანადო პროცესების დროული შეფასება და ღონისძიებების გატარება საჭირო.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. „მოტივაციის გავლენა შრომის ეფექტიანობაზე, დასაქმებულთა მოტივაციის ზრდის საშუალებები", გვანცა ილურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

2. Tutorialspoint.com, "Motivation in the Business World"

3. MAKUSHKIN, Sergey A., "Company's personnel motivation", 2019, Revista ESPACIOS

4 Researchleap.com, "Theories of Motivation and Their Application in Organizations: A Risk Analysis"

5. Chokheli E., The Peculiarities of the Employee Behavior Management in Multinational Companies (the Case of Georgia), 2014.

# მსოფლიო ქვეყნების მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის გამოცდილება

**_ირაკლი ჯანგავაძე_**
_ეკონომიკის დოქტორი_
_სტუ-ის ასისტენტ პროფესორი_

**_ნინო ჯარიაშვილი_**
_სტუ-ის დოქტორანტი_

**რეზიუმე**

თანამედროვე გლობალური სამყარო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა გონივრული გადაჭრის გზებს მეცნიერ-მკვლევართა დიდი ნაწილი მწვანე ეკონომიკის მშენებლობაში მოიაზრებს, ხოლო ოპენენტები გარემოზე ზრუნვას, ახალი ეკონომიკური ქაოსის წარმოშობის შიშით, ეკონომიკის განვითრების შემაფერხებელ ფაქტორადაც კი განიხილავენ. მათი აზრით, გარემოზე ზრუნვა ეწინააღმდეგება ეკონომიკურ ზრდას, რაც ხელს უშლის ადამიანთა საერთო მიზნისკენ სწრაფვას.

საბედნიეროდ, კრეატიული საზოგადოება ბუნებას, ეკონომიკასა და საზოგადოებრივ განვითარებას შორის არსებულ კორელაციურ კავშირს მწვანე ეკონომიკის ჩამოყალიბებით ავითარებს. გარემოზე ზრუნვა, როგორც ეკონომიკური განვითარების ფაქტორი, ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ზემოქმედებს. თავის მხრივ, რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილებები, დადებითად ზემოქმედებენ ბუნებაზე, რომელსაც ეფუძნება კიდეც ე.წ. მდგრადი განვითარების საუკეთესო მოდელი „მწვანე ეკონომიკის“ სახით.

ასე რომ, გარემო და ეკონომიკა, როგორც თანამედროვე საზოგადოების განვითრების ორი ძირითადი მდგენელი, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებისა და გრძელვადიანი განვითარების ძირითად პილარს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, განახლებადი ენერგიები, ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება.

**THE EXPERIENCE OF TRANSITION OF WORLD COUNTRIES TO GREEN ECONOMY**

**Irakli Jangavadze**
PHD in Economics
Assistant professor at GTU
**Nino Jariashvili**
PhD student at GTU

**RESUME**

The modern global world faces with a number of challenges, that a large number of scientists and researchers think about some ways to solve in the building of a green economy, while the opponents, fearing the emergence of the new economic chaos, consider to care for the environment as a factor hindering the development of the economy. According to them, caring for the environment is opposed to economic growth, that interfering people from striving for special common goals.

Thankfully, the creative community is developing the correlation between nature, economy and social development by building a green economy. Caring for the environment as a factor of economic development affects people’s health and life expectancy. On the other hand, rational economic decisions have a positive impact on the nature, that is also based on the best model of sustainable development in the form of “green economy”.

Thus, the environment and the economy, as the two main determinants of the modern society development, are the main pillars of raising public welfare and the long-term development.

**Keywords:** Green economy, sustainable development, renewable energies, economic growth, economic development.

**ძირითადი ტექსტი**

დღის წესრიგში დგას ორი ძირითადი მიმართულება, სადაც მოკლევადიანი ამოცანების პრიორიტეტულობას გრძელვადიანი ამოცანები ანაცვლებს. ესენია:

1. **ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება**, რაც შესაძლებელია განახლებადი, ალტერნატიული ენერგიების გამოყენებითა და ძველი ამოწურვადი რესურსების გაფრთხილებით.
2. **გარემოზე ზრუნვა,** რაც ნახშირბადის შემცირებითა და კლიმატის ცვლილებით შედეგების შემცირებაში ვლინდება. აქ მნიშვნელოვანია ნარჩენების რაციონალურად გამოყენება, მანამ სანამ იგი უსაფრთხო ფორმით არ დაუბრუნდება დედამიწას.

დაბალგანვითარებული ქვეყნების უმრავლესობა კმაყოფილია, რომ მათ სამუშაო ადგილები გაუჩნდათ და აქამდე არარსებული ენერგიები მზის, ქარის, წყლისა და ბიო ნარჩენების საშუალებით გამოიმუშავეს.

მწვანე ეკონომიკის ძირითადი მიზნებია:

❖ ბუნებრივი რესურსების უყაირათო მოხმარების შემცირება, შესაბამისად გონივრული გამოყენების ზრდა.

❖ ეკოლოგიურად სუფთა წარმოების/მოხმარების სტანდარტისა და პრაქტიკის დამკვიდრება.

❖ მწვანე ინვესტიციების მოზიდვა.

❖ მწვანე სამუშაო ადგილების შექმნა.

❖ ცოცხალი ორგანიზმების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

❖ გარემოზე უარყოფით ზეგავლენის შემცირება (გარემოს დეგრადირების და ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის შეფერხება).

❖ ეკონომიკის მდგრადი განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა, და სოციალური უთანასწორობის შემცირება, საბოლოო ფორმით კი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება.

გაეროს განვითარების პროგრამის მიხედვით, რომელსაც ევროკავშირის პოლიტიკაც უერთდება, მწვანე ეკონომიკის მართვა ფისკალური ინსტრუმენტების სამი მექანიზმის გამოყენებით არის შესაძლებელი:

1. **შემოსავლების შეგროვება** - მოიცავს გადასახადებს, როგორიცაა: გარემოსდაცვითი, სამომხმარებლო, ნაგავსაყრელის, ნარჩენების მართვის გადასახადები და სხვ.

2. **ხარჯვითის სხვადასხვა პოლიტიკა** - სუბსიდიები, გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, სახელმწიფო შესყიდვები, კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის პარტნიორობა.

3. **ბაზარზე დაფუძნებული რაციონალური მექანიზმები** - ხელს უწყობენ ბაზრის მონაწილეებს, მყიდველსა და გამყიდველს, შუამავალ პირებს, რომ მათ შორის მოხდეს გარიგებები მთავრობის მიერ დადგენილი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით. არსებობს დამბინძურებლების წამახალისებელი ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც მწვანე ინოვაციების შექმნის შემთხვევაში თავისუფლდება გადასახადებისაგან. ასეთი პრაქტიკული და აპრობირებული მაგალითია პლასტიკის პარკების უფრო ეფექტურ, ეკოლოგიურად უსაფრთხო პარკებად გარდაქმნის იდეა. ზოგიერთ ქვეყანაში შემოიღეს პლასტიკის პარკების დაბეგვრა, რამაც ხელი შეუწყო ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების განვითარებასა და გავრცელებას. მათი არაპლასტიკური შემადგენლობის გათვალისწინებით მწარმოებლები გაათავისუფლეს პარკებზე დაკისრებული დაბეგვრისაგან და ზოგ შემთხვევაში გადასახადი უფრო შეუმცირეს.

საყურადღებოა იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთა მწვანე პოლიტიკა გაეროს ეგიდით იმართება. ესენია: სინგაპური, მავრიკი, სამხრეთ აფრიკა, ნეპალი, მონღოლეთი, მექსიკა, ინდოეთი, უგანდა, დანია, ვიეტნამი, კოსტა-რიკა, ჩინეთი, ეგვიპტე, ნორვეგია, ბრაზილია, კენია, გაიანა, განა. ყველა ცდილობს ჩაატაროს გეგმაზომიერი ეკონომიკურ-სამართლებრივი პოლიტიკა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

**სინგაპური** იყენებს გადასახადების შემცირების feet-bate ინსტრუმენტს ავტომობილების გაფრქვევების რაოდენობის საფუძელზე (GFEI - 2015). ლოგიკა მარტივია: რაც უფრო ნაკლებ გამოფრქვევას ახდენს ავტომობილი, მით მეტია საგადასახადო ფასდაკლება და პირიქით. ფისკალური პროგრამა მძღოლებს სტიმულს აძლევს გამოიყენონ ალტერნატიული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ან აირჩიონ განახლებადი ენერგიებით მიღებული საწვავი (მზის ენერგიაზე ან ჰიბრიდულად მომუშავე ტრანსპორტზე ან ავტოტრანსპორტზე), რომელსაც აქვს შედარებით ნაკლები გამონაბოლქვი (წყარო: სინგაპურის მთავრობა 2015 წელი). პოლიტიკის შემქმნელებისთვის დამაბინძურებლებზე გადასახადის დაკისრება არ არის ერთადერთი ინსტრუმენტი. ფისკალურმა პოლიტიკამ ასეთივე წარმატებით შეიძლება განახორციელოს პოზიტიური ცვლილება კომპანიებისა და ცალკეული პირების მასტიმულირებელი კიდევ ერთი პოლიტიკით, რასაც დაჯილდოვების მწვანე პოლიტიკა ჰქვია. ჯილდო მდგრადი მოხმარებისა და წარმოებისათვის გამოხატავს სუბსიდიების მოქმედების ერთგვარ წესს. სუბსიდირება ზრდის კონკურენციას და შესაბამისად პროდუქტის და მომსახურების რაოდენობას.

**მავრიკის** ქვეყნის მწვანე პოლიტიკის მიზანია, ნაკლებად იყოს დამოკიდებული წიაღისეული საწვავის იმპორტზე. ამისათვის, იგი ზრდის განახლებადი ენერგიიდან მიღებული ელექტროენერგიის წილს, ისე, როგორც ზრდის თავისი ელექტროქსელის ეფექტურობას. ეროვნული საკომისიო ტარიფი „Feed-in-Tariff" მცირე შინამეურნეობის დონის მწარმოებლისკენაა მიმართული (50 კვტ. მაქსიმალური გამომუშავება თითო კონტრაქტზე). ამ გზით, მავრიკი ადგილობრივ მწარმოებლებს უზრუნველყოფს შეღავათებით და ზრდის განახლებადი ენერგიის წყაროების წილს საერთო ენერგიაში. ტარიფის საფასურს ფარავს ფონდი, რომელიც ფინანსდება ნახშირბადის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების საშუალებებით (Heinrich Böll Stiftüng et al 2013). მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი სუბსიდია ხელს უწყობს საქმიანობას რომელსაც აქვს უარყოფითი გარემოსდაცვითი, ან სოციალური ზეგავლენა. კერძოდ, წიაღისეული საწვავის სუბსიდირება ხელს უწყობს ენერგიის ჭარბ მოხმარებასა და დაბინძურებას. მწვანე ეკონომიკაში გარემოსათვის მავნე სუბსიდიები იცვლება უფრო მდგრადი, მწვანე ინვესტიციებით.

აქვე საინტერესოა აკრედიტებული კომპანიების როლი, რომლებსაც შეუძლიათ გამოიმუშავონ ფულადი ანაზღაურებები დაბინძურების ერთეულების შემცირებით. აღნიშნულ საკითხს არეგულირებენ და ადასტურებენ სპეციალურად არსებული დამოუკიდებელი უწყებები. კომპენსაციების შეძენა შეუძლიათ ბაზრის აქტორებს, რომლებსაც დასახული

აქვთ სავალდებულო ან ნებაყოფლობითი მიზანი, ემისიების შემცირება (მაგ., თუ საწარმოო კომპანია მიზნად ისახავს ნახშირბადის გაფრქვევების შემცირებას საკუთარ საწარმოო სისტემაში, მაგრამ წარმოებისას წარმოქმნილი გაფრქვევების შემცირება რთულია). სხვა ადგილებში ემისიების შემცირებების უზრუნველყოფით (რეც ხდება დაფინანსების ხელშეწყობით) კომპანია ღებულობს ე. წ. მწვანე კრედიტებს. მას შეუძლია გამოიყენოს მოცემული კრედიტი არსებული ემისიების ჩასანაცვლებლად და გაფრქვევების შემცირებით მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

ჩვენს მიერ გამოწვეული ნახშირბადის ნაკვალევის დასათვლელად გაერომ, კლიმატის ცვლილებების შესახებ კონვენციით, შემოგვთავაზა ე.წ. **კალკულატორი** (Global Subsideis Initiative- www.iisd.org/gsi/interactive-maps). მისი დაანგარიშების შემდეგ, გაფრქვევების გასანეიტრალებლად და შესამცირებლად (United Nations Carbon offset platform) შესაძლებელია კრედიტის მოპოვება სხვადასხვა სამიზნე პროექტებისგან მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ფისკალური მექანიზმების გარდა, ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ინსტრუმენტები, რაც სახელმწიფო და კერძო ფინანსების მიმართვით ხდება იმ სექტორების და ინიციატივებისაკენ, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ მწვანე ეკონომიკაში. მაგალითად, 2011 წელს, **სამხრეთ აფრიკამ** შექმნა მწვანე ფონდი, რომლის მიზანია გრანტებისა და სესხების გაცემა საჯარო და კერძო სექტორებისათვის მწვანე ინვესტიციებისა და ეროვნული გეგმების მხარდასაჭერად (მწვანე ზრდის საუკეთესო გამოცდილების ინიციატივა (GGBP) 2014). ფონდმა გამოიწვია ძალიან დიდი დაინტერესება და დღემდე მისგან მხარდაჭერილია 19 საინვესტიციო პროექტი.

ერთ-ერთ სამაგალითო ქვეყანას მცირე მეურნეობის თვალსაზრისით წარმოადგენს **ნეპალი.** იგი გამოირჩევა ჩაის მეურნეობებით, რაც ჩაის ასზე მეტი ადგილობრივი მწარმოებელი ჯგუფის გადამზადებით აიხსნება. კომპანიებმა გაიარეს ტრენინგი ორგანული ჩაის სტანდარტებისა და სერთიფიცირების შესახებ. ამ ინიციატივით შესაძლებელი გახდა დაახლოებით 53 ათასი ტონა ჩაის წარმოება ექსპორტში მისი კომერციალიზაციისათვის. ეს გარიგება არამარტო სოციალურად და ეკოლოგიურად იყო დადებითი შედეგის მომტანი, არამედ ეკონომიკურად მომგებიანიც აღმოჩნდა ფერმერებისათვის. ამის მიზეზი იყო ქიმიურ საშუალებებზე ნაკლები თანხის დახარჯვა. სანაცვლოდ, ტრადიციული ჩაის საშუალო ეროვნულ ღირებულებასთან შედარებით, მათ ორჯერ მეტი თანხა მიიღეს თითო კილოგრამ ჩაიზე (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა 2012).

ეროვნული კანონმდებლობის გარდა, არსებობს მრავალი საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობაზე. ისინი ზოგჯერ საერთაშორისო რეგულირების მექანიზმების სახეს იღებენ. გარემოს დეგრადაცია სცდება ეროვნულ საზღვრებს და შესაბამისად საფრთხეს უქმნის ამა თუ იმ რეგიონის მრავალ ქვეყანას, კლიმატის ცვლილების შემთხვევაში კი, მთელი პლანეტა ექცევა მისი ზემოქმედების ქვეშ და ზარალდება. დღის წესრიგში დგას კარგი მეზობლის სტატუსის ქონა, რადგან ბუნებას არ აქვს საზღვრები. ყოველი სახელმწიფოს პოლიტიკა საკუთარი ქვეყნის გარდა სხვა ქვეყნისათვის ხდება საშიში. ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშავა გარემოსდაცვითი სამართლის ნორმები.

მდგრად განვითარებას, ინტეგრირებულ და ჰოლისტიკური დაგეგმვას მაშინ აქვს ადგილი, როცა მოქმედებს ინდივიდუალური გარემოსდაცვითი პრინციპი სახელად „დამბინძურებელი იხდის". მწვანე საავტომობილო სექტორით გამორჩეული ქვეყნები გარე წვის ძრავის მქონე მანქანების გადამუშავებიდან შიდა წვის მანქანების წარმოებაზე ერთვებიან. წიაღისეულ საწვავზე დაფუძნებული მოძრაობა თანდათან წარსულს ბარდება.

**ნორვეგიაში** მწვანე ეკონომიკის მასტიმულირებელ ბერკეტს წარმოადგენს ფისკალური სტიმულირების პოლიტიკა, რაც ელექტრო მანქანების წარმოება-მოხმარებაზე ვლინდება. ბოლო წლებში საზოგადოებრივმა პოლიტიკამ გამოიწვია სწრაფი გადასვლა წიაღისეული საწვავის ძრავებიდან ჰიბრიდულ და ელექტროძრავებზე. ამ უკანასკნელმა 2017 წელს ახალი ავტომობილების რეგისტრაციის ნახევარზე მეტი შეადგინა. აქ ფისკალური სტიმულირება მნიშნელოვანია, რადგან უფასო და სუბსიდირებულ პარკირებასთან ერთად, ახალი ელექტრომობილები თავისუფლდება თითქმის ყველა გადასახადისაგან. ქვეყანა ასევე თითქმის მთელ ელექტროენერგიას ჰიდროენერგეტიკისაგან გამოიმუშავებს, ამიტომ ეს ცვლილება ამცირებს ჰაერის დაბინძურებას და ნახშირბადის გამოყოფას.

ზოგიერთ ქვეყანას უკვე გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა. კერძდ, მათ უკვე განსაზღვრეს ნახშირბადის მფრქვეველების თითქმის სრული აკრძალვის წლები. მაგ: ნორვეგია -2025 წ.; ნიდერლანდები - 2025წ.; ინდოეთი - 2030 წ. განხილვის პროცესშია; შოტლანდია-2031 წ.; საფრანგეთი - 2040 წ.; საერთიანებული სამეფო -2040 წ.; ჩინეთი-მუშაობს განრიგზე, კალიფორნია- განხილვის პროცესშია და საქართველო -2030.

გამორჩეულ მწვანე ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს **მონღოლეთი.** მან შექმნა მწვანე საკრედიტო ფონდი, რომ ქვეყნის კერძო სექტორისათვის ჰქონდეს დაფინანსების საიმედო წყაროები. დააარსა მთავრობას და მონღოლური ბანკების ასოციაციას შორის თანამშრომლობის ფონდი, რაც მიზნად ისახავს მწვანე ინვესტიციებზე სესხის გაცემის პირობების და ინფორმაციული სერვისების გამარტივების შესაძლებლობებს. ამით სახელმწიფო

უზრუნველყოფს შეამციროს ხარჯები როგორც გამსესხებლებისთვის, ისე კრედიტორებისთვის და ბაზრის პირობების თანახმად გაუადვილოს ყველა მხარეს რელევანტურ ინფორმაციასთან წვდომა. მონღოლეთში მოღვაწე ორგანიზაციის წარმომადგენლობა „პარტნიორობა მწვანე ეკონომიკის ხელშესაწყობად (PAGE)" მხარს უჭერს მწვანე ეკონომიკაში მაკრომოდელირების და მდგრადი ფინანსების საბაკალავრო კურსების დაარსებას უნივერსიტეტებში. ამით უნივერსიტეტები ახდენენ სტუდენტების გადამზადებას მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

მწვანე წარმოების მეთოდებში ცვლილებების შესატანად საჭირო პოლიტიკის ინსტრუმენტებია:

❖ ტექნოლოგია და შესრულების სტანდარტები, სავალდებულო ანგარიშგება (ნარჩენებზე);

❖ ფისკალური წახალისება (არასასურველი პროდუქტების ხარჯების გაზრდა)

❖ შესაძლებლობების გაძლიერება უახლესი წარმოების მეთოდების გაგებისა და გამოყენების გასაფართოებლად.

აღსანიშნავია, რომ გაერო სთავაზობს დაინტერესებულ ქვეყნებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, შეცვალონ სასწავლო სისტემები რომელიც მოიცავს: პოლიტიკის კოორდინაციის გაძლიერებას, საჭირო უნარების განსაზღვრასა და განჭვრეტას, ინკლუზიური სასწავლო სისტემის შექმნას და სხვ.

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ მწვანე ეკონომიკის მშენებლობისთვის აუცილებელია, როგორც **ეკონომიკური განვითარება** (ანუ ეკონომიკის თვისებრივი სრულყოფა), ისე **ეკონომიკური ზრდა** (ანუ ეკონომიკის რაოდენობრივი მატება), თუმცა სულ უფრო გადამწყვეტი ხდება ეკონომიკური განვითარება. სწორედ თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკაში, ანუ ინოვაციური განვითარება, განაპირობებს კარდინალურ ცვლილებებს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჯანგავაძე ი. „ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები". თბ., გამომცემლობა „უნივერსალი". 2021. 365 გვ.
2. ჯოლია გ., ჯანგავაძე. ასიმეტრიული ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე რეალობა. ასოციაცია მეცნიერებისათვის. Vol. 4 Issue 4, 2022. https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.14
3. აბესაძე რ. „მწვანე" ეკონომიკა: არსი და გამოწვევები. კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თსუ. თბილისი. 2017
4. არნანია თ., კეპულაძე გ. „მწვანე" და „ლურჯი" ეკონომიკის კონცეფციები გლობალური დეფიციტის პირობებში. კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თსუ. თბილისი. 2017
5. მუხიგულაშვილი. გ., კვარაცხელია თ. ენერგიის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა. მსოფლიო გამოცდილება. თბ., 2013.
6. ტალიკაძე ნ. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია და საქართველოს პოზიცია გლობალურ მწვანე ეკონომიკაში.კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თსუ. თბილისი. 2017.
7. http://www.eiec.gov.ge
8. United Nations Environmental Programme: Green Economy// http://www.unep.org/greeneconomy/Portals/88/documents/research_products/briefingpapers/Ru_GE_HEALTH.pdf
9. WHO Global Ambient Air Quality Database (update 2018).

# ინოვაციური სტარტაპები განათლებასა და ბიზნესში

***ირინა ბენია***
*თბილისის ჰუმანიტარული*
*სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

***ლევან გაგვიშვილი***
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*აგრარული უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე სამყაროს ინოვაციური ინფრა-სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ზონაში Silicon Valey-ზე საქართველო წარმოდგენილია სტარტა-პით Pulsar AI, რომელმაც 2019 $1.2M ინვესტიცია მოიზიდა. Startup World Cup-ის ბათუმში 2022 წლის სექტემბერში გამართულ მსოფლიო მნიშვნელო-ბის კონკურსში პირველობა და სილიკონის ველზე გლობალურ ნახევარფინალში გამგზავრების შე-საძლებლობა ქართულ კომპანია Theneo-ს მიანიჭა, რომელიც მაღალი ხარისხის ინტერაქტიული API დოკუმენტაციის შექმნაზე მუშაობს. მსგავს ღონის-ძიებებში ჩართულობა მუნიციპალური გარდაქმნის ინოვაციური პორტფელის განვითარებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ სტარტაპების ეკოსისტემის შექმნას, ახალი ურბანული იდენტობის ჩამოყალი-ბებასა და მეწარმეობის კულტურის განვითარებას გულისხმობს. პანდემიის პირობებში სილიკონის ველზე შექმნილი სტარტაპები ეხმარება საზოგა-დოებას სოციალური პრობლემების წარმატებით გადაჭრაში. საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშ-ვნელოვანია ქვეყანამ დაიკავოს ინტელექტუა-ლური ნიშა და რეგიონში ინოვაციური ჰაბის როლი შეასრულოს.

**საძიებო სიტყვები:** ინოვაციური სტარტაპი, სტა-რტაპ ეკოსისტემა, იმერსიული სწავლება, სილი-კონის ველი, ინოვაციების ჰაბი, ვენჩურული კაპი-ტალი, აქსელერაცია, ინვესტიციები.

**ABSTRACT**

In the most important area of Innovative Infrastructure of the modern world Silicon Valley Georgia is represented by the startup Pulsar AI, which attracted $1.2 M investment in 2019. The Georgian company Theneo, which works on the creation of high-quality interactive API documentation, was awarded the first place in the Startup World Cup competition held in Batumi in September 2022 and the opportunity to travel to the global semi-finals in Silicon Valley. Participation in such events contributes to the development of an innovative portfolio of municipal transformations, which in turn implies the creation of an ecosystem of start-ups, the formation of a new urban identity and the development of an entrepreneurial culture. In the conditions of the pandemic, the startups created in the Silicon Valley help the society to successfully solve social problems. For the economy of Georgia, it is important for the country to occupy an intellectual niche and play the role of an innovative hub in the region.

**Kay words**: Innovative Startup, Startup Ecosystem, Immersive Learning, Silicon Valley, Innovation Hub, Venture Capital, Acceleration, Investment.

* * * *

თანამედროვე სამყაროს ინოვაციური ინფრას-ტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ზონას „silicon veli" ეწოდება, რომელიც სტენფორდის უნივერსიტეტის ბაზაზე ქ. სან-ხოსეში დაარსდა 1956წ. და უდიდესი ტექნოლოგიური კორპორაციებისა და სტარტა-პების სამშობლოდ იქცა, სწორედ აქ მდებარეობს ნახევარგამტარების ინდუსტრიის ძირითადი საწა-რმოები. რატომ ან როგორ დაერქვა სანტა-კლარას ველს "სილიკონის ველი"- რეგიონში დამზადებული ინტეგრალური მიკროსქემების ნახევარგამტარე-ბის ელემენტების ძირითად მასალას სილიკონი წარმოადგენს. აქ დაფუძნდა ისეთი ცნობილი ფი-რმები, როგორიცაა HP, GOOGLE, INTEL და ლეგენდა-რული APPLE.

ქართულმა სტარტაპმა **Pulsar AI** 2019წ. სილიკო-ნის ველზე $1.2M ინვესტიცია მოიზიდა. იყო ერთ-ე-რთი პირველი იმ კომპანიებს შორის, რომელმაც მი-იღო მხარდაჭერა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოდან (GITA). ქართული სტარტაპების **CARDEAL** (ავტომობილების აუქცი-ონის საერთაშორისო ბაზარი)-ისა და Cargon (ინტე-ლექტუალური ლოგისტიკური პლატფორმა)-ის წა-რმომადგენლები, 2021 წლის გაზაფხულზე „სილი-კონის ველზე" მიიწვიეს 500 Startups-ის ერთთვიან პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. გამარჯვე-ბული სტარტაპები 10 ფინალისტს შორის შეირჩა – CARDEAL, Cargon, Echolize, FINMAP, Intrro, LiveCaller, Nextsale, Phubber, Stack და Tripcars, მათგან უცხო-ური კომპანია სამია: აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან და არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან.

**500 Startups** ვენჩურული კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გლობალური კომპანიაა. დღი-

დან დაარსებისა 2010წ. ინვესტიციებს 77 ქვეყნის 2400–ზე მეტ კომპანიაში დებს. მის პორტფოლიოში შედის ისეთი „Unicorn“ სტარტაპები, როგორიცაა: Credit Karma, Canva, Talkdesk, Intercom, GitLab, Grab და Bukalapak. გარდა სტარტაპ დამფუძნებლებისა, **500 Startups** დახმარებას უწევს ქვეყნებს და კორპორაციებს ინოვაციური ეკოსისტემების განვითარებაში, რასაც სააქსელერაციო და საგანმანათლებლო პროგრამების, ღონისძიებებისა და პარტნიორობის მშენებლობით ახორციელებს მსოფლიო მასშტაბით.

2014წ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) შექმნით ცოდნაზე დაფუძნებული, ინოვაციური ეკონომიკური ხედვის განხორციელება დაიწყო. ამ მოკლე პერიოდში ეკო-სისტემა სწრაფად განვითარდა, რაც იმის ნიშანია, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპების შექმნისა და ხელშეწყობის მიმართულებით.

ქართული სტარტაპი **Pulsar AI** ავტო-ინდუსტრიაში ციფრული გაყიდვების სისტემების გლობალურმა ლიდერმა კომპანიამ **SpinCar**-მა იყიდა. ეს არის ყველაზე დიდი წარმატება ქართული ტექ-სტარტაპებისათვის. **Pulsar AI** პირველი ქართული ტექნოლოგიური სტარტაპია, რომელმაც საერთაშორისო ბაზარზე წარმატებულად შეძლო საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების გაყიდვა. ქართული სტარტაპის ღირებულება ამ შესყიდვით რამდენიმე ათეულ მილიონ აშშ დოლარად შეფასდა. **Pulsar AI** შექმნა მსოფლიოში მოწინავე **Conversational AI**-ის ტექნოლოგია - დიალოგების ავტომატიზაციის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ყველაზე მაღალი დონის პლატფორმა ავტომანქანის დილერებისთვის. **Pulsar AI**-ის ავტომატური კომუნიკაციის გადაწყვეტილების ინტეგრირება **SpinCar**-ის ინდუსტრიის ლიდერ ციფრული გაყიდვების პროდუქტებთან მნიშვნელოვნად ზრდის კომპანიის მიერ დილერებისათვის შეთავაზებულ სერვისებს, რაც ხელს უწყობს მეტი მომხმარებლის ინტეგრირებას ონლაინ გაყიდვებში. **Pulsar AI**-ის ტენოლოგიების ინტეგრირება მოხდება SpinCar-ის პლატფორმაზე და **Pulsar AI**-ის ყველა დასაქმებული განაგრძობს ტექნოლოგიის განვითარებას **SpinCar**-ის გუნდთან ერთად.

**SpinCar** ავტო-დილერებს და ავტო-ინდუსტრიაში მოთამაშე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს სთავაზობს თანამედროვე ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს ციფრული გაყიდვების სფეროში. კომპანია ქმნის ისეთ პროდუქტებს, სადაც კლიენტი ციფრულ სივრცეში იგივე გამოცდილებას იღებს, რასაც შოურუმში ვიზიტის დროს. **SpinCar**-ის მონაცემები და ციფრული ტექნოლოგია მთლიანად დაფუძნებულია კლიენტის ქცევაზე და ამიტომაც, ზუსტად ერგება ავტომობილის ყიდვის საუკეთესო გამოცდილებას. **Pulsar AI**-ის შესყიდვით, **SpinCar**-ის ოფისები წარმოდგენილი იქნება ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, თბილისში, მანჩესტერსა და ტორონტოში.

პანდემიის დროს, ლოქდაუნის პირობებში გამოიკვეთა მოთხოვნა დისტანციურ სწავლებაზე, ონლაინპლატფორმებით განათლების მიღება ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი შეიქნა. სილიკონის ველზე ახალ სტარტაპებს ჩაეყარა საფუძველი, რომელთაც უცებ შეიძინეს მომხმარებლები, მათ შორისაა: **Cashee,** ციფრული საბანკო პლატფორმა, დაარსდა 2020წ. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. ის ქმნის ხელშემწყობ პირობებს ფულად საკითხებში კარგად გარკვეული თინეიჯერი თაობისათვის. **Cashee** სპეციალიზირებულია საბანკო და ფინანსური განათლების პლატფორმის შემუშავებაში, რათა გააუმჯობესოს ახალგაზრდების ფინანსური ცოდნა MENA ჯგუფის ქვეყნებში (ახლო აღმოსავლეთი და ჩრ. აფრიკა). 13 წელზე უფროსი ასაკის მოზარდებს სთავაზობს უფასო ციფრულ საბანკო აპს და წინასწარ გადახდილ Visa ბარათს ფინანსურ სერვისებზე წვდომის გასაზრდელად, დაზოგვის კულტურის პოპულარიზაციისთვის და ახალგაზრდების მიერ ფულის მართვის გასაუმჯობესებლად. ასევე, მშობლებს აძლევს კონტროლის საშუალებას ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ბავშვების მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე სმარტ აპებში. საუდის არაბეთი ახდენს წილების შეძენას ახალგაზრდების ინტერესებზე ორიენტირებულ საბანკო და ფინანსური განათლების პლატფორმებში.

**Tempo Software** დაარსდა 2015 წელს აშშ-ში. ინტეგრირებული აპლიკაციები დროის და ბიუჯეტის მენეჯმენტისთვის, რესურსების და სტრატეგიული დაგეგმვისთვის, პროგრამის სამართვი პლატფორმის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისა და პროდუქტის მართვის გუნდებისთვის. მას ჰყავს 29000-ზე მეტი მომხმარებელი სხვადასხვა ინდუსტრიაში 100-ზე მეტ ქვეყანაში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისა და პროდუქტის მენეჯმენტის გუნდი Tempo იღებს ინვესტიციას Diversis Capital-ისგან.

**Talespin -** იმერსიული სასწავლო პლატფორმა ხელს უწყობს ნიჭის განვითარებას და უნარების მობილობას მომავალი სამუშაოსთვის. შექმნილია 2015წ. აშშ-ში. ის არის ვებ 3.0 ტექნოლოგიების ბაზრის სეგმენტის, Metaverse ტექნოლოგიებზე მზარდი მოთხოვნის ბენეფიციარი. იძენს ადაპტირებულ სასწავლო პლატფორმას Singularity Group-ისგან და ამატებს ახალ პერსონალს და კონსულტანტებს Singularity-დან. იმერსიული სწავლის მეთოდები ადაპტირდება სტუდენტის ინდივიდუალურ საჭი-

როებებთან რეალურ დროში, რათა დააკმაყოფილოს გლობალური უნარების საჭიროებები. Talespin იღებს ინვესტიციას WestRiver Group-ისგან და იძენს Pioneer ადაპტირებულ სასწავლო პლატფორმას Singularity Group-ისგან. დაფინანსების, ტექნოლოგიების შეძენის, ახალი თანამშრომლებისა და კონსულტანტების ინფუზია ხელს უწყობს იმერსიული სასწავლო პლატფორმის ზრდას. სივრცითი გამოთვლითი კომპანია, რომელიც სპეციალიზირებულია ცოდნის გადაცემისა და უნარების მობილურობაზე შეივსო ახალი დაფინანსებით WestRiver Group-ისგან (WRG). გარიგება ასევე მოიცავს Talespin-ის მიერ Singularity Group-ისგან “Pioneer Adaptive Learning Platform”-ს სტრატეგიულ შეძენას, ასევე Singularity-გან ახალი პერსონალისა და კონსულტანტების დამატებას.

არასტაბილურმა ფინანსურმა ბაზრებმა აიძულა კომპანიები სხვადასხვა ინდუსტრიებში, უფრო კონსერვატიულად მიუდგნენ ინვესტირებისა და ზრდის გეგმებს. Fortune 500 და Wall Street ემზადებიან პოტენციური ინფლაციით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნისთვის. ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც თამამად აგრძელებს ინვესტიციების ჩადებას ახალ პროექტებში, არის Metaverse, Web 3.0 ტექნოლოგიური ბაზრის სეგმენტი, რომლის ღირებულება 2024 წლისთვის 800 მილიარდი დოლარი უნდა იყოს. **Metaverse Technology Space**, სადაც კომპანიები, როგორიცაა **Meta, Microsoft და Cisco,** ინვესტირებას ახდენენ ტექნოლოგიებში, რომლებიც შექმნილია **იმერსიული სწავლების** გასააქტიურებლად. Metaverse ხდება პრიორიტეტი ტოპ მენეჯერებისთვის, რადგან კომპანიები ცდილობენ შეავსონ თავიანთი ნიჭის ხარვეზები და გამოიყენონ იგი თავიანთი ოპერაციების ოპტიმიზაციისთვის. Talespin არის ამ მზარდი მოთხოვნის ბენეფიციარი და WestRiver Group (WRG) უერთდება ინვესტორების მზარდ სიას, მათ შორის SEEK Investments, Cornerstone, Pearson, Accenture და Go1, რაც აჩვენებს მსოფლიო ლიდერების კოლექტიურ ინტერესს Metaverse-ზე სწავლისა და სამუშაო ძალის ტრანსფორმაციის მიმართულებით. Talespin-მა შეიძინა Pioneer Adaptive Learning (PAL) პლატფორმა Singularity Group-გან, ორგანიზაციისგან, რომლის მისიაა გააუმჯობესოს კაცობრიობა ექსპონენციალურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გარღვევის წარმოსახვით და შექმნის გზით, ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნას იმერსიული სწავლის მეთოდები, რომლებიც ახდენენ ინდივიდუალურ სტუდენტთა საჭიროებების რეალურ დროში ადაპტირებას. ეს ტექნოლოგია არის ტენდენციის კიდევ ერთი მაგალითი უფრო პერსონალიზებული და მოქნილი სასწავლო გადაწყვეტილებებისკენ, რომლებიც შექმნილია გლობალური უნარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ახალი დაფინანსება WestRiver Group-ისგან, ტექნოლოგიების შეძენა და Singularity-თან ურთიერთობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რათა ეკოსისტემის მხარდამჭერი პლატფორმა აშენდეს იმერსიული სწავლისთვის. ეს ტექნოლოგია გააფართოვებს კავშირებს, სწავლის პროცესში უკეთ მოემსახურება მომხმარებლებს.

**Talespin** აშენებს სივრცით-გამოთვლით პლატფორმას ნიჭის განვითარებისა და უნარების მობილურობისთვის მომავალი სამუშაოსთვის. 2015 წელს დაარსებული კომპანია იყენებს პლატფორმას, რათა კლიენტებს, პარტნიორებსა და ინდივიდებს შესთავაზოს სრული გადაწყვეტა იმერსიული სასწავლო შინაარსის შესაქმნელად, გავრცელებისა და ეფექტურობის გასაზომად.

**WestRiver Group** არის თემატურად ორიენტირებული საინვესტიციო პლატფორმა, რომელიც მართავს რესურსებს და აშენებს კომპანიებს გლობალურ ინოვაციურ ეკონომიკაში. მსოფლიოს ზოგიერთი ყველაზე გავლენიანი ინვესტორისა და სტეიკჰოლდერის მხარდაჭერით, ისინი კაპიტალს აერთიანებენ ლოიალურ ერთგულ კომპანიებში, რომლებიც თანამედროვე პრინციპების საფუძველზე ინოვაციებს იყენებენ გრძელვადიანი განვითარებისათვის, საზოგადოების სოციალური ფონის გაუმჯობესების, ინვესტიციების, ლიდერობისა და სოციალური პასუხისმგებლობისათვის.

**Singularity Group** არის გლობალური ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს ინვესტირებადი გახადოს ინოვაციები და გაიგოს, თუ როგორ აყალიბებს ტექნოლოგია ბიზნესს და საზოგადოებას. ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, Singularity მუშაობდა ტრანსფორმაციულ ლიდერებთან, მეწარმეებთან, კორპორაციებთან, არაკომერციულ ორგანიზაციებთან, მთავრობებთან, ინვესტორებთან და მეცნიერებთან, რათა **გამოიყენებინა ექსპონენციალური ტექნოლოგიების ძალა პლანეტარული მასშტაბის პოზიტიური გავლენის მოხდენის მიზნით.** Singularity-ის ქსელში 250,000 გავლენიანი ინოვატორით, 150 პარტნიორით ექვს კონტინენტზე და ძლიერი ციფრული წარმომადგენლობით, Singularity Group ორგანიზაციამ წამოიწყო 5000-ზე მეტი სოციალური გავლენის ინიციატივა, მათ შორის 60-ზე მეტი სტარტაპი, რომელთა საერთო ღირებულება 1 მილიარდი დოლარია.

**Acelero** დაარსდა 2001წ. აშშ-ში, ის ავითარებს და გვთავაზობს ინკლუზიურ, მკაცრ მიდგომებს, გადალახავს უთანასწორობას ბავშვების პოტენციალსა და მიღწევებს შორის. ეხმარება 5 წლამდე დაბადებულ 150 000-ზე მეტ ბავშვს და მათ ოჯახებს 28 შტატში და ტერიტორიებზე სამთავრობო უწყებებთან, ბავშვთა მოვლის ცენტრებთან, სახ-

ლში მოვლის პროვაიდერებთან, კერძო და საჯარო სკოლამდელ დაწესებულებებთან მუშაობის გზით. მისი მისიაა შეამციროს განსხვავებულობა და გააუმჯობესოს საგანმანათლებლო შედეგები მთელი მასშტაბით, აღმოფხვრას ისტორიული მიკერძოება და სისტემური უთანასწორობა აშშ-ს განათლების სისტემაში.

**Workskills** გუნდის OS დისტანციური სისტემა ტექნოლოგიური სტარტაპებისათვის დაარსდა 2021წ. ინდოეთში. საშუალებას იძლევა დაიქირაოთ საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც დისტანციურად იმუშავებენ, შესაძლოა გუნდის პროდუქტიულობის გაზრდა მათთვის საჭირო უნარების სწავლებით. შექმნილია წამყვანი კომპანიების დეველოპერების, დიზაინერების და პროდუქტის მენეჯერების გუნდის მიერ. დაიწყო IIT Kharagpur-ის საერთო საცხოვრებლის ოთახში და ახლა მუშაობს ოფისებში ჯაიპურსა და ბანგალორში.

**Ludenso** აპლიკაცია საგანგებოდ დაარსდა 2018წ. ნორვეგიაში გამომცემლებისათვის, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, დაასკანერონ თავიანთი სახელმძღვანელოების გვერდები და უყურონ მათი სასწავლო რესურსების გაცოცხლებას. ის თანამშრომლობს ოსლოს უნივერსიტეტთან, რათა განავითაროს თავისი პლატფორმა, რომელსაც იყენებს 6-დან 16 წლამდე ასაკის ნორვეგიაში მყოფი ყველა ბავშვი, კომპანიის პარტნიორობის წყალობით აკადემიურ გამომცემლობასთან Aschehoug. მუშაობს SAGE-თან, რომელიც ამდიდრებს მის შინაარსს მეძუძური სტუდენტებისთვის და პასუხისმგებელია გაერთიანებული სამეფოს სახელმძღვანელო მითითებებზე PG Online-ით გაძლიერებული რეალობის ხელახლა გადახედვისთვის.

რა ხდება ამ ფონზე საქართველოში? როგორ მუშაობს ტექნოპარკების ქართული სისტემა? ვყალიბდებით ინოვაციურ ჰაბად? რამდენად უწყობს ქვეყანა ფეხს მსოფლიო ციფრულ ტენდენციებს? ამ ეტაპზე სექტემბერში საქართველოს ათი მოწინავე სტარტაპი Startup World Cup-ის ბათუმში გამართულ მსოფლიო მნიშვნელობის კონკურსში ჩაერთო. ევროკავშირისა და UNDP-ის მხარდაჭერით ბათუმი ამჟამად მუნიციპალური გარდაქმნის **ინოვაციური პორტფელის** განვითარებაზე მუშაობს, რაც **სტარტაპების ეკოსისტემის** შექმნას, ბათუმის **ახალი ურბანული იდენტობის ჩამოყალიბებასა და მეწარმეობის კულტურის განვითარებას გულისხმობს.** საერთაშორისო ჟიურიმ პირველობა და სილიკონის ველზე გლობალურ ნახევარფინალში გამგზავრების შესაძლებლობა კომპანია **Theneo**-ს მიანიჭა, რომელიც მაღალი ხარისხის, ინტერაქტიული API დოკუმენტაციის შექმნაზე მუშაობს. კონკურსის გამარჯვებული 100-ზე მეტი პოტენციური ინვესტორის წინაშე წარსდგება და მსოფლიოს სხვა სტარტაპებს მთავარი პრიზის მოსაპოვებლად შეეჯიბრება, რაც 1,000,000 აშშ დოლარის ინვესტიციას გულისხმობს. USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამაც ამ ინიციატივის მხარდამჭერია.

დაჯილდოების ცერემონია „ხიდი სილიკონის ველთან" კონფერენციის ფარგლებში გაიმართა, რომელსაც აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ქვეყნებიდან 150-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა. კონფერენციის მსვლელობისას, საერთაშორისო ექსპერტებმა სტარტაპების ეკოსისტემის განვითარებაზე ისაუბრეს და კონფერენციის მონაწილეებს მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე სტარტაპების, ვენჩურული კაპიტალის, ინოვაციების კომერციალიზაციისა და განვითარების ახალი ფინანსური შესაძლებლობების მხრივ დაგროვებული გამოცდილება გაუზიარეს, რაც ასე ძალიან ესაჭიროება ქართულ ეკონომიკასა და ბიზნესს. Startup World Cup-ის მიზანი საქართველოს საუკეთესო მეწარმეების და მათი შესაძლებლობების წარმოჩენა იყო. საქართველოს სილიკონის ველის წამყვანი კომპანიებიც ესტუმრნენ, რაც კიდევ უფრო გაამყარებს საქართველოს ადგილს ინოვაციების გლობალურ ასპარეზზე.

აღნიშვნის ღირსია **DataFest Tbilisi,** რომელიც წელს მეექვსედ გაიმართება ნოემბერში, რეგიონში მოღვაწე მონაცემთა მეცნიერებისა თუ უბრალოდ, მონაცემთა ენთუზიასტების, ჟურნალისტებისა თუ სფეროს პროფესიონალების ერთ სივრცეში თავმოყრას ემსახურება. ვორკშოპებსა და საერთაშორისო სპიკერების გამოსვლებს, დისკუსიებსა და დატათონებს შემდეგი მიმართულებებით უმასპინძლებს:

**მონაცემთა ანალიტიკა** — ვორკშოპები, დატათონი და დისკუსია მონაცემთა ანალიტიკის უახლესი მოდელებისა და ინსტრუმენტების შესახებ;

**მონაცემთა ჟურნალისტიკა** — ვორკშოპები, ინსპირაციული გამოსვლები, პრეზენტაციები და დატათონი მონაცემთა ჟურნალისტიკის, სთორითელინგისა და მონაცემთა ვიზუალიზაციის გარშემო;

**მონაცემთა ვიზუალიზაცია** — პრაქტიკული ვორკშოპები, ინსპირაციული გამოსვლები, დატათონი და მენტორობის პროგრამა ინდუსტრიის წამყვანი საერთაშორისო ექსპერტების ხელმძღვანელობით;

**მონაცემთა ანალიზი და ღია მმართველობა** — ვორკშოპები, დატათონი და პანელური დისკუსიები ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის განვითარებისათვის;

**მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი** — ვორკშოპები და დისკუსიები მონაცემთა მეცნიერებისა, ხელოვნური ინტელექტის ინდუსტრიის უახლესი ტენდენციებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ.

ტრადიციულ ხუთ თემატიკასთან ერთად, ფე-

სტივალი ორ ახალ კატეგორიას — **სტარტაპებსა და მასინფორმაციას** გამოჰყოფს.

ფესტივალის თემატიკა მუდამ პასუხობდა საზოგადოების გამოწვევებს, იქნებოდა ეს პერსონალური მონაცემების დაცვა, ეთიკური ხელოვნური ინტელექტი, ადამიანის უფლებები ციფრულ სამყაროში თუ ადგილობრივი სტარტაპების ხელშეწყობა, რაც ასე მნიშვნელოვანია ციფრულ ერაში. დღეს საქართველო უკვე აღიარებული ქვეყანაა მსოფლიო ინოვაციურ რუკაზე, რაც ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს და სტიმულის მიმცემია სხვა ქართული სტარტაპებისთვის.

**გამოყენებული წყაროები:**


1. https://bm.ge/ka/article/ras-saqmianobs-qartuli-startapi-romelic-global-urma-kompania-spincar-ma-iyida/82292
2. https://www.startupworldcup.io/los-angeles
3. https://www.cashee.com/
4. https://www.investor.ge/2021/06/20/pulsar-ai-startup-dreams-come-true-with-georgias-first-startup-exit/
5. https://www.tempo.io/
6. https://www.talespin.com/
7. talespin@chappublicrelations.com
8. https://www.prnewswire.com/news-releases/talespin-announces-investment-from-westriver-group-acquires-pioneer-adaptive-learning-platform-from-singularity-group-301646887.html
9. https://workskills.co.in/
10. https://www.ludenso.com/
11. https://cutt.ly/8MlyoAn
12. https://www.datafest.ge/

# კასპიის რეგიონიდან საქართველოსა და შავი ზღვის გავლით ევროპაში გაზის ტრანსპორტირების მეთოდების ეკონომიკური ანალიზი

***შოთა გუჯაბიძე***
*სტუ-ს დოქტორანტი*

***შალვა კუტუბიძე***
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

**ABSTRACT**

The piece of work discusses the economic analysis of natural gas transportation methods in Europe from the Caspian region rich in natural gas through Georgia and the Black Sea. The economic aspects of transportation of natural gas the by pipelines, in the form of liquefied or compressed natural gas have been studied. The following gas transportation routes has been taken from Kulevi(Georgia) to Romania, through all along the Rhine_Main_Danube Canal, also Greece, Croatia and Turkey. Each option of gas transportation is considered as an independent investment project. Natural gas transportation tariff and specific capital costs have been calculated.

Based on the studies conducted by the authors, it has been established that in this particular case the cost of transporting LNG is significantly lower than the pipeline gas and preference should be given to LNG form technologies of gas transportation to Europe from the Caspian region, through Georgia and the Black Sea. Its preference is confirmed by both technical and economic as well as political arguments.

**Key words:** energy security, liquefied gas, compressed gas, pipeline gas, diversification, capital costs, operating costs, tariff, investment cost.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგეტიკული უსაფრთხოება, გათხევადებული გაზი, შეკუმშული გაზი, , მილსადენის გაზი, დივერსიფიკაცია, კაპირალური დანახარჯები, საექსპლოატაციო დანახარჯები, ტარიფი, საინვესტიციო ღირებულება.

* * * *

ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება და რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება დღეს თანამედროვე ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის ქვაკუთხედია. ევროპის ზღვისპირა ქვეყნებმა (გარდა შავი ზღვისა) ადვილად გადაჭრეს გაზის მიღების წყაროების დივერსიფიკაციის საკითხი ალტერნატიული წყაროებიდან (ნორვეგიიდან, აშშ-დან, კატარიდან, ალჟირიდან და ნიგერიიდან) გაზის თხევადი სახით მიღების გზით. ევროპის სანაპიროებზე დღეს ეფექტურად ფუნქციონირებს მრავალი თხევადი გაზის მიმღები ტერმინალი (იხ. ნახაზი 1). კონტინენტის ცენტრალური ნაწილი ამ მხრივ რთულ მდგომარეობაშია (კასპიის რეგიონიდან მიმავალი გაზსადენი TANAP-იც კი ძირითადად ევროპის სანაპიროებზე გადის). აქ განლაგებული ქვეყნების დამოკიდებულება ძირითად მიმწოდებელზე - რუსეთზე, ძალზე დიდია (50-100%-ია). ამ ქვეყნებისათვის თხევადი გაზის ალტერნატიული წყაროებიდან მიღება შესაძლებელია შავი ზღვისა და შემდეგ მდ. დუნაის გავლით, მაგრამ თურქეთის პოზიციის გამო დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გავლა დღეს დიდი გაზმზიდი გემებისათვის შეუძლებელია. ამიტომაა, რომ შავ ზღვასა და მდინარე დუნაიზე თხევადი გაზის ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად არა გვაქვს. დარღვეულია ამ რეგიონის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოება. საჭირო გეოლოგიური სტრუქ-ტურების სიმცირის გამო მათ არა აქვთ საჭირო რაოდენობისა და მოცულობის მიწისქვეშა გაზსაცავების შექმნის შესაძლებლობაც. იმპორტული გაზის მიღების ერთადერთი წყაროდან გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში წარმოქმნილი დეფიციტი ძალზე დიდია და ბევრ ქვეყანაში 100%-ს აღწევს (იხ.ნახაზი 1).

აღნიშნულ რეგიონში ძალზე რთული მდგომარეობაა გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისითაც. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გამკაცრებული მოთხოვნების შესაბამისად ზღვებზე აკრძალულია ისეთი საწვავის გამოყენება რომელშიც გოგირდის შემცველობა 0.1%-ს აჭარბებს. გამონაკლისი შავი ზღვაა, სადაც დღემდე გოგირდის შემცველობის 0,5%-იანი შეზღუდვა მოქმედებს. მომავალი წლიდან გემთმფლობელები იძულებულნი გახდებიან უარი თქვან მაზუთის გამოყენებაზე, ეკოლოგიურად უფრო სუფთა საწვავის LNG-ს სასარგებლოდ (გოგირდის შემცველობა - 0%), რაც კიდევ უფრო გაზრდის რეგიონში მოთხოვნას LNG-ზე.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დღეს ევროპისათვის, როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების ასევე გარემოზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შავ ზღვაზე LNG-ს მიწოდების ალტერნატიული წყაროს გამოჩენა.

ნაშრომში შემოთავაზებული და ეკონომიურად დასაბუთებულია საქართველოსა და შავი ზღვის გავლით კასპიის რეგიონიდან ევროპაში გაზის მიწოდების ახალი, ბევრად უფრო მოქნილი და რენტაბელური გზა, უკვე არსებული (მაგრამ განუხორციე-

ლებელი) პროექტების „White stream“ და “AGRI” დამაბრკოლებელი მიზეზებისა და ხარვეზების, ასევე LNG-ს განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტენდენციების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოსა და შავ ზღვაზე გადის კასპიის რეგიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში: რუმინეთში, უკრაინაში, მოლდოვა, თურქეთსა და ბულგარეთში, შემდეგ კი ცენტრალურ ევროპაში საქართველოდან გაზის ტრანსპორტირებისათვის LNG-ის ექსპორტს არავითარი პრობლემები არ შეექმნება (აღარ იქნება საჭირო დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გავლა, სადაც თურქეთი თავისი იურისდიქციით აბრკოლებს მსგავსი ტიპის კომერციულ გადაზიდვებს).

ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების გაზრდისათვის, გაზის მიწოდების დივერსიფიკაციისა, და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის სხვა ბენეფიტების ეფექტურად გამოყენებისათვის, შავი ზღვიდან გაზის მიწოდების ოპტიმალურ შესაძლო ლოკაციად განხილული გვაქვს დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე ყულევის პორტი და მასთან LNG-ის ექსპორტისათვის საჭირო კომპლექსური ინფრასტრუქტურის შექმნა (ნახ. 1).

ეს საშუალებას მისცემს რეგიონის ქვეყნებს საქართველოში შეიქმნან საჭირო მოცულობის გაზის მარაგები. კასპიის რეგიონიდან გაზის მიღება მოხდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსთან მოწყობილ მიწისქვეშა გაზსაცავებში (ამისათვის აქ არსებობს შესაბამისი გეოლოგიური სტრუქტურები), ხოლო მისი გათხევადება კი მოხდება უშუალოდ გემში ჩატვირთვის წინ. ამრიგად, საჭირო აღარ იქნება ძვირადღირებული LNG-ის სამაცივრო საცავის მშენებლობა, რომელიც ტერმინალის მთლიანი ღირებულების 70-80%-ს შეადგენს. მნიშვნელოვნად მცირდება საექსპლოატაციო დანახარჯებიც. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს შევიძინოთ გაზი ხელსაყრელ ფასებში ზაფხულში და შევინახოთ ის მიწისქვეშა გაზსაცავში, რეალიზაცია კი მოვახდინოთ ზამთარში მაღალი მოთხოვნისა და ფასების პირობებში. გაზსაცავი შესაძლებელია გამოყენებული იქნას აგრეთვე ავარიების შემთხვევაში TANAP-ის გაზსადენის დაზღვევისათვის (დღეს ის არსად მთელ სიგრძეზე არ არის უზრუნველყოფილი UGS -ით).

საქართველოს აქვს კარგი ინფრასტრუქტურული კავშირი კასპიის გაზით მდიდარი რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანასთან: აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან (არსებული, ირანზე გამავალი გაზსადენები და მშენებარე „ტრანსკასპიური“ მილსადენი), ირანთან (არსებული გაზსადენი, რომლითაც 1980 წლამდე ხდებოდა გაზის მოწოდება ამიერკავკასიაში), რუსეთთან (გაზსადენი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, რომელიც დღეს პრაქტიკულად უმოქმედოა) და ყაზახეთთან (რომელიც „ტრანსკასპიური“ მილსადენის მშენებლობის შემდეგ, ან რუსეთის ტერიტორიაზე არსებული გაზსადენების გამოყენებით შეძლებს საჭირო მოცულობის გაზის მოწოდებას). გარდა ამისა, საერთაშორისო დანიშნულების მაგისტრალური „სამხრეთ-კავკასიური“ მილსადენი (SCP) 70 კმ-ითაა დაშორებული „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ გაზსადენისაგან (საჭიროების შემთხვევაში მათ დასაკავშირებლად შეიძლება აშენდეს ვა-




**ნახ. 1. ბუნებრივი გაზის პრობლემები ევროპაში და მიწოდების გზები**

ლე-ზესტაფონის 70 კმ-იანი გაზსადენი). საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მაგისტრალური გაზსადენი „აღმოსავლეთი-დასავლეთი“ შესაძლებელია გამოყენებული იქნას კასპიის რეგიონიდან მიღებული გაზის შავი ზღვის პორტ ყულევამდე ტრანსპორტირებისათვის (მილსადენი აგებულია სწორედ ანალოგიური მიზნებისათვის). აღნიშნულ გაზსადენებზე საჭირო იქნება გარკვეული მოცულობის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

ზღვაზე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ხორციელდება ე.წ. „საზღვაო მილსადენების“, LNG-ის (გათხევადებული ბუნებრივი გაზი) ან CNG-ის (შეკუმშული ბუნებრივი გაზი) სახით. ბუნებრივი გაზის სხვადასხვა მდგომარეობაში ტრანსპორტირება განსხვავებულ თავისებურებებთან, საჭიროებებთან და დანახარჯებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ტრანსპორტირების გზებიდან ყველაზე მარტივია საზღვაო მილსადენებით გაზის მიწოდების სქემა, რადგან ის არ მოითხოვს გაზის ღრმა მომზადებას ტრანსპორტირებისათვის. მაგრამ მილსადენის მნიშვნელოვანი სიგრძის შემთხვევაში აუცილებელი ხდება შუალედურ წერტილებში მიმღები საკომპრესორო სადგურების მოწყობა, რაც მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

იმისათვის, რომ დაგვედგინა ტრანსპორტირების რომელი სახეობა იქნება ეკონომიურად უფრო მომგებიანი საქართველოდან შავი ზღვის ქვეყნებში გაზის ტრანსპორტირებისათვის ჩატარებულ იქნა ტრანსპორტირების ეკონომიკური ანალიზი და ხარჯების შედარება სხვადასხვა პირობებისათვის.

საქართველოდან ევროპაში გაზის მიწოდების შემთხვევაში სამიზნე ქვეყნებად აღებულია შავი ზღვის, მდ. დუნაისა და დარდანელისა და ბოსფორის არხების გავლით ცენტრალური ევროპის ქვეყნები. ამ უკანასკნელში დღეს დიდი მოთხოვნაა გათხევადებულ გაზზე. საწყის ეტაპზე ამ ქვეყნებში, ეგეოსის, ხმელთაშუა და ადრიატიკის ზღვების გავლით, გაზის მიწოდებისა და გასაღების რისკების შემცირების თვალსაზრისით (შავ ზღვასა და მდ.დუნაიზე LNG-ის ბაზარები ფორმირების სტადიაშია) საუკეთესო სტრატეგია იქნება მცირე და საშუალოტონაჟიანი LNG-ის წარმოების შექმნა და მისი შემდგომი მასშტაბირება რაც, ხშირად გამოიყენება თანამედროვე პრაქტიკაში. ასეთი ქარხნებიდან LNG-ის ტრანსპორტირება შესაძლებელი იქნება მცირე და საშუალოტონაჟიანი ტანკერებითა და კრიოგენული ტანკ-კონტეინერებით, რომლებიც დააკმაყოფილებენ თურქეთის სრუტეებში გავლის უსაფრთხოების მოთხოვნებს. პროექტში თურქული ტერმინალის „Marmara Ereglis“-ის (მარმარილოს ზღვის ჩრდილოეთში, სტამბოლიდან 120 კმ-ში) ჩართვა გაამარტივებს აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას. საქმე იმაშია, რომ 2007 წელს ტერმინალზე შეიქმნა მცირეტონჟანი LNG-ის სიმძლავრეები. აქ ფუნქციონირებს 20-50 კუბ.მ/სთ-ში სიმძლავრის ექვსი პლატფორმა გაზის სატვირთოებში გადასატვირთად (150 სატვირთო დღე-ღამეში). თურქეთის სრუტეების გავლის შემდეგ, შესაძლებელი იქნება LNG მივაწოდოთ ქალაქ ალექსანდროპოლისიდან 10 კმ-ით დაშორებულ საბერძნეთისა და ბულგარეთის ერთობლივ საკუთრებაში მყოფ მიმღებ ტერმინალს „Alexandroupolis LNG“ (FSRU) და კუნძულ კრკ-ზე განლაგებულ ხორვატიის მიმღებ ტერმინალებსაც.

საქართველოდან ტრანსპორტირებული LNG-ის შავ ზღვაზე მიმღები სამიზნე პორტებად გაანგარიშებებში აღებულია: კონსტანცა (რუმინეთი), რენი (უკრაინა) და ვარნა (ბულგარეთი); მდ. დუნაიზე შავი ზღვის სანაპიროდან რაინ-მეინ-დუნაის დამაკავშირებელ არხამდე განლაგებული პორტები ისეთ მსხვილ ქალაქებში, როგორებიცაა: ვენა (ავსტრია), ბუდაპეშტი (უნგრეთი), ბელგრადი (სერბეთი), ბრატისლავა (სლოვაკეთი), გალაცი (რუმინეთი), ბრიზლა (რუმინეთი), ლინცი (ავსტრია), რუსე (ბულგარეთი), რეგენბურგი (გერმანია), იზმაილი (უკრაინა), პასსაუ (გერმანია), ვიდინი (ბულგარეთი) და ვუკოვარი (ხორვატია); ეგეოსის ზღაში განლაგებული პორტი ალექსანდრეპოლისი; მარმარილოს ზღვაში პორტი მარმარა ერეგლისი; ადრიატიკის ზღვაში, კუნძულ კრკ-ზე (ხორვატია) განლაგებული LNG-ის მიმღები ტერმინალი.

საზღვაო მანძილები პორტ ყულევიდან აღნიშნულ სამიზნეებამდე იცვლება 1 000-დან 4 000კმ-მდე. ლოჯისტიკური სისტემების ოპტიმიზაციის მიზნით ჩვენ მოვახდინეთ ზემოთმოყვანილი სამივე მეთოდით (საზღვაო მილსადენებით, LNG-ის ან CNG-ის სახით) მომხმარებლამდე მიწოდების დანახარჯების შეფასება და ერთმანეთთან შედარება [1]. ეკონომიკური გათვლებისათვის გამოვიყენეთ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების მიზნით საერთაშორისო საქმიანი კონგრესის ინიციატივით რეალიზებულ პროექტში შემუშავებული მეთოდოლოგია. ტრანსპორტირების მეთოდების შედარებისათვის ყველა მოცულობითი მაჩვენებელი დაყვანილია გაზის ექვივალენტურ მოცულობაზე (კუბ.მ).

ჩატარებული ანგარიში გვიჩვენებს, რომ მცირეტონაჟიანი LNG* გადაზიდვის ტარიფებით საუკეთესოა გადაზიდვის სხვა თანამედროვე მეთოდებს შორის (ნახ.2). დაბალია კაპიტალური და საექსპლოატაციო დანახარჯებიც, რადგან ძვირადღირებული სამაცივრო საცავის ნაცვლად გათვალისწინებულია ყულევის გეოლოგიურ სტრუქტურაში მიწისქვეშა გაზსაცავის მოწყობა.

თხევადი გაზის წარმოების თანამედროვე ტენდენციების კვალდაკვალ, საქართველოდან ევროპის მიმართულებით გაზის მიწოდება მეტად რენტაბელური და ეკონომიკურად მოქნილია მცირე და საშუალოტონაჟიანი LNG-ს ტერმინალებისა და გაზმზიდი გემების უპირატესობების მაქსიმალურად გამოყენებით, რაც სხვა ეფექტებთან ერთად




**ნახ.2.გაზის ტრანსპორტირების ტარიფები**

მოგვცემს შესაძლებლობას 50%-ით შევამციროთ ექსპორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის საინვესტიციო ღირებულება.

მცირეტონაჟიანი LNG ტერმინალის მშენებლობის მოდულური პრინციპის გამოყენება 6-8 თვემდე შეამცირებს მისი ექსპლოატაციაში შესავლის ვადას (მაშინ, როცა 5-6 წელია საჭირო მსხვილტონაჟიანისათვის) და რეგიონში LNG-ის ინფრასტრუქტურის (მიმღები ტერმინალებისა და გამანაწილებელი სისტემების მშენებლობა) განვითარების კვალდკვალ მოხდება სიმძლავრეების შესაბამისი მასშტაბირება.

ჩატარებული კვლევები გვჩვენებენ, რომ LNG-ს ტრანსპორტირების ღირებულება „მილსადენის გაზზე“ მნიშვნელოვნად ნაკლებია, თუ მიწოდების მანძილი აღემატება 950 კმ-ს, ხოლო მიწოდების მიმართულებაზე არის არანაკლებ ხუთი მომხმარებლისა. ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნები მთლიანადაა დაკმაყოფილებული.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოდან ევროპაში შავი ზღვის გავლით გაზის ტრანსპორტირების ცნობილი ტექნოლოგიებიდან უპირატესობა მცირე და საშუალოტონაჟიან LNG-ის უნდა მივანიჭოთ. მისი უპირატესობა დასტურდება, როგორც ტექნიკური და ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური (იხსნება თურქეთის სრუტეების გავლის და რუსეთის გაზისგან დამოკიდებულების პრობლემა) არგუმენტებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. „«Эколого-экономическая оценка морской транспортировки сжатого газа» Неправительственный экологический фонд имени В.И. Вернадского, 2017 М, 2017. – 248 с.

2. [https://neftegaz.ru/news/transport-and-storage/627480-vertikalnyy-gazovyy-koridor-napolnyaetsya-gretsiya-i-bolgariya-podpisali-soglasheniya-po-spg-termina/]

3. [http://www.freecity.lv/biznes/70135/ ]

4. Цветков П.С.,Притуляк Д.М. Равнительная оценка транспортировки малотонажного сжиженного природного газа и трубопроводного газа. Север и ринок.,6(62), 2018г., с. 30-34.

# ხარჯების ოპტიმიზაციის მექანიზმი და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების ინსტრუმენტი

*მარინა ქურდაძე*
*სტუ-ს პროფესორი*

*იზო ყურაშვილი*
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

ნაშრომში მოყვანილია ფირმის კორპორაციული გადასახადების მართვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ხარჯების ოპტიმიზაციის მექანიზმები. ხაზგასმულია კორპორაციული გადასახადების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების ინსტრუმენტი - აუთსორსინგი, აუთსტაფინგი და პერსონალის პროფესიონალიზმი.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული, საგადასახადო მენეჯმენტი, აუთსორსინგი, აუთსტაფინგი, ეფექტურობის გაუმჯობესება.

**A MECHANISM FOR OPTIMIZING COMPANY COSTS AND A TOOL FOR IMPROVING MANAGEMENT EFFICIENCY**

**Marina Kurdadze**
Professor of GTU
**Izo Kurashvili**
Associate Professor of GTU

**RESUME**

The paper presents cost optimization mechanisms to increase the efficiency of the firm's corporate tax management. The tool for improving the efficiency of corporate tax management is emphasized – outsourcing, Outstaffing and staff professionalism.

**keywords:** Corporate, tax management, outsourcing, outstaffing, efficiency improvement.

* * * *

ფინანსური სისტემის თანამედროვე განვითარება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ახალი მიდგომის ჩამოყალიბება ფირმის საგადასახადო-გადასახადების მართვის მექანიზმისადმი. დაბეგვრის პრაქტიკამ შეიმუშავა საგადასახადო კანონმდებლობის შეგროვებისა და შესაბამისობის მონიტორინგის სხვადასხვა ფორმა და მეთოდი. სახელმწიფოს განვითარების ისტორია მიუთითებს იმაზე, რომ გადასახადები, ამა თუ იმ ხარისხით, სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია ფირმების ეკონომიკური საქმიანობის მართვაში და ფორმირებაში. თავის მხრივ, იყენებენ საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულ შესაძლებლობებს გადასახადის შესამცირებლად, საგადასახადო დაგეგმვის ან საგადასახადო ოპტიმიზაციის გამოყენებით.

ბოლო წლებში საგადასახადო დაგეგმარება საგადასახადო მენეჯმენტმა ჩაანაცვლა. საგადასახადო მენეჯმენტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოიყენოს მენეჯმენტის მეცნიერება და კომპანიის საქმიანობის ორგანიზება ისე, რომ წინასწარ გამოვთვალოთ გადასახადები და გამოიყენონ სხვადასხვა სამართლებრივი და ორგანიზაციული ბერკეტები მათ შესამცირებლად.

ზოგადად ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული „საგადასახადო მენეჯმენტის" სტაბილური და ზოგადად მიღებული კონცეფცია. ზოგიერთი მკვლევარი ინტერპრეტაციას ახდენს მისი შინაარსის მიხედვით, ზოგი კი იმ ფორმების მიხედვით, რომლებშიც ის ფუნქციონირებს. ზოგადად, ტერმინი „საგადასახადო მენეჯმენტი" ხშირად არ გამოიყენება შიდა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, მაგრამ ფინანსურ მეცნიერებაში იგი ფართოდ გავრცელდა ბოლო ათწლეულში [2, გვ. 332].

ბოლო წლებში ფირმის მართვის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელდა აუთსორსინგი და აუთსტაფინგი [1, გვ. 136].

აუთსორსინგი ინგლისურიდან თარგმანში "აუთსორსინგი" სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც "სხვა ადამიანების რესურსების გამოყენება", ამდენად, ეს არის ფირმის მიერ წარმოების, მომსახურების და მართვის პროცესების გადაცემა მესამე მხარის ორგანიზაციებზე ხელშეკრულების საფუძველზე. ეს სახელშეკრულებო საფუძველი იღებს სისტემურ და არა ერთჯერად ხასიათს და მოქმედებს პარტნიორობის სქემების საფუძველზე.

აუთსტაფინგი (ინგლისურიდან. outsttaing - პერსონალის შტატიდან გაყვანა) ასევე არის პერსონალის მართვის ერთ-ერთი ეფექტური გზა გარე ორგანიზაციების ჩართულობით. Outstaffing გულისხმობს თანამშრომლების მოხსნას დამკვეთი ორგანიზაციის პერსონალიდან და მათ რეგისტრაციას ორგანიზაციის პერსონალში, რომელიც ახორციელებს ავტოშტაფის მომსახურებას, რათა შემდგომში მიაწოდოს პერსონალი მომხმარებელს შესაბამისი ანაზღაურებით. ამრიგად, თანამშრომლები აგრძელებენ მუშაობას იმავე ადგილზე, მაგრამ დამსაქმებლის ვალდებულებებს მათ მიმართ პროვაიდერი შეასრულებს.

ტრადიციულად, დამხმარე პერსონალი (ადმინისტრაციული და ტექნიკური) ამოღებულია პერსონალიდან, ხოლო პერსონალის გამოყენების

პრაქტიკა მიუთითებს მომხმარებლის ორგანიზაციის პროვაიდერისთვის საჭირო თავისუფალი სპეციალისტის მიწოდების შესაძლებლობაზე გარკვეული პროექტის ხანგრძლივობისთვის, ანუ ადრე არ იყო ორგანიზაციის თანამშრომლებში.

ფირმის შემდეგი საქმიანობა შეიძლება გადავიდეს აუთსორსინგზე:

ბუღალტრული აღრიცხვა (ბალანსის მომზადება, ანგარიშგება, დოკუმენტების წარდგენა საგადასახადო ორგანოებში);

საინფორმაციო და ტექნიკური უზრუნველყოფა (ელექტრონული რესურსის შექმნა და მხარდაჭერა, საოფისე ტექნიკის მოვლა, ტექნიკის მიწოდება);

სამართლებრივი უზრუნველყოფა (სახელშეკრულებო საქმიანობა, მედიაცია და მოლაპარაკებები, ინტერესების წარმომადგენლობა სასამართლოსა და სახელმწიფო ორგანოებში);

მომსახურების სექტორი (დასუფთავება, სამრეცხაო და ა.შ.).

აუთსტაფინგისა და აუთსორსინგის გამოყენების საკითხებში აუცილებელია ამ ორი ცნების მკაფიო კორელაცია და განსხვავება, რადგან ისინი წარმოადგენენ პერსონალის საკითხების მოგვარების სხვადასხვა ფორმებს და ფირმაზე შრომის შემცირებას.

აუთსორსინგი ბუნებრივად ჩამოყალიბდა დასავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ 60-იან წლებში, რაც სპეციალისტების დეფიციტით იყო განპირობებული, ხოლო აუთსტაფინგი ბიზნესის აბსოლუტურად ხელოვნური პროდუქტია.

აუთსორსინგის მთავარი მახასიათებელია ის, რომ ორგანიზაცია-დამსაქმებელი იღებს მომხმარებლისთვის საჭირო თანამშრომლებს, ითვლის მათ ხელფასს, ისევე როგორც კანონით გათვალისწინებულ ყველა სხვა გათვალისწინებულ გადასახადს და აწვდის მათ სხვა ორგანიზაციას წარმოების პროცესში მონაწილეობისთვის ან შესასრულებლად და სხვა დაკავშირებული ფუნქციები.

ასეთ თანამშრომლებს შეუძლიათ იმუშაონ კომპანიაში - მომხმარებელს როგორც მის ოფისში, ასევე დისტანციურად კონტრაქტორის ტერიტორიაზე, რაც ახასიათებს აუთსორსინგი მომსახურების მომხმარებელსა და უშუალო კონტრაქტორს - პერსონალს შორის ურთიერთობის სრული არარსებობით.

განსხვავება აუთსორსინგისა და აუთსტაფინგს შორის შემდეგია:

- დიზაინი და სამუშაო გრაფიკი. აუთსორსინგის კომპანიის წარმომადგენელს აქვს საკმაოდ მოქნილი სამუშაო გრაფიკი, მას არ ენიჭება სამუშაო ადგილი, გადახდა ხდება მხოლოდ სამუშაოს შესრულებისთვის. აუტსტაფერის მიერ დაქირავებული სპეციალისტიც ყოველთვიურად იღებს ხელფასს, მაგრამ იძულებულია ტრადიციულად იმუშაოს დამკვეთის - დამსაქმებლის ტერიტორიაზე;

- აუტსტაფერის დაქირავების პროცედურა განსხვავდება აუთსორსინგის დაქირავების პროცედურისგან. პირველ შემთხვევაში, დაქირავებული სპეციალისტები სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან შემსრულებელ კომპანიასთან (ავტოსტაფერთან), მაგრამ ასრულებენ დამკვეთი კომპანიის ფუნქციებს. აუთსორსინგის ხელშეკრულებით თანამშრომლები იცავენ ხელშეკრულების პირობებს, რომელიც იდება კომპანიას - მომხმარებელსა და აუთსორსინგის კომპანიას - კონტრაქტორს შორის;

- განაცხადის არეალი: აუთსორსინგი ძირითადად გამოიყენება ნებისმიერი „ინტელექტუალური ამოცანის" გადასაჭრელად, მაგალითად, ბუღალტრული და იურიდიული მომსახურების გაწევა, პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურების მიწოდება და ა.შ. აუთსტაფინგი, როგორც ბევრი ექსპერტი აღნიშნავს, უფრო უნივერსალურია; სამუშაო სპეციალობების წარმომადგენლები ხშირად მუშაობენ მისი კონტრაქტით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუთსტაფინგი და აუთსორსინგი არ არის გადასახადებისგან თავის არიდების სქემა, არამედ ფირმის ხარჯების ოპტიმიზაციის აბსოლუტურად ლეგალური მექანიზმია.

ფირმის მიერ აუთსტაფინგისა და აუთსორსინგის გამოყენება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- კომპანია ცდილობს გამოიყენოს უახლესი ტექნოლოგიები, რათა აწარმოოს მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომელიც საუკეთესოდ აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს;

- თანამედროვე ტექნოლოგიები, ცოდნა და გამოცდილება სპეციალისტების ხელშია, რომლებიც საკუთარი და კლიენტის საკეთილდღეოდ, აუთსორსინგის საფუძველზე აწვდიან კომპანიებს აუცილებელ მომსახურებას.

ასეთი თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მომგებიანი და მოსახერხებელია, ვინაიდან თითოეული მიმართავს საკუთარ რესურსებს თავისი ძლიერი და პერსპექტიული საქმიანობის სფეროების განვითარებაზე.

აუთსტაფინგისა და აუთსორსინგის გამოყენების *დადებითი ასპექტებია:*

- პერსონალის მართვაზე დახარჯული დროის შემცირება;

- საშტატო ნუსხაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება; პროფკავშირული ორგანოებიდან პრეტენზიების რისკის შემცირება;

- შრომითი დავები და მასთან დაკავშირებული ხარჯები;

- შრომით და საგადასახადო ინსპექტირებასთან დაკავშირებით კვალიფიციური შუამავლის მოპოვება და შრომითი და მასთან დაკავშირებული საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის შესაძლო ჯარიმების, ზოგადად ჯარიმების გამორიცხვა;

- საქონლის წარმოების ღირებულების შემცირება;

- ფინანსური სტაბილურობის გაზრდა;
- ასორტიმენტის გაზრდა;
- გასაყიდი პროდუქციის ფასის დაწევა მიმდინარეობის პერიოდში წარმოების დაბალი ხარჯების გამო;
- ბაზრის წილის ზრდა;




- უარი არა ძირითად ბიზნეს პროცესებზე და ფირმის ფუნქციებზე, დამხმარე პროდუქციაზე.

მიუხედავად ამისა, ასევე არსებობს *უარყოფითი მხარეები:*

- თანამშრომლები შეიძლება იყვნენ არალოიალური კომპანიის მიმართ, რომელიც არ არის ოფიციალური დამსაქმებელი დოკუმენტების მიხედვით;
- თანამშრომელთა მოტივაციის სრულად კონტროლისა და მათი პროფესიული განვითარების ხარისხის გაუმჯობესების შეუძლებლობა;
- თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მკაფიო კონტროლის შეუძლებლობა, თუმცა, უფრო მეტად ეს პრობლემა ჩნდება, როდესაც პროვაიდერი კომპანია ხშირად ცვლის მენეჯერების შემადგენლობას;
- რაიმე გარანტიის არარსებობა, რომ გარკვეული თანამშრომელი განსაზღვრულ ვადაში დაიწყებს დავალებაზე მუშაობას და შეასრულებს მას დროულად და სათანადო ხარისხით.




მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, საგადასახადო მენეჯმენტის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით ამ მექანიზმების გამოყენების დიდი აუცილებლობაა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ აუტსაფინგს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ყველაზე არახელსაყრელი ფირმების შრომის ორგანიზაციის კუთხით საქმიანობაც კი.

შტატგარეშე მუშაკების გამოყენება არა მხოლოდ შეამცირებს საგადასახადო ხარჯებს, არამედ მოქნილად დაარეგულირებს ფირმაში მომუშავე თანამშრომლების რაოდენობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაკვალიფიციური პერსონალის გამოყენებისას.

საგულისხმოა ისიც, რომ პერსონალის არასწორად შერჩევამ შეიძლება კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენოს ფირმას, ვიდრე პერსონალის გადაადგილება და წარმოების გეგმის შეუსრულებლობაა. შემოთავაზებული აქტივობების განხორციელებისას ხარჯების შესამცირებლად და ფინანსური მდგრადობის გასაზრდელად, სასურველია გამოყენებულ იქნას, ზემოაღნიშნული სერვისების მიმწოდებელი სააგენტოები, ანუ დადასტურებული თანამშრომლის მომსახურება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. A.T. Kearney. (2019 წლის 13 June). A.T. Kearney's 2019 Global Services Location Index (GSLI) Resonates with Digital Change. Chicago, USA.

2. GRAND VIEW RESEARCH. (2020). IT Services Outsourcing Market Size, Share & Trends Analysis Report By Service (Application, Emerging Technology), By Location (Onshore, Offshore), By End-use, And Segment Forecasts, 2016 – 2027

3. Mella, P., & Pellicelli, M. (2012). The Strategies of Outsourcing and Offshoring. American International Journal of Contemporary Research, 116-127.

4. PWC. (2020). Retrieved from PWC Web Site: https://www.pwc.com/gx/en/services/tax/ publications/paying-taxes-2020/overall-ranking-and-data-tables.html

# საწვავის ბაზრის კონიუქტურა საქართველოში

***ლაშა მგელაძე***
*ეკონომიკის დოქტორი,*
*სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი*

**ანოტაცია**

ნაშრომი შეეხება სქართველოს საწვავის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. გაანალიზებულია შესაბამის ბაზარზე ბოლო ათი წლის მანძილზე არსებული მდგომარეობა. მიმოხილულია ბაზრის შესაბამისი მაკონტროლებელი დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევები, მონიტორინგის დოკუმენტები. გამოკვეთილია ტენდენციები, თუ რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს კონკურენტული გარემოს დამკვიდრების მიმართულებით განხორციელებული ქმედებები; ასახულია სახელმწიფოს მიერ/სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გადადგმული ნაბიჯები და შეფასებულია შესაბამის ბაზარზე კონკურენტული მდგომარების ეფექტიანობის გაზრდასთან მიმართებაში; მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ბაზარზე განხორციელებული კვლევების ანალიზისა და გამოკვეთილი ტენდენციების ურთიერთ შეჯამების შედეგად ჩამოყალიბებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რამდენად კოორდინირებულად მოქმედებს სახელმწიფო აპარატი კონკურენტული გარემოს სრულყოფის მიმართულებით, რამდენად ეფექტიანია გადადგმული ნაბიჯები, რამდენად სრულყოფილად ასახავს რეალობას განხორციელებული კვლევები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები როგორც კონკრეტულად - საწვავის ბაზარზე კონკურენციის სრულყოფის ისე კონკურენციის კონტროლის ინსტიტუციური თუ ფუნქციური სრულყოფის მიმართულებით.

ბოლოს დასკვნაში, რეკომენდაციებთან ერთად ნათქვამია, რომ კონკურენცია საწვავის ბაზარზე უფრო მითია ვიდრე რეალობა, რადგან მთელი რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ ბუნდოვანი და დასაზუსტებელია.

**საკვანძო სიტყვები -** კონკურენცია, საწვავის ბაზარი, სახელმწიფო რეგულირება, კონცენტრაცია, სახელმწიფო შესყიდვები, კონსოლიდირებული ტენდერი.

**FUEL MARKET CONJUNCTURE IN GEORGIA**

**Lasha Mgeladze**
PHD, economics
Assistant-Professor of GTU

**ABSTRACT**

The paper concerns the current situation in the Georgian fuel market. The situation in the relevant market over the last ten years has been analyzed. Studies and Monitoring documents and studies conducted by relevant market regulatory bodies are reviewed. The trends are highlighted,what results can be brought by the actions taken in the direction of establishing a competitive environment; The steps taken by the state institutions are outlined and evaluated in relation to increasing the effectiveness of competitive conditions in the relevant market; Conclusions and recommendations have been formed as a result of processing the obtained information, the analysis of the researches carried out by the state institutions regarding the market and the mutual summation of the identifies trends; How coordinated the state apparatus is in the direction of improving the competitive environment; How effective are the steps taken, how precisely the conducted studies reflect the reality; and recommendations are offered, both, specifically in the direction of improving competition in the fuel market, as well as institutional or functional improvement of competitive environment.

Finally, the conclusion, together with the recommendations, states that the competition on the fuel market is more of a myth than a reality, as a number of issues are still unclear and need to be clarified.

**Key words -** Competition, fuel market, state regulation, concentration, State procurement, Consolidated tender

**შესავალი**

ქვეყნის განვითარების ხარისხი, მისი სწრაფად განვითარების ტემპი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსა და სახელმწიფოს მიერ სწორი პოლიტიკის შემუშავებასა და მის ეფექტიან აღსრულებაზე გადის. არის, ძირითადი მიმართულებები, საკითხები, პროდუქტები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დონესა და მისი სწრაფად ზრდის ხარისხზე.

ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტი, რომლის ფასი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე არის საწვავი. საწვავის ფასი ჯაჭვური რეაქციით მოქმედებს როგორც ეკონომიკაზე, ისე პროდუქტის ფასზე ქვეყანაში. შესაბამისად, საწვავთან დაკავშირებული საკითხები დიდი განხილვის და მსჯელობის საგანი ხდება ქვეყანაში. აგერ უკვე ბოლო 20 წელია აღნიშნულ საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს. საწვავის ფასი, როგორც პოლიტიკური განხილვის/დაპირისპირების, ისე ეკონომისტებისა თუ სხვადასხვა სპეციალობების მქონე

ადამიანების კვლევის საგანია. ხშირად ისმის სხვადასხვა ტიპის ბრალდებები, როგორც პოლიტიკურ ჭრილში, ისე საკითხისადმი მიდგომის (წამოჭრილი პრობლემის აღმოფხვრისათვის გადადგმული ნაბიჯების) არაეფექტიანობის კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ განვიხილოთ საწვავის ბაზარზე არსებული მდგომარეობა - შევაფასოთ ბაზარზე ჩატარებული ესა თუ ის კვლევა, ბაზარზე კონკურენციის გაზრდისთვის (კონკურენტული ფასის არსებობისთვის) გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობა, წარმოვადგინოთ სურათი (ჩვენი გადასახედიდან რეალური სურათი), რა მდგომარეობაა ბაზარზე ბოლო 20 წლის მანძილზე და შევიმუშაოთ სიტუაციის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია საკმარისი რესურსი და გავლენა იმისთვის, რომ თავად მოვახდინოთ ბაზრის სრულფასოვანი კვლევა. ამიტომ, ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევასთან, მოპოვებულ ინფორმაციასთან ერთად განვიხილავთ შესაბამისი ორგანოების მიერ უკვე გაკეთებულ კვლევებსა თუ გადადგმულ ნაბიჯებს; მოვახდენთ მათ შეჯამებას და ბაზარზე არსებული ტენდენციების (გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობის) იდენტიფიცირებას.

ამასთან, ნაშრომში მოყვანილია მაგალითები და არგუმენტები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა თუ ქმედებების შესახებ, რამაც შეძლება გააჩინოს განცდა, რომ ნაშრომი პოლიტიკურ ხასიათს უფრო ატარებს ვიდრე მეცნიერულს, თუმცა ეს არ იქნება რეალობასთან ახლოს. არაერთხელ გვითქვამს და ეხლაც აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედება იცვლის სახეს, მაშინ როცა საქმე გვაქ სახელმწიფოებთან, გეოპოლიტიკასთან. ანუ, მაშინ როდესაც დედამიწის ტერიტორია დაიყო სხვადასხვა ქვეყნების საზღვრებად უკვე მოვექცეცით პოლიტიკურ ეკონომიკაში (წარმმართველი გახდა პოლიტიკური ეკონომიკა), სადაც ეკონომიკური კანონების ეფექტიანად მოქმედება დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სახელმწიფო, ჩინოვნიკი თავისი გადაწყვეტილებებით, ქმედებებით ან უწყობს ხელს ეკონომიკური კანონების თავისუფლად მოქმედებას და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ან აფერხებს წინსვლას. მაგალითად, ეკონომიკური ისტორიის საგნის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (მისი ეკონომიკური პოლიტიკის) ისტორიულ, ეკონომიკურ კონტექსტში დანახვა და გააზრებაა [7, გვ.6-7] რადგან ეკონომიკა პირდაპირ კავშირშია როგროც სახელმწიფო გადაწყვეტილებების ეფექტიანად აღსრულებასთან ისე სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესთან. *მმართველის გადაწყვეტილებები, როგორი ჭკვიანური და გენიალური გადაწყვეტილებაც არ უნდა იყოს ის, უმეტეს შეთხვევაში განწირულია კრახისთვის, სათანადო ეკონომიკური საფუძვლის გარეშე და პირიქით, მმართველის სწორი გადაწყვეტილებების (სტიმულების გარეშე) გარეშე ვერ იქმნება ეფექტიანი ეკონომიკური მდგომარეობა/საფუძველი.* შესაბამისად, გვინდა არ გვინდა (ჟღერს თუ არა მეცნიერულად) საკითხის მეცნიერული კვლევისას აუცილებელია, მათ შორის, ყურადღება მივაქციოთ როგორც საკვლევი სფეროს მარეგულირებელ ნაწილს ისე სფეროსთან მიმართებაში მიღებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებებსა თუ სხვადასხვა ჩინოვნიკების განცხადებებს, ქმედებებს, პოლიტიკას. ეს ქმედებები, პოლიტიკა, გადაწყვეტილებები, პირდაპირპროპორციულად ახდენს გავლენას ამა თუ იმ სფეროს მდგომარეობაზე. შესაბამისად, ამ კომპონენტის გაუთვალისწინებლობა კვლევებში, იწვევს რეალური მიზეზებისგან (მდგომარეობის გამომწვევი რეალური მიზეზებისგან) აცდენას, ასევე ზრდის კვლევის შედეგების და რეკომენდაციების რეალობისგან აცდენის ალბათობას.

მაშ ასე:

**საწვავის ბაზარი**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საწვავის ფასი მუდმივი განხილვის და მსჯელობის თემა გახლდათ, განსაკუთრებით 2003-2012 წლებში ამ პერიოდში საწვავის ფასი (პრემიუმსა და რეგულარზე) 1.65-2.40 [13] ლარის ფარგლებში მერყეობდა რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზარზე პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი აღმოფხვრის მიზნით პრემიერ მინისტრის დავალებით ბაზრის შესაბამისმა მარეგულირებელმა ორგანომ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ[1] დაიწყო შესაბამისი ბაზრის მოკვლევა - 2014 წლის 12 ნოემბერს (კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის #14 ბრძანება). მოკვლევა შეეხებოდა საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზარზე კონკურენციის კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტის გამოვლენას (კანონის მე-7 მუხლის - შემზღუდველი ხელშეკრულებები/გადაწყვეტილებები შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით). კვლევა დასრულდა 2015 წლის 14 ივლისს. [1]

აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრობლემის მიზეზის ძებნისას, სახელმწიფოს მხრიდან, პირველ რიგში, დასმული იქნა კითხვა, საწვავზე არსებული მაღალი ფასი ბაზარზე მოქმედი კომპანიების ბრალი ხომ არ არის - ანუ სახელმწიფომ პრობლემის ძიება ჯერ თავის ქმედებებთან (მის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის კვლევის კუთხით) მიმართებაში კი არ დაიწყო, არამედ ჩათვალა, რომ ის სწორად იქცევა და თუ პრობლემაა ბაზარზე, ეს პირველ რიგში ბაზარზე

1 2014 წელს კონკურენციის მაკონტროლებელ ორგანოს ერქვა კონკურენციის სააგენტო მისი სახელი შეიცვალა 2020 წელს და დაერქვა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

მოქმედი ეკონომიკური აგენტების ბრალი შეიძლება იყოს (ჩვენთვის ცნობილი არ არის სახელმწიფოს ხელმძღვანელის/შესაბამისი თანამდებობის პირის არცერთი მიმართვა, მოწოდება, დავალება შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიმართ, რომ მოეხდინა/მოეხდინათ მარეგულირებელი კანონმდებლობის/შესაბამისი ნორმატიული ბაზისა და რეგულაციების კრიტიკული ანალიზი პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. მართალია ბაზრის კვლევა თავის თავში საკანონმდებლო/მარეგულირებელი ბაზის კვლევასაც ითვალისწინებს, მაგრამ კვლევის დოკუმენტში იგი მხოლოდ არსებული/მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის მიმოხილვით ხასიათს ატარებს).

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გატარებული იქნა უმძიმესი სამუშაო, რათა დადგენილიყო იკვეთებოდა თუ არა ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტი. როგორც კვლევიდან ჩანს არ არსებობდა პირდაპირი მტკიცებულებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები/გადაწყვეტილებები) დარღვევასთან დაკავშირებით. კონკურენციის სააგენტოს მოუხდა ირიბი გზით წასვლა, რისთვისაც განახორციელა 2004-2012 წლების პერიოდის ყოველწლიური ანალიზი.

საბოლოოდ დადგინდა, რომ ბაზარზე არსებობდა კონკურენციის დარღვევის ფაქტები. კერძოდ: „...2008-2012 წლებში დიზელისა და ბენზინის სასაქონლო ბაზარზე ადგილი აქვს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", და „გ" ქვეპუნქტების დარღვევას. ეს ქმედება ეხება, არსებითად, ოლიგოპოლიური სტრუქტურის მქონე სასაქონლო ბაზრის წევრებს მათთან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ეკონომიკურ აგენტებს და შესაბამის ბაზარზე ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს" [1, გვ. 179] - აღნიშნულია კვლევაში. ბაზარზე მოქმედი კომპანიები ჯამში 54 მლნ-მდე ლარით დაჯარიმდნენ. ჯარიმის ოდენობა 3 მლნ-მდე შემცირდა განმეორებითი კვლევის შედეგად [2].

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

1. ნიშანდობლივია, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დასკვნა 2015 წლის ივლისში დაიდო პროცესი გაგრძელდა დროში; ეკონომიკურმა აგენტებმა გაასაჩივრეს სასამართლოს შესაბამის ინსტანციებში კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება. პროცესი დასრულდა 2018 წელს მას შედეგ რაც კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, სასამართლოს დავალებით, მეორედ განახორციელა ბაზრის მოკვლევა (10.05.2018).

როგორც აღვნიშნეთ კვლევისა და აღსრულების პროცესი გაიჭიმა დროში (ჯამში 4 წელი დასჭირდა საკითხის დასრულებას). შესაბამისად, ამ პერიოდში, არ იქნა აღსრულებული კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები (რეკომენდაციების ეფექტიანობის საკითხზე აქ არ შევჩერდებით). აღნიშნული კი მკვეთრად აზიანებს/აზიანებდა ბაზარზე არსებულ კონკურენტულ მდგომარეობას და არაეფექტიანს ხდის/ხდიდა შესაბამისი ორგანოს საქმიანობას. ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტის გამოვლენისა და ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესს თუ წლები სჭირდება დასაზუსტებელია, რატომ იხარჯება რესურსი (დრო, ენერგია, საბიუჯეტო სახსრები და ა.შ.) დამკვიდრებული პროცედურისთვის. ეს ხომ ერთის მხრივ აფერხებს სისტემის ეფექტიანად მუშაობას და მეორეს მხრივ ზრდის წნეხს (ბიუროკრატიულ წნეხს) კერძო ბიზნესზე - ბაზარზე მოქმედი შესაბამისი ეკონომიკური აგენტები სამი/ოთხი წელი იყვნენ „გაუგებრობაში", საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში, რაც რა თქმა უნდა ნეგატიურად აისახება ბაზრის განვითარებაზე, მის საინვესტიციო მიმზიდველობასა სექტორში ეკონომიკური აგენტების შესვლის სტიმულზე.

2. ის რაც კონკურენციის სააგენტოს კვლევაშია ასახული - წლითი წლობით კონცენტრაციის ზრდა ბაზარზე და გარკვეული მომწოდებლების პროდუქციის იმპორტში და რეალიზაციაში ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის დაკავება. ასევე, ბაზარზე არასწორი კონკურენტული ქმედებები შეუიარაღებელი თვალითაც ნათელი იყო. უბრალოდ დასამტკიცებლად იყო რთული და შესაბამის ორგანოს ათწლიანი პერიოდის კვლევა დასჭირდა რომ დარღვევა დაემტკიცებინა. რთულად დასამტკიცებელი რომ იყო ეს იქიდანაც ჩანს, რომ სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია მტკიცებულებები და განმეორებით შესწავლის მიზნით/გადახედვისთვის დაუბრუნა კონკურენციის მაკოორდინირებელ უწყებას თავისი კვლევა.

3. ***ცხადია ისიც, რომ შესაბამისი ეკონომიკური აგენტები აღნიშნულ ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას სახელმწიფო ლობის გარეშე ვერ დაიკავებდნენ.*** აღნიშნულზე მითითება კვლევაშიც არის გაკეთებული. კერძოდ: *„2008-2011 წლებში მოქმედი იმპორტიორი კომპანიებისაგან მიღებული ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, რომ 2009-2011 წლებში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის, აქტიურად ხელოვნურ ზემოქმედებას ბაზარზე, რაც გამოიხატება იმპორტის განხორციელების შეზღუდვაში. ამასთან, იკვეთება ცალკეული გარემოებაც, რომელიც სცილდება საქართველოს ფარგლებს და ისეთი გარემოებაც, რაც შეიძლება ითქვას, უკავშირდება* ***არასაბაზრო ინსტიტუტების გამოყენებასა და ჩართვას იმ საკითხებში, რაც მათ კომპეტენციას სცილდება.*** *თუმცა საგნობრივი ან დოკუმენტური სახის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ინსტიტუტების მონაწილეობასთან სასაქონლო ბაზრის ხელოვნური ბარიერების*

*შექმნაში, სააგენტოში არ არის წარმოდგენილი, ახსნა-განმარტების გარდა (ასევე, საკუთრივ სააგენტოს მიერ სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა)“ [1, გვ. 93-94].*[2]

ზემოაღნიშნულზე მეტყველებს ასევე, კვლევაში ასახული ანალიზი წლების მიხედვით. ბაზრის კონცენტრაციის მკვეთრად ზრდის ფაქტები (ასევე, ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტების არსებობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი), რომელიც, ძირითადად 2007-2009 წლიდან იწყება და პიკს 2011-2012 წლებში აღწევს.

გამოთქმული მოსაზრებას ამყარებს შემდეგი გარემოებაც. 2006 წელს ბაზარზე ჩნდება კომპანია, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“, რომელიც მალევე 1-2 წელიწადში იკავებს ბაზრის საკმაოდ დიდი სეგმენტს. კომპანიის წილი ბენზინისა და დიზელის საერთო იმპორტში შეადგენს: 2006წ. - 0,65% (4.6 მლნ. ლარის ღირებულების 4,9 ათასი ტონა), 2007წ. - 24,86% (208,5 მლნ ლარის ღირებულების 178,7 ათასი ტონა), 2008წ. – 47,66% (465,3 მლნ. ლარის ღირებულების 359,5 ათასი ტონა). ***ასევე აღნიშნული კომპანია შემდგომში ხდება საწვავის იმპორტის აღმოსავლეთ მიმართულებიდან „ექსკლუზიური-პარტნიორული ტიპის კომპანია “*** (შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ გარეშე სხვა იმპორტიორ კომპანიებს აღარ შეუძლიათ აღმოსავლეთის მიწოდების წერტილებიდან საწვავის შემოტანა) [1, გვ. 82-83 და 92].

არასაბაზრო ინსტიტუტების პროცესზე გავლენაზე მეტყველებს ასევე კვლევაში ასახული და შემდგომ ბაზრის მონიტორინგის 20019, 2020 და 2021 წლების დოკუმენტებში დაფიქსირებული ფაქტები [3, 4, 5] კვლევის მიხედვით, 212 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც მოხდა ხელისუფლების ცვლილება 2013 წელსვე გაიზარდა საწვავის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა - „განახლდა პოტენციური ეკონომიკური აგენტების მიერ საქონლის იმპორტი და შეექმნათ საქონლის შეძენის შესაძლებლობა“; „ამუშვდა 2013 წლამდე გაჩერებული 107 ავტოგასამართი სადგური“ [1, გვ.153].

*<u>აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი დასტურია ჩვენს მიერ არაერთხელ გამოთქმული/დაწერილი მოსაზრებისა, რომ უმეტეს შემთხვევებში არასაბაზრო ინსტიტუტების პროცესში ჩართვის გამო (სახელმწიფოს/ჩინოვნიკების მხრიდან ლობიზმის ან არასწორი პოლიტიკის გატარების გამო) ხდება ბაზარზე კონკურენციის პირობების დარღვევა (ეკონომიკური კანონების არასრულფასოვნად მოქმედება) -</u>* ამა თუ იმ კომპანიის მიერ დომინანტური მდგომაროების მიღწევა (ჩვენს შემთხვევაში ბაზარის საკმაოდ დიდი მოცულობის დაკავება), თუ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შემდგომ კი სხელმწიფო ცდილობს თავისი არასწორი ქმედების ცუდი შედეგი კერძო კომპანიებს გადააბრალოს; და ამ გადაბრალების ყველაზე კარგი ინსტრუმენტი კი, როგორც წესი, სახელმწიფოს ხელში არსებული შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი დაწესებულებებია. რა მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში? როგორც ანგარიშიდან ირკვევა „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმმა“ არასაბაზრო ინსტიტუტების დახმარებით, სახელმწიფო ჩინოვნიკებისა თუ ინსტიტუტების ლობიზმის შედეგად, მიაღწია ბაზარზე იმ მდგომარეობას, რასაც მიაღწია (აღნიშნულს ვერ შეეწინააღმდეგებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ „დაძირავდნენ“/არ შემოუშვებდნენ ბაზარზე, ხსენებული ჩინოვნიკები/არასაბაზრო ინსტიტუტები და სხვა კომპანიას გაუხსნიდნენ გზას დომინირებისაკენ) და შემდგომ დაჯარიმდა არასწორი კონკურენტული ქმედების გამო (იმავე სისტემისგან, რომელიც მას დომინანტად გადაქცევაში ეხმარებოდა). ბევრი მკვლევარი ამ ფაქტს უბრალოდ არ გაითვალისწინებს და მხოლოდ მეცნიერული/ეკონომიკური ფაქტორებით დაიწყებს პრობლემის არსის კვლევას. მსგავს მიდგომებს კი როგორც წესი არასწორ დასკვნებამდე/რეკომენდაციებამდე მივყავართ.

ზემოაღნიშნული არგუმენტის საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში, 2004-2012 წლებში, არ არსებობდა კონკურენციის მარეგულირებელი სათანადო კანონი[3], კონკურენციის შესაბამისი, მაკოორდინირებელი ინსტიტუტი არ იყო აღჭურვილი სათანადო უფლებამოსილებებით და ეს იყო მიზეზი იმისა რომ კომპანიები და არასაბაზრო ინსტიტუტები თავისუფლად მოქმედებდნენ - არღვევდნენ კონკურენციას. ამ არგუმენტის პასუხად შეიძლება ითქვას: 1. არასაბაზრო ინსტიტუტებს არც მაშინ 2004-20012 წლებში არ ჰქონდათ უფლება გადაეჭარბებინათ თავის უფლებამოსილებას და ჩარეულიყვნენ ბაზარზე კერძო კომპანიების თამაშში, გამოეყენებინათ თავიანთი ძალაუფლება „ბოროტად“ და შერჩევითი გზით ხელი შეეწყოთ ბაზარზე რომელიმე კომპანიისთვის გაძლიერებაში. 2. ის, რომ კონკურენციის მარეგულირებელი სათანადო კანონმდებლობა არ არსებობდა და ამიტომ ხდებოდა დარღვევები არგუმენტმოკლებულია, რადგან თავისუფალ ბაზარზე, (თუ ამ ბაზარზე ხელოვნური ჩარევები არ ხდება შესაბამისი არასაბაზრო ინსტიტუტების მხრიდან), ძალიან რთულია,

---

2 საპირწონედ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ შესაძლებელია, ბაზარზე არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართვის შესახებ ინფორმაცია ქონდეს კვლევის განმახორციელებელ უწყებას. ინფორმაცია იყოს კონფიდენციალური ხასიათის და არ ასაჯაროებდეს მას, მაგრამ ფაქტია, რომ კვლევის დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ დოკუმენტური მასალა ამ ფაქტის შესახებ კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი არ არის.

3 ნორმატიული აქტი/კანონი არსებობდა მაგრამ ის, ფაქტობრივად, სრულად დაცლილი იყო კონკურენციის რეგულირების თანამედროვე სტანდარტებით განსაზღვრული რეგულაციებისგან

ფაქტობრივად შეუძლებელია, ასეთ მოკლე დროში (2 წელიწადში, 2006-2008 წწ.) მოიპოვო და დიდხანს შეინარჩუნო „დომინანტური" მდგომარება (ბაზრის მსხვილი წილი) მითუმეტეს იმ ფონზე, როცა „ბოროტად იყენებ" შენ მდგომარებას - მსოფლიოში არსებული თავისუფალი კაპიტალი ამის საშუალებას არ მოგცემს (თუ რატომ მოხდება ასე, ამ საკითხზე საუბარი ცდება ჩვენი ნაშრომის თემას და მეტ ყურადღებას აქ აღარ გავამახვილებთ). ასევე, დასაზუსტებელია, თუ იმ პერიოდში შესაბამისი ნორმატიული ბაზა არ არსებობდა, რატომ ვედავებით კომპანიას კონკურენტული ქმედების დარღვევაზე იმ პერიოდიდან გამომდინარე, როცა მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა არ არსებობდა - „დაესიზმრებოდა" კომპანიას რომ კანონს არღვევდა"?. მითუმეტეს, იმ ფონზე, როცა შემდგომ, ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტებში აღვნიშნავთ, რომ სიტუაცია გამოსწორდა და კითხვასაც არ ვსვამთ (შესაბამისი ორგანო არ სვავს) „დასჯილმა" კომპანიებმა განაგრძეს თუ არა შეთანხმებული ქმედება.[4]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგ კვლევებში, ბაზრის მონიტორინგის ანგარიშებში (2012 წლის მერე პერიოდის მონიტორინგის დოკუმენტებში) კრიზისების ახსნა ხდება ეკონომიკური ხასიათის ანალიზით (ძირითადად ბაზარზე არსებული ფასებისა და მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობაზე დაკვირვებით და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოთვლის საშუალებით), სადაც გარე ფაქტორები/არასაბაზრო ინსტიტუტების ზეგავლენა პროცესზე (კორუფცია, ლობირება, სპეციალური შეღავათების მინიჭება და ა.შ.) არ არის გათვალისწინებული/ასახული. ამას ადასტურებს ისიც, რომ სანამ საკითხში გარკვევის პოლიტიკური ნება არ გაჩნდა[5] კვლევის პროცესი არ დაწყებულა (პოლიტიკური ნების გაჩენის შემთხვევაში კი ყოველგვარი ზედმეტი ანალიზის გარეშეც იყო/არის შესაძლებელი ბაზარზე ეკონომიკური კანონების ეფექტიანად ამოქმედება და კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ აგვარებს პრობლემას). *არასაბაზრო ინსტიტუტები გამოყენებული უნდა იყოს ბაზრის ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერებისგან/რეგულირებისაგან გათავისუფლებისა და მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად და არა ეკონომიკური წინსვლის შეფერხებისათვის -რეგულირების მექანიზმის ზემდეტად გამკაცრებისთვის.*

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა, რა უშლიდა/უშლის ხელს ხელისუფალს ზედმეტი კვლევის გარეშე განახორციელოს ბაზარზე კონკურენტული პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები (გამოიძიოს ლობირებს თუ არა ბაზარზე მოთამაშე კომპანიას/კომპანიების ჯგუფს სახელწიფოს მხრიდან ვინმე; შექმნას ბაზარზე შესვლის, გასვლისა და ოპერირების უფრო მიმზიდველი პირობები; შექმნას გარანტიები ბაზარზე მოთამაშე კომპანიებისათვის, რომ არაკანონიერად მათ ბიზნესს ვერ შეეხება ვერავინ; გასწიოს გაცნობითი/„პროპაგანდისტული" საქმიანობა საერთაშორისო მასშტაბით ბაზარზე არსებულ მიმზიდველ პირობებთან დაკავშირებით და ა.შ.). რატომ უნდა სჭირდებოდეს ზედმეტი რესურსის ხარჯვა საკითხს[6], რომელიც არსებითი კვლევის გარეშეც ცხადია. გასაგებია, რომ კვლევისა და მტკიცებულებების გარეშე ვერ დაადანაშაულებ კომპანიას კონკურენციის დარღვევაში, მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებას (რომელიც ბაზარზე ჯანსაღი ეკონომიკური და კონკურენტული მდგომარეობის დამყარებისკენ არის მიმართული, რაც არაჯანსაღ სიტუაციას კვლევებისა და სანქციების გარეშე გამოასწორებს) ხომ არ სჭირდება კვლევა და მტკიცებულებების არსებობა. უბრალოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო იმისათვის, რომ სექტორში/ბაზარზე შექმნა უფრო მიმზიდველი საინვესტიციო და ეკონომიკური გარემო. როგორც კი გაჩნდა პოლიტიკური ნება, დაიწყო ბაზრის მოკვლევა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში ბაზარზე ისეთი მექანიზმები დაინერგებოდა, არა რეგულირების გამკაცრების, არამედ ბაზრის განვითარების სტიმულების შექმნისა და ბარიერების მოხსნის მხრივ, რომ ზედმეტი კვლევებისა და სანქციების გარეშე გამოსწორდებოდა სიტუაცია სექტორში.

ზემოაღნიშნულს დაემატა ისიც, რომ 2017 წლის პირველი იანვრიდან საწვავზე აქციზის ფასი, მა-

4 ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

5 2012 წელს მოხდა ხელისფლების ცვლილება არჩევნების გზით და კვლევა 2014 წელს სწორედ ახალმა ხელისუფლებამ დაუკვეთა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, წინა ხელისფლების პერიოდის/საქმიანობის კვლევაში, ფსიქოლოგიურად თუ ბიუროკრატიული წნეხის თვალსაზრისით, მკვლევარი ჩინოვნიკები (მონიტორინგის განმახორციელებელი დაწესებულება) უფრო თავისუფალი იყო (თავისუფლად, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური შეზღუდვის გარეშე კვლევის ალბათობა უფრო მაღალი იყო). ჩვენი აზრით, ამას ადასტურებს ისიც, რომ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ საწვავის ბაზრის კვლევის მიზნით განხორციელებულ კვლევებში/ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტებში (საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2019, 2020, 2021 წლების მონიტორინგის დოკუმენტებში) არასაბაზრო ინსტიტუტების ხსენებაც კი აღარ არის არც დადებით და არც უარყოფით კონტექსტში და ნათქვამია, რომ ბაზარზე სიტუაცია კონკურენტულია მიუხედავად იმისა, რომ ფასი საწვავზე არ დაცემულა, უფრო მეტიც, შემდგომ პერიოდში, საწვავის ფასი მკვეთრად გაიზარდა.

6 ჯერ გააძლიერო კონკურენციის მაკოორდინირებელი უწყების ფუნქციები და მერე დაავალო შეისწავლოს ბაზარზე არის თუ არა კონკურენციის დარღვევის ფაქტები (გაზარდო საბიუჯეტო რესურსების ხარჯვა) მაშინ როცა შეგიძლია უფრო მეტად გახსნა ბაზარი და მაქსიმალურად აღკვეთო არასაბაზრო ინსტიტუტების ჩარევის ალბათობა ბაზარზე.

რკების მიხედვით, ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა [28]. ხელისუფალი, რომელიც ავალებს კონკურენციის შესაბამის მაკოორდინირებელ უწყებას ბაზრის კვლევას, პროცესის დასრულებამდე (სასამართლოს საბოლოო დასკვნის გამოცხადებამდე. პროცესი 2018 წელს დასრულდა), მითუმეტეს იმ ფონზე როცა კონკურენციის შესაბამის მარეგულირებელ უწყებას კვლევის მიხედვით დადასტურებული აქვს ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტები ბაზრის მოთამაშეების მხრიდან, უარგუმენტოდ (ჩვენთვის აქციზის ზრდის არგუმენტირებული საჭიროების შესახებ რაიმე ტიპის კვლევა ან განცხადება ცნობილი არ არისს) ზრდის აქციზის გადასახადს და იწვევს საწვავის ფასის ზრდას. უფრო აძნელებს ბაზრის მცირე მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესვლის ან საქმიანობის გაზრდის შესაძლებლობას.

5. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ასახული ანალიზის მიხედვით 2013-2014 წლები საწვავის ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აღმავლობის ხანად არის მოხსენიებული [საწვავის ფასი 2015-1016 წლებში მართლაც შემცირდა. თუმცა ფასის ცვლილებაზე ძირითადი გავლენა ნავთობის ფასის მკვეთრად შემცირებამ უფრო იქონია (აღნიშნულ პერიოდში 2014 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ შემცირდა ფასი ბარელ ნავთობზე [18]), ვიდრე ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესებამ (ამ დროს კონკურენციის დარღვევის ფაქტებზე ჯერ ისევ სასამართლო განხილვები მიმდინარეობდა, პროცესი არ იყო დასრულებული. ასევე, საწვავის ბაზარზე ოლიგოპოლიური შეთანხმებების კონტროლი და კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესება არც ისე იოლი საქმეა, გარკვეულ დროს და ძალისხმევას

***გრაფიკი N1***

**ნავთობკომპანიების მიერ, სამომხმარებლო ქსელში, საწვავზე დაფიქსირებული საშუალო ფასი ლარში 2012-2018წწ.**[1]

| კომპანია | საწვ. ტიპი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შპს „ლუკოილ ჯორჯია" [15] | რეგ. | 2.12 | 2.01 | 2 | 1.77 | 1.48 | 2 | 2.25 | | | | |
| | პრემ. | 2.27 | 2.14 | 2.17 | 1.92 | 1.68 | 2.19 | 2.38 | | | | |
| შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი" [14] | რეგ. | 2.05 | 2.05 | 2.05 | 1.96 | 1.60 | 2.10 | 2.33 | 2.46 | 2.39 | 2.64 | 3.39 |
| | პრემ. | 2.2 | 2.2 | 2.2 | 2.10 | 1.78 | 2.27 | 2.44 | 2.56 | 2.50 | 2.77 | 3.59 |
| შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" (გალფი) [13] | რეგ. | 2.09 | 2.01 | 2.05 | 1.80 | 1.57 | 2.10 | 2.29 | 2.46[2] | 2.42[3] | 2.74[4] | 3.39[5] |
| | პრემ. | 2.3 | 2.15 | 2.23 | 1.97 | 1.79 | 2.26 | 2.42 | 2.53[6] | 2.52[7] | 2.83[8] | 3.51[9] |
| სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია [16] | რეგ. | 2.10 | 2.05 | 1.94 | 1.70 | 1.73 | 2.15 | 2.39 | 2.49 | 2.37 | 2.68 | 3.34 |
| | პრემ. | 2,25 | 2.23 | 2.12 | 1.87 | 1.92 | 2.25 | 2.49 | 2.58 | 2.52 | 2.82 | 3.59 |
| ოპეკის საშუალო წლიური ფასი ბარელ ნავთობზე [18] | $ | 109.45 | 105.87 | 96.29 | 49.49 | 40.68 | 52.51 | 69.52 | 64.04 | 41.47 | 69.72 | 105.6 |
| ლარის საშუალო გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში [20] | $/ ლარ. | 1$= 1.65 | 1$= 1.66 | 1$= 1.77 | 1$= 2.28 | 1$= 2.35 | 1$= 2.5 | 1$= 2.53 | 1$= 2.8 [19] | 1$= 3.1 | 1$= 3.2 | |

1 ფასი გამოყვანილია წლის დასაწყისში და წლის ბოლოს არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულით
2 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2019 წლის განმავლობაში - 2.59 ლარი
3 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2020 წლის განმავლობაში - 2.55 ლარი
4 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2021 წლის განმავლობაში - 3.19 ლარი
5 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2022 წლის 1 იანვრიდან 13 აგვისტომდე პერიოდში - 3.83 ლარი
6 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2019 წლის განმავლობაში - 2.64 ლარი
7 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2020 წლის განმავლობაში - 2.62 ლარი
8 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2021 წლის განმავლობაში - 3.27 ლარი
9 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2022 წლის 1 იანვრიდან 13 აგვისტომდე პერიოდში - 3.99 ლარი

მოითხოვს. შესაბამისად, ბაზარზე კონცენტრაციის დონე და ოლიგოპოლიური გარიგებების შესაძლებლობები ისევ მაღალი იყო. ეს კვლევაშიც აღნიშნულია).] რაიმე ხელშესახები ცვლილებები ბაზარზე არ მომხდარა უფრო მეტიც 2016 წლიდან საწვავის ფასმა ზრდა დაიწყო და 2022 წლის იანვარ-ივნისის მდგომარეობით საშუალოდ რეგულარისა და პრემიუმის მარკის საწვავი 3.39 – 3.59 ლარის ნიშნულს გადააჭარბა (პრემიუმის მარკის საწვავი ფასი 4 ლარის ფარგლებში მერყეობს)

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფაქტია, რომ საწვავი, მუხედავად მასზე საერთაშორისო ფასის კლებისა, არსებითად არ გაიაფებულა და ისევ მაღალ ნიშნულზე დარჩა. ზოგადი სურათის შესაქმნელად, ჩვენ დავამუშავეთ შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (გალფი), სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს მიერ გამოქვეყნებული საწვავის რეგულარისა და პრემიუმის ფასები წლების მიხედვით (იხ გრაფიკი N1):

როგორც ცხრილიდან ჩანს 2012 წელთან შედარებით 2018 წელს ერთ ლიტრ საწვავზე ფასი ლარში გაზრდილია. ეს იმ ფონზე როცა საერთაშორისო ფასი ბარელ ნავთობზე 1,6-ჯერ არის შემცირებული. აქ გასათვალისწინებელია ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაშიც, საიდანაც დავინახავთ, 2018 წელს 2012 წელთან შედარებით ფასი დოლარში შემცირებულია, მაგრამ არა იმ მოცულობით რა მოცულობითაც გაიაფებულია ბარელი ნავთობის საერთაშორისო ფასი (ფასი შემცირებულია დაახლოებით 0.30-0.45 $-ის ფარგლებში მერყეობს). თუმცა დოლარში გაიაფებული ფასი წლების მანძილზე მიმდინარე ლარის კურსის დევალვაციისა და ფასების ზრდის ფონზე (ლარის არასტაბილური მერყევი კურსი) არსებით გავლენას ვერ მოახდენს ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესების სტიმულირებაზე.

ყურადსაღებია შემდეგი ფაქტებიც: **2012 წელს,** მაშინ როცა ბარელი ნავთობის ფასი 109.45 დოლარი იყო ჩენს მიერ საკვლევ კომპანიებში დაფიქსირებული მაქსიმალური საშუალო ფასი პრემიუმის მარკის საწვავზე 2.27 ლარს შეადგენდა; **2019 წელს**, როცა ბარელი ნავთობის ფასი 64.04 დოლარამდე იყო შემცირებული (1.7-ჯერ დაიკლო) მაქსიმალურმა საშუალო ფასმა 2.58 ლარი შეადგინა; **2020 წელს** მაშინ როცა ბარელი ნავთობი 2.6-ჯერ უფრო იაფი, 41.47 დოლარი ღირდა საწვავის მაქსიმალურმა ფასმა 2.52 ლარი შეადგინა; **2022 წელს** მაშინ როცა ბარელი ნავთობის ფასი 2012 წლის ფასს მიუახლოვდა - 105.6 დოლარი საწვავის მაქსიმალურმა საშუალო ფასმა 3.59 ლარი (გაძვირება 1 ლარს აღემატება) შეადგინა.

შეიძლება ითქვას, რომ საწვავის ბაზარზე, მომხმარებლისთვის, მაშინ უკეთესი მდგომარეობა იყო, როცა, კვლევის მიხედვით, არაჯანსაღი კონკურენტული მდგომარეობა (კარტელური გარიგება) დაფიქსირდა, ვიდრე მაშინ როცა სიტუაცია, როგორც კვლევაში და მონიტორინგის დოკუმენტებშია ასახული, გაუმჯობესდა.

აქ ჩნდება გონივრული ეჭვი/კითხვა, ზემოაღნიშნული ხომ არ მიუთითებს, რომ სიტუაცია ბაზარზე არსობრივად არ შეცვლილა/არ გაუმჯობესებულა და იგივე მდგომარეობა დარჩა რაც 2012 წლამდე იყო (მომდევნო მსჯელობისას ამ საკითხს მეტნაკლებად სინათლე მოეფინება).

5. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კვლევაში მინიშნებაა გაკეთებული, რომ ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, პროცესში არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართვამ გამოიწვია (თუმცა ამის ფაქტობრივი მტკიცებულებები არ არსებობს) - ამ ფაქტს რომ არ ქონოდა მყარი საფუძველი კვლევაში ვერ მოხვდებოდა. ანუ საბოლოოდ რა მივიღეთ, არასაბაზრო ინსტიტუტების გამოისობით, ბაზარზე მოთამაშე ეკონომიკური აგენტების ჩართულობითა და უშუალო მონაწილეობით დაირღვა კონკურენტული გარემო და ამისთვის ისჯებიან მხოლოდ ეკონომიკური აგენტები. ცხადია, რომ ეკონომიკური აგენტები ვერ წავიდოდნენ არასაბაზრო ინსტიტუტების წინააღმდეგ (დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დაკარგავდნენ კაპიტალს) ან რატომ უნდა ყოფილიყვნენ წინააღმდეგნი თუ მეტი მოგების მიღების შანსი ეძლეოდათ. ანუ რა გამოდის? - ისჯებიან უფრო „სუსტები“, ნაკლები გავლენისა და ძალაუფლების მქონე პირები - კერძო კომპანიები, რომელიც ქმნის დოვლათს და რომელთა ხარჯზეც ფუნქციონირებს სახელმწიფო; კონკურენციის შეზღუდვის პროცესის რეალურად შემქმნელი და წარმმართველი - არასაბაზრო ინსტიტუტები კი აგრძელებენ პროცესების მართვასა და რეგულირებას.

შესაბამისად, მექანიზმი რომელიც ბაზარზე სიტუაციის გამოსასწორებლად მოიმართა აშკარად „დისკრიმინაციულია“[7] (ამ შემთხვევაში, ჯოხი ტყდება მხოლოდ ბაზრის მოთამაშეებზე, თან ედავებიან კარტელურ გარიგებას იმ დროზე, როცა შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ასეთ მკაცრ რეგულაციას. კომპანიებს ვერ ეცოდინებოდათ, რომ მსგავსი ქმედება კანონსაწინააღმდეგო იყო), წნეხად აწვება ბიზნესს (თუნდაც ოლიგოპოლიურად გარიგებაში შესულს) და საერთო ჯამში იწვევს ეკონომიკური და კონკურენციული განვითარების შეფერხებას. იზღუდება სწრაფი ტემპით განვითარების შესაძლებლობა (ამაზე, გარკვეულწილად, მე-4 პუნქტში მოყვანილი ციფრებიც მეტყველებს, ჩვენი აზრით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კი-

7 ნორმატიული ბაზა ითვალისწინებს ბევრად მკაცრ რეგულაციის და ჯარიმების/სანქციების პროცედურას კერძო კომპანიების/ეკონომიკური აგენტების მიმართ, ვიდრე არასაბაზრო ინსტიტუტების/საჯარო დაწესებულებების მიმართ.

თხვა. თუ არა წარმოდგენილი (კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საშუალებით სიტუაციის გაუმჯობესების მექანიზმი) მექანიზმი, როგორ არის შესაძლებელი სიტუაციის გაჯანსაღება/გამოსწორება? პასუხი მარტივია: 1. არასაბაზრო ინსტიტუტების „ჩახსნა" პროცესიდან/რეგულირებიდან/არაფორმალური კოორდინაციიდან. 2. კავშირშია 1 პუნქტთან - მოწოდების წყაროების წერტილებიდან ექსკლუზივის, დომინანტი შუამავლების ხელის არ შეწყობა. 3. სექტორზე საგადასახადო წნეხის/განაკვეთების და ადმინისტრირების/რეგულაციების მაქსიმალური შემცირება. აღნიშნული გაზრდის მოგების მარჟას, ბაზარს გახდის უფრო გახსნილს და თავისუფალს (მითუმეტეს სრულად იმპორტზეა დამოკიდებული ბაზარი) და მეტ კომპანიას მოიზიდავს ბაზარზე. 4. მაქსიმალური ძალისხმევის წარმართვა პიარისა და ბაზარზე სხვადასხვა ტრანსნაციონალური/ძლიერი კომპანიების მოზიდვის მიზნით (არა კოორდინაცია და პროცესში ჩართვა არამედ მხოლოდ დაინტერესების/გაცნობის კუთხით მუშაობა).

6. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად საწვავზე მაღალი ფასისა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს 2019, 2020 და 2021 წლის კვლევების/ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტების [3,4,5] მიხედვით, საწვავის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოა. კვლევების დასკვნები, ძირითადად ეყრდნობა ბაზარზე ეკონომიკური აგენტების რაოდენობას (რაოდენობა გაზრდილია) ეკონომიკური აგენტების მიერ დაწესებულ ფასებს (ფასები დიფერენცირებულია სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების გასამართ სადგურებზე) და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს (ბაზარი არ არის მაღალ კონცენტრირებული).

ზემოაღნიშნულ ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტებში ველარ შეხვდებით რა მდგომარეობაა ბაზარზე/პროცესში არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართულობის მხრივ; არ არის ასახული: **1.** არის თუ არა ბაზრის მსხვილ მოთამაშეებს შორის კარტელური გარიგება ბაზრის იმ სეგმენტზე რომელ სეგმენტსაც ეს კომპანიები იკავებენ (ბაზრის 58%); **2.** იქნებ ბაზარზე გაჩენილი წვრილი კომპანიები მსხვილი მოთამაშეების მიერ არის შექმნილი - მათი არაოფიციალური ქუდის ქვეშ ფუნქციონირებენ (ალღო აუღეს კონკურენციის კანონს და წვრილი კომპანიებიც დაარეგისტრირეს რომლებსაც განსხვავებული ფასები აქვს), **2.1** კომპანიების ფასებს შორის სხვაობაც იქნებ იმიტომ არის (განსაკუთრებით მსხვილი კომპანიების ფასებს შორის სხვაობა), რომ შეიქმნას მითი/ვირტუალური გარემო, თითქოს ბაზარზე კონკურენციაა რეალურად კი სხვა მდგომარეობა იყოს; **2.2** არაფერია ნათქვამი ე.წ. შეღავათიან პირობებზე - კომპანიების ფასდაკლების ბარათებზე. იქნებ ფასდაკლების ბარათებით უკვე იშლება ზღვარი (მინიმუმამდე დადის ფასებს შორის განსხვავება) ძვირსა და იაფ საწვავის ფასს შორის; **3.** არაფერია ნათქვამი ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ საქონელზე დაწესებული ფასის ცვლილებას მყისიერად მოჰყვება თუ არა ბაზრის დანარჩენი ეკონომიკური აგენტების (განსაკუთრებით მსხვილი კომპანიებს შორის) მიერ საქონელზე ფასის ცვლილება. (აღნიშნული საკითხზე 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია [1, გვ. 148], მერე არსად არ გვხვდება) **4.** არაფერია ნათქვამი ქვეყანაში შემოტანილი შესაბამისი მარკის საქონლის იმპორტის ერთეულის ღირებულებასა და მის საცალო ქსელში გასაყიდ ფასს შორის სხვაობაზე (საავტომობილო საწვავის რეალიზაციის ფასნამატი), არის თუ არა ნორმის ფარგლებში. 2014 წლის კვლევაში ეს საკითხი კონკურენციის სააგენტომ ბაზარზე კარტელური გარიგების მინიშნებად (მაღალ ალბათობად) ჩათვალა და საკითხი უფრო ღრმად შეისწავლა. ახლახან კი ფაქტობრივად ანალოგიური განაცხადა და პრემიერ-მინისტრის დავალებით შეხვდა საწვავის ბაზარზე ეკონომიკურ აგენტებს ფასის დაწევასთან მოლაპარაკების მიზნით (ეთქვა, რომ ფასი დაეკლოთ პროდუქციაზე იმიტომ, რომ ფასნამატი მაღალია) [12]. ეს, ჯერ ერთი ორმაგი სტანდარტია და მეორეც მსგავსი ქმედებები სცდება კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას. ეს არის შესაბამისი მარეგულირებელი უწყები/სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის იარაღად გამოყენება [12]; **5.** არსად არ არის აღნიშნული რა ხდება დედოფლისწყაროში დღეს/საკვლევ წლებში, მოქმედებენ თუ არა ძველი ეკონომიკური აგენტები, რომლებსაც, როგორც 2014 წლის კვლევაშია აღნიშნული, 2012 წლის მერე მიეცათ საშუალება გაეგრძელებინათ ეკონომიკური საქმიანობა [1, გვ. 134-135]; **5.** არ არის ასახული ფასებს შორის სხვაობა ხომ არ არის გამოწვეული საწვავის ჩასხმის არასათანადო სიზუსტით (ლიტრაჟის დაკლებით დაბალი ფასის სანაცვლოდ) **6.** ასევე ვერ ნახავთ ექსპორტ იმპორტის სარკისებურ შედარებას - იქნებ საწვავის ნაწილი კონტრაბანდით შემოდის და ამიტომაც ღირს უფრო იაფი **7.** ასევე არსადაა ნახსენები მარკის ადეკვატურობა იქნებ ერთი და იგივე მარკის ბენზინი ერთ გასამართ სადგურს ბევრად ხარისხიანი აქვს (გამდიდრებული დანამატებით) ვიდრე მეორეს და მაგიტომაცაა ფასებს შორის სხვაობა. ეს კი არაფერ კავშირში არ არის კარტელურ გარიგებასთან, რომელიც შეიძლება იყოს ბაზარზე - ანუ ფასებს შორის სხვაობა შეიძლება კი არის მაგრამ კარტელური გარიგების ალბათობა შეიძლება მაინც მაღალი იყოს ბაზარზე და ა.შ.

აღნიშული მოსაზრებების საპირწონედ ოპონენტებმა შეიძლება თქვან, რომ ბაზრის მოკვლევის, მონიტორინგის ნორმატიული ბაზა არ მოიცავს მსგავსი კვლევების გაკეთების აუცილებლობას, ან 7,8 და 9 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების რეგულირება, შემოწმება სცდება კონკურენციის მაკოორდინირებელი უწყების უფლებამოსილებას. ჩვენი აზრით, ეს ვერ გამოდგება საპირწონე არგუ-

მენტად, რადგან თუ გვინდა სრული სურათის დანახვა, რაც შეიძლება მეტი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ კვლევისას, მონიტორინგისას. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევა არ მოგვცემს ზუსტი სურათის დანახვის საშუალებას (კვლევა, მონიტორინგი იქნება კვლევისთვის, მონიტორინგისთვის). თუ რაიმე საკითხი სცდება კონკურენციის მაკოორდინირებელი უწყების უფლებამოსილებას, ინფორმაცია უნდა იქნას გამოთხოვილი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულებიდან რათა ბაზრის მონიტორინგი უფრო ეფექტიანად იქნას განხორციელებული. სახელმწიფო აპარატის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი სწორედ ეფექტიან კოორდინაციასა და გადაწყვეტილებების მოკლე დროში მიღებასთან არის კავშირში. დაწესებულებები უნდა იყვნენ ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტსა და თანამშრომლობაში რომ თავიდან იქნეს აცილებული ფრაგმენტული და არაეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება (ამიტომაც არის მცირე და მოქნილი მთავრობა საჭირო და არა ბიუროკრატული უფლებამოსილებებით ზედმეტად დახუნძლული სახელმწიფო აპარატი).

7. დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დიდია ალბათობა იმისა რომ კონკურენციის მარეგულირებელი უწყება გახდეს სახელმწიფოს ხელში „იარაღი“[8], მისი/სახელწმიფოს არასწორი პოლიტიკის/ქმედებების „გაპრავების“ მიზნით, ან საჭიროების შემთხვევაში ბიზნესზე ზეწოლის ბერკეტი. აღნიშნული ნიშნები, არაპირდაპირ უკვე ჩანს. მაგალითად, 2018 წელს პურის ფასის ზრდასთან დაკავშირებით პრემიერ მინისტრმა კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს მიმართა, რათა სასწრაფოდ შეესწავლათ პურის ფასის ზრდის მიზეზები [21], ხომ არ იყო ფასის ზრდა დაკავშირებული კომპანიების მხრიდან კონკურენციის წესების დარღვევის გამო. როგორც კი წარმოიქმნა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პრობლემა ხელისუფალმა თავის პოლიტიკას კი არ გადახედა - ხომ არ ვცდები/შევცდი სადმე ჩემს ქმედებებში, რამაც პურზე ფასის ზრდა განაპირობა, არამედ თითი იმწამსვე კერძო სექტორისაკენ გაიშვირა (კონკურენციის მარეგულირებელი უწყება ერთგვარ „ფარად“, დაზღვევად გამოიყენა). არადა პურის ფასის ზრდას, ჩვენი აზრით, საფუძველი სწორედ სახელმწიფოს მხრიდან ხორბლის იმპორტის შეზღუდვის დაანონსებას - საავტომობილო ტრასპორტით ხორბლის იმპორტის აკრძალვის ბრძანების გამოცემას მოჰყვა[9], რის შემდეგაც მოვლენები ჯაჭვური რეაქციით განვითარდა და საქართველოში ხორბლის ერთადერთ იმპორტიორად მხოლოდ რუსეთი დარჩა [22]. თუმცა ეს საკითხი სცდება ჩვენი დღევანდელი ნაშრომის კვლევის თემას და აქ უფრო ღრმად აღარ განვიხილავთ, მაგრამ აღნიშნული მიმართულებით კვლევას ვაგრძელებთ.

ასევე, კარგი მაგალითია პრემიერ-მინისტრის დავალებით კონკურენციის მარეგულირებელი უწყების ხელმძღვანელის შეხვედრა ნავთობ კომპანიებთან ფასების დაკლების/შემცირების მიმართულებით (ამ საკითხს ზემოთ უკვე შევეხეთ) [12]. აქ ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს შემდეგი ფაქტი - კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო აცხადებს, რომ ბაზარზე მოქმედ მსხვილ კომპანიებს საწვავის ფასის შემცირების რესურსი ქონდათ [23] და პრემიერ-მინისტრის დავალებით, მაკონტროლებელ ორგანოს ხელმძღვანელი, ორგანოსი რომელიც კონკურენციას არეგულირებს/აკონტროლებს ბაზარზე, ხვდება ბაზარზე მოქმედ მსხვილ მოთამაშეებს ფასის დაკლება შეგიძლიათ და დააკელითო. ეს **ერთის მხრივ** სცდება კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას - მარეგულირებელი ორგანო გარიგებისთვის (რაოდენ კარგი მიზანიც არ უნდა ქონდეს შეხვედრას) არ უნდა ხვდებოდეს მისი რეგულირების სფეროში შემავალ კერძო მეწარმეებს/კომპანიებს. თუ ჩნდება ბაზარზე თამაშის წესების დარღვევის საფუძვლიანი ეჭვი, შესაბამისი ორგანო უნდა იწყებდეს მოკვლევას და არა შეთანხმებას/გარიგებას კომპანიებთან. **მეორეს მხრივ** აღნიშნული ქმედება, სახელწმიფოს მეთაურის მიერ დავალება და შეხვედრა, შეიცავს (აღიქმება) ფარული მუქარის ნიშნებს (როგორი კარგი მიზანიც არ უნდა ქონდეს შეხვედრის დაგეგმვას) - „ფასი დააკელით თორემ ვიწყებ ბაზრის მოკვლევას და დაგსჯი/დაგაჯარიმებ“. **ასევე,** მსგავსი ქმედებები/მოწოდებები/შეხვედრები ზრდის შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს/ორგანოების „სახელმწიფო იარაღად“ გამოყენების რისკს/ალბათობას - „დღეს“ ხვდებიან თხოვნით შეამცირეთ ფასებიო, „ხვალ“ ამას მკაცრი მოწოდება შეიძლება დაერთოს, „ზეგ“ კი მუქარა კანონის სრული სიმკაცრით ამოქმედების/დასჯის. ამ ყველაფერს კი მოყვება ბიზნესის დაბნეულობა, კერძო კომპანიების მხრიდან სახელმწიფოსთან გარიგების სურვილის/ალბათობის გაზრდა (დაცვის გარანტიების შექმნისთვის) და კონკურენტული გარემოს დაზიანება.

აქ საინტერესო და ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც: 2022 წლის 11 ივლისს კონკურენციის კოორდინაციის ორგანოს ხელმძღვანელი სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად შეხვდა მსხვილ ნავთობ კომპანიებს საწვავის ფასის შემცირებაზე სასაუბროდ [12]. შეხვედრის შემდეგ კი, 17 ივლისს დაიწყო საწვავის ბაზრის მოკვლევა [24], ხოლო უკვე

8 არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც, სადაც საქართველოს მსგავსი რეგულაციები მოქმედებს

9 2018 წლის 22 აგვისტოს გამოიცა ბრძანება #314 რომლის მიხედვითაც 2018 წლის 15 სექტემბრიდან უნდა აკრძალულიყო საავტომობილო ტრანსპორტით ხორბლის იმპორტი. შემდგომ ბრძანებაში ცვლილება ორჯერ შევიდა (14 და შემდეგ 20 სექტემბერს) და ბრძანების ამოქმედების ვადა ჯერ 2018 წლის 1 ოქტომბრამდე, ხოლო შემდეგ 2019 წლის 1 ოქტომბრამდე გადაიწია.

14 სექტემბერს კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო აცხადებს, რომ საწვავზე ფასების კლება აგვისტოდან დაიწყო, სექტემბერშიც გაგრძელდება და ამ ყველაფერს უკავშირებს საერთაშორისო ბაზარზე ნავთობზე ფასების შემცირებას და ლარის კურსის გამყარებას [25]. ანუ 1. შესაბამისი ორგანო, ბაზრის კვლევის დასრულებამდე, აჩენს მოლოდინს, რომ ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობაა 1.1 წინააღდეგ შემთხვევაში რატომ უნდა იყოს გარანტირებულად ვარაუდი შემცირებაზე მაშინ, როცა ბაზარზე, ფასთან მიმართებაში შეთანხმებულ ქმედების საფუძვლიანი ეჭვის გამო ერთი თვით ადრე დაწყებულია ბაზრის კვლევა. 2. მარტივად რომ ვთქვათ: ხვდები კომპანიებს ფასის შემცირებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებ ბაზრის კვლევას, რის შემდეგაც (შეხვედრის შემდეგივე თვეს) ბაზარზე 30-40 თეთრით იაფდება საწვავი და სექტემბერში გარანტირებულად მიუთითებ, რომ კიდევ შემცირდება ფასი; ამას კი ეგზოგენურ ფაქტორებს და ლარის კურსის გამყარებას აბრალებ. ეს გარემოება მსუბუქად რომ ვთქვათ, ცოტა დამაფიქრებელია (რომ ალარაფერი ვთქვათ უფლებამოსილების ჩარჩოების გადაცდომაზე. ფასების პროგნოზირება და ფასების შემცირებაზე კომპანიებთან შეხვედრა არ არის კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს კომპეტენცია. სცდება მისი უფლებამოსილებების ფარგლებს და იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, მითუმეტეს იმ ფონზე როცა ბაზარის მოკვლევა არის დაწყებული). ეს ყველაფერი, ძალიან გავს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ სქემას, ბაზარზე წნეხის შესახებ (აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ გვაქს შესაბამისი რესურსი და გავლენა რომ უფრო ღრმა კვლევა განვახორციელოთ და, რიგ შემთხვევებში, ამიტომაც შემოვიფარგლებით ტენდენციის ჩვენებით).

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, როცა შესაბამისი ორგანოს „იარაღად" გამოყენების ალბათობის შესახებ ვსაუბრობთ, რომ კონკურენციის მონიტორინგის განმახორციელებელ დაწესებულებას არაერთი კვლევა აქვს ჩატარებული, სადაც სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის საწინააღმდეგოდ განხორცილებულ ქმედებებზე აღნიშნავს და მიუთითებს, შესაბამის დაწესებულებებს, გამოასწორონ გადაცდომები. თუმცა აღნიშნული ფაქტი არ ნიშნავს რომ შესაბამისი ორგანოს ბაზარზე წნეხის გაზრდის იარაღად გამოყენების ალბათობა მცირეა.

8. ცალკე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება საწვავის ბაზრის 2022 წლის მონიტორინგზე (მონიტორინგის დოკუმენტებზე) [6]. მოკლედ, მონიტორინგის დოკუმენტებში ყურადღებაა გამახვილებული, რომ რესეთიდან შემოტანილ საწვავზე ქართულ კომპანიებს მაღალი ფასნამატი აქვთ - 20-70 თეთრის ფარგლებში და ეს ხდება საწვავის ბაზრის მოკვლევის დაწყების საფუძველი, კონკურენციის მარეგულირებელი უწყება იწყებს ბაზრის მოკვლევას [24]. ჩვენ გავეცნობით კვლევის შედეგებს და მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად გავითვალისწინებთ/მოგახსენებთ შემდგომ ნაშრომებში.

ამ ეტაპზე გვიჩნდება ერთი მოსაზრება - ეკონომისტებისთვის ცნობილია, რომ ეკონომიკის ერთ-ერთი კანონია, რომ ადამიანები რეაგირებენ სტიმულებზე. ჰოდა ვნახოთ რა სტიმულები შეიძლება უძღვოდეს წინ რუსულ ნავთობზე ფასის შეუმცირებლობას, მიუხედავად მისი გაიაფებისა. რუსულ ნავთობის ფასის შემცირება გამოიწვია რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებამ, რუსეთის უკრაინასთან ომის გამო. ბევრი ქვეყანა საერთოდ უარს ამბობს რუსული ნავთობის/საწვავის იმპორტზე. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ბიზნესისთვის, განსაკუთრებით იმათთვის ვინც საწვავის რუსეთიდან იმპორტს ეწევა, გაუგებარი სიტუაციაა. ფაქტიურად შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო/გაითვალისწინო რისი მოლოდინი (უკეთეს შემთხვევაში არავინ იცის) შეიძლება გქონდეს, რა მოხდება ბაზარზე. ან რა ბედი ეწევა რუსეთიდან საწვავის იმპორტს (ხომ არ აიკრძალება საერთოდ), გაძვირდება თუ არა რუსული საწვავი და ა.შ. ამას ემატება გაუგებრობა შიდა ბაზარზე ლარის კურსთან, სახელმწიფო პოლიტიკასა და მოსახლეობის განწყობებთან მიმართებაში. ანუ, ბიზნესის დაგეგმვისა და მომავალი განვითარებისათვის ბუნდოვანი გარემოებაა. შესაბამისად, საიმპორტო ფასის შემცირების მიუხედავად ბაზარზე ფასის შეუმცირებლობა, უფრო მეტად შეიძლება გამოწვეული იყოს მაღალი რისკებით - „შექმნილ სტიმულებზე რეაგირებით". აღნიშნულ საკითხზე არ არის ყურადღება გამახვილებული მონიტორინგის დოკუმენტში და ცოტა ბუნდოვანია რუსული საწვავის ფასის გამო მოკვლევის დაწყების გადაწყვეტილების მიღება. მეორეს მხრივ თუ კარტელურ გარიგებაშია ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიები, ეს ვერ მოხდებოდა ბოლო დღეებში, ან თვეებში. ეს ნიშნავს რომ კომპანიები დიდი ხანია (შესაძლებელია 2013 წლიდანაც) კარტელურ გარიგებაში არიან (შეიძლება არც შეუწყვეტიათ თანამშრომლობა/გარიგება არასდროს) და გამომდინარე იქიდან, რომ ბაზრის მონიტორინგისას მხოლოდ ფასზე და ჰირშმანის ინდექსზე ვიყავით ორიენტირებული, ვერ დავინახეთ რეალური სურათი (ყოველი კვლევის დოკუმენტში ვწერდით რომ 2013 წლიდან ბაზარზე სიტუაცია გამოსწორდა თუმცა საწვავი არ გაიაფებულა), გამოგვრჩა/გამოგვეპარა რეალობა.

საპირწონედ არგუმენტად შეიძლება მოყვანილ იქნეს, რომ მონიტორინგის დოკუმენტი ეხება კონკრეტულ პერიოდს ჩვენს შემთხვევებში 2019,20120, 2021, 2022 წლებს და 2014-2018 წლები, რადგან ამ პერიოდში სასამართლო დავა მიმდინარეობდა შესწავლილი არ არის. ამ შემთხვევაში 1. ბუნდოვანი ხდება მონიტორინგის დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია რომ 2013 წლიდან სიტუაცია გა-

მოსწორდა. თუ მონიტორინგი არ გაგვიკეთებია რაზე დაყრდნობით ვაკეთებთ რომ სიტუაცია გამოსწორდა ბაზარზე; მხოლოდ ბაზარზე მოთამაშე სუბიექტების გამრავლებით? 2. მეორეს მხრივ ეს საპირწონე არგუმენტი კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი ზემოთ გამოთქმული პოზიციისა - რომ მონიტორინგისთვის განხორციელებული მიდგომებით, ქმედებებით ბაზარზე რეალური სურათის, ტენდენციის დანახვა ფაქტობრივად შეუძლებელია - არ არის გათვალისწინებული („დამონიტორინგებული") რა ხდებოდა ბაზარზე მთელი 4 წლის განმავლობაში (2014-2018 წლებში). ვამბობთ 2013-დან გაუმჯობესდა სიტუაცია და „ვხტებით" 2019 წლის მონიტორინგზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩენს ეჭვს, რომ დღეს ბაზრის მოკვლევის გადაწყვეტილება ისევ „პოლიტიკური დაკვეთის" შედეგი შეიძლება იყოს: „განტევების ვაცის" მოსაძებნად ან პოლიტიკური ქმედებების გამართლებისთვის - საწვავი კი გაძვირდა, მაგრამ კონკურენცია არ დარღვეულა ბაზარზე ან ბაზარზე ქონდა კარტელურ გარიგებას ადგილი (ისევ ანალოგიურად, სახელმწიფოს არასწორი ქმედებების ბრალი კი არ არის, არამედ კერძო კომპანიის ან ე.წ. ეგზოგენური ფაქტორების ბრალია). ამ საკითხზე შესაბამისი ორგანოს კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ უფრო მკაფიო დასკვნის გაკეთების საშუალება გაჩნდება. ასე რომ ჯობია დაველოდოთ მოკვლევის შედეგებს - ვნახოთ რამდენად იქნება ჩვენს მიერ ზემოთ დასმული საკითხები გათვალისწინებული ან არგუმენტირებულად უგულებელყოფილი კვლევაში. **თუმცა, მეორეს მხრივ,** საკითხის კვლევის პოლიტიკური ნების გაჩენა შეიძლება ძალიან კარგი აღმოჩნდეს რეალური სიტუაციის დასადგენად და გასაუმჯობესებლად - მოკლედ, დაველოდოთ კვლევის შედეგებს.

9. აქვე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ბაზრის კვლევებისას/მონიტორინგისას ე.წ. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოყენებაზე[10]. ინდექსით ბაზრის კონცენტრაციის დონე იზომება და თუ კონცენტრაციის ზღვარი გარკვეულ დონეზე მაღალია (HHi>2250) ბაზარი ითვლება მაღალკონცენტრირებულად და ეს ხდება ბაზრის მოკვლევის დაწყების ერთ-ერთი საფუძველი. ინდექსი ზომავს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობას/წილებს. რაც უფრო მეტია ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა მით უფრო დაბალკონცენტრირებულად ითვლება ბაზარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო დღეს მისულია დასკვნამდე[11], რომ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა, მონოპოლია, ოლიგოპოლია თავისთავად არ არის ცუდი მოვლენა. რიგ შემთხვევებში ეფექტიანიც შეიძლება იყოს. მონოპოლია საფრთხე ხდება მას შემდეგ როცა მონოპოლისტი დაარღვევს სამართლიანი თამაშის წესებს ბაზარზე და შეზღუდავს კონკურენციას. აქ უკვე ჩნდება კითხვა, თუ ბაზარზე არსებული ერთი კომპანია არ არის თავისთავად საფრთხე რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ბაზარზე კონცენტრაციის გაზომვა და ამის მიხედვით დასკვნების კეთება. ხომ არ არის ეს ფუჭი დროის და ენერგიის ხარჯვა რომელსაც არ გავყავართ რეალურ სურათამდე/შედეგამდე.

საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ კონცენტრაციის დონე უბრალოდ სიგნალია ბაზრის მონიტორინგისთვის/დაკვირვებისთვის და მეტი არაფერი, მაგრამ ეს მთელ რიგ შემთხვევებში, ბაზარზე ზეწოლის მექანიზმი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე რეალური სურათის დადგენის საშუალება. მაგალითად, ოფიციალური სახელმწიფო უწყება, როცა აცხადებს, პირობითად, ბაზარზე კონცენტრაციის მაღალი დონეა და ვიწყებ ბაზარზე დაკვირვებასო, ეს პირდაპირი სიგნალია ბაზარზე მოქმედი კომპანიისთვის, რომ გაჭირდება „ხვალინდელი დღის" დაგეგმვა. კონკურენციის ნორმატიული ბაზა/სპეციფიკა ისეა მოწყობილი, რომ კონკურენტული დანაშაული არ არის მკაფიო - შეიძლება ჩადიოდე დანაშაულს ისე რომ ამაზე წარმოდგენაც არ გქონდეს. შესაბამისად, კომპანიებმა არ იციან რა იქნება მონიტორინგის შედეგები, რას აუკრძალავენ, რა შეზღუდვას დაუწესებენ, ან რა სანქციებს დააკისრებენ... დებს „მთავრობა"/შესაბამისი მაკოორდინირებელი უწყება მონიტორინგის/კვლევის შედეგად. კომპანიას მოუწევს „პოსტ-ფაქტუმ" უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ქმედება/რეაქცია, რამაც შეიძლება ბიზნესის მკვეთრი დაზარალება გამოიწვიოს. შესაბამისად, გაიზრდება ბიზნესიდან გასვლის, ბაზარზე შესვლისგან თავის შეკავების, მაკონტროლებელთან გარიგების/გარანტიების შექმნის ალბათობა. ასე რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, როგორც ასეთი, არსობრივად არაფრის მთქმელია და მასზე დაყრდნობა, მითუმეტეს მსოფლიოს (ქვეყნების) დღევანდელი განვითარების ტემპებისა და გამოწვევების გათვალისწინებით არაფრის მომცემია. არაეფექტიანია ინდუსტრიულ ერაში წარმოქმნილი რეგულაციით, კოპირების პრინციპით, მოქმედებდე (იყენებდე) პოსტ-ინდუსტრიულ ერაში, სადაც განვითარებისა და ბაზრის კონიუქტურის ცვლილების სხვა ტემპებია. ეს აფერხებს ამა თუ იმ სექტორის განვითარებას.

ასევე, თავისუფალ ბაზარს ყოველთვის მიდრეკილება აქვს კონცენტრაციისკენ, ეს მისი ბუნებრივი გამოვლინებაა, რადგან ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებული კომპანიები იკავებენ ბაზრის სულ უფრო და უფრო მეტ წილს და უფრო და უფრო ცოტა კომპანია რჩება ბაზარზე, ბაზრის მეტი წილებით. ბუნებრივი მოცემულობაა, მოვლენაა ისიც რომ ბაზარზე ხდება კრიზისები

10 ინდექსი ზომავს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობას/წილებს რაც უფრო მეტია ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა ბაზარზე მით უფრო დაბალოკონცეტრირებულად ითვლება ბაზარი

11 მსოფლიოს ის ნაწილი საიდანაც ჩვენ ნორმატიულ ბაზას ფაქტობრივად ვაკოპირებთ

- ე.წ. ჩავარდნები, რომლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება კონცენტრაციის მაღალი დონე, ოლიგოპოლია და მონოპოლიაც იყოს (თუმცა ეს მაღალკონკურენტულ ბაზარზეც შეიძლება მოხდეს). ასევე, ბუნებრივი მოცემულობაა ისიც რომ ღია ბაზარი, ჩავარდნებისას, თვითონვე მკურნალობს თავის თავს - ბაზარზე არსებული კომპანიები ახდენენ მოდიფიცირებას, კოტრდებიან, ბაზარზე სხვა კომპანიები შედიან, ჩნდება ახალი იდეები, მოდიფიცირებული პროდუქტი, ხდება ბაზრის კონიუქტურის ცვლილება წამოჭრილ პრობლემებთან მიმართებაში (პრობლემების გათვალისწინებით) და ა.შ. ანუ, საბოლოო ჯამში, ხდება კრიზისის გადალახვა/კრიზისიდან გამოსვლა. ყოველი ხელოვნური ჩარევა ბაზარზე, უმეტეს შემთხვევაში ზრდის კრიზისიდან გამოსვლის დროს, უფრო აღრმავებს კრიზისს - რთულია ბუნებრივი პროცესის ცვლილებისთვის ზუსტად გათვალო, „წამალი" რა უშველის მას, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა საკითხს „არადაინტერესებული პირები" (პირები რომლებიც არ არიან მოგებაზე, მეტი შემოსავლის მიღებაზე, ეფექტიანობის გაზრდაზე ორიენტირებული - ვისაც არ აქვს გაკოტრების შიში) იკვლევენ/არეგულირებენ, რომელთაც თავისი პირადი ინტერესი შეიძლება გააჩნდეთ. ესეც კიდევ ერთი არგუმენტია იმისა თუ რატომ არის ზემოაღნიშნული ინდექსით ოპერირება არაეფექტიანი.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1. მომხმარებლისთვის ბაზარზე სიტუაცია გაუარესებულია. იმ პერიოდში (2012 წლამდე) როცა, კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო გვეუბნებოდა რომ ბაზარზე კონკურენცია დარღვეულია და საქმე გვაქ კარტელურ გარიგებასთან საწვავი ბევრად (დღევანდელობასთან შედარებით, თითქმის 1 ლარით და მეტით) იაფი ღირდა ვიდრე შემდგომ (2013 წლის შედეგ) პერიოდში როცა გვეუბნებიან, რომ სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა. 2. კონკურენციის მარეგულირებელი უწყება ბაზრის მონიტორინგისას ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ ფასების კონტროლით და კონცენტრაციის დონის განსაზღვრით რაც არასაკმარისი ფაქტორია რეალური სურათის დასანახად. 3. კვლევებს, მონიტორინგს აქვს ეკლექტური/არათანმიმდევრული ხასიათი რადგან 2014 წლის კვლევებით დაფიქსირებულ დარღვევების რიგი საკითხები არ არის გათვალისწინებული, პასუხგაუცემელია შემდგომ მონიტორინგის დოკუმენტებში. 4. საანგარიშო პერიოდების კვლევებში ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული არასაბაზრო ინსტიტუტების ქმედებებზე/გადაწყვეტილებებზე რაზეც ჩვენს მიერ მოყვანილი სახელმწიფო შესყიდვების მაგალითიც მიუთითებს 5. ეკონომიკა არ არის ზუსტი მეცნიერება. შესაბამისად, კვლევის ჩატარებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ე.წ. აბსტრაქტულ აზროვნებას და „ქეის ბაი ქეის" მიდგომას, რის ნაკლებობაც ჩანს მონიტორინგის დოკუმენტებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, მხოლოდ რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით შემოიფარგლება ბაზრის მონიტორინგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ კონკურენცია საწვავის ბაზარზე უფრო მითია ვიდრე რეალობა. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს წამოწყებულ საწვავის ბაზრის კვლევას და ჩვენს მოსაზრებებს დამატებით მოგახსენებთ საკითხთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ საწვავის ბაზარზე (არამარტო საწვავის ბაზარზე) გაუმჯობესდეს სიტუაცია საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. უნდა მოხდეს საფუძვლიანი კვლევა და არასაბაზრო ინსტიტუტების „ჩახსნა" (მათი არსებობის შემთხვევაში) პროცესიდან/რეგულირებიდან/არაფორმალური კოორდინაციიდან. ეს ყველაზე რთული განსახორციელებელია რადგან კონკურენციის მაკონტროლებელი ორგანო საქართველოს მთავრობის - პრემიერ-მინისტრის „დაქვემდებარებაშია" (ჯერ კიდევ, პრემიერ მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელს) და რთულია გამოიკვლიო შენი ზემდგომების საქმიანობა. მითუმეტეს, რიგ შემთხვევებში, საკითხის გამოკვლევა შესაძლებელია გასცდეს კონკურენციის მარეგულირებელი უწყების კომპეტენციას. საკითხს ართულებს ისიც, რომ, ბოლო წლებში, მიუხედავად კონკურენციის მარეგულირებელი უწყების კომპეტენციების მკვეთრი/თვალსაჩინო გაზრდისა არასაბაზრო/სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლის მიმართულებით კომპეტენციები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

1.1 აქვე, რეკომენდაციად შეიძლება ჩაითვალოს - კონკურენციის სააგენტოს არასაბაზრო/სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლის მიმართულებით უფლებამოსილების/კომპეტენციის გაზრდა.

1.2 მოწოდების წყაროების (იმპორტის) წერტილებიდან ექსკლუზივის, დომინანტი შუამავლების ხელის არ შეწყობა. 2014 წლის შემდგომ კვლევებში ამ მიმართულებით რა ხდება არ არის ასახული

2. სექტორზე საგადასახადო წნეხის/განაკვეთების და ადმინისტრირების/რეგულაციების მაქსიმალური შემცირება. მათ შორის აქციზის შემცირება (რომელიც 2017 წლის 2 იანვრიდან გაიზარდა) [28] აღნიშნული გაზრდის მოგების მარჟას, ბაზარს გახდის უფრო გახსნილს და თავისუფალს (მითუმეტეს სრულად იმპორტზეა დამოკიდებული ბაზარი) და მეტ კომპანიას მოიზიდავს ბაზარზე.

3. მაქსიმალური ძალისხმევის წარმართვა პიარისა და ბაზარზე სხვადასხვა ტრანსნაციონალური/ძლიერი კომპანიების მოზიდვის მიზნით (არა კოორდინაცია და პროცესში ჩართვა არამედ მხოლოდ დაინტერესების/გაცნობის კუთხით მუშაობა).

ზოგადად, ჩვენი აზრით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონკურენციის მარეგულირებელი უწყების ფუნქციების მაქსიმალურად შემცირება ბაზარზე ეკონომიკური აგენტების საქმიანობის კვლევის მიმართულებით, ხოლო ფუნქციებს მაქსიმალურად გაზრდა არასაბაზრო ინსტიტუტების საქმიანობის მონიტორინგის მიმართულებით და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს უწყების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. თუმცა ეს საკითხი სცდება ჩვენ საკვლევ თემას და სხვა პრიზმაში გადაჰყავს მსჯელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონით უკვე განსაზღვრულია კონკურენციის მაკონტროლებელი უწყების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის დებულებები. თუმცა ის ამ დრომდე არ ამოქმედებულა.

ჩვენ დავაკვირდებით კონკურენციის სააგენტოს მიერ დაანონსებულ საწვავის ბაზრის კვლევის პროცესს და საბოლოო დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ შევეცდებით დამატებით მოგაწოდოთ ჩვენი აზრი საკითხთან დაკავშირებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 20015 წლის 14 ივლისის #81 ბრძანება „სსიპ-კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 12 ნოემბრის #14 ბრძანების შესაბამისად დაწყებული საქმის მოკვლევის ფარგლებში საავტომობილო საწვავის ბაზარზე გამოვლენილი სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ.

2. https://admin.competition.ge/uploads/12ecff74000a47a3bbbbb755d78a7983.pdf

3. სსიპ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 17 იანვრის N04/7 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

4. https://admin.competition.ge/uploads/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf

5. საწვავის ბაზრის მონიტორინგი 2019 წლის შუალედური ანგარიში

6. საწვავის ბაზრის მონიტორინგი 2020 წლის შუალედური ანგარიში - https://admin.competition.ge/uploads/a7583ae6f2224d658a4c0198809b5ab3.pdf

7. საწვავის ბაზრის მონიტორინგი 2021 წლის შუალედური ანგარიში - https://admin.competition.ge/uploads/0e76747a96a64da19c4140ac6acc6579.pdf

8. საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგის ანგარიში 2022 იანვარი-ივლისი - https://admin.competition.ge/uploads/2a4745f0ddf7414ca9a22e5aef63c70e.pdf

9. ცისანა სეხნიაშვილი, ეკონომიკის ისტორია, გამომცემლობა „პირველი სტამბა", თბილისი 2000 წ. I ტომი, 364 გვ.

10. სლავა ფეტელავა, კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, გამომცემლობა „ლოი", თბილისი, 2007 წ. 276 გვ.

11. გურამ ჯოლია, განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2021 წ. 370 გვ.

12. ირაკლი ჯანგავაძე, ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი", 365 გვ.

13. ლაშა მგელაძე, კონკურენციის პოლიტიკის გამოწვევები და მისი სრულყოფის გზები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი 2020 წ, 276 გვ.

14. კონკურენციის ეროვნული საგენტოს შეხვედრა საწვავის მსხვილ რეალიზატორებთან ფასების შემცირების მიზნით https://gnca.gov.ge/media/press-releases/269

15. გალფის https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=10

16. სოკარი https://www.sgp.ge/ge/price?start_date=2003-01-07&end_date=2012-01-12

17. შპს ლუკოილ ჯორჯია

18. http://www.lukoil.ge/index.php?m=328&date_from=1.1.2012&date_to=17.04.2019

19. ვისოლი https://my.wissol.ge/public/fuelprices

20. საწვავზე აქციზის გადასახადი გაიზარდა - https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483

21. ნავთობის ფასები - https://www.statista.com/statistics/262858/change-in-opec-crude-oil-prices-since-1960/

22. ლარის გაცვლითი კურსი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika

23. ლარის გაცვლითი კურსი http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD

24. მიმართვა პურის ფასის გაზრდის შესწავლასთან დაკავშირებით https://imedinews.ge/ge/ekonomika/88948/bakhtadze-puris-pasis-zrdaze-mivmartav-shesabamis-organoebs-sheistsavlon-situatsia

25. საქართველოს დამოკიდებულება ხორბალზე 100%-მდე გაიზარდა https://bm.ge/ka/article/

saqartvelos-damokidebuleba-rusul-xorbalze-100-mde-gaizarda-/62762
26. საწვავის კომპანიებს საწვავის ფასის შემცირების რესურსი ქონდათ https://1tv.ge/news/irakli-leqvinadze-mskhvil-kompaniebs-sawvavis-fasis-shemcirebis-resursi-hqondat/
27. საავტომობილო საწვავის ბაზრის მოკვლევა https://gnca.gov.ge/media/press-releases/271
28. სექტემბერში საწვავის ფასის შემცირებაა მოსალოდნელი https://www.interpressnews.ge/ka/article/726170-irakli-lekvinaze-sektembershi-sakartveloshi-sacvavis-pasis-shemcirebaa-mosalodneli/
29. პრემიერის დავალება საწვავის ბაზარზე არსებული სიტუაციის მოკვლევის შესახებ 2014 წ. https://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/53475-irakli-gharibashvili-dainteresda-ratom-ar-khdeba-satsvavis-fasebis-kontroli-saqarthveloshi.html
30. საწვავის ფასები და კონკურენციის სააგენტოს პირველადი დასკვნა https://www.radiotavisupleba.ge/a/sacvavis-fasebi/26822044.html
31. საწვავზე აქციზის გაზრდა https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483
32. საელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

**REFERENCES**

1. Order #81 of the Chairman of the National Competition Agency of Georgia dated July 14, 2001
2. Order N04/7 of the Chairman of the National Competition Agency of Georgia dated January 17, 2018
3. Fuel Market Monitoring 2019 Interim Report
4. Fuel Market Monitoring 2020 Interim Report
5. Fuel Market Monitoring 2021 Interim Report
6. Fuel Market Monitoring 2022 Interim Report
7. Cisana Sekhniashvili, History of Economy, Publishing House «Pirveli Stamba», Tbilisi, 2000. Volume I, 364 p.
8. Slava Fetelava, Theory of Competition and Antimonopoly Regulation in Georgia, Publishing House, «Loi», Tbilisi, 2007. 276 p.
9. Guram Jolia, Education and Employment in the Digital Environment, Publishing House «Technical University», 2021. 370 p.
10. Irakli Jangavadze, Fundamentals of Innovative Economics, « publishing house Universal», 365 p.
11. Lasha Mgeladze, Challenges of competition policy and ways to improve it, publishing house «World of Lawyers», Tbilisi 2020, 276 p.
12. https://gnca.gov.ge/media/press-releases/269
13. https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=10
14. https://www.sgp.ge/ge/price?start_date=2003-01-07&end_date=2012-01-12
15. http://www.lukoil.ge/index.php?m=328&date_from=1.1.2012&date_to=17.04.2019
16. https://my.wissol.ge/public/fuelprices
17. https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483
18. https://www.statista.com/statistics/262858/change-in-opec-crude-oil-prices-since-1960/
19. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika
20. http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD
21. https://imedinews.ge/ge/ekonomika/88948/bakhtadze-puris-pasis-zrdaze-mivmartav-shesabamis-organoebs-sheistsavlon-situatsia
22. https://bm.ge/ka/article/saqartvelos-damokidebuleba-rusul-xorbalze-100-mde-gaizarda-/62762
23. https://1tv.ge/news/irakli-leqvinadze-mskhvil-kompaniebs-sawvavis-fasis-shemcirebis-resursi-hqondat/
24. https://gnca.gov.ge/media/press-releases/271
25. https://www.interpressnews.ge/ka/article/726170-irakli-lekvinaze-sektembershi-sakartveloshi-sacvavis-pasis-shemcirebaa-mosalodneli/
26. https://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/53475-irakli-gharibashvili-dainteresda-ratom-ar-khdeba-satsvavis-fasebis-kontroli-saqarthveloshi.html
27. https://www.radiotavisupleba.ge/a/sacvavis-fasebi/26822044.html
28. https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483
29. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge
30. https://gnca.gov.ge/media/press-releases/269
31. https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=633900&code=1387488310

# მიწის რესურსების აღრიცხვის პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

*ელენე ბლიაძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

სტატია ეხება საქართველოში მიწის რესურსების აღრიცხვის პრობლემებს და ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს. საუბარია მიწაზე, როგორც ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეზე და მის როლზე ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში. აღწერილია 2004 წელს სახელმწიფოში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმის შედეგები.

სტატიაში საუბარია მიწის რესურსების აღრიცხვის მეტად საპასუხისმგებლო როლზე, მიწის ბალანსის შედგენის აუცილებლობაზე და მის მნიშვნელობაზე. ყურადღება გამახვილებულია მიწის რესურსების შესახებ მონაცემების სტანდარტიზებულ შექმნა-დამუშავებაზე, სივრცული ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენებაზე მიწის მართვის პროცესში. წარმოჩენილია ამ მხრივ ქვეყანაში არსებული პრობლემები და დასახულია მათი გადაჭრის გზები. ამასთან, საუბარია მიწის რესურსების აღრიცხვის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების, გეო-საინფორმაციო, გეოდეზიურ და საკადასტრო სფეროში გამოცდილი კადრების ჩართვის საკითხებზე. ყურადღება გამახვილებულია მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოზე, მის ძირითად ფუნქციებზე და ამჟამად სააგენტოში მიმდინარე სამუშაობებზე.

სტატიის ბოლოს შემოთავაზებულია წინადადება მრავალდონიანი სივრცითი (გეოგრაფიული) ინფორმაციის საფუძველზე და თანამედროვე ვებ–ტექნოლოგიების გამოყენებით მიწის ნაკვეთის საზღვრებში გენერირებულ საინფორმაციო ბარათის შექმნაზე. სახელმწიფო სტრუქტურის მხრიდან აღნიშნული ბარათის გაცემა გააუმჯობესებს საადგილმამულო ურთიერთობებს და ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მდგრად განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები:** მიწის რესურსები, მიწის კადასტრი, მიწის ბალანსი, მიწის მართვა, მიწათსარგებლობა, საკადასტრო მონაცემები, სივრცითი მონაცემები, გეოსაინფორმაციო სისტემები.

## LAND RESOURCE ACCOUNTING PROBLEMS AND MODERN CHALLENGES IN GEORGIA

**Elene Bliadze**
PhD student of GTU

**RESUME**

The article discusses the accounting problems of land resources in Georgia and the challenges in the country related to the issue. The land is considered as the country's national wealth and its role in the socio-economic development of the country is analyzed. The results of the institutional reform implemented by the state in 2004 are described.

The article talks about the highly responsible role of land resource accounting, the necessity and importance of creating land balance. It focuses on the standardized creation and processing of data on land resources, the use of the results obtained by spatial analysis in the process of land management. The problems in the country in this regard are presented and ways to solve them are outlined. In addition, the article speaks about inclusion of modern technologies in the process of land resources accounting and involving staff experienced in geo-informational, geodetic and cadastral field. It concentrates on the National Agency for Sustainable Land Management and Land Use Monitoring, on its main functions and the current work going on in the agency.

The article at the end proposes creation of an information card generated within the borders of the land plot with the help of modern technologies on the basis of multi-level spatial (geographical) information. Issuance of the above-mentioned card by the state structure will improve local land relations and will contribute to the sustainable development of socio-economic processes.

**Keywords**: Land resources, land cadastre, land balance, land management, land use, cadastral data, spatial data, geoinformation systems.

* * * *

მიწა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოწურვადი რესურსი, საქართველოსთვის კი ეროვნული სიმდიდრეა. მის რაციონალურ მართვაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სფეროს მდგრადი განვითარება. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა მიწას ანიჭებს განსაკუთრებულ ღირებულებას სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებისთვის, ასევე უდიდესია მისი ეფექტურად მართვის როლი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული სფეროებისათვის.

სამწუხარო ფაქტი კი ისაა, რომ 2004 წელს საქართველოში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმების შედეგად უწყება - „მიწი მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი", რომელიც პასუხისმგებელი იყო მიწის რესურსების აღრიცხვასა და მართვაზე გაუქმდა ისე, რომ ეს ფუნქცია არც ერთ სხვა უწყებას არ გადასცემია. ყურადღება მიექცა მხოლოდ მიწაზე საკუთრების უფლებების რეგისტრაციას, ამ საკითხის მოწესრიგება დაევალა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ამ საქმეს და უძლევება დღემდე. შედეგად საქართველოს ამჟამად გააჩნია მიწის იურიდიული კადასტრი, სადაც აღრიცხულია საკუთრების უფლებების და ვალდებულებების საზღვრები, მდებარეობა, ფორმა, ზომა, მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობები და მიწის დანიშნულების ტიპი (მიწის კატეგორიის ჩანაწერი სავალდებულო არ არის ). ყურადღების მიღმა დარჩა მიწის კატეგორიის ტიპების, სარგებლობისა და გამოყენების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. ექსპერტების მიერ გაანგარიშებები დღესაც მეტწილად ეყრდნობა 2004 წელს ბოლოს შედგენილ მიწის ბალანსის მონაცემებს. არა და რეალობა თვისობრივად და რაოდენობრივად საგრძნობლად შეცვლილია.

მოგეხსენებათ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას თავის დელეგირების ფარგლებში სჭირდება გარკვეული მონაცემები გარკვეული ტიპის ტერიტორიებზე, ამიტომ ცდილობენ ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების ფარგლებში მათ შექმნას. იურიდიულ კადასტრს ქმნის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვენახების კადასტრს - ღვინის ეროვნული სააგენტო, ტყის ფონდის ინვენტარიზაციას ახდენს სატყეო სააგენტო და ა.შ. შეიძლება ათობით უწყების ჩამოთვლა. საქმე იმაშია, რომ ყველა ეს მონაცემი არასტანდარტიზებულია, ფრაგმენტულია, არის ბევრი გადაფარვები და აღუწერელი ტერიტორიები. მათ შეგროვებას და ინტეგრირებას დიდი ძალისხმევა, დრო და რესურსი სჭირდება. ზოგიერთი მონაცემის ერთმანეთთან შედარებაც კი შეუძლებელია სხვადასხვა საფუძვლის გამო. ამიტომ ვთვლი, რომ მიწის მრავალმიზნობრივი კადასტრის შედგენა უწყებებში არსებულ ინფორმაციების გამოყენებით არ იქნება სწორი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზნებისათვის და სხვადასხვა გეოგრაფიულ საფუძველზე შექმნილი მონაცემების ერთობლიობა დამაბნეველი და გამოსაყენებლად არაეფექტური იქნება.

მიწის რესურსების აღრიცხვა მეტად საპასუხისმგებლო და რთულია იმ პირობებში, რომელშიც აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო, ეს წინაპირობები კი მოსაგვარებელ პრობლემებად წინ ელობება აღრიცხვის პროცესს. მთავარი და დამაიმედებელი ისაა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ პრობლემები გვარდება და ნელ ნელა მივიწევთ წინ. პრობლემების მასშტაბურობის დასანახად გთავაზობთ შემდეგ ილუსტრაციას:



შედარებით ადვილად დასაძლევია მიწის რესურსების აღრიცხვის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების და შესაბამისი კადრების ჩართვის საკითხი. ამ კუთხით მე ვფიქრობ რომ მომგებიან სიტუაციაშიც კი აღმოვჩნდით, რადგან შესაძლებლობა გვეძლევა ყველაზე უახლესი მიღწევებით გავაკეთოთ ეს საქმე, უკვე კარგად შემუშავებული მეთოდოლოგიებით და სხვადასხვა ქვეყნების მიერ წარმატებულად დანერგილი მიდგომებით. საქართველოში განხორციელებული სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების დამსახურებით კი გვყავს გეო-საინფორმაციო, გეოდეზიურ და საკადასტრო სფეროში გამოცდილი კადრების არმია.

ერთერთ მთავარ პრობლემად რჩება მუნიციპალიტეტების ზუსტი საზღვრების არარსებობა. მხოლოდ რამდენიმე ქალაქს აქვს მერიის მიერ დამტკიცებული საზღვრები. შესაბამისად გადასაწყვეტია რა ფართობებზე უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების დაქვემდებარებაში მყოფი მიწების აღრიცხვა. სახელმწიფო საზღვარიც კი მხოლოდ თურქეთის მონაკვეთზეა დელიმიტირებულ- დემარკირებული შესაბამისი სიზუსტით. სხვადასხვა სახელმწიფო პროექტების ფარგლებში ძირითადად გამოიყენება საჯარო რეესტრის მიერ სარეგისტრაციო მიზნებისათვის დამტკიცებული სარეგისტრაციო ზონების საზღვრები, რომლებიც მიახლოებულია ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ბოლო წლების განმავლობაში მიღებული კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით შეეცადნენ დაერეგულირებინათ მთელი რიგი საკითხები მიწის რესურსების აღრიცხვასა და მართვის მიმართულებით. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა ახალი სააგენტო „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო", რომელიც შექმნილია „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, აღიჭურვა მთელი რიგი უფლებამოსილებებით, ხოლო მისი ძირითადი ფუნქციებია:

- მიწის ბალანსის შედგენა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ამჟამად სააგენტო თითქმის დაკომპლექტებულია ძირითადი კადრებით, უკვე მიმდინარეობს რამდენიმე პროექტი (ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციისათვის და სახელმწიფო საძოვრების ხელმისაწვდომობისათვის), დასრულების ეტაპზეა „მიწის რესურსების ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის შექმნისა და განვითარების კონცეფციის" შემუშავება, რომელიც გამოკვეთავს სამუშაოების წარმოების მეთოდოლოგიას.

სააგენტოს ევალება საქართველოს მიწის ბალანსის შედგენა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის წესის" შესაბამისად, რომლის საჯაროდ გამოქვეყნება 2024 წლის 1 ივლისამდეა დაგეგმილი. ასევე მინისტრის ბრძანებით შემუშავებულია მიწის ბალანსის ფორმა, სადაც გამოკვეთილია მიწის რესურსების აღრიცხვისათვის მნიშნელოვანი ინფორმაციის ტიპები, როგორც სასოფლო-სამეურნეო ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

ბალანსის ფორმაში მითითებულია, რომ მიწების კატეგორიების მიხედვით დათვლასთან ერთად უნდა გამოიყოს ფართობები საკუთრების და სარგებლობის ტიპების მიხედვით, ასევე ტყის ფონდში ჩარიცხული მიწები და დაცული ტერიტორიების მმართველობის ქვეშ არსებული მიწები და ა.შ. ანუ ისეთი მონაცემები რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა საფუძვლებით და სხვადასხვა მიზნებისთვისაა შექმნილი. მიმაჩნია რომ ჯერ უნდა შეიქმნას მიწის ტიპების კლასიფიკაციით მიწის საფარის და მიწათსარგებლობის ერთიანი მონაცემთა ბაზები, ერთი ტიპის სივრცულ საფუძველზე დაყრდნობით და მსოფლიოში მიღებული კლასიფიკაციებით, ხოლო შემდეგ მოხდეს შედარება ან შერწყმა იურიდიულ კადასტრთან ან ტყის ფონდის მონაცემებთან სხვადასხვა ტიპის კვლევების ჩასატარებლად.

აი როგორ განმარტავს მიწის საკადასტრო მონაცემებს მთავრობის #166 -ე დადგენილება: **საკადასტრო მონაცემები** ეს არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბუნებრივი, სამეურნეო, სამართლებრივი, ეკოლოგიური და ეკონომიკური მონაცემები.

არქივებში არსებული ძველი რუკები მიწათსარგებლობის კატეგორიებისა და ნიადაგების შესახებ მოძველებულია. მათი წარმოება შეწყდა 2004 წელს და აღარ განახლებულა. ამჟამად არსებული ნიადაგის ტიპის, დეგრადაციის შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, ხელმისაწვდომი ინფორმაცია კი არის ძალზედ განზოგადებული.

გარდა მიწის იურიდიული სტატუსისა, ბუნებრივი საფარისა და მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემებისა, ფართო ინტერესის სფეროს წარმოადგენს მიწის თვისობრივი და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცის არსებობაც. მნიშვნელოვანია მიწების ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც. კერძო, სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხშირად ტარდება მიწის ბაზრის მდგომარეობის შესახებ კვლევები, თუმცა მონაცემები საჯარო

ხდება განზოგადებული სახით და ნაკლებადაა დაკავშირებული კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებთან, უბნებთან.

მიწის რესურსების მონაცემების დეტალურად და მსხვილ მასშტაბში აღრიცხვის სრულყოფით მივიღებთ მრავალმიზნობრივ კადასტრს სადაც მრავალდონიანი სივრცითი (გეოგრაფიული) ინფორმაციის საფუძველზე და თანამედროვე ვებ ტექნოლოგიების გამოყენებით დაინტერესებული პირი მიიღებს კონკრეტული მიწის ნაკვეთის საზღვრებში გენერირებულ საინფორმაციო ბარათს, ამ კონკრეტული მიწის ნაკვეთის შესახებ ამომწურავი ინფორმაციით და წყაროების მითითებით. ვფიქრობ, თუ ასეთ დოკუმენტს სახელმწიფო სტრუქტურა გასცემს, მას ფართო გამოყენება ექნება თითქმის ყველა სფეროში დაწყებული საბანკო სექტორიდან დამთავრებული მიწის ბაზრით, გაუმჯობესდება საადგილმამულო ურთიერთობები, გაადვილდება მიწების კონსოლიდაცია და ექნება მრავალი სხვა სარგებელი საქართველოს მოსახლეობისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-1258, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, „საკანონმდებლო მაცნე“ 26/12/2019.
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №166, 2021 წლის 8 აპრილი: მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე.
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-826, 07/06/2021- მიწის ბალანსის ფორმის დამტკიცების შესახებ
4. პაატა კოლუაშვილი - საქართველოში სოფლის განვითარებისა და მიწის სისტემური პოლიტიკის შესახებ, „ბიზნეს-ინჟინერინგი“ #3-4, 2021წ.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია, 2021 – 2027, www.mepa.gov.ge , დეკემბერი, 2019წ.

# სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

***ირმა ტაბატაძე***
*სტუ დოქტორანტი*

**RESUME**

The solution of food problems is the most important issue of the country, which can be achieved through a reasonable and consistent economic policy.Recently, important measures have been implemented in Georgia for the proper development of food and trade policy, but there are still constraints: the formation of the food market, the supply and safety of food, the insecurity of the market and property rights from counterfeit products, etc. The state needs to take measures to prevent inflation, regulate the prices of basic commodities. The development of the food market depends on the purchasing power of the population and the quality of products. A fundamental component of business development is the development of technologies that will contribute to the creation of a variety of products and services.

**Key words**: market economy, food trade policy, agricultural sector, food security.

**საკვანძო სიტყვები:** საბაზრო ეკონომიკა, სასურსათო სავაჭრო პოლიტიკა, აგრარული სექტორი, სასურსათო უსაფრთხოება.

* * * *

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები არსებითად განსაზღვრავენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ამდენად, ბიზნესი ხდება ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. ბიზნესის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს რამდენად დაინერგა ან ინერგება ქვეყნის ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმი და მეურნეობრიობის მეთოდები.

თანამედროვე საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ეკონომიკის სფეროს განვითარება, ეკონომიკური საქმიანობის სახეობების ეფექტიანობის გაზრდა და მათი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკის ხელშეწყობას, რამეთუ იგი უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები უდიდეს ყურადღებას უთმობენ სასურსათო პრობლემების მოგვარებას, რადგან თვლიან, რომ მათი გადაწყვეტა, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი საკითხია. განვითარებული ქვეყნების გაძლიერების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა, რომლის ტემპი დამოკიდებულია, როგორც ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ასევე, ქვეყნის ხელისუფლების უნარზე, გამოიყენონ აღნიშნული რესურსები საქონლის და მომსახურების უზრუნველსაყოფად, რაც გაზრდის მოსახლეობის ცხოვრების და კეთილდღეობის მაჩვენებლებს.

ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს საკუთარ ეკონომიკურ რესურსებზე დაყრდნობა, რისი მიღწევაც შეუძლებელია სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკის ხელშეწყობისა და განვითარების გარეშე. სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკა ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნესია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ამ პოლიტიკის განვითარება და ხელშეწყობა განაპირობებს ეკონომიკის გაჯანსაღებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ქვეყანაში შემოსავლების დონის ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ნებისმიერ ბიზნესს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები სჭირდება. ამ სფეროში წარმატება მიიღწევა მხოლოდ თანასწორობითა და კანონის უზენაესობით. ეს არის ის ქვაკუთხედი, რაზეც დგას განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა, რაზეც უნდა აშენდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების დონე დღეისათვის მეტად არასახარბიელოა. უკანასკნელ პერიოდში მოხდა მოსახლეობის ქონებრივი პოლარიზაცია. შემცირდა საშუალო ფენა, გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, დაეცა ცხოვრების დონე. ზემოაღნიშნული მძიმე მდგომარეობა მოითხოვს: ღრმა დიაგნოსტიკური ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის და მისი წამყვანი დარგების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტიული გეგმები პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფით. ბიზნესის წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ნებისმიერ კომერციულ და მოგების მიღებაზე გამიზნულ საქმიანობაში მაღალი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საჭირო ცოდნის მიღება ბიზნესის კონცეფციების, პრინციპების, წესების, მეთოდების შესახებ.

საქართველოს მეურნეობის ახალ ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. საჭიროა სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის თანმიმდე-

ვრული, მიზანმიმართული რეფორმირება. ამიტომ, ამ ურთულესი კომპლექსური პრობლემის წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია თვისობრივად, ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მათი განვითარებისათვის საჭირო რესურსებისა და შესაძლებლობების მოძიება და კონცენტრირება.

ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის სწორი განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა გვესახება

საქართველოს აქვს საშუალება აწარმოოს ისეთი სახის პროდუქცია, რომელიც გატანილ იქნება ექსპორტზე და ამ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხები მოხმარდება უცხოეთიდან შემოტანილი კვების პროდუქტებისა და აგროსამრეწველო კომპლექსისთვის საჭირო მასალების შეძენას. ასეთი საექსპორტო პროდუქციაა: ჩაი, ღვინო, შამპანური, კონიაკი, არაყი, ლიქიორი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, მინერალური წყლები, უალკოჰოლო სასმელები, სიგარეტი, ეთერზეთები, პარფიუმერია-კოსმეტიკის ნაწარმი, თაფლი, კარტოფილი, ციტრუსები და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამ პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა არსებითად განსაზღვრავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის მაქსიმალურად გამოყენებას.

სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტაციის აღება მთლიანად იმპორტულ პროდუქციაზე, საქართველოსთვის მიუღებლად მიგვაჩნია. ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა მთლიანად გახდება დამოკიდებული საერთაშორისო ბაზარზე და მსხვილ იმპორტირებულ ქვეყნებზე, რაც არასასურველია ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.

საჭიროა სასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის დაბალანსება ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით. ქვეყანაში იზრდება იმპორტული პროდუქციის რაოდენობა. უკონტროლოდ შემოდის იაფი და დაბალი ხარისხის პროდუქტი, მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას, ხელს უშლის მის რეალიზაციას, ზარალდება მწარმოებელი და მთლიანად ქვეყანა.

ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების ორიენტირების განსაზღვრისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ძირითადი თეორია – კონკურენტუნარიანი უპირატესობის თეორია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წინაპირობა, მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნებთან კონკურენტუნარიანი პაექრობაა. ქვეყნებს შორის კონკურენციული ხასიათი სრულიად გამორიცხავს ერთი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას სხვა ქვეყნების ხარჯზე. აღნიშნული თეორიის თანახმად, ეკონიმიკური აყვავება თანამედროვე ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში ქვეყნებს შორის კონკურენციას მოაქვს. ყველა ქვეყანას აქვს შესაძლებლობა განავითაროს ეკონომიკის კონკურენტუნარიანი დარგები, აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ჩაერთოს გლობალურ პროცესებში, დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ბაზარზე და მიაღწიოს ეკონომიკურ კეთილდღეობას.

საქართველომ უნდა აირჩიოს აგრარული სექტორის განვითარების ისეთი ორიენტაცია, რომელიც უპასუხებს საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპს – ქვეყანამ საჭიროა გამოვლინოს თავისი კონკურენტუნარიანი უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და აწარმოოს საექსპორტო პროდუქცია, რითაც დაიმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ბაზარზე. ამავე დროს, აგრარულმა სექტორმა უნდა უზრუნველყოს თავისი უპირველესი ამოცანა – ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. საექსპორტო პროდუქციის წარმოების დაფართოება და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება, სამამულო პროდუქციის სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფა საქართველოს აგრარული სექტორის ძირითადი ორიენტირია. ქვეყანამ უნდა იზრუნოს კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე, რაც განაპირობებს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და საექსპორტო შემოსავლების გაზრდას. ეს კი, თავის მხრივ, მოგვცემს სურსათზე ადგილობრივი მოთხოვნილების დაბალანსების და იმპორტული პროდუქციის შესყიდვის საშუალებას. საჭიროა, ქვეყანამ აწარმოოს მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა და მრავალფეროვანი პროდუქცია, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს სურსათზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას. საკუთარი რესურსებით ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ერის ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სურსათის უკმარისობას განიცდის, ქვეყნის სასურსათო ბაზარი გაჯერებულია იმპორტული სასურსათო პროდუქტით და ჯანმრთელობისათვის სახიფათოა, რადგან მისი საკვებად მოხმარება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, რეალურად ვერ კონტროლდება ქვეყნის სასურსათო ბაზარი და სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის სუვერენიტეტს სეროზულად ემუქრება. მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების რეგულირებას ჯერ კიდევ, არ გააჩნია სრულყოფილი ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზა. სასურსათო უსაფრთხოების და სურსათით უზრუნველყოფის პრობლემები ეროვნული სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს. აუცილებელია

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, საქართველოსთვის ყველაზე უფრო მისაღები გზაა მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე, იმპორტული პროდუქციით. ამ ორი მიმართულების რაციონალური დაბალანსებით, ხოლო, პერსპექტივაში ორიენტაციის აღება თვითუზრუნველყოფისა და საერქსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე. ეს მოსაზრება განპირობებულია მრავალი ფაქტორით. საქართველოს ჯერ-ჯერობით არ ძალუძს მთლიანად დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება ძირითად სასურსათო პროდუქტებზე, მარცვლეულზე, ხორცისა და რძის პროდუქტებზე. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას ჯერ-ჯერობით არ გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიური და საწარმოო პოტენციალი, რათა მხოლოდ სამამულო წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება ყველა სახის სურსათზე. მთელი რიგი კვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოს აგრარული სექტორი მომავალში შეძლებს რიგი სახეობის საექსპორტო პროდუქციის წარმოებას.

მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს აქტიური, პირდაპირი ჩარევის გარეშე, კონკრეტული შედეგების მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა. დარგის წარმატებულად განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი კონცეფციის შექმნა, რომელშიც გაწერილი იქნება თუ რა მდგომარეობაა ამ სფეროში, რა პრობლემები არსებობს და რა გვსურს გვქონდეს მომავალში. აუცილებელია შედგეს განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმები.

დღეს ევროპაშიც და საქართველოშიც სამწუხაროდ სასურსათო პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე მოსახლეობის ნების ზეგავლენა გაძლიერების ნაცვლად თანდათან სუსტდება. ევროპის სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი ნელ-ნელა გადადის კერძო კომპანიების ხელში და ქრებიან ის კომპანიები, რომლებიც კვების ბაზარზე კულტურათა მრავალფეროვნებისა და ტრადიციების შენარჩუნების პოლიტიკას მისდევდნენ. შედეგად, ევროპელთა 30-40 პროცენტს ჭარბწონიანობის პრობლემა აწუხებს, რადგან იკვებება ე.წ. „ინდურსტრიალიზებული“ პროდუქტით. იგივე ხდება ჩვენთანაც.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის პროდუქცია შემოედინება, ვიდრე პირიქით. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში შემოსული პროდუქციის რეალიზებიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც არა მარტო ეკონომიკას ასუსტებს, არამედ ადგილობრივ წარმოებასაც მნიშვნელოვნად აფერხებს. გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ საქართველოში კვების პროდუქტებიდან ძირითადად შემოდის ხორბალი, ფქვილი, ფრინველის ხორცი, რძე და რძის ნაწარმი, კარაქი, კვერცხი და ა.შ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ისეთი სახის სასურსათო პროდუქციის იმპორტი ხდება, რომლის წარმოების გაზრდის საშუალება ჩვენვე გაგვაჩნია და საზღვარგარეთაც შეგვიძლია გავიტანოთ, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნა და მხარდაჭერა.

საქართველოში მეზობელი ქვეყნებიდან ჭარბად შემოტანილი იაფფასიანი, ლამაზად შეფუთული საქონელი თანდათანობით ქართული ტრადიციული პროდუქტის ადგილს იკავებს, მაშინ როდესაც საქართველო თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით იძლევა იმის საშუალებას, რომ ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. მსოფლიო ბაზარზე ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება. საჭიროა ჩვენმა პროდუქტმა პოპულარობა მოიპოვოს რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე უცხოეთში.

ქვეყანამ უნდა იზრუნოს ადგილობრივი ეროვნული წარმოების განვითარებაზე, საჭიროა ამოქმედდეს ყველა ის პროგრამა, რაც რეზერვების გამოვლენას და წარმოებაში დანერგვა-გამოყენებას შეუწყობს ხელს. ასევე, აუცილებელია სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები მიმართული იქნას სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს არა საგარეო წყაროებიდან მიღებული ერთჯერადი დახმარებები, რომელთაც ეკონომიკის განვითარებასთან პირდაპირი კავშირები არ გააჩნიათ, არამედ საკუთარ ეკონომიკურ რესურსებზე დაყრდნობა, რისი მიღწევაც შეუძლებელია სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის სათანადო ხელშეწყობისა და განვითარების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პეროდში დარგში იგეგმება ინვერსიციები, სუბსიდიები, დახმარებები, რომელნიც მომავალში განაპირობებს აგრარული სექტორის შემდგომ განვითარებას, შეამცირებს უცხოეთიდან შემოტანილი კვების პროდუქტების იმპორტს.

საჭიროა მთელ რიგ იმპორტულ სასურსათო პროდუქტებზე საბაჟო და სხვა სახის გადასახადების იმ დონემდე გაზრდა, რომ ბიზნესმენებისათვის ხელსაყრელი არ იყოს კვების პროდუქტების სხვა ქვეყნიდან შემოტანა და იზრუნონ ადგილზე წარმოებული საქონლის (მაგ. რძე, რძის პროდუქტები, ხორცი, ხორცპროდუქტები, კვერცხი, ღვინო...) რეალიზაციაზე. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ფერმერული მეურნეობის განვითარების, კვების მრეწველობის საწარმოთა აღდგენას და ფუნქციონირებას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის სათანადოდ განვითარებას.

მიგვაჩნია, რომ სასურსათო პოლიტიკის შემუშავების დროს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს

ხარისხიან პროდუქტებსა და ჯანსაღ რაციონზე საყოველთაო ხელმისაწვდომობას, უნდა მოხდეს მოსახლეობის მობილიზება და გააქტიურება ისეთი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, რომელიც კვების სხვადასხვა სისტემების გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებს; უნდა შემუშავდეს სასურსათო პოლიტიკის ისეთი პროგრამა, რომელიც კვების ჯანსაღი რაციონის მდგრად წარმოებასთან კავშირს, კვების კულტურასა და ბიომრავალფეროვნებას უკავშირდება; აუცილებელია, ისეთი სასურსათო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც განაპირობებს მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტას და დასახული ამოცანების სისრულეში მოყვანას. სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკის განვითარებისათვის საჭიროა: 1. მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა საკუთარი რესურსების ათვისებით; 2. საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი დარგების განვითარება და ქვეყანაში საკვები პროდუქტების შემოტანის მინიმიზაცია; 3. ადგილებზე ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმება, საბაზრო სექტორის სტიმულირება და მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესება; 4. კონკურენტუნარიანი და ინოვაციური პროდუქციის წარმოებით მსოფლიო ბაზარზე გასვლა.

სასურსათო-სავაჭრო ბიზნესის განვითარება და სასურსათო პრობლემების მოგვარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომლის მიღწევა შესაძლებელია გონივრული და თანმიმდევრული ღონისძიებების გატარებით.

## დასკვნა

სასურსათო პრობლემების მოგვარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომლის მიღწევა შესაძლებელია გონივრული და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკის სწორად განვითარებისათვის, მაგრამ დღემდე არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები: სასურსათო ბაზრის ფორმირების, სასურსათო უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების, ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან ბაზრისა და საკუთრების უფლების დაუცველობის და სხვ. საჭიროა სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯები, რათა თავიდან აიცილოს ინფლაცია, მოახდინოს პირველადი მოხმარების პროდუქტზე ფასების რეგულირება. სასურსათო ბაზრის განვითარება დამოკიდებულია მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე, პროდუქციის ხარისხზე. ბიზნესის განვითარების ძირეული კომპონენტია ტექნოლოგიების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს პროდუქტებისა და მომსახურების მრავალფეროვნების შექმნას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. დათაშვილი ვ., თეთვაძე ზ., „სასურსათო პოლიტიკა. განვითარების მექანიზმები, რეგულირება, სტრატეგია, მარკეტინგი“, თბ., 2013.
2. ქარქაშაძე ნ., „მსოფლიო სოფლის მეურნეობა“, თბ., 1993.
3. ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, მეორე ნაწილი, თბ., 1999.
4. ვანიშვილი გ., „საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები“, თბ., 2003.
5. შურღაია ო., „მცირე ბიზნესი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში“, თბ., 2002.
6. ერქომაიშვილი გ., „საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებანი“, თბ., 2016.

# STRUCTURAL DESIGN OF SPORTS FACILITIES BY PROVIDING MODERN SOFTWARES

***Giorgi Goksadze***
*Georgian Technical University*

**ABSTRACT**

In the modern construction industry, among the outstanding buildings, we will meet many sports buildings, it can be said that every new construction challenge was reflected in sports buildings from the very beginning of the history of mankind and became a reality. According to the stages of evolution, at each step of the development of humanity, sports facilities were the limit of the maximum possibilities a person reached in construction. This movement is now proceeding at maximum speed, and I think it is necessary for us to set foot on it as much as possible, evaluate, discuss and investigate, in this case from a constructive and structural point of view. The growing pace is accelerating every day, in construction and especially in the construction of sports facilities, that's why I chose for the article issue, the vast, extremely important, and first of all structurally interesting " Structural design of sports facilities by providing modern softwares ". In this article we will overview the best softwares for structural engineers, all of the softwares are popular in worldwide and can be found in the internet easly in case of interest.

**Key words:** #Stadium; #Construction; #StructuralEngineering: #Modern; #Sports; #Software; #Dlubal; #Scia; #Etabs; #Allplans; #TopEngineer; #Grandstand; #Calculations; #3dmodel; #steel; #Revit; #Tekla; #Advancesteel.

**MAIN TEXT**

The general definition of sports facilities is as follows: specialized buildings, where it is possible to hold massive physical-rehabilitation, training-training and various sports events. Sports facilities are divided into: main, auxiliary and spectator. Now let's move on to a review of specific projects that clearly present the significance of sports facilities in the modern construction industry.

Etihad Stadium, Home of Manchester City F.C. Architect: Arup, KSS Design Group, Populous Structural engineer: Arup. The existing roof structure, which consisted of a cable net structure with a tension ring from which steel roof rafters were suspended, was technically challenging to design. In order for the present tension ring to maintain its structural integrity, it must run around the whole circle of the roof; as a result, any modification to the roof, even in regions where roof rafters were removed, would not have any effect on it. It was critical to protect the current cable because there was no maintenance mechanism in place, and damage would result in the need for replacement and, potentially, the closure of the stadium for two years if the cable was not protected. Significant design optimization work was done, particularly for the steel roof and stability cores. A comprehensive set of geometric studies analyzed the impacts of various stay and mast angles, culminating in a design that met both the minimum material requirements and the lowest possible cost. The stability cores were constructed of steel vertical brace planes with the addition of outrigger bracing to increase efficiency, and despite the fact that this is not a solution often used on tall structures, it proved to be beneficial for this project. A case study in RWIND 2 by Dlubal Software. With Dlubal we can also mention SCIA and Etabs as the biggest players in the structural calculation and modeling software**s**.



Now, review RWIND 2 closer, which is a program for generating wind loads based on CFD (Computational Fluid Dynamics). The wind flow numerical simulation is generated around any building including irregular or unique geometry types to determine the wind loads on surfaces and members. RWIND 2 can be integrated with RFEM/RSTAB for the structural analysis and design or as a stand-alone application.

Both RFEM and RSTAB have an interface for exporting models to RWIND where the wind (in terms of speed and turbulence) can be defined in tabular form or, even more practically, on the basis of a wind standard specification. When running the RWIND program manually, no interface in RFEM or RSTAB is required and you can define the height-dependent wind load and other fluid-mechanical data directly in RWIND. In addition, you can directly model the structures and the terrain environment by importing VTP, STL, OBJ, and IFC files.

recognize in 2D." Nevertheless, the Wildparkstadion presented new challenges for ASSMANN. It is the first time that the engineers have used the BIM method for such a large project. The modeling in Allplan has therefore been changed so that IFC models can be exchanged with the other project members. In addition, structural and architectural properties were assigned to the 3D components, which greatly facilitated both internal and external processes. For example, the data could be used to create formwork and reinforcement plans or mass calculations, while other designers could build on the information exchanged and use it in their work. Allplans is also one of the best software to work with when it comes to structural engineering. "The easy-to-use 3D modeler from Allplan was a very big help here, as in the rest of the stadium," Manfred Klawonn says. Thanks to Allplan, the engineers were able to see that the originally planned geometry of the Y-columns caused the




With calculations also very important is to design the structure properly. There is much software to help that process, we will talk about them. The structural designers have been working on stadiums in 3D for six years. Even from the early design stages, modeling was already taking place. "Because a stadium is very demanding geometrically, the 3D model helps enormously here," says Manfred Klawonn. "In the grandstand area, many details are resolved, which would be difficult to

upper support points in the interior view to deviate considerably from each other in the Z-direction. "In the Allplan model, we were finally able to develop solutions for the architects that were feasible in terms of design." Says the lead structural engineer of the stadium. With All Plans we have to mention Tekla Structure; Advance Steel and Autodesk Revit, as one of the best software for designing complex sports and overall structures.

And at the end one of the impressive works of the




engineering team and software work, personally for me is the multifunctional stadium shown below. The realization of a Stadium, was an interesting design, the construction of a steel spatial structure. For this design, you need to be very careful in the production and details of the steel structure; for this project, the team of TopEngineer carried out the meticulous calculation of the welds and the spatial structure, the development of assembly plans, detail, and installation scheme for the truss of great light.

**REFERENCES:**


1. Design of Steel Structures: Theory and Practice 1st Edition by N. Subramanian
2. The Behaviour and Design of Steel Structures to EC3 4th Edition by N.S. Trahair
3. ETABS - Computers & Engineering: Home Page by Steve Pyle
4. Eurocode 1: Actions on structures.
5. Eurocode 3: Design of steel structures.
6. Eurocode 8: Design of structures for earthquake resistance
7. H. GULVANESSIAN, J.-A. CALGARO and M. HOLICKÝ. DESIGNERS' GUIDE TO EN 1990 EUROCODE: BASIS OF STRUCTURAL DESIGN (2nd ed.). ICE, 2019.
8. D.Beckett, A.Alexandrow. Introduction to Eurocode 2. 2020.
9. Luís Simões da Silva at al. DESIGN OF STEEL STRUCTURES. Eurocode 3: Design of Steel Structures.
10. Part 1-1 General rules and rules for buildings. ECCS, 2018.

# სიტუაციების მართვის სისტემური ანალიზისა და კვლევის ალგორითმი ფირმის მაგალითზე

***ანა გიქია***
*სტუ-ს ასისტენტ პროფესორი*
***იზო ყურაშვილი***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ფირმების ფუნქციონირების მექანიზმის ფორმირების საკითხები, პრობლემის შიდა და გარე ფაქტორების კვლევისა და ანალიზის ალგორითმი. კრიზისული სიტუაციის გარემოდან ზემოქმედი რამოდენიმე არასასურველი „საშიში“ ფაქტორი.

განხილულია პრობლემის სირთულის გადაწყვეტის ვარიანტები, განსაკუთრებით გარე ფაქტორები, რომლებიც არ ექვემდებარება პროგნოზირებას. ნაშრომში მთლიანობაში, სისტემურად გააზრებულია და დანახულია ყველა სავარაუდო კრიზისული ხელშემშლელი ფაქტორები. რეკომენდაციის სახით შემოთავაზებულია, კრიზისული სიტუაციების დადგომის, გამომწვევი ფაქტორების და მათი საზღვრების დადგენის, ასევე კრიზისული პრობლემის მართვის ამოცანების კვლევა სისტემური მიდგომის მეთოდების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** კრიზისული სიტუაცია, პრობლემა, სტრუქტურიზაცია, მოდიფიკაცია

## ALGORITHM OF SYSTEMATIC ANALYSIS AND RESEARCH OF SITUATION MANAGEMENT ON THE EXAMPLE OF A FIRM

**Ana Gikia**
Assistant Professor of Gtu
**Izo Kurashvili**
Associate Professor of GTU

**RESUME**

The paper discusses the issues of formation of the mechanism of functioning of firms, the algorithm of research and analysis of internal and external factors of the problem. Several undesirable “dangerous” factors from the environment of the crisis situation.

Options for solving the complexity of the problem, especially external factors that cannot be predicted, are discussed. In the work as a whole, all probable crisis interfering factors are systematically understood and seen. As a recommendation, it is proposed to study the occurrence of crisis situations, determining the causative factors and their limits, as well as the tasks of managing the crisis problem using the methods of a systematic approach.

**keywords:** Crisis situation, problem, structuring, modification

* * * *

კრიზისული სიტუაციის გამოვლენა და მისი დადგომის წინაპირობების განსაზღვრა, არის საწყისი მომენტი მისი აღმოფხვრის ან თავიდან აცილების ამოცანის დასასმელად. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი გარკვეული სახის პროცესია და ორივე შემთხვევაში იქმნება ფირმის არამდგრადი ფუნქციონირების წინაპირობები, ისინი განსხვავებული არიან პრობლემის სირთულით, მახასიათებლებზე ინფორმირებულობის ხარისხით, დროსა და სივრცეში მართვის არაერთგვაროვნებით.

თუ კრიზისული სიტუაციის წინაპირობები არსებობს ან უკვე დადგა, მაგრამ პრობლემა რთული არ არის, ხოლო სიტუაციური ფაქტორები ჩანს ცხადად და იმართებიან, მაშინ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი შეიძლება იყოს საკმაოდ მარტივი და სწრაფი, თუმცა მას შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ რთული სახეც.

თუ კრიზისული პრობლემა დადგა და მაშინ ვსვამთ მისი მართვის საკითხს–საქმე გვაქვს კრიზისული სიტუაციის აღმოფხვრის პრობლემასთან და მართვის პროცესთან.

თუმცა კრიზისული სიტუაცია, უმეტეს შემთხვევაში არც ისე ცხადად იკვეთება, თვითონ მიმდინარე და ოპერატიული დაგეგმვის ეტაპზეც კი. მით უმეტეს გაძნელებულია მისი პროგნოზირება და მართვა, პერსპექტიული დაგეგმვის პროცესში. თუ კრიზისული სიტუაციის შესაძლო დადგომის, მისი სახეობის და სრუქტურის, წარმოქმნის დროის და მახასიათებლების პროგნოზირება ხდება წინასწარ, მაშინ საქმე გვაქვს კრიზისული სიტუაციის თავიდან აცილების პრობლემასთან და მისი მართვის პროცესთან. ასეთ დროს არ არის ცალსახა კრიზისული პრობლემის გადაწყვეტის საკითხი, ამიტომ მისი თავიდან აცილების პროცესი საჭიროებს გარკვეულ სტრუქტურიზაციას, მან საშუალება უნდა მოგვცეს განვსაზღვროთ კრიზისული პრობლემის მართვის როგორც პროცესის თანმიმდევრული ეტაპები და აუცილებელი პროცედურები. ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემის, როგორც ერთი მთლიანის, სისტემური გააზრება, სისტემური მახასიათებლების და ფაქტორების გამოკვეთა და გაანალიზება, ზემოქმედების გარეფაქტორებთან კავშირში.

კრიზისული პრობლემების მართვის, ქვემოდ მოცემული საკმაოდ პრაქტიკული სქემა (1) გულისხმობს, რომ მართვის პროცესი წარმოადგენს

სქემა 1




სქემა 2




ერთი ეტაპიდან მეორისაკენ მკაცრად განსაზღვრული წესით თანმიმდევრულ გადაადგილებას.

კრიზისული სიტუაციის გამოვლენის და მისი წარმოქმნის წინაპირობების, ზემოქმედების ფაქტორების საზღვრების დადგენის შემდეგ, მიმდინარეობს მისი გადაწყვეტის გზების დამუშავება, რომელთაგანაც აირჩევა უკეთესი წინასწარ შემუშავებული ალგორითმით. დამუშავებული და განხილული

ვარიანტები დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და პირველ რიგში დამმუშავებლების განკარგულებაში არსებულ დროზე, რესურსებზე და ინფორმაციაზე. როგორც წესი მთავარ შეზღუდვად მაინც ითვლება დრო, რომელიც კრიზისული პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. დროის ოპტიმიზაციის მიზნით კრიზისული პრობლემის მართვის მთელ პროცესს მიყვება ეტაპები, შეფასებების საქმიანობა და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ვარიანტებიდან საუკეთესოს არჩევით.

მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რომ (1) სქემაზე ნაჩვენები პროცესი წარმოადგენს სისტემას, მკაცრად განსაზღვრული ელემენტებით, მათ შორის კავშირებით. ყოველი ეტაპი წარმოადგენს ქვესისტემის ამოცანის დასმას, ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას, გადაწყვეტილების მიღებას და შეფასებას. კრიზისული პრობლემის მართვის პროცესის უფრო დეტალურად სტრუქტურიზებული ვარიანტი ნაჩვენებია სქემაზე (2)-ძირითადი შემადგენლები, რომელთა შესრულებაც განაპირობებს ძირითადი ეტაპების თანმიმდევრულ შესრულებას. მაგალითად გადაწყვეტილების მიღებისთვის ამოცანის დასმის საფუძველს წარმოადგენს კრიზისული სიტუაციის დადგომა, რომელიც წარმოქმნის კრიზისულ პრობლემასაც. პრობლემური სიტუაციის აღწერა წარმოდგენას გვიქმნის იმ კონკრეტულ ფაქტორებზე, რომელთა დაწვრილებითი ანალიზი და განხილვა აუცილებელია მართვის მთელი პროცესის მიზანმიმართულად წარმართვისათვის. მნიშვნელოვანია კრიზისული პრობლემის მართვის პირველი ეტაპი - „კრიზისული სიტუაციის დადგომა" რაც მისი გამოვლენის და გადაწყვეტის ამოცანის დასმასაც ნიშნავს. სიტუაციის წარმოქმნამ გამოიწვია პრობლემის წარმოქმნა. ამ ეტაპზე მოითხოვება დადგინდეს კრიზისული სიტუაციის გამომწვევი მიზეზები, რაც ნიშნავს სქემაზე (2) მოცემულ სტრატეგიული შესაძლებლობების უფრო დეტალურ, მიზანმიმართულ განხილვას და ანალიზს.

ამ სქემას ვუწოდეთ სტრატეგიული შესაძლებლობების ოთხმხრივი ანალიზი-რადგან ფირმამ ფუნქციონირების დაწყებამდე შეიძლება გეგმის შემუშავების ეტაპზეც კი მოახდინოს შიდა ცვლადების და გარემოდან ზემოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია და მათი შემდგომი ერთობლივი ანალიზი, რაც აუცილებელია მარკეტინგის მიზნებისთვის და სწორი სტრატეგიის არჩევისთვისაც.

ცხადია ფირმას აქვს ძირითადი მიზანი და ყველა პრობლემა რომელიც არსებობს ან იარსებებს ფუნქციონირების პროცესში, თვით კრიზისული პრობლემის ჩათვლით, ძირითადი მიზნის ქვემიზანია, მართვის რომელიმე დონეზე გადასაწყვეტი და აუცილებლად ძირითად მიზანთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს.

კრიზისული სიტუაციის დადგომის წინა პირობები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფირმის ფუნქციონირების სუსტ შიდა მახასიათებლებს ემატება გარემოდან მოქმედი ორგანიზაციისთვის არასასურველი ფაქტორები.

თუ ზემოქმედების გარე ფაქტორების სიმრავლეს ავღნიშნავთ A-თი, ხოლო შიდა მახასიათებლების სიმრავლეს B-თი მაშინ, $C = A \times B$ წარმოადგენს გარემო ფაქტორების და შიდა ცვლადების ყველა შესაძლო ვარიანტების სიმრავლეს. ეს მოიცავს (3) სქემაზე მოცემული მატრიცის ყოველ შემადგენელს. ამ ეტაპზე ვიხილავ მხოლოდ ერთ კვადრანტს, სადაც ფირმის შედარებით არა ძლიერი, არამყარი და არაეფექტური მახასიათებლები და გარემოდან არასასურველი ფაქტორები იკვეთებიან.

ქვემოდ მათემატიკურ გამოსახულებაში: $A^1$ -ძლიერი მახასიათებლების სიმრავლეა, ($A^1 \subset A$), $A^2$ - სუსტი მახასიათებლები ($A^2 \subset A$), მაშინ $A = A^1 \cup A^2$ . A- თი ზოგადად აღნიშნულია შიდა მახასიათებლების რაოდენობა, რომელიც 5 განსხვავებული $A = \{A_1 , A_2 , a_3 ...\}$ ქვესიმრავლისაგან შედგება.

ცხადია თვითონ $A^1$ და $A^2$ შედგება კონკრეტული შესაბამისი ელემენტებისაგან

$$A^1 = \{a_1^1, a_2^1, ..., a_n^1\}.$$

$$a_i^1 \in A^1, \; i = \overline{1,n}. \; A^2 = \{a_1^2, a_2^2, ...a_m^2\},$$

$$a_j^2 \in A^2; \; j = \overline{1,m}$$

გარემო ფაქტორების $B$ სიმრავლე შეიძლება იყოს სასურველი, $B^1$, ან საშიში - $B^2$.

$$B^1 = \{b_1^1, b_2^1, ...b_k^1\}, \; b_i^1 \in B^1 \; i = \overline{1,k}$$

$$B^2 = \{b_1^2, b_2^2, ...b_e^2\} \; b_j^2 \in B^2 \; j = \overline{1,e}$$

$$B = B^1 \cup B^2;$$

მიღებული აღნიშვნების საფუძველზე სქემა (2)-ს შეიძლება მივცეთ შემდეგი სახე სქემა (3).

კვლევის ინტერესები $C_2 = A_1 \times B_2$ შემთხვევით შემოიფარგლება, რაც კრიზისული სიტუაციის დადგომის წინაპირობების და გამომწვევი ფაქტორების ანალიზს ნიშნავს. თუმცა A და B სიმრავლეები დავყავით ქვესიმრავლეებად, მაგრამ კრიზისული სიტუაციის წარმოქმნაში, მათ შემადგენელ ყველა ელემენტს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გარემო (B სიმრავლე) შვიდი გამსხვილებული ფაქტორით წარმოვადგინეთ, ხოლო შიდა მახასიათებლები 5 ფუნქციონალურ ზონად დავყავით (A, რომელთაგან თითოეული ცალკე შედგება ელემენტებისაგან, მაშინ ცხადია მათი შესაძლო საკმაოდ ბევრი კომბინაციაა მოსალოდნელი და განსახილველი. თუმცა ასეთი კომბინაციები სასრული იქნება იმიტომ, რომ თვითონ A და B სიმრავლეები სასრულია.

კრიზისული სიტუაციების გამომწვევი ფაქტორების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განსა-

სქემა 3

| გარემოს ფაქტორები (B) საწარმოს მახასიათებლები (A) | საწარმოსთვის სასურველი გარემო პირობები ($B_1$) | საწარმოსთვის საშიში გარემო პირობები ($B_2$) |
|---|---|---|
| ძლიერი მხარეები ($A_1$) | საწარმოს უპირატესობების გამოვლენა. მათი შემდგომი განვითარება $A_1 \times B_1 = C_1$ | არასასურველი სიტუაციების აცილებისთვის მომზადება $A_1 \times B_2 = C_2$ |
| სუსტი მხარეები ($A_2$) | საწარმოს ნაკლოვანებების გამოვლენა. მათი აღმოფხვრის პროცესი $A_2 \times B_1 = C_2$ | კრიზისის დადგომის შესაძლებლობები $A_2 \times B_2 = C_2$ |

ზღვროთ რესურსები (მათ შორის დროითი), რომელთა ხარჯვასთანაც არის დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტა.

მნიშვნელოვანია პრობლემის საზღვრების მასშტაბების დონის შეფასება, შეზღუდვების დადგენა გამომწვევ ფაქტორებზე. ასეთი შეფასების გაკეთება ძალიან რთული და შრომატევადია, ის ყოველი ფირმისთვის სპეციფიკურია და კონკრეტულ სიტუაციებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ძირითადში კი ქვეყნის კანონმდებლობით უნდა მიმდინარეობდეს მართვის მთელი პროცესი.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა სიტუაციების მოსალოდნელი შედეგების და რეალიზების შეფასება. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმები.

კრიზისული სიტუაციის პირველ ეტაპზე, როგორც პრობლემის გასაცნობიერებლად, გამოყენებული მიზნის ფუნქცია (ფორმულირებული მიზანი), რომლიდანაც გადახრა მიუთითებს კრიზისული პრობლემის არსებობაზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მართვის ყველა დონეზე ზუსტად უნდა იყოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები ფორმულირებული, რაშიც დაგვეხმარება მიზნებით მართვის სისტემების გამოყენება, სხვა შემთხვევებში კრიზისული სიტუაციის არსებობა დგინდება სუფთა ინტუიციის საფუძველზე.

კრიზისული პრობლემის მართვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის ტაქტიკის ფორმირება, იმ ტაქტიკურ სვლებზე გადაწყვეტილების მიღება, რომლის რეალიზებით იხსნება დასმული პრობლემა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Serova E. ,"Enterprise Information Sytems in New Generation", The Electronic Journal Information Systems Evaluation Volume 15 Issue 1 2012, (pp116 -126), available online at www.ejise.com

2. She W., Thuraisingham B., "Security for Enterprise Resource Planning Systems", Information Systems Security, 16:152–163, 2007, Copyright © Taylor & Francis Group, LLC

3. Weider B., Booth P., Matolcsy P.Z., Ossimitz Maria-Luise, "The impact of ERP systems on firm and business process performance", www.emeraldinsight.com/1741-0398.htm

4. Addo-Tenkorang R., Helo P.,"Enterprise Resource Planning (ERP): A Review Literature Report", Proceedings of the World Congress on Engineering and Computer Science 2011 Vol II, WCECS 2011, October 19-21, 2011, San Francisco, USA

5. Al-Mashari M., "Enterprise resource planning (ERP) systems:a research agenda", Industrial Management & Data Systems 103/1 [2003] 22-27

# სატრანსპორტო ლოგისტიკური დარგის პრობლემები საქართველოში თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში

***შოთა ლომინაშვილი***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

***ფრიდონ გოგიაშვილი***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტის პროფესორი*

## PROBLEMS OF THE TRANSPORT LOGISTICS INDUSTRY IN GEORGIA IN THE CHALLENGING CONDITIONS OF MODERN GLOBALIZED WORLD

**Shota Lominashvili**
Doctor of Economic Sciences,
Akaki Tsereteli State University
**Pridon Gogiashvili**
Doctor of technical Sciences,
Akaki Tsereteli State University

**RESUME**

The transit road passing through the territory of Georgia is essential to carrying out cargo transportation. Its loading level is currently at historic highs. Due to the existing global problems, cargoes that were shipped by a different route gathered on the mentioned road.

The paper analyzes the current situation and suggests several possible ways to solve the problems.

**Key words:** logistics; cargo transportation; transport corridor; road transport

* * * *

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იდეალურად მიესადაგება სატრანსპორტო დერეფნისათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად პარამეტრს. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ტერიტორია მუდამ წარმოადგენდა ქვეყნის, ახლო თუ შორს მდებარე, სახელმწიფოების ინტერესს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის, რომელთა შორის მთავარი იყო და დღევანდელ დროშიც მნიშვნელოვანია, ქვეყნის, როგორც სატრანსპორტო ჰაბის, ფუნქცია. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს ტერიტორია იყო დიდი „აბრეშუმის გზის განუყოფელი ნაწილი. თანამედროვე პირობებში საქართველოს გავლით სატრანსპორტო გადაზიდვები (სატრანსპორტო გადაზიდვები, მგზავრთა გადაყვანები) ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებების და კონვენციების საფუძველზე. საქართველოს აქვს შესაძლებლობა თავის ტერიტორიაზე გამავალ სატრანსპორტო დერეფანში შეასრულოს საკვანძო ფუნქცია და წარმატებით განახორციელოს ტვირთების გადაადგილება როგორც ევროპის, ასევე აზიის და აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“, რომელიც ითვალისწინებდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და ლოგისტიკური ცენტრების განვითარებას, სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის გაძლიერებას, საერთაშორისო და რეგიონალურ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციას. მიუხედავად იმისა რომ, აღნიშნული სტრატეგიის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, გადაიჭრა მთელი რიგი პრობლემები, დარჩა რიგი საკითხებისა, რომელთა არსებობამ გარკვეულწილად განაპირობა პრობლემების წარმოშობა. გლობალური გამოწვევების პირობებში, საჭიროა აღნიშნოს, რომ სტრატეგიის განხორციელებისათვის კარგი იქნებოდა თითოეული მიმართულების განხორციელებაზე განსაზღვრულიყო შესაბამისი, პასუხისმგებელი საჯარო უწყებები.

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ სატრანსპორტო დერეფანში არსებულმა პრობლემებმა კიდევ უფრო იჩინა თავი თანამედროვე გამოწვევების პირობებში. კერძოდ, ეს გამოწვევები ყველასათვის კარგად ნაცნობი კოვიდ-19 საგან გამოწვეული პანდემია და რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე ომია. სწორედ ამ მნიშვნელოვანი გამომწვევებიდან გამომდინარე საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში ტვირთებმა იმატა (რომლის ანალიზსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ).

გაჩნდა ძალიან დიდი შესაძლებლობა იმისა, რომ აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი საავტომობილო სატრანსპორტო ნაკადები, რომელიც გადაადგილდებოდა რუსეთის ტერიტორიის გავლით, საქართველოს სახმელეთო გზებზე გადმოვიდეს. იგივე შეიძლება ითქვას სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებად ტვირთებზე, თუმცა ჩვენ წინამდებარე სტატიაში, მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების გადაადგილებაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

პანდემიის მიმდინარეობას, მიწოდებათა ჯაჭვში, ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა. აღნიშნულ პრობლემას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაემატა რუსეთ-უკრაინის ომი. რუსეთის მიმართ დაწესებულმა

სანქციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების გადაადგილება საქართველოს გავლით. მთელი რიგი ქვეყნების გადამზიდავი კომპანიები მიმართავენ მარშრუტების მოდერნიზაციას, რაც მნიშვნელოვნად ცვლის იმ ეკონომიკურ მოდელებს, რომლებიც წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ. სწორად ამ ცვლილებებმა გამოიწვია ის, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით სატვირთო ნაკადებით არის გაჭედილი არა მარტო საბაჟო-გამშვები პუნქტების მიმდებარე ტერიტორიები, არამედ ის მცირე რაოდენობის ლოგისტიკური კვანძები, სადაც ელემენტარულად შესაძლებელია ავტომობილის დროებით გაჩერება.

საპატრულო პოლიცია მთელი ქვეყნის მასშტაბით სადღეღამისო რეჟიმში აწარმოებს სატრანსპორტო ნაკადის რეგულირებას, რომ არ მოხდეს სასაზღვრო, გამშვებ პუნქტებთან სატრანსპორტო კოლაფსი. ყოველივე ეს გავლენას ახდენს არა მარტო ტრანზიტის შემცირებაზე, არამედ მცირდება ექსპორტ-იმპორტის პროცესი ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვნად ზიანდება ტვირთების გადაადგილების ლოგიკური მიდგომის პრინციპი „ზუსტად დროში“. უახლესი კვლევებით დგინდება, რომ მოცდის რეჟიმები თურქეთის მიმართულებით 3-4 დღე, რუსეთის მიმართულებით კი 2-3 კვირაა. ტვირთების დაყოვნების ასეთი რეჟიმი, თავის მხრივ, ზრდის პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯებს, რაც მყისიერად აისახება სამომხმარებლო ფასებზე. სასაზღვრო გამშვები პუნქტების ანალოგიური მდგომარეობა არის საქართველოს შავი ზღვის პორტების მიმდინარე ტერიტორიებზეც. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთიდან წამოსული ტვირთების გადმომისამართება, რომელიც მანამდე რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ სატრანსპორტო დერეფნებში მოძრაობდა. აქვე შეიძლება განვიხილოთ ცენტრალური აზიის მიმართულებით მოძრავი ტვირთები.

ზემოთ აღწერილი პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე გამოწვეულია იმ ბიუროკრატიული ბარიერებით, რომელიც არსებობს ტვირთების გატარების პროცესში. კერძოდ:

- ინფრასტრუქტურული პრობლემები პორტებში და საბაჟოზე;
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები;
- დროებით შეჩერებული ანაკლიის პორტის პროექტი;
- ფოთის პორტის ტერმინალების გადაიარაღების პროცესი, რომელმაც საშუალოდ 3 მილიონი ტონა ტვირთის გატარება უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2022 წლის პირველ ნახევარში, საქართველო რეკორდული რაოდენობის სატვირთო ტრაილერებმა გადაკვეთეს. კერძოდ ეს რაოდენობა 209 000 ტრაილერს შეადგენს, რაც 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 51 000 ტრაილერით მეტია, რაც ნიშნავს რომ ყოველდღიურად საქართველოს ტერიტორიაზე 1150 ტრაილერი შემოდიოდა. თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ 2022 წლის ივნისამდე თითოეული სატვირთო ტრაილერი 150 ლარს იხდიდა, ხოლო ამავე წლის ივლისიდან მოსაკრებელი 350 ლარი გახდა, ცხადია ის ეკონომიკური, სიკეთე რაც ნაკადების გაზრდით შეიძლება მიიღოს საქართველოს ბიუჯეტმა.

2021 და 2022 წლის პირველ ნახევარში შემოსავლები ასე შეიძლება გამოისახოს.







**წყარო: https:/www.bm.ge https:/www.bia.ge გადამოწმებულია, 15.08.2022 წ.**

ჩვენი პროგნოზით მოსალოდნელია, რომ 2022 წლის ბოლოსათვის შემოსავალი 90 მილიონ ლარამდე გაიზარდოს, ხოლო 2023 წლისთვის მან 150 მილიონ ლარს მიაღწიოს ().



ტვირთნაკადების დროულად გატარებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩატარება, რაც შეამცირებს ტვირთების მოცდის და გატარების დროს. ამ მიმართულებით გასატარებელი სამუშაოები კარგად არის გაწერილი სამთავრობო პროგრამაში „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, რომელიც 2021-2024 წლებს მოიცავს. თუმცა, საჭიროა წარმოშობილ სიტუაციებში უფრო ეფექტური და დროული ღონისძიებების გატარება.

გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოს სატრანსპორტო ლოგისტიკურ დარგში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრა, გარკვეული ხარისხით, შესაძლებელია:

1. ბიუროკრატიის შემცირებით, საბაჟო პროცედურების სრულყოფით სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე და საბაჟო ოფიცრების რაოდენობის დამატებით;

2. სანქცირებული ტვირთების დათვალიერების და კონტროლისათვის დამატებითი, ცალკე ადგილის გამოყოფით;

3. გადასაზიდი ტვირთების სწრაფად და სწორად იდენტიფიცირებით, რაც გულისხმობს ტვირთის საბაჟოზე მისვლამდე შესაბამისი კოდის მოძიებას (რაზეც იხარჯება დიდი დრო);

4. რთული ტექნიკური დოკუმენტაციის წინასწარი დამუშავებით შესაბამისი კვალიფიკაციის (დარგის) სპეციალისტების მიერ;

5. თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ლოგისტიკური ცენტრების (პარკირების ადგილები) მოწყობით;

აღნიშნული საკითხების მოგვარება საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში, მინიმუმ 50% -ით გაზრდის ტვირთნაკადს, რომელსაც საბაჟო-გამშვები პუნქტები უპრობლემოდ და დროულად გაატარებენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ა. გეგეშიძე „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო“

1. www.macne.gov.ge

2. მ. ლეკიაშვილი „საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი“. ჟურნალი „ფორბსი“.2013წ

3. საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის გაძლიერება. USAID პროექტი „მმართველობა განვითარებისთვის“ 2017 წ

4. სამთავრობო პროგრამა 2021-2024წ. „ევროპული საქართველოს მშენებლობისთვის“ თბილისი 2020წ;

5. გ. ბერიკაშვილი. საქართველოს სატრანსპორტო ჰაბიდან - პრობლემატურ გზამდე. თბილისი 2019 წ.

# პორტში მომუშავე დატვირთვა გადმოტვირთვის მოწყობილობების სამუშაო პროცესის გაუმჯობესების (ეფექტური) მეთოდები

*რევაზ ველიჯანაშვილი*
*სტუ-ს პროფესორი*

*ჯემალ შარაძე*
*ბათუმის საზღვაო აკადემიის*
*ასოცირებული პროფესორი*

**რეზიუმე**

დატვირთვა-განტვირთვის(დ/გ) სატრანსპორტო საშუალების გამოყენების ეფექტიანობა გულისხმობს დ/გ სატრანსპორტო საშუალებების მიერ შესრულებული სამუშაო პროცესის შესაძლებლობას. მინიმალური მატერიალური და შრომითი ხარჯებით ის შეიძლება განსაზღვრული იქნას, ერთის მხრივ, მისი კონსტრუქციის სრულყოფით და საექსპლუატაციო პირობებისადმი შესაბამისობით, მეორეს მხრივ, სამუშაო პროცესის ორგანიზებით. განაწესში ყოფნის დრო, მუშა დღეების რაოდენობა, დ/გ სამუშაოების მექანიზაცია, მოცდენების ანალიზი და სხვა. აღნიშნული საკითხი აქტუალურია, ვინაიდან თანამედროვე სატვირთო სამეურნეო კვანძებში, მათ შორის საზღვაო პორტებში დ/გ სამუშაოების შესრულება, გაწეული საექსპლუატაციო ხარჯები გადაზიდვების თვითღირებულების შემადგენლობაში საკმაოდ დიდია, ამიტომ ნებისმიერი ეფექტური ღონისძიებების გატარება იძლევა მნიშვნელოვან ტექნიკურ–ეკონომიკურ ეფექტს. დიდი მნიშვნელობა აქვს პორტისა და მისი ყველა ქვეგანყოფილების წინასწარ მომზადებას გემის დატვირთვისა (განტვირთვისა) და სატვირთო ოპერაციების შესასრულებლად. რადგან ტვირთები და მათი გადატვირთვის პირობები სხვადასხვაა, ამიტომ სატვირთო სამუშაოთა შესრულების მეთოდებიც არაერთგვაროვანია. აღნიშნულის ირგვლივ გამოიყენება რამოდენიმე ეფექტური მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** დატვირთვა-განტვირთვა (დ/გ), მოცდენების ანალიზი, საექსპლუატაციო ხარჯები, გადაზიდვების თვითღირებულება, ტექნიკურ–ეკონომიკური ეფექტი.

## МЕТОДЫ УЛУЧШЕНИЯ ПРОЦЕССОВ РАБОТЫ ПОГРУЗОЧНО-РАЗГРУЗОЧНЫХ УСТРОЙСТВ, РАБОТАЮЩИХ В ПОРТУ

**Реваз Велиджанашвили**
профессор ГТУ
**Джемал Шарадзе**
ассоциированный профессор
Батумская морская академия

**РЕЗЮМЕ**

Эффективность использования погрузочно-разгрузочных (п/р) транспортных средств подразумевает возможность выполнения рабочего процесса погрузочно-разгрузочными (п/р) транспортными средствами с минимальными материальными и трудовыми издержками. Указанное может быть достигнуто: с одной стороны, усовершенствованием их конструкции и соответствием эксплуатационным условиям, а с другой стороны, организацией рабочего процесса: время нахождения в смене, количество рабочих дней, механизация п/р работ, анализ простоев и др. Данный вопрос актуален, поскольку доля эксплуатационных расходов при выполнении работ в современных грузовых хозяйственных узлах, в том числе в морских портах, в составе себестоимости перевозок весьма велика, поэтому проведение любых эффективных мер дает значительный технико-экономический эффект.

Большое значение имеет предварительная готовность портов и всех их подразделений к выполнению погрузки (разгрузки) корабля и грузовых операций. Поскольку грузы и условия их перевозки разнятся, методы выполнения грузовых работ также неоднородны. В соответствии с этим используется несколько эффективных методов.

**Ключевые слова:** погрузка-разгрузка (п/р), анализ простоев, операционные расходы, себестоимость перевозок, технико-экономический эффект.

# EFFECTIVE METHODS OF WORKING PROCESS IMPROVEMENT FOR CARGO HANDLING DEVICES OPERATING IN THE PORTS

**Revaz Velijanashvili**
Professor of GTU
**Jemal Sharadze**
Associated professor
of Batumi Maritime Academy

## SUMMARY

The usage efficiency of cargo handling (C/H) transport vehicles implies theop-portunity of working process implementation with minimum material and labor costs by cargo handling (C/H) transport vehicles. The mentioned goal can be achieved: on one hand, through improvement of their design and via compliance to operating conditions, and on the other hand, by their working process organization (workflow), namely: duration of shift, number of working days, mechanization of C/H works, idle time analysis etc. The mentioned issue is relevant, since the share of operating costs in the total carriage selfcosts, when executing the works in the modern cargo handling junctions, including sea ports, is very high, so the accomplishment of any effective measures provides a significant technical and economic effect.

The preliminary readiness of ports and all their divisions to implementation of ship loading (unloading) and other cargo operation is of great importance, as well. As far as loads and their

carriage conditions are different, the methods of works execution are diverse, too. Several effective methods are used in this regard.

**Key words:** cargo handling (C/H), idle time analysis, operating costs, carriage selfcost, technical  and economic effect.

## შესავალი

თანამედროვე სატვირთო სამეურნეო კვანძებში, მათ შორის საზღვაო პორტებში დატვირთვა/ განტვირთვის (დ/გ) სამუშაოების შესრულებისას გაწეული საექსპლუატაციო ხარჯები საკმაოდ დიდია გადაზიდვების თვითღირებულების შემადგენლობაში, ამიტომ ნებისმიერი ეფექტური ღონისძიებების გატარება იძლევა მნიშვნელოვან ტექნიკურ ეკონომიკურ ეფექტს.

საინტერესო და საგრძნობლად ხელშესახები არის დ/გ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ცნება, რომელიც გულისხმობს დ/გ სატრანსპორტო საშუალებების მიერ შესრულებული სამუშაო პროცესის შესაძლებლობას მინიმალური მატერიალური და შრომითი ხარჯებით.

დ/გ სატრანსპორტო საშუალების გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, კერძოდ: დ/გ საშუალებების/მოწყობილობების კონსტრუქციის სრულყოფით და საექსპლუატაციო პირობებისადმი შესაბამისობით, სამუშაო პროცესის ორგანიზაციაზე განაწესში ყოფნის დროზე (მუშა დღეების რაოდენობა, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების მექანიზაცია, მოცდენების ანალიზი) და დ/გ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა კომპლექსზე (ტექნიკური მომსახურება, დეტალებისა და საექსპლუატაციო მასალების შეცვლა, მოცდენები ტექნიკური მიზეზებით).

პორტში შემოსული გემების გადმოტვირთვა (დატვირთვა) შეიძლება ერთდროულად გადამტვირთავი საშუალებების სანაპიროზე განლაგებით ან მათი კონცენტრაციის ცალკეული გემის მიხედვით გარკვეული თანმიმდევრობით. აღნიშნული მეთოდით გემების დამუშავების დროს უმჯობესდება სატვირთო სამუშაოთა ხელმძღვანელობა და ორგანიზაცია, ვინაიდან სამეურნეო და ადმინისტრაციული ქვედანაყოფების ძირითადი ყურადღება მიმართულია გემების მცირე რიცხვზე. გადამტვირთავ სამუშაოთა კონცენტრაცია გემების (დატვირთვის) გადმოტვირთვის დროს საშუალებას იძლევა, რომ უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული სანაპიროზე განლაგებული მოწყობილობები. შემცირდეს გემების დგომის დრო და შემცირდეს საექსპლუატაციო მაჩვენებლები. ამავე დროს ერთი (მორიგი) გემის დამუშავება გაცილებით მაღალი ინტენსიობით ხდება ვიდრე სხვა გემებისა.

ამრიგად, გემების დასამუშავებლად გადამტვირთავი რესურსების კონცენტრაცია იძლევა მნიშვნელოვან ეფექტს და საჭიროა ამ მეთოდის ფართედ დანერგვა პორტების მუშაობაში. გადამტვირთავი საშუალებების კონცენტრაციის ეკონომიკური მიზანშეწონილობა არის პორტების ოპტიმალურ რეჟიმში მუშაობის აუცილებელი პირობა.

## ძირითადი ნაწილი

ტვირთების გადატვირთვის მეთოდების, ილეთების და ამ დროს გამოყენებული ტქნიკური საშუალებების ერთობლიობას ეწოდება სატვირთო სამუშაოთა ტექნოლოგია. ტექნოლოგია განსაზღვრავს დატვირთვის ან გადმოტვირთვის ოპერაციათა ჩამონათვალს

თანმიმდევრობასა და მათი შესრულების მეთოდებს, გამოყენებული მოწყობილობებისა და სამარჯვებს, ასევე გადამტვირთავ მცირე მექანიზაციის მანქანებს.

ტვირთები და მათი გადატვირთვის პირობები სხვადასხვაა, ამიტომ სატვირთო სამუშაოთა შესრულების მეთოდებიც არაერთგვაროვანია. ერთიდაიგივეა ტვირთის გადატვირთვის ვარიანტის გამოყენება, მაგრამ მათგან ღებულობენ ისეთ ვარიანტს, რომლის დროსაც მიიღწევა შრომის მაღალი მწარმოებლურობა, გემების სადგომი დროის შე-

მცირება და სატვირთო სამუშაოებზე მინიმალური დაყოვნება, დოკერთა სრული უსაფრთხოება და ტვირთების დაცვა.

პორტის სატვირთო სამუშაოები მოიცავს რიგ ოპერაციებს, რომლებიც სრულდება ტრიუმში, ნავმისადგომზე, ვაგონში და საწყობში, ამ დროს ტექნოლოგიური სქემის მიუხედავად ყველა შემთხვევაში ხორციელდება ტვირთის აღება პირველსაწყისი მდგომარეობიდან, მისი გადაადგილება საბოლოო მდებარეობაში და დაწყობა.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ბოლო წლების ტვირთბრუნვა ბოლო 7 წლის მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. დღესდღეობით მთლიანი ტვირთბრუნვის 75%-დან 80%-მდე მოდის ნავთობის და ნავთობ პროდუქტების გადატვირთვაზე. მშრალი ტვირთების ტვირთბრუნვის 70%-მდე მოდის გენერალურ ტვირთებზე. გადამუშავებული ტვირთების ჩამონათვალში შედის: ნავთობი და ნავთობ პროდუქტები, კონტეინერები, მადნეული, ხორბალი, ცემენტი, ქიმიური სასუქები, ზეთები, ლითონები, სამშენებლო მასალები, შაქარი და სხვა.

პორტში შემოსული ტვირთი ან პირდაპირ გადაიტვირთება ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე, ან ხვდება საწყობში და შემდეგ კი სატრანსპორტო საშუალებით იგზავნება დანიშნულების ადგილზე. ამასთან დაკავშირებით არსებობს გადამტვირთავი სამუშაოების რამდენიმე ვარიანტი. ტვირთგადამუშავების ისეთ ვარიანტს, როცა ტვირთი საწყობის გვერდის ავლით ერთი სახეობის ტრანსპორტიდან გადაიტვირთება სხვა ტრანსპორტზე ეწოდება პირდაპირი. ტვირთის გადატვირთვა პირდაპირი ვარიანტით მეტად ეფექტურია, ვინაიდან ეს ვარიანტი საშუალებას იძლევა გადამტვირთავი ოპერაციების შრომატევადობის შემცირების. ამცირებს ტვირთმიწოდების ვადებს, ამცირებს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, ამცირებს გადატვირთვის ოპერაციის თვითღირებულებას, ზრდის ტვირთის დაცვას. თუ ამ ვარიანტის დროს პორტში შემოსული ტრანსპორტების გრაფიკი ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ შესაძლოა უფრო ეკონომიური იყოს ტვირთვის გადატვირთვა საწყობის გავლით, რაც გამოიწვევს ტრანსპორტის არ მოცდენას.

**გადასატვირთი ტვირთის სახეობა და მისი სატრანსპორტო მახასიათებლები** ტვირთის სატრანსპორტო მახასიათებლების ზედმიწევნით ცოდნა საშუალებას გვაძლევს სწორად შევარჩიოთ საჭირო სამარჯვეები, მოწყობილობები, მცირე მანქანიზაციის გადამტვირთავი მანქანები და მუშაობის ისეთი ილეთების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს გადამტვირთავი პროცესის მაღალ ეფექტურობას.

**ტვირთნაკადების მოცულობის მიმართულების რეგულარულობა** განსაზღვრავს გადამტვირთავი მანქანებისა და მოწყობილობების კაპიტალდაბანდების სიდიდეს. მუდმივი და მნიშვნელოვანი ტვირთნაკადების შემთხვევაში აზრი აქვს ძვირადღირებული მანქანადანადგარების დანერგვას. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი დანახარჯები უაზროა.

**გადაზიდვის მეთოდი (პაკეტები, კონტეინერები, შტაბელები) და გამოყენებული** სატრანსპორტო საშუალების სახეობა (გემი, ვაგონი, მილი, ამტომანქანები, მატარებლები), საწყობთა სახეობა (ღია, დახურული, ერთ და მრავალსართულიანი) და მისი მოშორება ნავმისადგომიდან. ეს ფაქტორები განაპირობებენ შიდასასაწყობო გადამტვირთავი მანქანების ტიპებს, საწყობში მომუშავეთა საჭირო რაოდენობას, მათი შრომის მწარმოებლურობას, შიდასაპორტო სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნას, მანქანათა სახეებს (მტვირთავები, გამწევები, მისაბმელით ავტომობილები) და მათი რაოდენობას.

**გადამტვირთავი მანქანების კონსტრუქციული თავისებურებები და ტექნიკურ საექსპლუატაციო მაჩვენებლები და თვისებები.** დღეისათვის ნავსადგურები აღჭურვილია თანამედროვე მაღალმწარმოებლური გადამტვირთავი დანადგარებით, რომლებიც განსაზღვრავენ გადამტვირთავ სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას და ავტომატიზაციას. ერთიდაიგივე კონსტრუქციის, მაგრამ სხვადასხვა საექსპლუტაციო და ტექნიკური მონაცემების მანქანათა გამოყენებითაც კი განისაზღვრება ტვირთგადამუშავების ტექნოლოგია.

კადრების კვალიფიკაცია თავის მხრივაც განაპირობებს ტექნოლოგიის პროგრესული მეთოდების დანერგვას, რისთვისაც ნავსადგური დაკონპლექტებული უნდა იყოს მაღალკვალიფიციური მუშა–მოსამსახურეებით.

ზემოთ ჩამოთვლილი და მისი მსგავსი ფაქტორები ზედმიწევნით უნდა იქნას გაანალიზებული და გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის დამუშავების დროს. რაც მეტი ფაქტორი გაითვალისწინება, მით უკეთესი ტექნოლოგიური პროცესი იქნება მიღებული.

აღსანიშნავა, რომ მექანიზირებული ხაზების რაოდენობა უნდა იყოს ეკონომიურად მიზანშეწონილი ანუ ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მაღალი ინტენსიურობის დროს გემისა და ნაპირის მიხედვით ჯამური ხარჯები უნდა იყოს მინიმალური.

**პორტში დ/გ პროცესის ტექნოლოგიის ხასიათი განპირობებულია რიგი ფაქტორებით, რომელთაგანაც უმთავრესია:** - გადამტვირთავი მანქანების კონსტრუქციული თავისებურებები და ტექნიკურ–საექსპლუატაციო მაჩვენებლები და თვისებები;

- გადამტვირთავ მანქანათა გამოყენების გაუმჯობესება, კომპლექსური მექანიზაციის დონის

ამაღლება და სატვირთო სამუშაოთა ტექნოლოგიის სრულყოფა.

აღნიშნულის შესასრულებლად მნიშვნელოვანია დ/გ მოწყობილობების ტექნიკური მზადყოფნა და მუშაობის საიმედოობა, რაც მიიღწევა დროულად დ/გ მოწყობილობების მუშა აგრეგა–ტების სამუ-

შაო რესურსის შეფასებით და მტყუნებების გამოვლენით. ეს მნიშვნელოვნად შეამ–ცირებს სამუშაო პროცესში დ/გ მოწყობილობების მოცდენის დროს. დღეისავთის ნავსადგურები აღჭურვილია თანამედროვე მაღალმწარმოებლური გადამტვირთავი დანადგარებით, რომლებიც განსაზღვრავენ გადამტვირთავ სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას და ავტომატიზაციას.

ერთნაირ საექსპლუატაციო პირობებში მუშაობის შემთხვევაში (სხვადასხვა მარკის დ/გ სატრანსპორტო საშუალებისათვის) საიმედოობის მაჩვენებლების განსაზღვრისათვის შესაძლებელია შემოღებული იქნას მაკორექტირებელი კოეფიციენტი:

$$k=t_1/t_2.$$

ასევე განვსაზღვრეთ ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი ანალიზურად, მისი განსაზღვრის საანგარიშო გამოსახულებას აქვს შემდეგი სახე:

$$a_{ტ} = \frac{1}{1 + T_{ზოც}\, t_{დღ}}$$

**სადაც** $t_{დღ}$- საკვლევი მანქანის დღიური ნამუშევარია, სთ;

$T_{ზოც}$- ტექნიკურ ზემოქმედებაზე (ტექნიკური მომსახურება რემონტი ) კუთრი მოცდენაა (დღე/1000სთ); მხედველობაში მიიღება ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტის $a_{ტ}^{max}$ მნიშვნელობა და მისი საანგარიშო მნიშვნელობა იქნება:

$$a_{ტ}^{ნ}(t) = 1-\frac{a_{ტ}(t)}{a_{ტ}^{max}}$$

ოპტიმიზაციის ძირითად პირობას წარმოადგენს დ/გ მოწყობილობის ეფექტურობის კრიტე–რიუმი. იგი გულისხმობს მაქსიმალური გამოყენების დონეს მინიმალური ხარჯებით:

$$C(t) = \frac{C_{ჯამ}}{t} + C_{ს.ე}(t) \rightarrow \min$$

საგარანტიო სამუშაო პროცესში/პირობებში t საგ., მტყუნებათა ნაკადის პარამეტრი $\omega(t)=0$ და ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტი $\alpha_{ტ}=1$, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის მტყუ–ნებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და არც მოცდენებს გარდა გეგმური ტექნიკური მომსახურების მოცდენისა.

## დასკვნა

- დ/გ სატრანსპორტო საშუალებების საიმედოობის გაზრდა და ექსპლუატაციის მეთოდების გაუმჯობესება მიმართულია მათ დამზადებასა და ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შემცირებისაკენ და უზრუნველყოფს მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ყოველივე ეს ქმნის საიმედოობის კვლევის, ანალიზის და დამუშავებული მეთოდების გამოყენების აუცილებლობას.
- დ/გ სამუშაო პროცესში მნიშვნელოვანია დადგენილი იყოს მონაწილე დატვირთვა–გადმოტვირთვის საშუალებების მოწყობილობა–დანადგარების მექანიზმის ძირითადი აგრეგატებისათვის სამუშაო ოპტიმალური რესურსი. აღნიშნული შეფასდა ეფექტურობის შემცირების კრიტერიუმით დამუშავებული მეთოდის მიხედვით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბათუმის საზღვაო პორტის ოფიციალური საიტი. http://www.batumiport.com/. გადამოწმებული 12.01.2018 წელს.
2. რადიო „კომერსანტი“ FM 95,5. 2015-03-09 09:18:02. საიტიდან: https://www.google.ge/#q ტვირთბრუნვის პროგნოზი, გადამოწმებულია 20.05.2018.

# ტრანსპორტისა და დამტვირთავი საშუალებების სამუშაო პროცესის შეფასება და ეფექტიანობის გაზრდა

*გურამ შანიძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების ხანგრძლივობა პირდაპირ არის დამოკიდებული დატვირთვა-გადმოტვირთვის ობიექტების რაოდენობაზე და სატრანსპორტო საშუალებების და დამტვირთველების სამუშაო პროცესის ეფექტიანობაზე. სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვისას ადგილი აქვს პროცესის გახანგრძლივებას/გაჭიანურებას, რაც იწვევს საჯარიმო სანქციებს. ეს პრობლემა დღესდღეობით აქტუალურია. აღნიშნულის გამოსწორება შესაძლებელია. ერთერთ საშუალებას წარმოადგენს დატვირთვის პროცესის გაუმჯობესება. შეფერხების/მოცდენების დროის შემცირების გზით შემცირდეს საჯარიმო სანქციები, რითაც შესაძლებელია დაიზოგოს ფულადი რესურსი. შემოთავაზებულია, მასობრივი მომსახურების თეორიაზე დაფუძნებული, მინიმალური ჯამური ხარჯების კრიტრიუმის გამოყენება. ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენება. ეკონომიკური ეფექტი მიღწეულ იქნა ზემოხსენებული მეთოდის გამოყენებით და საწარმოს საბაზისო ხარჯების კრიტერიუმის გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები, ეკონომიკური ეფექტი დატვირთვისას, შეფერხების დროის შემცირება, ჯამური ხარჯების კრიტერიუმი.

## ОЦЕНКА И ПОВЫШЕНИЕ ЭФФЕКТИВНОСТИ ТРАНСПОРТА И РАБОЧЕГО ПРОЦЕССА ПОГРУЗОЧНЫХ СРЕДСТВ

**Гурам Шанидзе**
докторант ГТУ

**РЕЗЮМЕ**

Продолжительность погрузочно-разгрузочных операций находится в прямой зависимости от количества объектов погрузки-разгрузки и эффективности рабочих процессов транспортных средств и погрузчиков. При погрузке на транспортные средства происходит удлинение/затягивание процесса, что влечет за собой штрафные санкции. Эта проблема весьма актуальна сегодня, но исправить указанное положение дел возможно. Одним из средств является улучшение процесса погрузки. Путем уменьшения задержек/простоев можно уменьшить штрафные санкции, что создает возможность экономии денежных средств.Предлагается использовать критерий минимальных суммарных расходов, основанный на теории массового обслуживания.Для достижения экономического эффекта необходимо использовать метод математического моделирования. Экономический эффект был достигнут использованием вышеуказанного метода и сучетом критериев основных расходов предприятия.

**Ключевые слова:** погрузочно-разгрузочные операции, экономический эффект, уменьшение времени задержек при погрузке, критерий суммарных расходов.

## ASSESSMENT AND EFFICIENCY ENHANCEMENT OF TRANSPORT AND WORKING PROCESS OF LOADING FACILITIES

**Guram Shanidze;**
Phd student of GTU

**SUMMARY**

Duration of cargo handling operations is directly related to the quantity of loading/unloading objects and to the efficiency of transport vehicles and loading devices working process. Process prolongation/delaying takes place during cargo loading that leads to penal sanctions. This problem is urgent today, but it is possible to straight things out. Loading process improvement is one of the ways. Reduction of delay/idle time makes it possible to decrease penal sanctions that creates cash saving opportunities. There has been offered to use the criterion of minimal total consumptions based on the mass service theory. Mathematical model method has to be used for achievement of economic effect. This effect has been achieved using the above mentioned method and taking the enterprise basic expenses criterion into account.

**Key words:** cargo-handling operations, economic effect, delay time reduction during loading, total consumption criterion.

## შესავალი

საავტომობილო ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ტრანსპორტირების ხარჯების ოპტიმიზაცია და საგზაო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საგზაო ტრანსპორტის მუშაობასა და დატვირთვა-გადმოტვირთვის(დ/გ) საშუალებებზე არის არარეგულარული გადაზიდვები, რის შედეგადაც სატრანსპორტო ფლოტის ეფექტიანობა უარესდება, ხოლო ჩატვირთვა–გადმოტვირთვის მექანიზმების საჭიროება კი იზრდება. ეს თავისებურება მრეწველობის მრავალ სფეროს ახასიათებს, ხშირად შეინიშნება სეზონური, ყოველდღიური, ასევე შიდა დღიური დარღვევები მზა პროდუქციის გაგზავნისას.

მზა პროდუქციის დროული მიწოდება მოითხოვს სატრანსპორტო ფლოტისა და დატვირთვა–გადმოტვირთვის ობიექტების სტრუქტურის ოპტიმიზაციას, ამასთან აუცილებელია მათი შენახვის ხარჯების შემცირება. აქედან გამომდინარე, საწარმოდან მზა პროდუქციის არათანაბარი გატანის პირობებში, აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის მოცულობის დაგეგმვისა, ასევე, მოძრავი შემადგენლობისა და ჩატვირთვა–გადმოტვირთვის საშუალებების ოპტიმიზაციის საკითხი უკიდურესად აქტუალურია.

საგზაო ტრანსპორტის მოთხოვნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში წარმოების მოცულობის ცვლილებების დინამიკასთან, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, კომპანიებისა და საწარმოების ფინანსური უზრუნველყოფასა და ასევე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დონესთან.

## ძირითადი ნაწილი

ყველა სახის ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის საერთო მოცულობის დაახლოებით 80% გადაზიდვა საავტომობილო ტრანსპორტის მეშვეობით ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გადასაზიდი ტვირთის დიდი ნაწილის ტრანსპორტირება შეუძლებელია საგზაო ტრანსპორტის მონაწილეობის გარეშე. ამასთან, საავტომობილო ტრანსპორტის წილი მთლიან ტვირთბრუნვაში არც ისე ბევრია - 5%. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სატვირთო საგზაო ტრანსპორტის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს საქონლის მიწოდება ქალაქებში, აგრეთვე, მიწოდებაწამოღება სხვადასხვა სატრანსპორტო კვანძებში. დღესდღეობით, სატვირთო ინდუსტრიაში ბევრი საკითხი საჭიროებს გადაჭრას. ძირითად განსახილველ პრობლემას რთული ტექნიკური სისტემების ფუნქციონირების ეფექტურობის გაუმჯობესება წარმოადგენს, მათ შორის, სატრანსპორტო კომპანიების რაოდენობა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმოებთან მიმართებაში გარეშე პირობები უფრო არასტაბილური და სწრაფად ცვალებადი ხდება, ხოლო სისტემების ფუნქციონირების ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები კი იზრდება.

მოსალოდნელია, რომ 2022-2023 წლისთვის, ტრანსპორტირებადი საქონლის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. დიდ სასაწყობო ტერმინალებზე ტრანსპორტირების პროცესის ორგანიზების ერთ-ერთ პრობლემას დ/გ ოპერაციების ორგანიზება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტა გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის მიღებას, როგორც პროცესის წარმმართავი საწარმოსთვის, ისე გადაზიდვის განმახორციელებელი საწარმოსათვისაც. სატვირთო ავტომობილის უმოქმედობის დრო ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის პროცესში შეადგენს სატვირთო მანქანების მუშაობის საერთო დროის მნიშვნელოვან პროცენტს. ამ დროის ხვედრითი წილი განსაკუთრებით დიდია საავტომობილო გადაზიდვებისთვის დამახასიათებელ საქონლის ტრანსპორტირებაზე მცირე დისტანციებზე. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საგზაო ტრანსპორტის მუშაობასა და დ/გ საშუალებებზე არის არარეგულარული გადაზიდვები, რის შედეგადაც, სატრანსპორტო ფლოტის ეფექტიანობა უარესდება, ხოლო ჩატვირთვა–გადმოტვირთვის მექანიზმების საჭიროება კი იზრდება. ეს თავისებურება მრეწველობის მრავალ სფეროს ახასიათებს, განსაკუთრებით კი, საკონდიტრო მრეწველობას. ხშირად შეინიშნება სეზონური ყოველდღიური, ასევე შიდა დღიური დარღვევები მზა პროდუქციის გაგზავნისას. მზა პროდუქციის დროული მიწოდება მოითხოვს სატრანსპორტო ფლოტისა და დ/გ ობიექტების სტრუქტურის ოპტიმიზაციას, ამასთან აუცილებელია მათი შენახვის ხარჯების შემცირება. აღნიშნულის მისაღწევად, უნდა შესრულდეს:

- განისაზღვროს გამოსაყენებელი მათემატიკური მოდელირების მეთოდები; - დადგინდეს დატვირთვის ობიექტების ოპტიმალური რაოდენობა, გარკვეული პარამეტრებით შესასრულებელი სამუშაოსთვის;
- გამოითვალოს ოპტიმალური მტვირთავი ფლოტის საექსპლუატაციო მახასიათებლები.

შედეგი დაფუძნებულია სტატისტიკური ანალიზის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებაზე. საგზაო ტრანსპორტის მოთხოვნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში წარმოების მოცულობის ცვლილებების დინამიკასთან, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, კომპანიებისა და საწარმოების ფინანსური უზრუნველყოფასა და ასევე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დონესთან.

დიდ სასაწყობო ტერმინალებზე ტრანსპორტირების პროცესის ორგანიზების ერთ-ერთ პრობლემას დ/გ ოპერაციების ორგანიზება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტა გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის მიღებას, როგორც პროცესის წარმმართავი საწარმოსთვის, ისე გადაზიდვის განმახორციელებელი საწარმოსთვისაც.

სატვირთო ავტომობილის უმოქმედობის დრო ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის პროცესში შეადგენს სატვირთო მანქანების მუშაობის საერთო დროის მნიშვნელოვან პროცენტს. ამ დროის ხვედრითი წილი განსაკუთრებით დიდია საავტომობილო

სურათი 1. გვიჩვენებს ტრანსპორტის მიერ განხორციელებული ერთი რეისის საერთო დროის სტრუქტურას.




**სურათი1. ავტომობილის მიერ განხორციელებული რეისის მთლიანი დროის სტრუქტურა**

გადაზიდვებისთვის დამახასიათებელ საქონლის ტრანსპორტირებაზე მცირე დისტანციებზე.

აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციის სწორ ორგანიზებას, რომელშიც მანქანების უმოქმედობის დრო და ტრანსპორტირების ხარჯები მინიმალური იქნება.




**სურათი 2. გვიჩვენებს, თუ რაში იხარჯება მანქანის სრული უმოქმედობის დრო დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს.**

ამჟამად, სატრანსპორტო ლოჯისტიკის სფეროში, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ეფექტურობის გაზრდის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ეფექტურობის გაზრდის ერთ–ერთ მთავარ გზას მოძრავი შემადგენლობისა და დ/გ საშუალებების ორმხრივად შეთანხმებული შეფერხების ურთიერთქმედების ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

ტვირთის გადაზიდვის პროცესების მოდერნიზაცია და მათი ეფექტურობის გაზრდა განისაზღვრება გამოყენებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებით, საგზაო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობისა და დ/გ მექანიზმების გამოყენების ოპტიმიზაციით, ტრანსპორტირების პროცესის ორგანიზების პერსპექტიული მეთოდების გამოყენებით.

ოპტიმიზებული მოძრავი შემადგენლობა საშუალებას იძლევა, გაიზარდოს მისი სიჩქარე, შემცირდეს შეფერხება ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებისას და ა.შ.

მოძრავი შემადგენლობის ეფექტურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა მისი პროდუქტიულობაა. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, რომელიც გავლენას ახდენს მოძრავი შემადგენლობის ეფექტურ გამოყენებაზე, სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტია. რაც უფრო კარგად ორგანიზებულია ჩატვირთვა-გადმოტვი–რთვის პროცესი და ნაკლებია შეფერხების დრო, მით უფრო მაღალია ზემოხსენებული

კოეფიციენტი და შესაბამისად, მანქანების გამოყენების ეფექტიანობაც.




**სურათი 3. ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე დახარჯული დროის შედარება**

დღესდღეობით, სატვირთო საგზაო ტრანსპორტში მოძრავი შემადგენლობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- მოძრავი შემადგენლობის დატვირთვა ღამით, რაც ზრდის დ/გ მექანიზმების გამოყენების ეფექტურობას;
- ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები დროს ურთიერთ შემცვლელი მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ტექნიკის გამოყენების გზით სატვირთო მანქანების მუშაობის დროის შემცირება;
- მოძრავი შემადგენლობის ერთიანი მიწოდება დატვირთვის პუნქტამდე.

**დასკვნა**

ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებში ჩართული მექანიზმების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი მეთოდები სრულად არ ითვალისწინებენ მოძრავი შემადგენლობის სატვირთოდ შემოსვლის შემთხვევით ბუნებას და ძირითადად დამოკიდებულია სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობასა და ტევადობაზე.

დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებების ოპტიმალური რაოდენობის დადგენის საშუალება იძლევა მტვირთავი ობიექტების და პოსტების რაოდენობის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული გამოთვლებიც. ყოველივე აღნიშნული იწვევს სამუშაო პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Глемба К. В. Оптимизация объемов партий поставок грузов и параметров работы погрузочно-разгрузочных комплексов транзитных терминалов меж-терминальных сообщениях 2015г. № 7 . 82 – 89 с.

2. Иванов А.С. Повышение эффективности погрузочно-разгрузочных работ. Вестник. Государственного аграрного университета Северного Зауралья. 2015. № 2 (29). – 60 – 67 с.

3. Клюшин Ю.Ф. Методики оптимизации транспортно-погрузочного комплекса предприятия.Программные продукты и системы. 2008. № 4. – 58 с

4.Морохова Н.А. Автоматизация погрузочно-разгрузочных, транспортных и складских работ/ Н.А. Морохова, В. М. Перепелкин Современные проблемы науки и образования. 2014. № 3. – 133 с.

# სექცია 3. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ფილოსოფიური ასპექტები

## უწყვეტი განათლება -კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და მისი განვითარების საუკეთესო პირობა

***რევაზ შენგელია***
*ემდ, სტუ პროფესორი*

***ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია***
*ემდ, სტუ პროფესორი*

***ნათია შენგელია***
*ეად, სტუ ასოცირებული პროფესორი*
*ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის*
*მოწვეული პროფესორი*

***„ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს.“***

ილია ჭავჭავაძე

**რეზიუმე**

თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში იმარჯვებს ის ეროვნული ეკონომიკა, რომლებშიც ადამიანისეული კაპიტალი ყველაზე ეფექტურად ყალიბდება და პრიორიტეტულადაა მიჩნეული. თანაც ამ დროს ყველაზე არსებითია ის გარემოება, რომ ადამიანების განვითარება მიმდინარეობდეს შეუფერხებლად.ეს გამოწვევა აშკარად შესამჩნევია და მწვავდება მაშინ, როცა სწრაფად, ინტენსიურად მატულობს დემოგრაფიული დაბერების პროცესი [1], რაც გარკვეულწილად განპირობებულია სიცოცხლის გახანგრძლივებითა და სხვ. ფაქტორებით. ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება უწყვეტი განათლების უზრუნველყოფას ყველა ასაკში მთელი ცხოვრების მანძილზე.

ხარისხიან უწყვეტ განათლებას ქვეყნისათვის, ნებისმიერ დარგისათვის (მ.შ. ეკონომიკის სფეროში), კომპანიისათვის, ყველა ასაკის თითოეული ადამიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და სწრაფი განვითარებისათვის. იგი, ქვეყანაში მდგრადობის და მიკრო და მაკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების რეალური ძალაა, რამაც, საბოლოოდ, 21-ე საუკუნის ყველაზე მტკივნეული პრობლემა- ათასობით ადმიანის დასაქმება უნდა უზრუნველყოს.

**საკვანძო სიტყვები:** უწყვეტი განათლება, ინვესტიციები, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოება, ადამიანისეული კაპიტალი, დემოგრაფიული დაბერება.

**CONTINUOUS EDUCATION-THE BEST PRECONDITION FOR MAINTAINING COMPETITIVENESS AND ITS DEVELOPMENT**

**Revaz Shengelia**
PhD, GTU, Professor,
**Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia**
PhD, GTU, Professor
**Natia Shengelia**
PhD, GTU, Associate Professor,
Lublin University of Technology, Invited Professor

**RESUME**

During the modern technological revolution, in the fast-changing competitive world, wins that national economy in which the human capital is formed most effectively and is considered as a priority. Moreover, at this time, the most essential thing is that the development of people continues smoothly. This challenge is clearly visible and aggravated when the process of demographic aging increases rapidly, intensively, which is partly due to life extension and other influencing factors. In such circumstances, the special role is assigned to the provision of continuous education at all ages throughout the life.

**Key words**: continuous education, investments, knowledge renewal-reproduction, human capital, demographic aging;

## ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის დროს, სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში იმარჯვებს ის ეროვნული ეკონომიკა, რომლებშიც ადამიანისეული კაპიტალი ყველაზე ეფექტურად ყალიბდება და პრიორიტეტულადაა მიჩნეული.თანაც ამ დროს ყველაზე არსებითია ის გარემოება, რომ ადამიანების განვითარება მიმდინარეობდეს შეუფერხებლად. ეს გამოწვევა აშკარად შესამჩნევია და მწვავდება მაშინ, როცა სწრაფად, ინტენსიურად მატულობს დემოგრაფიული დაბერების პროცესი[1],რაც გარკვეულწილად განპირობებულია სიცოცხლის გახანგრძლივებითა და სხვ. ფაქტორებით. ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება უწყვეტი განათლების უზრუნველყოფას ყველა ასაკში მთელი ცხოვრების მანძილზე. ამ მიმართულებით საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტრენდები, ასევე ქვეყნების რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით. როგორც ადრე, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში პირველი ადგილი ისევ შვეიცარიას ეკუთვნის, მე-2 და მე-3 ადგილზეა - აშშ და სინგაპური [2].

ასეთი თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევების, ციფრული ტრანსფორმაციის, გააფთრებული სუპერკონკურენციის და მოსახლეობის დაბერების პირობებში ერთადერთი გადარჩენის საშუალებაა განვითარების არასტანდარტულ, ინოვაციურ, კრეატიულ გზაზე გადასვლა, ვინაიდან ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებებისას, თანაც ციფრულ გარემოში მეტად საჭირო გახდება კრეატიული აზროვნება, კრეატიულობა, კოორდინაციის, ურთიერთზემოქმედების უნარები (მაგალითად, ამერიკელი მეცნიერის - მიჩიო კაკუს პროგნოზებით იმისათვის, რომ გახდე წარმატებული, უნდა გქონდეს ის მახასიათებლები, რომლებიც რობოტებს არ აქვთ: კრეატიულობა, წარმოსახვისა და ინიციატივის გამოჩენის უნარი, ლიდერის თვისებები. საზოგადოება ნელ-ნელა სავაჭრო ეკონომიკიდან ინტელექტუალურ-შემოქმედებით ეკონომიკაზე გადადის. წარმატების მიღწევის გაცილებით დიდი შანსი ექნებათ ქვეყნებს, რომლებსაც შეეძლებათ, დააბალანსონ სავაჭრო ბაზარი და კოგნიტურ-კრეატიული პოტენციალი. ის ერები, რომლებიც მხოლოდ სოფლის მეურნეობის იმედად არიან, განწირულნი არიან სიღარიბისთვის) [7] და, საბოლოო ანგარიშში, უწყვეტ, მთელი ცხოვრების მანძილზე განათლება. ყოველივე ეს მიუღწეველი იქნება როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში მოძველებული სტერეოტიპების დაძლევის, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მუდმივად განახლების და მდგრადი განვითარების გარეშე.ამისათვის კი საჭიროა განათლების დაფინასების მნიშვნელოვნად ზრდა მშპ-ნ მიმართებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2021 წ. ბიუჯეტით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებამ შეადგინა - 1 802,6 მლნ ლარი, 2019 წ. 1 644.7 მლნ ლართან შედარებით. სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მშპ-სთან მიმართებით 2.8%-დან 3.6%-მდე გაიზარდა 2010-19 წლებში.ამ პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, ეს ინდიკატორი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით დაბალია, სადაც განათლების ხარჯები მშპ-ს 5%-ზე მეტია.მართალია ამ მიმართულებით ზრდა შეინიშნება, მაგრამ ეს არასაკმარისია მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით პროფესიონალურ-ტექნიკური და უმაღლესი განათლების განვითარების მიმართულებით. ვფიქრობთ ამ მიმართულებით სავსებით დროულია საქართველოს მთავრობის განაცხადი 2030 წლისათვის სახელმწიფო დანახარჯებმა განათლებაზე მშპ-სთან მიმართებით 6 % -მდე გაიზარდოს.არადა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსშიც აღნიშნულია, რომ განათლებაზე დანახარჯები მშპ-ს 6%-მდე გაიზრდება 2022 წლიდან, განათლების სისტემის ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით **[3].**

თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის გარემობა, რომ ვიმყოფებით 21-ე საუკუნეში, რომელიც არის: ახალი ეკონომიკის საუკუნე; ცოდნის საუკუნე; ინფორმაციის საუკუნე. ყოველივე ამის გათვალისწინებით განათლების განვითარების პრობლემა პრიორიტეტულად იქცა, ვინაიდან სწორედ განათლება აუმჯობესებს ადამიანისეული კაპიტალის ხარისხს (ადამიანის ცოდნა, პროფესიონალიზმი, მორალი, კულტურა). სახელმწიფოს წარმატება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და მისი შემდგომი განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული მის მიერ უზრუნველყოფილი განათლების სისტემაზე, მისი ყველა ასაკის მოსახლეობის განათლების ხარისხზე. „ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირება ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორია [4].

მასში განთავსებული კაპიტალი ეფექტიანი უკუგებით გამოირჩევა. ეს იმით აიხსნება, რომ განათლებული ადამიანი წარმოების აქტიური ნაწილია, რომლის გადაწყვეტილებით ხორციელდება ინვესტირება, გამოიყენება ბუნებრივი რესურსი. ”იმ ქვეყანას, რომელსაც არ შეუძლია ადამიანთა ცოდნისა და უნარის განვითარება და ეკონომიკაში მათი ეფექტიანი გამოყენება, განწირულია წარუმატებლობაში”[5. გვ.3]. საბოლოო ჯამში, ადამიანისეული რესურსი და არა კაპიტალი ან ბუნებრივი სიმდიდრე, განსაზღვრავს ქვეყნის, თითოეული კომპანიის კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შინაარსს. ეკონომიკის აღდგენის სისწრაფე, როგორც ნობელის პრემიის ლაურეტი თ.შულცი აღნიშნავდა, დაკავშირებულია ჯანსაღ და **განათლებულ მოსახლეობასთან.** განათლების წყალობით ადამიანები უფრო **მწარმოებლური** ხდებიან”. ტრადიციული ფაქტორები (მიწა, ნედლეული,

საწარმოო კაპიტალი), ცხადია, კვლავაც უდიდეს როლს თამაშობს სახელმწიფოს განვითარებაში, მაგრამ მათ გააჩნია ჩარჩოები, განვითარების ზღვარი. **უსაზღვროა მხოლოდ ადამიანისეული კაპიტალი, მისი ცოდნა და სულიერება** [6, გვ.99-109].

გამოდის რომ მძაფრ კონკურენციის პირობებში ქვეყანამ რომ შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და იყოს ინვესტორებისათვის მიმზიდველი, აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური, კრეატიული ატმოსფერო **უწყვეტი განათლების** სისტემის დასანერგად ყველა ასაკის მოსახლეობაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის კვალდაკვალ გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება.

ასე რომ, ნებისმიერ ქვეყანას და მ.შ. საქართველოს უპირველეს ყოვლისა, ნამდვილად სჭირდება მსოფლიო დონის განათლებით აღჭურვილი ადგილობრივი კადრები, მათ შორის ეკონომისტები.ყოველივე ეს კი უწყვეტი ეკონომიკური განათლების გარეშეც შეუძლებელია, რადგან თანამედროვე ეპოქაში ყველგან ნებისმიერი დარგში ცოდნა მეტ-ნაკლებად მორალურ მოძველებას განიცდის, რომლის დროულად განახლება-კვლავწარმოების გარეშე შეუძლებელი გახდება დასაქმების უზრუნველყოფა.ეს პრობლემა არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო ეკონომიკის პრობლემაცაა. თუ საკითხს მომავლის თვალსაწიერით შევხედავთ, დავინახავთ, რომ მიუხედავად მშპ-ნ მიმართებით განათლების დაფინასების მნიშვნელოვნად ზრდისა, საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება ეკონომიკურად მაღალ განვითარებულ ქვეყნებს განათლების, განსაკუთრებით ხხანდაზმულთა განათლების სისტემის ორგანიზებაში.ეს იმ დროს, როცა მაგ., უწყვეტი განათლების სისტემაში ჩართულია შვედეთში ზრდასრული მოსახლეობის 62%, გერმანიაში 42% და ზოგადად წამყვან ქვეყნებში 40-50%. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა ყველა ასაკის, მათ შორის წინასაპენსიო და საპენსიო ასაკის მოქალაქეების ცოდნისა და უნარების განახლებაც. ამის საჭიროებას ადასტურებს ამერიკელი მეცნიერის-მიჩიო კაკუს მსჯელობაც, რომელიც აღნიშნავს, რომ „მოქმედი განათლების სისტემა წარსულის სპეციალისტებს ამზადებს. ჩვენ ადამიანებს ვასწავლით იმისათვის, რათა იარონ სამსახურში, რომელიც უკვე აღარ არსებობს, აღვჭურავთ მათ ისეთი ინტელექტუალური ინსტრუმენტებით, რომლებიც უკვე დიდი ხანია **მოძველდა** და ეფექტურობა დაკარგა.ამიტომაა მსოფლიოში დაუსაქმებელთა ამხელა რაოდენობა) [7].

ამრიგად, ხარისხიან უწყვეტ განათლებას ქვეყნისათვის, ნებისმიერ დარგისათვის (მ.შ. ეკონომიკის სფეროში), კომპანიისათვის, ყველა ასაკის თითოეული ადამიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და სწრაფი განვითარებისათვის. იგი, ქვეყანაში მდგრადობის და მიკრო და მაკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების რეალური ძალაა, რამაც, საბოლოოდ, 21-ე საუკუნის ყველაზე მტკივნეული პრობლემა - ათასობით ადმიანის დასაქმება უნდა უზრუნველყოს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Volles N. Lifelong learning in the EU: Changing conceptualisations, actors and policies. Studies in Higher Education. 2016;41(2):343–363;

2. The Global Competitiveness Report 2017–2018 URL: http://www3;

weforum.org/docs/GCR 2017–2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2017–2018.pdf;

3.http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=115478&lang=geo;

4.Theodor W.Schultz. Investment in human capital. American Economic Review 51. March 1961;

5. Frederick H. Harbison. Human Resources as The Wealth of Nations. New York: Oxford University Press, 1973.

6. Journal “Economics”, #6-8, 2018 წ.;

7. Informational Analytical Agency; September 22, 2022;

# უმაღლესი განათლების გავლენა ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე

***თეონა მეხრიშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

***ანზორ კურატაშვილი***
*სტუ-ს ასოც. პროფესორი*

***ქრისტინე კურატაშვილი***
*სტუ-ს ასოც. პროფესორი*

**რეზიუმე**

უმაღლესი განათლება თანამედროვე და კონკურენტუნარიანი სახელმწიფოს შენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარება და წინსვლა დიდ წილად დამოკიდებულია უმაღლესი განათლების ხარისხსა და მის ხელმისაწვდომობაზე.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებასთან, მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ცოდნა, ინტელექტი, ინოვაცია და არა მარტო მატერიალური რესურსები, როგორც ეს ადრე იყო. მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროების წინსვლასთან ერთად აუცილებელია განათლების სისტემის ორიენტირება თანამედროვე მოთხოვნებზე. მაღალგანვითარებული ადამიანური კაპიტალის საშუალებით იქმნება წარმოების ახალი ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს საწარმოო დანახარჯების შემცირებასა და მწარმოებლურობის ზრდას, რაც საბოლოოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს.

კვლევებმა აჩვენა, რომ განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია 4-ჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვა დანარჩენ სექტორებში. ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე ადგილს ფლობენ, მაღალი მშპ-ის დონით გამოირჩევიან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის უნარების განვითარება ანუ განათლებაში ინვესტირება, იმისათვის, რომ ქვეყნის მშპ გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ეკონომიკური ზრდა დარჩება დაბალ ნიშნულზე, რომელიც მიესადაგება მისი ადამიანური კაპიტალის რესურსს.

**საკვანძო სიტყვები:** განათლება, ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფო.

**THE IMPACT OF HIGHER EDUCATION ON THE EFFICIENT FUNCTIONING OF THE ECONOMY**

**Teona Mekhrishvili**
Phd student of GTU
**Anzor Kuratashvili**
Asociated Professor of Gtu
**Kristine Kuratashvili**
Asociated Professor of Gtu

**RESUME**

Higher education is one of the most important factors to build a modern and competitive state. The future development and progress of our country largely depends on the quality of higher education and its availability.

In the modern world, there are processes that are closely related to the formation of a high-tech and innovative economy, the main factor is knowledge, intelligence, innovation, and not only material resources, as it was before. Along with the advancement of the fields of science, technique and technology, it is necessary to orientate the education system to the modern requirements. By means of highly developed human capital, new production technologies are created, which ensures the reduction of production costs and the increase of productivity which ultimately determines the social and economic development of the country.

Studies have shown that investing in education is four times more profitable than investing in other sectors. The countries that hold a leading place in international rankings are characterized by a high level of GDP. Therefore, it is important to develop the skills of the population, i.e. invest in education, in order to increase the country's GDP. Otherwise, its economic growth will remain at a low level suitable for its human capital resources.

**Key words:** education, economic development, state.

**ძირითადი ტექსტი**

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-ან წლებში საუბრობდნენ განათლების მსოფლიო კრიზისზე. ეს სისტემა ძნელად ეგუება საზოგადოებაში სწრაფად მიმდინარე ცვლილებებს. გარდა ამისა, კარგი განათლება სულ უფრო მეტ ფინანსებს მოითხოვს, რაც თვით მდიდარ და წარმატებულ ქვეყნებშიც კი, სრულად არ ანაზღაურდება."(1)

უმაღლესი განათლების სისტემა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. კერძოდ, ვერ უწყობს ხელს ახალი ცოდნის გენერირებასა და მაღალკონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირებას. ძირითადი პრობლემა არის თეორიული სწავლება შესაბამისი პრაქტიკის გარეშე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე სწავლის პროცესში, ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი ხარისხი, რაც გამოწვეულია ფინანსური რესურსების დეფიციტით. ასევე არასაკმარისად განვითარებულია სწავლების ალტერნატიული ფორმები, მაგალითად, დისტანციური სწავლება, მოქნილი პროგრამები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა უზრუნველყოფდეს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას. უმაღლესი განათლების სიტემამ მუდმივად უნდა იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოამზადოს ადგილობრივი თუ საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები. უმაღლესი განათლება უნდა უქმნიდეს ინდივიდს ღირსეული დასაქმების შესაძლებლობას, სოციალური, პიროვნული და პროფესიული განათლების პარალელურად. მნიშვნელოვანია ჩატარდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელთა კვლევა და საგანმათანთებლო პროგრამები ორიენტირებული იყოს შრომის ბაზართან.

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, პრინციპულად მნიშვნელოვანია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის საჭირო პირობების შექმნა. პირველ რიგში კი ადამიანური პოტენციალის განვითარება და რეალიზება. საქართველოში ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ყველაზე კრიტიკული ფაქტორების იდენტიფიკაციისას გამოიკვეთა სამი ძირითადი პრობლემა:

- კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა;
- არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი;
- ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. (2)

ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მთავარ ძალას ინფორმაციულ ერაში. ის ჰქმნის სიახლეებისა და პროცესების ერთობლიობას დაფუძნებულს ცოდნასა და გამოცდილებაზე. მიკრო დონეზე კომპანები და მაკრო დონეზე სახელმწიფო უნდა ეცადოს მის ზრდასა და გაუმჯობესებას. სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად მეტი ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რადგან ის მართლაც ამოსავალი წერტილია ქვეყნის წინსვლისათვის. თანაც, ადამიანურ კაპიტალს მეტი უკუგება გააჩნია, ვიდრე ფიზიკურს. საჭიროა აღზრდის, განათლების, მეცნიერად ჩამოყალიბების პროცესის სწორად დაგეგმვა და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რაც თავისთვად დადებით გავლენას მოახდენს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

ეს ყველაფერი ამაო საუბარი იქნება, თუ განათლების სამინისტრო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები არ შეთანხმდებიან მოქმედების საერთო გეგმასა და სტრატეგიაზე. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სახელმწიფომ დაფინანსების გაზრდაზე უნდა იზრუნოს, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ისიც, რომ უმაღლესი განათლების სისტემა მეტ-ნაკლებად ერთი მიმართულებით და მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულად, რესურსების რაციონალური განაწილების გზით მიდიოდეს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ჯოლია გურამ. განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/328568/1/GanatlebaDaDasaqmebaCifrulGaremoshi.pdf
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე", 2014 წლის 17 ივნისი, თბილისი, გვ. 12.


**REFERENCES:**


1. Jolia Guram. Education and employment in the digital environment.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/328568/1/GanatlebaDaDasaqmebaCifrulGaremoshi.pdf
2. Resolution of the Government of Georgia No. 400 on the approval of the strategy of socio-economic development of Georgia "Georgia 2020" and some measures related to it, June 17, 2014, Tbilisi, p. 12.

# სისხლის საპროცესო სამართლის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროცესუალური გარანტიები

***ჯემალ გახოკიძე***
*სამართლის დოქტორი, სტუ-ს პროფესორი*

***მიხეილ მამნიაშვილი***
*სამართლის დოქტორი, სტუ-ს პროფესორი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდელობის შედარებით ისეთი ახალი ინსტიტუტი, როგორიცაა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებათა გამოყენების პროცესუალური რეგულაცია. ახსნილია, თუ სისხლის სამართლის პროცესის რომელი სუბიექტების მიმართ შეიძლება ისინი იქნენ გამოყენებულნი. გაანალიზებულია ყველა ის კონცეპტუალური საკითხი, რომლებიც აღნიშნულ ინსტიტუტთან არის დაკავშირებული.

**SPECIAL MEASURES OF PROTECTION OF PARTIES TO THE CRIMINAL PROCESS**

**Jemal Gakhokidze**
Doctor of Law, Professor of GTU
**Mikheil Mamniashvili**
Doctor of Law, Professor of GTU

**RESUME**

The work deals with a relatively new institute of criminal procedure legislation, such as procedural regulation of applying the special measures of protection of parties to the criminal process. There is explained to which subjects of criminal process they may be applied. All those conceptual issues, which are related to this institute, are analyzed.

* * * *

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები შედარებით ახალი ინსტიტუტია ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში, რომელიც შემოღებულ იქნა წინა საპროცესო კოდექსის მოქმედების ბოლო წლებში, 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით.

აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა თანამედროვე სისხლის სამართალწარმოების პროცესში არა მარტო აქტუალურია, არამედ აუცილებელიცაა, რადგანაც შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმეზე გონივრული ეჭვს მიღმა დადგინდეს პირის ქმედება მის მიმართ შერაცხულ დანაშაულში, თუკი პროცესის მონაწილეთა (მოწმე, დაზარალებული, მათი ოჯახის წევრები და ა.შ.) უსაფრთხოება კანონმდებლობის ძალით არ იქნება დაცული. სწორედ ამიტომაცაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არაერთხელ განიხილა ეს საკითხი და მიიღო დეკლარაციები, სადაც ხაზგასმულია პროცესის მონაწილეთა, განსაკუთრებით დანაშაულის მსხვერპლთა სპეციალური დაცვის საკითხები, მათ შორის აღსანიშნავია „დეკლარაცია მართლ-მსაჯულების ძირითად პრინციპებზე დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ (4/3, დამატება); „მოწმეების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები“ (რეზოლუცია, 2005/20) და ა.შ.

უახლოესი წარსულის საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი იმისა, როდესაც მოწმემ თუ დაზარალებულმა მათ მიერ ადრე მოცემული ჩვენებები უარყვეს მხოლოდ იმიტომ, რომ საქმის მსვლელობით დაინტერესებული პირებისაგან განიცდიდნენ სიცოცხლის მოსპობის თუ ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ოჯახის განადგურების მუქარას და არცთუ იშვიათ შემთხვევაში შანტაჟსაც კი. საკითხის გადაწყვეტას ართულებდა ის გარემოება, რომ ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები გათვალისწინებული არ იყო და ასეთ დროს საქმის მწარმოებელი ორგანოები იძულებული იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ შს ორგანოებში ინფორმაციის მიწოდებით, თავის მხრივ, შს ორგანოების მუშაკები საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო მოწმესა თუ დაზარალებულზე მუქარას, ან მათზე დანაშაულებრივი ხელყოფისაგან რეალურ დაცვას ვერ ახორციელებდნენ. მათი საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა; ამის გამო მოქალაქეებს ნდობა ეკარგებოდათ სამართალდამცავი მუშაკების მიმართ, გავრცელებული იყო მოწმეების თუ დაზარალებულების მიერ ბრალდებულის სასარგებლო ჩვენების მიცემა, ანდა მათი მხრიდან ცრუ, წინასწარ შედგენილი მტკიცებულებების წარდგენა, რის გამოც არცთუ იშვიათ შემთხვევაში დანაშაული გაუხსნელი რჩებოდა, ხოლო დამნაშავე – დაუსჯელი.[1]

საქართველოს ინტეგრაციამ ძირითად საერთა-

1 1993 წლის 21 სექტემბერს, სამი პირი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ავტომატური ცეცხლსაროლი იარაღით მივიდნენ, თბილისში, მეტრომშენის დასახლების N საცხოვრებელ სახლთან და დაუძახეს იქ მცხოვრებ ჯ.ქ-ს, ბინიდან გამოვიდა ჯ.ქ-ი, მისი ცოლი ქ.ქ, რომელსაც ხელში აყვანილი ჰყავდა ორი წლის შვილიშვილი. ცეცხლსროლი იარაღით შეიარაღებულმა პირებმა მათ მიმართ მოახდინეს გასროლა, რის შედეგადაც ჯ.ქ და მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი

შორისო პაქტებსა და კონვენციების სისტემაში და განსაკუთრებით, მისმა მიღებამ ევროსაბჭოში დააჩქარა თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, საყოველთაოდ აღიარებულ კონვენციებსა და ხელშეკრულებების მოთხოვნებთან.

სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას ეძღვნება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების ინსტიტუტი, რომელიც კარგა ხანია ფუნქციონირებს უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ცალკე კანონების სახით და იცავს იმ პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში ამ ინსტიტუტს დაეთმო სპეციალური თავი, რითაც ხაზი გაესვა მის მნიშვნელობას.

წინა საპროცესო კოდექსთან შედარებით, მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების პროცედურული წესები შედარებით გამარტივებულია. თუკი ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სპეციალური დაცვის ღონისძიების გამოყენების სასამართლო განხილვის პროცედურებს, ამჟერად პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილებით მხოლოდ პროკურორი სარგებლობს.

ისმება მეტად საგულისხმო შეკითხვა: პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები პროცესის რომელ სუბიექტზე შეიძლება იქნეს გამოყენებული და ხომ არ ვრცელდება ის საქმის მწარმოებელი ორგანოების თანამდებობის პირებზე? ამის შესახებ, სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში რაიმე მინიშნება არ არის გაკეთებული, რაც კანონმდებლობის ხარვეზად მიგვაჩნია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საპროცესო კოდექსის 68-71 მუხლებს სპეციალური დაცვის ღონისძიების გამოყენებისას ძირითადი აქცენტი გადატანილი აქვს პროცესის ისეთ მონაწილეებზე, როგორებიცაა: ბრალდებული, ადვოკატი, მოწმე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, დაზარალებული და პროცესის იმ სუბიექტებზე, რომლებიც ეხმარებიან მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებას, ესენია – ექსპერტი და თარჯიმანი.

მართალია, 2000 წლის 6 ოქტომბერს ევროსაბჭოს მინისტერიალის კომიტეტმა განიხილა პროკურატურის ფუნქციები მართლმსაჯულების განხორციელების სისტემაში, სადაც პროკურორის უფლებამოსილების სხვადასხვა საკითხთან ერთად მის წევრ სახელმწიფოებს მისცა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ, თუ პროკურორების სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მათი ოჯახის წევრების ან მათ მიმართ განხორციელდა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარა, ხელისუფლებამ მათი დაცვისათვის უნდა გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები,[2] მაგრამ არ შეიძლება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური დაცვის ღონისძიებები მოსამართლეზე, პროკურორსა ან გამომძიებელზე გავრცელდეს, რადგანაც მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის ღონისძიებები სხვა დამატებითი სპეციალური კანონმდებლობითაა გარანტირებული და ეს ღონიძიებები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სხვა დანარჩენ სუბიექტებზე, ასევე პროცესის იმ მონაწილეებზე, რომლებიც ეხმარებიან მართლმსაჯულების განხორციელებას.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს აღნიშნულ პრობლემაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ხსენებული არსებითი დეკლარაცია თუ სხვა უმნიშვნელო დოკუმენტები.

თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული შეხედულება, მაგალითად, ლონდა თოლორაიას აზრით, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნეს პროცესის ნებისმიერი მონაწილის (მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, ბრალდებულის, ადვოკატის, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის) სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და ასევე პირად ცხოვრების დაცვის მიზნით.[3] ვფიქრობთ, ავტორის შეხედულება, იმის შესახებ, რომ პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებება შეიძლება გამოყენებული იქნეს საქმის მწარმოებელ თანამდებობის პირებზე,- მოსამართლეზე, პროკურორსა და გამომძიებელზე არ უნდა იყოს მართებული იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ პრაქტიკულად წარმოუდგენელია მოსამართლე, თუნდაც მაგისტრი მოსამართლე იხილავდეს მის კომპეტენციის შუამდგომლობას, პროკურორი ახორციელებდეს საპროცესო ხელმძღვანელობასა და სისხლისამართლებრივ დევნას, გამომძიებელი იძიებდეს საქმეს და მათზე განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული

ადგილზევე გარდაიცვალნენ, ხოლო ქ.ქ-მ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. გამოძიების პროცესში ქ.ქ-მ ამოიცნო მასზე თავდასხმელები, მაგრამ იმის გამო, რომ გამოძიებით დაუდგენელი პირებისაგან განიცდიდა სიცოცხლის მოსპობისა და ოჯახის განადგურების მუქარას, გამოძიების შემდგომ ეტაპზე უარყო, რის გამოც დანაშაული ფაქტიურად გაუხსნელი დარჩა. (ჩემს მიერ გამოძიებული სისხლის სამართლის საქმე მ.შ) ამდენად, პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებას ამ მიმართებით უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია

2 http//www. unde.org/ndf.

3 ლონდა თოლორაია, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2015, გვ. 240;

დაცვის სპეციალური ღონისძიების რეგულაციები, ასეთი პირობების არსებობისას ბუნებრივია ისინი ვერ შეძლებენ მათზე დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილად შესრულებას, რაც მართლმსაჯულების პროცესზე უკიდურესად უარყოფითად აისახება.

გარდა სისხლის სამართლის პროცესის ისეთ მონაწილეებისა, როგორებიცაა ბრალდებული, ადვოკატი, მოწმე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი, დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე პროცესის ნებისმიერი მონაწილის ახლო ნათესავის (მშობელი, შვილად აშვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით. თუმცა, პროცესის მონაწილის ახლო ნათესავის პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლევა.[4]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად დაცვის სპეციალური ღონისძიებები შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვა თავისი ბუნებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

ბ) პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;

გ) პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.

პირველ შემთხვევაში, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიზანია პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრების დაცვა. პირად ცხოვრებაში იგულისხმება პირის ოჯახური ცხოვრება, პირადი ურთიერთობები, სექსუალური ცხოვრება და სხვა ისეთი პირადი დეტალები, რომლის გასაჯაროებაზე გადაწყვეტილებას იღებს თავად ეს პირი. პირადი ცხოვრების არსებითი დაზიანების საფრთხე უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგ.: დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საჭიროება შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ მოწმე თავის ჩვენებაში მიუთითებს მისი სექსუალური ცხოვრების ისეთ დეტალზე, რომლის გასაჯაროებით არსებითი ზიანი მიადგება მის რეპუტაციას და ოჯახურ ცხოვრებას და ა.შ..

მეორე შემთხვევაში დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიზანია პროცესის მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის, ქონებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ემუქრება თუ არა საფრთხე პროცესის მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ქონებას და ჯანმრთელობას, ეს უნდა შეფასდეს საქმეში არსებული მტკიცებულებებით. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის პიროვნება და სხვა გარემოებები.

მესამე შემთხვევა შესაძლებლად მიჩნევს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებას პროცესის იმ მონაწილის მიმართ, რომელიც დამოკიდებულია ბრალდებულზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ არის აუცილებელი პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრების გახმაურებას, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას ემუქრებოდეს საფრთხე. საკმარისია პროცესის მონაწილე რაიმე ფორმით (ფინანსურად, სამართლებრივად და სხვა) დამოკიდებული იყოს ბრალდებულზე. მაგალითად, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა მოწმემ, რომელიც ფინანსურად დამოკიდებულია ბრალდებულზე. თუ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებული ფინანსურ დახმარებას შეუწყვეტს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეს და ეს უკანასკნელი დარჩება ფინანსური სახსრების გარეშე, შესაძლოა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მოწმის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ (მაგ., მოწმეს მიანიჭონ ფსევდონიმი).[5]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების სახეა პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა.

პროკურორი უფლებამოსილია საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება და ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დაცვის სპეცია-ლურ პროგრამაში ჩართოს პროცესის მონაწილე ან პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე, მასთან დაკავშირებული პირი, ანდა მისი ახლო ნათესავი, მათი თანხმობით.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ინიციატორი შეიძლება იყოს პროკურორი ან ის პირი, რომლის მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული ეს ღონისძიება. სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი მოწმეს, ხოლო 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი დაზარალებულს ანიჭებს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლებას,თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და

4 იქვე

5 ლონდა თოლორაია, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2015, გვ. 240;

საკუთრებას.

თუ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ინიციატორია პროკურორი, იგი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს იმ პირთან, ვის მიმართაც იგი საჭიროდ თვლის ამ ღონისძიების გამოყენებას, რადგან ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია. თუ პროკურორს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართავს პროცესის მონაწილე, მისი ახლო ნათესავი ან/და მასთან დაკავშირებული პირი, პროკურორი არ არის ვალდებული ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორმა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებიდან გამომდინარე უნდა შეაფასოს საფრთხის რეალობა.

პროცესის მონაწილის, მისი ახლო ნათესავის, მასთან დაკავშირებული პირის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საპროცესო კანონით გათვალისწინებული წესით პროცესის მონაწილის, მისი ახლო ნათესავის, მასთან დაკავშირებული პირის მიმართ იყენებს დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებებია:

ა) მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარება – საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობის და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;

ბ) ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტის გაცემა – ფსევდონიმის მინიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება.

გ) უსაფრთხოების ზომების მიღება(პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვა);

დ) საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა;

ე) სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია). პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვისა და დაცვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პროცედურებს ერთობლივად განსაზღვრავენ საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადის ამოწურვის შემთხვევაში შესაძლებელია ვადის გაგრძელება, თუ კვლავ არსებობს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება.

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის დადგენილებაში უნდა მიეთითოს: დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების დრო; დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მიზეზი; იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება და დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადა. დაცვის სპეციალური ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ვადით ან უვადოდ. თუ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება მოხდა გარკვეული ვადით, ვადის ამოწურვის შემთხვევაში შესაძლებელია ვადის გაგრძელება, თუ კვლავ არსებობს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში ამ ღონისძიებას აუქმებს მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირი (ანუ პროკურორი), რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმ პირს, ვის მიმართაც იყო გამოყენებული ეს ღონისძიება. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება არ არის საჯარო. ეს გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ დასაცავ პირს.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების აღსრულების შესახებ 3 დღის ვადაში ეცნობება პროკურორს, რომელმაც ეს ღონისძიება გამოიყენა.

როგორც ითქვა, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადის ამოწურვის შემთხვევაში შესაძლებელია ვადის გაგრძელება, თუ კვლავ არსებობს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, დაცვის სპეციალური ღონისძიებების აღსრულებას უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დაცვის სპეციალური ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნეს გამოძიების სტადიაზე. ასეთ დროს მოწმეს აღარ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში ან დეპონირებულად მოხდეს მისი დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის დროს. ამიტომ გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრანტი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება ან არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაცვის სპაციალური ღონისძიებები. ასეთი წესით დაკითხული მოწმის ჩვენება მიიჩნევა მტკიცებულებად და მისი ხელახალი დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის დროს აუცილებელი აღარ არის. გამონაკლის შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინეტერესებიდან გამომდინარე, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაკითხვა მოხდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი

დაკითხვა (სსსკ 114-ე მ.), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება.[6]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, ხოლო სსსკ 274-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამო-ყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ საკითხის გადაწყვეტას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები გათვალისწინებულია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ თვით პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების ინსტიტუტის გათვალისწინებით ეს ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში დადებითი მოვლენაა, მაგრამ მაინც უმჯობესი იქნებოდა მისი ცალკე კანონის სახით არსებობა, რითაც უფრო დახვეწილი და სრულყოფილი გახდებოდა მისი ცალკეული პროცედურული საკითხები, დაზუსტებული იქნებოდა პროცესის იმ მონაწილეთა წრეც, ვისზედაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ღონისძიების გამოყენება, ამით კი აღმოიფხვრებოდა ის ურთიერთგანსხვავებული შეხედულებები, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და, რაც მნიშვნელოვანია, პრაქტიკოსი მუშაკებისათვის უფრო ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი გახდებოდა, მით უმეტეს, რომ ამას საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკაც ადასტურებს, ვინაიდან უმრავლეს ქვეყნებში პროცესის მონაწილეთა დაცვის პროცედურებს ცალკე კანონები არეგულირებს, მაგალითად, ავსტრალიის კანონი „მოწმეთა დაცვის შესახებ“ (1994 წლის 13 ოქტომბერი), გერმანიის კანონი „მოწმეთა დაცვის შესახებ, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ“ (2011 წლის 11 დეკემბერი), იტალიის კანონი „მოწმეთა და იმ პირთა დაცვის შესახებ, რომლებიც ეხმარებიან მართლმსაჯულებას“ (1991 წლის 15 მარტი), კანადის კანონი და პროგრამა მოწმეთა დასაცავად (1996 წელი), აშშ-ს კანონმდებლობა მოწმეთა დაცვის შესახებ, ლატვიის კანონი „განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (2005 წლის 19 მარტი), რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონი „დაზარალებულების, მოწმეების და პროცესის სხვა მონაწილეთა სახელმწიფო დაცვის შესახებ“ (2004 წლის 31 ივნისი) და ა.შ. კიდევ მეტიც, ინგლისში ფუნქციონირებს მოწმეთა დაცვის ბიურო, რომელიც ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება.[7]

იმის გათვალისწინებით, რომ პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება პირდაპირაა დაკავშირებული მის ფინანსურ უზრუნველყოფასთან, მრავალ შემთხვევებში მისი მოცულობა შეიძლება იყოს საკმაოდ სოლიდური, რაც კიდევ უფრო მეტად მიანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, საჭიროა სპეციალური კანონის შემუშავება.

6 ლ. გვრიტიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროგრამის წარმოშობის ისტორია, გვ. 21.

7 Рекомендуемые виды практики в области защиты свидетелей при производстве по уголовным делам, касающихся организованной преступности. Организация объединенных нации, Нью-Йорк, 2008. www. unodc org/documents/.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. http//www. unde.org/ndf.
2. ლონდა თოლორაია, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები 2015 წლის მდგომარეობით, ამერიკის იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2015
3. ლ. გვრიტიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროგრამის წარმოშობის ისტორია
4. Рекомендуемые виды практики в области защиты свидетелей при производстве по уголовным делам, касающихся организованной преступности. Организация объединенных нации, Нью-Йорк, 2008. www. unodc org/documents/.

# წამალთა დასამზადებლად გამოყენებული დოზები კლასიკურ მედიცინაში, ფიტოთერაპიასა და ჰომეოპათიაში

*მედეა ჩიქავა*
*სტუ-ს პროფესორი*

*თამარ ცინცაძე*
*სტუ-ს პროფესორი*

*ირაკლი რევაზიშვილი*
*სტუ-ს მაგისტრი*

**რეზიუმე**

მედიცინაში წამალთა დასამზადებლად სხვადასხვა ზომის ნაწილაკები გამოიყენება. ჰომეოპათია წამლისმიერი თერაპიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც იყენებს ნანოტექნოლოგიის პრინციპს.

წამალთა დოზები შეიძლება სხვადასხვა ზომის სტრუქტურების სახით წარმოვადგინოთ: მაკროდოზები - 1 მიკრომეტრზე ანუ $10^{-6}$მ-ზე მეტი; მიკროდოზები - 1 მიკრომეტრსა და 100 ნანომეტრს შორის, ანუ $10^{-6}$-$10^{-7}$მ დიაპაზონში; ნანოდოზები - 1 ნანომეტრიდან 100 ნანომეტრამდე, ანუ $10^{-7}$-$10^{-9}$მ ზომის სტრუქტურები, ე.წ. „ნანონაწილაკები"; ზემცირე დოზები ანუ 1 ნანომეტრზე, $10^{-9}$მ-ზე ნაკლები ზომის ნაწილაკები.

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ მაკროდოზები გამოიყენება კლასიკურ მედიცინასა და ფიტოთერაპიაში, აგრეთვე ჰომეოპათიურ დედა-ხსნარებსა და D1-D16 განზავებებში; მიკროდოზები - კლასიკური მედიცინასა და ჰომეოპათიის D17-D19, C8-C9 განზავებებში; ნანოდოზები - კლასიკური მედიცინაში, ნანომედიცინასა და ჰომეოპათიის D20-D22, C10-C11 განზავებებში; ზემცირე დოზები - მხოლოდ ჰომეოპათიაში, კერძოდ, D23, C12 და უფრო მაღალ განზავებებში. აქედან კარგად ჩანს, რომ ნანოდოზები ჰომეოპათიის მხოლოდ ერთი მცირე შემადგენელი ნაწილია.

ლიტერატურის მონაცემებისა და ჩვენი გამოთვლების ერთდროული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლასიკურ მედიცინაში მაკრო-, მიკრო- და ნანოდოზები გამოიყენება, ფიტოთერაპიაში - მაკროდოზები, ხოლო ჰომეოპათიაში - ყველა დოზა.

**საკვანძო სიტყვები:** ჰომეოპათია, წამალთა დოზები, ნანოდოზები, ზემცირე დოზები.

## DOSES USED FOR PREPARATION OF MEDICINES IN CLASSICAL MEDICINE, PHYTOTHERAPY AND HOMEOPATHY

**Medea Chikava**
Professor, GTU
**Tamar Tsintsadze**
Professor, GTU
**Irakli Revazishvili**
Master, GTU

**ABSTRACT**

Particles of different sizes are used to make medicinal drugs. Homeopathy is one of the areas of drug therapy, that uses the principle of nanotechnology. Drug doses can be presented as structures of different sizes: macrodoses - more than 1 micrometer; microdoses - between 1 micrometer and 100 nanometers, nanodoses - from 1 nanometer to 100 nanometers, so-called "nanoparticles"; ultra-low doses i.e. particles smaller than 1 nanometer.

We have stated that macrodoses are used in classical medicine and phytotherapy, as well as in homeopathic mother tinctures and D1-D16 dilutions; microdoses - in classic medicine and homeopathic D17-D19, C8-C9 dilutions; nanodoses - in classical medicine, nanomedicine and homeopathic D20-D22, C10-C11 dilutions; ultra-low doses - only in homeopathy, namely in D23, C12 and higher dilutions. Thus, it is shown that nanodoses are only one small component of homeopathy.

We concluded based on the simultaneous analysis of literary data and our calculations, that classical medicine uses macro-, micro- and nanodoses, phytotherapy - macrodoses, but all doses are used in homeopathy.

**Key words:** Homeopathy, drug doses, nanodoses, ultra-low doses.

* * * *

მედიცინაში წამალთა დასამზადებლად სხვადასხვა ზომის ნაწილაკები გამოიყენება. ფიზიკოსები იყენებენ სიტყვა „νανος" (ბერძ.- ჯუჯა), „ნანომეტრის" (ნმ) საზომი ერთეულის აღსანიშნავად, რომელიც შეადგენს მეტრის მემილიარდედს ($10^{-9}$/მ) [18], ანუ 1 ნანომეტრი μm = $10^{-9}$ მეტრს. როგორც ცნობი-

ლია, 1 მიკრომეტრი μm = $10^{-6}$ მეტრს [1].

1974 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე, იაპონელი ფიზიკოსის ნორიო ტანიგუჩის მიერ პირველად იქნა შემოთავაზებული, 1 ნანომეტრიდან 100 ნანომეტრამდე ზომის სტრუქტურები დასახელებულიყო, როგორც „ნანონაწილაკები", ხოლო მათი მიღების ტექნოლოგიები - „ნანოტექნოლოგიები" [2].

ჰომეოპათია წამლისმიერი თერაპიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც იყენებს ნანოტექნოლოგიის პრინციპს და ზემაღალი განზავებების მქონე საშუალებათა ზემოქმედებას განიხილავს ბიოფიზიკური კანონებით [3].

ნანომეტრებში აღებული ზომების მიხედვით, ობიექტები იზომება შემდეგ სიდიდეებად:

- 1000 ნმ-ზე მეტი ზომის ობიექტები - მაკროზომები;
- 100-დან 1000 ნმ-მდე - მიკროზომები;
- 1-დან 100 ნმ-მდე - ნანოზომები [4].

წამალთა დოზები შეიძლება სხვადასხვა ზომის სტრუქტურების სახით წარმოვადგინოთ: მაკროდოზები - 1 მიკრომეტრზე ანუ $10^{-6}$მ-ზე მეტი; მიკროდოზები - 1 მიკრომეტრსა და 100 ნანომეტრს შორის, ანუ $10^{-6}$-$10^{-7}$მ დიაპაზონში; ნანოდოზები - 1 ნანომეტრიდან 100 ნანომეტრამდე, ანუ $10^{-7}$-$10^{-9}$მ ზომის სტრუქტურები, ე.წ. „ნანონაწილაკები"; ზემცირე დოზები ანუ 1 ნანომეტრზე, $10^{-9}$მ-ზე ნაკლები ზომის ნაწილაკები.

შესაბამისად, დავადგინეთ, რომ

- მაკროდოზები გამოიყენება კლასიკურ მედიცინასა და ფიტოთერაპიაში, აგრეთვე ჰომეოპათიურ დედა-ხსნარებსა და D1-D16 განზავებებში;
- მიკროდოზები - კლასიკური მედიცინასა და ჰომეოპათიის D17-D19, C8-C9 განზავებებში;
- ნანოდოზები - კლასიკური მედიცინაში, ნანომედიცინასა და ჰომეოპათიის D20-D22, C10-C11 განზავებებში;
- ზემცირე დოზები - მხოლოდ ჰომეოპათიაში, კერძოდ, D23, C12 და უფრო მაღალ განზავებებში.

აქედან კარგად ჩანს, რომ ნანოდოზები ჰომეოპათიის მხოლოდ ერთი მცირე შემადგენელი ნაწილია. როგორც ვხედავთ, კლასიკურ მედიცინაში მაკრო-, მიკრო- და ნანოდოზები გამოიყენება, ფიტოთერაპიაში - მაკროდოზები, ხოლო ჰომეოპათიაში - ყველა დოზა, თუმცა ის ძირითადად ზემცირე დოზებთან მუშაობს (ნახაზი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავიანგარიშეთ ჰომეოპათიურ D და C განზავებებში არსებულ ნაწილაკთა ზომები. აღმოჩნდა, რომ D განზავებებში ასეთი დოზებია გამოყენებული:

- დედა-ხსნარებიდან D16 განზავებამდე - მაკროდოზები;
- D17-D19 განზავებებში - მიკროდოზები;
- D20-D22 განზავებებში - ნანოდოზები;
- D23 და უფრო მაღალ განზავებებში - ზემცირე დოზები.

ხოლო C განზავებებისთვის ასეთი შედეგი მივიღეთ:

**ცხრილი №1 წამალთა დასამზადებლად გამოყენებული დოზები**

| | მაკროდოზები | მიკროდოზები | ნანოდოზები | ზემცირე დოზები |
|---|---|---|---|---|
| გამოყენების სფერო | კლასიკური მედიცინა, ფიტოთერაპია, ჰომეოპათია | კლასიკური მედიცინა, ჰომეოპათია | კლასიკური მედიცინა, ჰომეოპათია | ჰომეოპათია |
| ნაწილაკების ზომა | მაკროზომები | მიკროზომები | ნანოზომები | ზემცირე ზომები |
| | 1000 ნმ-ზე მეტი | 100-1000 ნმ | 1-100 ნმ | 1 ნმ-ზე ნაკლები |
| | $10^{-6}$ მ და მეტი | $10^{-6}$-$10^{-7}$ მ | $10^{-7}$-$10^{-9}$ მ | $10^{-9}$მ-ზე ნაკლები |
| ჰომეოპათიაში D განზავებები | დედა-ხსნარებიდან D16-მდე | D17-D19 | D20-D22 | D23 და უფრო მაღალი |
| ჰომეოპათიაში C განზავებები | დედა-ხსნარებიდან C8-მდე | C9 | C10-C11 | C12 და უფრო მაღალი |
| სამკურნალო ნივთიერების შემცველობა | 0 - $10^{-16}$ | $10^{-17}$- $10^{-19}$ | $10^{-20}$- $10^{-22}$ | $10^{-23}$ და მეტი |

**ნახაზი №1. სამკურნალო ნივთიერების შემცველობა კლასიკურ მედიცინაში, ფიტოთერაპიასა და ჰომეოპათიურ განზავებებში**




- დედა-ხსნარებიდან C7 განზავებამდე გამოიყენება მაკროდოზები;
- C8-C9 განზავებებში - მიკროდოზები;
- C10-C11 განზავებებში - ნანოდოზები;
- C12 და უფრო მაღალ განზავებებში - ზემცირე დოზები.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში №1 და ნახაზზე №2.

ჰომეოპათიურ მაკროდოზებშიც კი სამკურნალო ნივთიერების შემცველობა ძალიან მცირეა (ცხრილი №1, ნახაზი №2). თუმცა სამკურნალო თვისებები შენარჩუნებულია, რადგან სამკურნალო ნივთიერების კოდი გადაეცემა გარემოს, რომელიც ბიოლოგიურ აქტივობას იძენს [5] და ორგანიზმის იმუნობიოლოგიური ძალების სტიმულაციას იწვევს [6]. თანაც, განზავების მატებასთან ერთად, ჰომეოპათიური წამლები უფრო და უფრო ღრმა დონეებზე მოქმედებს [7].

ლიტერატურის მონაცემებისა და ჩვენი გამოთვლების ერთდროული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლასიკურ მედიცინაში

**ნახაზი №2. ჰომეოპათიურ D და C განზავებებში არსებული დოზები**




- ლურჯი ფერი - მასა
- თეთრი ფერი - ენერგია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განზავებები | 0 - D16 | D17-D19 | D20-D22 | D23 და მეტი |
| | 0 - C8 | C9 | C10-C11 | C12 და მეტი |
| დოზები | მაკრო | მიკრო | ნანო | ზემცირე |

მაკრო-, მიკრო- და ნანოდოზები გამოიყენება, ფიტოთერაპიაში - მაკროდოზები, ხოლო ჰომეოპათიაში - ყველა დოზა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საზომი ერთეულები. https://www.yell.ge/info/measurements.php?id_use_cat=1
2. Taniguchi N. On the basic Concept of «Nanotechnology». – Presented at Proc. ICPE — 1974.
3. ჩიქავა მ. ალოპათიური წამლებისა და ჰომეოპათიური ნანონაწილაკების ფარმაკოლოგიური ეფექტები. მე-2 საერთ. კონფ. „ნანოტექნოლოგიები", ნანო - 2012. თბილისი, ნეკერი, 2012. გვ. 41-45.
4. Корпан М.І, Чекман І.С., Загородний М.І., Свінціцький І.А, Фіалка-Мозер В. Нанонаука, нанотехнології, наномедицина: Стан науково-практичних досліджень // Лік.справа – Врачебное дело. – 2009. – No5-6. – С.3-8.
5. M. L. Chikava, T. G. Tsintsadze, M. V. Nishnianidze. HOMEOPATHIC NANOPHARMACOLOGY ACCORDING TO THE INFORMATION-ENERGY HOLOGRAPHIC THEORY. Proceedings of the 3-rd International Conference „Nanotechnologies", October 20-24, 2014, №10, Tbilisi, Georgia, pp. 97-98.
6. M. L. Chikava, T. G. Tsintsadze, KH. T. Mishelashvili, N. V. Sulashvili. MODERN THEORIES OF HOMEOPATHIC NANOPHARMACOLOGY. Proceedings of the 3-rd International Conference „Nanotechnologies", October 20-24, 2014, №9, Tbilisi, Georgia, pp. 107-110.
7. ჩიქავა მ. ჰომეოპათია და ჰომეოპათიურ საშუალებათა ტექნოლოგია. თბილისი, 2013. სახელმძღვანელო, 310 გვ. სტუ–ს ბიბლიოთეკა CD-1419.

# DIARRHEA AND SOME EFFECTIVE MEDICINAL PLANTS FOR ITS TREATMENT

***Nino Qurashvili***
*Associate Professor, ALTE University*

***Medea Chikava***
*Professor, Georgian Technical University*

***Nodar Sulashvili***
*Associate Professor, ALTE University*

**RESUME**

Diarrhea refers to the frequent (more than 3 times daily) passage of a *liquid* or *semiliquid stool.* It may be acute or chronic. Symptomatic measures are used for brief episodes of acute diarrhea and for chronic diarrhea, causal treatment of the underlying disease is essential.

Common causes of diarrhea are bacterial and viral infections,food intolerance, parasites, reactions to medicines, intestinal diseases.

Phytomedicines have a significant role, both as traditional home remedies and as galenic preparations, in the symptomatic treatment of diarrhea. Three groups of preparations are particularly important: tannin-containing herbs, pectins , and a special strain of live dried yeast.

Tannins have a protein-precipitation action. In the intestinal tract tannins line the bowel lumen with a protective film that hamper the absorption of toxins, blunt the action of local irritants and normalize hyperperistalsis. To some effective antidiarrheal tannin containing plants are Camelia sinensis, Vaccinium myrtillus, Potentilla erecta, and Quercus robur. Pectins, another antidiarrheal remedies, are biopolymers that have the ability to hold water and form gels. In the small intestine, pectin gels can form a protective film on the mucosa.

The antidiarrheal action of yeats depends on its antagonist effects on pathogenic microorganisms and its stimulatory effects on the immune system. The tropical wild yeast, *Saccharomyces cerevisiae,* known internationally as S. Boulardii, was discovered by the French mycologist Henri Boulard in 1923 while travelling in Indochina. This yeast is one of the most effective remedies agains acute diarrhea.

The following article summerizes data on some medicinal plants that have successfully been used by folk medicines for centuries and that have been scientificly proved to be very effective in the treatment of acute dierrhea.

**Key words:** diarrhea, pectins, Camelia sinensis, Vaccinium myrtillus, Potentilla erecta, Quercus robur, Saccharomyces cerevisiae.

## დიარეა და მის სამკურნალოდ გამოყენებული ზოგიერთი ეფექტური სამკურნალო მცენარე

**ნინო ყურაშვილი**
ალტე უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**მედეა ჩიქავა**
სტუ-ს პროფესორი

**ნოდარ სულაშვილი**
ალტე უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**რეზიუმე**

დიარეა არის მდგომარეობა, როცა კუჭის მოქმედების რაოდენობა ერთ დღეში სამზე მეტია და განავალი არის თხევადი ან ნახევრად თხევადი. დიარეა შესაძლოა იყოს მწვავე ან ქრონიკული. მწვავე დიარეის მკურნალობა შესაძლებელია სიმპტომურად, ხოლო ქრონიკული დიარეისას, მისი გამომწვევი დაავადების მკურნალობა არის აუცილებელი.

დიარეის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ბაქტერიული ან ვირუსული ინფექცია, საკვებით მოწამვლა, პარაზიტები, მედიკამენტის გვერდითი მოვლენა, ნაწლავური დაავადება.

დიარეის სიმპტომური მკურნალობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფიტოპრეპარატებს,როგორც ოჯახური საშუალებების, ისე გალენური პრეპარატების სახით. მნიშვნელოვანია სამი ტიპის პრეპარატები: ტანინის შემცველები, პექტინები და მშრალი საფუარის განსაკუთრებული შტამი.

ტანინს გააჩნია ცილის დამლექავი თვისება. ცილა ილექება ეპითელიუმის ზედაპირზე და წარმოიქმნება დამცავი გარსი. წვრილ ნაწლავში დამცავი გარსი გადაეკვრება შიდა კედელს, რითაც ხელს უშლის ტოქსინების აბსორბციას, ამცირებს გამღიზიანებლების მოქმედებას, არეგულირებს პერისტალტიკას. ეფექტურ დიარეის სამკურნალო მცენარეებს

მიეკუთვნება Camelia sinensis, Vaccinium myrtillus, Potentilla erecta, and Quercus robur.

პექტინები ბიოპოლიმერებია, რომელთაც გააჩნიათ წყლის შეკავების და გელის წარმოქმნის უნარი.მცირე ნაწლავში პექტინის გელი წარმოქმნის ლორწოვანი გარსის დამცავ ფენას.

საფუარის დიარეის სამკურნალო თვისება ეფუძნება პათოგენურ მიკროორგანიზმებზე მის ანტაგონისტურ მოქმედებას, იგი ასევე წარმოადგენს იმუნური სისტემის მასტიმულირებელ საშუალებას. ტროპიკული სფუარი *Saccharomyces cerevisiae,* რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც *S. Boulardii*, აღმოაჩინა ფრანგმა მეცნიერმა ჰენრი ბულარდმა 1923 წელს ინდოჩინეთში მოგზაურობისას.

წინამდებარე სტატიაში თავმოყრილია მონაცემები ზოგიერთ სამკურნალო მცენარეზე, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში,ხოლო მეცნიერულმა შესწავლამ დაადასტურა მათი ეფექტურობა დიარეის სამკურნალოდ.

**საკვანძო სიტყვები:** ფალარათი, პექტინები, Camelia sinensis, Vaccinium myrtillus, Potentilla erecta, Quercus robur, Saccharomyces cerevisiae

* * * *

Diarrhea refers to the frequent (more than 3 times daily) passage of a *liquid* or *semiliquid stool.* (2)

Diarrhea may be accompanied by cramping pain, bloating, nausea, or an urgent need to use the bathroom. Fever or bloody stools may also be present. Diarrhea is potentially dangerous in newborns and infants, as it can lead to dehydration. General signs of dehadration include thirst, less frequent urination, dry skin, fatigue, and light-headedness. Signs in childrena are dry mouth and tongue, absence of tears when crying, dry diapers fro three hours or more, high fever, listlessness or irritability, skin that does not flatten when pinched and released, and sunken abdomen, eyes , or cheeks.

Diarrhea is an important symptom that can have many causes. These ranges from intestinal infection and food sensirivities to colitis and anxiety. Prolonged diarrhea can be a sign of other problems. It can also cause dehydration, a condition in which the body lacks adequate fluid to function properly (3).

Diarrhea may be acute, persistent, or chronic. Acute Diarrhea has an abrupt onset, usually lasts 3-4 days, often has an infectious cause and tends to be self-limiting. Persistent diarrhea lasts longer than 2 weeks and less than 4 weeks.

Chronic diarrhea persists longer than 4 weeks and may be symptomatic of a chronic underlying illness such as ulcerative colitis, Crohn's disease, or hyperthyroidism (1).

A few of the more common causes of diarrhea are the following:

1. Bacterial infections caused by consumption of contaminated food or water, common culprits include *Campylobacter, Salmonella, Shigella*, and *Escherichia coli.*
2. Viral infections, including rotavirus, Norwalk virus, cytomegalovirus, herpes simplex virus, and viral hepatitis.
3. Food intolerance, such as intolerance of lactose, the sugar, found in milk
4. Parasites, including Giardia, Entamoeba, and Cryptosporidium
5. Reactions to medicines, including antibiotics, antihypertensives, and antacids containing magnesium
6. Intestinal diseases, such as inflammatory bowel disease
7. Functional bowel disorders, for examples, irritable bowel syndrom, in which the intestines do not work properly.

Symptomatic measures are used for brief episodes of acute diarrhea that may be both dietary and pharmacologic. As for chronic diarrhea, causal treatment of the underlying disease is essential.

The fluid and electrolytes (especially potassium and sodium) lost during diarrhea must be replaces, as the body cannot function properly without them. Wtaer is essential to prevent dehydration, but it does not contain electrolytes.To maintain electrolyte levels, the patient must be given chiken or beef broth, which contains sodium and fruit beverages, which contain potassium.For children a rehydration solution that contains these necessary nutrients, must be used.

In most cases, replacing lost fluid to prevent dehydration is the only treatment necessary for diarrhea. Medicines that stop diarrhea may be helpful in some cases, but they are not recommended for people with diarrhea caused by bacteria or parasites, as stopping the diarrhea will trap the organism in the intestine and prolong the problem.

Until diarrhea subsides, milk products and foods that are greasy, high in fiber, or very sweet must be avoided, as they tend to aggravate diarrhea. A the condition improves, soft, bland foods, such as bananas, plain rice, boiled potatoes, toast, crackers, cooked carrots, and baked chicken with no skin or fat may be added to the diet. For childre, BRAT diet (Bananas, rice, applesauce, and toast) is recommended(3).

Phytomedicines have a significant role, both as traditional home remedies and as galenic preparations, in the symptomatic treatment of diarrhea. Three groups of preparations are particularly important: tannin-containing herbs, pectins , and a special strain of live dried yeast.

| Tannin Containing Herbs | Pectins | Aspecial strain of live dried yeast |
|---|---|---|
| • Green tea<br>• Black tea<br>• Bilberries<br>• Tormentil Rhizomes<br>• Oak Bark | • Pectins | • Saccharomyces cerevisiae – S. Boulardii |

Tannins are polyphenolic compounds ($C_6 - C_3 - C_6)_n$ that precipitate proteins and form complexes with polysaccharides, and are composed of a very divers group of oligomers and polymers.

The phytochemical classification of tannins can be complex, but two main groups are usually recognized: condensed (the procyanidins or proanthocyanidins) and hydrolyzable tannins. Hydrolysable tannins usually consist of a central glucose molecule linked to molecules of gallic acid (gallotanins) or hexahydroxydiphenic acid (ellagitannins). They are readily hydrolyzed, hence their name. Ellagitannins are found in herbs such as pomegranate, cranesbill, oak bark and meadowsweet.

Hydrolysable and condensed tannins are unevenly distributed in plants. The condensed tannins occur almost universally in ferns and gymnosperms and are widespread among angiosperms, especially trees and shubs. By contrast, hydrolyzable tannins are limited to dicotyledonous plants Both types of tannin can occur together in the same plants. E.g. Oak Bark (Quercus robur) also contains both types of tannins (3)

Tannins have a protein-precipitation action. They cause proteins to be deposited on the epithelial surface forming a stable membrane. In the intestinal tract tannins line the bowel lumen with a protective film that hamper the absorption of toxins, blunt the action of local irritants and normalize hyperperistalsis (2).

Tannins can provide short-term healing anti-inflammatory effects on the gut wall, though likely to rapidly reduce transit through the tract unless in slowly dispersing solid form. Effects on the bowel during diarrhea can be significant if the syymptom is a reflex consequence of irritation in the gastric or upper enteric passsages (gastroenteritis). The use of tannins is not to be recommended as a long-term solution (3).

The first representative of tannin-containing herbs used in treatment of diarrhea is the tea shrub (*Camelia Sinensis*, formerly known as *Thea sinensis*). Camelia Sinensis is an evergreen woody plant that is native predominantly to southeast Asia and can grow to 5 m. The cultivated plant is pruned to a bushy srub to facilitate harvesting. The leaves are harvested and dried to yield the crude drug (11).

For manufacturing green tea, Camelia Sinensis freshly harvested leaves are heated immediately, before drying, mechanically rolled and crushed to avoid enzymatic changes. Stemmed from this, green tea is particularly rich in tannins and is strongly astringent.



**Figure1. Camelia Sinensis flower**



**Figure 2. Camelia Sinensis shrubs**

Just the opposite actions are taken to produce black tea. The harvested leaves are left in humid environment for several hours to promote enzimatic changes. As a result, leaves gradually turn into reddish brown and acquire pleasant aroma(6).

The polyphenolics in green tea (Camellia sinensis) are a class of pseudotannins known as catechins. These are

smaller molecules than tannins. While they do possess some astringency, they cannot tan hides, although they have been classifed as condensed tannins in some publications. Green tea also contains condensed and hydrolysable tannins (15).

Twelve healthy individuales were involved to test Camelia Sinensis infusion impact on resolving diarrhea. The test subjects were consuming 2 litre of tea infusion daily (contained 8 g of herb). The result showed that after 4 days of consumption, intestinal transit time was significantly prolonged comparing to placebo group.

However, tannins become hepatotoxic if tea were consumed to excess by the individual with preexisting liver damage. E.G. one woman consuming 65 g tea per day for 5 years developed liver dysfunction. But problems resolved after tea was withdrawn. When proper attention is given to the caffeine content of tea, the usage risk is minimal (4).

Bilberries (European bluewberries) are dried ripe fruit of *Vaccinium myrtillus*, a dwarf shrub of a family *Ericaceae.*

It is a small shrub, approximately 30 to 40 cm high with erect, branched flowring stems. The alternate, light green leaves are flat, oval and pointed with a toothed margin; Flowers contain four to five white or pink petals. The fruit is deep violet, fleshy berry enclosing crescentpshaped seeds (12).

The Vaccinium genus contains hundreds of species, many with edible berry-like fruits (Including the American cranberry,V. macrocarpon). Bilberry fruit is well known as a food, and in particulas as a jam. The nams is derives from a Danish word meaning dark berry, because unlike the blueberry, its pulp as well as skin is dark blue. Bilberry has been used in Europe to color wine and to dye wool.During World War II , bilberry jam or wine was consumed by RAF pilots to improve their night vision. It is available as fresh or dried fruit, fluid extract or in solid dose form as a tablet or capsule.



**Figure 3. Vaccinium myrtillus fruits**

Traditionally Bilberry fruit was used to treat diarrhea, dysentery, gastrointestinal inflammation, haemorrhoids

and vaginal discharges and to “dry up” breast milk. It has also been used to treat scurvy and for urinary complaints (3).

Dried Bilberries contain: 5-10% catechins, about 30% invertose and small amount of flavonone glycosides and anthocyanosides, particularly, glycosides of malvidine, cyaniding, and delphinidin. 20-60 g of dried berries are soaked in water or red wine, then chewed well and swallowed (daily dose). Alternatively, it can be consumed fresh in amount of 5-10 times the quantity of dried herb. Bilberries are particularly recommended in school age children (2)

The dosage is 3 to 6 ml of 1:1 fluid extract per day. Tablets of capsules contain dried extracts of the fresh berries that deliver 60 to160 mg or more of anthocyanins per day (equivalent to about 20 to 60 g of fresh fruit).The dose may be taken long term for most applications.

High doses (more than 100 mg/day anthocyanins) should be used cautiously in patients with haemorrhagic disorders and in those taking warfarin or antiplatelet drugs, because of the obseved human antiplatelet activity.

Concentrated bilberry powder in a study of infants with acute dyspepsia was well tolerated (3).

As an antidiarrheal, bilberries were used in combination with other herbs in Georgian folk medicine. The receipt is as follows: 5 g of bilberries, 5g of peppermint, and 7.5 g of chamomile are added 700 ml of boiled water, cooled, strained and taken 100 ml 3-4 times a day (20).

The dried rhizome of Tormentil (*Potentilla erecta)* is another antidiarrheal plant. The plant is also known as cinquefoil or potentilla. It is a herbaceous plant of the family *Rosaceae*, Potentilla erecta is a low, clump-forming plant with slender, procumbent to arcuately upright stalks, growing 10–30 centimetres tall. It grows wild predominantly in Europe, Western Asia and North America, mostly on acid soils and in a wide variety of habitats such as mountains, heaths, meadows, sandy soils and dunes. The rhizomatous root is thick. It has little value for food use because of its bitterness and low caloric value. The plant is used in herbal medicine as an astringent because of its tannin content, which is unusually high for a herbaceous plant. The crude drug is adorless and has a strongly astringent taste. The herb contains cathechins (15-20%) and tannins (1-2%) (7).

Roots from the genus Potentilla typically contain hydrolysable and condensed tannins (13).In a randomised, double blind, placebo-controlled trial, an extract of tormentil root (Potentillaerecta) effectively treated rotavirus infection in children(14). The duration of diarrhea in the herbal group was 3 days, com-

pared with 5 days in the control group (p<0.0001).

It is used as a tea – 2-3 g herb in 1 cup of water 150 ml. The Recommended dose for acute nonspesific diarrhea is 1 cup 2-3 times daily between meals. Another receipt for the tincture is as follows: 20 g finely chopped rhizomes are steeped in 200 ml 70 % ethanol, periodically stirred and finally, strained after 10-12 days. 30-40 trops of the tincture is diluted by water and taken 3-4 times a day (19). Side effected may include nausea and vomiting (14).



**Figure 4. Potentilla erecta**



**Figure 5. Potentilla erecta rhizome**

Quercus species, also known as oak, represent an important genus of the Fagaceae family. It is widely distributed in temperate forests of the northern hemisphere and tropical climatic areas. Dried bark of young twigs of *Quercus robur is* harvested in spring. It is the bark from several types of oak trees.

Many of its members have been used in traditional medicine to treat and prevent various human disorders such as asthma, hemorrhoid, diarrhea, gastric ulcers, and wound healing (17). All mentioned effects are attributed to the specific chemical composition, comprised mainly of triterpenoids, flavonoids, and tannins.

Dried bark of foak tree contains 1-20% condensed tannins, including high content of gallotannins, 13-14% of pentosanes, 6 % pectins, quercetin and carbohydrates Because of tannins, it has astringent and antiviral properties.

Antidiarrheal effect of oak bars was described in old Georgian, Polish Bulgarian medicinal books (19).



**Figure 6. Oak tree**



**Figure 7. Quercus robur**

Up to three grams (3/4 teaspoon) of dried oak bark is boiled in a few cups of water, strained, and drunk two table spoons 2-3 times a day. Because of high content of tannins, should not be taken more than 3-4 days (16). Another receipt is preparation of macerate - 5 g finely chopped oak bark is steeped in 400 ml cold water for 8 hours and the extract taken in one day (children must not be given this macerate) (19). It can be used externally for mild inflammatory conditions involving mouth, throat, genitalia or anal region. Oak bark can inhibit trace elements and B vitamin absorption. There-

fore, it should not be given to the patient in high doses for long periods, or alternatively given from food and other medications (3).

Pectins are biopolymers with molecular weight of 60 000 to 90 000. Their basic structural framework is formed by galacturonic acid molecules. Numerous acid groups give pectins their ability to hold water and from gels. These gels are not attacked by digestive enzymes and pass unchanged into the colon, where they are broken down by colonic bacteria. In the small intestine, pectin gels can form a protective film on the mucosa.

One hypothesis is that the short-chain fatty acids released from the microbial breakdown of pectins in the colon have an inhibitory action on colonic motility.

Pectins consistently accompany cellulose, so they contribute much to the structural integrity of the cell. They are present to some degree in all plant products but are particularly abundant in fleshy fruits and storage roots. Rich commercial sources are sugar beet gragments,apple residue, orange and lemon waste product and carrots.




**Figure 8. Apple pectin**

The following "home remedies" dietary constituents have proven useful in the treatment of diarrhea:

1. 1-1.5 kg of raw greated apples, eaten throughout the day;
2. Bananas, cut into small pieces and eaten as often as desired (recommended for children)
3. Carrot preparations are suitable for infants and small children, e.g. 500 g of peeled carrots are boiled in 1 litre of water for 1-2 h, poured through a strainer, and pureed in a blender. Water is added to make 1 litre, and 3 g table salt is added (18).

Travelling through Indochina in 1923, the French mycologist Henri Boulard noticed that the native population used the skins of tropical fruits as a remedy for diarrheas. A yeast isolated from the surface of these fruits had antidiarrheal properties This tropical wild yeast is *Saccharomyces cerevisiae,* known internationally as S. Boulardii.



**Figure 9. Saccharomyces cerevisiae**

Yeasts occur ubiquitously in nature wherever there are fermentable juices with a high sugar content

Unlike bacteria, yeast have a true cell nucleus and are classified as fungi. This makes S. Boulardii a *member of the plant kingdom*, so its medicinal use is a form of phytotherapy

The antidiarrheal action depends on its antagonist effects on pathogenic microorganisms and its stimulatory effects on the immune system. Its therapeutic efficacy depends on the viability of the yeast cells, which must be sustained as the cells pass through the intestinal tract. On entering the colon, however, the cells undergo a bacterial breakdown that leaves only 0.05 % of the ingested dose of yeast cells to be excreted in the stool.

S. Boulardii is antagonist to a number of pathogenic microorganisms which are damaged or destroyed by the presence of the cells

E. g. mannose structures on the surface of the cells enable them to bind and entrap pathogenic E. coli. S. boulardii can also reduce the activity of bacterial toxins.

According to scientific researches conducted, it has been stated that *S. boulardii* is effective to prevent:

Nutritionally related diarrhea in patients fed by gavage, travel-related diarrhea,antibiotic-associated diarrhea, Crohn's disease.

Recommended dose is 250-500 mg/day, with a daily does of 500 mg recommened for diarrhea related to feeding by gavage.

For the prevention of travel-related diarrhea, treatment should be initiated 5 days before the start of the trip

In cases of acute diarrhea, treatment should be continued for several days after symptoms have abated

There have been reports of bloating and sporadic intolerance reactions in the form of itching, urticaria, and generalized skin eruptions. Yeast sensitivity is a contraindication. A fall in blood pressure may occur as a drug interaction in patients who are also taking a monoamine oxidase inhibitor.

Having studied and analysed the scientific and historical data on the above mentioned medicinal plants, we concluded that for centuries, number of medicinal plants have been used in falk medicine for treatment of acute diarrhea with significalntly less sides effects. These well tested receipts have to be restored and consumed together with popular widely used synthesized medications.

**REFERENCES:**


1. David Hoffmann. Medical Herbalism. The Science and practice of herbal medicine. Healing Arts Press, Rochester, Vermont.2003, pp.264-266
2. Schulz V., Hansel R., Blumental M., Tyler V.E. Rational Phytotherapy. Fifth edition. Springer, Berlin, Heidelber, New York.2003. pp.257-265.
3. Bone, Kerry. Mills, Simon. Principles and practice of phytotherapy. Modern herbal medicine-2nd ed. 2013, pp.104, 191,
4. HojgaardI., Arffmann S., Jorgenson M., Krag E .Tea consumption: a cause of constipation. Br Mrd J pp.282-284.
5. Jahn HU, Zeit M(1991). Immunmodulatorische Wirkung von Saccharomyces boulardii beim Menschen. In: Seifert J, Ottenhann R, Zaitz M, Brockenmuhl J (eds)Darm III. Springen Verlag, pp. 159-164.
6. Ludewig R (1995) Schwarzer und Gruner Tee als Genus und Heilmittel. Dtsch Apoth Z135, pp. 2203-2218
7. Lund K, Rimpler H (1985). Tormentillwurzel. Dtsch Apoth Z125, pp. 1105-1107.
8. Massot J, Desconclois M, Atoin J (1982). Protection par Saccharomyces boulardii de la diarrhee a Escherichia coli du souriceau. Ann Pharm Fr 40. Pp.445-449.
9. Plein K, Hotz J. (1993). Therapeutic effect of Saccharomices boulardii on mild residual symptoms in a stable phase of Crohn’s disease with special reference to chronic diarrhea – a pilot study. Z. Gastroenterol 31: pp. 129-134.
10. Schmitz B, El Agamy R, Lindner K (1992). Uzarawurzel – seit 80 Jahren bewahrt bei akuten Druchfallerkrankungen. Pharmazeutische Zeitung 137. Pp.1697-1713.
11. ScholzE, Bertram B (1995). Camelia sinensis (L.). O. Kuntze. Der Teestrauch. Z. Phytother17. Pp. 235-250.
12. Chiej R. The Macdonald Encyclopedia of Medicinal Plants. London. Macdonald, 1984. P. 321.
13. Tomczyk M, Latté KP. Potentilla – a review of its phytochemical and pharmacological profle. J Ethnopharmacol. 2009;122(2)pp.184–204.
14. Subbotina MD, Timchenko VN, VorobyovMM, et al. Effect of oral administrationof tormentil root extract (Potentillatormentilla) on rotavirus diarrhea in children: a randomized, double blind, controlled trial. Pediatr Infect Dis J. 2003;22(8):706–711.
15. Nonaka GI, Sakai R, Nishioka T. Hydrolysable tannins and proanthocyanidins from green tea. Phytochemistry. 1984;23(8)pp. 1753–1755.
16. Blumenthal M., Hall T, Goldberf A. (eds.)(2003). The ABC Clinical Guide to Herbs. Austin, Tex: American Botanical Council.
17. Mehdi Taib, Yassine Rezzak, Lahboub Bouyazza, Badiaa Lyoussi. Medicinal Uses, Phytochemistry, and Pharmacological Activities of Quesrcus Species. Published online 202o Jul 31. Doi:10.1155/2020.1920683. PMCID:PMC7415107. PMID:32802116.
18. Schulte FJ, Spranger J (1988). Lehrbuch der Kinderheilkunde. Fischer, Stuugart, p.320.
19. Iosebidze N., Wildgrown and cultivated healing plants in Georgia. Palitra L, 2022, pp.193-195, 161-163.
20. Mamatsashvili T., 2000 herbal receipts. Palitra L. 2007. P-145.

# დანაშაული ეკონომიკური საქმიანობის სფეროში

*გივი აბაშიძე*
*სამართლის დოქტორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი*

**CRIME IN THE FIELD OF ECONOMIC ACTIVITY**

**Givi abashidze**

**SUMMARY**

The paper discusses the crime against economic activity in the form of theses, which threatens the social security systems of the country, the development of the economic, financial, monetary and credit system.

The statistical data of the crimes committed in Georgia in the current year in the field of property, entrepreneurial, financial and other economic activities are presented, as well as the need to fight against their timely detection and prevention.

* * * *

ეკონომიკური დანაშაული მიმართულია სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობის, საკუთრების, ფულად-საკრედიტო სისტემის, ქვეყნის ფინანსების და სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ.

ეკონომიკური დანაშაული, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ფინანსური დანაშაული, გულისხმობს უკანონო ქმედებებს, რომლებიც ჩადენილია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ფინანსური ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ეკონომიკური მოგების ან გარკვეული პროფესიული უპირატესობის მისაღებად.

საქართველოს ეკონომიკური სისტემა ზოგადად ემნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც წარმოადგენს საქართველოში მატერიალური და სულიერი სიკეთის, საკუთრების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას. ამიტომ ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული თავისი არსით ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთი დესტრუქციული, დამანგრეველი და სახიფათო მოვლენაა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ეკონომიკური დანაშაულის მძიმე შედეგები, რადგან ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული უზარმაზარი ზარალი ძირს უთხრის როგორც ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების სისტემებს, ეკონომიკურ, ფინანსურ, ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარებას და ახდენს თვით ამ სისტემების დესტაბილიზაციას, ასევე ზოგადად სხვა დანაშაულების წარმოშობის და გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია,

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სფეროში ჩადენილი დანაშაული და მისი მძიმე შედეგები პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, ხელფასებისა და პენსიების გაცემას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ა. შ.

სწორედ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა სამართალდამცავი ორგანოების შესაბამისი სამსახურების უპირველესი ამოცანაა, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ამოცანა და პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მაქსიმალურად იყოს დაცული სამეურნეო სექტორის ეკონომიკური საქმიანობა სახელმწიფოს ჩარევისაგან, მეწარმის უფლებები, დროულად იქნას გამოვლენილი ეკონომიკის სფეროში ჩადენილი ყველა დანაშაული, მიეცეს მას სათანადო, სწორი სამართლებრივი შეფასება, მიღებული იქნას შესაბამისი ზომები ამგვარი დანაშაულის დროული გამოვლენისა და მისი აღკვეთის მიზნით.

ზოგადად ქვეყანაში დამნაშავეობისა და მათ შორის ეკონომიკის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა შემცირების, აღკვეთა-აცილების საქმეში მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგან ცუდი ეკონომიკური ვითარება რა თქმა უნდა გარკვეულად ხელს უწყობს კრიმინოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას ქვეყანაში, რომელშიც დიდია ეკონომიკის სფეროში ჩადენილი დანაშაულების ხვედრითი წილი და პირიქით, თავისთავად ცუდი კრიმინოლოგიური ვითარება ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, მის განვითარებაზე.

ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარია ეკონომიკის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა დროული გამოვლენა, მათზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და მათი აღკვეთა, რაც თავისთავად ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას ემსახურება. ეს კი თავის დადებით გავლენას ახდენს ზოგადად ქვეყანაში კრიმინოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა საბაზრო ეკონომიკამ დღის წესრიგში დააყენა სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის სფეროში არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმების გადახედვა,

თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების და ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შემუშავება და მათი ახლებურად ჩამოყალიბება.

თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესატყვისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შექმნამ, რაც ძირითადად ეყრდნობოდა ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და დასავლური სამართლის ტრადიციებს, ხელი შეუწყო სამეწარმეო კანონმდებლობის სრულყოფას, ეკონომიკის სფეროში არსებულ დანაშაულთა ერთიან კლასიფიკაციას, ამ სფეროში არსებული სისხლისსამართლებრივი ნორმების სწორ ინტერპრეტაციას.

სამეურნეო სფეროში ჩადენილ დანაშაულებმა განახლებული და გადამუშავებული სახით სათანადო ასახვა ჰპოვა დამოუკიდებელი საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც ეკონომიკურმა დანაშაულმა და მისი ძირითადი მიზანი და პრინციპია სამეწარმეო სექტორის ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო ჩარევისაგან დაცვა, ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნება, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების, საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემების, საგადასახადო კანონმდებლობის და სხვა სამეურნეო და სამეწარმეო სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

ამჟამად მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ეკონომიკური დანაშაულის თავში თავმოყრილია საკუთრების, სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის, ფულად-საკრედიტო, საფინანსო საქმიანობის და სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

A საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამეურნეო დანაშაულის თავში შევიდა მთელი რიგი ახალი ნორმები, რაც აუცილებელი იყო, რადგან საკუთრების ინსტიტუტისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარება განპირობებულია სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით აღიარებული საკუთრებისა და სამეწარმეო საქმიანობის უფლებების დაცვით.

ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დანაშაულთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, კერძოდ ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას, თაღლითობას, გამოძალვას, მითვისებას, გაფლანგვას, ნივთის დაზიანება ან განადგურებას და სხვ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები შეადგენს დანაშაულთა იმ ჯგუფს, რომელშიც ყოველთვის არსებობდა დანაშაულის საგანი, რასაც მიეკუთვნება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, ფული, მოძრავი და უძრავი ქონება, ნაყოფი, პროდუქცია, მოსავალი, შინაური ცხოველები, ფასიანი ქაღალდები დაა სხვ.

თვალსაჩინოებისათვის ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა საქართველოში 2021 და 2022 წლების პირველ ნახევარში ჩადენილი ეკონომიკური, მათ შორის საკუთრების და ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები.

2022 წლის ექვს თვეში ეკონომიკის სფეროში საქართველოში სულ რეგისტრირებულია 12530 დანაშაული, 1102 ერთეულით მეტი 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მათ შორის 10847 დანაშაული ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ, რაც 272 ერთეულით მეტია გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. მიმდინარე წლის ექვს თვეში 105 ერთეულით გაზრდილია ქურდობის დანაშაულები, ხოლო ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობის და გამოძალვის ფაქტები, თუმცა გასულ წელთან შედარებით გაუარესებულია მათი გახსნის მაჩვენებლები.

სამეწარმეო და სხვა ეკონომიკურ, ფულად-საკრედიტო და საფინანსო საქმიანობის სფეროში, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა შორის გავრცელებულ დანაშაულს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზება, ფალსიფიკაცია, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება და გამოყენება, ფულის კუპიურების, საკრედიტო ბარათების და აქციზური მარკების გამოყენება, საბაჟო წესების დარღვევა, გადასახადისათვის თავის არიდება, კომერციული მოსყიდვა და სხვ.

სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმდინარე წლის ექვს თვეში ჩადენილია 287 დანაშაული და 25 ერთეულით არის შემცირებული წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამეწარმეო და ეკონომიკური ხასიათის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი დროული გამოვლენა და აღკვეთა, როგორიც არის ფალსიფიკაცია, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შეძენა და რეალიზაცია.

ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოება, როგორც წესი, ძირითადად ხდება ქვეყნის ბიუჯეტში შესატანი თანხების შესამცირებლად, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფოს საფინანსო ინტერესებს, ამასთან არღვევს პროდუქციის წარმოების სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის წესებს.

რაც შეეხება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადების, შემოტანის და რეალიზაციის კრიმინალიზაციას და აღნიშნულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაფართოებას, ის განპირობებულია იმით, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში გახშირდა ამგვარი პროდუქციის დამზადების, შეძენის, ასევე მისი შემოტანის შემთხვევები. სწორედ, კანონმდებლის მიზანია ამგვარი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა.

ფულად-საკრედიტო სისტემაში წელს სულ რეგისტრირებული იქნა 342 დანაშაული, რაც 125 ერთეულით მეტია წინა წელთან შედარებით.

ეკონომიკურ დანაშაულთა შორის სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულებს ფულად-საკრედიტო სისტემაში, განსაკუთრებით კი ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის, ყალბი ჩეკის ან საკრედიტო საანგარიშსწორებო ბარათის დამზადების და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ამგვარი დანაშაული მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისათვის, ძირს უთხრის ფულის სიმყარეს და ართულებს ფულის მიმოქცევის რეგულირებას.

საფინანსო საქმიანობის სფეროში მიმდინარე წელს რეგისტრირებულია 987 დანაშაული, 682 ერთეულით მეტი 2021 წლის ექვს თვესთან შედარებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა კონტრაბანდასთან ბრძოლა. საბაჟო წესების დარღვევის მავნე შედეგები იმაში მდგომარეობა, რომ იგი ზიანს აყენებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს, რადგან ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედის საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები, ამასთან ამ დანაშაულით შესაძლებელია ზიანი მიადგეს ასევე ქვეყნის უშიშროებას, როცა კონტრაბანდის საგანს წარმოადგენს იარაღი, საბრძოლო მასალა, რადიოაქტიური ნივთიერება და თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებული სხვა ნივთები.

მიმდინარე წლის ექვს თვეში 48 ერთეულით გაიზარდა დანაშაული სამეწარმეო და სხვა ორგანიზაციების სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეკონომიკური დანაშაულის სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, დაბალია ეკონომიკის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებლები, რაც საშუალოდ რეგისტრირებული მთლიანი დანაშაულის მხოლოდ 50-55%-ს შეადგენს, რომელიც რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება ეკონომიკურ და სამეურნეო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობაზე.

ზოგადად ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია კორუფციის დამარცხება და ეკონომიკურ, სამეურნეო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება.

ეკონომიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს და პირველ რიგში სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი ამოცანა და მოვალეობაა, რათა სამართლებრივი გზებით, შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენებით დროულად იქნას გამოვლენილი და აღკვეთილი სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილი ყველა სახის დანაშაული, კონკრეტული დამნაშავე პირი მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მიღებული იქნას ზომები ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 2022 წლის მდგომარეობით
2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი პირველი), ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2011 წელი.
3. ნ. გვენეტაძე, გ. მამულაშვილი. Pპასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. თბ. 2008 წელი
4. მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი. Pპასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ. 1999 წელი
5. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library
6. http://police.ge/files/pdf/
7. https://www.eurojust.europa.eu/crime-types-and-cases/crime-types/economic-crimes

# სასამართლოს დამოუკიდებლობა - მართლმსაჯულების იმანენტური თვისება

***ზურაბ მელქაძე***
*სამართლის დოქტორი,*
*სტუ-ს პროფესორი*

**ანოტაცია**

მართლმსაჯულება, როგორც სახელმწიფო საქმიანობის სახეობა, ყოველთვის სოციალური გარდაქმნების მიმდინარეობას განსაზღვრავდა. მისი სამართლიანი ადმინისტრირება ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანაბარი უფლებებით აღჭურვას, ასევე სასამართლოს დამოუკიდებლობის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის და სასამართლოს გადაწყვეტილებების პატივისცემას მოითხოვს.

სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობაზე და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერე, მეორე მხრივ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისგან. სასამართლო სისტემის ჭეშმარიტი თავისუფლების არსებობის შემთხვევაში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ქვეყანაში არსებული არაპროფესიონალიზმი და ნეპოტიზმი, სახელმწიფო მოხელეთა ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის ფაქტები. მოსამართლე შეძლებს სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონის დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაზე რეაგირებას, გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტას, სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

**ANNOTATION**

Justice, as a type of state activity, always determined the course of social transformations.

Its fair administration requires equal rights for the prosecution and the defense, as well as respect for the independence of the court, the principle of separation of powers, and the court's decisions.

On the one hand, the strength of the state government depends on the smooth operation of the court and on the decisions made by it, on the other hand, the protection of the rights and freedoms of citizens, including against the arbitrariness of state bodies. If there is true freedom of the judicial system, the unprofessionalism and nepotism in the country, the facts of incompatibility of interests and corruption of state officials will be minimized. The judge will be able to respond to any case of violation of the law by the official of the law enforcement and other state bodies, to resolve the complaint due to the illegal actions of the investigator and/or prosecutor, to exercise other powers.

* * * *

სასამართლოს დამოუკიდებლობა – სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლე- ბისა და მართლმსაჯულების არსებობის ობიექტურად აუცილებელი პირობაა და გულისხმობს მოსამართლის სამართლებრივი პოზიციის არჩევის თავისუფლებას მხარეთა ნებისაგან, ასევე ნებისმიერი გარე ზემოქმედებისაგან.

ყველა ამ სახის ზემოქმედებისადმი მოწყვლადობა თანაბრად საშიშია მოსამართლეთა დამოუკიდებლობისათვის, ასევე მათ მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებისთვის. სასამართლო დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს არა კანონმდებლობა ან მისი პროცესუალური პრინციპების რანგში აყვანა, არა ამ სიტყვების მრავალჯერადი გამოყენება სხვადასხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში და, მით უფრო, არც მოწოდებები მოსამართლეებისადმი – იყვნენ დამოუკიდებელნი, არამედ ამ დამოუკიდებლობის რეალური განხორციელება, რაც მხოლოდ მისი რეალიზაციის საიმედო საორგანიზაციო-პროცედურული მექანიზმების შექმნითაა შესაძლებელი.

სამართალწარმოებაში დასაქმებული სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო ორგანოებიდან წამყვანი და შეუცვლელი როლი უდავოდ სასამართლოს ეკისრება, რადგან საქართველოს სსსკ მე-19 მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯუ- ლება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუ- თებული და სამართლიანი განაჩენი.

სასამართლო უნდა იყოს სამართლიანობისა და ზნეობრიობის განსახიერება, ძალა, რომელსაც თვითნებობისა და უკანონობისაგან დაცვის იმედით მიმართავენ. ყველა საპროცესო ინსტიტუტი, სხვა სახელმწიფო ორგანოები და საქმის შედეგით ასე თუ ისე დაინტერესებული პირები აპრიორულად აღიარებენ, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის გარეშე აზრს კარგავს ყველა პროცესუალური მოქმედება და პროცესუალური ინსტიტუტების თავდაპირველი დანიშნულება.

ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ამ პრობლემის განხილვა რამდენიმე მიზეზითაა განსაკუთრებით საინტერესო. პირველი, – საქმეთა უმეტესობაზე აშკარად ჩანს სახელმწიფო (არა მხოლოდ საჯარო, არამედ უწყებრივიც) ინტერესი, რომლის მატარებლებადაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები

გამოდიან; მეორე, – მხარეთა ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უთანასწორობა არსებული პროცესუალური უფლებების რეალიზაციის ფარგლებშიც კი მათი შესაძლებლობების უთანასწორობას წარმოშობს; მესამე, – აღნიშნულ სამართალწარმოებათა პროცესში, როგორც არსად, შესაძლოა შეიქმნას საჯარო ინტერესების სახეების შეცვლის ხელსაყრელი პირობები: საზოგადოებრივის (რომელიც ობიექტურად ემთხვევა საზოგადოების ინტერესებს), სახელმწიფოებრივის (რომელსაც სამართალწარმოების პროცესში კონკრეტული სახელმწიფო ორგანო წარმოადგენს) და უწყებრივის (სახელმწიფო ორგანოს კონკრეტული დანაყოფის უწყებრივი ანგარიშგების). ასეთ ცვლილებებზეა დაფუძნებული საჯარო მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილის, მათ შორის ცალკეულ მოსამართლეთა, პროფესიული სამართალშეგნების მრავალი სტერეოტიპი. ამ სტერეოტიპებზე დამოკიდებულება ისეთივე შეუთავსებელია მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან, როგორც ადმინისტრაციულსა და კორუფციულ ზეგავლენასთან.

მართლმსაჯულება, როგორც სახელმწიფო საქმიანობის სახეობა და როგორც სამართლიანობის ოფიციალური განსახიერება, კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის სოციალური გარდაქმნების მიმდინარეობას განსაზღვრავდა. ამავდროულად, პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ დამოუკიდებელი სასამართ- ლო სისტემისა და სამართლიანი გარემოს შექმნით მხოლოდ საზოგადოებაა დაინტერესებული. ამ დროს ნებისმიერი ხელისუფალი, რომელსაც მოსახლეობის მხარდაჭერა ესაჭიროება, დაინტერესებული უნდა იყოს, რომ მოსამართლეებს თავისუფლება ჰქონდეთ – საჭიროების შემთხვევაში ისეთი გადაწყვეტილებები (კანონიერი) მიიღონ, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა სახელისუფლებო, სხვა საჯარო თანამდებობის პირთა უკანონო გადაწყ- ვეტილებებს, თუმცა ჩვენთან ეს არც ერთ ხელისუფლებას ხელს არ აძლევს.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში სახელმწიფო ორგანოების ავტონომიისა და კონტროლის თანაფარდობის დაცვის გადაწყვეტისას თეორია და პრაქტიკა სამ ცნებას: კანონიერებას, პროფესიონალიზმსა და კონტროლს ეყრდნობა. კანონიერება ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრინციპია. მას პრო- ფესიონალური ქცევა და პასუხისმგებლობა განსაზღვრავს, ხოლო თავად კანო- ნიერება ფართო პროფესიულ უფლებამოსილებას იწვევს. პროფესიონალიზმი გამსაკუთრებულ ფასეულობებს, უნარებს, პროფორიენტაციას და საქმიანობის დემოკრატიულად წარმართვას გულისხმობს. ანგარიშვალდებულება დემოკრატიულ და სამოქალაქო კონტროლს, ასევე გამჭვირვალობას ნიშნავს, რომელიც ანგარიშ- ვალდებულების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს.

წარმოადგენენ რა სახელმწიფო მმართველობითი სისტემის ნაწილს, სამართალ- დამცავ ორგანოებს გადამწყვეტი როლი ეკისრებათ, როგორც საქმიანობის შედეგების ეფექტიანობის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთდამო- კიდებულების, ასევე პოლიტიკურ და სოციალურ იდეებზე ზემოქმედების მხრივ. აღნიშნულ უწყებებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ სახელმწიფოს ფორმირების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების, კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში, აგრეთვე, იმ სოციალური ფონის შექმნაში, რომელიც პოლიტიკურ ურთიერთობებს განაპირობებს. არაეფექტიანი, სადავო ან რეპრესიული სოციალური კონტროლი ძირს უთხრის სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობების კანონიერებას, ართულებს განვითარების ხელშემწყობ პროცესებს და მკვეთრად ამუხრუჭებს (ზღუდავს) მმართველობის დემოკრატიულ ფორმებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასეთი მოქმედებები გამოდის ფუნქციური მოვალეობების ჩარჩოებიდან. საზოგადოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლებისადმი მმართველობითი ცვლილებების განხორციელების დაკისრების შემთხვევაში მასში აუცილებლად აისახება სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებები.

წინა ხელისუფლების დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ახლაც მოქმედებს მმართველობის ისეთი მანკიერი სისტემა, რომლის დროსაც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმღებად მხოლოდ სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელი პირველი პირები გვევლინებიან (თუ რა გახდა მმართველობის ასეთი სისტემის შექმნის მოტივი, შემდგომი კვლევის საგანია). აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ამ ორგანოების ქვედა რგოლების (დანაყოფების ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირების) კომპეტენციის – ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით მათთვის მინიჭებული ფუნქციების, უფლებებისა და მოვალეობების ჯერ მნიშვნელოვნად შეზღუდვა, ხოლო დროთა განმავლობაში საჭირო უნარ-ჩვევების სრულად ატროფირება. ხელმძღვანელი პირებისა და სხვა თანამდებობის პირების ანაზღაურებაში სოლიდური განსხვავების გამო საჯარო სამსახურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნეპოტიზმის, პარტიული კუთვნილების და სხვა სუბიექტური მიზეზების გამო, ძირითადად უწყების გარედან, ინიშნებოდნენ და ინიშნებიან არაკვალიფიციური, ხელმძღვანელი მუშაკისათვის აუცილებელ უნარებს მოკლებული პირები, რაც, უკვე აღნიშნული მიზეზებით, ხელისშემშლელ ფაქტორს აღარ წარმოადგენს. მათ დასაქმებას ან დაწინაურებას, როგორც წესი, გარკვეულ ინტერესთა კონფლიქტი, იურიდიული თუ ორგანიზაციული შეუსაბამობა მოსდევს, რომელთა გამოსწორების, მეტწილად წარუმატებელ, მცდელობებს შემდგომში დიდი ძალისხმევა (ძალებისა და საშუალებების სრული, ხშირად არამართლზომიერი, მობილიზება) სჭირდება.

მმართველობის ასეთი ფორმის პირობებში სა-

ხელმწიფო დაწესებულებებში ყოველწლიურად იზრდება იმ საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი, რომლებიც იძულებულნი არიან საკუთარი უფლების დასაცავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილ საქმეებზე სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის და სხვა პირების მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებისას ადამიანის უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის გამო, აგრეთვე, კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობების დაკისრების შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს. ამავე დროს, მითითებული მუხლის მოთხოვნა, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქმის სამართლიანი და დროული განხილვა, მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებშია შესაძლებელი, რაც დღეისათვის ძნელად მისაღწევი ფუფუნებაა. პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ, როდესაც სასამართლოს მიერ დადგენილია სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირების არამართლზომიერი მოქმედებები, უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო გადასინჯვას, ასევე დასაშვები უნდა იყოს დაზარალებულის მოთხოვნით სასამართლოს მიერ საქმის აღძვრა. ყოველივე აღნიშნულის არარსებობის გამო კანონის აღსრულება, ასევე გამოძიების წინასასამართლო სტადიაზე ბრალდების მხარის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება მოითხოვს, რომ პროკურორები ასევე უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თავიანთ ფუნქციებს უნდა ახორციელებდნენ სამართლიანად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

შეგვედავებიან, რომ ეს მიზნები უკვე მიღწეულია, აღნიშნული ორგანოები დამოუკიდებლები არიან, აქვთ სრული უფლებამოსილება და ა.შ. ასე რომ იყოს, ყველა ის თანამდებობის და მათი ზემდგომი პირები, რომლებმაც არასაკმარისი უნარების გამო ან რაიმე მოტივით ჩაიდინეს გადაცდომა ან სამოხელეო დანაშაული, გათავისუფლდებოდნენ თანამდებობიდან, დაისჯებოდნენ დისციპლინური, ადმი- ნისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი წესით, მათ ადგილებს შეავსებდნენ კვალიფიციური კადრები და მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი ადამიანის უფლებების დარღვევა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ რეორგანიზაციის ან სხვა მოგონილი მოტივით საჯარო მოსამსახურეების სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების და სახელმწიფო უწყებების მიერ წაგებული ათასობით საქმე, როდესაც ხელფასები ჯერ გამოთავისუფლებულ ადგილებზე დანიშნულ პირებს ერიცხებოდათ, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებების შემდეგ კომპენსაციის სახით უკვე სამუშაოზე აღდგენილი მუშაკები იღებდნენ მილიონობით ლარს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ჩვენთვის უცნობია ზემდგომი ორგანოების მიერ კონკრეტულად ასეთი დანაშაულებისათვის დასჯილი თუნდაც ერთი თანამდებობის პირი.

სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობაზე და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერე, მეორე მხრივ, ამ ხელისუფლების შეზღუდვა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისგან. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სისტემის ჭეშმარიტი თავისუფლების არსებობის და მოსამართლეთა თვითნებობის გამორიცხვის შემთხვევაში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ქვეყანაში არსებული არაპროფესიონალიზმი და ნეპოტიზმი, სახელმწიფო მოხელეთა ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის ფაქტები. მოსამართლე შეძლებს სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონის დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაზე რეაგირებას, გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტას, სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის ურთიერთობის შესახებ – ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს № 12 და ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს № 4 დასკვნები; 2009.

# მხატვრული აზროვნება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობის რესურსი (ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით)

*მარინე ლომიძე*
*სტუ-ს პროფესორი*

**ARTISTIC THINKING AS A RESOURCE FOR THE EFFECTIVENESS OF PUBLIC RELATIONS (ACCORDING TO PUBLICIST JEMAL KARCHKHADZE)**

**Marine Lomidze**
Professor of GTU

**RESUME**

Finding the appropriate word to express one's thoughts according to its meaning (semantics) is generally not difficult for the writer as he knows the meaning of the word better, possesses a good knowledge of the culture of written speech and, more importantly, uses words carefully. This is a general characteristics of Jemal Karchkhadze's journalism. In the journalistic thinking of the writer, the pulse of time is felt and the unity of literature and journalistic principles is revealed; the information/opinion is directly, openly visible or presented contextually, which gives the reader a unique idea or allows interpretation. Coherence and correspondence of words, possession of the vocabulary of the Georgian language, accuracy of speech, expressiveness, iconic communication - every journalistic work of the writer refers to this pattern. In Jemal Karchkhadze's journalism, there are many examples of artistic speech (simile, epithet, metaphor, expressive repetitions-refrain, etc.).

**საკვანძო სიტყვები:** მწერალი, პუბლიცისტიკა, მხატვრული აზროვნება, სიტყვათა შეთანხმება, კომუნიკაცია, ლექსიკა, პოტენციალი.

* * * *

საკუთარი ნააზრევის გამოსათქმელად სათანადო სიტყვის პოვნა მისი მნიშვნელობის (სემანტიკის) მიხედვით ზოგადად მწერლისთვის არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან მან სიტყვის მნიშვნელობაც უკეთ იცის, წერითი მეტყველების კულტურასაც ჯეროვნად ფლობს და, რაც მთავარია, ყურადღებით, სიფრთხილით ეკიდება „პირველად ყოფილს“. ეს ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის ზოგადი დახასიათებაა. მწერლის პუბლიცისტურ ნააზრევში შეიგრძნობა დროის მაჯისცემა და ვლინდება ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის პრინციპების ერთიანობა; ინფორმაცია/მოსაზრება პირდაპირ, ღიად ჩანს ან ქვეტექსტურადაა წარმოდგენილი, რაც მკითხველს ცალსახა აზრს უყალიბებს ან ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს.

მწერლის პუბლიცისტური მთავარი სათქმელი ისაა, რომ ადამიანის ზნეობრივი ბუნების დასაბამი, სათავე მისი არსის წარმომავლობაშია-ხასიათი, დამოკიდებულებათა სისტემა, საქციელი არის მიზეზი(გაცნობიერებული, შეიძლება გაუცნობიერებელიც) და საწყისი საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან ყოველგვარი ურთიერთობისა. ადამიანის დანიშნულება უფრო მეტია, ვიდრე გულგატეხილობის ფილოსოფიით სულდგმულობა, რომ ამქვეყნიურ წუხილსაც შეიძლება მოეძებნოს სარგებელი, სურვილისა და მცდელობის პირობებში ისინი სიხარულადაც შეიძლება ვაქციოთ.

ჯემალ ქარჩხაძის მწერლური პუბლიცისტიკა აღბეჭდილია თვალსაზრისების სიახლის და სიმწვავის, ვნებათაღელვის სრული გამის წარმოჩენით, სიმართლის ხედვით, საკუთარი არსების სრულად გამოვლენით, სურვილებით, რომლებიც მისი ფასეულობათა საზომია.

მკითხველისთვის საერთო სივრცის შიგნიდან და მის მიღმა ქარჩხაძის ხედვის აღსაქმელად სიტყვათა თავსებადობა და შეხამება, ქართული ენის ლექსიკური ფონდის ფლობა, მეტყველების სიზუსტე, გამომსახველობა, კომუნიკაციის ხატოვანება - მწერლის ყოველი თხზულება ამ მოდელისაა.

ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში სწორედ მხატვრული ფორმებით მიიღწევა ავტორის თვალსაზრისის გამჟღავნება; თვალსაჩინოა თხზულებათა ნარატივის ლოგიკა, რაც იძლევა საშუალებას, მკითხველი თვითონ მივიდეს დასკვნამდე; იკვეთება მხატვრული აზროვნების გამოვლენის ორი ტენდენცია: ფაქტის, საგნის, მოვლენის ხატოვანი ელფერით დაზუსტება/დაკონკრეტება, ცალკეული დეტალის დასურათხატება და მწერლის ესთეტიკური იდეალის პოზიციის გამომხატველი ტროპების მოშველიება. ეს შეიძლება შემდეგნაირად ავხსნათ: მას აზრის გამოხატვა უფრო ბუნებრივად მხატვრული ხერხებით ემარჯვება (რის გარეშე არ შეუძლია); ვფიქრობ, საკუთარი ნააზრევის სასარგებლოდ მეტი ნდობისათვისაც. ამასთან, ყველგან მძლავრობს ავტორის მე“.

ჯემალ ქარჩხაძე იყენებს ქართული ენის ლექსიკის საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიტყვებს, რომლებიც ყველასთვის ადვილად გასაგებია და მათი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ თემაზე მსჯელობისას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. მაგრამ კონტექსტის შესაბამისად მოულოდნელი და ორიგინალური ხატოვანი გააზრება ამ ჩვეუ-

ლებრივი სიტყვების ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედების ძალას ამძაფრებს. მწერალი მიმართავს ტერმინოლოგიურ სისრულეს, ამასთან საერთო ლექსიკას ახალთახალი ექსპანსიური მნიშვნელობით იშველიებს. მოვლენათა მასშტაბი, რელიეფურობა, მნიშვნელობა, როლი იკითხება სწორედ სათანადო სიტყვათა მოძებნით, გარემოებებისადმი მათი ოსტატურად მისადაგებითა და შეთანხმებით, რაც ყველაზე ნათლად მიანიშნებს მწერლის მოქალაქეობრივ და პროფესიულ დამოკიდებულებებს. მოვლენების მხატვრულად წარმოსახვა ანუ შთაგონება მისი სულიერების გამოვლენის ბუნებრიობაა.

ქარჩხაძის პუბლიცისტიკა ენის სრული გამომსახველობითი პოტენციალის, ენობრივი პლასტის გამოვლენის სანიმუშო ილუსტრაციაა. პუბლიცისტიკაშიც საკუთარი პროზაული სტილის „დამცველია", ერთგულია, რითაც, სინტაქსურ სირთულეს არ გაურბის, რადგან ეს ფორმა აზრის დაქუცმაცების თავიდან აცილების საშუალებას აძლევს, ცდილობს შინაგანი რიტმის ბუნებრიობა არ დაარღვიოს, უპირატესობას დასრულებულ ფრაზას ანიჭებს

ერთგან ბავშვობის გარემოზე საუბრისას მწერალი აღნიშნავს, რომ ჩვეულად გვაქვს საუკეთესო ეპითეტები დაუფიქრებლად ვფანტოთ მარჯვნივ თუ მარცხნივ, მაგრამ „ამჯერად ისინი სწორედ თავ-თავიანთ ადგილასაა ნახმარი". ქარჩხაძის პუბლიცისტიკა ის შემთხვევაა, სადაც არათუ დაუფიქრებლადაა მიმოფანტული ეპითეტები და ზოგადად ლექსიკური ერთეულები, არამედ სიტყვებმა აზრის სიცხადისთვის ყველა ვითარებისთვის სწორედაც რომ ზუსტად „იპოვეს ტექსტში თავიანთი ადგილი", ანუ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, „ტექსტისთვის ერთადერთი მართებული სიტყვის მოძებნა".

ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში მხატვრული მეტყველების მრავალი ნიმუშია (შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ექსპრესიული გამეორებები-რეფრენი და სხვ.), რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს გაპიროვნების (პერსონიფიკაციის) მეთოდის გამოყენება. გასულიერებული საგნები და რეალური მოვლენები შთამბეჭდავ სურათებს ქმნის მკითხველის წარმოსახვის „დაძაბვისთვის" სინამდვილის გასააზრებლად, რადგან ისინი ეფექტური არგუმენტების როლსაც ითავსებენ. მხატვრული აზროვნების მრავალფეროვნებიდან გამოკვეთილი იდეის ფერადოვნება „მიზიდულობის ძალას" იკრებს და დაუვიწყარ სახეებს ქმნის. მაგალითად, „ზნეობა, რომელიც ...ღია ცის ქვეშ გვეგდო, ისე ჩაიკარგა შიშველი იდეოლოგიის ყოვლისმომცველ სქემაში, ისე გაილია, ისე აღმოჩნდა ხელფეხშეკრული და დატყვევებული, არც კი გაგვიგია, თუ დავკარგეთ".

შედარების ნიმუშების მოსახმობად, საინტერესო იქნება ამ მეთოდისადმი მწერლის დამოკიდებულების გაცნობა, რასაც იგი მწერლისა და მწერლობის მნიშვნელობაზე სასაუბროდ გამოთქვამს მისთვის ჩვეული არგუმენტაციით: „მწერლისა და მწერლობის დანიშნულებაზე რომ ვილაპარაკო, შედარება უნდა მოვიშველიო, ჯერ ერთი, ასე უკეთ მოვახერხებ აზრის ნათლად გამოხატვას და მეორეც, შედარებას ყოველთვის ახლავს ჭეშმარიტების ჩუმი, მაგრამ ურცხვი პრეტენზია".

მწერალი მათ ბუნებრივად იმარჯვებს აზრის გადმოსაცემად. მხატვრული შედარებების მეშვეობით იგი ნაკლებად ცნობილს მეტად ცნობილით განსაზღვრავს, რითაც მოვლენას რელიეფურად აღწერს და მკითხველის წარმოსახვას ძაბავს. სანიმუშოდ:

„ჩემსა და არაქართველ მკითხველს შორის ყოველთვის დგას თარგმანი-მეტნაკლებად შეჭირხლული ფანჯარა".

საინტერესოა ენის აღქმის ორი განსხვავებული პრიზმა:

„...ენის ის ნაწილი, რომელიც ინსტრუმენტი და კომუნიკაციის საშუალებაა, მრავალქიმიანი ვარსკვლავის ერთი ქიმია".

„...ახლა ენა უნდა შევადაროთ ვეება დაბურულ ტყეს, რომელიც პატარა, მზიანი მდელოთი თავდება. სწორედ ეს მდელო, ტყის ეს პერიფერია, სადაც ტყე უკვე მთლად ტყე აღარ არის, ცვლის ახალ შედარებაში იმას, რაც ადრე ვარსკვლავის ქიმის სახელით მოვიხსენიე. ეს მდელოა ჩვენი ცხოვრების ასპარეზი, ხოლო მის უკან დიდი, უღრანი, იდუმალის ტყეა, სადაც მოუსვენარი ადამიანები დადიან, რათა გონებით კი არ ჩაწვდნენ ენის იდუმალებას, არამედ ერთიანად ჩაეფლონ ამ იდუმალებაში და საპიენსის ფაბერული მისტერია განახორციელონ... დიდ მწერალთა სიდიდე თუ მეტი არა, სანახევროდ მაინც, ენას ეყრდნობა".

მკითხველის/მსმენელის ყურადღების მისაპყრობად ავტორები ძირითადი აზრების გამეორებას იყენებენ. სიტყვათა გამეორების არსებული სახეებიდან ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში უმთავრესად სიტყვასიტყვით გამეორების ხერხი გვხვდება.

„აკი გაჩნდა კიდეც სახიფათო ნიშნები: აქა-იქ ხალხს უკვე ისე ეპყრობიან, როგორც ხელზე მოსამსახურე ბიჭს, აქა-იქ უკვე ახალი ცენზურის დაწესებას ცდილობენ, აქა-იქ უკვე ხელოვნების თავისუფლებას ახალ იდეოლოგიურ ჩარჩოში სვამენ და „სავალდებულო თემებს" არიგებენ, აქა-იქ უკვე ტაბუდადებულ ზონებს ქმნიან, აქა-იქ უკვე კურიოზებამდეც მიდიან..."

„არ ვიცი, რომელი ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელი ვარ...

არ ვიცი, ვეკუთვნი თუ არა იმ მწერლების რიცხვს(ასეთი მწერალი ძალიან ბევრია), რომლებიც მომწონს...

არ ვიცი, როგორია ჩემი სტილი...

არ ვიცი, როგორი უნდა იყოს იდეალური მკითხველი(ყოველ შემთხვევაში, ისეთი ნიშნები არ ვიცი, რომ მოსაწყენად ტრაფარეტული არ იყოს".

გამოთქმული აზრები უტყუარი თეზისის სახისაა და გამეორების ხერხით ისე ხატოვნადაა წარმოჩენილი, რომ ემოციურობის მუხტს ზრდის. ყურადღე-

ბის კონცენტრაცია ეჭვის საფუძველს აქარწყლებს და აუდიტორიის მისამხრობადაც გრძნებით შემკვრელი ეფექტის როლს იძენს. ავტორმა ამ ხერხით ნამდვილად შეძლო საზოგადოების განწყობის შექმნა. სოციალური განწყობა ე.წ. ატიტუდი (კოგნიტური და ემოციურ-შემფასებლური ელემენტების ერთობლიობა) სოციალური პოზიციის წინაპირობა ხდება.

ამიტომაც არის ძნელი მშვიდად, ემოციის გარეშე იკითხო რაციონალიზმით გამსჭვალული ამგვარი მხატვრული წარმოსახვით აღქმული გარესამყარო. ამ ლირიკული პასაჟების ქვეტექსტებში, ვფიქრობ, უფრო მწვავედ იკვეთება სათქმელი: სტრიქონებსა და სტრიქონებს მიღმაც პუბლიცისტური სიმწვავე ეფექტიანიც არის და ეფექტურიც.

პუბლიცისტის ინტელექტი აღბეჭდილია სიტყვის სხივმოსილებაზე საგანთა ბუნების მომცველი ცოდნით და ცინცხალი გრძნობადობით. მხატვრული სახეების გამოყენება მკითხველს ეხმარება აზროვნების პროცესში, ქარჩხაძის მიერ შეთავაზებული ინფორმაციის გაშიფვრა-გაცნობიერებაში. მწერლის მოსაზრებათა სისტემა არა მხოლოდ ცალკეულ მოვლენას, არამედ სამყაროსაც თავისებურად ხედავს და აღიქვამს. სიტყვის საზრისი, ლოგიკის კულმინაცია, ტექსტის ორგანულად შემკვრელი ფრთიანი, მახვილგონივრული გამონათქვამები ისეა დამუხტული სიტყვათა შეთანხმებებით, რომ აგაფორიაქებს, ფიქრებს აგიშლის, დღევანდელობასთან პარალელებს გაპოვნინებს, საქმის კეთების ჟინით აგავსებს. გონიერ, მხატვრული სიტყვის მოყვარულს, ალბათ, ასეც დაემართება: ესთეტიკის განცდასთან ერთად გონების სრულყოფა „შეემთხვევა".

ჭეშმარიტი პუბლიცისტიკის(ცნებებით აზროვნება, შეფასება, განზოგადება) დანიშნულებაც ეს არის კომუნიკაციის დასაბამიდან და მისი ვარგისობა უვადოა. ამიტომაც არის მხატვრული აზროვნების ხერხების გამოყენება საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი შთამბეჭდავი საშუალება. მარადიული ფასეულობებით დანახული ნებისმიერი დროის ნააზრევში ყოველთვის შეგიძლია ამოიკითხო ის, რაც სარგებელს მოგიტანს, რისი ცოდნაც ყოველთვის გჭირდება. ცოდნისკენ, სწავლისკენ სავალი გზა(სვლა) კი მუდმივი მოგზაურობაა ადამიანის უკეთესობისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავთანდილ არაბული. ქართული მეტყველების კულტურა. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2004.

2. ნანა გაფრინდაშვილი. დარეჯან თვალთვაძე. რიტორიკის შესავალი. თბილისი, 2007.

3. ჯემალ ქარჩხაძე. პუბლიცისტიკა. „ქარჩხაძის გამომცემლობა", 2014

4. ოთარ ჭილაძე. ღრუბელი. დიალოგები. გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2014.

# „მასის ადამიანი"

***ფიქრია დიდებაშვილი***
*სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*

**"MASS MAN"**

**Piqria Didebashvili**
Associeted Professor of GTU

**A B S T R A C T**

The epoch of scientific-technical revolution formed the terms for technological equipment of man and improvement of social wellbeing. On the other part, the so-called global problems appeared in the material life and strong symptoms of decomposition of personality – in the spiritual life.

The latter tendency is often explained by the deprivation of man in the masses. Man is increasingly losing his individuality, inner uniqueness and spiritual integrity. He becomes an invisible member of the monotonous mass. Jose Ortega-Gasset raised his voice against this new reality with his famous "Mass Rebellion"(«Rebelion de las masa»).

New "institutions" were created, new "organizations" - organizations of mass consciousness, where "mass values" are stuck. The philosopher gave us an in-depth analysis of the crisis in Europe. This pessimism shows the contradictions and crises of modern civilization, which are deepening and becoming a vague perspective of humanity.

In terms of the Christian faith the loss of a person in the masses is a great evil. It is a fall into sin too. Christianity sees the resemblance of man to God in the inner uniqueness, the uniqueness of man.

From this viewpoint, the book of German Catholic philosopher and theologian Rihardo Guardini "End of the New Time. Attempt of Orientation" is of great interest. The book was published in 1950. The author opposed bestseller of Jose Ortega-Gaseti "Revolt of Masses". The German philosopher does not support identification of "modern masses" with "formless multitude", a crowd of people

Main task of our time is to preserve human "appearance". If all the "appearances" are unique and this uniqueness in all conditions can be realized, then mass multitude of men is good. "It is better men be as many as possible".

Consequently, "community of masses" seems to the Catholic thinker not only as inevitability, but also as morally justified condition.

**საკვანძო სიტყვები:** სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, ევროპის კრიზისი, ხოსე ორტეგა-გასეტი, მასობრივი ადამიანი, ინდივიდი, ბრბო, მასების ამბოხი, მასობრივი ღირებულებები, რომანო გვარდინი, თანამედროვე მასა, ინდივიდთა უფორმო სიმრავლე, ადამიანის რენესანსული ტიპი, სახე, მასების საზოგადოება.

**Key words:** scientific-technical revolution, European crisis, Jose Ortega-Gasset, mass person, individual, crowd, revolt of the masses, mass values, Romano Guardini, modern mass, formless multitude of individuals, Renaissance type of man, face, mass society.

* * * *

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქამ შეჰქმნა ადამიანის ტექნოლოგიური აღჭურვის და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობები. მეორე მხრივ, შეიქმნა ახალი, მანამდე უცნობი სირთულეები ადამიანის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში. მატერიალურ ცხოვრებაში თავი იჩინა ეგრეთწოდებულმა გლუბალურმა პრობლემებმა, ხოლო სულიერ ცხოვრებაში -- პიროვნების რღვევის მძლავრმა სიმპტომებმა.

უკანასკნელ ტენდენციას ხშირად განმარტავენ ადამიანის გათქვეფად მასაში. ადამიანი სულ უფრო და უფრო ჰკარგავს თავის ინდივიდუალობას, შინაგან უნიკალობასა და სულიერ მთლიანობას. ის იქცევა ერთფეროვანი მასის უჩინარ წევრად. ამ ახალი რეალობის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა ხოსე **ორტეგა-გასეტმა** (1883-1955) თავისი სახელგანთქმული „მასების ამბოხით". წიგნი გამოვიდა 1930 წელს.

„**მასის ადამიანი** ისაა, ვინც არ გრძნობს თავის თავში არავითარ განსაკუთრებულ უნარს, განსხავებას სხვებისაგან, კარგს ან ცუდს. ის გრძნობს, რომ ზუსტად ისეთივეა, როგორც არიან დანარჩენები. თუმცა, ამით სულაც არაა შეწუხებული, პირიქით ბედნიერია, რადგან გრძნობს თავის თავს ისეთივეთ, როგორიც სხვები არიან."[2; 121]

ესპანელი ფილოსოფოსი აღნიშნავს, რომ მასები ადრეს არსებობდნენ, მაგრამ იყვნენ შეუმჩნეველნი. მათ ეკავათ უკანა ადგილი სოციალურ ცხოვრებაში, ახლა კი გახდნენ მთავარი მოქმედი პირები. „გმირები გაქრნენ, დარჩა გუნდი". ინდივიდები, რომლებიც ბრბოს შემადგენლობაში შედიან, ადრეც არსებობდნენ, მაგრამ არა ბრბოში. ისინი ეწეოდნენე განცალკევებულ ცხოვრებას ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ან საქმიანობდნენ პატარა ჯგუფებად გაერთიანებულნი. ყოველ მათგანს ეკავა თავისი ადგილი სოფელში, დასახლებეში, დიდ ქალაქში, კვარტალში.

„ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობს მნიშვნელოვანი ფაქტი: მთელი ძალაუფლება საზოგადოებაში ხელთ იგდეს მასებმა, რადგან მასები განსაზღვრების თანახმად არ უნდა მართავდნენ და არც შეუძლიათ მართონ საკუთარი ბედიც

კი, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადოებაზე მთლიანად, აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპა ამჟამად განიცდის ყველაზე მძიმე კრიზისს, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს ხალხს, ერს და კულტურას. ასეთი კრიზისები, არა ერთხელ იყო ისტორიაში, მათი ნიშნები და მათგან გამომდინარე შედეგები ცნობილია. მათი სახელიც ცნობილია- ესაა მასების ამბოხი.“ [2;120].

ფილოსოფოსი ასახელებს იმ სამ ფაქტორს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს და მისცეს ახალი სარბიელი თანამედროვე ადამიანს. „სამმა ფაქტორმა გახადა შესაძლებელი ამ ახალი სამყაროს შექმნა: ლიბერალური დემოკრატია, ექსპერიმენტული მეცნიერება და ინდუსტრიალიზაცია“.

შეიქმნა ახალი „ინსტიტუციები“, ახალი „ორგანიზაციები“ - მასობრივი ცნობიერების ორგანიზაცია, სადაც იჭედება „მასობრივი ღირებულებები“. ეს ფაქტორი სერიოზულ დაბრკოლებად აღიმართა ადამიანის გათვითცნობიერების გზაზე. ამ ახალი ორგანიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრა **ორტეგა-გასეტმა.** სოციალურ გარემოს შეუძლია პიროვნებაში პიროვნულის ნიველირება. ამ დროს პიროვნება იქცევა „ამბოხებულ მასად“. იგი თვლის , რომ ამის მიზეზი ისაა, რომ ევროპა დარჩა მორალის გარეშე, მასის ადამიანმა უკუაგდო მოძველებული მცნებები არა იმისათვის, რომ შეეცვალა ისინი ახლით, უკეთესით. არამედ ის, რომ მისი სასიცოცხლო წესის შინაარსად ქცეულა, იცხოვროს მცნებებისადმი დამორჩილების გაეშე.

ფილოსოფოსმა მოგვცა ევროპის კრიზისს ღრმა ანალიზი, რითავ რეალობაზე მეტად იწინასწარმეტყველა მომავალი. ამ პესიმიზმში ჩანს თანამედროვე ცივილიზაციის წინააღმდეგობრიობა და კრიზისი, რომელიც სულ უფრო ღრმავდება და კაცობრიობის ბუნდოვან პერსპექტივად იქცევა.

ადამიანის დაკარგვა მასაში დიდი ბოროტებაა, ცოდვით დაცემაა, ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაზრისით. ასეა, რადგან ადამიანის მსგავსებას ღმერთთან ქრისტიანობა ადამიანის შინაგან უნიკალობაში, განუმეორებლობაში ხედავს. მასაში დაკარგვა კი სწორედ ამ ღირსების დაკარგვაა და, მაშასადამე, ულმერთობაა. აქედან გასაგებია ქრისტიან მოაზროვნეთა შეშფოთება „მასობრივი ადამიანის” გამო, მათ მიერ ამ პრობლემის მწვავე შეფასება და გამოსავლის ძიება.

ამ მხრივ საინტერესოა გერმანელი კათოლიკე ფილოსოფოსისა და თეოლოგის რომანო **გვარდინის** (1885--1968) წიგნი „ახალი დროის დასასრული. ორიენტაციის მცდელობა”. წიგნი გამოვიდა 1950 წელს.

წიგნის ავტორის ორიგინალობა უკვე იმაში ჩანს, რომ იგი დაუპირისპირდა ხოსე **ორტეგა-გასეტის** იმხანად ესოდენ გახმაურებულ ბესტსელერს „მასების ამბოხი”. ესპანელი ფილოსოფოსი მსოფლიო ისტორიის არენაზე „მასის ადამიანის” გამოჩენას მხოლოდ ნეგატიურად მოვლენად აფასებდა და ამ მხრივ წმინდა არისტოკრატიულ პოზიციას იკავებდა. გვარდინი არაა ასე რადიკალური, თუმცა არანაირად არ აპირებს დახუჭოს თვალი მასის გააქტიურების პროცესის საშიშ ტენდენციებზე.

უწინარესად ყოვლისა, გერმანელი ფილოსოფოსი არ ემხრობა „თანამედროვე მასის” გაიგივებას „უფორმო სიმრავლესთან”, ადამიანთა გროვასთან, რაიც ახალ დროში ფონს ჰქმნიდა ცალკეული „მაღალგანვითარებული ინდივიდებისთვის”.

კერძოდ, იმ ცეზარე ბორჯიებისა და ბენვენუტო ჩელინებისთვის, ნაპოლეონებისა და გოეთეებისთვის, ვინც მოახერხეს საკუთარი უნიკალობის, განუმეორებელი სუბიექტურობის რეალიზება; ხოლო მოახერხეს ეს იმ „მრავალთა, ერთობ მრავალთა” საწინააღმდეგოდ, რომლებსაც კვარცხლბეკის, ხოლო ხშირად მასალის როლი ერგოთ წილად.

გვარდინი კი ფიქრობს, რომ ახალი დროის „ჩვეულებრივ ადამიანსაც” არანაკლებ სურდა საკუთარი თავის რეალიზება, ვიდრე იმ ეპოქის არისტოკრატ წარმომადგენლებს. დიახ, სურდა, მაგრამ ვერ შეძლო გარემოებათა გამო. მან ვერ განავითარა თავისი პიროვნება, ვერ განახორციელა იგი „გარეთ” -- „ისტორიის მასალაში”, ეპოქის „ლითონსა და ქვაში”. ახალი დროის „ინდივიდთა სიმრავლე” ბედმა გასწირა, არ მისცა „რეალიზების შანსი”. „თანამედროვე მასა” კი სხვაა. მის წარმომადგენლებს აღარ სურთ „თვითრეალიზება”. ეს აღარაა მათი იდეალი. აი ამ არსებითი განსხვავების დანახვას ითხოვს გვარდინი.

ახალი დროის „ინდივიდთა უფორმო სიმრავლე” ადამიანის ემანსიპაციის შედეგია. „მასა” კი, რომლის გამოჩენამაც გვაუწყა ახალი დროის დასასრული, სრულიად სხვა პროცესების შედეგია -- იგი მსხვილ მანქანურ წარმოებას უკავშირდება.

„მასის ადამიანს” აღარ ხიბლავს ინდივიდუალობა და სუბიექტურობა იმ აზრით, როგორც იგი ესმოდა აღორძინების ხანას; კერძოდ -- უსაზღვრო, უზომო ინდივიდუალობა. ამ ახალ სოციალურ ტიპს არ სჩვევია თავისი უნიკალობის ხაზგასმა. ის აღარ ეძებს განუმეორებელ იერ-სახეს და განსხვავებულ „ცხოვრების წესს”. პირიქით, მას მოსწონს თავისი ცხოვრების „რაციონალური დაგეგმვა და ნორმირება” მანქანური წარმოებიდან მომდინარე მოთხოვნების შესაბამისად. ეს მიაჩნია მას გონივრულ ცხოვრებად. ასევე ნაკლებად იზიდავს „მასის ადამიანს” „თავისი ცხოვრების დაფუძნება პირად ინიციატივაზე” [1; 67]. მას ურჩევნია იხელმძღვანელოს მრავალრიცხოვანი ორგანიზაციიდან მოწოდებული პროგრამით. მათში ჩართული და მათგან მართული „ადამიანი ინდივიდუალურობის გარეშე» სულაც არ იმყოფება შეურიგებელ კონფლიქტში მათთან, რადგან აქაც კარგად პოულობს თვითრეალიზების რესურსებს.

ეს არ ნიშნავს, რომ გვარდინი აღტაცებულია „მასობრივი ადამიანით». ის კარგად ხედავს იმ დანაკარგს, რაც თან ახლავს ახალ პროცესს: „მასის ადა-

მიანი» ბევრი რამით ჩამოუვარდება „რენესანსის ადამიანს». შეუძლებელია ვერ შენიშნო ის სევდა, რაიც თან ახლავს გვარდინის მსჯელობას „მასის ადამიანის» დახასიათებისას. ამ ადამიანს, ჩამოუყალიბდაო თავისებური „ინსტინქტი» -- არ გამოირჩეოდეს სხვებისგან, დარჩეს კოლექტიური სულისკვეთების უპიროვნო მატარებლად, თითქოს თავისებურება უამრავ საფრთხეს შეიცავდეს და „ყოველივე უსამართლობის» საწყისი იყოს.

გვარდინის აშკარა შეშფოთებას იწვევს ის, რომ „ინდუსტრიულ საზოგადოებაში» ჰქრება „ადამიანთა კერძო ცხოვრებისადმი პატივისცემა «. კერძო ცხოვრება სულ უფრო ღრმად და „ტოტალურად» მოიცვა სტატისტიკამ და გადაიქცა ადმინისტრირების საგნად. ეს ტენდენცია ფაშიზმის საფრთხეს შეიცავს.

მაგრამ, „ადამიანის რენესანსული ტიპის» თაყვანისმცემელთაგან განსხვავებით, გვარდინი არ ფიქრობს, რომ ამ დანაკლისმა გამოიწვია პიროვნების დეგრადაცია, მისი ღვთიური მომენტის -- „სახის» დაკარგვა. „მასის ადამიანი» კათოლიკე მოაზროვნეს როდი წარმოუდგება ნაკლები ყურადღების ღირსად, ვიდრე „რენესანსული ინდივიდი» იყო, რომელიც მართლაც უფრო შთამბეჭდავი ჩანს. გვარდინის ღრმად სწამს, რომ ეს უპირატესობა **ესთეტიური** ხასიათისაა და არა **ეთიკურის.**

„რენესანსული ინდივიდუალიზმით» აღტაცებაა, მისი ქებათა ქება **ესთეტიზმია.** მაგრამ ეს თვალსაზრისი შეზღუდულია -- არ ითვალისწინებს იმ ათასობითა და მილიონობით ადამიანს, ვის ხარჯზეც განახორციელეს საკუთარი თავი ცალკეულმა „ტიტანურმა პიროვნებებმა». გვარდინი რელიგიური მოაზროვნეა და არ შეუძლია არ დაუპირისპიროს ამ ესთეტიზმს **ეთიკური** თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისის თანახმად, არ უნდა დაგვავიწყდეს ის „მრავალნი, ერთობ მრავალნი». განა სამართალია ის, რომ ამ ადამიანებს არ მიეცათ საკუთარი ცხოვრების რეალიზების, საკუთარ თავში ღვთიური საწყისის აღმოჩენისა და დამკვიდრების საშუალება?

მართლაც, ვისაც ზნეობრივი გრძნობა შემორჩენია, შეუძლებელია არ მოესმას ხმა „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა». მას, ვისაც მოესმა ეს ხმა, არ გაუჭირდება ახალი დროის დასასრულს შექმნილი სიტუაციის დანაკარგი და მონაპოვარი შეადაროს ერთმანეთს და ნახოს, თუ რომელი გადასწონის.

გვარდინის ეს დასკვნა შეიცავს მოწოდებას თვითშეზღუდვისკენ და „ახალი დისციპლინისკენ», რაც უპირისპირდება აღორძინების ხანის მოთხოვნას უსაზღვროდ განავითარო საკუთარი თავი; მოთხოვნას, რომელიც ისმოდა ახალი დროის ზედ დასასრულამდე. კათოლიკე ფილოსოფოსი აღმართავს იდეას: „ძალაუფლება ძალაუფლებაზე!». ეს იდეა მან დაუპირისპირა „ძალაუფლების ნების» მაკიაველურ-ნიცშეანურ იდეას.

ახლა სიმძიმის ცენტრი გადადის ახალ კითხვაზე: რამდენადაა შესაძლებელი პიროვნების გადარჩენა მასის წიაღში? გვარდინი ფიქრობს, რომ მეოცე საუკუნის შუახანებში ადამიანის წინაშე ორი გზა გამოიკვეთა: ადამიანი ან საერთოდ დაკარგავს თავის პიროვნულობას, უნაშთოდ გაქრება მის მიერ შესრულებულ მანქანურ ფუნქციებში, ან მოახერხებს „დისტანცირებას» მათგან და გამაგრდება საკუთარ თავში, თუნდაც გარეგანი სიკეთეების და ამბიციების დათმობის ფასად. ცხადია, ამგვარი თვითშეზღუდვით საკუთარი პიროვნული „ბირთვის» გადამრჩენი ადამიანი ნაკლებად ჰგავს რენესანსისეულ „ყოველმხრივ განვითარებულ» ადამიანს.

გვარდინი მზადაა საერთოდ თქვას უარი პიროვნების ცნებაზე, რომელიც მას რენესანსსა და ახალ დროსთან, მაშასადამე, ექსტენსიური „თვითგანვითარების» იდეასთანაც, სამუდამოდ დაკავშირებულ მოვლენად წარმოუდგება. ჩვენი დროისათვის უფრო შესაფერის ცნებად მას **„სახე»** მიაჩნია. მასში უნდა ვიგულისხმოთ პიროვნების მეტაფიზიკური „ბირთვი», რომელიც რჩება პიროვნების რღვევის შემდეგაც.

„სახე» ინდივიდის, მისი სიმძიმის ცენტრის თავმოყრაა საკუთარ თავში, კერძოდ, ყოფნა არა სამყაროს, არამედ ღვთის მიმართ. „სამყაროს მიმართ ყოფნამ», რაც პანთეისტურმა რენესანსმა დაამკვიდრა, ვერ გაამართლა. ამ გზაზე ადამიანმა ღმერთი დაკარგა და მოიპოვა საკუთარი ინდივიდუალობა. ახლა უარი უნდა ეთქვას პიროვნებას და თავი უნდა მოვუყაროთ მის მიერ გაფანტულ „ღვთიურ ბირთვს», „სახეს».

პიროვნება სოციოლოგიის საგანია. ის „როლების ერთობლიობაა». ეს როლები ხშირად სრულიად გამორიცხავენ ერთმანეთს და ინდივიდი დგება მკაცრი აუცილებლობის წინაშე: ერთი როლის „ოპტიმალური ფუნქციონირება» ითხოვს სხვა როლების „ჩავარდნას». უკიდურეს შემთხვევაში იმ როლებისა, რომლებიც სხვებზე მეტად ეწინააღმდეგება მოცემულ როლს. ამიტომ მას უწევს საკუთარ თავთან წინააღმდეგობა და გახლეჩა რამდენიმე „მე»-დ.

ერთი როლის გამო მეორის დავიწყება ნიშნავს საკუთარ თავთან იგივეობის გრძნობის დაკარგვას, საკუთარი „სახის» დაკარგვას. საკუთარი „სახე» მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა „სულიერი განცდების» განუწყვეტელი ნაკადი მიმართულია რაღაც მყარისადმი, უცვლელისადმი, აბსოლუტურისადმი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ახერხებს გამოიმუშავოს ჩვევა ამ დანაკარგის განცდისა თავისუფლებად, კერძოდ, თავისუფლებად ახალ-ახალი „თვითრეალიზაციისთვის» ახალ-ახალ როლებში. იკარგება საკუთარი თავი როგორც რაღაც ერთი და მთლიანი. ადამიანს გაეფანტა თავისი „თვითობა» ერთმანეთის საწინააღმდეგო როლების გროვაში. უკეთეს შემთხვევაში შენარჩუნებულია ფორმალური ერთიანობა საკუთარ თავთან, ფორმალური „მე», მაგრამ არა შინაარსეული „მე», ვისაც ძალუძს პასუხის-

მგებლობის აღება საკუთარი ქცევისთვის.

როცა ამ მთავარი ცნების-„სახის" დადებითი დახასიათებაა საჭირო, გვარდინი ამჯობინებს მეტაფორებს. მათ შორის განსაკუთრებით ხშირად ფიგურირებს „ღვთის მიერ გამოძახება". ყველა ადამიანი, რეალიზებულიც და არარეალიზებულიც, „გამოძახებულია" ღვთის მიერ, ანუ რაღაც მიმართებაშია ღმერთთან. „სახე" როდია არისტოკრატთა პრივილეგია, ბედის საჩუქარი. ეს არაა მოწოდება უსაზღვრო თვითრეალიზაციისკენ. ეს ადამიანის ერთგულებაა თავისი ძირეული მოვალეობისადმი -- ატაროს საწყისი; უფრო მაღალი, ვიდრე თვითონაა თავისი ორიგინალობითა და უნიკალობით.

ჩვენს დროის მთავარი ამოცანა ადამიანის „სახის" შენარჩუნებაა. ჩვენი კულტურის მთავარი იდეა ესაა. კულტურად ამიერიდან ის უნდა ჩაითვალოს, რაც თითოეულ ადამიანს დაეხმარება საკუთარი „სახის" შენარჩუნებაში. თითოეულს და არა ცალკეულ რჩეულებს, რადგან „გამოძახებულია" ყველა და არა მხოლოდ გენიოსი. ყველასა აქვს ეს „პირადი შანსი" როგორც რაღაც უპირობო, რასაც უნდა შემოვავლოთ ყველაფერი დანარჩენი. კულტურა იმისთვისაა მოწოდებული, რომ ეს შანსი არ დაიკარგოს.

თითოეული „სახე" გვარდინის **განუმეორებლად** მიაჩნია. მაგრამ ეს რენესანსისეული განუმეორებლობა როდია, წმინდა ბუნებრივ მრავალფეროვნებას რომ იტევდა ეგზომ ჭარბად. „სახის" განუმეორებლობა სხვაა -- ეს არის ადამიანის შეუცვლელობა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღების ჟამს, ღრმა სერიოზულობით აღსავსე ცნობიერება იმისა, რომ შენს ზნეობრივ საქმეს ვერავინ აღასრულებს თვითონ შენს გარდა. შენი ზნეობრივი ქცევა მხოლოდ შენი საქმეა. მას სხვას ვერავის დაავალებ, ვერც ვინმეს შეიზიარებ მასში.

ასეთი შეუცვლელობის, ჩაუნაცვლებლობის დამღა ხდის ყველა ადამიანს სრულიად განსხვავებულს სხვებისგან. მაშ გვაქვს თუ არა საფუძველი ასერიგად დაგვაფრთხოს მასების ზრდამ? გვარდინის პასუხი მკვეთრად უარყოფითია -- გარეგნული ბრწყინვალების შემცირება ხელს არ უშლის შინაგან გაბრწყინებას.

როცა კულტურა გარეთკენაა ორიენტირებული, შედეგად მივიღებთ ერთ გამარჯვებულს და ათას ხელმოცარულს. მათი გაჩენა არ იყო საჭირო, მაგრამ რაკი გაჩნდნენ, იმ ერთისათვის კვარცხლბეკის როლი უნდა შეასრულონ. მაგრამ როცა კულტურა შიგნითაა ორიენტირებული, მაშინ ყველას თანაბარი შანსი აქვს გამარჯვებისა, თვითრეალიზაციისა. თუ ყველა „სახე" განუმეორებელია და ეს განუმეორებლობა ყველა პირობებში შეიძლება განხორციელდეს, მაშინ კარგია ადამიანთა მასობრივი სიმრავლე. „ისა სჯობს, რომ ადამიანები რაც შეიძლება ბევრნი იყვნენ" [1; 70].

მაშასადამე, „მასების საზოგადოება», ესე იგი, საზოგადოება, სადაც ერთმანეთის გვერდით მილიონობით ადამიანი ცხოვრობს, კათოლიკურ მოაზროვნეს ეჩვენება არა მხოლოდ გარდუვალობად, არამედ აგრეთვე ზნეობრივად გამართლებულ მდგომარეობად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Guardini R. Das Ende der Neuzeit. Ein Versuch zur Orientirung. Wurzburg, 1950 (Neunte unveranderte Auflage, 1965);
2. Хосе ортега-и-гассет, восстание масс, вопросы философии, 1989, №3.

# ბავშვის აღზდა და პირველი ექვსი წელი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის

***მარინა კაჭარავა***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

წინამდებარე ნაშრომი ეხება ბავშვის აღზრდის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, კერძოდ პირველი 6- 7 წლის მნიშვნელობა სამომავლოდ პიროვნების ფორმირებისთვის.

ბიბლიის მიხედვით ღმერთმა კაცობრიობა და ადამიანი ოჯახის სახით მოავლინა. ადამიანი არის ბიო-ფსიქო-სოციალური არსება უკვდავი სულით. ანუ, შეიძლება ითქვას რომ ადამიანში არის 4 მდგენელი: 1) ბიოსამედიცინო, სადაც მოიაზრება ადამიანის სხეული ყველა თავისი ფიზიოლოგიური თუ გენეტიკური მახასიათებლებით; 2)ფსიქოლოგიური - აზროვნება, ემოცია, ნებელობა, და სხვ. პიროვნული მახასიათებლები; 3) სოციალური - ოჯახის ტიპი, საზოგადოება, ურთიერთობები, გავლენები; 4) სულიერი - ღირებულებითი სისტემა, მორალი და აკრძალვები.

ამ სტატიაში შევეხებით ოჯახისა და ურთიერთბების თემებს, ბავშვის აღზრდასთან მიმართებით. რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახური ატმოსფერო, ურთიერთობების ტიპი და სწორედ ჩასახვიდან მოყოლებული ე.წ. კრიზისული პერიოდები. იმისდა მიხედვით თუ როგორ გადალახავს ადამიანი ამ კრიზისებს,თუ მოხდება გარკვეული ფიქსაციები ამა თუ იმ პერიოდში, სამომავლოდ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პიროვნების ხასიათს, პრობლემებს, ცხოვრების წესს და ა.შ.

პირველი 6-7 წლის განმავლობაში ყალიბდება ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა: ოპტიმიზმი/პესიმიზმი, ბაზისური ნდობა/უნდობლობა, ნებისყოფა, ინიციატივა და ავტონომიურობა თუ არაცნობიერი სირცხვილი და დანაშაულის განცდა, სქესთან იდენტიფიკაცია, საკუთარი თავისა და სამყაროსადმი დამოკიდებულება.

ოჯახია ის პირველი სოციუმი, სადაც იზრდება და ყალიბდება პიროვნება და სწორედ აქედან გამომდინარე განვიხილავთ ოჯახის ტიპებს, ურთიერთობების ფორმებს და „მე"ს („მე", როგორც სოციალიზაციის პროდუქტი და პლატფორმა რაზედაც ხდება პიროვნების დაშენება) ფორმირების წინაპირობებს.

**საკვანძო სიტყვები:** ფუნქციური/დისფუნქციური ოჯახი, კრიზისი, „მე", სირცხვილის და დანაშაულის განცდა.

**შესავალი**

პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებს: 1. გენეტიკური (ბიო-სამედიცინო), 2.პიროვნული, 3. სოციალური და 4.სულიერი ფაქტორები. გენეტიკურში იგულისხმება არა მხოლოდ გარეგნული მსგავსება, არამედ გამკლავების სტრატეგიები და სცენარები, და ეს უკანასკნელი (სცენარი), ზოგჯერ ცდება ბიო-სამედიცინოს საზღვრებს (მაგ. ბავშვი ემსგავსება ისეთ ნათესავს რომელიც არასდროს უნახავს, ან თავიდან მშობლების ანტისცენარია და რაღაც ასაკში ძალიან ემსგავსება დედას ან მამას პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებით და სხვ.).

ოჯახი თავისმხრივ შესაძლოა იყოს ფუნქციური და დისფუნქციური, რომელთაგან დისფუნქიური მრავალფეროვნად წარმოდგენილი, ხოლო ფუნქციური კი არის ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთმიღებაზე დაფუძნებული. დისფუნქციურია ოჯახი სადაც არის ავტორიტარული ან ზედმეტად ლიბერალური აღზრდის სტილი. ავტორიტარულში პიროვნება არ განიხილება, ხოლო ლიბერალურში საზღვრები არის მორღვეული და ხშირად ეს ორივე უკიდურესობა არასასურველ შედეგს იძლევა. დისფუნქციურ ოჯახში შესაძლოა იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, უყურადღებობა, უპატივისმცემლობა და ერთმანეთის არ გათვალისწინება. ასევე უნდა ალინიშნოს,რომ დისფუნქციურ ოჯახი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს „ოჯახი თეატრის" სახით, სადაც ყველას აქვს გადანაწილებული „როლები", და ტყუილებზე იგება ურთიერთობები (მაგ. ოჯახში არის შიზოფრენიით დაავადებული პირი და ამის დასამალად იქმნება" მითი" და ნაწილდება" როლები". მთავარია არავინ გაიგოს სიმართლე). არსებობს „ოჯახი ციხესიმაგრე" სადაც მშობლები მთლიანად არიდებენ ბავშვებს გარე სამყაროს, რათა დაიცვან საფრთხეებისგან. ამის შედეგი მძიმეა, რადგანაც როდისღაც მათ მოუწევთ სოციუმთან შეხება და არ ექნებათ არც იმუნიტეტი და არც ადაპტაციის უნარი.

ზოგჯერ ოჯახებში გვხდებიან: მოძალადე, მაამებელი და განრიდებული ტიპები. მათ შორის კომუნიკაცია არის ჩაშლილი და შედეგად შვილები ზარალდებიან, რადგანაც პასუხისმგებლობას არავინ იღებს, აბრალებენ ერთმანეთს, რამაც შესაძლოა ბავშვებში სხვადასხვა ქცევითი აშლილობები გამოიწვიოს.

ფუნქციური ოჯახი არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ელოდებიან, უსმენენ, პატივს სცემენ და სადაც მშობელი არის ავტორიტეტი, ხოლო ბავშვი არის პატივსაცემი პიროვნება.

**ძირითადი ნაწილი**

ოდითგანვე ბავშვი იყო და არის სანუკვარი არსება ადამიანისთვის. კაცობრიობის მთელი ძალისხმევა არის მიმართული, ან უნდა იყოს მიმართული ჯანსაღი თაობების არსებობისა და განვითარებისკენ. ახალი არც ის არის რომ,ბავშვის განვითარებისთვის საუკეთესო ადგილი არის ოჯახი: დედა, მამა და შვილები. შესაძლოა რომ,ოჯახი იყოს სამთაობიანი, სადაც ბებია/ბაბუები და უახლოესი ნათესავები ძალიან დიდ როლს თამაშობენ ბავშვის ცხოვრებაში. წარმოუდგენლად დიდია სითბოს, სიყვარულის და ზრუნვის მნიშვნელობა ყოველი ჩვენთაგანისთვის. სიყვარულში გაზრდილ ბავშვში ხდება სითბოს, მზრუნველობის და სიკეთის აკუმულირება და ეს ენერგია კი არ იკარგება, არამედ ხდება მისი გაცემა გარშემომყოფებზე.

ყველაფერი იწყება ჩასახვიდან, უფრო მეტიც ფსიქოსომატიკოსები თვლიან რომ, ჩასახვამდე 1 წლით ადრე არსებობდა განზრახვა, შემდეგ ჩასახვა და 9 თვე მუცლად ყოფნა და დამატებული 1 წელი დაბადებიდან არის უმნიშვნელოვანესი მომავალი პიროვნების ფუნქციონირებისთვის. ყველა გადაუჭრელი ემოციური კონფლიქტი მშობლებს შორის, ბავშვის ტვინში იწერება როგორც საკუთარი კონფლიქტები და გადაიქცევა „სპეციალურ ბიოლოგიურ პროგრამებად“ (სპბ).არსებობს მეტაფორა : პროგრამირების ფაზაში ხდება ოპერატიული სისტემის დაყენება და მხოლოდ შემდეგ გაეწყობა სხვადასხვა პროგრამები. ფსიქიკა არის ტვინის პროგრამული უზრუნველყოფა.). ამას გარდა ერიკ ერიქსონის ფსიქოსოციალური და ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოსექსუალური განვითარების თეორიების მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ჩასახვა - დაბადებიდან პირველ 6-7 წელიწადს.

ჩასახვიდან დაბადებამდე ადამიანს აქვს ყველაზე „კომფორტული“, დაცული და უსაფრთხო პერიოდი, ანუ დედის წიაღში, როგორც „მიწიერ სამოთხეში“ ისე ცხოვრობს ბავშვი. დედასა და ბავშვს შორის არის ფიზიკური, ემოციური და კოგნიტური კავშირი. ბავშვი გრძნობს დედას, მას ინფორმაცია მისდის იმის შესახებ თუ რამდენად სასურველია, რამდენად ელოდებიან. არსებობს სტატისტიკა, რომ აბორტს გადარჩენილი ბავშვები არიან აგრესიულები მშობლების მიმართ და უნვითარდებათ ბაზისური უნდობლობა.

სწორედ ჩასახვიდან და 0 დან 1 წლამდე ყალიბდება სამყაროსადმი ნდობა/უნდობლობა, ოპტიმიზმი/პესიმიზმი. მშობლები თუ ერთმანეთს პატივს სცემენ და ბავშვს განიხილავენ როგორც ცალკე ძალიან მნიშვნელოვან პიროვნებად( და არა საშუალებად), მაშინ პატარა თავს დაცულად გრძნობს და საკმარისობის განცდა უჩნდება. ასევე ეს არის პერიოდი, როდესაც ახალშობილი ყველაფერს პირით ეხება და სამყაროს შეცნობა ხდება კვებით,წოვით და ა.შ. ამიტომაც ამ პერიოდს უწოდებენ „ორალურ“ პერიოდს და ამდროინდელი ფიქსაციები შემდგომში იწვევენ ისეთ ქცევებს როგორიცაა: ფრჩხილების კვნეტა, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის მიღება, კომპულსიური კვება და კიდევ სხვა რაც პირთან არის დაკავშირებული, ასევე უნდობლობა, პესიმიზმი და ნეგატიური აზროვნება.

1 წლიდან 3 წლამდე არის უმნიშვნელოვანესი პერიოდი პიროვნებისს ნებიყოფის განვითარებისთვის. ამ დროს იწყება სპინქტერების მუშაობა და ტუალეტის მოწესრიგების დასწავლა ხდება ბავშვის მიერ. რამდენად სწავლობს ბავშვი თავშეკავებას, ტუალეტთან ურთიერთობას, იმდენად შემდგომში იქნება მოწესრიგებული და ნებისყოფიანი. ეს პერიოდი პირდაპირ კავშირშია ქცევის კონტროლის დასწავლასთან. ამ პერიოდს ეწოდება „ანალური პერიოდი“ და ამდროის ფიქსაციებთან არის დაკავშირებული მფლანგველობა/სიძუნწე, ექსტრავაგანტულობა, ფეთხუმობა თუ მოწესრიგებულობა. ასევე არაცნობიერი სირცხვილი, რომელიც ძალიან ხელს უშლის ადამიანს ფუნქციონირებაში. რამდენადაც სირცხვილი საჭირო ემოციაამ მაშინ როდესაც ეს ეხება ღირებულებებს და მორალს, იმდენად დესტრუქციულია თუ ადამიანმა არ იცის რისი და რატომ ცხვენია. ამ პერიოდის ფიქსაციებთან აკავშირებენ აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას. თამაში ბავშვისთვის აუცილებელი და საჭირო ქცევაა, თამაშით ბავშვი ემზადება მომავალი ცხოვრებისთვის ( დ. უზნაძე), მაგრამ როდესაც თამაში ხდება მთავარი სტრატეგია ადამიანისთვის ეს მის ფსიქიკურ ინფანტილობასა და შეუმდგარობაზე მიუთიტებს. იგივე ითქმის ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ქცევაზე.

3 წლიდან 6 წლამდეც არის, ბავშვის განვითარების,ასევე ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი. ამ დროს უყალიბდება ადამიანს ავტონომიურობა და ინიციატივა. რამდენად დამოუკიდებელი და ავტონომიური იქნება მომავალში. ასევე ამ დროს ხდება „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს „მე“ს გამოდიფერენცირებას ერთიანი ფენომენოლოგიური ველიდან ( ბავშვს თავიდან აქვს დიფუზური აღქმა ). ასევე ამ პერიოდში ხდება პიროვნებისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, სქესთან იდენტიფიკაცია ( მე გოგო ვარ, ან მე ბიჭი ვარ). სქესთან იდენტიფიკაციას აკეთებს საკუთარი სქესის მქონე მშობელთან. ამ დროს გაუთავებელი შენიშვნები, კრიტიკა, დაცინვა (ბავშვი ხუმრობას ასე აღიქვამს) ბავშვს უკლავს ინიციატივას, აუფასურებს მის მნიშვნელობას და დანაშაულის განცდას უყალიბებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შიძლება ვისაუბროთ რა ხდება დღეს საქართველოს რეალობაში. ქალების კრიტიკულად დიდი რაოდენობა არის გასული სამუშაოდ საზღვარგარეთ. ბოლო ინფორმაციით მამაკაცებიც მიემგზავრებიან, ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყიდიან რაც გააჩნიათ, ტოვებენ ოჯახს ნაქირავებში

და მიდიან ბედის საძებნელად. ხშირ შემთხვევაში, ქალსაც და მამაკაცსაც ურჩევნიათ წასვლა სანამ ბავშვები პატარები არიან. მათი არგუმენტი არის:“ პატარას რა ესმის, სანამ გაიზრდება ან ჩვენ ჩამოვალთ და ან ბავშვებს წავიყვანთ სადაც ვიქნებით“. ამ დროს თურმე ბავშვს ყველაფერი ესმის, ახსოვს და გრძნობს. მას უნვითარდება მიტოვებულობის განცდა, ჰგონია რომ არ არის საჭირო, არავის უყვარს,. განცდაში აქვს რომ დამნაშავეა, რცხვენია საკუთარი თავის, აქვს დაბალი თვითშეფასება და არსებობს ალბათობა განუვითარდეს სხვადასხვა ფსიქოსომატური დაავადებები. ასევე ლიტერატურიდან ცნობილია, რომ წინასწარი დანაშულის განცდა ხშირად ხდება კრიმინალური (დელიკვენტური) ქცევის საფუძველი, რადგანაც ეს დანაშაულის განცდა კონპენსირდება ჩადენილი დანაშაულით. დანგრეული ოჯახები, ძალადობრივი ურთიერთობები, არსებული სოციალური ფონი, ნარკოტიზაცია, ლეგალური აზარტული თამაშები კიდევ უფრო ამძიმებენ და ამძაფრებენ ბავშვების მდგომარეობას.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ: პირველ რიგში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ლიტერატურა და ზოგადად ინფორმაცია ყოველი ადამიანისთვის. ცალკე უნდა ისწავლებოდეს ურთიერთობა და კომუნიკაციის წესები. კონფლიქტოლოგიის საფუძვლები, რაც დაინტერესებულ პირს მისცემს საშუალებას გაიაზროს როგორ მოაგვაროს კონფლიქტები დეესკალაციის გზით. აქ განხილულია მოკლედ დაბადებიდან პირველი 6-7 წელი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია 6-12 წლების და 12-19 წლების და ა.შ. კრიზისები.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს ფუნქციურ ოჯახთა რიცხვი, რაც გულისხმობს ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობას როგორც ფინანსური

ასევე საგანმათლებლო კუთხით. კარგი იქნება არსებობდეს წყვილთაშორისი თერაპია,

ბავშვებისთვის კეთილმოწყობილი ბაღები, სკოლები, სადაც ბავშვის ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობა და განათლება იქნება პრიორიტეტული.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. განწყობის ფსიქოლოგია, დიმიტრი უზნაძე - 2019 ახალი გამოცემა
2. Erikson’s Stages of Development A Closer Look at the Eight Psychosocial Stages Updated on August 03, 2022
3. Theories of Personality. Calvin S.Hall, Gardner Lindzey, John B. Campbell. Originally published -1957
4. Moldovan S. Stewardship, Philanthropy, Social Services. The Orthodox Chirch and the Challenge of Addictions. Revista Toelogica. 2013. Vol.95, no 1.
5. Sexuality and development, Sigmund Freud updated - 2020
6. Psychosomatik Medicine, Journal of Biobehavioral Medicine -2022

# „ოსების გენოციდის“ პროპაგანდა და რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების განმაპირობებელი ფაქტორები

*შოთა ვადაჭკორია*
*სტუ-ს პროფესორი*

**ანოტაცია**

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში დასაბუთებულია: 1) მ.გორბაჩოვისეული “გარაქმნის” პოლიტიკური კურსი და ა.სახაროვისეული “ახალი კონსტიტუციის პროექტი”, საბჭოთა იმპერიის კონფედერაციული ფორმით შენარჩუნებას და სამართლებრივად დაკანონებას ისახავდა მიზნად. საქართველოს მიმართ, “პატარა იმპერიის” ა.სახაროვის “ჰიპოთეზა” და შესაბამისი იდეოლოგიური პროპაგანდა, ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: ა) საერთაშორისო არენაზე საქართველოს, როგორც “პატარა იმპერიის” დისკრედიტაციას და პოლიტიკურად მისი “დემონტაჟის” აუცილებლობას; ბ) აფხაზურ - ოსური სეპარატიზმის გააქტიურების გამართლებას; 2) ამ მიართულებით შემზადებული იდეოლოგიური ბაზა დაედო საფუძვლად, ოსი სეპარატისტებისგან შექმნილ ცილისმწამებლურ “საკანონმდებლო აქტებს”. მხედველობაში გვაქვს: ა) ”რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციისა და 1920 წელს სამხრეთის ოსების გენოციდის შესახებ”, “სამხრეთ ოსეთის” პარლამენტის მიერ 1990 წელს მიღებული დადგენილება; ბ) ”სამხრეთ ოსეთის” პარლამენტის 2006 წლის ოქტომბრის დადგენილება, 1918 - 1920 წლებში ოსი ხალხის “გენოციდთან” მიმართებაში; გ) ამ “დოკუმენტებზე” დაყრდნობით მომზადდა, ქართველებისგან 1920 წელს “ოსების გენოციდთან” მიმართებაში ვ.პუტინის 1019 წლის 9 ივლისის ბრალდებითი ხასიათის განცხადება. “ოსების გენოციდის” შესახებ რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაწეული ფართომასშტაბიანი პროპაგანდა, ჰიბრიდული ომის ერთ - ერთ სახეობას წარმოადგენდა და ქართველი ერის იდეოლოგიურად ლაფში ამოსვრაზე იყო გათვლილი; 3) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ რეზოლუციებში მოტანილი ტერმინების: გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, ეთნიკური წმენდისა და წამების დეფინიციებში არსებული მოთხოვნები სრულად შეესატყვისება ოსებისგან 1918 - 1925, 1991 - 1992, 2008 და შემდეგ წლებში შიდა ქართლში მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლის უტყუარობა საარქივო დოკუმენტებით დასტურდება.

**საკვანძო სიტყვები:** ოსი ხალხის გენოციდი, პროპაგანდა, რუსეთის ინტერესები.

## PROPAGANDA FOR “OSSETIAN PEOPLE’S GENOCIDE” AND FACTORS SHAPING THE INTERESTS OF THE RUSSIAN STATE

**Shota Vadachkoria**
Professor of GTU

**ANNOTATION**

The article substantiates the following points using documentary material and relevant scientific literature: 1) political course of M. Gorbachev’s “Perestroyka” and A. the Sakharov’s constitutional draft was aimed at preserving and legally legitimizing the Soviet empire as a confederation. With regard to Georgia, Sakharov’s “hypothesis” of a “small empire” and the associated ideological propaganda served two main purposes: (a) Discrediting Georgia as a “small empire” on an international scale and its necessary political “demolition”; Justification for reactivating Abkhazia - Ossetia separatism 2) The ideological foundation developed for this purpose laid the groundwork for slanderous “legislative acts” created by Ossetian separatists, such as a) “The law on the rehabilitation of repressed peoples and the Ossetian people’s genocide in 1920”, a resolution passed by the Parliament of “South Ossetia” in 1990; b) A resolution of the Parliament of “South Ossetia” of October 2006 on the “Ossetian people’s genocide in 1918 - 1920”; c) Based on these “documents”, Putin issued a denunciatory statement by on 9 July 2019 was developed on the “Ossetian people’s genocide” by the Georgians in 1920. Large - scale propaganda against Georgia by Russian media in connection with the “Ossetian people’s genocide” was a type of hybrid warfare and was aimed at the ideological defamation of the Georgian nation; 3) Requirements in the definitions of terms: genocide, crime against humanity, ethnic cleansing and torture, contained in the resolutions adopted by international organizations, fully correspond to the criminal acts committed by Ossetians against Georgians living in the Tskhinvali region of Shida Kartli in 1918 - 1925, 1991 - 1992, 2008 and following years, the authenticity of which is confirmed by archival documents.

**Key words:** Ossetian people’s genocide, propaganda, interests of Russia.

XX საუკუნის 90 - იანი წლები, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის უმძიმესი პერიოდია. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავების საფუძვრელზე, საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყვანის საფეხურებრივი მცდელობები. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა ამ მიზანსწრაფვას, მ.გორბაჩოვის ხელისუფლება, პირველ ეტაპზე იდეოლოგიური საპროპაგანდო საშუალებებით დაუპირისპირდა. ამ შემთხვევაში, ცნობილი მეცნიერის, ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის დაცვის საკითხში გაწეული დამსახურებისთვის ნობელის პრემიის ლაურიატის ანდრეი სახაროვის ავტორიტეტი იქნა გამოყენებული. იმავე ა.სახაროვის ინიციატივით შემუშავებული "ახალი კონსტიტუცია", "გარდაქმნისა" და განახლებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. Aამ დოკუმენტის მთავარ მიზანს, რუსეთის ქოლგის ქვეშ საბჭოთა რესპუბლიკების მოქცევა და კონფედერაციის ნიღბით მისი დაქვემდებარება წარმოადგენდა. Aა.სახაროვისეულ ამ ახალ იდეაში ჩადებული სინამდვილის არგამჟღავნებისა და საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიურად მომგებიანი იმიჯის დასამკვიდრებლად, იგივე ა.სახაროვი იმპერიის დემონტაჟის ფართო აპელირებას ახდენდა. ამ ფონზე განიხილა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის იმ ეტაპზე არსებული რეალობა. ამის დასადასტურებლად, 1989 წელს ჟურნალ "ოგონიოკის" (№ 31) კორესპოდენტისადმი მიცემული ინტერვიუ გამოდგება. კორესპოდენტის ერთ - ერთ შეკითხვაზე მან ხაზგასმით განაცხადა: "მე ვიძლევი კონფედერაციის წინადადებას. ყველა რესპუბლიკას - მოკავშირესა და ავტონომიურსაც, ავტონომიურ ოლქებს, ნაციონალურ ოკრუგებს უნდა მიეცეს თანაბარუფლებიანობა ამჟამინდელი ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნებით. ყველა მათგანმა უნდა მიიღოს დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი. მათი სუვერენიტეტი მინიმალურად უნდა იქნეს შეზღუდული ერთობლივი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულოიბის საკითხებით... დანარჩენში ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და ასე უნდა მოაწერონ ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას...

უნდა დავიწყოთ იმპერიული სტრუქტურების სრული დემონტაჟით. მხოლოდ ასე შეიძლება ნაციონალური პრობლემის გადაჭრა მცირე იმპერიებში, როგორებადაც არსებითად გვევლინებიან რესპუბლიკები - მაგალითად, საქართველო, რომლის შემადგენლობაშიაც მოქცეული არიან აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები. თუკი საქართველოთი დავიწყებთ და რსფსრ - ში იგივეს არ გავაკეთებთ, წარმოიქმნება დიდი სირთულეები, ხოლო თუკი კონფედერაციად გადაკეთება მოხდება, მთელ უზარმაზარ ქვეყანაში, საქმე გაიოლდება." ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ საბჭოთა იმპერიის "გარდაქმნის" მოდელისა და კონფედერაციის იდეის შემქმნელი ა.სახაროვი იყო. ამ ფონზე, საქართველო მის მიერ პატარა იმპერიად იქნა გამოცხადებული.

ა.სახაროვის მხრიდან გაკეთებულ ამ შეურაცმყოფელ ზედწოდებას, მართალია ქართული მხარე უმკაცრესი კრიტიკით გამოეხმაურა, მაგრამ, საქართველოსთან მიმართებაში "პატარა იმპერიის" ცნებამ მაღალ დონეზე იმუშავა და იგი ანტიქართული იდეოლოგიის პროპაგანდის განსაკუთრებული საყრდენი საფეხური გახდა. "პატარა იმპერიის" ტერმინოლოგია, ოსური სეპარატისტული ორგანიზაციის "ადამონ ნიხასის" წარმომადგენლებმა, ოსურ მოსახლეობაში ანტიქართული ფსიქოზის შესაქმნელად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად შესანიშნავად გამოიყენა.

ქართველთა ა.სახაროვისეულმა "ნათლობამ", საერთაშორისო არენაზე ქართველი ერის დისკრედიტაციისათვის წარმატებულად იმუშავა. როცა "პატარა იმპერიის" საკითხს ყავლი გაუვიდა, ოსმა სეპარატისტებმა მოქმედების ახალ ტაქტიკას მიმართა. ამ მხრივ ყურადღებას, ცხინვალის რეგიონის საქართველოს იურისდიქციიდან გასვლის პროცესის დაწყების "გამართლების დასაბუთების" მცდელობის საფეხურის შემზადების ფაქტები იქცევს. ქართველებთან თანაცხოვრების შეუძლებლობის აფიშირებით, მათ მიზანს, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება და ოსების ფიზიკურად გადარჩენის ერთადერთ იმედად, რუსეთის გამოცხადება წარმოადგენდა.

დასახული მიზნის აღსრულების პირველი მოსამზადებელი "სამართლებრივი" ნაბიჯი 1990 წლის შემოდგომაზე იქნა მათი მხრიდან გადადგმული. მხედველობაში გვაქვს "სამხრეთ ოსეთის" საოლქო საბჭოს სახალხო დეპუტატთა სესიის მიერ მიღებული დადგენილება "რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციისა და 1920 წელს სამხრეთ ოსეთის ოსების გენოციდის შესახებ." მართალია, იმ ეტაპზე ამ დოკუმენტის შექმნას ქართველ ისტორიკოსთა და პოლიტიკოსთა მხრიდან განსაკუთრებული რეაგირება არ მოჰყოლია, მაგრამ, იგი რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა და ოსმა სეპარატისტებმა, ქართველთა მიმართ ბრალდების - "ოსების გენოციდის" გასაფართოებლად გამოიყენეს. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს: ა) ოსებისადმი 1920 წელს ქართველების მხრიდან განხორციელებული "სადამსჯელო ძალმომრეობითი" ოპერაციის შესახებ, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ 2006 წელს გაკეთებული განცხადება და ბ) "სამხრეთ ოსეთის" პარლამენტის მიერ 2006 წლის ოქტომბერში მიღებული დეკლარაცია: "1918 - 1920 წლებში ოსი ხალხის გენოციდის შესახებ." ამ "საკანონმდრებლო" აქტით წახალისებულმა ოსმა სეპარატისტებმა, 2018 წლის ივლისში, ქართველებისგან 1920 წელს ოსების მიმართ თითქოს განხორციელებული "გენოციდიდან" 98 წლისთავი

აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით, ცხინვალში გამომავალმა გაზეთმა "რესპუბლიკამ". (Республика, 2 июня 2018 год, № 41 - 42. ст. 6 - 13.) რამდენიმე საგაზეთო პუბლიკაცია გამოაქვეყნა. აქედან ორი მათგანი ხ.კოცტის ეკუთვნის (1. «Размышления в преддвери годовщины геноцида осетонского народа»; 2. «Кровавое лето 1920 года. Страницы истории». Коцты Х. Стр. 6 - 9) . ეს პუბლიკაციები მხოლოდ ოსების 1918, 1919, 1920 წლების ცნობილი აჯანყებების მონაწილე კონკრეტული პიროვნებების მოგონებში არსებულ ფაქტებზე და მოსაზრებებზეა დაფუძნებული. დანარჩენი ორი პუბლიკაცია, იმავე აჯანყებების მონაწილეთა მოგონებებიდან (ვ.აბაევი, ვ.გაზაევი, მ.ხასიევი, ნ.გაგლოევი, ი.ჯიოევი, მ.სანაკოევი) ციტატების სახით მოტანილ ამონარიდებს წარმოადგენს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პიროვნებების მოგონებები, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაიწერა და არსებული სისტემის იდეოლოგიურ მოთხოვნებს შეესატყვისება. რაც შეეხება ხ.კოცტის ზემოაღნიშნულ სტატიებს, მან ტრადიცია არ დაარღვია და სიტყვა - სიტყვით გაიმეორა ლ.ჯიოევის მიერ 2011 წელს იმავე გაზეთში დაბეჭდილ პუბლიკაციაში - «Исполнился 91 год со дня первого геноцида осетинского народа» გატარებული სიყალბე - ქართველებისგან 1918 - 1920 წლებში "ოსების გენოციდის" შესახებ. ანალოგიური თვალსაზრისია გამოთქმული ა.ჯიოტისა და ს.ოსტაევის საგაზეთო პუბლიკაციებში. ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, მათი მოსაზრებები, ოსური ინტელიგენციისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს, შეუვალ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ. ამის დადასტურებას, "სამხრეთ ოსეთის" ხელისუფლების მესვეურთა მხრიდან, ქართველებისგან 1920 წელს მოწყობილი "ოსების გენოციდის" 100 წლის აღსანიშნავად მზადების ფაქტი წარმოადგენს. ამის შესახებ ცხინვალში გამომავალმა გაზეთმა "რესპუბლიკამ" (14. 01. 2019 წ.) საგანგებო სტატია დაბეჭდა სათაურით: «До 100 - летия геноцида осетинского народа осталось всего полтара года.» ოსი ისტორიკოსებისა და პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან ქართველებისადმი წაყენებული ეს უმძიმესი ბრალდება, განსაკუთრებულად მტკივნეული საკითხია და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, მისი შესწავლა, პოლიტიზირების გარეშე, წმინდა მეცნიერულ ჭრილში უნდა იქნას გადატანილი. პრობლემისადმი ამ კუთხით მიდგომა და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, მკითხველისადმი დასაბუთებული ფორმით სიმართლის მიწოდება, ორივე ერის საღად მოაზროვნე ინტელიგენციის ინტერესებში უნდა შედიოდეს. დასახული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით, პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: 1) რა სახის პოლიტიკურ პროცესებს ჰქონდა ადგილი საქართველოში 1918 - 1925 წლებში; 2) გასაბჭოებული რუსეთის ხელისუფალთა დაფინანსებითა და მითითებებით, შიდა ქართლის მთიან ზონაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ოსების მოქმედება, შეესატყვისებოდა თუ არა ქართული სახელმწიფოს ინტერესებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს; 3) საარქივო დოკუმენტური მასალებით დასტურდება თუ არა ქართველებისგან 1920 წელს "ოსების გენოციდის" შესახებ შექმნილი ბრალდება. თუკი არ დასტურდება, ვის მიერ იქნა იგი გამოგონილი და როდის; 4) რა სამართლებრივი კვალიფიკაციით უნდა შეფასდეს, ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში 1918 - 1925, 1991 - 1992, 2008 და შემდეგ წლებში ოსებისგან ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები.

ქართველებთან მიმართებაში, ოსების დანაშაულებრივ ქმედებებს რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები რომ ლობირებდა და ხშირ შემთქვევაში წამქეზებლის როლსაც ასრულებდა, ამ ფაქტის ჭეშმარიტება, რუსეთის პრეზიდენტის ვ.პუტინის 2019 წლის 9 ივლისს ოფიციალურმა განცხადებამ დაადასტურა. იგი იმდენად გაკადნიერდა, რომ ქართველ ერს, საქართველოს ისტორიაში "ლექცია" წაუკითხა და ისიც "შეახსენა", რომ სამხრეთი და ჩრდილო ოსეთი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში თითქოს 1774 წელს შევიდა. მისივე თქმით, იმ ეტაპზე არავითარი საქართველო არ არსებობდა და იყო მხოლოდ თბილისის გუბერნია. ისტორიის გაუგონარი ფალსიფიკაციის ამ "წიაღსვლების" ფონზე, იმავე ვ.პუტინმა ქართველ ერს ოსების "გენოციდში" დასდო ბრალი. "1918 წელს, გერმანიის ჯარების დახმარებით - განაცხადა ვ.პუტინმა, - საქართველომ დაიპყრო აფხაზეთი. ოკუპანტები ძალიან მკაცრად იქცეოდნენ. ქართული ძალები კიდევ უფრო მკაცრი იყო ოსეთში 1919 - 1920 წლებში. სინამდვილეში, ეს ყველაფერი სწორედ ისაა, რასაც დღეს გენოციდს უწოდებენ... ურიგო არ იქნება, ეს ყველაფერი იცოდეს და ახსოვდეს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, თუ სურთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებთან ურთიერთობები დაამყარონ."(1)

მართლმადიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი, ვ.პუტინი საქვეყნოდ არღვევდა ბიბლიის შეგონებას - "არა ცილ სწამო მოყვასსა შენსა" და ქართველ ერს, მეცნიერულად დაუსაბუთებელი ბრალდებით საქვეყნოდ ადანაშაულებდა. ეს შეურაცმყოფელი ცილისწამება დროულად რეაგირებას საჭიროებდა. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში საქართველოს კათალიკოზ პატრიარქს ილია მეორეს, როდესაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გაკეთებუკლი განცხადებით, ქართველ მეცნიერებს დაუყოვნებლივი რეაგირებისკენ რომ მოუწოდა. "ჩვენ მიგვაჩნია, რომ პუტინის განცხადება - ვკითხულობთ დოკუმენტში - უნდა იყოს ერთგვარი გამოწვევა ქართული სახელმწიფოსთვის, ქართული მეცნიერებისათვის და თითოეული ჩვენგანისათვის. საჭიროა სწრაფად რეაგირება. დროულად განახორციელეთ არსებული სამეცნიერო კვლევებისა და მასალების კვალიფიციური შერჩევა პოპულარულ ენაზე, რო-

მელიც ეხება ქვეყნის მთელ ისტორიას და მის ცალკეულ ეტაპებს. იგი თარგმნეთ ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე. ამ პროცესში შეიძლება ყველამ მიიღოს მონაწილეობა. ამ პრობლემურ საკითხებზე საჭიროა დისკუსიები დაინტერესებულ მხარეებთან.”

ქვეყნის სასულიერო პირის ეს საპროგრამო მითითება, შესაბამისი უწყებების მიერ თითქმის უყურადღებოდ დარჩა. მხედველობაში გვაქვს პრობლემის სიღრმისეულად შესწავლის საფუძველზე ვ.პუტინის ზემოაღნიშნული ბრალდებისადმი მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემის მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, პროფესიონალ მკვლევართა მიმართ დაფინანსების ვერგამეტება. აღნიშნული გარემოება ჰქონდა მხედველობაში გუბაზ სანიკიძეს, როცა გაზეთ “ახალი თაობისადმი” მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: “თაფლაკვერი და მათრახი რომ არის, იმას გვიკეთებს პუტინი. ეს არის ჩვენი ხელისუფლების და არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მთლიანად ქართველი ხალხის მორალური განადგურება... პუტინმა იცის ვის რა უნდა უყოს და ვის როგორ უნდა მოექცეს. იცის მან რა უნდა გააკეთოს. რუსები პატივს სცემენ ამაყ ხალხებს, დაჩოქილ ხალხს პუტინი პატივს არ სცემს. დაჩოქილ ხალხებს ანადგურებენ.”(2)

გ.სანიკიძის ეს შეხედულება სიმართლეს შეესაბამება. მითუმეტეს, ვ.პუტინის ზემოაღნიშნული განცხადება, რუსეთის შორსგამიზნული პოლიტიკური კურსის ერთ - ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და საქართველოსთან მიმართებაში ჰიბრიდული ომის ჩარჩოში ჯდებოდა. აღნიშნული ბრალდების აფიშირებით, რუსეთის პრეზიდენტმა, მსოფლიო საზოგადოებას “აგრესორი” და “ოკუპანტი” ქართველებისგან “დაჩაგრული ოსების” და აფხაზების “დაცვის” აუცილებლობაზე მიუთითა. ამ ფონზე, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მხრიდან “პირის ამოკერვის” დონეზე დუმილი, ეროვნული ღირსებისადმი ზურგსექცევის ტოლფას ქმედებას წარმოადგენს. “ჩვენი ხელისუფლება - ამბობდა გ.სანიკიძე, - დადუმებულია, კრინტს ვერ ძრავს, იმის თქმასაც კი ვერ ბედავს, რომ ეგრე არ არის და სხვანაირად არის.”

ისტორიული სინამდვილე რომ მართლაც სხვანაირად არის, ამ მიმართულებით პრობლემის კვლევა, ვ.პუტინისადმი და მისგან წახალისებული ოსი ისტორიკოსების სიყალბის გამოსააშკარავებლად, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით ღირსეული პასუხის გაცემა, ენთუზიასტი ისტორიკოსების მოიმედე დატოვა ქვეყნის ხელისუფლებამ. ქართველებისადმი განკუთვნილი ვ.პუტინის ზემოაღნიშნული “სალექციო კურსი” იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ დროის მცირე მონაკვეთში ინტერნეტ - საიტებზე უამრავი საპასუხო პუბლიკაციები დაიდო. ამ მასალების შესწავლისა და კლასიფიკაციის შედეგად, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის პრეზიდენტისადმი ზაზა ჭაიას მიმართვამ - “რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს!” მიიქცია. უტყუარ დოკუმენტურ მასალებზე და რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა მიერ XIX საუკუნეში დაბეჭდილ რუკებზე დაყრდნობით, დასაბუთებული ფორმით იქნა მის მიერ წარმოჩენილი ის სიყალბე, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა ვ.პუტინმა გაახმოვანა ქართულ - ოსური ურთიერთობის ისტორიის საკითხებთან მიმართებაში.

ზ.ჭაიას ზემოაღნიშნულ მიმართვაში, ვ.პუტინის მხრიდან “ოსების გენოციდში” ქართველების დადანაშაულების შესახებ, გარკვევითაა მითითებული, რომ 1919 და 1920 წლებში, რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზებითა და დაფინანსებით, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ოსმა სეპარატისტებმა 3 - ჯერ მოაწყო ამბოხება. ამ ფონზე, იგი რუსეთის პრეზიდენტს შეახსენებდა, რომ ოსების აჯანყებებისგან განსაკუთრებით როქის 1920 წლის 8 მაისის აჯანყება გამოირჩეოდა, სადაც ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება თვითნებურად გამოაცხადა. რუსეთის ფედერაციიდან 6 ივნისს შემოსული შეიარაღებული რაზმების დახმარებით, საქართველოში მცხოვრებმა ოსმა სეპარატისტებმა ჯავის ხეობა მთლიანად დაიკავა, ხოლო 7 ივნისს ცხინვალი აიღო და იქ მცხოვრები ეთნიკური ქართული მოსახლეობის ხოცვა - ჟლეტა, ძარცვა და აწიოკება განახორციელა.

სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, იმავე პუბლიკაციაში, ვ.პუტინის მისამართით ზ. ჭაია ხაზგასმით წერს, რომ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, “1920 წელსვე მოახერხა საბჭოთა რუსეთის მიერ დაფინანსებული და შეიარაღებით უზრუნველყოფილი აჯანყებული ოსი სეპარატისტების დამარცხება და მისი დამხმარე უცხოელი ბანდების ქედს იქეთ გადარეკვა, რასაც თქვენს მიერ მოგონილ “გენოციდთან” ცხადია საერთო არაფერი აქვს. ამ “გენოციდის” შემდეგაც ეთნიკური ოსები აქ საკმაოდ მშვიდად ცხოვრობდნენ. ბედის დაცინვაა, რომ 1858 - 1859, 1863 - 1864, 1864 - 1867 წწ - ში ჩერქეზთა, 1867, 1877 - 1878 წწ - ში აფხაზთა, 1944 წელს ჩეჩენთა, ინგუშთა, ბალყარელთა და ყარაჩაელთა (კავკასიის იქეთ აღარ მივდივართ) , 1833 წელს აფხაზეთში ქართველთა, 1994 - 1996, 1999 - 2000 წწ - ში ჩეჩენთა და 2008 წელს შიდა ქართლში ქართველთა გენოციდის და ეთნოწმენდის (ზოგჯერ პირადად) მომწყობი სახელმწიფოს ლიდერი, როცა მის მიერვე მოგონილ “გენოციდზე” ღელავს. “ეს მძიმე მემკვიდრეობა, არამცთუ გაითვალისწინეს, არამედ იგნორი გაუკეთა თანამედროვე საქართველოს ერთ - ერთმა პირველმა პრეზიდენტმა, როდესაც გააუქმა ყველა ავტონომია: აჭარა, აფხაზეთი და ა.შ. ამ ყველაფერმა აფეთქება და ძმათა ომი გამოიწვია” - ო - აცხადებთ და აქაც ურცხვად იტყუებით. ჯერ “მემკვიდრეობის სიმძიმე” ისეთი უნდა რუსეთს და პირადად თქვენ რომ გაქვთ. მეორეც, საქართველოს არცერთ პრეზიდენტს არც აფხაზეთი და არც აჭარის ავტონომიები არ გაუუქმებია

და მხოლოდ “სამხრეთ ოსეთის ოლქი” გააუქმა.”(3)

მართალია, აღნიშნული პასუხი დასაბუთებული ფორმით იყო წარმოდგენილი, მაგრამ, შექმნილი კონიუნქტურა XX საუკუნის ქართულ - ოსური ურთიერთობის ახალ საარქივო დოკუმენტებზე დაფუძნებული მონოგრაფიული გამოკვლევების შექმნის აუცილებლობას საჭიროებდა. ამ მიმართულებით ქართველ ისტორიკოსთა ინერტულობა, ოს ისტორიკოსებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ამ პროცესს ისინი გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენ და ამ ფონზე, იმ კიბის საფეხურს ამზადებდნენ, რომლის მეშვეობითაც “ოსების გენოციდის” მითოლოგიის სიმართლეში ფართო საზოგადოების დარწმუნება გახდებოდა შესაძლებელი. ამ მიმართულებით მათი გააქტიურება, ვ.პუტინის ზემოაღნიშნულმა განცხადებამაც განაპირობა. ამის შესახებ რუსმა პოლიტოლოგმა ნიკოლაი სილაევმა “ეხო კავკაზისადმი” მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით მიუთითა. მისი მტკიცებით, ვ.პუტინის განცხადებამ “გენოციდის” შესახებ “ოსები და აფხაზები შეაგულიანა, თუმცა პრეზიდენტის ეს სიტყვები სულაც არ გულისხმობს, რომ აფხაზებისა და ოსების გენოციდის აღიარებისთვის რუსეთი მზადაა.” რაც შეეხება პოლიტოლოგ ალექსანდრე რუცკოის, მისი თქმით, ცხინვალში მსხვერპლით სპეკულირებას ეწეოდნენ, აშენებდნენ მემორიალურ ძეგლებს და ქართველებისადმი სიძულვილის ენით მეტყველებდნენ. იმავე ა.რუცკოის სამართლიანი მტკიცებით, XX საუკუნეში, ცხინვალის რეგიონში ქართველებისა და სხვა ეროვნებების წარმომადგენელთა ხარჯზე მოხდა ოსების დემოგრაფიული მატება.(4)

ა.რუცკოის მხრიდან ასეთი პოზიციის ოფიციალურად გახმოვანების მიუხედავად, ოსმა სეპარატისტებმა, არსებული საცდელი შანსი ხელიდან არ გაუშვა და იმავე წლის 19 ივლისს რუსეთის სათათბიროს საგანგებო თხოვნით მიმართა. ამ დოკუმენტში, 1920 წლის “ოსების გენოციდში” ქართველები იყო დადანაშაულებული და რუსეთის სათათბიროსგან ამ ბრალდების ოფიციალურად აღიარებას მოითხოვდნენ. ამ მიმართულებით ოსი სეპარატისტების გააქტიურება, რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით იყო განპირობებული და იდეოლოგიურ ფრონტზე მათი აქტიური მოქმედება, საქართველოს წინააღმდეგ “ჰიბრიდული ომის” ერთ - ერთ სახეობას წარმოადგენდა. “სამხრეთ ოსეთის” პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის 2019 წლის განცხადებიდან ირკვევა, რომ ანალოგიური სახის მიმართვის დაგზავნას, “სამხრეთ ოსეთის” პარლამენტი, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მმართველი წრეების მიმართაც აპირებდა.(5)

“სამხრეთ ოსეთის” პარლამენტის მიერ “ოსების გენოციდის” აღიარების შესახებ რუსეთის სათათბიროსადმი გაგზავნილი მიმართვა, რუსი პოლიტოლოგის ვლადიმერ ნოვიკოვის აზრით, “მსოფლიოს წინაშე ოსების ისტორიული სიმართლის განაცხადს” წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიის დამახინჯების ფონზე, მან მკითხველ საზოგადოებას “სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს” არსებობის მიზანშეწონილების პოლიტიკურ - სამართლებრივი საფუძველის “არსებობის მტკიცებულების” მცდელობა შესთავაზა. მისი “მტკიცებით”, სსრ კავშირიდან რესპუბლიკების გასვლა და ავტონომიებთან ურთიერთობა, საბჭოთა პერიოდის გვიანდელ საკანონმდფებლო აქტებთან იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, “სამხრეთ ოსეთის” სეპარატისტების ქმედებებში, იგი ვერანაირ ნაკლს ვერ ხედავდა. მისი ასეთი პოზიციის მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგოდ ოსი სეპარატისტების გააქტიურებაში, იგივე ვ.ნოვიკოვი, წამქეზებლური ფორმით, მოსკოვის განსაკუთრებულ როლს ადასტურებდა.

რაც შეეხება ისტორიულ საფუძველს, ვ.ნოვიკოვის აზრით, პოსტსაბჭოთა კონფლიქტის წარმოშობა არა მოსკოვის წაქეზებით, არამედ რუსეთის იმპერიის დაშლით და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფით იყო განპირობებული. “ამ პროცესში - ამბობდა ვ.ნოვიკოვი, - ყოველთვის ხდებოდა, რომ გარკვეული ქართული პოლიტიკური ძალები ოსების მიმართ, ასე ვთქვათ, **ექსტრემალურად გენოციდური სახით** იქცეოდნენ.”(6)

ვ.ნოვიკოვის ეს პოზიცია, რუსეთის ხელისუფლებისა და ოსი სეპარატისტების გამართლების მცდელობას შეიცავდა. ამ ფონზე იგი, იდეოლოგიური ბრძოლის პოლიტიკურ სივრცეში **“ექსტრემალურად გენოციდური სახის”** ახალი ტერმინოლოგიის შემოტანას და ოსებთან მიმართებაში ქართველთა დადანაშაულებას შეეცადა. მისი განსაკუთრებული ტენდენციურობა შემდეგი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) მან შეგნებულად აუარა გვერდი ცხინვალის რეგიონის ქართველებთან მიმართებაში 1918, 1919 და 1920 წლებში ოსი სეპარატისტების ბიოლოგიური სიძულვილით გაჟღენთილ დამოკიდებულებას; 2) ყურადღების მიღმა დატოვა, თუ რამდენად სამართლებრივი და თავსებადი იყო ზემოაღნიშნულ წლებში ქართულ სახელმწიფოსთან მიმართებაში ოსი სეპარატისტებისგან ჩადენილი დანაშაული; 3) რუსეთის ფედერაციაში ანალოგიური სახის ანტისახელმწიფოებრივ და რუსი ეროვნებების მიმართ ოსების მხრიდან ბიოლოგიური სიძულვილის გამოვლინების ქმედებებს ადგილი რომ ქონოდა, ასეთი ფაქტებისადმი მოსკოვის ხელისუფლების შესაძლო დამოკიდებულებას, ვ.ნოვიკოვმა შეგნებულად აუარა გვერდი და მისი მიფუჩეჩებით, ცხინვალის რეგიონის ოსი სეპარატისტების “გამართლებას” შეეცადა.

ამ მიზნით, ვ.ნოვიკოვის მიერ დოკუმენტური მასალის იგნორირებით მოხმობილი “არგუმენტები”, ლოგიკურ მტკიცებულებასაც იყო მოკლებული და მაღალი დონის ტენდენციურობას შეიცავდა. აქედან გამომდინარე, მისადმი პასუხის გაცემა, შესაბამისი დარგის ქართველ სპეციალისტებს არ გასჭირვებია. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღე-

ბას კავკასიოლოგის ალეკო კვახაძის კომენტარები იქცევს. ისტორიული ფაქტების მოშველიების საფუძველზე, მან დამაჯერებლად ამხილა ვ.ნოვიკოვის მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე XVIII საუკუნეში ოსური სახელმწიფოს არსებობის შესახებ შექმნილი მითი. რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა მიერ ოფიციალურად დაბეჭდილ რუკებზე და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, იმავე ა.კვახაძეს არ გასჭირვებია, რომ XIX საუკუნის საქართველოში, "სამხრეთ ოსეთის" არარსებობა დაემტკიცებინა. და რაც მთავარია, ამ ფონზე, მან საზოგადოების ყურადღება იმ უტყუარ ფაქტებზე მიაპყრო, რომელიც "სამხრეთ ოსეთის" საქართველოში არსებობის სოკოსავით აღმოცენება და "სამართლებრივ სივრცეში" შემოტანა, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების შემოქმედებით ნაყოფს რომ წარმოადგენდა.(6)

აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, განიხილა მან ოისებისგან ქართველებისადმი წაყენებული ბრალდება - "ოსების გენოციდის" კანონზომიერების შესახებ. სამწუხაროდ, ამ საკითხთან მიმართებაში იგი ზედაპირული განცხადებით შემოიფარგლა და იმედი გამოთქვა, რომ "ოსთა გენოციდის" აღიარების საკითხს რუსეთი გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე მხარს არ დაუჭერდა. მიუხედავად ამისა, იმავე ა.კვახაძის აზრით, რუსეთი "საკუთარი სპეცსამსახურების გამოყენებით შეეცდება ამ აზრის დამკვიდრებას კავკასიელ ხალხებში, რათა ქართველები წარმოაჩინოს მცირე ერების გამანადგურებლად, თავად კი დამცველად."(6)

ოსური და რუსული ისტორიოგრაფიის მიერ "ოსური გენოციდის" საკითხის განხილვა - შეფასება კონფლიქტოლოგმა გიორგი კანაშვილმა მოახდინა. მისი თქმით "გენოციდის თემითაა გაჟღენთილი მთელი ადგილობრივი ისტორიოგრაფია. ამაზე წერენ როგორც ადგილობრივი ისტორიკოსები ასევე ჩრდილო ოსეთის ისტორიკოსების ნაწილი. ისინი ცდილობენ ამ ყველაფერს მისცენ პოლიტიკური დატვირთვა და საფუძვლად დაუდონ "დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთი."(6)

გ.კანაშვილისეული ეს შეხედულება, სინამდვილეს შეესაბამება. Mმითუმეტეს, ინტერნეტ - საიტებზე განთავსებული მასალების ჩვენს მიერ შესწავლა - ანალიზიდან ირკვევა, რომ ოსი სეპარატისტების უდიდესი ძალისხმევა, ქართველებთან თანაცხოვრების შეუძლებლობის დასამტკიცებლად იყო მიმართული. მათი მხრიდან "გენოციდის" წინა პლანზე წამოწევა და მისი გაპიარება, ფართო საზოგადოებისთვის თვალსაჩინოების ნიმუშად გამოყენების მცდელობას შეიცავს. Aამის შესანიშნავ მაგალითს, იმავე ოსი სეპარატისტებისგან, ევროპარლამენტისადმი გაგზავნილი და თხოვნით დატვირთული საგანგებო მიმართვა - 1920 წელს ქართველებისგან "ოსთა გენოციდის" აღიარების შესახებ წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, "სამხრეთ ოსეთის" საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა, 2019 წლის 19 ნოემბერს ოფიციალური განცხადება გააკეთა. მხედველობაში გვაქვს იტალიაში მყოფი დ.მედოევის მიერ რუსული სააგენტო "რია ნოვოსტისადმი" მიცემული ინტერვიუ. მისი თქმით, ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში "სამხრეთ ოსეთის" ინტერესების დასაცავად მზადყოფნას გამოთქვამდნენ. ამასთან დაკავშირებით, დ.მედოევი, საადვოკატო ფირმა Libonatis Libonati - ს ხელმძღვანელს ანტონიო ლიბონატის შეხვდა, რომელმაც ოსურ მხარეს თანხმობა მისცა იმის შესახებ, რომ მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტებს სამართლებრივი შეფასებისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისობის კონდიციამდე მიიყვანდა.(7)

ინტერნეტ - საიტებზე განთავსებული მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ ოსი ისტორიკოსები და პოლიტიკური ამბიციებით დატვირთული პიროვნებები მაქსიმუმს აკეთებდნენ, ქართველების მხრიდან 1920 და 1992 წლებში "ოსების გენოციდის" ჩატარების სისწორეში რუსეთის ფედერაციის მოსახლეობა და საერთაშორისო ორგანიზაციები დაერწმუნებინა. ამ საკითხთან მიმართებაში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მურატ ძიძოევი ერთ - ერთ მოხსენებაში - "1920 და 1988 - 1992 წლების მოვლენები სამხრეთ ოსეთში" პრინციპულად მოითხოვდა: ა) აღნიშნულ წლებში მიმდინარე ისტორიული პროცესები, ოს ისტორიკოსებს ერთიან და უწყვეტ კავშირში განეხილა; ბ) "სამხრეთ ოსეთის" ხელისუფლებას და ოს ინტელიგენციას იდეოლოგიურ ფრონტზე მაქსიმუმი გაეკეთებინა რათა, საქართველოს ხელისუფლების მიერ 1920 და 1988 - 1992 წლებში ჩატარებული "ოსი ხალხის გენოციდში", საერთაშორისო საზოგადოება იმ დონეზე დაერწმუნებინა, რომ ქართველთა ეს "დანაშაულებრივი" ქმედება დაეგმო. ამ პოზიციის "დასასაბუთებიის" ძირითად დოკუმენტად, იგი მხოლოდ "სამხრეთ ოსეთის" პარლამენტის ზემოაღნიშნულ დადგენილებას იყენებდა. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ "ოსების გენოციდის" დასადასტურებლად, მურატ ძიძოევის მოხსენებაში გამოთქმული ბრალდების დამადასტურებელი არცერთი სახეობის საარქივო დოკუმენტი არაა მოტანილი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ასეთი რამ XX საუკუნის 20 - იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისიების დასკვნებშიაც კი არ არსებობს. "ოსების გენოციდის" შესახებ საარქივო დოკუმენტების არარსებობის მიუხედავად, ქართველი ერის წინააღმდეგ გამოგონილ ფაქტებზე დაყრდნობით შეთხზული ბრალდების სისწორეში, საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას, ოსი ისტორიკოსები მაქსიმალურად ცდილობს. ამის უტყუარ დადასტურებას ოსი მეცნიერების მიერ 2015 წლის 17 ივნისის ჩატარებული სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციის მასალები წარმოადგენს.

ამ კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებების

შინაარსი, სტენოგრამის ფორმით ა.ჯიოტიმ რუსულენოვან მკითხველს გაზეთ «Южная Осетия» - ს (2015 წლის 19 ივნისის № 75 - 76) მეშვეობით მიაწოდა. გაზეთში დაბეჭდილი მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ "ოსების გენოციდის" შესახებ "მხატვრული ნაწარმოებებიც", რომ იყო შექმნილი. ამის შესახებ პროფესორმა ზოია ბითარმა იმავე კონფერენციაზე განაცხადა: "ოსმა მწერლებმა მრავალი ნაწარმოები დაწერა, რომელიც დეტალურად აღწერს 20 - იანი წლების ტრაგიკულ მოვლენებს. მისი ავტორებია არსენ კოცია, ჯორჯ ბესტაევი და მრავალი სხვა. სწორედ ამ ნამუშევრებზე ხდება ახალგაზრდების განათლება. ყველა ეს მასალა უნდა ისწავლებოდეს როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში." ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ოსური ინტელიგენცია, მომავალ თაობებს, მათ მიერ გამოგონილი და დოკუმენტურად დაუსაბუთებელი "ოსთა გენოციდის" ქართველებისადმი ბრალდების სიძულვილით ზრდიან. ამ დანაშაულებრივ პოლიტიზირებულ ღონისძიებას "სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები ხელმძღვანელობს. რაც შეეხება ოსურ ინტელიგენციას, ამ შემთხვევაში იგი არა მარტო დაკვეთის შემსრულებლის, არამედ აღნიშნული ბრალდების გასამყარებლად ახალი იდეების შემთავაზებლის როლშიაც გამოვიდა. მხედველობაში გვაქვს ფილოსოფიის დოქტორის კოსტა ძუგაევის მიერ იმავე კონფერენციაზე საკითხის პრინციპული ფორმით დასმა: ოსურ ოჯახებში 1917 - 1920 წლების მოვლენების შესახებ შემორჩენილი ზეპირი ინფორმაციის შეგროვებისა და მისი ქაღალდზე გადატანის აუცილებლობის შესახებ. იმავე კოსტა ძუგაევმა, 1920, 1989 - 1992 და 2008 წლების მოვლენებთან მიმართებაში, კონფერენციის მონაწილეებს ახალი ტერმინოლოგია შესთავაზა. მისი თქმით, ქართველების მხრიდან აღნიშნულ წლებში ოსების მიმართ განხორციელებული ქმედებების - **გენოციდური აგრესია** იყო. "ეს ტერმინი - განაცხადა მან, - მოიცავს საგნის არსს და საშუალებას გვაძლევს მივიღოთ პოლიტიკური ინსტრუმენტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ინტერესების პოზიციისათვის."

**ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული კონფერენციის მონაწილეთა მხრიდან გაკეთებულ მოხსენებებში დამოწმებული ფაქტები, საარქივო დოკუმენტებით არა გამყარებული. მისი ავტორები, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ოსი კომუნისტი რევოლუციონერებისგან დაწერილ მემუარებში მოტანილი ზედაპირული ხასიათის მოსაზრებებს იმოწმებენ. ოსი ისტორიკოსების მიერ, O2020 წლის ჩათვლით დაბეჭდილი უამრავი პუბლიკაციებიდან, არცერთ მათგანში საბჭოთა საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ, ოსურ საკითხთან მიმართებაში 1918 - 1920 წლების მოვლენების შესწავლის მიზნით შექმნილი კომისიების დასკვნები არაა გათვალისწინებული. ეს მასალები საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული და ქართველებისგან, 1918 - 1920 წლებში აჯანყებული ოსების ამოხოცვის არანაირ სტატისტიკურ მონაცემებს არ შეიცავს. მეტიც, იმავე დოკუმენტებში, საქართველოს ხელისუფლებისგან ოსების ამოსახოცავად, რაიმე სახის ღონისძიების გატარების მინიშნების შესახებაც არ არის საუბარი.** ოსური სეპარატიზმის ლობისტი საბჭოთა ხელისუფლებისგან დაკომპლექტებული იმავე კომისიების დასკვნებში გარკვევითაა მითითებული: დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული და ბრძოლაში დამარცხებული შეიარაღებული ოსები, თავიანთ სახლებს თვითონვე წვავდნენ, რომ იგი ქართველების საკუთრება არ გამხდარიყო. ამ ფაქტის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ოსი ისტორიკოსების საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ვალიკო ჯუღელის წიგნის - "მძიმე ჯვარის" 1920 წლის 14 ივნისის ჩანაწერიდან მათ მიერ მოტანილ ციტირებაში, სადაც ოსური სოფლების ცეცხლწაკიდებულ სახლებზეა საუბარი, იმავე კომისიების დასკვნებით, ამ დანაშაულებრივი საქმის ჩამდენად თვით ოსური მოსახლეობაა დასახელებული. ამასთან დაკავშირებით, კომისიის ერთ - ერთ დასკვნაში ვკითხულობთ: "თვითონ ოსები კი ბინის დატოვების დროს, სახლებს თვითონ უკიდებდნენ ცეცხლს,"(8) რათა იგი ქართველებს არ დარჩენოდათ. სწორედ ამ ცეცხლის შესახებ წერს ვ.ჯუღელი ზემოაღნიშნულ წიგნში, რომელიც მოგონებებს კი არა, სახალხო გვარდიელის ჩანაწერებს წარმოადგენს. ამის დასადასტურებლად იმავე წიგნის გარეკანზე დართული წარწერა - «Записки Народногвардейцев» გამოდგება. ანალოგიური სახის წარწერა აქვს დართული წიგნის პირველ თავს. მეორე მხრივ, მთელი წიგნის ტექსტის ტექნიკური მხარე ისეა აგებული, რომ ყოველი ახალი ფაქტის შესახებ ჩანაწერი, შესაბამისი საინტერვალო დაცილებითაა გამოყოფილი და რაც მთავარია, თვე, რიცხვი და წელი აქვს დართული. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყველა ქვემდებარე ტექსტს, ამა თუ იმ ფაქტის მოხდენის საათობრივი ზუსტი დრო აქვს მითითებული. ასეთი რამ მხოლოდ დღიურის ჩანაწერებისთვისაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, ვ.ჯურელის ზემოაღნიშნული ჩანაწერი საბრძოლო მოქმედებების დამთავრების მომენტში ემოციებით დამძიმებული იმ ოფიცრის პოზიციის გამოვლინება იყო, რომლის ბეჭებზედაც 1918, 1919 და 1920 წლების ოსების აჯანყებების უმკაცრესმა ქარიშხალმა გადაიარა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჯანყებულმა ოსებმა, ამ ბრძოლებში ვ.ჯურელს უსაყვარლესი თანამებრძოლები მოუკლეს, და რაც მთავარია, მის თვალწინ, ოსმა სეპარატისტებმა, ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლები გაძარცვეს და მისი მოისახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს. ეს არის სინამდვილე, რომელიც საარქივო დოკუმენტებით დასტურდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებამ ათქმევინა იმავე ვ.ჯუღელს: “ჩვენ გვიყვარს ჩვენი თავისუფლება, დემოკრატია და რესპუბლიკა. ამიტომაც შევყურებ გულმშვიდად ირგვლივ მიმოყრილ ფერფლსა და აბურთებულ კვამლს.” ასეთი პოზიციის მიუხედავად, იგივე ვ.ჯუღელი იმავე ოფიცრის ჩანაწერებში გარკვევით წერს: “ეხლა ვიმყოფები ოსი ხალხის შეკრებაზე ჯავასთან. საცოდავი, მოტყუებული გლეხები! როგორ მიყვარს ისინი და როგორ მეცოდებიან.” ან კიდევ: “ოსი ნაციონალისტები ჩვენი ბოროტი და დაუძინებელი მტრები არიან. ისინი ყოველთვის სარგებლობენ ჩვენი გაჭირვებით და აჯანყებებს გვიწყობენ... რამდენიმე წლის წინ მათ თურქებს გაუადვილეს საქმე ბათუმში. ნოემბერში გამოდიოდნენ როგორც დენიკინელები! ახლა კი მხარდამხარ მიდიან ბოლშევიკებთან.”

ოსი სეპარატისტების ეს დანაშაულებრივი ფაქტები, ქართულ ისტორიოგრაფიაში საარქივო მასალებითაა დადასტურებული. ოსი ისტორიკოსები მას საგანგებოდ უვლიან გვერდს და ვ.ლენინის ხელისუფლებისგან წაქეზებულ - დაფინანსებული ოსების დანაშაულებრივი ქმედების გამართლება - გაფეტიშებას ცდილობენ. რაც შეეხება დამნაშავეთა მიმართ გაცემულ პასუხს, “გენოციდად” აცხადებენ. მათ მიერ შეთხზული ამ “ჰიპოთეზის” სამტკიცებლად, საარქივო დოკუმენტის მოხმობის სანაცვლოდ, ზედაპირული განცხადებებით იფარგლებიან. უმეტეს შემთხვევაში “სამხრეთ ოსეთის” პარლამენტის 2006, 2020 წლების პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათის დადგენილებებს იმოწმებენ. არადა, “ოსური პარლამენტის” მიერ შექმნილი ეს “დოკუმენტები” ისტორიის ცნობილი საბჭოთა ფალსიფიკატორის გიორგი ხაჭაპურიძის ნაშრომის («Борба за пролетарскую революцию в Грузии». Тбилиси. 1936 г.) 295 - ე გვერდიდან მოტანილ ფაქტობრივ მონაცემებზეა დამყარებული. სხვა სახის “მტკიცებულება” მათ არ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულ სიცრუეში ფართო საზოგადოების დასარწმუნებლად, “სამხრეთ ოსეთის პარლამენტში” “ოსების გენოციდის” შემსწავლელი კომისიის, ან უკიდურეს შემთხვევაში სახელმწიფო კომიტეტის შექმნის საკითხი დააყენეს. ამის შესახებ ოსი ისტორიკოსი ვალერი ძიძოევი მის კოლეგებსა და ოსურ ინტელიგენციას მიმართავდა, რათა პირადი წვლილი შეეტანათ “ოსური გენოციდის” საკითხის გააქტიურების საქმეში. “თქვენ ასევე უნდა შექმნათ შესაბამისი კომისია პარლამენტში, ან ჩამოაყალიბოთ გენოციდის სახელმწიფო კომიტეტი და გამოიყენოთ ოსური მოძრაობის შესაძლებლობები.”(9)

რუსეთის ხელისუფლებისგან მხარდაჭერილი და წახალისებული ოსი პოლიტიკოსების ასეთი ფორმით გააქტიურება. ქართველი მეცნიერების წინაშე აუცილებლობად აყენებს საკითხს, რათა წინა პლანზე იქნას წამოწეული: ა) გენოციდის ტერმინის წარმოშობიის განმაპირობებელი ფაქტორები, ბ) საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გენოციდთან მიმართებაში დამოკიდებულება, გ) გენოციდის ფაქტის დადგენის და დ) გენოციდის ოფიციალური ცნების დეფინიცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ტერმინი “გენოციდი”, პოლონელმა მეცნიერმა რაფაელ ლემკინმა XX საუკუნის 30 - იან წლებში შემოიღო. საერთაშორისო სამართლის სტატუტი მან მხოლოდ 1948 წელს შეიძინა. მხედველობაში გვაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გენოციდის შესახებ მიღებული (1948 წლის 9 დეკემბერი) კონვენცია. ამ დოკუმენტის მიხედვით; ა) გენოციდი საერთაშორისო დანაშაულად იქნა აღიარებული; ბ) განისაზღვრა, თუ რა სახეობის დანაშაულებრივი ქმედებები შეიძლება მიჩნეულიყო გენოციდად; გ) რეზოლუციაში კონკრეტულად იქნა მითითებული, რომ გენოციდის ჩადენის შემთხვევაში ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე თუ პოლიტიკური ფიგურა დასჯას ექვემდებარებოდა.(10)

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ გენოციდის მიზანია ეროვნული, ეთნიკური, ნაციონალური და რელიგიური ჯგუფების განადგურება. ამ შემთხვევაში პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს დადგენილი იქნას დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის სპეციალური განზრახვის აუცილებლობა. მხედველობაშია მისაღები ამ დანაშაულის ჩადენით განპირობებული შედეგით რას ითვალისწინებდა იგი. პრობლემისადმი ამ პრინციპით მიდგომა განსაკუთრებულ დატვირთვას იმ შემთხვევაში იძენს, როცა ამა თუ იმ ერის, ან ეთნიკური ჯგუფის მიერ დაკავებული ტერიტორიის მიზანმიმართულად მოსუფთავების საკითხი დგება დღის წესრიგში. დასახული დანაშაულებრივი ამოცანის განხორციელება მხოლოდ ოთხი ძალმომრეობითი ქმედების გამოყენებით არის შესაძლებელი. ესენია: 1) გენოციდი - კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული; 2) დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ; 3) ეთნიკური წმენდა; 4) წამება.

**1) გენოციდი -** კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულადაა აღიარებული. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეზოლუციებისა და კონვენციების საფუძველზე გაკეთებული დეფინიციების სინთეზური ანალიზიდან გამომდინარე, გენოციდის ცნების საბოლოო სახე შემდეგი ფორმითაა წარმოდგენილი: “გენოციდი, ესე იგი ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რეგიონალური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მსჯელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო

თავისუფლების აღკვეთით."(11)

**2) ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული** - მისი დეფინიცია შემდეგი ფორმითაა წარმოდგენილი: "დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ესე იგი ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებითი ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტეიდთა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას. - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით ."(11)

**3) ეთნიკური წმენდა** - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე შედგენილი ლექსიკონებში, ეთნიკური წმენდა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: "ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფების მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონიდან განდევნოს სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით (მკვლელობა, წამება, თვითნებური ძალადობა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალმომრეობით განდევნა და დეპორტაცია, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები, ამ თავდასხმებით მუქარა და ა.შ.) , ეთნიკური წმენდა, ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ერთ - ერთი ყველაზე საშიში სახეობაა, რომელიც საერთაშორისო მართლმსაჯულების იურისდიქციას განეკუთვნება."(12)

**4) წამება** - იგი ერთ - ერთ უდიდეს დანაშაულადაა მიჩნეული. წამების აკრძალვის აუცილებლობა, 1948 წლის 10 დეკემბერს ოფიციალურად მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის V მუხლით იქნა აკრძალული. "არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას."

იმავე საკითხთან დაკავშირებით, "გაეროს წამების დეკლარაციაში", წამებისთვის დამახასიათებელი ნიშნები შემდეგი ფორმითაა ჩამოყალიბებული: "1. ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიაც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს იმ ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია."(13) რაც შეეხება წამების დეფინიციას, ამის შესახებ იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: "2. წამება წარმოადგენს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემადგენელი მოპყრობის ან დასჯის დამამძიმებელ და წინასწარგანზრახულ ფორმას."(14)

საერთაშორისო დოკუმენტებიდან დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ მოტანილი განმარტებითი ამონაწერები სრულად შეესაბამება შიდა ქართლის, ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის მიმართ, ოსი სეპარატიტებისგან განხორციელებული დანაშაულებების ნუსხას. მხედველობაში გვაქვს: შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის მიმართ, რუსეთის ხელისუფლების დაფინანსებით აღზევებული ოსი სეპარატისტების მიზანმიმართული ძალმომრეობითი ფაქტები. იგი გენოციდის, ადამიანობის წინააღმდეგ, ეთნოწმენდის და წამების შესახებ სამართლებრივი დოკუმენტებით განსაზღვრულ დეფინიციების ჩარჩოში თავსდება. აქედან გამომდინარე, რუსეთის პრეზიდენტის ვ.პუტინისა და ოსი სეპარატისტებისგან ქართველი ერისადმი წაყენებული ცილისწამების ფორმა, შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ოსი სეპარატისტების მიერ 1918 - 1920, 1991 - 1992, 2008 და შემდეგ წლებში განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების ნუსხას შეესატყვისება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: 1) მ.გორბაჩოვისეული "გარაქმნის" პოლიტიკური კურსი და ა.სახაროვისეული "ახალი კონსტიტუციის პროექტი", საბჭოთა იმპერიის კონფედერაციული ფორმით შენარჩუნებას და სამართლებრივად დაკანონებას ისახავდა მიზნად. საქართველოს მიმართ, "პატარა იმპერიის" ა.სახაროვის "ჰიპოთეზა" და შესაბამისი იდეოლოგიური პროპაგანდა, ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: ა) საერთაშორისო არენაზე საქართველოს, როგორც "პატარა იმპერიის" დისკრედიტაციას და პოლიტიკურად "დემონტაჟის" აუცილებლობას; ბ) აფხაზურ - ოსური სეპარატიზმის გააქტიურების გამართლებას; 2) ამ მიართულებით შემზადებული იდეოლოგიური ბაზა დაედო საფუძვლად, ოსი სეპარატისტებისგან შექმნილ ცილისმწამებლურ "საკანონმდებლო აქტებს". მხედველობაში გვაქვს: ა) "რეპრესირებულ ხალხთა რეაბილიტაციისა და 1920 წელს სამხრეთის ოსების გენოციდის შესახებ", "სამხრეთ

ოსეთის" პარლამენტის მიერ 1990 წელს მიღებული დადგენილება; ბ) "სამხრეთ ოსეთის" პარლამენტის 2006 წლის ოქტომბრის დადგენილება, 1918 - 1920 წლებში ოსი ხალხის "გენოციდთან" მიმართებაში; გ) ამ "დოკუმენტებზე" დაყრდნობით მომზადდა, ქართველებისგან 1920 წელს "ოსების გენოციდის" შესახებ ვ.პუტინის 2019 წლის 9 ივლისის ბრალდებითი ხასიათის განცხადება. "ოსების გენოციდთან" მიმართებაში რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაწეული ფართომასშტაბიანი პროპაგანდა, ჰიბრიდული ომის ერთ - ერთ სახეობას წარმოადგენდა და ქართველი ერის იდეოლოგიურად ლაფში ამოსვრაზე იყო გათვლილი; 3) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ რეზოლუციებში მოტანილი ტერმინების: გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, ეთნიკური წმენდისა და წამების დეფინიციებში არსებული მოთხოვნები სრულად შეესატყვისება ოსებისგან 1918 - 1925, 1991 - 1992, 2008 და შემდეგ წლებში შიდა ქართლის ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლის უტყუარობა საარქივო დოკუმენტებით დასტურდება.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. რუსული პროპაგანდის ახალი ტალღა "ოსების გენოციდის" შესახებ. 2020 წლის 5 თებერვალი. damoukidebloba.ge>nevs>genocide propaganda so...

2. გაზ. "ახალი თაობა" 2019 წ. 12 ივლისი

3. ზ.ჭაია. პასუხი პუტინის იმ განცხადებაზე, რომელმაც რუსი ისტორიკოსებიც კი გააოგნა. in ბლოგი, მთავარი, ივლისი 14, 2019. https:/www.timer.ge

4. გ.აფციაური. რა პერსპექტივა აქვს ოსი ხალხის გენოციდის აღიარებას. www.radiotavisufleba.ge

5. რუსული პროპაგანდის ახალი ტალღა "ოსების გენოციდის" შესახებ. 2020 წლის 5 თებერვალი. damoukidebloba.ge>nevs>genocide propaganda so...

6. რა მოჰყვება პუტინის მიერ "გენოციდის" ხსენებას. accentnews.ge>article>4034 - ra - mohqveba - putinis - mier...

7. ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლება ე.წ. გენოციდის აღიარებას ევროპარლამენტისგანაც ითხოვს. www.radiotavisufleba.ge

8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსსა) ფ. 1796, აღწ. 1. საქ. 70. ფურც. 2

9. газ. «Республика» 2019 г. 30 сентября

10. დ.წულაია. გენოციდის გენეზისი. იხ. "სამართლის ჟურნალი" თბილისი 2013 წ. № 2 გვ. 199

11. გენოციდი. https://www.muadvokat.ge>about> - genocidi

12. ეთნიკური წმენდა. http://www.nplg.gov.ge>gwdict

13. ვ.გურგენიძე. ნ.წერეთელი. საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მართვასა და მოწესრიგებაში. თბილისი. 2012 წ. გვ. 278 - 279

14. დ.წულაია. წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიხედვით. იხ. "სამართლის ჟურნალი" თბილისი. 2014 წ. № 2. გვ. 230 - 231

# ეკონომიკა ისტორიამდელ ხანაში

***გია კვაშილავა***
*სტუ-ს დოქტორანტი*

***დალი სეხნიაშვილი***
*სტუ-ს პროფესორი*

**„ის, ვინც მხოლოდ ეკონომისტია,**
**არ შეიძლება იყოს კარგი ეკონომისტი“**
**ფრიდრიხ ჰაიეკი**

**რეზიუმე**

ნაშრომში განიხილილულია საზოგადოების ეკონომიკური ფორმაციის განვითარება როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი.

ისტორიამდელი ხანის სამხრეთ-კავკასიის, ევროპისა და აზია-აფრიკის რეგიონებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის მიხედვით, ავტორის მიერ გამოკვლეულია მწარმოებლურ ძალთა განვითარების სპეციფიკა, „ზედა პალეოლითური რევოლუცია“, „პირველი ეკონომიკური რევოლუცია“, შრომის დანაწილება, შესწავლილ-გაშიფრულია მასალა თვლის, აღრიცხვა-ანგარიშის, ხელოვნებისა და წერითი სისტემების წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ეს გამოკვლევა სიახლეა ისტორიამდელი ხანის ეკონომიკის მიმართულებით.

ეკონომიკის ფუნქციონირება, როგორც მათემატიკის, ხელოვნებისა და წერითი სისტემების წარმოშობისა და განვითარების პირობა, დღემდე შეადგენს ეკონომიკური მეცნიერებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. მისი შესწავლა-გადაჭრა არსებითი მნიშვნელობის მქონეა ეკონომიკური მეცნიერების რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად.

თანამედროვე თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ანდა ეკონომიკის ისტორიის მიმართულებისთვის მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ისტორიამდელი ეკონომიკური იდეებისა და შედეგების გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის, როგორც მისი მთლიანობის ახლებურად გააზრებასა და დროის მიხედვით თანმიმდევრობითი განვითარების დადგენას.

**საკვანძო სიტყვები:** მწარმოებლური ძალები, „ზედა პალეოლითური რევოლუცია“, „პირველი ეკონომიკური რევოლუცია“, შრომის დანაწილება, მათემატიკის, ხელოვნებისა და წერითი სისტემების წარმოშობა და განვითარება

**ECONOMY IN PREHISTORIC TIMES**

**Gia Kvashilava**
Phd student of GTU
**Dali Sekhniashvili**
Professor of GTU

**„He who is only an economist**
**cannot be a good economist“**
**FRIEDRICH AUGUST VON HAYEK**

**ABSTRACT**

In this work, the development of the economic formation of the society is considered as a natural-historical process.

According to the material found in the South-Caucasus, Europe and Asia-Africa regions of prehistoric times. The author has researched the specifics of the development of productive forces, the 'Upper Paleolithic Revolution'; 'The first economic revolution', the division of labor. The material about the origin and development of counting, accounting, art and writing systems has been studied and deciphered. This study is a novelty in the field of prehistoric economy.

The functioning of the economy, as a condition for the origin and development of mathematics, art and writing systems, is one of the most pressing problems for economic science. Its study – solution is of essential importance for solving ordinary theoretical and practical issues of economic science.

For the direction of modern theoretical and applied economics, the history of economic thought, or the history of economics, it is of scientific importance to use prehistoric economic ideas and results, which will help to understand the economy as a whole in a new way and determine its development in sequence over time.

**Keywords:** productive forces, 'Upper Paleolithic revolution', 'first economic revolution', division of labor, origin and development of mathematics, art and writing systems.

## ძირითადი ტექსტი

პალეოლითის ხანაში უძველესი ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებამ გააფართოვა გაცნობიერება შრომის საგნების (მიწის, წყლის, ტყეების, ნედლი მასალის, მცენარეულისა და ცხოველთა სამყაროს), განსაკუთრებით, ბუნებრივი რესურსების სასარგებლო თვისებების შესახებ, რომლებიც გამოვლინდა შრომის საშუალებების (შრომის იარაღების) მეშვეობით ამ საგნებზე ზემოქმედებისას წარმოების პროცესში, რამაც ხელი შეუწყო ადამიანთა შეკავშირებას საერთო მოქმედებით მოეპოვებინათ შრომის საგნები. ასე მყარდება მათ შორის წარმოებითი (საწარმოო) ურთიერთობები. შრომის პროცესებმა განავითარა მათი საურთიერთო ენა და შესაძლებელი გახადა საგნების ახალი თვისებების მიგნება, აბსტრაქცია, შემეცნება და ა.შ. ამ პერიოდში ადამიანები სწავლობენ კლიმატს, ბუნების ცვალებადობას, აწესრიგებენ პროდუქტების შეგროვების, მოპოვებისა და მითვისების ფორმებს და სხვას. ისინი აუმჯობესებენ შრომის იარაღებს (მაგ., ქვის ცულს, ნამგალსა და სხვას).

ზედა პალეოლითის ხანაში ძველ ადამიანთა მოთხოვნილებათა და მოხმარებათა მრავალფეროვნებამ უფრო მეტად განავითარა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებმაც ტექნოლოგიური, კულტურული და იდეოლოგიური ვარიაციები შექმნეს. ჩნდება ქვის დამუშავების ახალი ტექნოლოგია და მეთოდები (მაგ., წნევითი მეთოდით ატკეცვის ტექნიკა), გამოიკვეთა ნედლეულისა და ძვირფასი საგნების შორ მანძილებზე გაცვლა, ძვლისა და რქის, აგრეთვე იშვიათი მინერალების გამოყენება საყოფაცხოვრებო და სარიტუალო საგნების დასამზადებლად და სამეწარმეო, სამზარეულო, საძილე და სათავსოების (პროდუქტების შესანახი) ადგილების გაკეთება-მოწყობა და სხვა (შდრ. Bar-Yosef 2007; თუშაბრამიშვილი და სხვ. 2017:33; Mellars 1994:45–46, 58–59, 64–69, 73–78). პირიქითაც, სოციალურ-ეკონომიკური პირობების განვითრებამ გამოიწვია აუცილებელი ტექნიკის შემუშავებით სოციალური ჯგუფების ერთიანობის შენარჩუნება და გეოგრაფიულ გარემოში გაფართოვება და ახალი მიწების კოლონიზაცია, რომელმაც მოცემულ ისტორიულ ეტაპზე აამოქმედა ახალი საკვების მოპოვების პროცესი, ახალი თავშესაფრების მოძებნა და შექმნა. განსხვავებულმა წარმოების ფორმებმა ნელ-ნელა გამოავლინა სოციალური იერარქიების გარკვეული ზრდა და ასპარეზზე გამოიყვანა უფრო მძლავრი მცირე ჯგუფები, მწარმოებლური ძალები, რომლებმაც შრომა დაინაწილეს და გამოიყენს განვითარებული საწარმოო საშუალებანი მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში. ამ ფართო სოციალურ-ეკონომიკურმა ურთიერთობამ ადამიანის სულიერი და გონებრივი აქტივობები უფრო განავითარა და შექმნა ახალი საფეხური – გვაროვნული წყობილება, რომლის ძირითადი ეკონომიკური უჯრედი გახდა გვარი – მონათესავე ოჯახების გაერთიანება. ამ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციას უწოდებენ „ზედა პალეოლითურ რევოლუციას", ანდა ზოგჯერ – „შემოქმედებით აფეთქებას" (Bar-Yosef 2007; Bar-Yosef 1998; Bar-Yosef 2002).

მკვლევართა უმეტესობა თანხმდება იმაში, რომ ცეცხლის გამოყენებამ, ეკონომიკის, ტექნოლოგიისა (წარმოების საშუალებების, მაგ., ქვისა და რქის იარაღების, შუბის, ნემსის, მახათის, თოკის დაგრეხვის და აგრეთვე გრავიურისა და მხატვრობის) და მეტყველების თანდათანობითმა განვითარებამ მოახდინა კულტურული ცვლილებები და მოსახლეობის გამრავლება კავკასიაში, ევროპაში, ჩრდილოეთ და დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ამ დროს საზრდოს რაოდენობის მომატებამ ადამიანთა რაოდენობა ხუთასი ათასიდან დაახლოებით 5–8 მილიონამდე გაზარდა (Biraben 1979:23; შდრ. ჩიტაია 2000, II:369).

ზედა პალეოლითის ხანის დასასრულს, როდესაც დედამიწის გარკვეულ ადგილებში, მაგ., ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში კლიმატი და გარემო პირობები შეიცვალა, მშრალი ამინდი დადგა, ტყის საფარი შემცირდა და აგრეთვე გაზრდილმა ნადირობა-შეგროვებამ შეამცირა საკვები მცენარის რაოდენობა, ხმელეთისა და წყლის ცხოველებისა და ფრინველების პოპულაცია.

მონადირე-შემგროვებლები, რომლებიც ამ დროს ძირითდად ცხოვრობდნენ პატარა სეზონურ ბანაკებში, შეზღუდული ეკონომიკური რესურსების (ცხოველთა და მცენარეთა მარაგის) საშოვნელად და ასათვისებლად ხშირად გადაადგილდებოდნენ ჩრდილოეთი აფრიკის, სამხრეთ-კავკასიისა და სამხრეთ-ევროპის ტერიტორიებზე. მიგრანტი ჯგუფების ძირითადი საქმიანობა ახალ გარემოში კვლავ „მითვისებითი ეკონომიკის" (ნადირობის, მეთევზეობისა და შემგროვებლობის) სახის რჩებოდა და განსაზღვრული რაოდენობით მოპოვებული საკვები კიდევ არასკმარისი იყო. მათ არ შეეძლოთ საკვების, მაგ., მარცვლეულის სრულად მოპოვება-შენახვა და აგრეთვე მცირეწლოვანი ბავშვებისა და მოხუცების სათანადოდ მოვლა-გამოკვება.

თუმცა გამონაკლისი ცალკეული ფაქტიც დასტურდება. დაახლოებით 23.000 წლის წინანდელი ხუთი შრომის იარაღი, რომლებიც აღმოაჩინეს ჩრდილოეთ ისრაელში, გალილეის ზღვის სანაპიროსთან ახლოს, ოჰალო II-ში, მეთევზე-მონადირე-შემგროვებელთა ბანაკში, იძლევა მტკიცებულებას, რომ ისინი გამოიყენებოდა მწიფე და ნახევრადმწვანე ველური მარცვლეულის მოსავლის აღების დროს. ეს იყო 12 000 წლით უფრო ადრე, ვიდრე ფერმერული თემების დასახლებები გაჩნდებოდა ახლო აღმოსავლეთში (Groman-Yaroslavski et al. 2016:1). გვიანი ეპიპალეოლითის ხანაში შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ნაწილში ჩნდება მცირე დასახლებები, სადაც მონადირე-შემგროვებლები

მცირე ჯგუფები ცხოვრობდნენ მთელი წლის განმავლობაში (Olszewski 2018:3).

გარკვეულ რეგიონებში რესურსების სეზონურმა ამოწურვამ ადამიანთა ჯგუფებს აიძულა ფიქრი, ცხოვრების წესის შეცვლა და ოპტიმალური მოქმედება თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისთვის. მათ თანდათანობით დაიწყეს წარმოების ახალი იარაღებისა და ხერხების შემუშავება და სპეციალური დარტყმით ან წნევითი მეთოდით დაამზადეს სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის (სამკუთხისებური, პრიზმისებური, კონუსისებური, სოლისებური, ცილინდრისებური, გულისებური, დისკოსებური, ელიფსისებური და ა.შ.) ქვის (კაჟის, კაჭარის) იარაღები, დახვეწეს სანადირო იარაღები (შუბისპირები და ისრისპირები), რომლებიც შესაძლოა ჩასმული და დამაგრებული იყო ხის ან ირმის რქის ტარზე. მაგ., საქართველოში, მღვიმე საგვარჯილეში აღმოჩენილია ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ეპოქების რქისა და ძვლის იარაღები, ძვლის სადგის-სახვრეტები, მახათ-ნემსები, ანკესები და სხვა (ნებიერიძე 2003:42–44).

ადამიანთა ჯგუფებმა მიჰყვეს ხელი შესწავლას ბუნებაში არსებული შეზღუდული და მზამზარეული ნივთირებებისა, აგრეთვე მათი თვისებებისა და ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ, რათა სწორად შეეფასონ რეალობა და სათანადოდ გადაწყვიტონ რიგი პრობლემები: თუ როგორ მოიპოვენ და გაზარდონ, როგორც კვანტიტატიურად (რაოდენობრივად), ისე კვალიტატიურადაც (ხარისხობრივად) და დიდ ხანს შეინახონ ხელმისაწვდომი, საკვებად ვარგისი ცხოველური და მცენარეული პროდუქტები, რომლებიც მშრალი კლიმატის დროს ძირითადად მდინარეების, მიწისქვეშა ან კლდის წყლების მახლობლად იყო თავმოყრილი.

ამ ადგილებში ადამიანები მჭიდრო კავშირში იყვნენ ცხოველებთან და მცენარეებთან, რომლებსაც აკვირდებოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ გარკვეულ მოვლენათა მსვლელობისას. ისინი თავიანთი სურვილისამებრ გაშინაურებულ ცხოველებს მტაცებლებისგან იცავდნენ, ბალახითა და მარცვლეულით კვებავდნენ, რათა თავიანთი სიცოცხლის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინათ (შდრ. Childe 1958:67, 68; North 1981:77).

გვიანი ეპიპალეოლითისა და ადრე ნეოლითის პერიოდებში ახლო აღმოსავლეთსა და შემდეგ ხმელთაშუაზღვისპირეთში გამოკვეთილი სახე მიეცა გარკვეულ მცენარეთა (ხორბლის, ქერის) თესლის თესვას, კულტივირებასა და მოსავლის აღებას, ზოგიერთ ცხოველთა (თხის, ცხვრის, პირუტყვისა და ღორის) და ფრინველთა მოშინაურებას, მოვლა-მოშენებას, შენახვასა და შრომის დანაწილებას (შდრ. Braidwood 1948:17; Zeder 2008:11597–11599). მცენარეთა კულტივირება, რომელსაც შემგროვებელმა ქალებმა საფუძველი ჩაუყარეს, მალე მიწათმოქმედებაში გადაიზარდა. რძისა და ხორცის მომცემ ცხოველთა მოშინაურება გადაიზარდა მეჯოგეობაში, რომელიც მონადირე მამაკაცებმა ჩამოაყალიბეს (კალანდაძე 1970:121; Childe 1958:80). მოშინაურებული ცხოველი (ხარი), რომელიც შრომის მეშვეობით გაიხედნა, შრომის საშუალების მთავარ როლს ასრულებს (შდრ. მარქსი 1954, I:230). მწყემსები იწყებენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლას და პირუტყვის საძოვრად იყენებენ იმ მინდვრებს, რომლებსაც გზადაგზა ნახავენ (მარქსი 1952:8). პურეულის მოყვანა პირუტყვისათვის საჭირო საკვების მოთხოვნილებამ გამოიწვია და შემდგომ პური ადამიანთა მნიშვნელოვან საკვებად იქცა. ხორცისა და რძის პროდუქტებით კვება სასარგებლო გავლენა იქონია ბავშვების განვითარებისთვის (მარქსი, ენგელსი 1950, II:216).

ზემოწარმოდგენილმა საწარმოო მიღწევებმა შექმნა პირობები, რომ ადამიანთა ჯგუფები „მითვისებითი მეურნეობიდან“ თანდათანობით გადადიან ახალ ეკონომიკურ ფორმაციაზე – „მწარმოებლურ მეურნეობაზე“. ლოკალურმა პროცესებმა განსხვავებული ნეოლითური ხანის კულტურები შექმნა, რადგან ყოველი ჯგუფი იყო სოციალურ-ეკონომიკურად დამოუკიდებელი ან შეიძლება ნაწილობრივ იზოლირებული. ასეთ დროს თითოეულმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა თავიანთი განსხვავებული და დამოუკიდებელი ხელობა, სტილი და ინსტიტუტები, რამაც შეიძლება გამოეწვია მეზობელ ჯგუფებს შორის ურთიერთობა საქონლის ურთიერთგაცვლის მიზნით (Childe 1958:74).

დაახლოებით 12.000–10.000 წლების წინ უკვე ადამიანები ეუფლებიან მიწათმოქმედებასა და მეჯოგეობას, რაც მეცნიერებაში ცნობილია, როგორც ნეოლითის ხანის „პირველი ეკონომიკური რევოლუციის“ სახელწოდებით. მასზე გადასვლას წინა აზიაში ძვ.წ. X ათასწლეულის დასაწყისიდან დაახლოებით ხუთი-ექვსი ათასი წელი დასჭირდა (კვაშილავა 2020:83).

ნეოლითური ხანის ადამიანთა ჯგუფები თავიანთი მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ბუნების ცალკეულ ელემენტებზე ზემოქმედებენ, მისი ეკონომიკური რესურსების ნაირსახეობებს გარდაქმნიან, სახმარ და საცვლელ ღირებულებად აქცევენ და მიღებულ მარაგს კონტროლს უწევენ.

ამ დროიდან მოყოლებული ზემოაღნიშნული ინდუსტრიისა და წარმოების საშუალებათა შექმნის განვითარება დამოკიდებული იყო ტექნიკურ უნარებზე, რომლების მიღწევა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ წვრთნითა და პრაქტიკით, წინანდელ თაობათა მუშაობის შედეგებისა და გამოცდილებების დაგროვებითა და მიღებით, რითაც პირველი ძირითადი ცვლილება დაიწყო ისტორიამდელ ეკონომიკაში. შრომის დანაწილებამ სამუშაო დაყო რამდენიმე სამუშაო პროცესად და ისინი გადანაწილდა რამდენიმე პოზიციაზე. შრომის დანაწილებამ და გაცვლის ისტორიულმა პროცესებმა მეთევზე-მონადირე-შემგროვებელთა ჯგუფების მუშაობა უფრო ეფექტიანი გახადა, წარმოშვა და განავითარა დარგები: მიწათმოქმედება, მეჯოგეობა, მეთუნე-

ობა და უფრო სრულყოფილი გახდა ნადირობა, მეთევზეობა და ფეიქრობა.

ახალი წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობამ გვაროვნული წყობილების წიაღში მოამწიფა თემურ-გვაროვნული ფორმაცია, რომლის ძირითადი ეკონომიკური უჯრედი გახდა თემი. თემში შრომის დანაწილებამ, ადამიანთა ფიზიკურმა თუ გონებრივმა მოქმედებებმა და კეთილგონიერმა ქცევებმა და რიგმა გარემო პიროებებმა ნელ-ნელა შეცვალა მათი წინა ცხოვრების სტილი, უნარ-ჩვევები, დამარხვის წეს-ჩვეულებები, რელიგიური წარმოდგენები და რიტუალები.

ამასთან დაკავშირებით ამ ნაშრომის ავტორმა გამოიკვლია ძვ.წ. X–I ათასწლეულებით დათარიღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წერილობითი და არაწერილობითი ძეგლები, რომლებიც წინა აზიის რეგიონებშია აღმოჩენილი. ნაშრომაში წარმოადგინა უძველესი დარგებისა და საქმიანობის სახეობების (როგორიცაა: მიწათმოქმედება, ნადირობა, მეჯოგეობა, ფეიქრობა, ხელოსნობა, მეტალურგია), ეკონომიკურ-მათემატიკური აღრიცხვა-ანგარიშის სისტემების, თვლის სისტემების, წერის ხელოვნების, დამწერლობისა და ენის როგორც კომუნიკაციის, შეტყობინებათა გაცვლის ფუნქციების აღმოცენებისა და განვითარების მასალები (კვაშილავა 2020:83).

ეკონომიკურ-მათემატიკური აღრიცხვა-ანგარიში, რომლებიც ნეოლითის ხანიდან დაწყებული ყალიბდებოდა შუამდინარეთში, ხორციელდებოდა თიხის საანგარიშო კოჭების მეშვეობით, რომლებიც რიცხვებსა და საქონელს აღნიშნავდა. ეს თიხის კოჭები სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული სხეულებია. ესენია: მაგ., „სამკუთხედი“, „მართკუთხედი“, „დისკო“, „ბირთვი“, „ცილინდრი“, „ტეტრაედრი“, „ოვოიდი“, „კონუსი“, „ბიკონუსი“, „პარაბოლოიდი“, რომელთა შორის ზოგს ხაზები და წერტილები აღენიშნება (კვაშილავა 2020:68).

გარკვეულ პერიოდში ეს ფიგურა-სიმბოლოები თიხის გუნდებზე მატყლის ბაწარზე ასხმული მაგრდებოდა ან თიხის ბურთისებური ყულაბების შიგნით იყრებოდა და ილუქებოდა. ზოგ შემთხვევაში ისინი თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე იბეჭდებოდა, რაც ყულაბებში მოთავსებული კოჭების რაოდენობას აღრიცხავდა. ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში, 116 არქეოლოგიურ ადგილას 8.162 ცალი თიხის ფიგურა-სიმბოლო და 235 ცალი თიხის ყულაბა აღმოაჩინეს (Schmandt-Besserat 1996:20; კვაშილავა 2020:69).

თიხის ყულაბების გარეთა ზედაპირზე ფიგურა-სიმბოლოების ბეჭდვის პროცესმა ჩამოაყალიბა ემეგირული (შუმერული) ნახატ-ნიშნიანი, ხაზოვანი და ლურსმული დამწერლობები, რომლებიც ძვ.წ. 3.500–2.340 წლებში ჩნდება და ვითარდება. ამ დამწერლობებითაა შესრულებული უამრავი თიხის ფირფიტა (სულ 3.709 ცალი წარწერა), რომელთა გაშიფრვით დასტურდება, რომ წერა საქონლის, ანუ შრომის პროდუქტის დათვლის პირდაპირი შედეგია და გამოიყენებოდა სამეურნეო-ადმინისტრაციული აღრიცხვა-ანგარიშის შესაქმნელად. ამ თიხის ფირფიტებზე ჩაწერილია, მაგ., შინაური ცხოველების, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის, საკვები რაციონის, შრომადღეების სისტემატური აღრიცხვა, ადმინისტრაციული ანგარიშები უძველესი თვლის სისტემებით, გადასახადები, გარიგებები (ხელშეკრულების დადება) მყიდველსა და გამყიდველს შორის და სხვა (კვაშილავა 2020:79).

## კვლევის ძირითადი შედეგები

ძვ.წ. X–IV ათასწლეულების განმავლობაში ეკონომიკურ-მათემატიკური აღრიცხვა-ანგარიშისა და შემდგომ პერიოდში წერითი სისტემების ჩამოყალიბება-გამართვა ადამიანის გონიერებისა და უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის მიღწევაა. ნათელია, რომ წერა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის იმ სახეობიდან მომდინარეობს, რომელიც თავდაპირველად გაჩნდა მიწათმოქმედთა ადრეულ საზოგადოებებში ეკონომიკური საქმიანობის, სასოფლო-სამეურნეო საქონლის დათვლა-აღრიცხვის საჭიროების გამო.

ძვ.წ. 3500–2800 წლებში ქიენგირელი (შუმერელი), ურუქელი „მოანგარიშეების“ წრეებში წერის ხელოვნებისა და დამწერლობის გაჩენამ დაასრულა სიტყვიერი შეტყობინებებისა და ზეპირი არითმეტიკული მოქმედებებით ხშირი სარგებლობა. ამ დროიდან მოყოლებული დაიწყო ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება და დამუშავება, ინფორმაციის მოძიება, ჩაწერა და ანალიზი პრობლემის შესახებ, პრობლემისთვის შესაძლო გეგმის შედგენა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რამაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია გამოიწვია და ცხოვრების დონე საგრძნობლად აამაღლა.

უძველეს სამხრეთ-კავკასიაში, შუამდინარეთში, მცირე აზიასა და ეგეოსისზღვისპირეთში მცხოვრებ ხალხთა ფორმირებისა და ისტორიული განვითარების, თქმულებების, მითოსური გადმოცემების, კულტურული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების (შდრ. სიჭინავა 1999), კომუნიკაციების ენობრივი და წერითი სისტემების სიახლოვის, მსგავსებებისა და განსხვავებების და აგრეთვე მათი დიაქრონიული ანუ გარკვეული დროის პერიოდში ტრანსფორმაციების მეცნიერული მეთოდების (ლინგვისტური, ისტორიულ-შედარებითი, წერილობითი და არაწერილობითი ძეგლების გაშიფრვა-ანალიზისა და აღწერის) გამოყენებით დადგინდა, რომ კომუნიკაციის სისტემები აშკარად დაკავშირებულია ადამიანთა შინაგან-გარეგან ბუნებასთან, შემეცნებასთან, აზროვნებასა და სოციალურ-კულტურულ მოქმედებებთან, რომელთა ცვლილებები პირდაპირ და განუყოფლად დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობების ცვლილებებთან. ამ ურთიერთობებისა და მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოების დროს ენა, წერის ხელოვნება და დამწერლობა განსაკუთრებული საკომუნიკაციო იარაღებია,

რომლის გამოყენებით ადამიანები, ანდა ყოველი წინა თაობა მომავალ თაობას ურთიერთგადასცემენ გარკვეულ ინფორმაციას შესაძლო მიღწევების შესახებ.

ზემოდასახელებული რეგიონებში ეკონომიკურ-მათემატიკური აღრიცხვა-ანგარიშის სისტემებისა და წერის ხელოვნების წარმოშობამ და ენის განვითარებამ შეცვალა სოციალურ-კულტურული გარემო. წერითი სისტემა საშუალებას აძლევდა ადამიანებს, რომ გაეცვალათ, შეენახათ და დააგროვებინათ ინფორმაცია, იდეები პირისპირ შეხვედრის გარეშე, რაც ურთიერთობებში რევოლუცია იყო.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარება, რომელსაც თან სდევს სამეურნეო-კულტურული ფორმებისა და მეთოდების მნიშვნელოვანი გარდაქმნები, დამწერლობის ნიშნების გადაკეთებასა და წერის მიმართულების შეცვლას იწვევდა.

საწარმოო ურთიერთობებმა, რომლებიც ადამიანთა შორის მყარდება მატერიალური დოვლათის წარმოების დროს, განაპირობა ადრეული საზოგადოებების ერთი საფეხურიდან მეორეში ნახტომისებური გადასვლა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, მატერიალური კეთილდღეობის საგრძნობლად გაუმჯობესება, რითაც ინსტიტუტები (უფლებრივ ნორმათა ერთობლიობა) და ორგანიზაციები (საზოგადოებრივი გაერთიანებები) ჩამოყალიბდა და განვითარდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. თუშაბრამიშვილი და სხვ. 2017: თუშაბრამიშვილი ნ., მამიაშვლი ვ., გაბეხაძე ბ., პრეისტორიის ტერმინოლოგიის მთარგმნელობით-განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2017, 109 გვ.

2. კალანდაძე 1970: კალანდაძე ა., ქვის ხანა საქართველოში, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, I ტ., რედ. გ. მელიქიშვილი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970, გვ. 77–128.

3. კვაშილავა 2020: კვაშილავა გ., მათემატიკური და ეკონომიკური აღრიცხვის სისტემების საკითხისათვის (ძვ.წ. IX–I ათასწლეულებით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია“, 2020, №4, გვ. 65–112.

4. მარქსი 1952: მარქსი კ., კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბილისი: „სახელგამი“, 1952, 72 გვ.

5. მარქსი 1954, I: მარქსი კ., კაპიტალი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, კაპიტალის წარმოების პროცესი, თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1954, I ტ., წიგნი I, 992 გვ.

6. მარქსი, ენგელსი 1950, II: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1950, II ტ., 662 გვ.

7. ნებიერიძე 2003: ნებიერიძე ლ., მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი (გამოკვლევა და კატალოგი), თბილისი, 188 გვ.

8. სიჭინავა 1999: სიჭინავა მ., საქართველო და ანტიკური მითოსი: სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების საფეხურები, დისერტაცია ეკონ. მეცნ. დოქტ., თბილისი, 1999, 208 გვ.

9. ჩიტაია 2000, II: ჩიტაია გ., შრომები ხუთ ტომად, თბილისი: „მეცნიერება“, 2000, II ტ., 446 გვ.

10. Bar-Yosef 2007: Bar-Yosef, O., The Archaeological Framework of the Upper Paleolithic Revolution, Diogenes, 2007, Vol. 54, Issue 2, pp. 3–18.

11. Bar-Yosef 1998: Bar-Yosef, O., On the Nature of Transitions: The Middle to Upper Palaeolithic and the Neolithic Revolution, Cambridge Archaeological Journal, 1998, Vol. 8, Issue 2, pp. 141–163.

12. Bar-Yosef 2002: Bar-Yosef, O., The Upper Paleolithic Revolution, Annual Review of Anthropology, 2002, Vol. 31, Issue 1, pp. 363–393.

13. Biraben 1979: Biraben, J.-N., Essai sur l'évolution du nombre des hommes, Population, 1979, 34e année, №1, pp. 13–25.

14. Braidwood 1948: Braidwood, R. J., Prehistoric Men, Chicago Natural History Museum, 1948, 118 p.

15. Childe 1958: Childe, G., Man Makes Himself, London: The New American Library, 1958, 192 p.

16. Groman-Yaroslavski et al. 2016: Groman-Yaroslavski, I., Weiss, E., Nadel, D., Composite Sickles and Cereal Harvesting Methods at 23,000-Years-Old Ohalo II, Israel, PLoS One, 2016, Vol. 11, e0167151, pp. 1–21.

17. Mellars 1994: Mellars, P., The Upper Palaeolithic Revolution, The Oxford Illustrated Prehistory of Europe, Ed. by B. Cunliffe, Oxford: Oxford University Press, 1994, pp. 42–78.

18. North 1981: North, D. C., Structure and Change in Economic History, New York and London: W. W. Norton & Co, 1981, 228 p.

19. Olszewski 2018: Olszewski, D. I., Middle East: Epipaleolithic, Encyclopedia of Global Archaeology, Ed. by C. Smith, Springer International Publishing AG, 2018, pp. 1–8.

20. Schmandt-Besserat 1996: Schmandt-Besserat, D., How Writing Came About, Austin: University of Texas Press, 1996, 194 p.

21. Zeder 2008: Zeder, M. A., Domestication and Early Agriculture in the Mediterranean Basin: Origins, Diffusion, and Impact. PNAS, 2008, Vol. 105, Issue 33, pp. 11597–11604, https://www.pnas.org/content/105/33/11597

# ქართლის სამეფო და რომის იმპერია - პირველი ნაბიჯები ევროპისკენ

*მამუკა ცუხიშვილი (მონაზონი იოანე)*
*საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი*

**აბსტრაქტი**

ქართლის სამეფოსა და რომის იმპერიის დამოკიდებულება ჩანასახიდანვე დიდი ყურადღების ცენტრში მოექცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეული საუკუნეების ქართველ ისტორიკოსთა ცნობები, თუმცა უცხოელ მკვლევართა და მატიანეთა შეფასება არანაკლებ საინტერესოდ იკითხება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქართლი არ იყო ჩვეულებრივი და უბრალო სახელმწიფო. ქვეყნის მმართველები მაშინდელ მსოფლიოში საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდნენ, რის ნათელ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ფარსმან ქველის ურთიერთობა რომის იმპერატორებთან, რაც ასევე ნიშნავს ქართლის ევროპულ არჩევანს, რომელიც განმსაზღვრელი აღმოჩნდა მომდევნო წლების ქართლის და შემდგომ ერთიანი საქართველოსთვის.

ქართლსა და რომს შორის არსებული დაპირისპირებისა თუ კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ცნობები შეიძლება იყოს მრავალგვარი, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ უმთავრესი მაინც იყო კულტურულ-რელიგიური ფენომენი, მეტადრე ქრისტიანული მსოფლგაგების რაობა, რომელმაც ასახვა ჰპოვა სწორედ I-IV საუკუნეებში, რაც დაგვირგვინდა კიდევაც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების ისტორიული აქტით.

ნაშრომში მოკლედ განხილულია ის აქტუალური საკითხები, რომელიც შეეხება ახ. წ. ალ-ის ქართლის ევროპულ ოჯახში დამკვიდრებას.

**საკვანძო სიტყვები:** ქართლის სამეფო, რომის იმპერია, ფარსმან ქველი, კონსტანტინე დიდი, ქრისტიანობა, გზა ევროპისკენ.

## THE KINGDOM OF KARTLI AND THE ROMAN EMPIRE - THE FIRST STEPS TOWARDS EUROPE

**Mamuka Tsukhishvili (Nun Ioane)**
Researcher of the history of the villages
of the Patriarchate of Georgia
Head of the Scientific Center

**ABSTRACT**

The relationship between the Kingdom of Kartli and the Roman Empire has been in the center of attention since its inception. The reports of Georgian historians of the early centuries are especially important, although the assessment of foreign researchers and chroniclers is no less interesting to read. This means that Kartli was not an ordinary and simple state. The rulers of the country enjoyed a considerable influence in the world at that time, which is a clear confirmation of Farsman Kveli's relationship with the Roman emperors, which also means the European choice of Kartli, which turned out to be decisive for Kartli in the following years and for unified Georgia.

There can be many reports about the conflict between Kartli and Rome or good neighborly relations, but we believe that the most important was a cultural-religious phenomenon, the existence of a Christian worldview, which found its reflection in the 1st-4th centuries, which was crowned with the historical recognition of Christianity as the state religion.

**Key words:** Kingdom of Kartli, Roman Empire, Farsman Kveli, Constantine the Great, Christianity, road to Europe.

**ძირითადი ტექსტი**

რომის იმპერატორ ადრიანეს (117–138 წწ.) ბიოგრაფები დეტალურად აღწერენ ქართლთან რომის დაძაბულ ურთიერთობაზე. მათი მონათხრობიდან ჩანს, რომ მეფე ფარსმან II საკმაოდ ძლიერი იყო და იგი რომისაგან გარკვეულ დათმობებსაც კი ღებულობდა. იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138–161) დროს კი ურთიერთობა რომსა და ქართლს შორის გაუმჯობესდა. ფარსმან II ჩავიდა რომში, სადაც მას დიდი შეხვედრა მოუწყვეს და პატივისცემის ნიშნად ცენტრალურ მოედანზე დაუდგეს ცხენზე ამხედრებული მეფის ქანდაკება.

ქართული წყაროს ცნობებთან შედარებით განსხვავებულ სურათს გვიხატავენ რომაელი ისტორიკოსები (დიონ კასიოსი, ელიუს სპარტიანე). მათი აზრით ფარსმან II-ის მთავარი მოწინააღმდეგე სპარსეთი კი არ იყო, არამედ რომის იმპერია. უცხოელ ავტორთა ცნობებით ისიც ირკვევა, რომ ამ დროს ქართლის სამეფოს საზღვრები სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით განივრცო. ერთი რამ საერთო აქვთ ქართულ და რომაულ წყაროებს - ორივე შემთხვევაში, ფარსმან ქველის პერიოდის ქართლის სამეფო რეგიონში ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც ანგარიშს უწევდა როგორც რომის იმპერია, ასევე პართიის სახელმწიფო.

დაახლოებით 130 წლისთვის რომის იმპერატორ ადრიანეს აღმოსავლეთში ყოფნის დროს მან ქართლის მეფეს ელჩები გაუგზავნა, ძვირფასი ძღვენი აახლა და მასთან გამოცხადება სთხოვა. რო-

მაელი ისტორიკოსის თქმით, იმპერატორს ფარსმანისთვის მრავალ საჩუქართან ერთად საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი კოჰორტა მიურთმევია. ქართლის მეფემაც, საპასუხოდ, მდიდარი ძღვენით გაისტუმრა ელჩები, მაგრამ იმპერატორის მთავარი მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვა. ფარსმან ქველი არ წარსდგა იმპერატორ ადრიანეს წინაშე. რამაც იმპერატორი ძალიან აღაშფოთა. მასთან იმყოფებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეები, ქართლის მეფე ფარსმანმა კი უარი განაცხადა რომის იმპერატორთან სტუმრობაზე. წყაროები მოგვითხრობენ იმასაც, რომ იმპერატორი ისე მიისწრაფვოდა ამქვეყნიური დიდების მოსაპოვებლად, რომ საკუთარი ბიოგრაფია თავად დაწერა და შემდეგ სხვებს გამოაქვეყნებინა. ასეთ დროს ქართლის მეფის გადაწყვეტილება რომსა და მის იმპერატორს ყველას თვალში ამცირებდა. ისე გამოდიოდა, ადრიანე თავად ეხვეწებოდა ფარსმან ქველს რომში ჩასვლას. ამიტომაც, იმპერატორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც კიდევ უფრო გაართულა ურთიერთობა რომსა და ქართლს შორის. ადრიანემ ქართლის მეფის მიერ გაგზავნილი ოქროს მოსასხამები თურმე არენაზე გამოსულ სამას დამნაშავეს ჩააცვა. როგორც ჩანს, ამ საქციელმა ფარსმანის გულისწყრომა გამოიწვია. ამის შემდეგ ქართლის მეფის პოლიტიკა პირდაპირ იყო მიმართული რომის იმპერიის საწინააღმდეგოდ.

„ქართლის ცხოვრების" აღწერით „ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მჴნე მჴედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უჴორცო და ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისსა" (ცხოვრება, 1955:51)

რომის იმპერატორი ადრიანე გარდაიცვალა 138 წელს და მისი ადგილი დაიკავა ანტონინუს პიუსმა (138-161). ახალი იმპერატორის მმართველობისას რომსა და ქართლს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად დათბა. ამის გამოძახილი უნდა იყოს ფარსმან ქველის რომში ვიზიტიც, რომელიც 141-144 წლებში (ისტორიოგრაფიაში ამ ვიზიტის განსხვავებული თარიღებიც გვხვდება) უნდა გამართულიყო. ქართლის მეფის რომში ჩასვლის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამის შესახებ მოთხრობილია რომში ყოველწლიურად აღწერილ ამბების ნუსხაში, რომელიც მარმარილოს ფირფიტაზე იწერებოდა და ძველი რომის ნავსადგურებისა თუ ქალაქების შესასვლელებთან იდგმებოდა. ერთ-ერთი ასეთი ფირფიტის ფრაგმენტი აღმოჩნდა მდინარე ტიბრის შესართავთან. მასში აღნიშნულია „ფარსმანის, იბერთა მეფისა" და მისი ოჯახის რომში სტუმრობა. წარწერაში მოიხსენიებოდა ქართლის მეფის ვაჟისა და დედოფლის სახელებიც, თუმცაღა მათგან მხოლოდ რამდენიმე ასოა დღემდე შემორჩენილი. დიონ კასიოსის ცნობით კი ანტონინე პიუსმა „გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე (მარსის მოედანზე) დაადგმევინა და უყურებდა ფარასმანეს, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას (ნარკვევები, 1970:529-530).

ფარსმანი რომ დიდი მეფე იყო ეს უდავოა. ამიტომაც, პართიელებმა განიზრახეს მისი მოკვლა და კიდეც მოიყვანეს სისრულეში მათ მიერ მოსყიდულმა მზარეულმა მეფე მოწამლა. ეს მოხდა დაახლოებით 160-162 წლებში (გორგაძე, 1915:84).

ადრიანესა და ანტონინუს პიუსის იმპერატორობის ხანაში ქართლის მეფის მიერ განხორციელებულმა დიპლომატიურმა ნაბიჯებმა მკვეთრად განსაზღვრა საქართველოს მომავალი არჩევანი. რომლის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს ქართლის მეფის მირიან III-ის მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწეობა.

იმპერატორ კონსტანტინეს მიერ 313 წელს გამოცემულმა მილანის ედიქტმა რადიკალურად შეცვალა და გააუმჯობესა ქრისტიანთა მდგომარეობა როგორც რომის იმპერიაში, ისე მის მოკავშირე ქვეყნებში და მათ შორის ქართლში.

ქართლისკენ მომავალ წმიდა ნინოს ფარავნის ტბის სიახლოვეს ჩაძინებია და უხილავს ჩვენება, რომელსაც თვითონვე ასე გადმოსცემს - ავიღე ერთი ლოდი და თავქვეშ დავიდე სასთუმალად და დავიძინე ტბასთან ახლოს. ამ დროს მეჩვენა ზომიერი ასაკის კაცი, ნახევრადთმოსანი და მომცა დაბეჭდილი წიგნი და მითხრა „აღდეგ და სწრაფვით მიართუ ესე მცხეთას მეფესა წარმართთასა". დავიწყე ტირილი და მას ვევედრებოდი და ვუთხარი, რომ „უფალო, დედაკაცი ვარ უცხოჲ და უმეცარი, ვითარ მივიდე მე, არცა ენაჲ ვიცი, თუ რაჲ ვთქუა უცხოთა ნათესავთა თანა?". უფალმა გახსნა წიგნი და მომცა წასაკითხად, სადაც ეწერა რომაულად და დაბეჭდილი იყო თვით იესოს მიერ „სადაც დაწერილნი იყვნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა-იგი პირველ ფიცართა ქვისათა" (ძეგლები,1967:116). „და აღვიხილენ თუალნი ჩემნი ზეცად და მაღალი იგი ვაკურთხე და მისგან ვითხოვე შეწევნაჲ ჩემი ჭირთა შინა. და გარდამოსადინელსა მის ტბისასა მივჰყევ და წარვმოვემართე" (ძეგლები,1967:117). აქედან დაიწყო წმიდა ნინოს საღმრთო, მისიონერული მოღვაწეობა და სწორედ ამ „დაბეჭდულმა წიგნმა" განსაზღვრა მისი მარადიული თანამყოფობა ქართლთან, როგორც მისი მეორე განმანათლებელი, მქადაგებელი, მოციქულთა სწორი და ელჩი მშვიდობისა.

ამ საკითხს ლ. პატარიძე განმარტავდა, რომ ის „წიგნი", რომელიც ნინომ ანგელოზისგან მიიღო იქამდე, ვიდრე ქართლის საზღვარს გადმოლახავდა, წარმოადგენს ერთგვარ ნებართვას, რომ ქალმა წარმართულ ქვეყანაში იქადაგოს ქრისტიანული სჯული - ეს ნებართვა კი წმ. ნინოს, როგორც ქალს აქვს იმდენად, რამდენადაც უფლის მიწიერი ცხოვრების მანძილზე ქალებსაც გარკვეული ღვაწლი

გაუღიათ და უფალს ისინი ამ ნიშნით გამოურჩევია. ასევე თვლის, რომ ნინოს ამ წიგნის დახმარებით საქართველოში მოაქვს აღთქმა, არა დაწერილი მელნით (პატარიძე,1986:115), არამედ „სულითა ღმრთისა ცხოველისაჲთა, არა ფიცართა შინა ქვისათა, არამედ ფიცართა შინა გულისა ჴორციელისათა (კორინთ. 2:3,3)

ასევე საქართველოში ისტორიული აზრისა და ცნობიერების განვითარების შესწავლისათვის უძვირფასესი წყაროა „მირიანის წიგნი", რომელიც ასახავს საქართველოს ტრადიციული ისტორიოგრაფიის ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან ზიარების ყველაზე ადრეულ საფეხურს. ის ამოწმებს ფაქტებს, რომ საქართველოში უკვე არსებობდა ისტორიული ტრადიცია და უკვე შემუშავებული იყო ისტორიული დროის კონცეფცია, რომელიც თავისი არსითა და მნიშვნელობით იყო სწორხაზოვანი და მკაფიო, რადგან საქართველოს წარსული და ქრისტიანული მსოფლგაგება უნდა შერწყმოდა ქართველი ხალხის ნებასა და სურვილს, რათა „ქრისტეს მოსვლის" მნიშვნელობის პოზიცია გამხდარიყო ქართლის ისტორიისთვის სამიჯნო ეტაპი და საყრდენი ბურჯი (პატარიძე, 1993:31).

ყველაზე უძველესი ცნობა ქართველთა მოქცევასთან დაკავშირებით შემონახულია IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის - გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში". თანახმად ა. გლასის გამოკვლევისა „რუფინუსის „საეკლესიო ისტორიის" X-XI წიგნები, რომელიც დღემდე ორიგინალ ნაწარმოებად იყო ცნობილი, წარმოადგენს ბერძნულის თარგმანს" და თვით ბერძნული ორიგინალი ნაწარმოები ეკუთვნის 395 წელს გარდაცვლილ გელასი კესარიელს" (ყაუხჩიშვილი,1926:63), თუმცა, სამწუხაროდ გელასი კესარიელის თხზულების ტექსტი დაკარგულია. მისი ნაშრომი კი დაცულია მხოლოდ V საუკუნის IV მეოთხედის კომპილატორი ავტორის გელასი კვიზიკიელის ნაშრომში. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაშუქებისათვის შეგვიძლია ვისარგებლოთ მხოლოდ იმ თხზულებით, რომელიც ეკუთვნის არა უშუალოდ გელასი კესარიელს, არამედ გელასი კვიზიკიელს, რომელსაც 475 წლის მახლობლად ნიკეას (ან ნიკეის) პირველი კრების ისტორიისათვის საჭირო მასალები შეუკრებია და როგორც ეს ა. გლასს საკმაოდ აქვს დასაბუთებული, გელასი კესარიელის შრომით უსარგებლია (ყაუხჩიშვილი,1926:64).

„ქართლის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეული ყველა ვერსიით (თუ სხვა საისტორიო წყაროებით) დასტურდება, რომ ქართლის მეფის ელჩები ეწვივნენ რომს, სადაც მათ დახვდათ იმპერატორი კონსტანტინე და დედამისი ელენე, რომელთა მოციქულებრივი ღვაწლი განუზომლად დიდია როგორც რომის, ისე ქართლის (და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების) გაქრისტიანების საქმეში.

წმიდა ნინოს რჩევითა და მითითებით, ქართლის მეფის მირიანის მიერ რომის იმპერიაში მოციქულთა წარგზავნის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვხვდებით ერთმანეთისგან, რამდენადმე განსხვავებულ (თუმცა შინაარსითა და აგებულებით მსგავსს) ვერსიებს.

ვერსია I - იბერიის სამეფოდან მეფე მირიანმა რომის იმპერატორ კონსტანტინესთან მღვდლებისა და დიაკვნების გამოთხოვის მიზნით მოციქულები წარგზავნა მას შემდეგ, როცა დასრულდა ეკლესიის მშენებლობა - შემდგომად ეკლესიის დასრულებისა ტყვე ქალი წინადადებას აძლევს მეფესა და დედოფალს, რათა მათ გაგზავნონ ერთმორწმუნე მეგობართან და ღმრთისმოყვარე კონსტანტინესთან [მოციქულები და სთხოვონ], რათა მან, მისგან მთხოვნელთ, გამოუგზავნოს [ვინმე] ამ ეკლესიის საკურთხევლად. მაშინ მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი მოციქულები მიდიან კონსტანტინეპოლში და აუწყებენ რა მეფე კონსტანტინეს იქ [იბერიაში] ქრისტეს რწმენის განმტკიცებას, თხოვენ მიეცეთ მათ მისგან ეპისკოპოსი მათთან არსებული ეკლესიების კურთხევისათვის და აგრეთვე [საეკლესიო წესების] ჩამოყალიბებისათვის. ერთმნიშვნელოვანი და მეტად საყურადღებო განაცხადია ის, რომ სათნო და ქრისტესმოყვარე კონსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, უხაროდა რა უფლისათვის; მან შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზს ალექსანდრეს ხელთ დაასხმევინა იბერთა ეპისკოპოზი; ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უქვემდებარებს მას (ყაუხჩიშვილი,1926:62-63). ამ ამბავში ყურადღებას იქცევს ინფორმაცია ეპისკოპოს ალექსანდრეს შესახებ, რომელსაც „უკურთხებია" იბერთა ეპისკოპოსი, თუმცა ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ სხვა მკვლევარ-ისტორიკოსთათვის დღემდე ცნობილი არაფერია.

ნ. ლომოური მიიჩნევდა, რომ არც რუფინუსს, არც თეოდორიტე კვირელს, არც მათზე დამოკიდებულ გვიანდელ ავტორებს, ასევე, არც ქართულ წყაროებს არც ერთხელ არ აქვთ დასახელებული ქალაქი „კოსტანტინეპოლი". ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს გელასი კვიზიკელი (ლომოური,1975:83). ნ. ლომოურის კვლევამდე ქალაქი „კოსტანტინეპოლი" თავის თხზულებაში ეწერა გელასი კვიზიკელს, მაგრამ [ლომოურის კვლევის] შემდგომ ცხადი გახდა, რომ კესარიელის ნაშრომის კომპილაციისას სწორედ კვიზიკელმა ჩაამატა დედანში არარსებული სიტყვა, რამაც ასახვა ჰპოვა მომდევნო ხანის როგორც უცხოურ (ორიგინალურ), ისე ქართულენოვან (ნათარგმნ) თხზულებებში.

თეოდორიტე კვირელი მოგვითხრობდა, რომ მას შემდეგ, რაც დასრულდა [ტაძრის] მშენებლობა და კიდევაც გადახურეს, მხოლოდ მღვდლები არ ჰყოლიათ და აქედან გამოსავალიც უპოვია საკვირველ ქალს. ერის მმართველი დაარწმუნა, რომის იმპერატორისათვის გაეგზავნა ელჩები და ეთხოვა, რათა მათთვის გამოეგზავნა მოძღვრები მღვდელმსახურებისათვის. დიდმა და კეთილგონიერმა მეფე მირი-

ანმა მიიღო რჩევა და გაგზავნა ელჩები [რომის იმპერიაში]. როდესაც იმპერატორმა [ხოლო იგი იყო კონსტანტინე, კეთილმსახურების უმხურვალესი მოყვარე] შეიტყო თხოვნის მიზეზი, ელჩები სრული კეთილგანწყობით ღირსყო. მან რწმენით, გონებითა და ცხოვრებით შემკული კაცები, და მღვდელმთავრობითაც ღირსქმნილი, უამრავ საჩუქართან ერთად გაგზავნა ერისათვის ღმრთისმცოდნეობის საქადაგებლად (გეორგიკა,1961:210).

სრულიად განსხვავებულია მოვსეს ხორენაცის „სომეხთა ისტორიაში“ დაცული ამ (კონკრეტული) ისტორიული მოვლენის აღწერა. ანუ როგორც ირკვევა ნინომ (ნუნე) გრიგოლ სომეხთა განმანათლებლისგან მიიღო ბრძანება, რომ დაემსხვრია კერპები, როგორც ეს თავად გრიგოლმა ქმნა და აღემართა ჯვარი პატიოსანი ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე უფალი მოუვლენდა ქართველებს მოძღვარს წინამძღვრად და მასწავლებლად (Хоренаци,1990:171). ე. ი. გამოდის, რომ წმიდა ნინოს თხოვნით მეფე მირიანი მოციქულებს აგზავნის სომხეთში წმიდა გრიგოლთან, და თავის მხრივ წმიდა გრიგოლიც რჩევას შემოუთვლის მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იქამდე, ვიდრე მათ წინამძღვარი, ანუ ეპისკოპოსი ეყოლებოდათ, რაც სავსებით უარსაყოფია და რომლის გაზიარება დაუშვებელიცაა, რადგან ავტორი ცდილობს სომხეთის განმანათლებელის როლის წარმოჩენას მეზობელი ერის გაქრისტიანების საქმეში. ამასთანავე, როგორც ჩანს, მოვსეს ხორენაცი არ იცნობს თავისივე თანამედროვე მწერალ-ისტორიკოსთა თხზულებებს, ან თუ იცნობს უგულვებელყოფს მათ ნააზრევს. ასევე საფიქრებელია ის, რომ ხორენაცი განგებ ამახინჯებს ფაქტებს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქრონიკებსა“ და „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ მეტად საყურადღებო ცნობებია აღწერილი. ლოგიკურია, რომ მათ შორის არის მსგავსება-განსხვავებანი.

„ქრონიკებში“ (ძეგლები,1967:85-86) საინტერესოა ასეთი თანმიმდევრობა: მეფე მირიანი მოციქულებს აგზავნის საბერძნეთში (ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს რომი), იმპერატორ კონსტანტინესთან მას შემდეგ, როცა ააგეს ტაძარი, თავის მხრივ კი რომის კეთილმორწმუნე იმპერატორი კონსტანტინე მეფე მირიანს უგზავნის იოანე ეპისკოპოსს, ორ მღვდელსა და ერთ დიაკონს. ასევე, დედოფალი ელენე აგზავნის ორ ეპისტოლეს: ერთს დედოფალ ნანასთვის, მეორეს კი წმიდა ნინოსთვის.

აბსოლუტური მსგავსებაა შატბერდული და ჭელიშური რედაქციების ერთ კონკრეტულ ნაწილში - მაშინ მოვიდეს საბერძნეთით მღვდელთ-მოძღუარი და მღდელნი და დიაკონნი. და იწყეს ნათლისღებად მეფემან და ყოველმან ერმან, ვითარცა ზემოწერილ არს (მოქცევაი,2007:51,ძეგლები,1967:144). ამ შემთხვევაში საინტერესოა ერთი რამ. როცა ვკითხულობთ ციტატას „იწყეს ნათლისღებად მეფემან და ყოველმან ერმან“, ლოგიკურად ჩნდება კითხვა - საბერძნეთიდან (ე.ი.რომიდან) ქართლში ეპისკოპოსისა და მღვდლების მოსვლამდე იყო თუ არა ნათელღებული მეფე მირიანი? ჩვენამდე მოღწეულ თხზულებათა მიხედვით, ნანა დედოფლის ქრისტიანად მოქცევის მიზეზი არის წმიდა ნინოს ლოცვის ძალა, რაც დაკავშირებულია დედოფლის სნეულებისგან სასწაულებრივ განკურნებასთან (ძეგლები,1967:131). თანახმად „ქართლის ცხოვრებისა“, მძიმედ დაავადებული ნანა დედოფალი მაყვლოვანში წმიდა ნინოსთან მიჰყავს თავის ვაჟს, უფლისწულ რევს - მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერავინ შეუძლო... და წარიყვანეს ცხედრითა მსახურთა მათ, და ძე მისი რევ, და სიმრავლე ერისა მის თანა (ცხოვრება,1955:104). ასევე, დედოფლისა ნანაჲს ზედა აჩუენა ღმერთმან პირველი ძალი მისი მისმიერი მაყულოვანსა მას შინა, განკურნა ლოცვითა მისითა სენისგან მისგან მძიმისა, რომლისა ჴელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი (ძეგლები,1967:131). წმიდა ნინოს გულმხურვალე ლოცვის შემდეგ განკურნებული ნანა დედოფალი „აღდგა განცოცხლებული. და ჰრწმენა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი, თჳნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი...“ და შეიქმნა დედოფალი მორწმუნე და შეიცნო ჭეშმარიტი ღმერთი (გულაბერისძე,1988:56). არის განსხვავებული ვარიანტებიც. ნანა დედოფალს განკურნების საფასურიც შეუთავაზებია წმიდა ნინოსთვის - ხოლო დედოფალმან იხილა რაჲ მსწრაფლი იგი კურნებაჲ მისი, ფრიადი სასყიდელი მიართუა ნაცვლად კურნებისა (ყუბანეიშვილი,1946:228). მოციქულ წმიდა ნინოს პასუხის შესახებ რამდენიმე ვარიანტი არსებობს - ხოლო ღირსმან მან ამათი მიღება ყოვლად არა თავს იდვა, არამედ ჰრქუა, ვითარმედ ჩემდა დიდად მისათვალველ არს უკეთუ იცნათ ღმრთისმსახურებაჲ და შემოიხუნა შორის საღმრთონი სწავლანი“ და ევედრებოდა, რათა ერწმუნა იგი ყოვლითა გულითა და აეშენებია ტაძარი უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელზე. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ნანა დედოფლის სასწაულებრივი განკურნება მირიან მეფისთვის [თავდაპირველად] საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქრისტეს ძალაში დარწმუნებულიყო - და უკვირდა ფრიად, ხოლო ტაძრისა აღშენებაჲ არა ინება (არსენი,1902:23-24).

ამ მნიშვნელოვანი ამბის შემდეგ, წმიდა ნინოს ლოცვით ასევე განიკურნა მეფის უმცროსი ვაჟიც, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა დედოფალ ნანას სარწმუნოებრივი „პოლიტიკის“ საბოლოო ფორმირებაში - იმა ჟამსა მცირე ძე მეფისაჲ შეპყრობილ იქმნა ფიცხელად სენითა, ჴურვებისაჲთა, რომლისაჲ უბრძანა დედოფალმან, რათა მიჰგუარონ იგი ღირსსა ნინოს, და ევედრებოდა განკურნებად მისსა. ხოლო - წმინდა ნინომ გულმხურვალედ ილოცა, მუხლმოდრეკით ევედრებოდა უფალს მეფის ძის განკურნებას. ღმერთმაც შეისმინა წმინდა დედის ვედრება და სრულიად განკურნებული შვილი იხილა

დედოფალმა ნანამ. მას შემდეგ დედოფალი სხვა წარჩინებულ ადამიანებთან ერთად წმინდა ნინოს დაემოწაფა და მისი სულიერი წინამძღოლობით ისმენდა ჭეშმარიტ მოძღვრებას (კათალიკოსი,1902:24).

## დასკვნა

ფარსმან ქველის დროს ქართლის სამეფოში რომის იმპერატორის ელჩობას სხვა მისია და დატვირთვა ჰქონდა. ეს იყო წმინდა პოლიტიკური, სტრატეგიული, სამხედრო და ფინანსურ-ეკონომიური თანამშრომლობის გამოხატულება. სადაც ძლიერი სახელმწიფო ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია ქართლი. თუმცა, ფარსმან ქველის გამჭრიახობამ და ზუსტმა დიპლომატიურმა ალმასვლამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო. მან შეძლო პირველი ნაბიჯები გადაედგა ახ. წ. ევროპისკენ. ხოლო მირიან მეფის მიერ რომში გაგზავნილი ელჩები იყვნენ პირველი დიპლომატები, რომლებიც აუწყებდნენ რომის ძლევამოსილ იმპერატორს, რომ ქართლი არა თუ ჩამორჩა დანვითარებას, არამედ ის დღითიდღე ვითარდებოდა და ძლიერდებოდა, ახლა უკვე სარწმუნოებრივადაც.

თუ გუშინ ფარსმან ქველი მსხვერპლთშეწირვის რიტუალის აღსასრულებლად მიდიოდა რომში, დღეს უკვე მირიან მეფე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებით ამტკიცებდა ქართლის სიძლიერეს და მის მთავარ მოკავშირეს ქრისტიანულ რომს უდასტურებდა ერთგულებას.

ფარსმან ქველიც და მირიანიც ქართლის გამორჩეული მეფეები არიან (იყვნენ არა, არიან!). მათი დამსახურებით ქართველები ჯერ კიდევ II-IV საუკუნეებში ეზიარნენ იმ ევროპულ ღირებულებებს, რომლის შექმნასა და ჩამოყალიბებაში მათი წვლილი განუზომლად დიდი და ფასეულია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, სახელგამი.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. თბილისი, 1970, საბჭ. საქართველო.
3. გორგაძე, ს. საქართველოს ისტორია, ქუთაისი, 1915, ქ.შ.წ.კ.გ.ს ქუთ. განყ. სტამბა.
4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 2. თბილისი, 1967, მეცნიერება.
5. ყაუხჩიშვილი, ს. ქართლის მოქცევის საკითხები, ჟ. მიმომხილველი, თბილისი, 1926, საბჭ. საქართველო.
6. პატარიძე, ლ. წიგნი დაბეჭდილი, ჟ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე, N: 3, თბილისი, 1988, აკად. გამომცემლობა.
7. პატარიძე, ლ. უძველესი საღმრთისმსახურო პრაქტიკის ანარეკლი, ჟ. სკოლა და ცხოვრება, თბილისი, 1993, მეცნიერება.
8. ლომოური, ნ. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბილისი, 1975, მეცნიერება.
9. გეორგიკა, უცხოელი ავტორების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 1. თბილისი, 1961, საბჭ. საქართველო.
10. მოქცევაჲ ქართლისაჲ, სინური რედაქცია. ზ. ალექსიძის რედაქციით, თბილისი, 2007, მერიდიანი.
11. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. შეადგინა ს. ყუბანეიშვილმა, თბილისი, 1946, თსუ გამომც.
12. გულაბერისძე, ნ. სვეტი-ცხოვლის საკითხავი, ვ. როდონაიას რედაქციით, ქართული მწერლობა, ტ. III. თბილისი, 1988, მეცნ.
13. კათალიკოზი არსენი, ცხოვრება წმიდა ნინოსი, გამოსაცემად მოამზადა მღ. პ.კარბელაშვილმა. ტფილისი, 1902. არ. ქუთათელაძის სტამბა.
14. Хоренац, М. История Армении, Е, еван, на русском языке, 1990, Мецн. акад. изд.

# აღზრდის პროცესში ღირებულებათა ფორმირების ფსიქოლოგიური მექანიზმები

*ლელა ტყეშელაშვილი*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

ღირებულებების ფორმირება ადრეულ ბავშვობაში იწყება და გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. ფსიქოლოგიური თეორიები განსხვავებულად ხსნიან მათი ჩამოყალიბების თავისებურებებს.

განწყობის თეორიას აქვს ქცევის ახსნის მათგან სრულიად განსხვავებული პარადიგმა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბების მექანიზმის ასახსნელად.

წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია ამ თეორიული ჩარჩოს გააზრება და საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პრაქტიკაში მისი გამოყენების მართებულობის დასაბუთება.

**საკვანძო სიტყვები:** ღირებულებათა სისტემა, განწყობის თეორია, ობიექტივაცია, ღირებულებაზე დაფუძნებული სწავლება.

**RESUME**

The formation of values begins in early childhood and continues throughout life. Psychological theories explain the mechanisms of value formation in different ways.

The Theory of Set (D. Uznadze) has a completely different paradigm for explaining behavior, which can be used to explain the mechanism for the formation of a value system.

This article proposes to comprehend this theoretical framework and justify its use in educational practice.

**Key words:** value system, Theory of Set, objectification, value-based learning.

* * * *

ღირებულების ცნება ფსიქოლოგიაში განიმარტება, როგორც მორალური, სოციალური ან ესთეტიკური პრინციპების ერთობლიობა, რომლითაც ხელმძღვანელობს ადამიანი ან საზოგადოება, რათა განსაზღვროს, რომელი მოვლენა შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგი, სასურველი, მნიშვნელოვანი ან სასარგებლო. შესაბამისად, ღირებულებათა სისტემა მორალური, სოციალური, ესთეტიკური, ეკონომიკური და რელიგიური კონცეფციების ერთობლიობაა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მისაღებია ინდივიდის ან/და საზოგადოებისათვის.[3, 975]

ყოველ ადამიანს სამყაროს უნიკალური ხედვა აქვს და ამას ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად (მაგ. შეძენილი ცოდნა, წარსული გამოცდილება, აწმყო მოთხოვნები და მოთხოვნილებები) მისი ღირებულებები განსაზღვრავს. სწორედ ისინი გაფილტრავს გრემოდან შემოსულ გამღიზიანებლებს და ადამიანს მიმართავს სწორედ ისეთი მიზნებისკენ, რომლებიც სახელდობრ მისთვის არის ფასეული, საჭირო და მნიშვნელოვანი.[2, 194]

რატომ იძენენ ღირებულებები ასეთ მნიშვნელობას? - დაბადებიდანვე ადამიანის გადარჩენა სხვა ადამიანებთან კომუნიკაციაზე, მათი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებაზეა დამოკიდებული. ეს პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ამიტომაც ადამიანს მყარად ის ატიტუდები, განწყობები, მოტივაციური სტრუქტურები უყალიბდება, რომლებიც კონკრეტული სოციუმისთვის არის ორგანული.

უპირველესად, ასეთი მყარი სოციალური ჯგუფი არის ოჯახი, თუმცა ბოლო დროს ამ ცნებამ მნიშვნელობა შეიცვალა. დღეს გაცილებით ბევრი ბავშვი იზრდება არასრულყოფილ ოჯახში, არასაოჯახო, ტრადიციული თვალსაზრისისგან განსხვავებულ გარემოში. ამის მიუხედავად, როგორი კონფიგურაციაც არ უნდა ჰქონდეს ოჯახს, ის უპირველესად სოციუმის ზემოქმედებაზე რეაგირების მყარი პატერნების ჩამოყალიბებას ემსახურება.[2, 431]

თუ ზიგმუნდ ფროიდის მიერ შემოთავაზებულ პიროვნების სტრუქტურას დავეყრდნობით, სწორედ ამ გზით ყალიბდება სუპერეგო (ზე-„მე"), რომელიც არის შეძენილი ღირებულებების ერთობლიობა, სინდისი და იდეალური „მე" (ეგო-იდეალი). მაშინ რატომ ხდება, რომ, ამის მიუხედავად, ადამიანში მუდმივად მიმდინარეობს ბრძოლა ბაზისურ იმპულსებსა და შეძენილ ღირებულებებს შორის? - პოსტფროიდიანულ მოძღვრებებში ამის საპასუხოდ წინა პლანზე არის წამოწეული „ეგოს" ცნობიერი და სააზროვნო ფუნქციების, ასევე სოციალური ფაქტორების (კულტურის, ოჯახის, თანატოლების) როლი პიროვნებისა და მისი ღირებულებათა სისტემის ფორმირებაში.[2, 570]

თუ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით აღწერილ პროცესებს, გაჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ყალიბდება ღირებულებათა სისტემა აღზრდის პროცესში, რა მექანიზმი განაპირობებს მის ფორმირებასა და მყარ პიროვნულ მახასიათებლად გადაქცევას. მასზე პასუხი განსხვავებულია თითოეულ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში. ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით ღირებულებები დასწავლადია. ფსიქოანალიზის მიხედვით სოციუმისა და აღმზრდელების ღირებულებათა სისტემა ინტერიორიზდება სუპერეგოში. სოციალური დასწავლის

თეორიის მიხედვით ეს გარემოსა და სუბიექტს შორის რეციპროკული ურთიერთობითა და მიბაძვით ხორციელდება. ჰუმანისტური თეორია პიროვნული ზრდისთვის ხელშემწყობ გარემოში თვითაქტუალიზაციის თანდაყოლილ ტენდენციას მიიჩნევს, ზოგადად, განვითარების (მათ შორის ღირებულებათა სისტემის) განმაპირობებელ ფაქტორად.

ადამიანის ქცევის, და მათ შორის ღირებულებებით განპირობებული ქცევის, სრულიად განსხვავებულ, ორიგინალურ ამხსნელ მექანიზმს გვთავაზობს განწყობის ინტერაქციონალური ზოგადფსიქოლოგიური თეორია. მოკლედ მიმოვიხილავთ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის (დ.უზნაძისა და შ. ნადირაშვილის) ამ მიდგომას და მის საფუძველზე გამოვკვეთთ ღირებულებათა სისტემის, როგორც ინდივიდუალური პიროვნული კონსტრუქტის ჩამოყალიბების მექანიზმს.

სოციალური ზემოქმედების ობიექტივაცია - ობიექტივაციის ეს სახე სოციალური მოთხოვნების ალმოჩენასა და გაობიექტურებას ემსახურება. ადამიანის, როგორც სუბიექტის დახასიათება მხოლოდ საგნობრივ სინამდვილესთან ურთიერთობით არ შეიძლება ამოიწუროს. გარემოში, სადაც ის ცხოვრობს და მოქმედებს, სხვა ადამიანებიც არიან. სოციალური გარემო სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის თავისებურებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს. სოციალურ გარემოში კი იგულისხმება ის ურთიერთობებიც, რომლებშიც ჩართულია ადამიანი. ეს არის ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული, გაადამიანურებული გარემო,“- აღნიშნავს შ. ნადირაშვილი. [1, 83-96] საგნობრივ გარემოსთან ურთიერთობაც კი სულ სხვაგვარი ხდება, როცა მასში ადამიანები შემოდიან. მით უფრო, ეს უნდა აღინიშნოს სხვა ადამიანთან - სოციალურ გარემოსთან მიმართებით, რადგან სხვა სუბიექტს, ფიზიკური გარემოსაგან განსხვავებით, საკმარისად რთული უკუზემოქმედება ახასიათებს - ემოციებით, ინტელექტით, თანამშრომლობით, კონკურენციით და ა.შ. ადამიანის (სუბიექტის) ნებისმიერი ქცევა შენარჩუნდება ან განიდევნება მისი ქცევების „რეპერტუარიდან“ იმის მიხედვით, თუ რამდენად მიღებული და განმტკიცებული იქნება ის სოციუმის მიერ, თუნდაც ეს ინდივიდის მხრიდან არ იყოს გაცნობიერებული (განწყობის თეორეტიკოსები იტყოდნენ - ობიექტივირებული) - კეთილგანწყობის აღმნიშვნელი ჟესტი, გაღიმება, თავის დაქნევა, წამახალისებელი შორისდებულები და ა.შ. იწვევენ ქცევის განმტკიცებას. საწინააღმდეგოები კი -ჩაქრობას.

ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა აღზრდის პროცესში - სოციალური გარემო, უფროსები აქტიურად ერევიან ბავშვის ქცევაში, აწყვეტინებენ, აიძულებენ ქცევის ხელშემშლელი მოთხოვნების ობიექტივირებას - უშლიან სხვისი სათამაშოს მითვისებას, პატარის დაჩაგვრას და ა.შ. ადამიანის აღზრდა აღსავსეა ასეთი შეჩერებებით. ამ აქტის შედეგად აღძრული კოგნიტური პროცესების დახმარებით ადამიანი იძენს ცოდნას სოციუმის მოთხოვნების შესახებ და ამის საფუძველზე აყალიბებს ღირებულებებს. ეს ცოდნა, ისევე, როგორც საგნის ობიექტივაციის შედეგად გარემოს შესახებ მიღებული ინფორმაცია ინტელექტუალურ აქტივობას მოითხოვს და ქმნის ცოდნათა სისტემას. შემდგომ, როცა ადამიანი სჩადის ისეთ ქცევას, რომელიც არ არის შეესაბამება, შეუსატყვისია მისი შინაგანი ბუნებისათვის, ჩნდება ყველასთვის ნაცნობი მორალური განცდები _ სინდისის ქენჯნა, სირცხვილსა და დანაშაულის გრძნობა... ადამიანს ეს გრძნობა მხოლოდ ქცევის დასრულების შემდეგ როდი უჩნდება. შესაძლებელია, ეს თავად ქცევის მსვლელობის დროს მოხდეს, ის აფერხებს ქცევას და აიძულებს ადამიანს, მოახდინოს შექმნილი ვითარების ობიექტივაცია.

ამრიგად, ობიექტივაციის საფუძველზე აღძრული ცნობიერი პროცესის საფუძველზე ადამიანს ექმნება „შეგნებული და გააზრებული ქცევის განწყობა“ (შ. ნადირაშვილი), რომელიც აკმაყოფილებს როგორც გარემოს, ისე საზოგადოებისა და საკუთარ პიროვნულ მოთხოვნებსაც. ამის შედეგად ადამიანი ყალიბდება განსაზღვრული მოტივაციური და ღირებულებითი სტრუქტურების მქონე პიროვნებად. მოგვიანებით ის საზოგადოებას უბრუნებს იმას, რაც თავისი ფორმირების პროცესში მისგან მიიღო და გაითავისა.

ობიექტივაციის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება ნებელობისა და აზროვნების პროცესების ფუნქციების ჩართვა ქცევის მსვლელობაში - თუ ინდივიდის ქცევას გარემოში არსებული რაიმე საგანი აფერხებს, ჩაერთვება აზროვნების პროცესი, ხოლო სოციალური და მე-ს მოთხოვნებიდან მომდინარე, დაბრკოლებებს სუბიექტი აქცევს შეფასებითი მსჯელობის საგნად, და იწყებს ნებელობით აქტივობას. [1,96-100]

ამრიგად, ინდივიდი/სუბიექტი ობიექტივაციას მხოლოდ მაშინ კი არ იწყებს, როცა მის იმპულსურ ქცევას რამე საგანი აფერხებს, არამედ მაშინაც, როცა მისი ქცევის დაუბრკოლებელ მიმდინარეობას საკუთარი ან სოციუმის წარმოდგენები, იდეები, მოთხოვნები ეწინააღმდეგებიან. ამ შემთხვევაში ადამიანის განსჯა მიმართულია ღირებულებათა სისტემის შეფასებისა და გადაფასებისაკენ. ამ თვალსაზრისით ქცევის ბევრი გაგრძელება შეიძლება გამოინახოს. სწორედ ის, თუ როგორ აკეთებს ადამიანი მათგან თავისთვის მისაღების არჩევანს, საინტერესო მონაცემებს გვაწვდის მის პიროვნებაზე [1,154].

საკუთარი ქცევისა და ღირებულებების ურთიერთშედარების საფუძველზე და ნებელობის ჩარევით პიროვნება ისახავს ისეთ ქცევას, რომელიც

ამჯერად მისი სოციალური „მე"-ს მოთხოვნებისათვისაც იქნება მისაღები, რადგან როცა ადამიანის ქცევა საკუთარ ფასეულობებთან/ღირებულებებთან მოდის შეუსაბამობაში, ობიექტივაციის საგანი ხდება ქცევის შინაგანი მხარე - მოთხოვნილება, რომელიც საზოგადოების მოთხოვნების საწინააღმდეგო და, ამდენად, ხელის შემშლელი აღმოჩნდება, ან პირიქით - თავად სუბიექტისთვის დამაბრკოლებელი. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილი ქცევის გამონახვა ამ ურთიერთობის (სოციალური გარემო - პიროვნება) მოგვარებას ემსახურება. საბოლოოდ, ადამიანი გეგმავს და ასრულებს ისეთ ქცევას, რომელიც სოციუმთან მიმართებაში უფრო ადაპტური და მიზანშწონილია.

რა როლს ასრულებს ამ შემთხვაში ნებელობა? - ნებელობითი აქტი არის ობიექტივაციის საფუძველზე სუბიექტის მიერ განხორციელებული აქტივობა, რომლის მეშვეობითაც წყდება პიროვნული, შინაგანი პრობლემა. [1, 99]

შ, ნადირაშვილი აღნიშნავს, რომ ეს სიტუაცია ასე შეიძლება აღიწეროს: ადამიანის მოთხოვნილებაც და მისი ღირებულებათა სისტემიდან მომდინარე მოთხოვნაც აქტიურ მდგომარეობაში არიან, ორივე იძლევა თავისი შესაბამისი ქცევის იმპულსს. ეს შინაგანად არათავსებადი მდგომარეობა ამუხრუჭებს ქცევას. ადამიანი იწყებს თავისი შინაგანი ფსიქოლოგიური სტრუქტურების რეორგანიზაციას ობიექტივაციის აქტის მეშვეობით.

როგორც ცნობილია, ნებელობის პროცესი ციკლური მიმდინარეობის მქონეა. მას აქვს დასაწყისი, დეტერმინირებული მდგომარეობა და დასასრული. ამ თანმიმდევრობით ხდება ხდება გადაწყვეტილების მიღება, მისი ფორმირება და ამოქმედება. ამის აუცილებელი წინაპირობაა სუბიექტს მხრიდან თავისი ქცევის შედეგების გაცნობიერების შესაძლებლობა. აქ გადამწყვეტი როლი ენიჭება დროის ფაქტორს, რადგან ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი როცა ინდივიდი მოახერხებს, „ამოერთოს" დროის მონაკვეთიდან წარმოისახოს მომავალი- ამ შემთხვევაში წარმოსახვას რეალობის ძალა ენიჭება.

ადამიანი მოიძიებს თავისი შინაგანი კონფლიქტის აღმოცენების მიზეზებს, იწყებს თავისი „მე"-სა და საკუთარი ქცევის ობიექტივაციას. ამ პროცესის დანიშნულებაა აზროვნების მიერ შერჩეული ქცევის სოციალურ და მორალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ცხადია, ეს რეალურად არის ქცევისთვის მოტივის შერჩევა. სწორედ ამის გამო, სახელდობრ აქ ჩაისახება ფსიქოლოგიური ქცევა, რომელიც საშუალებას იძლევა, ინტელექტუალურად შერჩეულ ქცევას ფსიქოლოგიურად მისაღები სახე მიეცეს. თავის მხრივ, ამისთვის საჭიროა, პიროვნებამ მის მიერ მოაზრებულ ინტელექტუალურ ქცევას მიანიჭოს „მაღალი ღირებულებითი ფასი" (შ.ნადირაშვილი). ეს აქცევს მას, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე ქცევად და აღმოაცენებს შესაბამისი განწყობის შექმნისათვის აუცილებელ სუბიექტურ ფაქტორს. კერძოდ, არჩეულ ქცევას იმდენ დადებით შედეგს მიაწერს, რომ უფრო ადვილად მიიღებს გადაწყვეტილებას მის სასარგებლოდ. ამაში აქტიურად მონაწილეობს ნებელობის ფუნქცია და ღირებულებათა სისტემაც.

როგორც განწყობის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, ასეთი ქცევების დაგეგმვის, შესრულებისა და შემდგომი გაანალიზების საფუძველზე იხვეწება პიროვნების შინაგანი ძალები და მისი სტრუქტურა. ამგვარად, ეტაპობრივად ყალიბდება ღირებულებითი ორიენტაციები და მათი სისტემები.

ღირებულებათა ფორმირების პროცესის სიღრმისეულ გაანალიზებას და მისი მექანიზმების დაზუსტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საამღზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის. ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება და აღზრდა მიმართული უნდა იყოს იმ მორალური სტანდარტებისა და ეთიკური თვისებების გამომუშავებასა და შეთვისებაზე, რომლებიც, აკადემიური ცოდნის მიღებასთან ერთად, თანაბრად მნიშვნელოვანია. ეს არის ორიენტაცია სოციალურად მისაღებ, პიროვნების ან/და სოციუმის თვალსაზრისით მართებულ ცხოვრების წესზე.

ნებისმიერი პროცესი, რომელიც ადამიანის მიერ საკუთარი მორალური პრინციპებისა და ეთიკური პრიორიტეტების და მათი ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართების გაგებისა და გაცნობიერებას - ობიექტივაციას ემსახურება, გამოკვეთს და აყალიბებს ღირებულებებს. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური კონტექსტი, პიროვნებათაშორისი ურთიერთობები და ემოციური კეთილდღეობა.[4, 5-6]

განსაკუთრებით საყურადღებოა, აღმზრდელებმა (მშობელმა, მასწავლებელმა) ხელი შეუწყონ ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც აგებული იქნება ზოგადსაკაცობრიო პრინციპებზე, ღირებულებებზე, რწმენა-წარმოდგენებსა და ქცევებზე, რომლებიც გაზრდის საზოგადოების წევრთათვის უსაფრთხო და სანდო გარემოს უზრუნველყოფის ალბათობას.

ასეთი ტიპის ცოდნას ბავშვები უმეტესად ისეთი მყარი, სტრუქტურიზებული გარემოდან ითვისებენ, როგორიცაა სკოლა, ოჯახი, საბავშვო ბაღი. ხოლო თუ საკითხს უფრო ფართო კონტექსტში განვიხილავთ, სკოლების, საცხოვრებელი უბნების, სხვადასხვა სათვისტომოებისაგან კი. რაც უფრო მრავალფეროვან კონტექსტთან უხდება ბავშვს შეხება, მით მრავალფეროვანი კულტურული შრის/ფენის ზეგავლენას განიცდის. ამაში მას განსაკუთრებით ეხმარება საერთო სამეტყველო ენა. ენასა და მოსა-

ლოდნელ ქცევას (მოლოდინს, ქცევის ალბათობას) შეუძლია შეცვალოს მოზარდი ადამიანი. ზემოქმედება კი შეიძლება იყოს როგორც სასარგებლო, ასევე საზიანო. მააგალითად, ბავშვს, რომელიც კოლექტივისტურ კულტურაშია გაზრდილი, გაუჭირდება სწავლა ინდივიდუალისტურ სოციუმში. ამიტომ აღმზრდელმა, მასწავლებელმა მას შეძლებისდაგვარად ხშირად უნდა მისცეს სხვებთან თანამშრომლობის საშუალება.

ხელოვნების განსხვავებულ ნიმუშებთან, განსხვავებულ ენასთან, ტრადიციულ თამაშებთან ან საოჯახო/რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან შეხება თავისთავადაც იქნება მდიდარი რესურსი ღირებულებათა ჩამოყალიბებისათვის, თუკი მათ გამოვიყენებთ ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთგაცვლისათვის და არა - დაპირისპირებისათვის. ასე რომ, დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად გათვითცნობიერებულია თავად აღმზრდელი თავისი მოსწავლეების განსხვავებულ კულტურასა და ტრადიციებში, შესაბამისად კი - ღირებულებებში. [4,27] მით უფრო, რომ განწყობას, ატიტუდს ღირებულების გამოხატვის ფუნქცია აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდისთვის მისაღებია და დადებითი დამოკიდებულება აქვს, ძირითადად, იმ საზოგადოებრივი, ინტერპერსონალური სოციალური მოვლენების, სიმბოლოების, იდეებისა და ქცევებისადმი, რომლებიც მის ღირებულებებს უკავშირდება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. შ. ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, სოციალური განწყობა, 1985
2. რ.გერიგი, ფ.ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება, 2009
3. APA Dictionary of Psychology, Gary R. VanderBos, editor in chief, American Psychological Assotiation, Washington, DC 2006
4. Top 20 principles from psychology for early childhood teaching and learning, Coalition For Psychology In schools And Education © 2019 by the American Psychological Association.

# ევროსკეპტიციზმის ფესვები და მიმართულებები

***შოთა კუბლაშვილი***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

თანამედროვე პირობებში პოლიტიკური რადიკალიზმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის პოლიტიკური სცენის დამახასიათებელი ატრიბუტია. სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური პარტიები თუ პოლიტიკურად გაბატონებული კლასები, რა თქმა უნდა ატარებენ საკუთარ პოლიტიკას, იქნება ეს შიდა სახელმწიფოებრივი თუ საგარეო, ეკონომიკური თუ სოციალური და ა.შ. თუმცა, ცხადია, რომ გლობალიზაციამ მოიტანა სახელმწიფოთა გარკვეული გაერთიანებების არსებობის საჭიროება, როგორებიცაა ევროკავშირი, NATO და სხვა. ამ ყველაფრის საპირისპიროდ კი არსებობენ აქტორები, რომლებიც რადიკალურად ეწინააღმდეგებიან არსებულ წყობილებებს, ინსტიტუტებს და საკუთარი პოპულისტური ქმდებებით ცდილობენ დისბალანსი შეიტანონ მათში.

სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ალიანსებში ყოფნას, თავის დადებით მხარეებთან ერთად, მოსდევს ქვეყნების მხრიდან გარკვეული მოთხოვნების წამოყენება, კრიტიკა ევრო ინსტიტუტების მიმართ, ხშირ შემთხვევაში საერთოდ ევროპული იდეებისა თუ ინსტიტუტების წინააღმდეგ გამოსვლები, ეროვნული იდენტობის წინ წამოწევა და სხვა.

ამიტომ, პოლიტიკური რადიკალიზმის განხილვისას, საჭიროა შევეხოთ ბოლო წლებში ძალზედ პოპულარულ ევროსკეპტიციზმს. უფრო მეტიც, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ევროსკეპტიციზმი პოლიტიკური რადიკალიზმის და პოპულიზმის განვითარების ახალი ეტაპია. ევროკავშირში ბოლო ათწლეულის მანძილზე მიმდინარე დიდი ეკონომიკური რეცესიის, ემიგრაციული პრობლემების და ბრექსიტის მიერ გამოწვეული შოკი ჯერ კიდევ არაა გადავლილი და პოპულისტურ-მემარჯვენე რადიკალური პარტიები კიდევ უფრო აღრმავებენ ამ შოკს და ამ კრიზისული სიტუაციების მთავარ მასაზრდოებელ ძალებს წარმოადგენენ.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც თავად ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები, აგრეთვე, წევრი სახელმწიფოები ებრძვიან ევროსკეპტიციზმს, პოპულისტურმა პარტიებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე, ვინაიდან, ბრექსიტის თუ სხვა კრიზისების ფონზე, მმართველი პოლიტიკური ძალების პოზიციები აშკარად შერყეულია.

ფაქტიურად მემარჯვენე და ულტრამემარჯვენე რადიკალურ-პოპულისტური პარტიები ბევრ ქვეყანაში ეწინააღმდეგებიან სხვადასხვა საერთაშორისო ალიანსებში ინტეგრაციას, რასაც საფუძვლად უდებენ ეროვნული თუ რელიგიური ინტერესების განადგურების საფრთხეს. თუმცა, ნებით თუ უნებლიედ, თავიანთი მიდგომებით და მოწოდებებით ისინი ექცევიან სამეცნიერო დაინტერესების ქვეშ, მეცნიერებმა უკვე დაიწყეს ევროსკეპტიკურად განწყობილი ჯგუფების კლასიფიცირება, დაყოფა მათი მოთხოვნების სიმძაფრის მიეხედვით.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანია მიმოიხილოს ევროსკეპტიციზმის, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები, მისი გაბატონებული სახეობები და ევროსკეპტიციზმის გამოვლინების მწვერვალი „ბრექსიტი“

**საკვანძო ტერმინები:** ევროსკეპტიციზმი, ევროკავშირი, პოპულიზმი, პოლიტიკური რადიკალიზმი, დიდი ბრიტანეთი, მარგარეტ ტეტჩერი, „ბრექსიტი“.

## THE ROOTS AND TYPES OF EUROSCEPTICISM

**Shota Kublashvili**
PhD student of GTU

**SUMMARY**

In modern conditions, political radicalism is a characteristic attribute of the political scene in many countries in the world. The political parties at the head of the state government or the politically dominant classes, of course, conduct their policies, be it domestic or foreign, economic or social, etc. However, globalization has brought about the need for certain alliances of states, such as the European Union, NATO, and others. Contrary to all this, some actors are radically opposed to the existing arrangements and institutions and try to create an imbalance in them with their own populist actions.

Being in military, political, or economic alliances, along with its positive sides, is followed by the raising of certain demands by the countries, criticism of European institutions, protests against European ideas and institutions, Bringing national identity to the fore, etc.

Therefore, when discussing political radicalism, it is necessary to touch on Euroscepticism, which has become very popular in recent years. Moreover, we can note that Euroscepticism is a new stage in the development of political radicalism and populism. The shock

caused by the great economic recession, emigration problems, and Brexit in the last decade in the European Union has not yet passed, and the populist-right radical parties are exacerbating this shock and are the main feeding forces of these crises.

Although the EU itself and its institutions, as well as the member states, are fighting Euroscepticism, populist parties may influence the political processes, since, in the background of Brexit or other crises, the positions of the ruling political forces are shaken.

Right-wing and ultra-right radical-populist parties in many countries oppose integration into various international alliances, which is based on the threat of destruction of national or religious interests. However, they are the subject of scientific interest, scientists have already begun to classify groups of Eurosceptics, dividing them according to the intensity of their demands.

Based on all of the above, the purpose of this article is to review the stages of origin, roots and development of Euroscepticism as a political trend, its dominant types, and the peak of Euroscepticism, "Brexit".

**Key words**: Euroscepticism, European Union, populism, political radicalism, Great Britain, Margaret Thatcher, "Brexit".

## შესავალი

აღიარებულია, რომ ევროსკეპტიციზმი გამოხატავს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აზრთა ერთობას, რომელიც მიმართულია ევროპული კავშირის იდეის, ევროინსტიტუტების და ევროინტეგრაციის წინააღმდეგ.

ევროსკეპტიციზმი, ევროსკეპტიკოსი, როგორც ფრაზა, ასპარეზზე გამოდის XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში და უმარტივესი ფორმით აღნიშნავდა პოლიტიკურ თუ საზოგადოების წრეს, რომელიც მოწინააღმდეგე იყო ევროკავშირისა. ბუნებრივია, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ის გავრცელდა სხვა წევრ თუ არაწევრ ქვეყნებში და ევროკავშირისათვის საკმაოდ მძიმე დღის წესრიგად იქცა.

ნებისმიერი პოლიტიკური, სამხედრო, სავაჭრო (ეკონომიკური) თუ სხვა სახის ალიანსის წევრობა, თავისთავად მოიცავს ეროვნული სუვერენული ინტერესების გარკვეული ფორმით შეზღუდვას, მის გადაცემას და დაქვემდებარებას ალიანსისადმი და მისი წესებისადმი. ევროსკეპტიკოსთა იდეაც სწორედ ამაში მდგომარეობს - ისინი ეწინააღმდეგებიან ეროვნული ინტერესების დათმობის ხარჯზე სრულ თუ ნაწილობრივ ინტეგრაციას ევროკავშირში.

ფაქტია, რომ ევროკავშირის შექმნით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მთლიანად შეიცვალა ევროპის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დღის წესრიგი სუპრანაციონალური ინსტიტუტებით, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ევროპული იდენტობა, თუმცა დროთა განმავლობაში ერთანმა ევროპულმა იდენტობამ დათმო პოზიციები ეროვნულ იდენტობასთან მიმართებით.

ამრიგად, ევროსკეპტიციზმი აღქმული უნდა იქნას, როგორც მრავალმხრივი ფენომენი, რომელიც არ არის ევროინტეგრაციის პირდაპირი შედეგი, არამედ ის სხვადასხვა და არაერთი ფაქტორის საფუძველზე წარმოქმნილი დამოუკიდებელი მოვლენაა.

## ძირითადი ნაწილი

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდიდან გააქტიურებულმა ევროსკეპტიციზმმა და ევროსკეპტიკურმა განწყობებმა, სამეცნიერო წრეებში შექმნეს საჭიროება, მოვლენა კვლევითი კუთხით შეფასებულიყო. 80-90 იანი წლებიდან იწყება პირველი მცდელობები განმარტებულიყო ევროსკეპტიციზმის მეცნიერული და პოლიტიკური ბუნება.

ევროსკეპტიციზმის ძირითადი კონცეფცია განისაზღვრა სასექსის უნივერსიტეტის მკვლევარების ალექს შჩერბიაკისა და პოლ თაგარტის[1] მიერ, რომლებმაც შეიმუშავეს ევროსკეპტიციზმის დეფინიცია - „ევროსკეპტიციზმი არის მოწინააღმდეგე პოზიციები ევროინტეგრაციისადმი, ისევე როგორც ამ საკითხისადმი აშკარა ოპოზიცია[1]". დიდი ბრიტანეთის პრაქტიკულ მაგალითზე მათ ევროსკეპტიციზმს ორი ქვეტიპი მიანიჭეს: ხისტი ევროსკეპტიციზმი (hard Euroscepticism) და რბილი ევროსკეპტიციზმი (soft Euroscepticism), აღნიშნული გრადაცია, აგრეთვე საფუძვლად დაუდეს პოლიტიკური პარტიებს, მათი საქმიანობისა და მიმართულებიდან გამომდინარე და შესაბამისად, ევროსკეპტიკურად განწყობილი პარტიები დაკვალიფიცირდნენ ზემოხსენებული ორი კრიტერიუმით.

აღნიშნული ორი კრიტერიუმის განმარტება მდგომარეობს შემდეგში: ხისტი ევროსკეპტიკოსი სრულად ეწინააღმდეგება ევროკავშირს და მის იდეას და მათში აგრეთვე მოიზრებიან ისინიც ვინც ეწინააღმდეგება ევროპასთან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ თავსებადობას. დამახასიათებელი შტრიხად შეგვიძლია მოვიხსენიოთ აგრეთვე მოწინააღმდეგეთა მიდგომა ევროინტეგრაციის არსებულ ფორმებთან[2].

საინტერესოა, რომ ხისტი ევროსკეპტიკოსი პარტია შესაძლოა აქცენტირებული იყოს ერთ კონკრეტულ საკითხზე და მიუხედავად იმისა, რომ ის

1 https://profiles.sussex.ac.uk/p102973-aleks-szczerbiak, //profiles.sussex.ac.uk/p2609-paul-taggart

ბოლომდე არ წინააღმდეგება ევროინტეგრაციას, შესაძლოა რომელიმე საინტეგრაციო საკითხი მისთვის პირველ ადგილზე იდგეს დღის წესრიგში და ამ ერთ კონკრეტულზე გამოხატავდეს წინააღმდეგობას.

რბილ ევროსკეპტიციზმში, ხისტი ევროსკეპტიციზმისაგან განსხვავებით, პირიქით, მოიაზრება გარკვეული პირობებით ინტეგრაცია ან სულაც წინააღმდგობას შესაძლებელია ჰქონდეს კვალიფიციური ხასიათი, რითაც ის განისაზღვრება, როგორც პოლიტიკური ევროსკეტიციზმი. აღნიშნული გულისხმობს ევროგაერთიანების (და მისი ინსტიტუტების) პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან წინააღმდეგობას, თუმცა არ გამოიხატება როგორც ევროპული იდეის აშკარა მოწინააღმდეგე.

რბილი ევროსკეპტიციზმის ქვეტიპად აგრეთვე შეგვიძლია დავასახელოთ ეროვნული ინტერესების მატარებელი ევროსკეპტიციზმი, რომელიც მართალია კრიტიკულია, თუმცა, ევროკავშირისადმი აშკარა წინააღმდეგობის ნაცვლად, ითხოვს ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევას.

შესაბამისად, რბილი ევროსკეპტიკოსი არ არის ევროინტეგრაციის ან მისი ინსტიტუტების პრინციპული მოწინააღმდეგე, უბრალოდ ის კვალიფიციურად ეწინააღმდეგება ევროკავშირის გარკვეულ პოზიციებს[3].

ევროსკეპტიციზმის კვლევაში საინტერესო მიგნებებს აკეთებენ მკვლევარები: პროფესორები პეტრ კოპეკი[2] და კას მუდე[3].

საინტერესოა ამ მკვლევართა სხვადასხვა ნაშრომები მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადებას მივაქცევთ მათ კვლევას „ევროსკეპტიციზმის ორი მხარე“[4], რომელშიც მათ შემოჰყავთ ორი ახალი საინტერესო ცნება, როგორიცაა ევროფილები და ევროფობები.

ევროფილებს სწამთ ევროინტეგრაციის ძირითადი იდეები, რომლებზეც დაფუძნებულია ევროკავშირი: ინსტიტუციონალიზებული თანამშრომლობა გაერთიანებული სუვერენიტეტის საფუძველზე (პოლიტიკური ელემენტი) და ინტეგრირებული ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა (ეკონომიკური ელემენტი), ამ ყველაფრის მიმდევრები არიან ისინი იმის მიუხედავად თუ როგორაა რეალიზებული ევროინტეგრაცია. ევროფილებში შესაძლებელია იყვნენ არამხოლოდ ისინი, ვინც ევროკავშირის იდეებს და ევროინტეგრაციას ახალი სუპრანაციონალურ სახელმწიფოს პროქტად მიიჩნევს (მაგ. ფედერალისტები), არამედ ისინიც, ვინც ევროინტეგრაციას მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის ჭრილში აღიქვამს (მაგ. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა).

ევროფილისაგან განსხვავებით, ევროფობი არ ემხრობა და მეტიც ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციის ზოგად პრინციპებსა და იდეებს, რასაც შესაძლოა საფუძვლად ერთის მხრივ ედოს ის, რომ ისინი ნაციონალისტები, სოციალისტები ან სხვა მსგავსი პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებლები არიან, ან მეორეს მხრივ უბრალოდ მიაჩნიათ ევროპული იდეები და ევროინტეგრაცია ზოგადად სისულელედ ევროპული ქვეყნების მრავლაფეროვნების ერთმანეთთან შეუთავსებლობის გამო. თუმცა, შესაძლებელია, მათ შორის ევროგაერთიანების გარკვეული მხარდამჭერი ასპექტებიც იყოს, მაგალითად ალტერანტიული ევროპის შექმნა და სხვა. ამის მაგალითია დეკლარაცია „ახალი ევროპის აშენება“, რომელსაც ხელი მოაწერა 1999 წელს დასავლეთ ევროპის 13-მა ულტრამემარცხენე პარტიამ, მოიცავს მოწოდებას „სოციალური და ეკოლოგიური ევროპის, დემოკრატიული ევროპის, სოლიდარობისა და მშვიდობის ევროპის შესახებ“[5].

აღნიშნული საკითხების შესწავლისა და დამუშავების შემდეგ, სამეცნიერო წრეები თანხმდებიან ევროსკეპტიციზმის 4 ტიპზე - „ევროუარმყოფელები“ (“Eurorejects”), რომლებიც ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის იდეებს, „ევროენთუზიასტები“ („Euroenthusisasts“), რომლებიც ევროკავშირის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მომხრეები არიან, ევროპრაგმატები („Europragmatists“), რომლებიც არ ემხრობიან ევროპულ იდეებს, მაგრამ სასარგებლო ალიანსად მიაჩნიათ და „ევროსკეპტიკოსები“ („Eurosceptics“), რომლებიც ემხრობიან იდეას, მაგრამ ეწინააღმდეგებიან თანამედროვე სახით მის აღსრულებას.

ისტორიული გადმოსახედიდან ევროსკეპტიციზმის აღმოცენება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ეს XX საუკუნის 80-იანი წლებია.

ევროპული ალიანსის, მისი ინსტიტუტების და იდეების შექმნა ორგანიზაციების და ინსტიტუტების შექმნა, რა თქმა უნდა დამფუძნებელ წევრთა შორის დათმობებისა და ურთიერთშეთანხმების შედეგი იყო. ამასთან, ერთად დროთა განმავლობაში დადგა საჭიროება საერთ გადაწყვეტილებების მიღებაში წევრ სახელმწიფოთა ჩართულობისა მათი ხმების გათვალისწინებით.

ამ ყველაფრის მოწინააღმდეგე იყო საფრანგეთ და შარლ დე გოლი, რომელიც ამ ყველაფერს მიიჩნევდა საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე სხვა წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებების ზეგავლენად. შეიქმნა კრიზისი, რომელმაც საკმაო პერიოდი გასტანა და დასრულდა ლუქსემბურგის შთანხმებით, რომელმაც ეროვნული ინტერესების შემლახველ გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლება შემოიღო.

2 https://www.universiteitleiden.nl/en/staffmembers/petr-kopecky#tab-1
3 https://spia.uga.edu/faculty-member/cas-mudde/

საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე არსებული ბატალიების შედეგად მიღებული დათმობებისა თუ შეთანხმებების საფუძველზე საბოლოო ჯამში დიდი ბრიტანეთი 1973 წელს ევროკავშირის წევრი გახდა. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი „რკინის ლედი“, კონსერვატიული პარტიის ლიდერი მარგარეტ ტეტჩერი, რომლის უკომპრომისო პოლიტიკამ სათავე დაუდო ე.წ. ტეტჩერიზმს.

მარგარეტ ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობის გარიჟრაჟი ხასიათდება ევროპულ ალიანსთან დაძაბული ურთიერთობით, ვინაიდან ტეტჩერის მთავარი მიზანი იყო ბრიტანეთის ეკონომიკური ინტერესების წინ წამოწევა და შესაბამისად, ევროკავშირისათვის უზარმაზრი შენატანების შემცირება. ამ ყველაფრის ნათელი მაგალითებია „I want my money back“ ან ცნობილი სიტყვა ბელგიაში, ქალაქ ბრიუგეში, რომელიც იმ კრიზისების ამსახველია რაც ევროპული იდეის არსებობას თან სდევდა[6]. ამ მიმართვამ, ფაქტიურად გააერთიანა სკეპტიკოსები და სათავე დაუდო ევროინტეგრაციის წინააღმდეგობას ინტელექტუალაური თვალსაზრისით.

ევროპულ სტრუქტრებთან მიმდინარე ბატალიებში, დიდი ბრიტანეთი ფაქტიურად გამარჯვებული გამოვიდა 1984 წელს, როდესაც ბრიტანეთმა მიიღო შენატანებზე შეღავათები, რამაც გამოიწვია ბრიტანეთის ჩართულობა ერთიანი ევროპული ბაზრის განვითარებაში.

ევროკავშირში წევრობის დღიდან, დიდი ბრიტანეთი მასში არსებული პროცესების ერთ-ერთ მოწინააღდეგედ ტრანსფორმირდა, რაც გამოიხატებოდა წევრობის თაობაზე სკეპტიციზმით და სურვილით, დაეტოვებინა გაერთიანება, რამაც აპოგეას მიაღწია XXI საუკუნის 10-იან წლებში.

2016 წლის 23 ივნისს გაიმართა რეფერენდუმი, რომლის მიზანიც იყო ბრიტანეთის ევროკავშირში ყოფნა-არყოფნის საკითხი.

რეფერენდუმს წინ უსწრებდა დოკუმენტი „ევროკავშირიდან გასვლის პროცესი“, სადაც აღინიშნა, რომ „დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე რეფერენდუმის შედეგი საბოლოო იქნება. მთავრობას ეკისრება დემოკრატიული მოვალეობა, შეასრულოს ამომრჩევლის გადაწყვეტილება“.[7] ამ ყველაფერმა ნათელი გახადა, რომ ფაქტიურად, საზოგადოებაში მომწიფებული იყო აზრი ევროკავშირის დატოვების შესახებ, რომელმა აზრმაც მანამდე ჩატარებულ რეფერენდუმში ვერ მოახერხა გამარჯვება. ასეთია ლეიბორისტების მოთხოვნით 1975 წელს ჩატარებული რეფერენდუმი, რისი მოწინააღმდეგეც იყო ბრიტანეთის კონსერვატიული ხელისუფლება.

დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებას, გარდა შიდა პოლიტიკური პროცესებისა, წინ უსწრებდა ევროპის საბჭოში მიმდინარე დებატები, რომლის საფუძველზეც საბჭო ძალიან დიდ დათმობებზე მიდიოდა ბრიტანეთთან, როგორიც იყო სუვერენიტეტის ზრდა, წევრთა პარლამენტების როლის გაძლიერება და სხვა[8].

მიუხედავად ევროპული თუ შიდა ბრიტანული სტრუქტურების დაუღალავიმცდელობებისა, რეფერენდუმი შედგა 2016 წლის 23 ივნისს და ბრიტანელთა უმრავლესობამ, 51,9% , უარი უთხრა ევროკავშირს.

ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის 1957 წელს რომის ხელშეკრულებით შექმნიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, მისი არსებობის ისტორიაში პირველად, ნაცვლად გაფართოებისა, მისი წევრების რიცხვი შემცირდა და 2020 წლის 1 თებერვალს 00:00 საათზე, გაერთიანებული სამეფომ იურიდიულად დატოვა ევროკავშირი.

## დასკვნა

შეჯამების სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ევროსკეტპიციზმი ესაა ევროპული პოლიტიკური კურსის მიმართულება, რომელიც მიმართულია ევროკავშირის, როგორც იდეის, ალიანსის და ინსტიტუტის წინააღმდეგ და მისი მიმდევარი პოლიტიკური მოთამაშეები, ატარებენ რა მეტწილად პოპულისტურ ხასიათს მოწოდებული არიან სტრუქტურების გაუქმების ან მეტი ღიაობისა თუ სიმარტივისაკენ.

დიდი ბრიტანეთის მიერ ამ სტრუქტურების დატოვების, ე.წ ბრექსიტის, საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენამ ხაზი გაუსვა თავდაპირველი ევროპული იდეის თანამედროვე პირობებში არამდრადობას, რაც დაკავშირებულია თავდაპირველი იდეების ტრანსფორმაციასთან, წევრთა თუ არაწევრ სახელმწიფოთა ინტერესების გარკვეულ დისკრიმინაციასთან, კომპრომისებთან, ეროვნული იდენტობების ჩაყლაპვის ან გაუქმების მცდელობებთან ფაქტია, რომ ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესს პოლიტიკური ფასი აქვს წევრ ქვეყნებში, რაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე ეჭვქვეშ აყენებს ევროინტეგრაციის მდგრადობისა და მომავლის საკითხს.

ევროსკეპტიციზმი გახდა მრავალი პოპულისტური პარტიის საერთო მახასიათებელი, მათი მემარჯვენე თუ მემარცხენე შეხედულების მიუხედავად.

გარდა იმისა, რომ პოპულისტები შეიძლება განსხვავდებოდნენ იმ დეკლარირებული მიდგომების მიხედვით, რომლებსაც ისინი იყენებენ ევროკავშირისადმი ოპოზიციის გასამართლებლად და ერთმანეთს შორის ევროწინააღმდეგობის ინტენსივობაც შეიძლება განსხვავდებოდეს, მაინც არსებობს მათ

შორის მსგავსება და იდენტობა მიდგომებისადმი, რომლებსაც ისინი იყენებენ ამომრჩეველზე ზემოქმედებისა თუ საკთარი ინტერესების ღიად დაფიქსირებისათვის ევროპის წინააღმდეგ.

ევროპის მასშტაბით, ევროინტეგრაციისადმი წინააღმდეგობა იქცა პოპულისტური იდეოლოგიის ელექტორატის მამოძრავებელი ძალა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ევროსკეპტიციზმი არის პოპულისტური პარტიების გამაერთიანებელი თვისება.

ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება ცხადია მოშლის წევრ სახელმწიფოთა შორის არსებულ ბალანსს, წინა პლანზე გამოიტანს წევრთა შეუთანხმებლობის შემთხვევებს და მიუხედავად იმისა, რომ ბრექსიტი, როგორც ევროსკეპტიციზმის პრაქტიკაში გადმოტანის მწვერვალი, პირველი შემთხვევაა რადიკალური ცვლილებებისა, არსებული პოლტიკური სიტუაცია აჩვენებს, რომ ის უკანასკნელი შემთხვევა არ იქნება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Paul Taggart & Aleks Szczerbiak, "Contemporary Euroscepticism in the party systems of the European Union candidate states of Central and Eastern Europe," European Journal of Political Research, 43(1), (2004)
2. იქვე
3. Taggart, P., 1998. A touchstone of dissent: Euroscepticism in contemporary Western European party systems. European Journal of Political Research, 33 (3). pp. 363-388.
4. Kopecky, Petr – Mudde, Cas (2002). The Two Sides of Euroscepticism: Party Positions on European Integration in Central East Europe. European Union Politics. 3 (3), 297– 326. https://www.researchgate.net/publication/249733511_The_Two_Sides_of_EuroscepticismParty_Positions_on_European_Integration_in_East_Central_Europe
5. იქვე
6. S. Usherwood, "Margaret Thatcher and British Opposition to European Integration: Saint or Sinner?", in M. Gainar & M. Libera (eds.), Contre l'Europe? Anti-européisme, euroscepticisme et alter-européisme dans la construction européenne de 1945 à nos jours (Volume 2): Acteurs institutionnels, milieux politiques et société civile, Stuttgart, Franz Steiner Verlag (2013), 75-87.
7. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/504216/The_process_for_withdrawing_from_the_EU_print_ready.pdf
8. https://www.consilium.europa.eu/media/21787/0216-euco-conclusions.pdf

# პროფესიული განათლება საქართველოს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის

***ია ძებისაური***
*სტუ-ს დოქტორანტი*

## VOCATIONAL EDUCATION TO PROMOTE GEORGIA'S ECONOMIC GROWTH

**Ia Dzebisauri**
Phd student of GTU

**RESUME**

In the modern world, education is becoming more and more important and more spending is attributed to strengthen this direction. Vocational education improves the workforce's qualifications, influences economic growth and reduce unemployment. Despite high unemployment, there are highly demanded and deficit professions in Georgia. To solve this problem, it is necessary to develop professional education system. Although the pandemic had a negative impact on the activity of vocational training institutions, somehow the 2021 is promising. The values of the correlation coefficients calculated on the basis of different variables (GDP in education and spending on professional education, GDP and spending on professional education) shows a positive and high relationship. It can be assumed that the promotion of professional education and the expenses incurred on it will lead to an increase in the number of qualified graduates, thus increasing their productivity, which will positively affect the value of country's GDP.

**საკვანძო სიტყვები:** პროფესიული განათლება, ეკონომიკური ზრდა, შრომის ბაზარი, დასაქმება, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).

**Keywords:** professional education, economic growth, labor market, employment, gross domestic product (GDP).

* * * *

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა თანამედროვე პერიოდში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას და შესაბამისად უფრო მეტ ხარჯებსაც გამოყოფს ამ მიმართულების გაძლიერებისთვის. რატომ ხდება ასე? პასუხი მარტივია - იმიტომ, რომ განათლება არის ერთგვარი ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის შექმნაში. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფო დღეს გაიღებს ხარჯებს კონკრეტული პირის განათლებაზე იმის გამო, რომ მომავალში სწორედ ამ პირისგან მიიღოს სარგებელი, შეიძლება ეს იყოს კონკრეტული სამუშაოს შესრულება, ტექნოლოგიურ პროგრესში მონაწილეობა, ინოვაციების დანერგვა თუ სხვა ნებისმიერი ფორმა, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ზოგადად არსებული გარემოს გაუმჯობესებაზე.

ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მისი სამუშაო ძალის უნარებზე. სამუშაო ძალის უნარები და კომპეტენციები, თავის მხრივ, დამოკიდებულია ქვეყნის განათლების სისტემის ხარისხზე. პროფესიული განათლება აღიქმება, როგორც ეკონომიკური პროდუქტიულობის გაზრდის ერთ-ერთი გადამწყვეტი ელემენტი. სოციალური ეფექტურობის თეორიაზე დაყრდნობით, პროფესიულმა სასწავლებლებმა უნდა მოამზადონ და მიაწოდონ ბაზარს მომავალი მუშები შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, რათა გაზარდონ მათი პროდუქტიულობა და, შესაბამისად, ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას.

ადამიანური კაპიტალი არსებითად განსაზღვრავს ეკონომიკურ ზრდას. იგი მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობა, პროფესიული მომზადება და უნარების განვითარება. პროფესიული განათლება გულისხმობს ისეთ განათლებას, რომელიც ადამიანებს ამზადებს სამუშაოსთვის და ხდის მათ უფრო პროდუქტიულს, აძლიერებს ადამიანურ პოტენციალს და ახდენს მათი არჩევანის დივერსიფიკაციას თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით. დადასტურებული ფაქტია, რომ ტექნიკური განათლება და პროფესიული სწავლება შეიძლება დაეხმაროს ინდივიდებს შემოსავლის მიღებაში და წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ განვითარებაში. პროფესიული განათლების მქონე სამუშაო ძალა განიხილება განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად.

ეკონომიკური განვითარება და ტექნოლოგიური წინსვლა ვერ მიიღწევა ტექნიკური და პროფესიული კომპეტენციის ზოგადი სტატუსის გარეშე. პროფესიული განათლება აუმჯობესებს სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას. კვალიფიციური მუშაკი ზრდის წარმოების ხარისხს და ეფექტურობას.

პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა დაეხმაროს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარს შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებაში. ასევე, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის არსებობით, გაზარდოს მის მიმართ ინტერესი და გახდეს უფრო მიმზიდველი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლისთვის. საქართველომ უნდა მოახერხოს ევროპის პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემასთან

მაქსიმალური ინტეგრირება, ამასთან, უნდა შეძლოს საკუთარი სისტემის ჩამოყალიბებაც, რადგან ყველა ქვეყანას გააჩნია განსხვავებული საბაზრო ეკონომიკა, კულტურული ღირებულებები და განსხვავებული შრომითი ბაზარი. შესაბამისად, საკუთარი ქვეყნის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება უნდა იყოს პრიორიტეტი.

მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. მაღალი უმუშევრობის მიუხედავად, არის პროფესიები, რომლებიც მოთხოვნადია და ამავე დროს დეფიციტურიც. ამ პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშაოს ისეთი სისტემა, რომ პროფესიულმა განათლებამ ეფექტიანად შეძლოს შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება და შესაბამისი კადრებით მისი უზრუნველყოფა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ბოლო წლებში პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულთა რაოდენობა მცირდება, რაც არასასურველი ტენდენციაა. შემცირებულია ასევე იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც პროფესიულ პროგრამებზე იღებდნენ სტუდენტებს. მაგალითად, 2021 წელს 2015 წელთან შედარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რაოდენობა 32,9%-ით შემცირდა. პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების და მათ შორის კურსდამთავრებულების რაოდენობის კლება ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (დიაგრამა N1). აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 33,2%-ით, ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 42,2%-ით არის შემცირებული.

დიაგრამიდან ნათლად ჩანს პანდემიის უარყოფითი გავლენა პროფესიული სასწავლო დაწესებულებების აქტივობაზე. 2020 წელი ისტორიული მინიმუმით განისაზღვრა როგორც ჩარიცხული სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების თვალსაზრისით. თუმცა 2021 წელი გარკვეულწილად იმედის მომცემია მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ პრეპანდემიური მდგომარეობის ზღვარს ვერ გავცდით.

საინტერესოა როგორი დინამიკით ხასიათდება სახელმწიფოს მხრიდან პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯები და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ასევე როგორია ურთიერთკავშირი ამ ორ მაჩვენებელს შორის.

საქართველოში განათლების სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება განუხრელად იზრდება 2015 წლიდან. მისი წილი მშპ-ში 2015-2019 წლებში კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2020 წელს მცირედი ზრდა დაფიქსირდა და 4.3% შეადგინა. პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯები ბოლო სამი წლის განმავლობაში მზარდია. მიუხედავად იმისა, რომ მზარდია ასევე პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი მშპ-ში, 2020 წლის მონაცემებით ის მხოლოდ 0,09%-ს შეადგენს.

კორელაციის კოეფიციენტი გავიანგარიშეთ ორი ცვლადის საფუძველზე - განათლების სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება (დღ) და პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯი, და პირსონის კორელაციის კოეფიციენტის ფორმულის გამოყენებით, რომელიც ზომავს ორ ცვლადს შორის წრფივი დამოკიდებულების ხარისხს და გვიჩვენებს ამ კავშირის მიმართულებას.

$$r = \frac{\sum_{i=1}^{n}(X_i - \bar{X})(Y_i - \bar{Y})}{\sqrt{\sum_{i=1}^{n}(X_i - \bar{X})^2(Y_i - \bar{Y})^2}}$$

კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობამ 0.7 შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის ურთიერთკავშირის ხარისხი დადებითი და საკმაოდ მაღალია. ეს თავის მხრივ ადასტურებს, რომ რაც უფრო მეტი იქნება პროფესიულ განათლებაზე გაწეული ბიუჯეტის ხარჯი, მით მაღალი იქნება განათლების სფეროში შექმნილი დღ-ს სიდიდე.

**დიაგრამა N1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების და კურსდამთავრებულების რაოდენობა (ათასი კაცი)**




**წყარო:** საქსტატი.

ასევე გავიანგარიშეთ კორელაციის კოეფიციენტი სხვა ორი ცვლადის გამოყენებით - მშპ და პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯი, რომლის მნიშვნელობამ 0.78 შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის საშუალოზე მაღალი სიძლიერის დადებითი კორელაციაა. აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მასზე გაწეული ხარჯები გამოიწვევს კურსდამთავრებულთა რაოდენობის და მათი კვალიფიკაციის ზრდას, შესაბამისად მათი პროდუქტიულობის ამაღლებას, რაც გარკვეულწილად დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში შექმნილი მშპ-ს სიდიდეზეც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სოციალური პრობლემების გადაჭრის, დასაქმების რეგულირებისა და შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიული განათლების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ საქართველოს მთავრობა, თბილისი 2013, 110 გვ;
2. კაკუტია, თ. (2016, 31 იანვარი). პროფესიული განათლლების ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. N1(38). გვ. 320 - 336. ვებ-გვერდი: http://www.gesj.internetacademy.org.ge/en/list_aut_artic_en.php?b_sec=edu&list_aut=3251;
3. პოფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები). ვებ-გვერდი: http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი. (2015). საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი. ვებ-გვერდი: http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo;
5. https://www.geostat.ge

# ქართველ მსახიობთა მჭერმეტყველება

***დავით სოლომნიშვილი***
*ისტორიის დოქტორი,*
*სტუ-ს პროფესორი*

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ქართველ მსახიობთა მეტყველების კულტურა რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათიატრო და კინოხელოვნების სახეთა ჩამოყალიბება-შექმნაში. მეტყვყელება, მსახიობის ხელოვნების მამოძრავებელი ღერძია, ის ხერხემალია რომელზეც აგებულია ხელოვანთა სცენური და ეკრანული სახეთა მრავალგვარობა. სწორედ ენითა და მეტყველებით გამოითქმება ხელოვნების თხზულებათა დედა აზრი.

**RESUME**

The article discusses the speech culture of Georgian actors, which is one of the great importance in the formation of theater and film art. Speech is the driving axis of the actor’s art; it is the backbone on which the variety of stage and screen appearances of artists is built. It is through language and speech that the main idea of works of art is expressed.

* * * *

თანამედროვე ქართული დრამატული თეატრის დეკლამატორები: საქართველოს სახალხო არტისტები: კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე თემურ ჩხეიძე _რეჟისორი ოთარ მეღვინეთუხუცესი ნოდარ მგლობლიშვილი სოფიკო ჭიაურელი გივი Wბერიკაშვილი ელენე ყიფშიძე გიგა ლორთქიფანიძე რეჟისორი მედეა ჯაფარიძე გიორგი გეგეჭკორი რამაზ ჩხიკვაძე გურამ საღარაძე თენგიზ არჩვაძე მედეა ჩახავა კახი კავსაძე გიორგი ხარაბაძე მურმან ჯინორია საქართველოს დამსახურებული არტისტები: თათია ხაინდრავა ი საქართველოს სახალხო არტისტი გურამ საღარაძე იი საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი ხარაბაძე .

საქართველოს სახალხო ატისტი ზინა კვერენჩხილა ძე აბა ვის არ მოუსმენია ნეტარხსენებულ არტისტთა მეტყველება სათეატრო სპექტაკლებში მხატვრულ დოკუმენტურ სამეცნიერო პუბლიცისტურ ფილმებში სატელევიზიო გადაცემებში: თეატრალური ფოსტა სპექტაკლის დრო ძველი აფიშა სატელევიზიო თეატრი თეატრი და ბავშვები ალბათ გახსოვთ სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი მიხეილ ჯავახიშვილის ჯაყოს ხიზნები რეჟისორი თემურ ჩხეიძე დადგმის ირგვლივ გამართული მწვავე პოლემიკა და არტისტთა რეაქციული მეტყველება რომელსაც საზოგადოებისაგან თავდაცვის მნიშვნელობა ჰქონდა :სატელევიზიო გადაცემა ათიათასად ზრდილობა წამყვანი აკადემიკოსი კუჩა კვარაცხელია სადაც მსახიობები მცირე ფორმის სპექტაკლებს თამაშობდნენ სწორი მეტყველების წარმოსაჩენად აგრეთვე თვალსაჩინოა ცნობილი ქართველი აკადემიკოსების :არჩილ ფრანგიშვილის მზექალა შანიძის კუჩა კვარაცხილიას აწ განსვენებულ მარიამ ლორთქიფანიძის მეტყველება კინო რეჟისორების: საქართველოს სახალხო არტისტების: ლანა ღოღობერიძის მერაბ კოკოჩაშვილის დეკლამაცია აწ განსვენებულ რეჟისორთა თემურ ჩხეიძის რეზო ჩხეიძის გიგა ლორთქიფანიძის გიორგი შენგელაიას დრამატურგისა და რეჟისორის რეზო თაბუკაშვილის საუბრის კულტურა :ვის არ ახსოვს ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის სპორტული კომენტატორობა ექსპრესიული და თავბრუდამხვევი მოწაფემ მასწავლებლისაგან ბევრი რამ აითვისა ღირსეულად გააგრძელა ბატონი ეროსის დაწყებული საქმე ეროსი მანჯგალაძეს ქართველ ლევიტანს უწოდებდნენ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დირექტორმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ როცა სტუდენტი ეროსის ხავერდოვანი ხმა მისმინა სიამაყით ბრძანა ეროსმა უნდა შემცვალოს ოთარ მეღვინეთუხუცესის ხმა მეტყველება მზეჭაბუკ ამირეჯიბის დათა თუთაშხიას როლში გამოსჭვივის საახალწლო ს ატელევიზიო გადაცემაში ბატონმა ოთარმა წაიკითხა გოგლა ლეონიძის ლექსი მაშ რა უყოთ პოეტებო ამ თბილისის დილას ნოდარ მგლობლიშვილის ხმის ინტონაცია საუბარი ლოგიკური მყარი გასაგებია წარმოდგენაშიც და კინოფილმშიც უილიამ შექსპირი ოტელო იაგო რეჟ. თემურ ჩხეიძე, ბიძინა რეჟ თემურ კვანტალიანი სოფიკო ჭიაურელი სოფიკო კ/ფ რამოდენიმე ინტერვიუ პირად საკითებზე რეჟ ლანა ღოღობერიძე ფუფალა კ/ფ ნატვრის ხე რეჟ თენგიზ აბულაძე სპექტაკლი ზინდელი გვირილა ბეტი რეჟ სოფიკო ჭიაურელი აქ საქმე გვაქვს ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხთან არტისტთა რეჟისურასთან. ესტრადაზე ანა კალანდაძის ლექსით თათრის გოგონავ წარდგა მაყურებლის წინაშე. გივი ბერიკაშვილი ბონდო ლანჩავა შთამომავლობა რეჟ გიგა ლორთქიფანიძე ალექსანდრე ჩინჩახელი ეზოში ავი ძაღლია რეჟ გიორგი თოდაძე ლუარსაბი ასი წლის წინათ რეჟ თემურ ჩხეიძე ესტრადაზე გმოდიოდა კომფერანსის ჟანრში ელენე ყიფშიძე სონა ძველი ვოდევილები რეჟ ვასო გოძიაშვილი მარგო პრემიერა რეჟ მედეა კუჭუხიძე ავეტიკა ძუნწი სპექტაკლი ისევ ვოდევილები მ სახიობმა სპექტაკლში გარდასახვის უდიდეს ოსტატობას მიაღწია რეჟ გიორგი თოდაძე ფოფია ეზოში ავი ძაღლია რეჟ გორგი თოდაძე ესტრადაზე გამოდიოდა პოეტ საიათნოვას რეპერტუარით გიგა ლორთქიფანიძე რეჟისორი პარლამენტარი საქართველოს შოთა რუსთაველის

თეატრისა კინოს უნივერსიტეტის რექტორი მჭექარე სიტყვით გამოდიოდა როგორც თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე მედეა ჯაფარიძე ვარვარა კარპოვნა ეზოში ავი ძაღლია რეჟ გიორგი თოდაძე მარიამი შენსკენ სავალი გზები რეჟ დავით ანდღულაძე ძველი ვალსი ნინო იმპროვიზაციები განუხორციელებელ როლებზე საღამო გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის სახეილობის კინომსახიობთა თეატრში ქეთო კ/ფ ქეთო დაკოტე რეჟ ვახტანგ ტაბლიაშვილი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა მედეა ჯაფარიძის მიერ გამართული პეზიის საღამოები გალაკტიონ ტაბიძის ბორის პასტერნაკის პო ეტური სტრიქონები უილიამ შექსპირი რიჩარდ მესამე ლორდი ჰესტინგსი გიორგი გეგეჭკორი რეჟ რობერტ სტურუა ისტორიის მასწავლებელი ნოდარ წულეისკირი ძველი სამრეკლო რეჟ გიორგი გეგეჭკორი ამ სათეატრო მოვლენას მივყავართ ა რტისტთა რეჟისურასთან მიხეილ მრევლიშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი რეჟ დიმიტრი ალექსიძე პლატონ სამანიშვილი დავით კლდიაშვილი სამანიშვლის დედინაცვალი რეჟ თემურ ჩხეიძე რობერტ სტურუა მამაკ/ფ არდადეგებზე რეჟ მერაბ კოკოჩაშვილი გამოდიოდა კონცერტებზე ქორეოგრაფიული ნომრით ჯანსულო დამდგმელი ქორეოგრაფი საქართველოს სახალხო არტისტი ჯანო ბაგრატიონი . რამაზ ჩხიკვაძე რიჩარდ მესამე უილიამ შექსპირი ყვარყვარე პოლიკარპე კაკაბაძე ყვარყვარე თუთაბერი რეჟ რობერტ სტურუა კირილე მიმინოშვილი დავით კლდიაშვილი სამანიშვილის დედინაცვალი რეჟ თემურ ჩხეიძე რობერტ სტურუა აზდაკი ბერტოლტ ბრეხტი კავკასიური ცარცის წრე რეჟ რობერტ სტურუა ნოშრევანი კ/ფ ლონდრე რეჟ გურამ მელივა გამოდიოდა ქართულ ესტრადაზე - მღერიან , ხუმრობენ ქართული თეატრის კინოს მსახიობები თენგიზ არჩვაძე ილია ასი წლის წინათ რეჟ თემურ ჩხეიძე ალექსანდრე ჩხაიძე როცა ქალაქს ძინავს სერგო ხავთასი თვალი პატიოსანი ოთარ ნიჟარაძერ რეჟ ნუგზარ გაჩავა მუშნი ზარანდია კ/ფ დათა თუთაშხია რეჟ გიგა ლორთქიფანიძე იმედა კ/ფ ხევსურული ბალადა რეჟ შოთა მანაგაძე , ნოდარ მანაგაძე ესტრადაზე გამოდიოდა დეკლამაციით ,მუსიკალური ნომრით მედეა ჩახავა ფეფელა გაბრიელ სუნდუკიანი პეპო ზაბლონა მასწავლებელი ნოდარ დუმბაძე მე ბებია ილიკო და ილარიონი რეჟ რობერტ სტურუა მელა გუგა ნახუცრიშვილი ჭინჭრაქა რეჟ მიხეილ თუმანიშვილი კ/ფ ბაში-აჩუკი მელანო რეჟ ლეო ესაკია ცქრიალა კ/ფ ჭრიჭინა ქალაქური სიმღერის საღამო მსახიობმა ლექსი წაიკითხა კოლხურად კახი კავსაძე სიმონ ჩაჩავა კავკასიური ცარცის წრე რეჟ რობერტ სტურუა სამგროშიანი ოპერა რეჟ დიმიტრი ალექსიძე ჯიმი მოხუცი ჯამბაზებიკოტე რეჟ გოჩა კაპანაძე სამსონი მზე შემოდგომისა რეჟ თემურ ფალავანდიშვილი ელიბო რეჟ ვალერიან კვაჭაძე ქართულ ესტრადაზე კომფერანსის ჟანრში გამოდიოდა მსახიობს სასცენო მეტყველებას კოტე მახარაძე ასწავლიდა გიორგი ხარაბაძე კლარენსი უილიამ შექსპირი რიჩარდ მესამე რეჟ რობერტ სტურუა სოფოკლე ოიდიპოსი რეჟ ნოდარ დუმბაძე მზიანი ღამე ავთო რეჟ ვაჟა ფშაველა მოკვეთილი ბიცანტური რეჟ გიორგი მატარაძე გამოცხადება მ ტაბიძე რეჟ გიორგი მატარაძე მშობლიურო ჩემო მიწავ მერაბ სეთურიძე რეჟ რეზო ჩხეიძე როგორც დეკლამატორი კითხულობს სახ არების ოთხთავს ლუკა მათე მარკოზი იოანე შოთა რუსთაველის ვეფხისტყ აოსანი , ქართულ პოეზიას გურამ საღარაძე მიხეილ კვესელავა ას ერგასის დღე მთხრობელი მღვდელი ეფრეიტორი ჯარისკაცი რეჟ რობერტ სტურუა ირაკლი ხურციძე კ/ფ დათა თუთაშხია რეჟ გიგა ლორთქიფანიძე ესტრადაზე დეკლამაციით გმოდიოდა შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ქართული პოეზია მედუდუკეთა დასთან ერთად კითხულობდა საიათნოვას მურმან ჯინორია ქარი მწყურია მე პირდაპირი ეწ პოეტური სპექტაკლი სადაც დეკლამირებულია ტიციანის პაოლოს გალაკტიონის ლექსები მსახიობმა პეტრე გრუზინსკის ხსოვნის საღამოზე მხატვრულად წაიკითხა პოეტის ლექსები თათია ხაინდრავა სპექტაკლი მზეო თიბათვისა რეჟ რობერტ სტურუა მსახიობი დიდი გამომსახველობით კითხულობდა კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს იოსებ გრიშაშვილის პოეზიას ზინა კვერენჩხილაძე პ ტრავერსი მერი პოპინსი ფედერიკო გარსია ლორკა სისხლიანი ქორწილი დედა რეჟ ნანა ხატისკაცი ჭინჭრაქა გუგა ნახუცრიშვილი ტურა ჟან ანუი ანტიგონე ;ანტიგონე რეჟ მ თუმანიშვილი ვაჟა -ფშაველა ბახტრიონი ლელა რეჟ დ ალექსიძე ჭ ამირეჯიბი კ/ფ დათა თუთაშხია დედა ეფემია რეჟ გ ლორთქიფანიძე ესტრადაზე კითხულობდა ილიას ნაწარმოებებს დიდი გარდასახვითა და ემოციურობით მეტყველება კაცის იარაღია და ქალის სამკაულია მსახიობისათვის სასცენო მეტყველება მამოძრავებელი ძალაა სცენური და ეკრანული სახეების გვირგვინია ენითა და მეტყველებით წარმოითქმება დაგამოითქმება ხელოვნების თხზულებათა დედააზრი ენა ქარგაა და ნაქარგია მაშინ თუ ის სწორად მეტყველების ნიმუშია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ქართული თეატრი შემდგენელი კოტე ნიკიაშვილი 1980 წ გამომცემლობა საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

2. ვასილ კიკნაძე - ქართული დრამატული თეატრის ისტორია ტომი II გამომცემლობა „საარი“ 2001 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering

# ბიზნეს-ინჟინერინგი
# Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

ჟურნალი დარეგისტრირებულია საძიებო სისტემაში GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com
DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538
JOURNAL IS REGISTERED IN THE GOOGLE SCHOLAR:
http://scholar.bpengi.com
DOI: https://doi.org/10.36073/1512-0538

N4
2022

# სარჩევი

## ბიზნეს ინჟინერინგი N4, 2022

## ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების თანამედროვე მიმართულებები

*ირმა ტაბატაძე*
გლობალური ეკონომიკური კრიზისი - ე.წ. „სასურსათო ომი“ --- 256

*გუგული ყურაშვილი, ირმა ომონაძე*
ინტელექტუალური კაპიტალი და მისი როლი ფირმის
კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბებაში --- 260

***Tamara Gvenetadze***
CERTAIN ASPECTS OF CONSUMER BEHAVIOR IN GEORGIA DURING 2020-2021 --- 263

***Tamara Gvenetadze***
CONSUMER BEHAVIOR AMONG GEORGIANS LIVING OUTSIDE GEORGIA --- 270

*თეიმურაზ გვეტაძე*
ელექტრონული კომერციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში --- 276

*თეიმურაზ გვეტაძე*
კოვიდ-პანდემიის გავლენა ელექტრონულ ბიზნესზე საქართველოში --- 280

*სოფიო ივანიძე*
ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი
ემიგრანტების ღირებულებები --- 285

## სამართლის აქტუალური საკითხები

*გივი აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე*
მოწმის იმუნიტეტის სუბიექტები (მოწმის იმუნიტეტის მქონე პირთა წრე) --- 289

## საქართველოს ენერგეტიკა დღეს

*დემურ ჩომახიძე*
საქართველოს ენერგეტიკა: დამოუკიდებელი რეგულირების 25 წელი --- 294

## ახალი წიგნები

*ალექსანდრე სიჭინავა, ნაზი ჭიკაიძე*
ჰუმანიზმის იდეით გამსჭვალული წიგნი --- 298

***Р. А.Черняк***
КОРОТКИЙ АНАЛІЗ ІСТОРИЧНИХ ТА СОЦІАЛЬНИХ ПРИЧИН ВІЙСЬКОВОЇ АГРЕСІЇ РОСІЇ ПРОТИ УКРАЇНИ --- 301
КРАТКИЙ АНАЛИЗ ИСТОРИЧЕСКИХ И СОЦИАЛЬНЫХ ПРИЧИН ВОЕННОЙ АГРЕССИИ РОССИИ ПРОТИВ УКРАИНЫ --- 305

*ლია მეტრეველი, ლელა ტყეშელაშვილი*
დასწავლილი უმწეობის ფორმირების მექანიზმები
და მისი დაძლევის გზები აღზრდის პროცესში --- 309

*მარინა კაჭარავა*
ჰალუცინოგენები და მათი მოქმედება ფსიქიკაზე --- 312

# ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების თანამედროვე მიმართულებები

## გლობალური ეკონომიკური კრიზისი - ე.წ. „სასურსათო ომი“

*ირმა ტაბატაძე*
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

XXI საუკუნის 20-იან წლებში მსოფლიო ახალი პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დადგა - გაჩნდა ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბების კონტურები. ჩვენს თვალწინ იბადება ახალი სამყარო, ახლებური მიდგომებითა და ღირებულებებით, შეიცვალა ურთიერთობები, ბიზნესი და ეკონომიკა სრულიად ციფრული გახდა, საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და ნორმები სრულიად შეიცვალა, მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც უპირველეს ყოვლისა გამოიწვია სამომხმარებლო საქონელზე, განსაკუთრებით სურსათზე ფასების ზრდა... მოხდა უმუშევრობისა და ინფლაციის მაჩვენებლების ზრდა, რამაც გააღრმავა ქონებრივი დიფერენციაცია და სიღარიბე. საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის განვითარება... მით უფრო, რომ მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე ფასების არნახული მატებაა. ყველა ქვეყანა ცდილობს ან თავად გაზარდოს წარმოება, ან ისეთი ბაზარი იპოვოს, საიდანაც შედარებით იაფად შემოიტანს. საჭიროა სახელმწიფო არსებულ ბაზარს გაუფრთხილდეს, და რაც მთავარია, მოლაპარაკებები აწარმოოს მისი უფრო გამყარებისა და დარეგულირების მიმართულებით, ასევე, აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს ადგილობრივ წარმოებას.

პროდუქტების არნახული გაძვირების ფონზე, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია მოიძიოს შედარებით იაფი ბაზარი, გააფორმოს მომწოდებლებთან გრძელვადიანი ხელშეკრულება საკვებ პროდუქტებზე. საქართველოს იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და ამგვარი ქვეყნები გლობალური კრიზისების პირველი რიგის მსხვერპლს წარმოადგენენ. საქართველოს იმპორტ-ექსპორტის სალდო მკვეთრად უარყოფითია. აუცილებელია სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების დღემდე არსებული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების დროს გამოვლენილი პრობლემებისა და შეცდომების გათვალისწინება.

**THE GLOBAL ECONOMIC CRISIS - SO-CALLED “FOOD WAR”**

**Irma Tabatadze**
PhD student of GTU

**RESUME**

In the 20s of the 21st century, the world faced a new political challenge - the contours of the formation of a new world geopolitical order were outlined. Before our eyes, a new world is being born, with new approaches and values, relations have changed, business and the economy have become completely digital, the values and norms of the social system have completely changed, the world is facing a global economic crisis, which primarily caused an increase in prices for consumer goods, especially for food ... There was an increase in unemployment and inflation, exacerbated income inequality and poverty. To improve the economy of Georgia, first of all, it is necessary to develop agriculture.

**Key words:** food and trade policy, agrarian policy, economic stability, food problems.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარება სწორი სასურსათო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი წინაპირობაა. სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანა ადგილობრივი ბაზრის ათვისება უნდა გახდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ადგილობრივი მწარმოებლის ინტერესების დასაცავად.

ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, კონსალტინგური კომპანია Dent Research-ის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, აგრეთვე, HS Dent Publishing-ის დირექტორმა და გამოცემა Economy and Markets-ის რედაქტორმა ჰარი დენტმა განაცხადა, რომ 2021 წელს მსოფლიოს თავს დაატყდება ბოლო ასწლეულებში ყველაზე მძიმე ფინანსური კრიზისი. დენტის აზრით, ეს იქნება XXI საუკუნის ბაზრების უმძიმესი, ყველაზე ცუდი ჩამოშლა. მისი პროგნოზი ეფუძნება ბაზრების ხანგრძლივ შესწავლას და მათში წარმოქმნილ ე.წ. „ბუშტებს“. „ბოლო გლობალური ბუშტი იყო 1925-1929 წლებში. მსგავსი კრიზისები ხდება ერთხელ ორი თაობის განმავლობაში და მას

90-წლიანი ციკლი აქვს. ჩვენ ზუსტად ამ წერტილში ვიმყოფებით“, - აღნიშნა დენტმა და დასძინა, რომ 2022 წლისათვის ეკონომიკის დაქვეითება გარდაუვალია.

ჩვენი ქვეყნისათვის მეტად საჭირო და მტკივნეულია ხორბლის საკითხი. ხორბლის ფასი ევროპაში ისტორიულ მაქსიმუმზეა. სპეციალისტების მტკიცებით, მოსალოდნელია მსოფლიოში ხორბალზე ფასის კიდევ უფრო გაზრდა, რაც ღარიბი მოსახლეობისათვის შიმშილს ნიშნავს.

მსოფლიოში მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტას ჯერ კიდევ კოვიდპანდემიის დროს ჩაეყარა საფუძველი. მიზეზი ის გახლდათ, რომ ეროვნულ მთავრობებს სხვადასხვა სექტორში ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება მოუწიათ, რათა ადამიანებს შორის კონტაქტების შეზღუდვით ვირუსის გავრცელება შეეფერხებინათ. ბუნებრივია, ამ პროცესში დაიწყო მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევაც, რაც მიწოდების შემცირებაზე აისახა. მიწოდების შემცირება კი არის პრობლემა, რომელიც სწორედ პანდემიის გამო წარმოიშვა და მსოფლიო ემზადებოდა ახალი გლობალური ჯაჭვების ფორმირების დასაწყებად, რომლის საფუძველი, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში მაიკლ სპენსი აღნიშნავს, დივერსიფიკაცია უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, ამას დროს სჭირდებოდა, მაგრამ რუსეთმა უკრაინაში დაიწყო ომი და დასავლეთმა რუსეთს დაუწესა ეკონომიკური სანქციები, რასაც მიწოდების გლობალური ჯაჭვებიდან რუსეთის გამოთიშვა მოჰყვა. ომის გამო, მიწოდების გლობალური ჯაჭვებიდან ამოვარდა უკრაინაც.

ომამდე ხორბლის მსოფლიო ექსპორტში რუსეთსა და უკრაინას ჯამში 25% ეკავათ, რაც ნიშნავს, რომ ამ ომის გამო მსოფლიოში ხორბლის მიწოდება 25%-ით შემცირდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა და მას სანქციები დაუწესეს, უკვე მაშინ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა მარცვლეულის წარმოების ზრდაზე. შესაბამისად, დაიწყო საუბარი, რომ შესაძლოა ხორბალი გამხდარიყო გარკვეული პოლიტიკური ინსტრუმენტი რუსეთისთვის. პარალელურად, რუსეთ-უკრაინის ომმა რუსეთს რეალურად უბიძგა, რომ როგორც კი სანქციები დაედო, ცალკეულ შემთხვევებში ხორბლის ექსპორტი აეკრძალა, ცალკეულ შემთხვევებში კი გაეზარდა საექსპორტო ხორბლის ფასი. ამან, რა თქმა უნდა, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ხორბლის მიწოდებაზე. თავის მხრივ, უკრაინა ავტომატურად გამოეთიშა ექსპორტიორთა რიცხვს, რადგან ომში მყოფ ქვეყანას, ჯერ ერთი, თავად სჭირდება ხორბლის მოხმარება, მეორე მხრივ კი, თუკი რაიმე საექსპორტო რესურსი აქვს, გატანა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა შავ ზღვაში უკრაინული პორტების რუსების მიერ ბლოკირების გამო. ამ პრობლემამ მსოფლიოში ახალი ფენომენი - „სასურსათო ომი“ გააჩინა.

სხვა სიტყვებით, რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად მიმდინარეობს „სასურსათო ომი“, რომლის მთავარი აქტორი უშუალოდ რუსეთია, რომელიც სურსათს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ხორბალს იყენებს როგორც ინსტრუმენტს მსოფლიოსთან დაპირისპირების კონტექსტში. ამიტომ ეს პრობლემა სერიოზულია მთელი მსოფლიოსთვის, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებს, სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკურად ძლიერი არიან, აქვთ რესურსი, რომ „სასურსათო ომს“, ასე თუ ისე, თავი გაართვან, თუმცა, ღარიბი ქვეყნები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, სადაც სიღარიბე ისედაც საკმაოდ მაღალია, ახლა კი, როდესაც ხორბლის მიწოდება მსოფლიოში შემცირებულია, ბუნებრივია, მთლიანად სურსათი გაძვირდება და ეს დაარტყამს ღარიბებს. ამაზე დღეს უკვე წერენ ცნობილი ეკონომისტები, ანალიტიკოსები, რომ დღეს ერთ-ერთი გლობალური პრობლემა სწორედ „სასურსათო ომია“.

მსოფლიოში არის ხორბალი და მათ შორის, უფრო დაბალხარისხიანი, რომელიც, მაგალითად, ინდოეთს მოჰყავს, მაგრამ ძალიან ბევრი ქვეყანა, ალბათ, თავს შეიკავებს ინდური ხორბლის შეძენისგან, რადგან ის დაბალხარისხიანია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თავად ინდოეთმაც შეზღუდა ხორბლის ექსპორტი. ამიტომ ხორბლის ბაზარზე ახალი მიმწოდებლები უნდა გამოჩნდნენ და, რა თქმა უნდა, გამოჩნდებიან, მაგრამ ასე სწრაფად მიწოდების ჯაჭვების ცვლილება ტექნიკურად შეუძლებელია, რაც ფასების ზრდას იწვევს.

ღარიბი ქვეყნებისათვის პური ძირითადი საკვები პროდუქტია, როგორც სიიაფით, ასევე ყუათიანობით. ამიტომ აქ იწყებს მოქმედებას „გიფენის პარადოქსი“. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც პურზე ფასი იზრდება, ღარიბ მოსახლეობას უფრო ნაკლები ფინანსები რჩება იმისთვის, რომ სხვა, შედარებით ძვირი პროდუქტები მოიხმაროს; მათ ნაცვლად ღარიბები იძულებული არიან ისევ და ისევ პურით ისაზრდოონ. ამიტომ პურზე ფასების ზრდა ღარიბებისთვის პურზე მოთხოვნას ზრდის, პურზე მოთხოვნის ზრდა კი მიწოდების შემცირების კვალობაზე უფრო შეუწყობს ხელს მის გაძვირებას. ეს პურზე ფასების ზრდის ის „სპირალია“, რომლის გარღვევის ერთადერთი მექანიზმი მარცვლეულის მიწოდების ახალი დივერსიფიცირებული გლობალური ჯაჭვების ფორმირებაა. მთელი რიგი ქვეყნები უკვე ფიქრობენ და გეგმავენ გაზარდონ მარცვლეულის წარმოება. საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც ისმის მზაობა მოხდეს ხორბლის წარმოება. თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ

„სასურსათო ომი" მალე დასრულდება, ის სავარაუდოდ კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რადგან რუსეთი, ხორბლის ძირითადი მწარმოებელი ქვეყანა ცდილობს გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი, მათ შორის, ხორბალი, ზეთი და სხვა სახის სურსათი.

რუსეთიდან საქართველოში შემოდიოდა ფქვილი, რისი შემოტანაც უკანაკნელ პერიოდში საგრძნობლად შეიზღუდა, რაც განაპირობებს მის გაძვირებას. საჭიროა ქვეყანაში მოხდეს არა პურის, არამედ გაჭირვებული მყიდველის სუბსიდირება, ანუ პურის გაძვირების საკომპენსაციოდ, ფინანსური დახმარება უნდა გაიცეს გაჭირვებულ მოსახლეობაზე სოციალურ დახმარებასთან ერთად. აუცილებელია ქვეყანაში უმოკლეს დროში მოხდეს მარცვლეულის წარმოების გაზრდა, რაც შეძლებისდაგვარად ცოტათი მაინც დაარეგულირებს აღნიშნულ პრობლემას.

საქართველოს მთავრობა ხორბლისა და ქერის ექსპორტს მიმდინარე წლის 4 ივლისიდან 2023 წლის 4 ივლისამდე კრძალავს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, რეგიონში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია, ადგილობრივი წარმოების ხორბლისა და ქერის რეალიზაცია მხოლოდ შიდა ბაზარზე განხორციელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სრულად დამოკიდებულია ხორბლის იმპორტზე (ყოველწლიურად 500 ათასი ტონა) და მცირე წარმოების გამო ექსპორტს ვერ ახორციელებს, შექმნილი ვითარება აჩენს რისკს, ქვეყნიდან გარკვეული რაოდენობის ხორბალი ექსპორტზე გავიდეს.

რაც შეეხება ქერს, საქართველოში წარმოებული ქერის ექსპოტი ერაყსა და ირანში ახლაც ხორციელდება. ამიტომ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დარგისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე ქერი მხოლოდ ადგილობრივ ბაზარს მოხმარდეს. მიმდინარე წელს ქერის საპროგნოზო მოსავალი 60 ათასი ტონის ფარგლებშია და დღეის მდგომარეობით, 2,5 ათას ტონაზე მეტი უკვე ექსპორტირებულია.

„ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მიმდინარე წლის 4 ივლისიდან 2023 წლის 4 ივლისამდე, საქართველოდან ხორბლისა და ქერის ექსპორტი აკრძალოს. ამ ეტაპზე, შეზღუდვები არ ვრცელდება სიმინდის ექსპორტზე.

საქართველოში ბოლო წლებში, საშუალოდ, ასი ათასი ტონა ხორბალი იწარმოება, კერძოდ, 2020 წელს ადგილობრივმა წარმოებამ 102 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოხმარებამ - 735 ათასი ტონა. 2017 წლიდან 2020 წლამდე ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 15%-ს შეადგენდა, რაც წინა წლების მაჩვენებლებზე შედარებით მაღალია.

სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკის სწორად განვითარება და სასურსათო პრობლემების მოგვარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომლის მიღწევა შესაძლებელია გონივრული და თანმიმდევრული ღონისძიებების გატარებით.

## დასკვნა

საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი მძიმე სასურსათო მდგომარეობის დასაძლევად და ამ სფეროში მოსალოდნელი კიდევ უფრო სერიოზული გლობალური პანდემიისა და სასურსათო კრიზისის ფონზე საჭიროდ მიგვაჩნია სასურსათო-სავაჭრო პოლიტიკის სათანადო შემუშავება და მართვა, რისთვისაც უნდა განხორციელდეს:

- საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების კვების პროდუქტებით.
- ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა მარცვლეულით, რომელთა იმპორტი უნდა მოხდეს საექსპორტო პოტენციალის გაზრდის გზით.
- სურსათის საექსპორტო ბაზრის ეფექტური განვითარება, რისთვისაც უნდა მოხდეს იმპორტირებული სურსათის ექსპანსიისაგან დაცვა, უცხოელ მწარმოებლებთან ინტეგრაციული კავშირების სტიმულირება, რაც მომავალში პოზიტიურად აისახება საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე.
- მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს ინტეგრაცია, საეთაშორისო ბაზრებზე ქართული საექსპორტო პროდუქციის გაზრდა, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მთელი რიგი ხელშეკრულებების ეფექტური ამოქმედება.
- სრულად იქნეს გათვალისწინებული მთელი რიგი რეკომენდაციები, მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული კვების პროდუქტების წარმოების ზრდისა და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის ამაღლების ყველა საკუთარი შესაძლებლობა და რეზერვი.
- სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, სოფლის მეურნეობის განვითარების დღემდე არსებული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების დროს გამოვლენილი პრობლემებისა და შეცდომების გათვალისწინება.
- უმოკლეს დროში მოხდეს მარცვლეულის წარმოების გაზრდა, რაც შეძლებისდაგვარად დაარეგულირებს აღნიშნულ პრობლემას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბერიძე ზ., სასურსათო ბაზრის ფორმირება და განვითარება საქართველოში, იხ.: ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, N 4(10), თბ., 2010, გვ. 75-78.
2. დათაშვილი ვ., თეთვაძე ბ., სასურსათო პოლიტიკა. განვითარების მექანიზმები. რეგულირება. სტრატეგია. მარკეტინგი. თბ., 2013, გვ. 228.
3. ვანიშვილი მ., საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები. თეორია. მეთოდოლოგია. პრაქტიკა. თბ., 2003. გვ. 305.
4. კოღუაშვილი პ., ბენია შ., სასურსათო უზრუნველყოფის აქტუალური პრობლემები XXI საუკუნეში, თბ., 2002. გვ. 218.
5. ლაზარიაშვილი თ., სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის ფაქტორები, იხ.: ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები N 4, თბ., 2010, გვ. 23-25.
6. დათაშვილი ვ. თეთვაძე ბ. სურსათის მსოფლიო ბაზრის ლიბერალიზაციის პერსპექტივები და შედეგები იხ. : ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა", N 3 (21), თბ., 2012, გვ. 16-18.
7. ვანიშვილი მ. ჯულელი გ. გლობალური სასურსათო უსაფრთხოება: არსი, პრობლემები, გადაწყვეტის გზები, იხ.: ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა", N 1, თბ., 2012, გვ. 81-86.
8. Алтухов А., Вермель Д., Продовольственное самообеспечение страны: состояние и перспективы, см. Экономика. Управление, М., 1997, №11, стр. 29-34.
9. Борисенко Н., Рагрин В., Тенденции формирования государственных ресурсов продовольствия, см. Экономика. Управление. М., 1993, №8, стр. 13-19.
10. Зволинский В., Продовольственное обеспечение – фактор социально-политической стабилизации общества, см. Экономист, М., 1995, №9, стр. 89-93.
11. Серова Е.В., Аграрная экономика, М., 2005, стр. 328-329.

# ინტელექტუალური კაპიტალი და მისი როლი ფირმის კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბებაში

***გუგული ყურაშვილი***
*სტუ-ს პროფესორი*

***ირმა ომონაძე***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**ანოტაცია**

დღეისათვის ინტელექტუალური კაპიტალი კომპანიის ღირებულების შექმნის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია მოცემული მოვლენის თავისებურებები, მისი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ინტელექტუალური კაპიტალისა და საქმიანობის მაჩვენებლების დამაკავშირებელ კომპონენტს წარმოადგენს რესურსული მიდგომის პოზიციიდან განხილული კონკურენტული უპირატესობების თეორია.

**საკვანძო სიტყვები:** ინტელექტუალური კაპიტალი, მდგრადობა, კონკურენტული უპირატესობები, რესურსული მიდგომა.

**INTELLECTUAL CAPITAL AND ITS ROLE IN THE FORMATION OF COMPETITIVE ADVANTAGES OF THE FIRM**

**Guguli Kurashvili**
Professor of GTU
**Irma Omanadze**
PhD student of GTU

**SUMMARY**

Today, intellectual capital is becoming the most significant factor in creating company value. The presented article discusses the features of this event, its impact on the company's activities. The conclusion is made that the connecting component of intellectual capital and activity indicators is the theory of competitive advantages considered from the standpoint of the resource approach.

**Key words**: intellectual capital, sustainability, competitive advantages, resource approach.

## შესავალი

კომპანიის ღირებულების შექმნა ცოდნის ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ფირმის ინტელექტუალური კაპიტალის ისეთი კომპონენტების ეფექტიან გამოყენებაზე, როგორიცაა მომუშავეთა კომპეტენციები, კლიენტებსა და მომწოდებლებთან ურთიერთდამოკიდებულებები, რომლებიც მოთხოვნილებების ზრდასთან ერთობლიობაში აიძულებს მენეჯერებს თავიანთი ინიციატივები მატერიალური რესურსების ველიდან გადაიტანონ არამატერიალური აქტივების ველზე. კვლევების ნაწილი მოწმობს, რომ ამჟამად, არამატერიალურ აქტივებს სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ღირებულების შექმნაში. ვერ ვიტყვით, რომ დასახელებული დროის მონაკვეთში მათი როლი უმნიშვნელო იყო, ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ კომპანიის ცხოველმყოფელობის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა არ განიხილებოდა კონკურენტუნარიანობის საკვანძო ფაქტორად.

## ფირმის კონკურენტული უპირატესობები და მდგრადობა ინტელექტუალური კაპიტალის კონცეფციის ფარგლებში

პორტერის თანახმად, კონკურენტული უპირატესობა - ეს არის ჩადებული ინვესტიციებიდან შემოსავლის გამომუშავების უნარი ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებელზე უფრო მაღალი მაჩვენებლით.[1] ისეთი მკვლევარები კი, როგორიცაა ბარნეი, ამბობენ, რომ კონკურენტული უპირატესობა შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას, თუ ფირმას შეუძლია ღირებულების შექმნის სტრატეგიის ინკორპორირება, რომელიც ვერ იქნება რეალიზებული ნებისმიერი სხვა მიმდინარე და პოტენციური კონკურენტების მიერ.[2] მესოსა და სმიტის თანახმად, მდგრადი კონკურენტული უპირატესობები იქმნება სტრატეგიული აქტივებს წყალობით[3]. ბარნეი მასში გულისხმობს შინაგანად კონტროლირებად აქტივებს და ფირმებს აძლევს კომპანიის ეფექტიანობისა და შედეგიანობის გამაუმჯობესებელი სტრატეგიების ფორმულირებისა და რეალიზების შესაძლებლობას. ამრიგად, მიუხედავად მოცემულ ცნებაზე ტრადიციული შეხედულებისა, კონკურენტული უპირატესობა არ იქმნება ნედლეულის რესურსების, ტექნოლოგიებისა და მასშტაბიდან ეკონომიის საფუძველზე, რომელთა იმიტირებაც საკმაოდ მარტივია. ალბათ იგი აღქმული უნდა იქნას ფირმის ანალიზისადმი რესურსული მიდგომის პოზიციიდან, რომლის ფარგლებშიც კონკურენტული უპი-

1 Porter, M.E. (1985), Competitive Advantage, The Free Press, New York, NY.
2 Barney, J. (1991), "Firm resources and sustained competitive advantage", Journal of Management, Vol. 17 No. 1, pp. 99-120
3 Meso, P. and Smith, R. (2000), "A resource-based view of organizational knowledge management systems", Journal of Knowledge Management, Vol. 4 No. 3, pp. 224-231

რატესობის შექმნა დამოკიდებულია ფირმის ხელთ არსებულ ფასეულ, იშვიათ და ძნელად კოპირებად რესურსებზე.[4] რესურსების აღნიშნულ ტიპს სტიუარტი მიაკუთვნებს არამატერიალურ აქტივებს.[5] შესაბამისად, ინტელექტუალური კაპიტალი მოიცავს ფასეულ, იშვიათ, ძნელად იმიტირებად და ურთიერთჩანაცვლებად რესურსებსა და შესაძლებლობებს. ისინი უზრუნველყოფენ ფირმის კონკურენტულ უპირატესობებს და შედარებით მაღალ შედეგებს.[6] ვანგმა და ჩანგმა თავიანთ კვლევებში დაადასტურეს, რომ ინტელექტუალური კაპიტალი, ზრდის ტემპის შეფასებასთან ერთად წარმოადგენს ფირმის მიმდინარე და მომავალი კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტს.[7]

თუ ვისაუბრებთ მდგრადობის შესახებ, ძალზე ხშირად მას განიხილავენ მდგრადი განვითარების კონტექსტში. ჩვენ მოვიყვანთ ყველაზე ციტირებად განმარტებას, რომელიც გაკეთდა 1987 წელს მსოფლიოს გარემოს დაცვისა და განვითარების კომისიის (World Comission on Environment an Development – WCED) მიერ. აღნიშნული განმარტების თანახმად, მდგრადი განვითარება - ეს არის განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნილებებს მომავალი თაობების მიერ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. მოცემული ცნების ვიზუალიზაციისთვის ვიყენებთ ვენის დიაგრამას.




**ნახ. 1. მდგრადობის ადგილი სოციალურ, გარემომცველ და ეკონომიკურ გარემოში**

დიაგრამიდან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ, რომ მდგრადობა განთავსებულია სამი გარემოს - ეკონომიკური, სოციალური და გარემომცველი - კვეთაზე, რაც ერთი მხრივ, იძლევა სამივე გარემოს ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სიმდიდრის საუკეთესო სახით განაწილებას. შესაბამისად, კორპორაციული სექტორის ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდგრადობა - ეს არის ის მახასიათებელი, რომელიც აინტერესებს ამა თუ იმ გარემოს წარმომადგენელ ყველა სტეიკჰოლდერს. შესაბამისად, მოცემულ კვლევაში მდგრადობაში ჩვენ მიერ ნაგულისხმევი იქნება კომპანიის უნარი დააკმაყოფილოს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებები, მიუხედავად პირობებისა, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

მდგრადობის კვლევებს სხვადასხვა ავტორები ახორციელებდნენ, თუმცა, თუ ვსაუბრობთ ინტელექტუალური კაპიტალის კონტექსტში, მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ ჰოლის ნაშრომები. იგი შეეცადა განესაზღვრა ინტელექტუალური კაპიტალის ყოველი ელემენტის მნიშვნელობის ხარისხი ღირებულების შექმნის, ბიზნესის ფინანსური შედეგების სტაბილურობისა და წარმატებულობის უზრუნველყოფის პროცესებში.[8] ამისათვის გამოყენებულ იქნა გამოკითხვის ფურცელი, რომელიც დაეგზავნა ბრიტანული კომპანიების 847 აღმასრულებელ დირექტორს. მიუხედავად იმისა, რომ უკუკავშირის პროცენტი მხოლოდ 11 %-ს შეადგენდა, მიღებული შედეგების საფუძველზე ჰოლმა შეძლო მოეხდინა ელემენტების რანჟირება მნიშვნელობის მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფირმის და პროდუქტის რეპუტაცია, თანამშრომელთა მიერ ნოუ-ჰაუს განხორციელების უნარი და კორპორაციული კულტურის დონე. ჰოლისმა კი ჩაატარა საერთაშორისო კვლევა, რომელიც ინიცირებული იყო კონსალტინგური კომპანია „აქსენჩერის“ მიერ და მიეძღვნა ინტელექტუალური კაპიტალის როლს ფირმების საქმიანობაში.[9] მან დაადგინა, რომ გამოკითხული უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელების 94 % არამატერიალური აქტივების მართვას მიიჩნევს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, რასაც აწყდება კომპანია. ამასთან, გამოკითხულ ტოპ-მენეჯერთა თითქმის ნახევარი (49 %) მიიჩნევს, რომ ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს

4 Barney, J. (1991), "Firm resources and sustained competitive advantage", Journal of Management, Vol. 17 No. 1, pp. 99-120; Stiles, P. and Kulvisaechana, S. (2004), Human Capital and Performance in Public Sector, Judge Institute of Management, University of Cambridge, Cambridge.

5 Stewart, T.A. (1997), Intellectual Capital: The New Wealth of Organizations, Bantam Doubleday Dell Publishing Group, New York, NY.

6 Barney, J. (1991), "Firm resources and sustained competitive advantage", Journal of Management, Vol. 17 No. 1, pp. 99-120;

7 Wang, W.-Y. and Chang, C. (2005), "Intellectual capital and performance in causal model", Journal of Intellectual Capital, Vol. 6 No. 2, pp. 222-36.

8 Hall, R. (1992), "The strategic analysis of intangible resources", Strategic Management Journal, Vol. 13 No. 2, pp. 135-44.

9 Hollis, E. (2004), "Managing intangible assets represents opportunity for learning leaders", Chief Learning Officer, Atlanta, GA.

მესაკუთრეთა კეთილდღეობის ძირითად წყაროს გრძელვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, დიპიაცა და ეკლსი თავიანთ ნაშრომებში აღნიშნავდნენ, რომ არაფინანსური ღირებულების დრაივერები (პროდუქტის /მომსახურების ხარისხი, კლიენტის დაკმაყოფილება და ლოიალურობა) წარმოადგენენ არა უბრალოდ უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე მიმდინარე აღრიცხვის შედეგები, არამედ მომავალი ფინანსური შედეგების პრიორიტეტულ დეტერმინანტებს და ორიენტირებს შიდა გადაწყვეტილებების მიღებისას.[10]

**დასკვნა**

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკრეტულ თვისებრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებამდე დეკომპოზირებული ინტელექტუალური კაპიტალის ელემენტები არსებით გავლენას ახდენს ფირმის საქმიანობის შედეგებზე. ამასთან, აღნიშნული კავშირის ახსნის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს კონკურენტული უპირატესობების თეორია, რომელიც იქმნება სწორედ ინტელექტუალური კაპიტალის წყალობით და აისახება საქმიანობის შედეგებზე. ამ უკანასკნელზე ყურადღების გამახვილებისას უნდა გვახსოვდეს, რომ საქმიანობის მაჩვენებლები, რასაკვირველია, აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი იმისთვის, რომ წარმოადგენდეს ადეკვატურ სიგნალს სტეიკჰოლდერებისთვის. ამგვარი ვარაუდი ქმნის ნიადაგს ისეთი მაჩვენებლების შემუშავებისთვის, რომლებიც ორიენტირებული იქნება ფირმის სხვა არამატერიალურ მახასიათებლებზე.

10 DiPiazza, S.A. and Eccles, R.G. (2002), Building Public Trust: The Future of Corporate Reporting, John Wiley & Sons, New York, NY.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Porter, M.E. (1985), Competitive Advantage, The Free Press, New York, NY.
2. Barney, J. (1991), “Firm resources and sustained competitive advantage”, Journal of Management, Vol. 17 No. 1, pp. 99-120
3. Meso, P. and Smith, R. (2000), “A resource-based view of organizational knowledge management systems”, Journal of Knowledge Management, Vol. 4 No. 3, pp. 224-231
4. Stewart, T.A. (1997), Intellectual Capital: The New Wealth of Organizations, Bantam Doubleday Dell Publishing Group, New York, NY.
5. Wang, W.-Y. and Chang, C. (2005), “Intellectual capital and performance in causal model”, Journal of Intellectual Capital, Vol. 6 No. 2, pp. 222-36.
6. Hall, R. (1992), “The strategic analysis of intangible resources”, Strategic Management Journal, Vol. 13 No. 2, pp. 135-44.
7. Hollis, E. (2004), “Managing intangible assets represents opportunity for learning leaders”, Chief Learning Officer, Atlanta, GA.
8. DiPiazza, S.A. and Eccles, R.G. (2002), Building Public Trust: The Future of Corporate Reporting, John Wiley & Sons, New York, NY.

# CERTAIN ASPECTS OF CONSUMER BEHAVIOR IN GEORGIA DURING 2020-2021

***Tamara Gvenetadze***
*Tbilisi State University,*
*Faculty of Economics and Business*

## მომხმარებელთა ქცევის გარკვეული ასპექტები საქართველოში 2020-2021 წლებში

### ანოტაცია

ქცევითი ეკონომიკისადმი მდგრადმა ინტერესმა მკვლევარებს საშუალება მისცა თვალყური ადევნონ და შეაფასონ მომხმარებელთა ქცევაში არსებული ცვლილებები. კითხვები იმის შესახებ, თუ რა სურთ მომხმარებლებს, რა უბიძგებს მყიდველებს ყიდვისაკენ და რა ფაქტორები იწვევს შესყიდვის გადაწყვეტილებებს, კვლავ რჩება მნიშვნელოვან აქტუალურ თემად, განსაკუთრებით იმ გამოწვევების ფონზე, რაც გამოწვეულია COVID-19 პანდემიით.

მომხმარებელთა შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ეკონომიკური პირობების მიხედვით, როგორც საკუთარ, ასევე ფართო ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი ბაზარზე შექმნილ გაუთვალისწინებელ პირობებში. COVID-19-მა გამოიწვია მილიონობით ადამიანის სიკვდილი და მკვეთრად შეანელა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში.

საქართველოში, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში, 3,7 მილიონი მოსახლით, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში მომხმარებლის ქცევის შესახებ მონაცემები უკიდურესად შეზღუდულია. ჩვენ ჩავატარეთ წინამდებარე კვლევა, რათა შეგვეფასებინა მომხმარებელთა დამოკიდებულება შესყიდვების პროცესის გარკვეული ასპექტების მიმართ და COVID-19 პანდემიის გავლენა მომხმარებლებზე საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19 პანდემია, მომხმარებლის ქცევა, ქცევითი ეკონომიკა.

## CERTAIN ASPECTS OF CONSUMER BEHAVIOR IN GEORGIA DURING 2020-2021

### RESUME

A sustained interest in behavioral economics has allowed researchers to track and evaluate changing patterns of consumer behavior. Questions of what consumers want, what motivates buyers, and what factors lead to purchasing decisions has continued to be a topic of considerable urgency, particularly in light of the challenges posed by the COVID-19 pandemic.

Consumers' purchasing decisions are informed by economic conditions, both their own and in the wider economy, especially during unforeseen market conditions. COVID-19 has caused the death of millions of people and dramatically slowed economic activity worldwide.

The data on consumer behavior in Georgia, a middle-income country with 3.7 million population, particularly, in the context of the pandemic is extremely limited. We conducted the present study to assess the consumer attitude towards certain aspects of the purchasing process and the impact of the COVID-19 pandemic on the consumers in Georgia.

**Key words:** COVID-19 pandemic, consumer behavior, behavioral economics.

### BACKGROUND

A sustained interest in behavioral economics has allowed researchers to track and evaluate changing patterns of consumer behavior. Questions of what consumers want, what motivates buyers, and what factors lead to purchasing decisions has continued to be a topic of considerable urgency, particularly in light of the challenges posed by the COVID-19 pandemic which by mid-June 2022, resulted in more than 543 million cases, and approximately 6.7 million deaths worldwide and more than 1.6 million cases and more than16,800 deaths in Georgia (Worldometers, 2022).

Consumers' purchasing decisions are informed by economic conditions, both their own and in the wider economy, especially during unforeseen market conditions. COVID-19 has caused the death of millions of people and dramatically slowed economic activity worldwide (Donthu & Gustafsson, 2020; McKinsey and Company, 2020). Equally urgent measures are necessary to address its broadest effects, such as increasing the production of competitive domestic products to satisfy domestic demand, encouraging export-oriented industrialization, increasing the rate and volume of export to attract foreign investments, and taking measures against oligopolistic markets (Silagadze et al; 2022).

The data on consumer behavior in Georgia, a middle-income country with 3.7 million population, particularly, in the context of the pandemic is extremely limited. Two small surveys conducted early in the pandemic demonstrated a high level of concern among consumers in Georgia, along with significant disruptions in their everyday life, hygienic practices, work situation,

mobility, etc. (BMG, 2020; Miroi, 2020).

We conducted the present study to assess the consumer attitude towards certain aspects of the purchasing process and the impact of the COVID-19 pandemic on the consumers in Georgia.

**METHODS**

We conducted a survey among residents of Georgia using a self-administered questionnaire composed of the basic demographic characteristics of participants and questions regarding their purchasing behavior and preferences, the impact of economic condition (Table 1). We also asked questions about changes in their buying behavior caused by the COVID-19 pandemic; the results of the analysis of the impact of the pandemic on consumer behavior are reported separately. The options for answers to each of the questions included seven categories according to Likert scale.

Data were collected between March 2020 and September 2021 in three stages: March-August 2020, September 2020-January 2021, and September 2021.

As main outcome measures were percentages and 95% confidence intervals (CI) for responses in each category. We used univariate and multivariate logistic regression to assess associations between purchasing practices and independent variables such as age, sex, student and employment status, and the timing of the survey enrollment.

To ensure sufficient statistical power for analysis, the seven-category answers to questions were compressed to three categories: "positive", "negative" and "neutral." When calculating odds ratios (OR), the following categories were considered as reference groups for independent variables: male, age 18–29 years, currently employed, and currently student. P values <0.05 were considered statistically significant. Due to large numbers of comparisons, OR and p values for variables with no significant associations are not reported below.

**RESULTS**

The survey questionnaire was administered to 414 residents of Georgia during 2020–2021, including 214 (51.7%) females and 200 (48.3%) males. The characteristics of respondents are given in Table 2.

Responses to questions addressing the potential influence of consumers' economic situation upon their decisions related to purchasing products or services are presented in Figure 2. The vast majority of respondents (93.5%) reported that their financial situation affects their purchasing decisions. This impact was associated with being a female (98.2% among females versus 85.5% among males; OR, 8.85, 95% CI, 2.51–29.80; p=0.0006).

Similarly, most respondents (91.6%) reported that their choice of products/services changed along with changes in their economic situation. This influence was associated with age group and employment status. Persons aged 30–49 years were more likely to have their choices influenced by changes in economic situation than persons aged 18–29 years (OR, 2.74; 95% CI, 1.06–7.12; p=0.0384), as were persons who are not currently employed versus those who are (OR, 3.80; 95% CI, 1.38–10.46; p=0.0097).

Approximately 1/3 of responders reported feeling irritated when they could not afford to buy the desired product (37.7%), avoided some stores (37.2%) or asked someone to go shopping with them to avoid buying too much (33.1%). The only association observed with these behaviors was the female predominance among those who avoided going to some stores for fear they would buy too much: 57.1% among females versus 42.9% among males; OR, 1.67; 95% CI, 1.10-2.53; p=0.0165.

Only a small proportion of respondents (22.7%) continued to buy products despite economic problems. Females were more likely than males to report this behavior (28.0% among females versus 17.8% among males; OR, 1.80; 95% CI, 1.10–2.91); p=0.0191).

Responses to questions to assess the potential impact of an effective stimulation campaign on customer behavior are given in Figure 3. Most respondents (71.7%) considered expensive products better than cheaper ones. Having this opinion was associated with older age groups (increase from 52.7% among 18–29-year-olds to 80.9% among 30–49-year-olds and 86.15 among ≥50-year-olds; OR, 2.46; 95% CI, 1.33–4.55; for p=0.0041 for 30–49 years versus 18–29 years; OR, 3.89; 95% CI, 1.78–8.50; p=0.0007 for ≥50 years versus 18–29 years). An even higher proportion (79.5%) of respondents reported that for them personally, luxury means quality. This opinion was associated with age group, gender, and employment status in univariate analysis but none of these associations remained significant in multivariate analysis.

Slightly more than half of respondents reported that being able to buy luxury products would make them happy (53.9%). This opinion was associated with younger age groups (62.7% among 18–29-year-olds and 55.6% among 30–49-year-olds versus 34.9% among ≥50-year-olds; OR, 0.52; 95% CI, 0.27–0.99; p=0.0463 for ≥50-year-olds versus 18–29-year-olds) and being a student (68.8% among students versus 49.4% among non-students; OR, 2.13; 95% CI, 1.11–4.00, p=0.0209.

A substantial proportion of respondents (41.8%) reported that they try to purchase products that will enhance their image in other people's eyes. This behavior was less common among females than males (33.0% versus 50.0%; OR, 0.46; 95% CI, 0.29–0.70; p=0.0003), and among younger age groups (44.7% among 18–29-year-olds and 52.3% among 30–49-year-olds versus 15.1% among ≥50-year-olds; OR, 0.21; 95%

CI, 0.10–0.45; p=0.0001 for 30–49 years versus 18–29 years).

Having the logo of the brand visible was highly important for approximately half of respondents (53.9%). This opinion was more common among younger age groups (58.0% among 18–29-year-olds and 62.3% among 30–49-year-olds versus 29.1% among ≥50-year-olds; OR, 0.30; 95% CI, 0.15–0.58; p=0.0003 for ≥50 years versus 18–29 years).

Exclusivity of the product mattered for a substantial proportion of respondents (40.8%) who reported that if they would change their mind about buying a product they want to buy it were owned by too many people. In multivariate analysis, this behavior was associated with a younger age group (50.7% among 18–29-year-olds versus 37.6% among 30–49-year-olds and 30.2% among ≥50-year-olds; OR, 0.52; 95% CI, 0.27–0.99; p=0.0464).

The opinions of persons working in the industry about a product mattered for most respondents; 59.2% of respondents reported that they seek information about a product they want to buy from those who work in the industry. Females reported this behavior more commonly than males: 65.7% among females versus 50.7%, among males (OR, 1.54, 95% CI, 1.03–2.32, p=0.0374). There were no associations with age group, employment, or student status.

The preferences of their family and friends influenced their choice of a product they purchased for more than half of respondents (56.5%). This influence was associated with being female (62.0% among females versus 51.4% among males; OR, 1.56; 95% CI, 1.04–2.34; p=0.0335) and employed (57.9% among employed versus 53.3% among those not currently employed; OR, 1.79; 95% CI, 1.07–3.03; p=0.0263).

For approximately 3/4 of respondents (74.6%), the quality of advertisements changed their perceptions about the product). This behavior was associated with age group, gender, and student status. It was more commonly reported by persons aged 30–49 years (80.3%) than by 18–29-year-old and ≥50-year-old respondents (68.0% and 74.4%, respectively; OR, 2.02; 95% CI, 1.07–3.82; p=0.0298 – 30–49 years versus 18-29 years) and less commonly by females than by males (70.0% versus 79.0%; OR, 0.55; 95% CI, 0.34–0.87; p=0.0119). Also, the behavior was more common among non-students than among students (77.0% versus 66.7%; OR, 2.01; 95% CI, 1.03–3.93; p=0.0420).

The survey was conducted at the time when the COVID-19 pandemic was unfolding. Coronavirus has affected respondents' social activity and buying behavior (reported by 95.4% of survey participants) and the choice of retailers from which to buy (79.2%). It also made them consider how to better allocate their existing budgets (81.2%) and to purchase more practical goods (84.5%) and buy products online (38.9%), (Figure 4).

## DISCUSSION

The present survey provided previously unavailable information on certain aspects of general consumer behavior in Georgia and revealed their complex relationship with demographic variables. Consumer's economic situation was a major determinant directly affecting their decision-making related to purchasing goods or services. Changes in financial situation led to customers modifying their purchasing behavior influencing the choice of products, resulting in irritation when unable to afford, and leading to utilization of various strategies to limit spending.

Although the impact of consumer's personal economic situation on purchasing decisions was widespread, it was not homogenous across various demographic groups. Females, along with persons aged 30–49 years and those not currently employed were affected to a greater extent. This is not surprising, considering that these are the groups most likely to have families, generate income and be responsible for running the household in Georgia. The feeling of irritation when unable to afford a desired product and use of strategies to limit spending, were not associated with basic demographics except with higher likelihood for females to rely on social connections for this purpose (e.g. shopping with someone else). On the other hand, continuation of buying despite economic problems was also more likely to be reported by females, highlighting the need for additional research to characterize in more detail specific characteristics associated with customer's response to financial problems.

Respondents' purchasing behavior was highly influenced by their attitudes about what constitutes a desirable and high-quality product and depended on several factors. The survey revealed high level of interest in owning luxury products that would enhance respondent's outward image. For survey respondents, quality was often equated with luxury, and higher price was generally considered an indicator of better quality. Respondents had much lower interest in products owned by many other people and those that did not display a brand logo. Being able to buy luxury product would make happy approximately half of respondents. The heightened interest in luxury products has been also observed in other emerging economies, including former Soviet Union countries (Kivenzor, 2015; Statista.com, 2022), and reflects increased familiarity of customers with luxury brands, as well as wider availability of such products in these markets and their association with perception of being successful and affluent, along with greater social mobility of customers (Kumar, 2016; Kumar, 2022). As a result, these products are highly desirable even among consumers who might not currently afford them, as demonstrated in our study by high interest in luxury products among younger persons, including students.

Among factors commonly taken into account by Georgian customers was seeking information about the product. Opinions of persons working in the industry were important for most respondents and responder's choice of product was frequently influenced by family members and friends. The advertisements had even greater overall influence, with 3/4 of respondents being likely to make change mind about a purchase because of advertisements.

However, the relative importance of the factors influencing purchasing decisions varied by demographic characteristics of respondents. E.g., opinion of industry representatives and family and friends was more prominent for females, while males were more likely to be influenced by advertising. In addition males were more interested in products that enhance their image than females.

Age was associated with attitude toward luxury products. Younger age groups were more interested in products what enhance their image, display a brand logo, and are not owned by many other people. Also, age was inversely associated with being happy when able to buy luxury products. Persons aged 30–49 years were more likely to be influenced by advertising than younger adults and those aged ≥50 years. Currently employed persons were more likely to take into account preferences of their family and friends, while students were more likely to feel happy when able to buy luxury products.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ძალზე მაღალი სისწრაფით ვითარდება ელექტრონული კომერციის სხვადასხვა მიმართულება, როგორიცაა: ონლაინგაყიდვები, ინტერნეტ-რეკლამები, ინტერნეტ-მაღაზიები, მარკეტინგული ონლაინკვლევები, საბანკო სფეროს ელექტრონული საგადახდო სისტემები და ბევრი სხვ.; მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად მაღალი ტემპებით იზრდება ელექტრონული ვაჭრობისა (მათ შორის ქსელური ვაჭრობისა) და კომერციის წილი. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონულ კომერციას გააჩნია უამრავი და ძალზე მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები, მას, ასევე, ახასიათებს ძალზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში ელექტრონული ტექნოლოგიები ძალზე მაღალი ინტენსივობით გამოიყენება ბიზნესსაქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

- ❖ ვაჭრობა;
- ❖ ტურიზმი;
- ❖ საბანკო საქმე და სხვა.

მომხმარებლის გადმოსახედიდან ელექტრონული კომერცია საკმაოდ პერსპექტიული მიმართულებაა როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთვის. მომხმარებლისთვის ელექტრონული კომერციის ძირითადი ღირსება არის დროისა და ძალისხმევის დაზოგვა, ასევე, სასურველი ნივთის ან მომსახურეობის უფრო სწრაფად, უფრო დაბალი ფასით და უკეთესი ხარისხით მიღების შესაძლებლობა, ვიდრე ფიზიკურ მაღაზიაში. ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის დაწყება საკმაოდ მწირ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს და, ფაქტობრივად, ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მისი მწირი ეკონომიკური რესურსიდან გამომდინარე, ინტერნეტეკონომიკის გზით შესაძლებელია მიღწეულ იქნას სოციალური განვითარება, ეკონომიკური სტაბილურობა, გახსნილი სავაჭრო ურთიერთობები და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ელექტრონული კომერცია არც ისე კარგადაა განვითარებული, ქვეყანას შესაძლებლობა აქვს გახდეს რეგიონული ცენტრი. იმისათვის რომ საქართველოში ელექტრონული კომერციის ბაზარი უფრო სწრაფად განვითარდეს, საჭიროა გარკვეული საკანონმდებლო ბარიერების მოხსნა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. https://gtu.ge/book/e
2. http://www.globalgamingexpo.com/;
3. https://forbes.ge/galt-thagartma-saqarthvelos-eleqtronuli-komertsiis-seqtorze-kvleva-gamoaqveqhna/;
4. http://www.egovernment-monitor.de/startseite.html;
5. http://www.economy.ge
6. https://forbes.ge/saqarthveloshi-eleqtronuli-komertsiis-pirveli-akademia-ikhsneba/
7. https://static.tbccapital.ge/uploads/files/files_ad7c1eb4_May14,2020-EffectofCOVID-19onBusinessEnvironment-.pdf?v=1

# კოვიდ-პანდემიის გავლენა ელექტრონულ ბიზნესზე საქართველოში

*თეიმურაზ გვეტაძე*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*მოწვეული სპეციალისტი*
*აუდიტის, შპს „აუდიტ ენდ კონსალტინგ გრუპ"*

**აბსტრაქტი**

**შესავალი და მიზანი:** სტატიაში აღწერილია ელექტრონული ბიზნესის არსი, ძირითადი მახასიათებლები და განსაზღვრულია მისი მოქმედების არეალი. დახასიათებულია ეროვნული და საერთაშორისო ბიზნესის ის დარგები, რომლებმაც ყველაზე კარგად აითვისეს ელექტრონული ტექნოლოგიები, გაზარდეს მწარმოებლურობა და სამუშაოს ეფექტიანობა. აღწერილია საქართველოს ელექტრონული ბიზნესის გარემო (COVID-19) გავლენა მომხმარებლების მიერ პროდუქციის ელექტრონულად შესყიდვის პროცესსა და ელექტრონულ ბიზნესზე.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევისას გამოყენებული იქნა, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. კერძოდ, შესწავლილი იქნა ელექტრონული ბიზნესის განვითარების წინაპირობები და საქართველოს დღევანდელი რეალობა. გამოკითხვის მეთოდით განისაზღვრა ელექტრონული ბიზნესის სუბიექტები და ობიექტები, სუბიექტების კმაყოფილება აღნიშნული სფეროს შემოსავლიანობით და ა. შ.

შედეგები და გამოყენება: კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა მოვლენებმა განაპირობა როგორც მომხმარებლების, ისე ბიზნესების მხრიდან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების დიდი სისწრაფით ათვისება. ამიტომ ამ ეტაპისთვის კორონავირუსი შეიძლება განვიხილოთ როგორც ელექტრონული და ზოგადად ბიზნესგარემოს ცალკეული შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია დადგენილია, თუ როგორ უპასუხეს ბიზნესებმა პანდემიის მიზეზით გამოწვეულ შეზღუდვებს და რამდენად კმაყოფილნი იყვნენ დასაქმებულები დისტანციურად მუშაობის მეთოდზე გადასვლით. ელექტრონული ბიზნესის იდეა ინტერნეტის პოპულარიზაციამდე არსებობდა. მას ძირითადად საფინანსო სექტორში ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლისთვის იყენებდნენ, რაც ინფორმაციის გადაადგილების დროს და ქაღალდის გამოყენებას მნიშვნელოვნად ამცირებდა. მას შემდეგ რაც გაფართოვდა ინტერნეტი, შეიქმნა მძლავრი სერვერები, საძიებო სისტემები და ვებგვერდები, შესაძლებელი გახდა ბიზნეს ურთიერთობების ახალ საფეხურზე აყვანა

დასკვნა: კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა საზოგადოების ნაწილი იძულებული გახადა აქტიურად ესარგებლა ონლაინ შესყიდვებით და ელექტრონული გადახდის სისტემებით, რამაც დააჩქარა როგორც ბიზნესის, ისე მომხმარებლის მიერ საქმიან ურთიერთობებში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და მოამზადა ნიადაგი ინოვაციური სერვისების შეთავაზებისთვის. ელექტრონული შესყიდვის პროცესი მომხმარებლებში სიმარტივით გამოირჩევა, თუმცა მაღალ შეფასებებს ვერ იმსახურებს ონლაინ შესყიდვის განხორციელებით მიღებული კმაყოფილება, სადაც უმთავრესი პრობლემა ხარისხის შეუსაბამობა ან პროდუქტზე საკმარისი ინფორმაციის არარსებობაა. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა საზოგადოების დიდი ნაწილი აიძულა, გადასულიყვნენ დისტანციურ მუშაობაზე, სადაც გარკვეული ნაწილი ამგვარი ცვლილებებისთვის მზად არ იყო და, შედეგად, დადგა კომუნიკაციის პრობლემა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია თანამშრომელთა კმაყოფილებასა და კომპანიათა საქმიანობის ეფექტიანობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თანამშრომელთა დისტანციურად მუშაობაზე გადასვლამდე ფირმებმა უნდა განსაზღვრონ ვირტუალური კომუნიკაციის მეთოდი და ნდობის ხარისხი. კომუნიკაციაში იგულისხმება ის ტექნოლოგიები, რომლითაც თანამშრომლები ურთიერთობენ ერთმანეთთან და მომხმარებელთან. ეს მოიცავს ისეთ პროგრამებს, როგორიცაა Google meet, Skype, Facebook, Zoom, Slack, Google Drive, DropBox და სხვა. ნდობა, თავის მხრივ, ვირტუალური კომუნიკაციის შემადგენელი უმთავრესი ნაწილია. მარტივად რომ ვთქვათ, დისტანციური მუშაობა მთლიანად ნდობაზეა აგებული, ამიტომ მნიშვნელოვანია ლიდერის მხრიდან თანამშრომლებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც არ იჭრება მათ პირად ცხოვრებაში და არ ამყოფებთ მათ სტრესის ქვეშ, მაგრამ ამყარებს მათზე გარკვეულ მოლოდინებს და ასტიმულირებს სამუშაოს სათანადოდ შესასრულებლად.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, კორონავირუსი, ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული ტექნოლოგიები.

**ABSTRACT**

**Introduction and aim:** The article describes the essence of e-business, its main features and defines its scope. Those branches of national and international business that have best adopted electronic tech-

nologies, increased productivity and work efficiency are characterized. The impact of Georgia's e-business environment (COVID-19) on the process of electronic purchase of products by consumers and e-business is described.

**Research methodology:** Qualitative and quantitative approaches have been used in the research process. In particular, the researchers studied e-business development prerequisites and assessed current realities and future possibilities in this respect. Based on the survey method, subjects and objects of electronic business have been determined; subjects expressed satisfaction with the productivity of the sphere, etc.

**Results and implications:** The events caused by the pandemic led to a rapid adoption of electronic communication tools by both consumers and businesses. Therefore, at this stage, the coronavirus can be considered as a separate component of the electronic and general business environment. Accordingly, the paper presents how businesses responded to the restrictions caused by the pandemic and how satisfied employees were with the transition to remote working methods. The idea of e-business existed before the popularization of the Internet. It was mainly used in the financial sector for the electronic exchange of information, which significantly reduced the time of information movement and the use of paper. Since the Internet expanded, powerful servers, search engines and websites were created, it became possible to take business relationships to a new level.

**Conclusion:** The restrictions caused by the Covid-19 pandemic have forced a part of society to actively use online shopping and electronic payment systems, which has accelerated the use of electronic communication tools in business relations by both businesses and consumers, and has prepared the ground for innovative service offerings. The process of electronic purchase is distinguished by its simplicity among consumers, however, the satisfaction obtained by making an online purchase does not deserve high evaluations, where the main problem is the inconsistency of quality or the lack of sufficient information about the product. The restrictions caused by the pandemic forced a large part of the society to switch to remote work, where some part was not ready for such changes, and as a result, there was a communication problem, which had a negative impact on employee satisfaction and the efficiency of the company's activities. However, it should be noted that before moving employees to work remotely, companies should determine the method of virtual communication and the degree of trust. Communication refers to the technologies by which employees communicate with each other and with customers. This includes apps like Google Meet, Skype, Facebook, Zoom, Slack, Google Drive, Drop Box, and more. Trust, on the other hand, is the most important part of virtual communication. Simply put, remote work is built entirely on trust, so it is important for a leader to have an approach to employees that does not interfere with their personal lives and does not put them under stress, but sets certain expectations on them and motivates them to perform their work properly. Keywords: Pandemic, coronavirus, electronic business, electronic technologies.

* * * *

2020 წლის დასაწყისში ელექტრონული კომერციის მოხმარება თითქმის სამჯერ გაიზარდა კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე. მას შემდეგ რაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და მალაზიების ფართომაშტაბიანი დახურვა დაიწყო ამან ყველაფერმა ხელი შეუწყო ელექტრონულად მუშაობის დაწყებას. საზოგადოება შეზღუდვებიდან გამომდინარე ვერ სარგებლობდა ტრადიციული კომერციით, ქვეყნებში გამოცხადდა ლოკდაუნები, ხალხი ველარ გადაადგილდებოდა თავისუფლად, ამიტომ ამ რიგმა პრობლემებმა ხელი შეუწყო კომერციის ამ ფორმით წარმართვაა და განვითარებას. 2021 წელს კიდევ უფრო გაიზარდა საცალო გაყიდვების წილი, რადგან მომხმარებლებს, ფაქტია, უადვილდებათ სახლიდან გაუსვლელად, ონლაინ, მარტივად და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ისარგებლონ კომერციითა თუ ბიზნესის სხვა მომსახურებით. ამის გამომწვევ ერთ - ერთ დიდ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს - პანდემია, (COVID 19) ვირუსული სისტემის გავრცელება და მისი გარდაუვალი უარყოფითი შედეგები მსოფლიოს მასშტაბით. ელექტრონული კომერციის საშუალებით ბიზნესი საკუთარ მომხმარებელს საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ სასურველი პროდუქტი და შეიძინონ მარტივად. თუ ბიზნესმენი შექმნის საკუთარ ვებ გვერდს ან დარეგისტრირდება არსებულ პლათფორმაზე, უნდა დაიტანოს ამომწურავი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ რათა მიიქციოს მყიდველის ყურადღება. ამით ის მოიპოვებს ნდობას და შეიძენს უამრავს მომხმარებელს. მაქსიმალურად უნდა გაუმარტოვდეს მყიდველს ნივთის შეძენის პროცესი. ამის გასაკეთებლად კომპანიებმა უნდა გაადვილონ საიტის ინტერფეისი, იქვე დატანილი უნდა იყოს ბანკის მონაცემები რომ დაინტერესებულმა პირმა მარტივად მიაბას ბარათი და გადაიხადოს. უნდა ქვეყნდებოდეს სხვადასხვა აქციები და სიახლეები. მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო ინფორმაცია. როდესაც იყო პირველადი დარტყმა, ეგრეთწოდებული პირველი ტალღა ვირუსისა, ყველასთვის ცნობილია რომ სახელმწიფოს რთული გადაწყვეტილებების მიღება მოუწია. დაწესდა მრავალი შეზღუდვა და

აკრძალვა, ამოქმედდა კომენდანტის საათი. ამან ყველაფერმა თავის მხრივ იმოქმედა საზოგადოების ცხოვრებაზე და ეკონომიკის განვითარებაზე. ამ გარემოებებმა განაპირობა, როგორც ბიზნესის მხრიდან ისე ჩვეულებრივი მომხმარებლების მიერ, ელექტრონული საკომუნიკაციო არხების დიდი სისწრაფით ათვისება. ამიტომ შეიძლება ითქვას , რომ კორონა ვირუსმა მხოლოდ დადებითი გავლენა იქონია ელექტრონულ ვაჭრობაზე. ამიტომ ამ დროისთვის პანდემია შეიძლება განვიხილოთ როგორც ბიზნესის ცალკეული შემადგენელი ნაწილი. ალბათ ყველას ახსოვს, რომ ვირუსის გავრცელების პრევენციის თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობამ 31 მარტიდან 27 აპრილის ჩათვლით ონლაინ ვაჭრობაც მთელი ქვეყნის მაშტაბით აკრძალა. ამან კიდევ უფრო საფრთხე შეუქმნა ეკონომიკას და ბიზნესიც საფრთხის წინაშე დააყენა. თითქმის ერთი თვე სრულიად საკმარისი იყო რომ ბიზნესს ზარალი განეცადა. აკრძალვა არ შეხებია მხოლოდ საფოსტო გზავნილებს, საკვებისა და პირველადი მოხმარების ნივთების შეძენას. ვფიქრობ რომ ონლაინ ვაჭრობის შეზღუდვა სერიოზული გადაწყვეტილება იყო და მთავრობამ არასწორი ნაბიჯი გადადგა ამ ქმედებით. 27 აპრილის შემდეგ კი, როდესაც ამოქმედდა ონლაინ ვაჭრობა, გაყიდვების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. კომპანიებმა გამოაქვეყნეს სხვადასხვა აქციები და ფასდაკლებები, რითაც მომხმარებლების რაოდენობას უფრო და უფრო იზიდავდნენ. იყო შავი პარასკევიც და ამ დღეებში ნამდვილი ბუმი იყო გაყიდვების მხრივ. ონლაინ ვაჭრობაზე გადასვლით ბიზნესმაც შვება იგრძნო და საზოგადოებამაც შეძლებისდაგვარად დაიკმაყოფილა საკუთარი მოთხოვნილებები კოვიდ-პანდემიით გამოწვეულმა მოვლენებმა განაპირობა როგორც მომხმარებლების, ისე ბიზნესების მხრიდან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების დიდი სისწრაფით ათვისება. ამიტომ ამ ეტაპისთვის კორონავირუსი შეიძლება განვიხილოთ როგორც ელექტრონული და ზოგადად ბიზნესგარემოს ცალკეული შემადგენელი ნაწილი. COVID-19 პანდემიის პერიოდში ონლაინ ვაჭრობის წილი მთლიან გაყიდვებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოში და არც საქართველოა გამონაკლისი, სადაც ადგილობრივი ბაზრის ზომა წლიურად 3.2-ჯერ, 138 მლნ ლარამდე გაიზარდა 2020 წელს. ამასთან, სწრაფი ზრდის მიუხედავად საქართველოში ელ-კომერციის წილი საცალო ვაჭრობაში 1.1%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ბაზრების დონეს. მაგალითისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი ევროპაში 12%-ია. საქართველოში ასევე დაბალია ერთი მომხმარებლის საშუალო წლიური დანახარჯი ონლაინ ვაჭრობაზე 950 ლარი 2020 წელს, რაც ევროპის ქვეყნების მაჩვენებელს 3-ჯერ ჩამორჩება. კვლევის მიხედვით, საქართველოში ადგილობრივი ელ-კომერციის ყველაზე პოპულარული კატეგორია არის ელექტრონიკა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და მოწყობილობები, რაც გალტ & თაგარტის შეფასებით გაყიდვების 65%-ს შეადგენდა 2020 წელს. ამასთან, ტანსაცმელი და აქსესუარები სიდიდით მე-2 კატეგორიაა, რასაც მოსდევს ავეჯი და მოსაპირკეთებელი მასალები. გალტ & თაგარტის პროგნოზით, საქართველოში ადგილობრივი ელ-კომერციის ბაზრის ზომა 1.1 მლრდ ლარამდე გაიზრდება 2025 წელს (138 მლნ ლარი 2020 წელს). ამასთან, იგივე პერიოდში მოსალოდნელია საცალო გაყიდვებში ელ-კომერციის წილის ზრდა 1.1%-დან 4.7%-მდე. კვლევის მიხედვით სექტორის ზრდას ხელს შეუწყობს ონლაინ მოვაჭრეთა რაოდენობის ზრდა, ერთ მომხმარებელზე საშუალო წლიური ონლაინ დანახარჯის ზრდა და ადგილობრივი ონლაინ მაღაზიების მიერ უცხოური ონლაინ პლატფორმებიდან მოვაჭრეთა მოზიდვა. მომსახურების გაუმჯობესებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სექტორის განვითარებისათვის, რადგან მოსახერხებელი ონლაინ ვაჭრობის შეთავაზება მთავარი გამოწვევაა. შედეგად, ქართველები 3.3-ჯერ მეტს ხარჯავენ საერთაშორისო ონლაინ მაღაზიებში, ვიდრე ადგილობრივში. ამასთან, ვაჭრობის სრული პროცესის გაუმჯობესება (ძებნიდან მიწოდებამდე) მოითხოვს დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს. შესაბამისად, მასშტაბის ეკონომია ელ-კომერციის განვითარების აუცილებელი პირობაა, რაც მესამე მხარის მიერ ორგანიზებული პლატფორმების ზრდის ძლიერ პოტენციალზე მიუთითებს. გარდა ამისა, აუცილებელია ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინტერნეტ/მობილური ბანკინგის გამოყენების გაზრდა და ლოგისტიკის განვითარება. ამ მხრივ საქართველომ უნდა გამოიყენოს ის არსებული უპირატესობები, როგორებიცაა განვითარებული საბანკო სექტორი, ინტერნეტზე მაღალი ხელმისაწვდომობა და ქვეყნის შედარებით ახალგაზრდა მოსახლეობა.

კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ელექტრონულ კომერციაზე. მას შემდეგ, რაც 2020 წლის დასაწყისში მილიონობით ადამიანი სახლში დარჩა, რეგულაციებიდან გამომდინარე, რომ ინფექციის ფართო გავრცელება აერიდებინა მსოფლიოს თავიდან. ყველა გადავიდა ონლაინ ვაჭრობაზე. მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია ყოველდღიური მოხმარების ნივთებზე. როგორიცაა სასურსათო საქონელი, ასევე საცალო ტექნიკური საგნები. ბიზნესის ასეთი ფორმის განხორციელება გაცილებით მეტ კომფორტს უქმნის მომხმარებელს. მათ საშუალება ექმნებათ სასურველი პროდუქტების შედარების, ფასების კონტროლის, სწრაფი ინფორმაციის მიღების და სხვა.. პროცესის განვითარებას კიდევ უფრო ხელს უწყობს სახლში მიწოდების სერვისებიც. რა

თქმა უნდა დიდი კომფორტია, როდესაც დროს არ კარგავს მომხმარებელი სავაჭრო 40 ცენტრში მისასვლელად და მოთხოვნის შესაბამისად სახლიდან შეძენილ ნივთს იღებს კონკრეტულ მისამართზე სადაც იმყოფება კონკრეტულ მომენტში. თუმცა მომხმარებლები შესყიდვის პროცესში რიგ პრობლემებს გადააწყდნენ:

- **ვებგვერდის დატვირთვა ან ზედმეტად ბევრი ან მცირე ინფორმაციით.** ვებსაიტების ნაწილი დატვირთულია დიდი რაოდენობით რეკლამებით, რაც აბნევს მყიდველს. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორ ვებგვერდის მფლობელის, ისე მომხმარებლის მიერ. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებლის მოწყობილობაში მოქმედებს ვირუსული პროგრამა, ყველა ვებსაიტზე ჩნდება არასასურველი რეკლამები არასასურველ ადგილას და მყიდველი ვერ ხვდება რომელი ღილაკი რა ფუნქციას ასრულებს.
- **პროდუქციის ხარისხი.** რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი პროდუქციის ხარისხის განუსაზღვრელობას მთავარ პრობლემად აფასებს. ხშირ შემთხვევაში მომხმარებელს ხელი მხოლოდ პროდუქციის ძირითად მახასიათებლებზე მიუწვდება, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვან არჩევანსა და უკმაყოფილებასთან მივყავართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, პროდუქციის პარამეტრებთან ერთად, შეძლებისდაგვარად განთავსდეს საინფორმაციო ფოტო და ვიდეომასალა და სხვა მომხმარებელთა შეფასებები.
- **შუამავლები.** მომხმარებელთა დიდი ნაწილი აქტიურად მოიხმარს ისეთ ონლაინმაღაზიებს როგორიცაა Amazon, Ebay, B&H და სხვა. ამგვარი ვებსაიტებიდან პროდუქციის გამოწერა შუამავლების დახმარებითაა შესაძლებელი, რაც ზოგიერთისთვის დისკომფორტს შემქმნელია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის პერიოდში შეზღუდული იყო ფრენები, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქონლის გადაადგილების დრო.

საკმაოდ საინტერესო სიტუაციაა ასეთ რთულ ვითარებაში ბიზნესის გაელექტრონულების პროცესში. გამოკითხული დასაქმებულებიდან 26.3%-მა დაკარგა სამსახური ან შეაჩერა კომპანიის მუშაობა შეზღუდვების გამო, ხოლო 73.7%-მა გააგრძელა საქმიანობა დისტანციური მეთოდის გამოყენებით. ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, რადგან მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბიზნესებმა სწრაფად გასცეს პასუხი გარემოში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა ცალკე საკითხია რამდენად კმაყოფილები იყვნენ დასაქმებულები ან რამდენად მზად იყო ცალკეული ბიზნესი დისტანციურ მეთოდზე გადასასვლელად. უნდა აღინიშნოს დისტანციური მუშაობით გამოწვეული პრობლემები, ყველა მათგანი იდგა თანამშრომლებსა და მომხმარებლებთან კომუნიკაციის პრობლემის წინაშე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული რესპონდენტების დამსაქმებლებმა ვერ შეიმუშავეს ეფექტიანი საკომუნიკაციო სისტემა, რითიც შემცირდა მათი საქმიანობის ეფექტიანობა, ანუ ვერ მოხერხდა მათ ხელთ არსებული და პოტენციური ინტერნეტტექნოლოგიების სათანადოდ ათვისება. ამავდროულად, გარკვეული საქმიანობა მოითხოვს კლიენტთან პირისპირ ურთიერთობას, რაც დისტანციურად საკმაოდ რთული ან შეუძლებელია. ამის კარგი მაგალითია დისტანციური სწავლებები. გამოკითხვიდან გამოჩნდა, რომ პედაგოგების ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას, რადგან პროფესორ-მასწავლებელი მოსწავლეებზე ფიზიკურად დაკვირვებით, უკეთესად აფასებს სწავლის ხარისხს, მოსწავლეთა პრობლემებს და საჭიროებებს.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული კომერცია ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა საქართველოში. 2020 წლის დასაწყისში, მაშინ როდესაც კოვიდ პანდემია გამწვავდა, დაწესდა მრავალი შეზღუდვა და დაიკეტა სავაჭრო ობიექტები, ხალხმა ონლაინ სივრცეს მიმართა საკუთარი საქმიანობის გასაგრძელებლად. რომ არა მუშაობის გაგრძელების ეს ხერხი, ბიზნესსაც და ეკონომიკასაც სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა. საზოგადოებაც უბრალოდ ვერ იარსებებდა. სწორედ ონლაინ სივრცის და ელექტრონული კომერციის დახმარებით მეწარმეებმა შეძლეს საკუთარი საქმიანობის გაგრძელება დისტანციურად. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზა პირველი, რაც გულისხმობს იმას, რომ პანდემიამ ხელი შეუწყო ელექტრონული კომერციის განვითარებას საქართველოში მართლაც განხორციელდა. ამას ადასტურებს კვლევის შედეგები, როცა 33% მდე საზოგადოების ნაწილი მიმართავს ელექტრონულ ვაჭრობას, ხოლო 42% ზე მეტი - იყენებს შერეული ვაჭრობის ტიპს. ეს ნიშნული მაუწყებელია იმისა, რომ ტრადიციულ ვაჭრობას ნელნელა ელექტრონული ანაცვლებს და სწორედ ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი პანდემიას მიუძღვის. კოვიდ ვირუსმა და დაწესებულმა შეზღუდვებმა განაპირობა რომ საზოგადოება დარჩენილიყო სახლებში და არ ესარგებლათ სავაჭრო სივრცეებით, სხვა გამოსავალი ფაქტობრივად აღარც იყო, ზოგი ძალით, ზოგიც თავისი ნება-სურვილით გადავიდა ელექტრონულ კომერციაზე, სასურსათო პროდუქტსაც კი ამ მეთოდით ყიდულობდნენ და სარგებლობდნენ მიტანის სერვისებით. რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზა მეორეს, რომელიც გულისხმობს რომ „შოპინგის" ერთ ერთი საუკეთესო საშუალება არის ელექტრონული კომერცია, პანდემიის პერიოდში მთელმა მსოფლიომ მიმართა. პროდუქციას იწერდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარე-

დანაც. ბიზნესის წარმობა ძალიან მარტივი გახდა. მარტივია სასურველი ნივთის მოძიება უცხოეთიდანაც გეოგრაფიული საზღვრების და სხვადასხვა წინაღობის გარეშე. მარტივად ხდება ტრანსპორტირება და შესაბამის მისამართზე მიწოდება. პროცესს უფრო ამარტივებს დროის ფაქტორი. ელექტრონული შოპინგი ხომ საგრძნობლად ცოტა დროს მოითხოვს, შესაძლებელია დღის ნებისმიერ მონაკვეთში 24/7 ზე.. თავიდან გვარიდებს გაუთვალისწინებელ ხარჯებს და რიგებში დგომას საათობით. სწორედ ამიტომ საზოგადოება ნელნელა ერკვევა ელექტრონულ კომერციაში და დიდ უპირატესობასაც ანიჭებს მას. ვფიქრობ, პანდემიის პერიოდში, იმისთვის რომ ხალხი ელექტრონულ კომერციაზე გადასულიყო წინ დიდი ნაბიჯები გადაიდგა. ონლაინ გაყიდვების მზარდმა მაჩვენებელმა სწორედ კოვიდის დროს მიაღწია, ეს ტენდენცია მზარდია და დიდი მომავალი აქვს. სავარაუდოა რომ უახლოეს რამდენიმე წლიწადში კიდევ უფრო განვითარდება ონლაინ მარკეტინგი და ელექტრონული კომერციით კმაყოფილების დონეც მკვეთრად გაიზრდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბიზნესის და ეკონომიკის ვებ-გვერდი: https://www.bpn.ge/
2. http://www.globalgamingexpo.com/;
3. https://forbes.ge/galt-thagartma-saqarthvelos-eleqtronuli-komertsiis-seqtorze-kvleva-gamoaqveqhna/;
4. http://www.egovernment-monitor.de/startseite.html;
5. http://www.pwc.com/gx/en/paying-taxes/overall-ranking-and-data-tables.jhtml;

# ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ღირებულებები

***სოფიო ივანიძე***
*სტუ-ს დოქტორანტი*

**რეზიუმე**

მიგრაციის პროცესში პიროვნების ღირებულებითი სისტემა ტრანსფორმირდება იმ სოციალური ურთიერთობებისა და ინსტიტუტების ზეგავლენით, რომლებიც ინდივიდს არსებულ ქვეყანაში ხვდება. ჩვენს ეპოქაშიც, ქართულ საზოგადოებასთან მიმართებაში, ემიგრაციის დროს ღირებულებების ტრანსფორმაციის შესწავლა ძალიან აქტუალური საკითხია, რადგან ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქართველ ემიგრანტთა რიცხვი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სულ უფრო და უფრო იზრდება. ასევე მნიშვნელოვანია იმის კვლევა თუ რამდენად განაპირობებს ქართული კულტურული ნორმები ემიგრანტების ღირებულებებს ან/და რამდენად ექცევიან ისინი უცხო კულტურული გარემოს გავლენის ქვეშ. აქვე საინტერესოა როგორ ითვისებენ და ეგუებიან ქართველი ემიგრანტები ახალ ღირებულებებს, რამდენად კონფორმულები ხდებიან უცხო გარემოში, რა სირთულეებს აწყდებიან სხვა ქვეყანაში ცხოვრების დროს. მნიშვნელოვანია ასევე ვიცოდეთ რა როლს ასრულებს ტრადიცია, რელიგია; ადათ-წესები და ა.შ. მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ღირებულებები, ემიგრაცია, პიროვნება, საზოგადოება.

**RESUME**

In the migration process, the person's value system is transformed by the influence of social relations and institutions the individual meets in the existing country. In our era, studying the transformation of values in relation to Georgian society is a very current issue, as the number of Georgian emigrants in the United States has increased in recent decades. It is also important to study whether Georgian cultural norms determine the values of immigrants and/or whether they are treated under the influence of a foreign cultural environment. Also, it is interesting how Georgian emigrants assimilate, master, and adapt to the new values, how conformist they become in a foreign environment, what difficulties they face when living in another country. It is also important to know what kind of role plays the tradition, the religion, the rules of Adat, etc. in their everyday life.

**Keywords:** Values, immigration, person, society.

## შესავალი

პიროვნებისა და საზოგადოების ღირებულებათა სისტემის შესწავლა როგორც სოციალური ფსიქოლოგიის, ასევე პიროვნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხით დაინტერესება ყოველდღიურად იზრდება. ღირებულებათა იერარქია გარკვეულწილად სტაბილურად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ძველი ღირებულებების გადაფასება და ახალი ღირებულებათა სისტემების შექმნა თან სდევს გარკვეული პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს. მსგავსი ცვლილებები შეიძლება ასევე მოხდეს საცხოვრებელი ადგილმდებარეობის შეცვლისას.

თითოეულ ინდივიდს აქვს ღირებულებები, რომელიც მათ სხვა ადამიანებისგან განასხვავებს ან პირიქით მის მსგავს ხდის. ასევე დიდია ეთნიკურ ჯგუფზე მიკუთვნილობის განცდაც, რასაც პიროვნების ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. საინტერესოა, რომ გლობალიზაციის ფონზე ეთნიკური იდენტობა ათწლეულების წინ გამოთქმული ვარაუდების საწინააღმდეგოდ არა თუ არ გაქრა, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს (Eller, 2009) [3].

ღირებულებების კვლევები ძალიან საინტერესო და აქტუალურ ხასიათს იძენს, როდესაც საქმე ეხება მიგრაციას და მის თანმდევ სოციალურ და კულტურულ პროცესებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ემიგრანტების შემთხვევაში ღირებულებათა სისტემა ცვლილებებს განიცდის და შესაბამისად იდენტობის ტრანსფორმაციაც უფრო დინამიკურად მიმდინარეობს.

მიგრაცია არის სოციალური ცვლილების პროცესი, როდესაც ინდივიდი, მარტო ან სხვების თანხლებით, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, განათლების, პოლიტიკური შეხედულებების და სხვა მიზნების ან/და მიზეზების გამო, ტოვებს ერთ გეოგრაფიულ მდებარეობას და სამუდამოდ სახლდება სხვა გეოგრაფიულ მხარეში [4].

სტატიის ძირითადი მიზანი არის ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველების ღირებულებების მცირე კვლევის შედეგების გაცნობა.

## ძირითადი ნაწილი

ღირებულებები არის რწმენები, რომელთაც ინდივიდი ქცევის, ქმედების სტანდარტად მიიჩნევს. ისინი კოგნიტური სტრუქტურებია, მაგრამ გააჩნიათ ქცევითი და აფექტური განზომილებები. ღირებულებები ყალიბდება იმისათვის, რომ ინდივიდებმა საკუთარი მოთხოვნილებები სოციალურად მისაღები გზით დაიკმაყოფილონ. აქედან გამომდინარე, ღირებულებების ქცევით ასპექტებს აყალიბებს კულტურული კონტექსტი, რომელშიც ისინი ვითარდებიან. ინდივიდის ღირებულებები მისი თვითშეფასებისა და სხვების შეფასების საფუძვე-

ლია და მთავარ როლს თამაშობს პირადი მიზნების ჩამოყალიბებაში [2].

ღირებულება კულტურის კომპონენტია, კულტურა არ არსებობს ღირებულებათა სისტემის გარეშე და პირიქით. ღირებულება ესაა პრინციპი ან სტანდარტი, რომელსაც აღიარებს ინდივიდი, ჯგუფი ან საზოგადოება. გამოხატავს ადამიანის რწმენას, შეხედულებებს, იდეალებსა თუ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მისი ცხოვრების სტილს. ღირებულებები, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში და გავლენას ახდენენ მის გადაწყვეტილებებზე [2].

1981 წლიდან დღემდე ტარდება „ღირებულებათა მსოფლიო გამოკითხვა"[1] და „ევროპულ ღირებულებათა გამოკითხვა"[2] მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაში, რ. ინგლჰარტის, გ. ჰოფსტედესა და შ. შვარცის ხელმძღვანელობით. მიღებულ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით რ. ინგლჰარტმა მოდერნიზაციისა და პოსტმოდერნიზაციის თეორია ჩამოაყალიბა, რომელიც განასხვავებს ტრადიციულ, გარდამავალ და განვითარებულ საზოგადოებაში გაზრდილ სამ თაობას. ისეთ პირობებში გაზრდილი ადამიანი, სადაც სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება პრობლემატური იყო, ორიენტირებულია თვითგადარჩენის ღირებულებებზე. მაგრამ თუ ის ნორმალურ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს, თვითგადარჩენის ღირებულებები სეკულარულ-რაციონალისტურით იცვლება (მოდერნიზაცია). კეთილდღეობის პირობებში გაზრდილი ამ თაობის შვილები ორიენტირებულები არიან უფრო ფართო ჰორიზონტის ღირებულებებზე, ანუ არა თვითგადარჩენისა, არამედ თვითგამოხატვისა (პოსტმოდერნიზაცია). ამრიგად, ღირებულებათა სისტემა მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური განვითარების დონესთან. ამასთანავე, ღირებულებათა შორის განსხვავება ეხება ორ ფუნდამენტურ ასპექტს: 1. დაპირისპირება ტრადიციულ და სეკულარულ-რაციონალურ ღირებულებებს შორის; 2. დაპირისპირება თვითგადარჩენისა და თვითგამოხატვის ღირებულებებს შორის. კვლევის შედეგების თანახმად, ყველა განვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელია აშკარად გამოხატული ორიენტაცია როგორც სეკულარულ-რაციონალურ, ისე თვითგამოხატვის ღირებულებებზე. ღარიბ ქვეყნებში კი, პირიქით, აქცენტი გადატანილია ტრადიციულ და თვითგადარჩენის ღირებულებებზე. საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები შუალედურ ადგილს იკავებს. ამასთანავე, ავტორი აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას ღირებულებათა სისტემის ფორმირებაში, თუმცა დარწმუნებულია, რომ ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვანი შედეგების მქონე ცვლილებები მოჰყვება[3] [1].

„ევროპულ ღირებულებათა გამოკითხვაში" გამოყენებულია შ. შვარცის მიერ შემუშავებული ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ეფუძნება როკიჩის კონცეფციას ტერმინალურ და ინსტრუმენტულ ღირებულებათა არსებობის შესახებ და შვარცის კონცეფციას ღირებულებათა მოტივაციური მიზნისა და საბაზო ადამიანურ ღირებულებათა უნივერსალური ხასიათის შესახებ. შვარცის თანახმად, ღირებულებებს შორის განსხვავების საფუძველია მათ მიერ გამოხატული მოტივაციური ტიპი. ამიტომ ცალკეული ღირებულებები მათი ძირითადი მიზნის მიხედვით დაჯგუფებულია 10 მოტივაციურად განსხვავებულ ტიპად [4] [1], ესენია:

1. **ძალაუფლება** - მოტივაციური მიზანია სოციალური სტატუსის, პრესტიჟის, დომინანტური პოზიციის მიღწევა-შენარჩუნება სოციალური სისტემის ფარგლებში;
2. **მიღწევა** - პირადი წარმატების მიღწევა არსებული სოციალური სტანდარტების შესაბამისად, ანუ სოციალური კომპეტენტურობის გამოვლენა, მაგრამ არა მთელი სისტემის, არამედ უშუალო ურთიერთქმედების წრის ფარგლებში;
3. **ჰედონიზმი** - სიამოვნება, ხორციელი ტკბობა, სიცოცხლით ტკბობა;
4. **სტიმულაცია** - სიახლისა და ღრმა განცდებისაკენ სწრაფვა, სიახლის მიღების მზაობა;
5. **დამოუკიდებლობა** - აზროვნებისა და მოქმედების ხერხების არჩევანის თავისუფლება;
6. **უნივერსალიზმი** - საყოველთაო თანასწორობის, ყველა ადამიანის კეთილდღეობას შენარჩუნება და ბუნებაზე ზრუნვა;
7. **კეთილგანწყობა** - უნივერსალიზმთან შედარებით ეს უფრო ვიწრო „პროსოციალურ" ღირებულებათა ტიპია. მოტივაციური მიზანია გარემომცველ ადამიანების, საკუთარი სოციალური ჯგუფის კეთილდღეობის შენარჩუნება-გაძლიერება;
8. **ტრადიციულობა** - კულტურული და რელიგიური ტრადიციების, ადათ-წესების პატივისცემა-მხარდაჭერა, გარკვეული იდეების შეწყნარება-აღიარება. ტრადიციების შესაბამისი ქცევა არის ჯგუფური სოლიდარობის სიმბოლო, ღირებულება ერთიანობის გამოხატვა და გადარჩენის გარანტია;
9. **კონფორმულობა** - სხვებისთვის საზიანო ან სოციალური მოლოდინის შეუსაბამო, აგრეთვე უარყოფითი სოციალური შედეგის მქონე განზრახვის ქმედების შეზღუდვა;
10. **უსაფრთხოება** - მოტივაციური მიზანია საზოგადოების, ოჯახისა და საკუთარი უსაფრთხოება, საზოგადოებისა და ურთიერთობების სტაბილურობა.

წინამდებარე კვლევის მიზანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების სხვადასხვა თაობის ღირებულებების აღწერა. თაობათა, სქესის, განათლების დონისა და ემიგრაციის ხანგრძლივობას შორის განსხვავების დადგენა. საკითხის შესწავლის მიზნით გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, კი შვარცისა და ბილსკის ღირებულებების საკვლევი ტესტი.

ძირითადი კითხვარის გარდა, კვლევის მონაწილეებმა შეავსეს დამატებითი კითხვარი, რომლის მიზანი იყო სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლების შეგროვება: სქესი, ასაკი, განათლება და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ხანგრძლივობა. გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით ამერიკის შეერთებული შტატების, შტატ ნიუ იორკში. რესპონდენტებს წარმოდგენენ აღნიშნულ შტატში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები. ამ ეტაპზე გამოიკითხა 136 რესპონდენტი. აქედან 50 მამაკაცი და 86 ქალი. ორივე ჯგუფი დავყავით 4 ასაკობრივ (21 წლიდან 30 წლამდე; 31-დან 40-მდე; 41-დან 50-მდე და 51დან 60 წლამდე), 4 განათლების ( არასრული საშუალო; საშუალო; არასრული უმაღლესი და უმაღლესი) და ემიგრანტობის ხანგრძლივობის 3 (1-დან 5 წლამდე; 6-დან 10-მდე და 11-დან ზევით) ქვე-ჯგუფად. ამ ეტაპისათვის 136-დან შეირჩა მხოლოდ უმაღლესი განათლების (რადგან ასიდან მხოლოდ ოთხ რესპოდენტს ჰქონდა განათლების სხვა დონე) მქონე 96 რესპოდენტი (48 მამაკაცი და 48 ქალი). კვლევა ჩატარდა როგორც პირდაპირი ინტერვიუების, ისე ონლაინ რეჟიმში. კითხვარის შევსების პროცესში ინტერვიუერებს საშუალება ჰქონდათ კარგად და სიღრმისეულად გაეაზრებინათ კითხვარის ყოველი დებულება და გაუგებრობის შემთხვევაში დაესვათ კითხვა.

## დასკვნა

შვარცის მიერ შემუშავებული მეთოდიკის მიხედვით, კითხვარში წარმოდგენილი 57 ღირებულება (30 ტერმინალური და 27 ინსტრუმენტული) დაჯგუფებულია 10 ნორმატიული იდეალების მიხედვით, რომლებიც თავის მხრივ დავაჯგუფეთ რესპოდენტთა 24-ვე ჯგუფის მონაცემების მიხედვით (12 მამრობითი და 12 მდედრობითი). ეს ჯგუფები ასევე დავყავით ქვეჯგუფებად სქესის, ასაკის, განათლების და ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით.

მოცემული სტატიისთვის გამოყენებულ იქნა მხოლოდ სქესის ქვეჯგუფის მონაცემები. სქესის მიხედვით დაჯგუფებული რესპოდენტთა 24-ვე ჯგუფის საერთო მონაცემების საშუალო განაწილება მოხდა შემდეგნაირად (იხ. სქემა 1-4):

***კონფორმულობა*** - საზოგადოებისთვის მისაღებია ისეთი ქცევა, რომ არ შევიდეს კონფლიქტში სხვა ადამიანებთან ან ჯგუფებთან, ზიანი არ მიაყენოს მისი ქცევებით სხვებს, მოერგოს იმ გარემოს სადაც უწევს ყოფნა. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს უცხო ქვეყანაში ემიგრაციის პირობებში მცხოვრები პირების მაგალითზე. ემიგრანტებს არ სურთ პრობლემების შექმნა ძალოვან სტრუქტურებთან, სხვა კულტურის მქონე გარშემომყოფებთან და ა.შ. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საემიგრაციო სტატუსით, ენის ბარიერის და სხვა გარემოებების გამო.

***უნივერსალიზმი*** - ინდივიდები არსებობენ ისეთ სოციალურ გარემოში, სადაც მნიშვნელოვანია ზოგად საკაცობრიო ღირებულებები, რაც თავის მხრივ აყალიბებს უნივერსალიზმს და ზოგადკულტურული ფასეულობების, ტოლერანტობის, ბუნების საკეთილდღეო გამგებიანობის ჩამოყალიბებას. უნივერსალიზმი ძირითადად გამომდინარეობს იმ აღზრდა-განათლების დონიდან და იმ სოციალური პირობებიდან, სადაც ცხოვრობს ეს პიროვნება. გამომდინარე ა.შ.შ. შიდა ჰუმანური პოლიტიკისა ადვილად წარმოსადგენია რატომ არის უნივერსალიზმის მაღალი მაჩვენებელი ემიგრანტებში.

***უსაფრთხოება*** - საზოგადოების, ურთიერთობებისა და self-ის სტაბილურობის დაცვა. ემიგრანტების უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმ სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, რაც არსებობდა იმ სოციუმში სადაც რესპოდენტები ცხოვრობდნენ. საქართველოში არსებული მუდმივი არასტაბილური მდგომარეობა რესპოდენტების უმრავლესობას საკუთარ თავზე აქვს გა-












მოცდილი. საკმაოდ მნიშვნელოვანია ა.შ.შ. სახელმწიფოს მიდგომა და დამოკიდებულება თითოეული მოსახლის მიმართ, რაც გარკვეული უსაფრთხოების გრძნობის არსებობას უზრუნველყოფს, ეს კი ემიგრანტებში უსაფრთხოების შეგრძნებას განაპირობებს.

***კეთილგანწყობა*** - კეთილგანწყობა მიეკუთვნება კოლექტივისტურ ღირებულებებს, რომელიც ზოგადად ადამიანის ბუნებაშია. ეს მახასიათებელი დამახასიათებელია სოც.კულტურის და ტრადიციების მქონე ქვეყნების წარმომადგენლებისთვის. ეს არის ზრუნვა ადამიანების კეთილგანწყობაზე. ემიგრანტების მიმართ ა.შ.შ.-ის სახელმწიფოს კეთილგანწყობაც აისახება თითოეულ ემიგრანტზე, რაც იწვევს შესაბამის უკუკავშირის არსებობას.

მიღებული მონაცემების ბოლო სამეულში ორივე სქესის ჯგუფის პასუხები თითქმის იდენტურია:

***ძალაუფლება*** - ეს არის სოციალური სტატუსი, დომინანტობა ადამიანებსა და რესურსებზე. გაიგივებულია ბოროტებასთან, რაც საზოგადოებისთვის არის მიუღებელი. ისეთ ლიბერალურ სახელმწიფოში, როგორიც ა.შ.შ.-ია, ძალაუფლების დემონსტრირება არაკანონიერ და არაეთიკურია, რაც თითოეული ემიგრანტისთვის აშკარა და მისაღებია.

***სტიმულაცია*** - მიეკუთვნება ინდივიდუალისტურ ღირებულებებს და ძირითადად სიახლის მიღებისადმი ღიაობას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციის შემდეგ ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა თავს უფრო თავისუფლად გრძნობს, ვიდრე ემიგრანტობამდე, მაინც გარკვეული შიში შეინიშნება სიახლეების მიმართ. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ ადათ-წესების, ტრადიციების და განათლების მეთოდის ზეგავლენით, რითაც აღიზარდნენ საქართველოში.

***ჰედონიზმი*** - ორივე ჯგუფის მონაცემებით ჰედონიზმა მიიღო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. ეს ღირებულება თავისი მნიშვნელობით განცხრომაში მყოფ, მხოლოდ საკუთარ თავზე ორიენტირებულ ადამიანს ახასიათებს. ემიგრაციაში იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც თუნდაც სამშობლოში, არავინ ჰყავდეს საზრუნავი და მხოლოდ საკუთარ თავზე იყოს ორიენტირებული.

## ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. კ. კოპალიანი, ე. ჩომახიძე, შ. ლორთქიფანიძე „ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემის თავისებურებები“. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XI. გვ. 526-527 (1 www.worldvaluessurvey.org. ;

2. http://staff.um.edu.mt/aabe2/EVS.htm.;

3. Р. Инглхарт, К. Вельцель. Модернизация, культурные изменения и демократия: Последовательность человеческого развития. М., 2011; eleqtronuli versia: http://downloads.pavroz.ru/files/InglehartWelzelModernization.pdf;

4. В. Н. Карандашев. Методика Шварца для изучения ценностей личности. СПб., 2004)

5.http://intermedia.ge/სტატია/77990-ღირებულებების-ფორმირება-და-მათი-გავლენა-პროფესიის-არჩევაზე/2/; 25 სექტემბერი, 2016

6. Eller, J. D. (2009). Cultural Anthropology Global forces Local Lives. New York, USA: Routledge.

7. Migration, distress and cultural identity. Dinesh Bhugra Section of Cultural Psychiatry, Institute of Psychiatry, London, UK. https://www.semanticscholar.org/paper/Migration%2C-distress-and-cultural-identity.-Bhugra/ad37e30740f7552f52cce840f7fec9bab40d496c

# სამართლის აქტუალური საკითხები

## მოწმის იმუნიტეტის სუბიექტები (მოწმის იმუნიტეტის მქონე პირთა წრე)

***გივი აბაშიძე***
*სამართლის დოქტორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

***ირაკლი აბაშიძე***
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ასისტენტი, დოქტორანტი*

**რეზიუმე**

წარმოდგენილ სტატიაში გადმოცემულია სამართლებრივი იმუნიტეტის ერთ-ერთ ძირითადი სახე - მოწმის იმუნიტეტი, რომელიც მოქალაქის უფლებების დაცვის საჭირო და აუცილებელი გარანტიაა.

განხილულია მოწმის იმუნიტეტის სუბიექტები, ანუ მოწმის იმუნიტეტის მქონე იმ პირთ წრე, რომელიც არ შეიძლება მოწმე იყოს. სტატიაში გარკვეული ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ საქმიანობაში მოწმის იმუნიტეტის პრინციპების დაცვის აუცილებლობას.

**SUBJECTS OF WITNESS IMMUNITY**
**(CIRCLE OF PERSONS WITH WITNESS IMMUNITY)**

**Givi Abashidze,**
Doctor of Law
**Irakli Abashidze**
Doctoral student

**SUMMARY**

The present article outlines one of the main types of legal immunity - witness immunity, which is a required and necessary guarantee for protecting the rights of the citizen.

The article discusses the subjects of witness immunity, i.e. the circle of persons with witness immunity who cannot be witnesses. The article focuses on the need to adhere to the principles of witness immunity in practice.

* * * *

სამართლებრივი იმუნიტეტის ერთ-ერთ ძირითად სახეს წარმოადგენს მოწმის იმუნიტეტი, რომელიც მოწმისათვის არის განსაკუთრებული საპროცესო პრივილეგია და მას ანიჭებს მნიშვნელოვან სამართლებრივი ხელშეუხებლობის უპირატესობას.

მოწმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოწმის სტატუსით დასაკითხი პირის კანონით გათვალისწინებული უფლება, მისცეს ჩვენება მოცემულ საქმეზე საკუთარი შეხედულების საფუძველზე.

პირის გათავისუფლება ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან, რომელსაც შეუძლია გააუარესოს მისი და მისი ახლო ნათესავის მდგომარეობა, ე.ი. ამ პირზე მოწმის იმუნიტეტის მინიჭება, ეს არის ადამიანის და მოქალაქის უფლებების დაცვის ერთ-ერთი საჭირო და აუცილებელი გარანტია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია აბსოლუტური, ანუ სრული იმუნიტეტი. Eეს ნიშნავს მისი მატარებელი პირის აღჭურვას უფლებით - უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ნებისმიერ და არა მხოლოდ ზოგიერთი ცალკე კატეგორიის დანაშაულზე. იმუნიტეტი აბსოლუტურია თავისი შინაარსითაც, რადგან მოწმე ან იძლევა ჩვენებას სრული მოცულობით, ან საერთოდ არ იძლევა. ჩვენი აზრით, აქ სხვა გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს.

კლასიკური გაგებით მოწმის იმუნიტეტი თავის თავში მოიცავს:

- კანონის მიერ უფლებით აღჭურვას, მოწმემ თავად გადაწყვიტოს, მისცეს თუ არა ჩვენება;
- იმპერატიულ აკრძალვას, გარკვეულმა პირებმა, სურვილის მიუხედავად, არ მისცენ ჩვენება;
- პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის - მოსამართლის უფლებით აღჭურვას, გარკვეული პროფესიის მატარებელი მოწმეების მიერ პროფესიული საიდუმლოს დაცვის კერძო ინტერესი, დააყენოს საჯარო ინტერესზე მაღლა და თავად გაათავისუფლოს ისინი მოწმის მოვალეობისა და პროფესიულად მინდობილი საიდუმლოს განთქმისაგან[1].

მიგვაჩნია, რომ იმუნიტეტის მიზანია არა მარტო გათავისუფლება ამა თუ იმ ვალდებულებისაგან, არამედ დამატებითი გარანტიების დადგენა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებასა და სასამართლო განხილვის დროს გარკვეული მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს მოწმის, ანუ იმ პირის ჩვენებას, რომელმაც შეი-

1 თ. შაყულაშვილი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2013 წელი, გვ. 130

ძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები.

პირი მოწმის სრულყოფილ სტატუსსა და უფლებამოსილებას იძენს სამართლებრივი პასუხიმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ[2].

საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს სახელმწიფოს მისწრაფებას ყოველიმხრივ უზრუნველყოს მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, როგორც გამოძიების, ასევე სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს განხილვის დროს. კონსტიტუციის თანახმად არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით[3].

კონსტიტუციის ეს მნიშვნელოვანი პრინციპი აისახა მოწმის უფლებებში. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის მიხედვით მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს, რამაც მიიღო მოწმის იმუნიტეტის სახელწოდება.

სწორედ, კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს მოწმის იმუნიტეტის არსიდან, ჩადებულია აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371 მუხლში, რომლის თანახმად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავისი ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ.

როგორც აღვნიშნეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩვენების მიცემის ვალდებულებიდან გარკვეულ გამონაკლისებს. მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა მოწმის სუბიექტური უფლებაა.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმედ მონაწილეობის ვალდებულებისაგან გამონაკლისის დაშვებით, კანონმდებელი ინტერესთა კოლიზიის ცალკეულ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებს ზემოთხსენებული პირების კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, აღნიშნული გამონაკლისი ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენასაც, რადგან სავსებით მოსალოდნელია, რომ პირმა ბრალდებულთან ახლო ნათესაური დამოკიდებულების ან პროფესიული მოვალეობების გამო იცრუოს დაკითხვის დროს ან მისცეს სასამართლოს არასრული ჩვენება[4].

საქართველოს სსს კოდექსის 50-ე მუხლით განსაზღვრულია მოწმის იმუნიტეტით მოსარგებლე იმ პირთა წრე, რომელიც არ შიძლება მოწმე იყოს. ამ სამართლებრივ უფლების მქონე სუბიექტებად ითვლებიან სხვადასხვა, გარკვეული პროფესიის მქონე და ბრალდებულთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი პირები, რომელთაც იმუნიტეტი აძლევს პრივილეგიას დაკითხვის დროს სრულიად შეგნებულად ამოირჩიონ მათთვის ხელსაყრელი ვარიანტი, მისცეს ჩვენება ან უარი თქვას მასზე. აუცილებელია მათ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში ეკავოთ მოწმის საპროცესო მდგომარეობა და კანონმდებლობით ისინი ფლობდნენ მოწმის იმუნიტეტის სტატუსს.

აღნიშნული მუხლის სტრუქტურის მიხედვით შეიძლება იმუნიტეტის მქონე პირთა წრე პირობითად რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ გარკვეული პროფესიის მქონე პირები, რომელთაც აკისრიათ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება, კერძოდ ადვოკატი, სასულიერო პირი, სახალხო დამცველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი, საქართველოს პარლამენტის წევრი, მოსამართლე, მედიაციის მონაწილე, ჟურნალისტი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ბრალდებულთან ახლო ნათესაურ დამოკიდებულებაში მყოფი პირები.

მესამე ჯგუფს კი წარმოადგენს პირები, რომელთა მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების უფლება აქვს სასამართლოს. ესენი არიან: სამედიცინო მუშაკი, ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სახელმწიფო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნოს კომერციული ან საბანკო საიდუმლოება, კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი, რომელთაც სისხლის სამართლის პროცესში რა თქმა უნდა აქვთ მოწმედ მონაწილეობის ვალდებულება, მაგრამ მოწმის სახით დასაკითხი კონკრეტული პირის ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოს როგორც ზემოთ აღინიშნა კანონით მინიჭებული აქვს მისი ამ მოვალეობისაგან გათავისუფლების უფლება, რომლის კონკრეტულ გარემოებებზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი აზრით საქართველოს კონსტიტუცია არ განსაზღვრავს იმ პირთა სრულ წრეს რომლებზეც ვრცელდება მოწმის იმუნიტეტის წესები. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა

2 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 3, მე-20 ნაწილი თბ. 2009 წელი, (უკანასკნელად მოძიებულია 30 მაისი, 2022 წ)

3 საქართველოს კონსტიტუცია. 42-ე მუხლი, მე-8 პუქტი, თბილისი, 1995 წელი

4 გ.თუმანიშვილი. სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2014 წელი, გვ.158

არ მოიცავს მოწმის ჩვენების მოვალეობისაგან გათავისუფლების სრულყოფილ ჩამონათვალს.

საქართველოს სსს კოდექსის 50-ე მუხლით დადგენილი თანმიმდევრობით მოკლედ განვიხილოთ მოწმის იმუნიტეტის მქონე სხვადასხვა სუბიექტები.

საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ყველა მოქალაქეს გარანტირებული აქვს დაცვის უფლება და კვალიფიციური იურიდიული დახმარება[5].

ამიტომ, არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ ადვოკატი იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე - იმ გრემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ასევე საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ" კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან. ამდენად ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადვოკატის მიერ იურიდიული სამსახურის გაწევასთან, არის ადვოკატის საიდუმლო და იგი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფინდენციალურობა, რომელიც მას ანდო მისი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა.

კანონით ადვოკატისათვის მოწმის სახით დაკითხვის ვალდებულების არ დაკისრება, მისი ინფორმაციის ხელშეუხებლობის ერთ-ერთი მყარი გარანტიაა.

მოწმის უმინიტეტის მატარებელი შემდეგი სუბიექტია სასულიერო პირი. მას უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად, რადგან აღსარების საიდუმლოება დაცულია კანონით.

მოწმის სახით დაკითხვას არ ექვემდებარება აგრეთვე სახალხო დამცველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს. ამავე პრინციპით არ შეიძლება ასევე მოწმის სახით დაიკითხოს საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მოწმის სახით დაკითხვა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტორილისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებულ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, იმ ფაქტის გამო რომელიც მას გაანდეს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსს.

მოწმის სახით ჩვენების მიცემის ვალდებულება არ გააჩნია ასევე საქართველოს პარლამენტის წევრს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს.

მოწმე არ შეიძლება იყოს აგრეთვე მოსამართლე იმ გარემოებების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა, ასევე იმ გარემოებების თაობაზე, რაც მისთვის ცნობილი გახდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას.

იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეულ ავტორთა მიერ არაერთხელ გამოითქვა მოსაზრებანი არა მარტო მოსამართლის, არამედ გამომძიებლის, პროკურორის მოწმის რანგში დაკითხვის აკრძალვის შესახებ. ისინი ამას ასაბუთებენ იმით, რომ გამომძიებელი, პროკურორი არიან ბრალდების მხარის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება არ არის სწორი და მოწმის იმუნიტეტი არ უნდა გავრცელდეს გამომძიებელზე, პროკურორზე, რადგან საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ხშირად სასამართლოში იმ პირთა დაკითხვას, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას, შეიძლება ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა საგამოძიებო მოქმედებების გარემოებათა გაგებისათვის, რაც სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ არის ნაჩვენები. მაგალითად, როცა მოწმე ან ბრალდებული აცხადებს, რომ გამოძიების დროს ადგილი ჰქონდა ზეწოლის, ძალადობის ან სხვა უკანონო ქმედების ფაქტებს, მათი დაკითხვით სასამართლოში შესაძლებელია გაბათილდეს მსგავსი ჩვენებები.

ვერ დავეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ნაფიცი მსაჯულის მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. მიაჩნიათ, რომ იმ პირთა წრეს, რომელიც არ არის ვალდებული იყოს მოწმე, დაემატოს ნაფიცი მსაჯულიც, რომელსაც მოსამართლის მსგავსად არ უნდა დაეკისროს მოწმის სახით ჩვენების მიცემის ვალდებულება იმ გარემოებებს შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ნაფიც მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოებასთან[6].

საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობის მიერ აღნიშნული საკითხი სამართლებრივად ფაქტიურად გადაწყვეტილია, რადგან მოწმედ მონაწილეობის ვალდებულებისაგან თავისუფლდება გარკვეული პროფესიის მქონე პირები, რომელთა

5 საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 18, 42, თბილისი, 1995 წელი

6 ი. წერეთელი. ნაფიცი მსაჯული და მოწმის იმუნიტეტი. ჟურნალი „ცხოვრება და კანონი", #1 (17), 2012 წელი

წრეს მიეკუთვნება მოსამართლე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ" პუნქტიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მოსამართლეს ვერ გამოიძახებენ ჩვენების მისაცემად იმ გარემოებების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა, რაც ასევე ჩვენი აზრით უნდა გავრცელდეს ნაფიც მსაჯულზეც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იმუნიტეტის მქონე პირთა წრეს, რომლებსაც არ გააჩნიათ ჩვენების მიცემის ვალდებულება დაემატა მედიაციის მონაწილე, რომელსაც არ ეკისრება მისცეს ჩვენება კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესში ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, გარდა „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიების მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოწმის რანგში არ შეიძლება დაიკითხოს ასევე ჟურნალისტი პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

მოქმედი კანონმდებლობით მოწმის დაკითხვის ვალდებულებისაგან თავისუფლდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

მოწმის რანგში დაკითხვას არ ექვემდებარება აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს. მიგვაჩნია, რომ თუ მისი დაკითხვა დაკავშირებული არ არის მათ სადეპუტატო საქმიანობასთან, მაშინ მათი მხრიდან საერთოდ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, არამართლზომიერია.

საერთოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ პირებისათვის, რომლებიც პირობითად მივაკუთვნეთ გარკვეული პროფესიის მქონე პირთა კატეგორიას, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მინიჭება საკანონმდებლო დონეზე აბსოლუტურად სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებაა, რადგან თუკი მოქალაქემ მაგალითად სახალხო დამცველს, პარლამენტის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებს გაანდო რაიმე ინფორმაცია და ამ უკანასკნელმა იგი გაავრცელა მოწმის ჩვენების რანგში, მაშინ გამოდის, რომ პირი, რომელმაც რაიმე ინფორმაცია გაანდო ამ კატეგორიის პირებს, დგება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც იგი ფაქტობრივად მიმნდობი პირის მეშვეობით საკუთარი თავის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას.

მოწმის იმუნიტეტის მქონე პირთა წრის მეორე კატეგორიის, კერძოდ ბრალდებულთან ახლო ნათესაურ დამოკიდებულებაში მყოფ პირების იმუნიტეტის საკითხთან დაკავშირებით შიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენების მიცემის მოვალეობა არ ეკისრება ბრალდებულის ახლო ნათესავს, თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მოწმემ.

მოწმედ მონაწილეობის უარის თქმის შეუზღუდავი უფლება გამომდინარეობს ბრალდებულის ახლო ნათესაური კავშირიდან. ამით კანონმდებელი უპირველეს ყოვლისა ანგარიშს უწევს პირის კანონიერ ინტერესს, არ გამოვიდეს მოწმედ საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა იცავს უშუალოდ პირს პრობლემატური ჩვენებისაგან და არა ბრალდებულს[7].

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ახლო ნათესავების ჩამონათვალი ამომწურავია და მასში შედიან მშობელი, მშვილობელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

ახლო ნათესავების ჩამონათვალში არ შეიძლება შეყვანილი იქნას ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, საყვარელი და ა.შ. სრულიად შესაძლებელია ეს პირებიც განიცდიდნენ დიდ მორალურ ტანჯვას მათი ახლობლების მიმართ მამხილებელი ჩვენების მიცემის დროს, უფრო მეტსაც, ვიდრე ახლო ნათესავები, მაგრამ ჩვენების მიცემის იმუნიტეტის მქონე პირთა წრე შეზღუდულია ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალით.

ბრალდებულს მისი სამართლებრივი სტატუსი უფლებას აძლევს განახორციელოს თავისი თავის დაცვა, მათ შორის ჩვენების მიცემაზე უარის თქმით.

მოწმეს უფლება აქვს აგრეთვე არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ასევე არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8-ე პუნქტი, რომლის თანახმად არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი თავის წინააღმდეგ, შეიცავს არა მხოლოდ მოწმის იმუნიტეტის სამართლებრივ ფორმულირებას, არამედ ისეთ თეორიულ კატეგორიასაც, როგორიც არის პრივილეგია - არ ამხილო საკუთარი თავი დანაშაულის ჩადენაში.

აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა უნდა გავიგოთ, როგორც დასაკითხი პირის შესაძლებლობა - განთავისუფლდეს მოწმის ჩვენების მოვალეობისაგან. სწორედ კონკრეტული სახის დანაშაულის ჩადენაში საკუთარი თავის გამოაშკარავების მცდელობის არარსებობა არის ძირითადად ასეთი პრივილეგიის არსი, რომლის სუბიექტებად გამოდიან ბრალდებული, მოწმე და სხვა პირები[8].

7 გ.თუმანიშვილი. სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2014 წელი, გვ.159

8 გ. აბაშიძე. მოწმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში. ბათუმი, 2009 წელი, გვ. 40

არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ეს არის იმუნიტეტის არსი, რომელიც მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის მე-14 მუხლის "ყ" პუნქტი განსაზღვრავს, რომ თითოეული პიროვნება გარანტირებულია არავინ აიძულოს ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი სცნოს დამნაშავედ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ადგენს სხვა შემთხვევებსაც, როცა სასამართლოს უფლება აქვს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს ცალკეული კატეგორიის პირები.

მათაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სამედიცინო მუშაკი, კერძოდ ექიმი, მედიცინის და, მეანე, ფარმაცევტი და სხვა პირები, თუ მათ პროფესიულად ევალებათ საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა. ზოგადად, პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში სამედიცინო მუშაკი მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს პაციენტის პირადი, ოჯახური, ინტიმური და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. გარკვეული გამონაკლისების გარდა სამედიცინო მუშაკი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ამ პროცესში მიღებული ინფორმაცია და არ დაუშვას მისი გახმაურება.

სასამართლოს უფლება აქვს ასევე მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლოს ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი.

ანალოგიურად თავისუფლდება მოწმის მოვალეობისაგან ის პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას, აგრეთვე კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.

ზემოაღნიშნული კატეგორიის პირების წინაშე ამგვარი ვალდებულების არსი იქიდან გამომდინარეობს, რომ ზოგადად მოქალაქის ვიზიტი ექიმთან, ნოტარიუსთან, ბანკირთან, საჯარო მოხელესთან, სპეციალურ-ოპერატიული სამსახურის მუშაკებთან კონფიდენციალურ ურთიერთობათა კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომ, მათ უჩნდებათ გარკვეული ვალდებულებები, რათა არ გაამჟღავნონ მათი ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები, ინფორმაციები მიმნდობი პირის თანხმობის გარეშე.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმის იმუნიტეტის პრაქტიკული გამოყენების დროს მნიშვნელოვანია საკითხი მოწმის იმუნიტეტის პრინციპების დაცვის შესახებ, რადგან მათი დაუცველობა ხშირად უარყოფით სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

ჩვენების მიცემის წინ საჭირო და აუცილებელია მოწმის იმუნიტეტის მქონე დასაკითხ პირს განემარტოს მისი უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინაღმდეგ. Aასევე საჭიროა იმუნიტეტის მქონე ყველა პირის გაფრთხილება და მისთვის კანონის იმ მოთხოვნების განმარტება, რაც ათავისუფლებს მას ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან.

პრაქტიკაში ხშირად მოწმის იმუნიტეტის უფლებას განუმარტავენ მხოლოდ ბრალდებულებს, მსჯავრდებულებს, მათ ნათესავ მოწმეებს, მაგრამ ამ უფლებას არ განუმარტავენ მოწმის იმუნიტეტის უფლების მქონე სხვა პირებს. აღნიშნული მოთხოვნების დაუცველობა არის მოწმის იმუნიტეტის უფლებების უხეში დარღვევა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით საგამოძიებო მოქმედების დაწყების, გამოძიების და სისხლის სამართლის საქმის სასამრთლო განხილვის პროცესში მოწმეს, ბრალდებულს, მათ ახლო ნათესავებს და ამ უფლების მქონე სხვა პირებს თუ არ განემარტათ აღნიშნულზე მათი კონსტიტუციური უფლება, რის გამოც მათ ვერ ისარგებლეს მოწმის იმუნიტეტის უფლებით, რადგან დასაკითხმა პირმა არ იცოდა იგი და შემდგომში გაიგო მის შესახებ, ასეთი პირის მიერ მიცემული ჩვენება ითვლება კანონის დარღვევით მიღებულ, ანუ დაუშვებელ მტკიცებულებად.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995 წელი
2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ. 2009 წელი, (უკანასკნელად მოძიებულია 30 მაისი, 2022 წ)
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. (უკანასკნელად მოძიებულია 30 მაისი, 2022 წ)
5. გ.თუმანიშვილი. სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. 2014 წელი
6. თ. შაყულაშვილი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2013 წელი
7. გ. აბაშიძე. მოწმის იმუნიტეტი სისხლის სამართლის პროცესში. ბათუმი, 2009 წელი
8. ი. წერეთელი. ნაფიცი მსაჯული და მოწმის იმუნიტეტი. ჟურნალი «ცხოვრება და კანონი», №1(17), 2012 წელი

# საქართველოს ენერგეტიკა დღეს

## საქართველოს ენერგეტიკა: დამოუკიდებელი რეგულირების 25 წელი

***დემურ ჩომახიძე***
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფესორი*

**ანოტაცია**

სტატიაში დაწვრილებითაა გაშუქებული საქართველოში ენერგეტიკის რეგულირების განვითარების 25 წლიანი გზა მისი ჩასახვიდან დღემდე. ჩამოყალიბებულია მიღწეული მთავარი შედეგები, როგორც ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ისე საერთაშორისო დონეზე, წარმოდგენილია 25 წლიან პერიოდში მარეგულირებელი კომისიის თავჯდომარეების, წევრების, აგრეთვე აღმასრულებელი და დეპარტამენის დირექტორების და მომხარებელთა უფლებების დამცველების პერსონალური მონაცემები. დასკვნით ნაწილში საუბარია მარეგულირებელი ორგანოს სამომავლო ამოცანებზე.

* * * *

ენერგეტიკა ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ფუძეთა-ფუძეს წარმოადგენს.მისი ჯეროვანი განვითარების გარეშე საფრთხე შეექმნება არამარტო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, არამედ სახელმწიფოებრივობასაც.ეს ნათლად დაადასტურა რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელმაც მთელ მსოფლიოში მყისვე, ჯაჭვური რეაქციით გამოიწვია საყოველთაო ეკონომიკური და ენერგეტიკული ომებიც. მას მყისიერი და უზარმაზარი გავლენა აქვს უკლებლივ ეკონომიკის ყველა დარგზე და ყველა სახის პროდუქციაზე, მათ შორის სამომხმარებლო ბაზარზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ენერგეტიკული პოლიტიკა მთელ მსოფლიოში კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ სფეროდ.ამაზე მიუთითებს, ჯერ რთი ის ფაქტი რომ ახალ მოქმედებაშია რამდენიმე ენერგეტიკული თანამშრომლობის ორგანიზაცია: ენერგეტიკლი გაერთიანება, ენერგეტიკული თანამეგობრობა, ენერგეტიკული კავშირი, ენერგეტიკული ქარტია. მეორეც, როცა ყველა მათგანის საბოლოო მიზანი ამ დარგის წარმატებული განვითარებაა, სახელმწიფოთა შორის არ არსებობს სრული თანხმობა და ხშირად მწვავე დაპირსპირებაა. საკმარისია ითქვას, რომ ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულება, რომელიც 1998 წელს შევიდა ძალაში, უკვე დატოვეს იტალიამ და საფრანგეთმა, ხოლო ესპანეთმა და ნიდერლანდებმა მსგავსი გეგმები დააანონსეს. ცნობილია, რომ იგი არის დამოუკიდებელი საერთაშორისო სამთავრობათაშორიშო ორგანიზაცია, რომელიც ეფუძნება 1994 წლის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულებას და აერთიანებს 52 ევროპულ და აზიურ სახელმწიფოს. საქართველო ენერგეტიკული ქარტიის წევრია 1995 წლიდან და 2015 წელს იყო მისი თანათავჯდომარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა მძინვარებდა ენერგეტიკული კრიზისი საციცოცხლოდ აუცილებელი გახდა სხვა მოწინავე ქვეყნების მსგავსად შემქნილიყო ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში კომისია).

საწყის პერიოდში (1996 წელი) იგი ფუნქციონირებდა ეკონომიკის სამინისტროსთან. პრეზიდენტის ბრძანებულებით კომიის პირველი შემადგენლობა დაინიშნა 1996 წლის 8 აგვისტოს. ბევრმა არ იცის, რომ მაშინ ელიზბარ ერისთავთან და დემურ ჩომახიძესთან ერთად კომისიის წევრად 2 წლის ვადით დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მაშინდელი მოადგილე ტარიელ კულულაშვილი. თუმცა ეს დანიშვნა პრაქტიკულად არ განხორციელებულა.ოდნავ მოგვიანებით, შემოდგომაზე კომისიის პირველი შემადგენლობის წევრი ახალი ბრძანებულებით გახდა პაატა ცინცაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე 2004 წლის აპრილამდე წარმატებით მოღვაწეობდა.ახლა კი იგი საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტია.

სემეკი დამოუკიდებელი სახით ჩამოყალიბდა „ელექტროენერგეტიკის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე" კომისია არის კოლეგიალური. საჯარო სამართლის იურიდიული პირი და დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან. კომისია შედგება პარლამენტის მიერ 6 წლის ვადით არჩეული 5 წევრისაგან. მოქმედებს ობიექტურობის, გამჭირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპით. იცავს ბალანსს მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესებს შორის.

ენერგეტიკა, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის დარგი, წარმოადგენს საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციისა და მომსახურების მიმწოდებლებს და სწორედ მათ გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, ჯანმრთელობა, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დარგების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციის

და მომსახურების საბოლოო მომხმარებლებამდე მაღალხარისხიანი მიწოდების უზრუნველყოფა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა ეკონომიკაში ობიექტური აუცილებლობაა, უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან აზრი არ აქვს მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული შეზღუდვების გამოყენებას. აქ ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ორივე მხარის ინტერესების დაბალანსების მიღწევა; ანუ სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა დაიცვას მომხმარებელი ბუნებრივი მონოპოლიების მხრიდან არასწორი ქმედებებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ბუნებრივი მონოპოლიების დარგების განვითარებას საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

საუკუნეზე მეტი ხნის პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საუკეთესო შედეგის მიღწევა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით მომხმარებელთა მოთხოვნილების ყველაზე ეფექტიანი დაკმაყოფილება კონკურენციული და მონოპოლიური გარემოს გონივრული შეხამებით მიიღწევა; ასეთი შეხამება კი სახელმწიფოს მხრივ აქტიური ჩარევის, ანუ რეგულირების გარეშე შეუძლებელია. სახელმწიფო ენერგეტიკას, როგორც ეკონომიკის სპეციფიკურ დარგს, მარეგულირებელი კომისიების მეშვეობით მართავს. ამას კი შესაბამისი კანონმდებლობით ახორციელებს.

კანონმდებლობაში მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში მეტნაკლებად პრიორიტეტულად იყოს მიჩნეული ენერგეტიკული სისტემის რეფორმის მიმდინარეობის სტადიების შესაბამისად. ეს ფუნქციებია: • ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი სუბიექტებისათვის მოქმედების სამართლიანი და თანაბარი პირობების უზრუნველყოფა; • მომხმარებლების ინტერესების დაცვა; • ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის წარმოებისა და განაწილების სფეროში კონკრეტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა; • სახელმწიფოს სტრატეგიას შესაბამისად ენერგეტიკული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; • განახლებადი და ალტერნატიული სახის ენერგიის გამოყენების გაფართოების ხელშეწყობა; • სახელმწიფოს სტრატეგიის შესაბამისად ენერგეტიკული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; • განახლებადი და ალტერნატიული სახის ენერგიის გამოყენების გაფართოების ხელშეწყობა; • ენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილებისას გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებისა და დაზიანებისგან დაცვა; • მარეგულირებელი ორგანო საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისათვის უნდა მოქმედებდეს გარკვეული პრინციპების შესაბამისად. ეს პრინციპებია: • დამოუკიდებლობა; • კონსულტაციები ენერგიის მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან; • პრობლემების გადაწყვეტის თანმიმდევრულობა; • სიტუაციის პროგნოზირებადობა; • კომუნიკაბელობა; • კომპეტენტურობა; • თვითშეფასების უნარი; • გამჭირვალობა (საჯაროობა); • ელასტიურობა.

ყველა ზემოაღნიშნული პრინციპი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოქმედებისა და ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მარეგულირებელი ორგანოს მთავარი მიზნის – საზოგადოების მოთხოვნათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. კანონმა „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ სემეკს თავიდანვე მიანიჭა მაღალი დამოუკიდებლობა. კერძოდ, კომისია გახდა მუდმივმოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარებოდა არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციას. კომისია, თავის კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემდა დადგენილებებს, რომლებიც წარმოადგენდა ნორმატიულ აქტებს ელექტროენერგეტიკის სფეროში.

სემეკ-ი უკვე 25 წლის გახდა. სახეზეა დარგის მაშინდელ და ახლანდელ მდგომარეობებს შორის უზარმაზარი განსხვავება. იყო ჩაბნელებული, ცივი და ეკონომიკურად დუხჭირი საქართველო.უმწეო ენერგეტიკა და ამის გამო 25 წლით დაქვეითებული ეკონომიკა.შიმშილის ზღვარზე მისული მოსახლეობა, რომელთა საშუალო თვიური შემოსავალი მხოლოდ 7 დოლარი იყო.გაძარცვული ენერგეტიკა, მისი შავი და ფერადი ლითონი, სადენები უცხოეთში იყიდებოდა ჩალის ფასად.გაჩერებული ენერგომშენებლობა, უფუნქციოდ დარჩენილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ლუკმა პურის საშოვნელად მეტროსთან იდგნენ და გაზეთებს ჰყიდნენ. ელექტროენერგიის განახევრებული წარმოება და მისი გაყიდვიდან ამოღებული საფასურის 30%-იანი დონე და უამრავი სხვა ნეგატიური მოვლენები.

ამ პერიოდში ელექტროენერგიის წარმოება 2-ჯერ და მეტად, ხოლო ბუნებრივი გაზის მოხმარება 3-ჯერ და მეტად გაიზარდა.მკვეთრად გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი.საბაზრო ეკონომიკის მკაცრ პირობებში თავისუფალ ფასებთან შედარებით მოხერხდა ტარიფების მოთოკვა.ნაბიჯ-ნაბიჯ გაკვლეული იქნა გზა მსოფლიოს თანამეგობრობაში, ამაღლდა საერთაშორისო ავტორიტეტი და ბევრი სხვა.

ამ პერიოდში კომისიას 6 თავჯდომარე ხელმძღვანელობდა.პირველი თავჯდომარე იყო ელიზბარ ერისთავი (1996-2003წ), გარდაიცვალა 2020 წელს.ამა წლის ნოემბერში იგი 84 წლის გახდებოდა. სემეკის შემდეგი თავჯდომარეებია:დავით მირცხულავა (2003-2004წ), გიორგი თავაძე (2004-2007), გურამ ჩალაგაშვილი (2007-2013), ირინა მილორავა (2013-2019), დავით ნარმანია (ამჟამად მოქმედი).

სემეკს 12 წევრი ჰყავდა:დემურ ჩომახიძე (1996-2004), პაატა ცინცაძე (1996-2004), ირმა ქავთარაძე (2005-2011), ზურაბ გაბელაია (2007-2013), მაია

ნადირაძე (2005-211), ვასილ როინიშვილი (2009-2010), სერგო მესხი (2010-2015), გოჩა შონია (მოქმ.), გიორგი ფანგანი (მოქმ.), მაია მელიქიძე (მოქმ.), გიორგი ფრუიძე (მოქმ.) და დავით ნარმანია (2017-2019).

იყო 8 აღმასრულებელი დირექტორი:რომან უშვერიძე, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, ნოდარ ჩიხლაძე, თემურ ყიფიანი, გია ჩახნაშვილი, ავთანდილ ირემაშვილი, ზაალ ჩომახიძე, ზურაბ გაბელაია (მოქმ.) და 31 დეპარტამენტის დირექტორი, მათ შორის მოქმედია: ნ.ბერიძე, გ.სანიკიძე, ელ.ლაგვილავა, გ.ნადირაძე, ელ.გოგიაშვილი, რ.ნანიკაშვილი, ო.ნალჩევანიძე, მ.იოსელიანი, ს.ჯანელიძე, ვ.მეჭურჭლიშვილი, ნ.სუმბაძე, მ.კუპრაძე, ა.ზარიძე, ნ.ლაშხია, დ.ქართველიშვილი. მომხმარებელთა უფლებადამცველთა შორის იყვნენ:დ.ებრალიძე, დ.მიქაუტიძე, მ.ძიძიკაშვილი, ვ.ფხაკაძე, ნ.გულეიშვილი, ს.ვარდიაშვილი (მოქმ.). კომისიას ემსახურება მრჩეველთა საბჭო რომელიც დაკომპლექტებულია დარგის გამოცდილი და ღვაწმოსილი ადამიანებით.

კომისია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთაც სულ უფრო მეტი სამუშაოს შესრულება უხდებათ. საკმარისია ითქვას, რომ ახლა ერთ წელიწადში მიღებულია 70, 7-ჯერ მეტი სამართლებრივი აქტი, მათ შორის, 21, 5-ჯერ მეტი დადგენილება და 90, 4-ჯერ მეტი გადაწყვეტილება. გამოდის, რომ ახლა კომისია 3, 5 სამუშაო დღეში იღებს იმდენ დადგენილებასა და გადაწყვეტილებას, რაც ეს ხდებოდა 1997 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში. მუშაობის განვლილ პერიოდში კომისიის მიერ დაინერგა გამოკვეთილი და სამართლიანი „თამაშის წესები" სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისათვის, სტიმული მიეცა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას, კონკურენციის განვითარებას და ადგილობრივი რესურსების ათვისებას. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფო, სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები, შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები და ა.შ.

შედეგები შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: 1. დაწესდა გამოკვეთილი და სამართლიანი „თამაში" წესები სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისათვის; 2. სტიმული მიეცა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას, ჩატარდა უმრავლეს საწარმოთა პრივატიზაცია; 3. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწიფო, სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების შემდეგ სახელმწიფოს ჩამოსცილდა მარეგულირებლის ფუნქციები, ხოლო კომერციული ფუნქციები უშუალოდ სამეურნეო სუბიექტებს დაეკისრა. სახელმწიფო კი მის მიერ შემუშავებულ სტრატეგიასა და პოლიტიკას ახორციელებს; 4. გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები შეიქმნა სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისთვის, საფუძველი ჩაეყარა დარგის თვითდაფინანსებას. ლიცენზიატებს საშუალება მიეცათ, სრულად გამოავლინონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და სათანადო შემთხვევაში მიაღწიონ კიდეც მათ ასახვას ტარიფში; 5. განისაზღვრა ლიცენზიატთა უფლებები და ვალდებულებები, პროდუქციის (მომსახურების) აღრიცხვის, მიწოდების, შეწყვეტის და აღდგენის წესები და პროცედურები, ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში მყოფი ლიცენზიატების ურთიერთობათა სავალდებულო ქცევის წესები. კარგი პირობები შეიქმნა კონკურენციის განვითარებისათვის; 6. შეიქმნა ურთიერთსაყრელი თანამშრომლობის საფუძვლები მომხმარებლებსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის, ამაღლდა მომსახურების ხარისხი; 7. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომისიის საკანონმდებლო-ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის, აგრეთვე საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით;ამაღლდა და სრულყოფილი გახდა ლიცენზიატთა მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებელი, რომელიც პირველ წლებში მეტად დაბალი იყო;9. ახლანდელ ეტაპზე ყველა კანონიერი ღონისძიება, ხორციელდება ტარიფების ზრდის შეჩერებისა და სტაბილიზაციისათვის. ამ მიზნით სტიმული მიეცა ადგილობრივი რესურსების ათვისებასა და რაციონალურ გამოყენებას, ენერგიაშემცველების მოწოდების დივერსიფიკაციას; 10. დარგი თავისუფალია პოლიტიკური ჩარევისაგან. ასეთი ზეწოლისაგან უკეთ დაზღვეული გახდა ტარიფები, აგრეთვე აქ განხორციელებული სხვა ხასიათის რეგულირება; 11. შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები. კომისიის მიერ მიღებული ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა ქვეყანაში საერთაშორისო სააგენტოებისა და ინვესტორების მოზიდვისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისა და მათთან თანამშრომლობისათვის, მაგ., USAID-ისა და კომისიის პარტნიორული ურთიერთობა დაიწყო კომისიის შექმნის დღიდან. სააგენტო კომისიას უწევს ტექნიკურ, მატერიალურ, ფინანსურ და საგანმანათლებლო დახმარებას; 12. კომისიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის გაუმჯობესებაში, ელექტრიფიკაციისა და გაზიფიკაციის ამაღლებაში და ბევრი სხვა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წყალმომარაგების მაჩვენებლები. რადიკალურად ამაღლდა მომსახურების ხარისხი. ახლა, 1 მომხმარებელზე გაანგარიშებით, ელექტროენერგიის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა 28, 1%-ით, ხოლო ელექტროენერგიის გამორთვის საშუალო სიხშირე 21%-ით გაუმჯობესდა.

კომისის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) როლი. შედეგად კომისია სარგებლობს

მაღალი ავტორიტეტით საერთაშორისო დონეზე, ხოლო მისი წარმომადგენლები წარმატებით მონაწილეობენ ენერგეტიკის რეგულირების მართვის საერთაშორისო ორგანიზაციებში. კომისია ერთ-ერთი დამფუძნებელია (2000 წელი) ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაციისა (ერრ-ა), სადაც ამჟამად გაერთიანებულია 48 ქვეყანა. ამ ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრები თავის დროზე იყვნენ ელ.ერისთავი (2000-2003წწ), გ.შონია(2015-2017წწ), მ.მელიქიძე(2018-2019წწ). ეს უკანასკნელი 2020 წლიდან „ერრას" თავჯდომარეა, რომელიც ახალა უკვე მეორედ აირჩიეს ამ თანამდებობაზე.

2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების რატიფიცირება, რომლის შედეგადაც საქართველო გახდა ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო. ამ თანამეგობრობის მარეგულირებელი საბჭოს პრეზიდენტი იყო 2017-2019წწ-ში გ.ფანგანი. კომისიაში 2020 წელს წარმატებით დაინერგა საერთაშორისო სტანდარტი ISO: AID-ხარისხის მენეჯმენტი სისტემა.

კომისიასთან არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის დამოუკიდებელი სამსახური, აგრეთვე ელ.ერისთავის სახელობის სასწავლო ცენტრი.

ერთობ რთული და უპრეცედენტოდ შრომატებადი აღმოჩნდა კომისიისათვის ბოლო წლები. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რომელიც პარლამენტმა 2019 წლის ბოლოს მიიღო, ძირფესვიანად შეიცვალა ენერგეტიკული ბაზრის იდეა. დღის წესრიგში დადგა მათი ლიბერალიზაციის საკითხი. აუცილებელი შეიქმნა ენერგეტიკულ ბაზრებში მონაწილე სუბიექტებისა და ლიცენზიანტების მუდმივი მონიტორინგი. ახლა მხოლოდ ელექტროენერგეტიკაში 100-ზე მეტი ელექტროენერგიის მწარმოებელია. ბუნებრივი გაზის ბაზარზე კი ოპერირებს 23 ლიცენზიატი, ქვეყანაში გაზიფიცირებულია 1500-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკულ სექტორში 2022 წლის მდგომარეობით, ფუნქციონირებს 26 ლიცენზიატი, მათ შორის წარმოების-21, განაწილების-2, გადაცემის-1 და ბაზრის ოპერირების-2.დარგში არალიცენზირებად წარმოებას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება მცირე ელექტროსადგურებში, მიწოდება, ვაჭრობა(მათ შორის იმპორტი და ექსპორტი), ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირება და დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერირება. ყალიბდება კონკურენტული ბაზარი.დამტკიცებულია ელექტროენერგიის „დღით ადრე" და დღიური ბაზრების წესები, საბალანსო და დამხმარე ბაზრის წესები.პრიორიტებებია განახლებადი ენერგიის გამოყენებაში.2016 წლიდან მოქმედებაშია წახალისება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების გამოყენებაში, რომლის თანახმად დანერგილია ე.წ. „ნეტოაღრიცხვის" რეგულაცია.

ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედი ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრები მიჩნეულია როგორც კონკურენტული მოდელი, არის ეფექტიანი და ლიკვიდური, ხელს უწყობს გაზით ვაჭრობის თანამედროვე მოდელების დანერგვას და საფუძველია ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის.

სემეკ-ს წინ ბევრი სამუშაო აქვს საქართველოში დარგის რეგულირების ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერებისათვის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიებით კომპლექსური ენერგეტიკული სისტემის მართვის ეფექტიანობის ზრდისათვის და სხვა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1.დ.ჩომახიძე-ენერგეტიკის მდგრადი განვითარების პრინციპები (თბილისი 2012წ)

2.გ.თავაძე, ირ.ქავთარაძე და სხვ. ენერგეტიკის რეგულირების თეორია და პრაქტიკა (თბილისი 2006)

3.გ.თავაძე, დ.ჩომახიძე-ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება (თბილისი 2005წ)

4.სემეკის წლიური ანგარიშები, 1998-2021წ.

5.რ.გერაძე, ელ.ლაგვილავა-სემეკი 25 საიუბილეო გამოცემა. (თბილისი 2022წ).

# ახალი წიგნები

## ჰუმანიზმის იდეით გამსჭვალული წიგნი

***ალექსანდრე სიჭინავა***
*სტუ-ს პროფესორი*

***ნაზი ჭიკაიძე***
*სტუ-ს პროფესორი*

ეკონომისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი და პოეტი გიორგი მალაშხია ცნობილია საზოგადოებისა და ეკონომიკის ჰუმანიზაციის ირგვლივ საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ნაშრომებით. ჰუმანიზაციის ტენდენციას იგი მიიჩნევს საზოგადოების პროგრესის მაგისტრალურ გზად.

ამჯერად მის მიერ ევროპული გამომცემლობის Palmarium Academic Publishing-ის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი მონოგრაფია (886 გვ_) „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის სიძულვილი. გლობალური მეტამორფოზები და კაცობრიობის მომავალი. ჰუმანოიზმი“ ასახავს კაცობრიობს მიერ ჰუმანური ცხოვრებისაკენ გავლილ გზასა და ავტორის წარმოსახულ მომავალს, რომელსაც იგი ადამიამურ ადამიანთა საზოგადოებას, „ჰუმანოიზმს“ უწოდებს.

ისტორიული პროცესი აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია ანთროცენტრული ხედვით, ე.ი. ერთი მხრივ, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების, მეორე მხრივ, მათი მწარმოებლური პოტენციალისა და ცნობიერების დონის პოზიციიდან. საზოგადოების პროგრესი გაანალიზებულია აქსიოლოგიური მიდგომის -- საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა, განსაკუთრებით ეთიკურობისა და სამართლიანობის, როგორც ცხოვრების წესის საკვანძო კრიტერიუმების, შუქზე, ასევე ევდემონისტური ანუ ადამიანთა ბედნიერების თვალსაზრისით. გენეტიკური მიდგომით გამოვლენილია განვითარების გავლილი ეტაპების მემკვიდრეობის გავლენა საზოგადოების მწარმოებლურ ძალებსა და საქმიანობის შედეგებზე.




ავტორი კაცობრიობის ისტორიასა და მის საფეხურებს განიხილავს სწორედ ეთიკურობისა და სამათლიანობის მიმართულებით პროგრესის თვალსაზრისით. ეს ეხება პერიოდს მას შემდეგ, რაც წარმოიშვა ადამიანთა განსხვავება სოციალური მდგომარეობის მიხედვით, დაყოფა პრივილეგირებულებად და დამორჩილებულებად, მჩაგვრელებად და ჩაგრულებად.

ისტორიული პროგრესის მთავარ ამოსავალ პირობად გიორგი მალაშხია, მარქსიზმის და სხვა თეორიებისაგან განსხვავებით, მიიჩნევს არა მთელი საწარმოო ძალების ან ეკონომიკური ურთიერთობების თუ ცხოვრების სხვა სფეროს, არამედ საკუთრივ ადამიანის - ისტორიის ერთადერთი აქტორის - განვითარებას, მისი ინტელექტუალურ - შემეცნებითი დონის ამაღლებას. მის საფუძველზე ხდება, ავტორის მიხედვით, წარმოების პროცესის, ერონომიკურ ურთიერთობათა, პოლიტიკური სისტემის, ყოფის განვითარება. ესაა ავტორის ერთ-ერთი ფუნდამენტური დებულება, რომელსაც ემყარება საზოგადოების ისტორული წარსულისა და მომავლის ახსნა.

ძირითადი ადგილი ნაშრომში ეთმობა კაპიტალიზმისა და კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის - მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში ამ უკანასკნელის უკვე განხორციელებული და შემდგომ დამარცხებული, ასევე მისი რიგ ქვეყნებში ამჟამად არსებული პირველი სტადიის - სოციალიზმის ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ავტორის მიდგომები და ანალიზი, ასევე ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, დასკვნები ძირეულად განსხვავდება არსებულისაგან. ავტორს ჭეშმარიტების

დადგენის თვალსაზრისით საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია ორიგინალური, ფართო და მიუკერძოებული მიდგომა, რომელიც თავისუფალია იდეოლოგიური, ადამიანთა ჯგუფების ინტერესების გავლენით ჩამოყალიბებული პოზიციისაგან, ემყარება ობიექტურობის პრინციპს. გიორგი მალაშხიას მეცნიერული კონცეპტი, ხედვა და განსჯა ორიგინალურია და მას აქვს ობიექტურობის პრეტენზია. განსხვავდება გავრცელებული შეხედულებებისაგან, რომელთაც აკლიათ აღნიშნული თვისება. ეს ნათელია დღეისათვის არსებული, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში შექმნილი ნაშრომების მიხედვით, რომლებიც უპირატესად არსებული სისტემების დაცვის მიზანს ემსახურება და არა ჭეშმარიტების დადგენას. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, მოკლე ისტორიული პროცესის ანალიზით შემოიფარგლება და გაბატონებული საზოგადოებრივი ძალების ინტერესებსა და მიზნებს ესადაგება, რასაც არ შეიძლება მივყავდეთ ჭეშმარიტებამდე.

ავტორის აზრით, კაპიტალიზმისა და სოციალიზმისადმი დამოკიდებულება დასაბამიდან გამოირჩევა არაობიექტურობით, მათ მიმართ არსებობს ან სრულიად ნეგატიური ან ზედმეტად პოზიტიური მიდგომა, აქედან გამომდინარე, შეიმჩნევა მოძულებრივი ანდა თაყვანისმცემლური დამოკიდებულება. გიორგი მალაშხია ცდილობს ჩაწვდეს ამ მოვლენების მიზეზებს, გაარკვიოს მათი ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები. კაპიტალიზმი და სოციალიზმი მის მიერ განიხილება არა სუბიექტების სურვილების კვალობაზე შემთხვევით წარმოშობილ საზოგადოებრივ სისტემებებად, როგორც ბევრი მიიჩნევს განსაკუთრებით სოცილალიზმის შემთხვევაში, არამედ ობიექტური ისტორიული პროცესის პროდუქტებად. მათი არსებობა შეესაბამება ადამიანის, საზოგადოების ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურს.

კაპიტალიზმმა განვითარების დიდი გზა გაიარა სოციალიზმთან შედარებით. იგი კვლავ მუდმივ ცვლილებაშია. პრაქტიკული სოციალიზმის ისტორია ქვეყნების ერთ ნაწილში მოკლე აღმოჩნდა, თუმცა იგი გრძელდება თანამედროვე მსოფლიოს დიდ ნაწილში, რომლის მოსახლეობა 1,6 მლრდ, უდრის (მსოფლიოს მოსახლეობის 20 პროცენტი), მათ შორის მოსახლეობის და ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით ყველაზე დიდ ქვეყანაში - ჩინეთში. ესაა დღევანდელი რეალობა.

გიორგი მალაშხიას მცდელობა მიმართულია კაპიტალიამის არსების ახლებურად წარმოჩენისკენ. იგი აუცილებლად მიიჩნევს კაპიტალიზმის როგორც პოზიტივების, ისე ნეგატივების ცოდნას. გაუმართლებლად მიაჩნია მათი მიჩქმალვა. განიხილავს რა კაპიტალიზმს საკაცობრიო ფასეულობების - ეთიკურობისა და სამართლიანობის ასპექტით, იგი მის თანამედროვე მდგომარეობას მიიჩნებს კაცობრიობის განვითარების მიღწეული დონის შესატყვისად, მაგრამ არა მაღალი ცივილიზაციის რელევანტურად.

ავტორი არ იზიარებს კ. მარქსის მიერ კაპიტალიზმის უსამართლობისა და საზოგადოების ცხოვრებაში კაპიტალისტთა როლის, ასევე დოვლათისა და მისი დანახარჯებზე მეტი ნაწილის შექმნაში მუშათა როლის მტკიცებას. ამასთან იგი სრულიად ახლებურად, ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებულ თეორიებისგან განსხვავებით, განიხილავს დოვლათის შექმნის პროცესის ეკონომიკურ შინაარსს, განმარტავს მასში სრულიად უსასყიდლო და ნაწილობრივ უსასყიდლო ბუნებრივი და ანტროპოგენური რესურსების მონაწილეობას და მის შედეგს - დანახარჯებზე მეტი დოვლათის, მისი ტერმინოლოგიით, დამატებული პროდუქტის წარმოებას. იგი ასაბუთებს დოვლათის განაწილების უსამართლობას კაპიტალიზმის პირობებში, კაპიტალისტების მიერ არა მუშათა მიერ, არამედ უსასყიდლო რესურსებით გამოყენებით შექმნილი დამატებული პროდუქტის მითვისებას, რომელიც მთელ საზოგადიებას ეკუთვნის. ეს, ნაშრომის მიხედვით, არის დოვლათის მეტი ოდენობით მითვისება კუთვნილთან შედარებით. ავტორი ადასტურებს, რომ ერთ ადამიანს საკუთარი შრომით არ ძალუძს დიდი, მით უფრო უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვება. ეს ხდება ეკონომიკური ურთიერთობათა ჩამოყალიბებული რეალობის, შექმნილი დოვლათის არასამართლიანი, ქაოსური განაწილების პირობებში. ნაშრომში არასწორადაა მიჩნეული მარქსიზმის მიერ კაპიტალისტების პარაზიტებად აღიარება, დოვლათის შექმნაში მათი წვლილის, საზოგადოების სამსახურში, ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაში კაპიტალის როლის უარყოფა.

ავტორი კაპიტალიზმის ძირითად ნეგატივებად განიხილავს ადამიანთა არათანაბარ დამოკიდებულებას წარმოების საშუალებათა მიმართ, მათი დიდი ნაწილის თავმოყრას ადამიანთა მცირე რიცხვის ხელში, რაც წარმოშობს დოვლათის არასამართლიან არაეთიკურ განაწილებას, რომლის შედეგებია უზარმაზარი ქონებრივი უთანასწორობა, ცალკეულ ადამიანთა ხელში უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვება, რაც იწვევს მოქალაქეთა არათანასწორ მდგომარეობას საზოგადოებაში.

კაპიტალიზმის დიდი ნაკლად, უამართლობის გამოვლენად ავტორს ესახება დაქირავებული შრომის არსებობა, რაც ადამიანთა ერთ ნაწილს ეკონომიკურად უქვემდებარებს მეორე ნაწილს, მიუხედავად მათ შორის გარიგებითი ურთიერთობისა, რომლის დროსაც დამქირავებელს უპირატესობა გააჩნია დაქირავებულთან შედარებით. აღნიშნული ნეგატივები სათანადოდ არ ფასდება.

ისინი კი ფაქტობრივად იწვევს მოქალქეთა ცხოვრების დონის, კეთილდღეობის, პირობების უთანასწორობას, რაც კი არ სწორდება, არამედ სულ უფრო ღრმავდება. ნაშრომში დადასტურებულია, რომ არსებულ უთანასწორობათა და დაქირავებული შრომის პირობებში დემოკრატია და ადამიანის თავისუფლება ვერ აღწევს სრულფასოვანებას.

ავტორი გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის წარმოშობა არ ყოფილა შემთხვევითი. გიორგი მალაშხია წარმოგვიდგენს სოციალიზმის ძირებს უძველესი დროიდან (სპარტაში, შუა საუკუნეების რელიგიურ თემებში და ა. შ.). ავტორის მიერ ხაზგასმულია, რომ მარქსისტული, საბჭოური სოციალიზმი წარმოიშვა ძალადობრივი, რევოლუციური გზით, როცა სათანადო პირობები არ არსებობდა საზოგადოების მაღალი იდეალების - თანასწორობის, თავისუფლების, სამართლიანობისა და ეთიკურობის მიხედვით მოწყობისათვის. ამან გამოიწვია დიდი ადამიანური მსხვერპლი, ნგრევა და ისეთი საზოგადოებივი წყობის ჩამოყალიბება, როცა გაბატონდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა, შეიზღუდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები. პოლიტიკურმა სისტემამ მიიღო გაუმართავი ხასიათი.

ისტორიას ახასიათებს ზიგზაგები ბევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში მოხდა უკან გადასვლა კაპიტალიზმისაკენ. სოციალიზმი კი არსებულ თავისებურებათა პირობებში შენდება აზიისა ამერიკის რიგ ქვეყანაში. მსოფლიოში მრავალი ადამანი თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის მხარეზეა, როგორც წესი, დემოკრატიული სოციალიზმისა. ამას ავტორი თვლნათლივ გვიჩვენებს. თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ ადამიანთა დიდ ნაწილს არ აქვთ წარმოდგენა საზოგადოებრივ სისტემებზე და არც იცის რა არჩევანი გააკეთოს, არ ესმის, თუ რა ის სისტემა უზრუნველყოფს მოქალაქეთა საყოველთაოკეთილდღეობას, თავისუფლებას და უფლებებს. არჩევანი კი ადამიანებზე არაა დამოკიდებული. მათ ის ან თავს ეხვევა ისტორიის კანონზომიერებით ან ადანიანთა ძლიერი ჯგუფების მიერ.

გიორგი მალაშხიას ინტერესის განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს ობიექტურ ისტორიულ კანონზომიერებათა და ტენდენციების საფუძველზე მომავალი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება. მიუხედავად ადამიანთა და საზოგადოების მრავალი ნეგატივებისა, არც ისე იშვიათად საზიზღროებებისა, ზიგზაგებისა განვითარებაში, მკვლევარი მაინც ხედავს ისტორიის მაგისტრალურ ხაზს - ჰუმანიზაციის, ეთიკურობისა და სამართლიანობის მხრივ პროგრესის გარდუვალობას. განსაკუთებულ ყურადღებას ავტორი აქცევს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს ჭეშმარიტი გაგებით, რაც დღემდე არსებულ საზოგადოებათა „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს, მიუხედავად მისი დეკლირირებისა. ავტორი გვთავაზობს თანასწორობის ახლებურ გაგებას. თანასწორობად იგი მიიჩნებს არა თანაბარ ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობას, რაც უსამართლობა იქნებოდა, რადგან ადამიანები განსხვავდებიან უნარებითა და მოთხოვნილებებით, არამედ მატერიალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის, ცხოვრების ხარისხის თანაბრობას. განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ ადამიანთა თანასწორობას, არამედ ქვეყნებისა და ხალხების შედარებით თანაბარ განვითარებას მთელ მსოფლიოში, რაც ყველას ბედნიერების პირობა იქნება. ეს კი შეიძლება კაცობრიობის საერთო ინტელექტუალური დონის ამაღლების, ჭეშმარიტების წვდომის, ცნობიერების განვითარების, ეთიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო რევოლუციების შედეგად მოხდეს. ადამიანის განვითარებითა და სრულყოფით. ავტორი ახალი ეპოქის დადგომას, ეგოიზმის ეპოქიდან ალტრუიზმის, ნამდვილ ადამიანური ურთიერთობათა ეპოქაზე გადასვლას პროგნოზირებს.

გიორგი მალაშხია მრავალი რეალური ცხოვრებისეული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე წარმოგვიდგენს და ასაბუთებს აღნიშნულ ტენდენციას, რომელიც უკვე დღეისათვის ვლინდება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის გლობალური მეტამორფოზის, თანდათანობითი, ევოლუციური ტრანსფორნაციის სინამდვილეში. ეს, თავის მხრივ ნიშნავს ჭეშმარიტების ტრიუმფს, საყოველთაო სიყვარულის, ერთობის, თანასწორთა თანამშრომლობის ხანის დაწყებას, სიხარბის, ანგარების, სიძუნწის, შურის, მტრობის, ბოროტმოქმედების და სხვა სიმახინჯეთა გადალახვას, რაც ამჟამად ადამიანთა მხოლოდ ნაწილს ახასიათებს. ამით იზეიმებს ჰუმანიზმი - ნამდვილი ადამიანური თვისება, რომლის საყოველთაო დადგომა ადამიანთა საერთო ოცნებას წარმოადგენს. კაცობრიობა, მიუხედავად ბოროტი ძალების წინააღმდეგობისა, ამ გზას ვერ აცდება თვით მისი არსებობის ლოგიკით. ადამიანთა მომავალ მოდგმათა ცხოვრებაში ასეთი ხანის დადგომა დღეს სიამოვნების საგანი უნდა იყოს ყველასთვის. ასეთია ავტორის მოლოდინი და დასკვნა მისი ვრცელი და მრავალმხრივი განსჯის ბოლოს.

გიორგი მალაშხიას ახალი წიგნი შეიცავს ეკონომიკური და სხვა სოციალური მეცნიერებებისათვის რიგ ახალ თეორიულ პარდიგმებს. იგი უთუოდ მიიპყრობს მკითხველთა ყურადღებას, რომელთა შემეცნებითი ჰორიზონტის გაფართოებას შეუწყობს ხელს, ბიძგსაც მისცემს ამ სფეროში ჭეშმარიტების ძიებას, რაც უთუოდ სჭირდებათ დღევანდელ და მომავალ თაობებს.

# КОРОТКИЙ АНАЛІЗ ІСТОРИЧНИХ ТА СОЦІАЛЬНИХ ПРИЧИН ВІЙСЬКОВОЇ АГРЕСІЇ РОСІЇ ПРОТИ УКРАЇНИ

***Р. А.Черняк***

*полковник юстиції у відставці, ветеран військової служби, Академік Академії соціальних наук Грузії*

**АНОТАЦІЯ**

В статті висвітлена історія відносин між Україною та Росією, знання якої допоможе краще усвідомити мотиви російської агресії проти України у 2022 році. Історія Росії сфальсифікована з метою приховування її монголо-татарського походження та надання видимості походження її від цивілізованої Київської Русі. Росія зародилася на території Володимиро-Суздальського князівства, яке було одним із князівств Київської Русі. Свою завойовницьку політику Росія розпочала відразу ж після свого заснування. Внаслідок такої загарбницької політики невелике Володимиро-Суздальське князівство за 850 років перетворилося на Росію сучасних розмірів. Поряд із привласненням історії Київської Русі Росія захопила та привласнила і Київську митрополію православної церкви. Політика Путіна базується на закладених російськими імператорами принципах великодержавності.

**ANNOTATION**

The article highlights the history of relations between Ukraine and Russia, knowledge of which will help to better understand the motives of Russian aggression against Ukraine in 2022. The history of Russia is falsified in order to hide its Mongol-Tatar origin and give the appearance of its origin from civilized Kievan Rus. Russia arose on the territory of the Vladimir-Suzdal principality, which was one of the principalities of Kievan Rus. The aggressive policy of Russia began immediately after its emergence. As a result of such an aggressive policy, the small Vladimir-Suzdal principality turned into Russia of modern size in 850 years. Along with the appropriation of the history of Kievan Rus, Russia seized and appropriated the Kyiv Metropolis of the Orthodox Church. Putin’s policy is based on the principles of great power laid down by the Russian emperors.

**АННОТАЦИЯ**

В статье освещается история отношений Украины и России, знание которой поможет лучше понять мотивы российской агрессии против Украины в 2022 году. История России сфальсифицирована с той целью, чтобы скрыть ее монголо-татарское происхождение и дать видимость ее происхождения от цивилизованной Киевской Руси. Россия возникла на территории Владимиро-Суздальского княжества, которое было одним из княжеств Киевской Руси. Захватническая политика России началась сразу после ее возникновения. В результате такой агрессивной политики небольшое Владимиро-Суздальское княжество за 850 лет превратилось в Россию современных размеров. Наряду с присвоением истории Киевской Руси, Россия захватила и присвоила Киевскую митрополию православной церкви. Политика Путина базируется на заложенных российскими императорами принципах великодержавности.

* * * *

Весь цивілізований світ знає про дійсні причини нападу Росії на Україну і не вірить брехливій російській пропаганді. Особливо зрозумілими ці причини є для волелюбного грузинського народу, котрий також відчув братню російську любов у 2008 році.

Краще усвідомити мотиви російської агресії допоможе історія відносин між Україною та Росією. Українські класики висловлювалися з цього приводу – «хто не знає свого минулого, той не вартий майбутнього» (Максим Рильський), «народ, що не знає своєї історії, є народ сліпців» (Олександр Довженко). Росіяни дійсно є народом сліпців, тому що вся історія їх розвитку вигадана їхніми імператорами Петром I та Катериною II, а сучасність зомбована пропагандою.

Вітчизняні вчені називають історичне минуле України «історією страждань», оскільки український народ до 1992 року перебував під гнітом інших народів (монголо-татар, литовців, поляків і найбільше московитів-росіян).

Так, у IX столітті в центрі Європи утворилася сильна слов’янська держава під назвою **«Київська Русь»,** яка охопила території сучасної України, Білорусі, частково Молдови, Польщі, Росії та країн Балтії. Саме ж місто Київ заснували у 482 році слов’янські князі брати Кий, Щек, Хорив та їх сестра Либідь.

Перша згадка про русичів датується 839 роком у франкській хроніці «Бертинські аннали». Так називали мешканців держави «Русь» з центром у місті Києві на «шляху із варяг у греки». Про існування держави русичів в той період згадується також в

хроніках данця Саксона Грамматика і у Візантійських хроніках «Житіє Стефана Сурозського» та «Житіє святого Георгія Амастридського».

Більш детально життя древніх русичів описано в літописі «Повість минулих літ», оригінал якої упорядкував у 1113 році монах Києво-Печерського монастиря Нестор Літописець.

Очільники Київської Русі князі Володимир Великий, його син Ярослав Мудрий, правнук Володимир Мономах та деякі інші відомі всьому світу. Під час їх правління Русь була найбільшою державою в Європі і монархи того часу мали за честь поріднитися з ними.

Зокрема, Володимир Великий був одружений на дочці короля Швеції і на сестрі імператора Візантії, його син Ігор був чоловіком німецької принцеси, дочка Добронега була дружиною польського короля. Ярослав Мудрий також був одружений на дочці короля Швеції, його син Всеволод був одружений на дочці візантійського імператора, син Ізяслав був чоловіком польської принцеси, а дочки були королевами: Єлизавета Норвегії, Анастасія Угорщини, Анна Франції, Агата Англії. Дружиною Володимира Мономаха була дочка короля Англії. Внаслідок цього вся сучасна Європа має родинні зв'язки з Київською Руссю.

Але в 1240 році монгольський хан Батий спалив Київ і після цього держава русичів остаточно занепала.

Одним із князівств Київської Русі було Володимиро-Суздальське князівство. В 1113-1157 роках там княжив син Володимира Мономаха Юрій Довгорукий, у 1173-1212 роках син Довгорукого Всеволод «Велике Гніздо», в 1252-1263 роках правнук Довгорукого Олександр Невський. В 1263 році Невський виділив з Володимирського князівства Московське князівство і з того часу навколо Москви стала формуватися **держава Московія**. Однак на території, де утворилася Москва, жили не слов'яни, а мокші. Назва міста Москва пішла від річки, яку плем'я мокші назвало Москва, що в перекладі означає «брудна вода». Назва виявилася символічною, позаяк Москва заляпала своїм брудом весь світ.

У 1237 році монголо-татари прийшли і на Володимиро-Суздальську землю. Володимирські князі, сини Всеволода «Велике Гніздо» – Юрій і Ярослав, покорилися хану Батию і земля мокші ввійшла до складу Золотої Орди. Військо Московії використовувалося Батиєм у завойовницьких походах в 1240-1242 роках. Тобто фактично до влади у Московії прийшли Чингізиди – нащадки Чингізхана. Є дані, що однією з дружин Олександра Невського була дочка Батия, оскільки в одних історичних документах хан Батий вказаний як названий батько Невського, в інших як тесть. Дані про дітей Олександра від дочки Батия відсутні.

У 1325 році Московію очолив князь Іван Калита, матір'ю якого є внучка хана Батия Феодора Сартаківна. Тобто всі нащадки Івана Калити, якого татари називали Кулхан, належать до династії Чингізидів на московському троні. Ця династія перервалася лише у 1605 році після смерті Бориса Годунова (мурза Гудун) і до влади прийшла династія Романових.

Вміле підлабузництво перед ханською владою призвело до того, що Москва стала основним центром збору данини з князівств Київської Русі для ординських ханів, залишаючи частину данини собі.

Брехнею московських істориків є те, що Москва заснована Юрієм Довгоруким у 1147 році, тому що доказів цьому немає. Москва була заснована після 1259 року, тобто монголо-татарами, що відображено у проведеному в 1272 році третьому переписі населення Золотої Орди. При першому переписі (1237-1238 роки) і другому (1254-1259 роки) поселення Москва не згадується. Заснування Москви Довгоруким придумано московськими істориками для підтвердження міфу про спільну братню російсько-українську історію.

Свою завойовницьку політику Московія розпочала відразу ж після свого заснування. В кінці XIV століття вона завоювала слов'янські міста Брянськ, Чернігів, Смоленськ, Вязьма та інші. Відповідно у 1462, 1478 і 1654 роках Московія окупувала інші словя'но-руські князівства на території сучасних Псковської, Новгородської та Смоленської областей Росії. На території інших регіонів Московії слов'янські народи ніколи не проживали, ці території населяли переважно угро-фінські племена. Внаслідок такої загарбницької політики невелике Володимиро-Суздальське князівство за 850 років перетворилося на Росію сучасних розмірів.

Із 1654 року після Переяславської ради частина лівобережної України (Гетьманщина із столицею у Батурині, відвойована Богданом Хмельницьким у Речі Посполитої) перейшла під юрисдикцію Московії. А станом на 1685 рік Україну було повністю розділено по Дніпру, правобережна Україна залишилася під владою Речі Посполитої, лівобережна стала частиною Московії, а пізніше російської імперії, де перебувала аж до 1917 року. Весь цей час Московія пригнічувала розвиток української державності та української мови, і одночасно фальсифікувала свою історію з метою приховування ординського походження Московії та надання видимості походження її від цивілізованої Київської Русі.

Зокрема, у 1690 році Собор Російської православної церкви оголосив анафему на церковні книги, надруковані українською мовою. У 1720 році Петро I своїм указом заборонив друк книг українською мовою, а у 1729 році наказав переписувати в Україні постанови та розпорядження з української

мови на російську. В 1721 році Петро І перейменував **Московію в Росію**, привласнивши для своєї фальшивої держави навіть чужу назву. Слово Росія походить від слова Русь, тому що державу «Русь» інколи в транскрипції з іноземних мов читали «Рось», а Московію інколи називали «Русія», звідси і слово «Росія».

У 1763 році Катерина ІІ заборонила викладати українською мовою в Києво-Могилянській академії, у 1764 році повністю заборонила початкові школи з українською мовою, а у 1811 році закрила Києво-Могилянську академію. Також у 1764 році був указ Катерини ІІ про «обрусіння» України, Смоленщини, держав Балтії та Фінляндії. Міністр внутрішніх справ Росії Валуєв П.А. у 1863 році видав циркуляр: «Української мови не було, немає і бути не може, а хто цього не розуміє – ворог Росії». У 1888 році Олександр ІІІ видав указ «Про заборону вживання в офіційних установах української мови та хрещення українськими іменами». Це лише основні віхи цього мовного геноциду.

Масовану державну фальсифікацію історії свого народу також почав Петро І. Він в 1701 році видав указ про вилучення в покорених народів усіх письмових національних пам’яток: літописів, церковних документів, архівів. Особливо це стосувалась України-Русі. Петро І завіз з Європи велику кількість істориків, яких залучив до підробки цих письмових пам’яток та написання фальсифікованої історії Росії. Пізніше Катерина ІІ указом від 4 грудня 1783 року створила «Комісію для складання записок про древню історію переважно Росії» в складі 10 істориків під керівництвом графа Шувалова А.П. Комісія працювала 10 років і виконувала завдання за рахунок фальсифікацій історичних документів обґрунтувати «законність» привласнення Московією історичної спадщини Київської Русі і створення історичної міфології Російської держави.

Суттєво, що поряд із привласненням історії Київської Русі Московія захопила та привласнила і Київську митрополію православної церкви.

